საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

I

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის

I წიგნი

(X—XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით)

გამოსაცემად მოამზადეს
ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი — 1964

91 (с 41) (09)
911 (47. 922)
ჭ 362

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია X—XVII სს-ის ქართულ საისტორიო დოკუმენტებში დაცულ გეოგრაფიული სახელები და შეჯამებულია ყველა ის ცნობა, რასაც ამ ტოპონიმების შესახებ გვაძლევენ აღნიშნული ხანის საბუთები. მასალა ამოღებულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, ქეთაისის სახელმწიფო მუზეუმისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „მატენადარანის“ ფონდებში დაცული და მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან. ნაშრომი უხვ ცნობებს იძლევა საქართველოს ისტორიაში მომუშავე სპეციალისტთათვის (განსაკუთრებით მათთვის, ვინც ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეს ემსახურება). მაგრამ იგი ინტერესს მოკლებული არ იქნება, ჟგრეთვე, ენათმეცნიერთათვის, ფილოლოგთა, ეკონომისტთა და საერთოდ ფართო საზოგადოებისათვის.

წინასიტყვაობა

ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებისათვის ისტორიული ონომასტიკონის შესწავლა ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანია. თუ ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის პროცესში უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ტოპონიმიკის გამოკვლევისა და შესწავლისათვის, პირთა სახელები ჯერ კიდევ ელის სერიოზულ ყურადღებას. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დამუშავდება ღრმად, თუ გამოკვლეული არ იქნება ქართულ ისტორიულ დოკუმენტებსა და ხელნაწერ წიგნებში დაცული ზღვა მასალა. სწორედ ამ ამოცანის შესრულება დაისახა მიზნად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივმა. რომელიც 1959 წლიდან შეუდგა ინსტიტუტის ფონდებში დაცული X—XVIII სს. ისტორიული დოკუმენტებიდან პირთა და გეოგრაფიული სახელების შესახებ მასალის ამოწერას, მეცნიერულ დამუშავებასა და გამოსაქვეყნებლად მომზადებას. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ძეგლების გარდა მოხმობილ იქნა როგორც სხვადასხვა სპეციალისტთა მიერ გამოქვეყნებული ამავე საუკუნეების ამსახველი დოკუმენტები, ისე ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და სომხეთის „მატენადარანში" დაცული კოლექციები *.

ისტორიული ონომასტიკონის შესახებ მასალების ამოკრებასა და დამუშავებაში ჩაბმულ იქნენ განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები: ზაზა ალექსიძე, ანა ბაქრაძე, თინა ენუქიძე, აკაკი კლიმიაშვილი, ჯუმბერ ოდიშელი, ნანა ყანჩაველი, ნოდარ შოშიაშვილი და ნანა ცაგარეიშვილი; ლაბორანტები — თამაზ ბარამიძე და გურამ ჯანდიერი. ამათ გარდა საერთო სამუშაოში გარკვეული მონაწილეობა მიიღეს ისტორიკოსებმა თინა არჩვაძემ და გურამ ნიკოლაძემ ეს კოლექტივი პირველი ნაკვეთისათვის (X—XVIII სს.) მასალის შეგროვებაზე მუშაობდა 1959—60 წლებში ნოდარ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით. შეგროვილი მასალა

---

* აქ არ არის გათვალისწინებული საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები, რომელთა ანგარიშებაც და გამოქვეყნება, ცხადია, საშური საქმეა. ცალკე დამატების სახით გამოვაქვეყნებთ იმ მასალას, რომელიც შეიძლება ამოღებულ იქნას თ. ქორდანიას „ქრონიკებიდან", „კორიდეთის" სახარების მინაწერებიდან და იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც, შესაძლოა, უნებლიედ გამოგვრჩა ამჟამად მხედველობიდან, ან კიდევ მუშაობის დამთავრების შემდეგ იქნა ინსტიტუტის მიერ მოპოვებული.

შეჯამებისა, შემდგომი დამუშავებისათვის და გამოსაქვეყნებლად მოსამზადებლად გადაეცათ: პირთა სახელები — ა. ბაქრაძეს, თ. ენუქიძესა და ნ. შოშიაშვილს, ხოლო გეოგრაფიული — შ. ბურჯანაძესა და ზ. ალექსიძეს.

წინამდებარე წიგნი ამ ფართო სამუშაოს ერთ ნაკვეთს წარმოადგენს და მასში წარმოდგენილია X—XVII სს. ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში დაცული, შეძლებისდაგვარად, სრული მასალა ტოპონიმიკის შესახებ. მასალის გამოსაქვეყნებლად მომზადებისას ჩვენ ვითვალისწინებდით არა მარტო ისტორიკოსთა და ენათმეცნიერების, არამედ, რამდენადაც დრო და ადგილი საშუალებას გვაძლევდა, ისტორიულ ეთნოგრაფიაში, იურისპრუდენციაში, ეკონომიკასა და სხვა დარგებში მომუშავე სპეციალისტთა ინტერესებსაც. ამიტომ ეცდილობდით მასალა რაც შეიძლება უფრო სრულად მოგვეწოდებინა და შეგვენარჩუნებინა წყაროს თავისებურებანი. სამწუხაროდ ყველგან ამის გატარება შეუძლებელი გახდა (წიგნის მოცულობა ფრიად გაიზრდებოდა) და. ბარათებზე ამოწერილმა მასალამ ზოგჯერ გამოცემაში ადგილი ვერ ნახა.

მუშაობის პროცესში ჩვენს წინაშე მრავალი რთული საკითხი წამოიჭრა, როგორც ტექნიკური, ისე თეორიული ხასიათისა. ასეთი ნამუშევრის სპეციალისტთა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის დროულად მიწოდების უაღრესი საჭიროება გვაიძულებდა მეტად სწრაფი ტემპით გვეშუშაენა და გზადაგზა ისეთი საკითხებიც მოგვეწესრიგებინა (ნაწილობრივ მაინც), რომლებიც ხანგრძლივსა და სპეციალურ ყურადღებას თხოულობენ. ჩვენს საცავებში დაცული დოკუმენტების დიდი ნაწილი უთარიღოა. „მასალებისათვის" მათ გამოსაყენებლად საჭირო გახდა მიახლოებით მაინც დათარიღება, ხოლო ისტორიული პირებისათვის შეგროვილი მასალის ქრონოლოგიური აღმავლობით დალაგებამ ნათელი გახადა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული მონაცემები ამ მხრივ გადახედვას საჭიროებენ. ინსტიტუტის სმეცნიერო პერსონალი მასალის თავმოყრასთან ერთად უკვე შეუდგა იმ უღრესად საინტერესო ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხების დამუშავებას, რომლებიც მრავალად წამოჭრა ჩვენმა „მასალებმა"*. წინამდებარე ნაკვეთში ასეთი კვლევის შედეგები ნაწილობრივ უკვე გათვალისწინებულია.

---

* ა. ბაქრაძე. საქართველოს მდიან-მწიგნობრები (სამეფო. საკათალიკოსო. სათავადო). 1959—62 (ხელნაწერი). ამავე ავტორს გამოკვეყნებული აქვს: ქართველ მდიან-მწიგნობრებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. II, 1960; XVII—XVIII საუკ. ქართველ მდიან-მწიგნობართა გენეალოგიის საკითხისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962. ნ. შოშიაშვილი, საქართველოს ფეოდალური გვართა ისტორია (V—XVIII სს.). 1960—61 (ხელნაწერი). რ. ჰატარაძე, ქართულ ხელნაწერთა ჰვირნშნები, 1961—62 (ხელნაწერი). მასვე გამოკვეყნებული აქვს თეზისები ნაშრომისა „უძველესი იტალიური ჰვირნშნიანი ქაღალდი ქართულ ხელნაწერებში". ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები, 1962. ჯ. ოდიშელი, საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხები (XIV—XVIII სს. ქართლის მეფეთა ქრონოლოგია), 1961—62 (ხელნაწერი); გამოკვეყნებული აქვს თეზისები ნაშრომისა „საქართველოს

„მასალების" გამოსაქვეყნებლად მომზადებისას ვიცავდით შემდეგ წესს: 1. გეოგრაფიული ადგილის შესახებ ცნობებს ვიძლევით მხოლოდ დოკუმენტის შინაარსის მიხედვით. 2. გეოგრაფიულ სახელებს ვალაგებთ ანბანური რიგით. 3. თვითეული ტოპონიმის შესახებ მასალა მოცემულია ქრონოლოგიური ალმაევლობით. 4. ჩვენი დამატებები ან აღდგენები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. 5. ზოგჯერ დოკუმენტი იმდენად არის დაზიანებული, რომ ტოპონიმის ამოკითხვა ხერხდება, მაგრამ საბუთის შინაარსის დაუდგენლობის გამო მისი განმარტება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ გეოგრაფიული პუნქტი დასახელებულია მოცემულ დოკუმენტში. 6. „მასალებში" შეტანილია როგორც საეკვო, ისე აშკარად ყალბი დოკუმენტებიდან ამოღებული ცნობებიც, რადგან ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე მუშაობისას გარკვეული კრიტიკული პროცედურის შემდეგ მათი გამოყენება მაინც საჭიროა. ასეთებია, მაგ.: Hd—8712, 14592, 3493; Sd—3035, 2886, 1789; Qd—6740, სასისხლო სიგელები და სხვა. 7. საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის ერთი სახელით ცნობილი სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტი. საქმეს ხშირად არ შველის საბუთში მოხსენებულ პირთა სახელებიც და, როგორც ჩანს, მათ გასამიჯნავად, შემდგომში, სპეციალური მუშაობის ჩატარება და სხვა მონაცემების გათვალისწინებაც გახდება საჭირო. ჩვენ დღეს სრულიად მოკლებული ვიყავით მრავალმხრივი კვლევის გაწევის საშუალებას და არც გვქონდა ასეთი პრეტენზია (ეს უკვე ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტთა საქმეა). ამიტომ გაუმიჯნავი მასალა ერთ ბუდეში ქრონოლოგიურ რიგზე გავწყეთ. 8. მასალის ანბანურ რიგზე გაწყობისას ერთი ტოპონიმის მრავალი ფორმიდან ძირითადად ვიღებდით იმას, რომელიც გვხვდება ყველაზე ადრინდელ დოკუმენტში. დანარჩენი ფორმები მოცემული გვაქვს ფრჩხილებში, ხოლო ტექსტში — დაშლილი ხაზით. დალაგების ასეთი საერთო პრინციპი გარდა იმისა, რომ მასალის მოხმარებას გაადვილებს, ხშირად, სწორადაც წარმოადგენს ტოპონიმურ ფორმათა თავგადასავალს, თუმცა, სპეციალისტები ადვილად შეამჩნევენ, რომ ფრჩხილებში მოთავსებული ფორმა, ზოგჯერ, ენობრივად უფრო სწორი და ადრინდელიც არის, ვიდრე ჩვენ მიერ პირობით ძირითადად ჩათვლილი. 9. ტექსტში უცვლელად, ისტორიულ დოკუმენტებში შემონახული სახით, ვტოვებთ პირთა სახელებსაც.

მას შემდეგ, რაც ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შეასრულებს დასახულ ამოცანას (გამოაქვეყნებს სრულ მასალას ისტორიული

ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (XIV—XVI საუკუნეების მეფეთა ქრონოლოგია)", ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები, 1962. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, XIV—XVI სს. საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხები (ქართლის ცხოვრების რიგი), 1961 (ხელნაწერი). 1962 წლიდან საქართველოს ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენაზე მუშაობს გ. ჯ ა ნ დ ი ე რ ი. მის შემდეგ, რაც ხელს გვეკნება XVIII საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებში დაცულ მასალაც ანბანურ რიგზე გაწყობილი, განზრახულია სპეციალური ნაშრომები მიეძღვნას ონომასტიკონის წარმოების ისტორიასა და ეტიმოლოგიას.

ონომასტიკონის შესახებ) და საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ხელმძღვანელობა გამოეხმაურება ამ წამოწყებას, რეალური საფუძველი შეიქმნება ქართული ისტორიული ონომასტიკონის ენციკლოპედიური ლექსიკონის შესაქმნელად.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობის გრძნობით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი „მასალების“ წინამდებარე ნაკეთი გამოსაქვეყნებლად მომზადების პროცესში გადაიკითხა და საჭირო შენიშვნები მოგვცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა დ. ბერძენიშვილმა. „მასალების“ სხვა ნაკეთების გამოსაქვეყნებლად მომზადებაში ჩვენს კოლექტივს დიდ სამსახურს გაუწევს ის საქმიანი შენიშვნები, რომელთაც მადლობით ველით სპეციალისტთა და ყველა დაინტერესებული მკითხველისაგან.

შ. ბურჯანაძე

ზ. ალექსიძე

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

აქტები, I. — Акты, собранные Кавказской археографической комиссией.

ეკ. დოკ. — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, III, №.

ისტ. საბ., VI. — ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, 1913.

მატენად. ფნ. 252, № — სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „მატენადარანი", ფონდი 252, №.

ახალკ. საბ., II. — ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, 1921.

საისტ. მოამბ., II, 1924. — საისტორიო მოამბე, II, 1924.

საქ. სიძვ. I, № — ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, 1920, №.

სოც. დოკ., I, № — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, 1940.

ქ.-სპ. საბ., № — ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, 1955, №.

ქუთ. მუზ., № — ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი, №.

აანუშის ყოვლადწმიდის მონასტერი ნ. ანუში (1579. Sd—464).

აბაზაური გიორგის მიჰყიდეს თავისი საყდრის მიწა ორი დღის მიწა საზღვრებით: ზემოთ კაცაძის მიწამდე, ქვემოთ — აბაზაურის თავამდე (1632. Hd—1042-ა).

აბალია სოფელი, უწყალობა სიმონ მეფემ ფრიდონ საკაძის შვილებს და ფრიდონის ძმას იოვანეს (1580,VI.30. ქ.-სპ. საბ., № 1).

აბანო ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული აბანო (1579. Sd—464).

აბანო ლუარსაბ მეფემ უბოძა დავით ბოქაულთ-უხუცესს (1608. Hd —10243). ლუარსაბ მეფემ უბოძა დავით დავითიშვილს, რომელსაც იგი ადრევე ჰქონდა (1615.Sd—600). გიორგი [იმერთა] მეფემ დაუმტკიცა დავით ბოქაულთ-უხუცესს მისი სამკვიდრო მამული, რომელშიც შედიოდა აბანო ([1615—1619]. Hd—14633). სოფელი, რამაზთან დავის გარიგებისას, სხვა სოფლებთან ერთად, არგუნეს დავით დავითისშვილს ([1632—58]. Qd—8237).— გაყრისას კოსტანტილე დავითისშვილმა მიიღო აბანოში სასახლე, ხოლო ელიზბარ დავითისშვილმა — ნაკოშკარი, აგრეთვე ზვარი ([1658—75]. Hd—2289).

აბანო როსტომ მეფემ უბოძა როინ ჯავახისშვილს ხოლესა და აბანოს წყალობის წიგნი (1636.Hd—14652). — აქ მცხოვრებ ნასყიდს მდივანბეგმა როინ ჯავახიშვილმა სითარხნის წიგნი მისცა (1642.Hd—14663).

აბანო ცხოვრობდა 11 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — სოფელი, აქ ნიკოლოზსა და ბეჟანს ორი კომლი ყმა ჰყავდათ (1680. Qd—610).— აბანოში ცხოვრობდა გიორგი ძვალიყლაპიაშვილი ([XVII]. Sd—1936).

აბანო აქ მცხოვრები გულიტა პაპუნას ჯაშუში იყო (1664. III. Hd—10346). აბანო ეკუთვნოდა პაპუნა ვირშელიშვილს, რომლის სარჩელის გადაწყვეტის შედეგად იგი საუპატიოდ მიეცა ყაფლან ბარათაშვილს (1670. Sd—536).

აბანოური ხოდაბუნი იხსენიება არსენ მანგლელის მიერ ამირასშვილებისათვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში (1670.Ad—634).

აბარა გულშარა დედოფალმა გაუცვალა კათისხევის მოურავს იოანე საკაძეს ნოსტეში რომანისშვილის გულიასეული სასახლე მისი მიდამოთი:

„რასაცა ბერიას კალო გაიტანსა ბენდიანურის სახლამდისა, კედელსა და კალოსა აქათი ზემო ზღვრამდის სამზღვარი ზისა დიდი ლოდი, რასაც მზღვრები და ხევი ჩამოიტანს ქვემო შარამდისა, არა გზა დაგეუჭიროს ბედნიერის კარშიგან საურმო, არა მოხანსა კალოზედა, არა აბარაში კალოზედა“ (1412. საისტ. კრებ. IV, გვ. 69).

აბელია ამოვარდნილ ზურაბ და თამაზ საკაძეების წილი სოფელი, ყაფინიბაშ დოლაზ გოგიბაშვილმა, მისმა ძმისწულმა ხოსრომ და დურმიშხან ბეჭანიშვილმა გაუცვალეს სოფ. აბელია ოთარ, პაატა და ვარაზ ბარათაშვილებს სოჭხითს ვანქში. ამის შემდეგ როსტომ მეფემ სოფ. აბელია ბარათაშვილებს დაუმტკიცა (1653. Hd—14664).

აბისი სოფელი აბისი და სომანეთი მეფეთაგან მიცემული იყო სამკვიდროდ ზაქარია ავალიშვილისთვის. როცა ქართლში ყაენი მოვიდა, თეიმურაზ (მეფე) ველარ გაუმკლავდა მას და გადავიდა ლიხთ-იმერეთში. მეფეს თან გადაჰყვა ზაქარია ავალიშვილი, რომელმაც უერთგულა მას. ამისათვის თეიმურაზ ბეფემ კელაე უბოძა მას მეფეთაგან სამკვიდროდ მიცემული სოფლები სომანეთი და აბისი, აგრეთვე იოთამ ფავლენიშვილის მამული გაღმა ჰერედვითურთ (1633.V.30.Hd—9377).

აბრამეთი როსტომ მეფემ უბოძა სამკვიდროდ ჰასანბეგ ბარათაშვილს აბრამეთში აბრამიძეები (1633.ქ.-სპ. საბ., № 39).

აბრის შარა ბეჭან თუმანიშვილმა ყალანდარ თუმანიშვილს მიჰყიდა თავისი ყმის დევადიშაშვილის სახლ-კარი, რომელიც მდებარეობდა გორში აბრის შარამდე (1688.Sd—43).

აბულაშენი აბულაშენის ნასოფლარი ჯაჰან-ბანუმ დედოფალმა უბოძა ქაიხოსრო [ბარათაშვილსა] და მის შვილებს (1618.III.12.Hd—10232).

აბულბაჭი აბულბაჭს იყიდა „ბატონ სარდალმა“ მამულები: ასატურას, ამურშვილის, სულხანის და აკოფაშვილის ვენახები, რომლებიც პარეხლიშვილს ეჭირა; პარეხლიშვილის მამის ვენახი, რომელიც პარტახი იყო; კაკალშვილის ორი ვენახი და მისივე ვენახი სოფელს ზევით; ჯანღშვილის და ალექშვილის ვენახები; ალექშვილის პარტახი ვენახი ([XVII].Sd—1924).

აგარა (სოფელი), მთავარ ჯოჯიკის მიერ ნაყიდი, გიორგი მეფემ განუახლა მისი შეწირულება შიო-მღვიმის მონასტერს: ბაზიართ ერთ დღე-ღამეს შეუძლიათ გაჩერდნენ აგარაშიო (1170.Hd—1351). — აქ მდებარე ვენახი შედიოდა შიო-მღვიმის ლავრის მიერ ბასილ ალაევრდელ-მთავარეპისკოპოსისათვის გაჩენილ სამწირველოში ([XIII]. Hd—1586). მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — საგიას ვაჟებმა მირძამ და ზაზამ სამნათეოდ შესწირეს ვანის მონასტერს ორკალოს ძის მამული აგარა, რომელსაც ეკისრებოდა გამოსაღებად სამი გრივი პური: ნახევარი წმიდა და ნახევარი ქერი ([XIV. Ad—933).—[სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს აგარის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — აგარელნი იყვნენ ყმები წმიდა ნიკოლოზისა. (1659.V.18. Ad—790). — აგარაში ცხოვრობდა ციცის 1 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა). გიორგი მეფემ გორელებს უბოძა ზედაველის მთა აგარის მიდგმამდი და ურიულამდი

(1683. Qd—1970). — ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ედიშერს ერგო აგარაში: მურადას მამული, ნიკოლაოზ და გოგია ზურაბაშვილი მათი მამულებითურთ, ნასყიდა ბარჩაყოზასშვილი და მისი განაყოფი ნახევარი მამულით, ივანა დაბრუნდაშვილი, ზაზასშვილის ნახევარი მამული, ბერი მწყარიაშვილი მთავარეპისკოპოსის ნასყიდით; პაპუნას ერგო: ბერი ბარჩაყოზასშვილი ნახევარი საგანაყოფო მამულით, გიორგი თათანასშვილი, ქიტია ზაზაშვილი მათი მამულებით ([XVII]. Hd—1636).

აგარაკი [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის ეკლესიას აგარაკის შეწირულებისა და სითარხნის წიგნი (1559. საისტ. კრებ. III, გვ. 119).

აგუდანეთი (აგვდანეთი) ამ სოფელში თედიას ნაქონი მამული [სიმონ] მეფემ უბოძა ლიპარიტს და მის შვილებს (1624.V.16. Hd—3056). — [სიმონ] მეფემ უბოძა ამილ[ბარ], შ[იო] და ყაფარ-ბეგ ბარათაშვილებს მათი სამკვიდრო სოფელი აგუდანეთი (1626.VIII.16 Hd—2160, 8771). — სოფელი დიდგორის ძირს, მკვიდრი მამული გოსტაშაბ ბარათაშვილისა. უბოძა როსტომ მეფემ (1634. ქ.-სპ. საბ., № 48). — ნ. დიდგორი 1634) Hd—10027). — პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბისშვილს დიდი შიმშილობის დროს აგუდანეთში ყმად დაესახლა მგელია მჭედელი, რომელმაც მის მამულში 16 წელი დაყო. შემდეგ იგი პაპუნას უბოძა როსტომ მეფემ (1641. III. 23. ხოც. დოკ. I, № 34). — აგვდანეთში მცხოვრები სეხნია გულიტაშვილი მამულითურთ წილად ხვდა ბეჟანს ([XVII]. Hd — 13601). — აგვდანეთს მოსახლე კირაკოზაშვილი მამულითურთ წილად ხვდა ბეჟანს ([XVII]. Hd—13618).

ავაზანი ნასოფლარი, უბოძა როსტომ მეფემ სამკვიდროდ ჰასანბეგ ბარათაშვილს (1633. ქ.-სპ. საბ., № 39).

ავაზნი აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას ნასოფლარი ვაქევი „ავაზნისა იქით" ([1515—35]. საისტ. კრებ. III, გვ. 42—43).

ავაკეთი უბოძა ლუარსაბ მეფემ ჭაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს (1615.Ad—1410).

ავანჯუკი წილად ხვდა ვახტანგ [ორბელიანს] ([XVII]. Sd—1936, 1922).

ავახანი ლუარსაბ მეფემ უბოძა ბარზია ამილახორს და მის ძმას დემეტრეს ავახანი (1609.III.10 Ad—1208).

ავდარა ავდარასა და ბარქდარას რომ საქარავნო შარა ყოფდა, იმის მარჯვნივ მდებარე ადგილები შედიოდა საბარათაშვილოში (1657. ქ-სპ. საბ., № 115).

ავკეთი სოფლები ავკეთი და იის ციხე გიორგი მეფემ უბოძა ზაქარია, ზაზა და კახა ჯავახიშვილებს და გაათარხნა ეს ადგილები საკინიბო, საახორსალარო, საბაზიერო, საელნო, ციხისა და ზვართა მუშაობისა, გორული და ატენური გადასახადებისაგან (1463.IX.2. Hd—1347). — როსტომ მეფემ უბოძა პატა ჯავახიშვილს იის ციხისა და ავკეთის ნახევარი (1641. Qd—2188). — ავკელი ივანა ზუბიაშვილი და მისი შვილები ხატია და ზაქარია ციცი ციციშვილმა უბოძა პაპუა მაღალაშვილს (1665.11.10. Qd—7010). აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში შოხსენებული 5 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა): ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ედიშერს ერგო ავკეთში კაპარაშიძის მამული, აგრეთვე გოგია სხუისაშვილი მამულითურთ, პაპუნას —

სადოასშვილის მამული. გარსევან სხუტაშვილი მამულითურთ, თევდორა ჩიკარიძე მამულითურთ ([XVII] Hd—1636). — აქაურმა გიორგი შოშიაშვილმა უჩივლა სიმონ ჯავახიშვილს: მამა მომიკლა ცემითო. ტარიელ და მანუჩარ გლურჯიძეების განჩინებით, ფიცში გამტყუნებისას ჯავახიშვილს 40 ძროხა უნდა გადაეხადა შოშიაშვილისათვის (XVII]. Hd—10405).

ავლაბარი როსტომ მეფემ უბოძა ხოჯა ბეჰბუთას ქალაქში ავლაბრისკენ. მახათას ქვეშეთ, მის სამკვიდრო სასაფლაოსთან ალაგი (1654. ქ.-სპ. საბ.. № 106). — ავლაბარში გადმოსახლდნენ სულხანაშვილები (1673.Ad—2246).— წოდორეთის მკვიდრნი სულხანაშვილები და სხვები მათი ბატონის ჯავახიშვილის უშვილოდ გადასვლის შემდეგ როსტომ მეფემ წოდორეთიდან აყარა, ავლაბარში დაასახლა და სახასოდ დაიჭირა (1681.VII.20. Hd—2602, 6242). — ბეროა ტოტოა[ნ]თ ბაინდურასშვილმა თავისი სახლ-კარი მიჰყიდა ავლაბარში ქალაქის მოურავსა და მის შვილებს (1683.XII. Hd—13696). — ავლაბრის ხასიდარი იყო ოტია მათიაშვილი; გივი [თუმანიშვილმა] სახლ-კარი უბოძა ავლაბარში ბერ ჰიპაშვილს ([1696—1713]. სოც. დოკ., 1, № 139). — ლუარსაბ სახლთ-უხუცესმა და ედიშერ ნაზირმა ავლაბრის მეღალეს უბრძანეს, რომ ნავთლუღში მცხოვრები მეითრიშვილის ყმებისათვის გამორთმეული ქერი ავლაბრის ღალიდან ისევ უკან დაებრუნებინა ([XVII]. Hd—14966).

ავლაბრის მონასტერი ალექსანდრე მეფემ განუახლა მისი შეწირულება მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ავლაბრის ჭალა ალექსანდრე მეფემ შესწირა მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ავჭალა სოფელი, მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნასოფლარი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).— ვახტანგ მეფემ ავჭალიდან რუ გამოიღო დიდუბეში, სადაც ააშენა სოფელი (1682. სოც. დოკ., 1, № 102).

ავჭალის წყალი ნ. გლდანი ([XVII]. Hd—14977).

აზამბურის რუ ზიად-ოღლი ქალბალი-ხანმა კათალიკოს იოვანე დიასამიძეს სვეტიცხოველისათვის უბოძა აზამბურის რუ და კახეთის მამულები (1696. III. 24. Ad—1751).

აზვი სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

აზიკვი სოფელი, სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს უბოძა აქ 2 კომლი ([1558—1600]. Hd—8437).

აზიკი აქ მოსახლე შამილა ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13618). — აქაური თათულაძის მამული ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd — 13635). — აქაური ივანა ედიშერაშვილი მამულითურთ ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13643).

აზიკის ნაოხარი მდებარეობდა თრიალეთის პირზე, როსტომ მეფემ უბოძა ღვი პაპუნა გოშტაშაბიშვილს (1654. Hd—4166).

აზიკუნი გაყრისას გერმანოზს და მის ძმებს თაყას, გოსტასაბს, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] ერგოთ სოფლები: აზიკუნი, ცხურისი, იმედა, კახი,

ცხნარი, ლიპნი, გუარეთი და ამლეეი, აგრეთვე გიორგაშვილი (1523. Ad—1299-ა).

ათენაგუენი [გიორგი] მეფემ თორელ ივანე ჯავახიშვილს უბოძა მონასტერი ათენაგუენი კოჯრის ძირს (1338. Hd—11628).

ათრევი ბერუკა ჯანასშვილმა პაპუნა ჯ[ა]ნასშვილს საეენახედ გაუცვალა მირჯანაულის ბოლოს ნაფუზვარი — „აქეთ ბერიყლის გზამდე, იქეთ ათრევამდე" — ზომით მის მეოთხედ ნაიონჯარ მიწაში (1656. Hd—1585).

აითარნე აფხაზეთში ბიქვინტის გარშემო მდებარე სოფლები აითარნე, არუხა და რაბიცია, აგრეთვე აითარნეს მთა, ზეთისხილოვანი შესწირა მამია დადიანმა ბიქვინტის ღვთისმშობელს ([1512—32]. Ad—2218).

აითარნეს მთა ნ. აითარნე ([1512—32]. Ad—2218).

აკანათერა სოფელი, როსტომ მეფემ განუახლა მისი წყალობა ზურაბის ძმისწულს ყაფარას (1641. ქ.-სპ. საბ., № 71).

აკეთი ვამეყ დადიანმა შესწირა ბიქვინტის ღვთისმშობელს გურიაში სანწინამძღვრო მაცხოვარი აკეთისა ([XVII]. Sd—2911).

აკოფას სოფელი ტაშირში, ბარათაშვილების სამკჟიდრო, როსტომ მეფემ უბოძა იგი ყაფლან ბარათაშვილს (1657. ქ.-სპ. საბ., № 115). — აკოფას სოფლის, ელისბარის სოფლის, ხუცის სოფლის და თასილბათმაზის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ტაშირზე ყოშაქილის შიშტეფა, ყამიში, ხანზა და სფიელა ([XVII]. Sd—1922, 1936). —

აკრავაშენი ნაოხარი, როსტომ მეფემ იგი ყაფარას უბოძა (1641. ქ.-სპ. საბ., № 71).

აკურა (სოფელი) შესწირა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — მონასტრითურთ ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1428.1.21. Sd—2882, 2883). — საჩინო ბარათაშვილმა, ყაენის გადაწყვეტილებით, თავისი და თაყჟ კერძი გამრეკელაური მამული აკურაში მისცა სისხლში ბაგრატ თურქისტანიშვილს. აქედან ერთი ვენახი და 7 დღის ჭიწა ბაგრატის შვილებმა მიჰყიდეს პაპუნა ბარათაშვილს, რომელსაც ამ მამულს გიორგი შეედავა. როსტომ მეფემ პაპუნა ბარათაშვილს და მის ყმებს აკურელ ზურაბ, ამბალა და გულა ამბალაშვილებს დაუმტკიცა ამ მამულის ნასყიდობა, ხოლო გიორგისათვის მამულის ფასი უნდა მიეცათ ბაგრატ თურქისტახიშვილის შვილებს (1654. Hd—14670). — აკურელნი იყვნენ ბქენი ხიზანას სასისხლო საქმისა (1657. Hd—1562). — ლევან და ალექსანდრე [კახთა] მეფეებმა აკურა უბოძეს დავით-გარეჯას. აშლილობის ჟამს აკურა ოხიაყორჩმა იშოვნა, შემდეგ გარეჯის წინამძღვრის ონოფრეს მიერ წარმოდგენილ მეფეთა სიგელების საფუძველზე იმამყულიხანმა განაახლა აკურას წყალობა გარეჯისადმი (1708. Hd—1377).

აკურა (მონასტერი) ეკუთვნოდა დავით-გარეჯას. ალექსანდრე [კახთა] მეფემ მისი წინამძღვრობა უბოძა თავის უფროს ძას ქეთევანს და დაამტკიცა თავისი მამის ლევან მეფის მიერ მონასტრისადმი მიცემული 2 სიგელი (1597. Hd—1377). — აკურის მონასტერს ალექსანდრე [კახთა] მეფემ გურანდუხისათვის ერთი კომლი პანკისელი იოკომისეული კაცი უბოძა, შემდეგ გა-

მოართვა და მის სანაცვლოდ „კემურს ყარაიანში" ბარხუდანაეული მამული. ბაისხან და ზარდიაშვილი შესწირა: აკურას წინამძღვარს გურანდუხისა და მისი შვილის ესრომისათვის ორი ცხვრითა და მისი პურით უნდა ეწირვინებია და აღაპი მოემზადებინა. შემდეგ ქეთევანმა მონასტერს დაუმტკიცა ალექსანდრე ბეფის მიერ შემოწირული ყმა-მამული (1597. Ad—327).

აკურისი სოფელი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543. IV. 20. Hd—10375). — ნასოფლარი, გაცვლით შეძენილი ზაქარია აბაშიშვილისაგან. წილის გარეშე ხვდა ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — როსტომ მეფემ უბოძა ჰასანბეგ ბარათაშვილს სამკვიდროდ აკურისს ყეელაფერი, რაც კი ჰქონდა (1633. ქ.-სპ. საბ., № 39). — პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზისშვილებს დავა ჰქონდათ აკურისში თამაზას საკომლოზე ([XVII], Sd—577). — სიმონ მეფემ აკურისში ერთი კომლი მისცა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ([XVII]. Hd—8437). — აქ მცხოვრები კაცია ამბალაშვილი მამულითურთ წილში ხვდა საუარესოდ ამილღამბარს ([XVII]. Hd—13626). აქ მცხოვრები თამაზა ამბალაშვილი შეხვდა ბეჟანს გასამყრელოდ ([XVII]. Hd—12222).

ალავერდი ალავერდელი მთავარეპისკოპოსი იყო ბასილი ([XVIII]. Hd—1586). — გაბრიელ ამბა-ალავერდელმა დაიპყრო ჭართლის კათალიკოსის მისცა ერთგულების წიგნი ([1466—79]. Ad—125). — ალექსანდრე [ჯახთა] მეფემ ალავერდში ააშენა „შეორედ თავი სამკრო მარცხენის მკრისა", ამბა-ალავერდელად დასვა მიჩაბაძე, ბერობაში ევთიმი, შესწირა ძველი შუამთის საწინამძღვრო სოფელი მერე, შუამთასთან საზიაროდ, მერეში მოსახლე გლეხთა ყალან-ბეგარა საზიაროდ მისცა ალავერდსა და შუამთას, გაიჩინა თვითონ აღაპი ალავერდში, მასვე შესწირა სამი კომლი აზნაური, რაჭიდან შემოხიზნული მეფის ბოჭაულები გორია, დემეტრე და ხარება ბაქრაძეები ყმა-მამულებითურთ და გაათარხნა ისინი სამეფო გამოსაღებთაგან, ლაშქარ-ნადიობისა და საურის გარდა (1522. Hd—9494). — ალავერდელის სამსახური თავს იდვეს კირუალისძეებმა. ალავერდში დაკრძალული იყო „სულკურთხეული პატრონი მარიამ" (1566. Hd—2579). — თეიმურაზ მეფემ შესწირა მას თავისი მეუღლის ანა დედოფლის საღაპედ ყმები კაკელიდან, მუშაანიდან და კისისხევიდან და განათავისუფლა ისინი სამეფო გამოსაღებისაგან (1612.V.10. სახსტ. მოამბ., 1, 1925, გვ. 146—153). — თეიმურაზ მეფემ იმედი მისცა ზედედე ამბა-ალავერდელს, რომ მხარს დაუჭერს მის განჩინებებს ([1606—48]. Ad—600). — ზაალ ერისთავმა შესწირა მას სამი კომლი ყმა: გულითა სუნბაძე, გიორგი ლომაშვილი, რაყაზე ვაზიძე და მისი ძმა კურციქა (1650. ისტ. საბ., IV, გვ. 32—33). — როსტომ მეფემ გაათავისუფლა არსენ ამბა-ალავერდელ-ავალიშვილის ყმები გადასახადებისაგან (რომლის ნახევარს ისინი წმიდა გიორგისათვის იხდიდნენ, ხოლო მეორე ნახევარს მეფისათვის). ამასთანავე, დანგრეული ალავერდის წმიდა გიორგის საყდარი როსტომ მეფემ ხელახლა ააშენა (1651 აქტები, I, გვ. 18—19). — ალავერდის წმიდა გიორგი მოხსენებულია როსტომ მეფის მიერ დავითის ქვრივისათვის მიცემულს მამულის წყალობის წიგნში (1653. Qd—1653). ქეთევან დედოფალ-

მა შესწირა მას ხოდაშენში მდებარე ბათიაშვილის ნაქონი მამული: „რაც ბეჟანს აქუს, იმის ნახევარი“ (1673. ისტ. საბ., IV, გვ. 52). — ნიკოლოზ ამბა-ალავერდელმა ქართლის კათალიკოს იოვანე დიასამიძესა, არსენ ნინოწმიდელსა და „სულ ერთობლივ“ მიტროპოლიტ-ეპისკოპოსებთან ერთად დავით-გარეჯის წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძე დაადგინა და მისცა წინამძღვრის საქმის გარიგების წიგნი (1690.III.12. Ad—349). — ალავერდელმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა გაარიგა კაკაბელთა და შიბლიანელთა დავა მიწის თაობაზე (1700.XI. სოც. დოკ., 1, № 525). — მარიამ დედოფალმა ალავერდის ეპისკოპოსს არსენ ავალიშვილს მისცა კეთილმოყვარობის წიგნი: წმიდა გიორგის ეკლესიას არ მოეუშლი თეიმურაზ მეფის შეწირულ მამულებსო ([XVII]. Hd—2430).

ალაზანი ალაზანს გაღმა მდებარეობდა ფიჩხოვანი (1579. Sd—464). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ სეფიცხოველს შესწირა საწისქვილე ალაზანზე (1579. სოც. დოკ., 1, № 10). — ერთობით ალაზნის გამოღმა მცხოვრებლებმა პირობა მისცეს ამბა-ალავერდელ ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს, რომ არ დაუშვებენ „რჯულის გარდამავალ“ შეცოდებებს, ხოლო თუ შეცდებიან, გაუმხელენ მას ([XVII]. Ad—824).

ალაკა ალაკას ცხოვრობდნენ ქემხა ქრისტესია ჰიკაძე და ჯანგირა (1700.XI. სოც. დოკ., 1, № 525).

ალაკანი კაკაბელთა და შიბლიანელთა სამამულო დავის გარიგების მოწმენი იყვნენ ალაკნის ქევხა, შიბლიანელი ქევხა და ალაკნელები: ქევხა, ჯანგირა და ეშმაკურა (1700. XI. 15. Hd—574).

ალანი ალანის მიტროპოლიტი იყო გაბრიელი ([XVII]. Ad—1913).

ალასტანი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ალაჭინი ხახელაგისაგან შემოწირული, გიორგი მეფემ განუახლა შიომღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351).

ალგეთი ლუარსაბ მეფემ გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერს შესწირა ალგეთის პირას სოფ. ხოფში მოსახლე 3 კომლი (1506—1515. Hd—1554-ბ). ოვიმურაზ მეფემ გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერს შესწირა „აბელის მონაპარი ბოლო“, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო ([1606—1648]. Hd—1554, 1564, 10301)*. — შაჰნავაზმა უბოძა ყლიჯყორჩ პაპუნა ბარათაშვილს სოფ. ღოლოვნა ალგეთზე (1659.IV.28. Hd—4168). — ბერუკა ბუჟღულაშვილმა აქ მდებარე მამული მიჰყიდა პაპუნას (1661.V. 27. Hd—2024). — ალგეთის პირზე, ხეკორძის ბოლოს მდებარეობდა სასალტიას მიწა (1682. VIII.24. ისტ. საბ. IV, გვ. 64). — ალგეთზე მდებარე დურმიშხანის წისქვილი წილად ხვდა პაპუნა გოსტაშაბიშვილს გიორგი მიქელაძესთან დავის გარიგების შედეგად (1668.VI.11. Hd—2055). — ალგეთის პირზე მდებარე ვე-

* Hd—1554, 1554-ბ, 1564, 10301 მცდარ თარიღებს გვიჩვენებენ (შესაბამისად 1583, 1593, 1593, 1600 წწ.), ამიტომ ჩვენ თეიმურაზ I-ისა და ლუარსაბ II-ის მეფობის წლებით ვათარიღებთ.

ნახი მიჰყიდა გუგუნა ქუთარისშვილმა იასეს (1689. Hd—2770). — იოანე ლიასამიძემ, ქართლის კათალიკოსმა გაბრიელ მანგლელ ჯავახიშვილს სამწყ-ობოდ მისცა ალგეთს გალმა: ვაკე, ღორისთავი, გუდარეხი, ცხოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუდეთი, გოგჯგვერდი, ახალდაბა და მის ზემოთ ქციასა და ალგეთს შუა მანგლისის გარშემო ოძისი და კველთა (1699.V.26. Ad—647). — კათალიკოსმა სერაპიონ მანგლელს მისცა მთასა და ბარში გლე-ხები, მოუმატა ალგეთს გალმართი და გაუმაჯაზვრა: „ახალდაბა და მისი ზემო მხარე ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით“ ([XVII]. Qd—1605).

ალგეთის პირი სიმონ მეფემ უბრძანა ალგეთის პირის მოხელეებს იოანე ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის განახლების წიგნის გათა-ვება (1583.XI.20. Hd—14653). — სიმონ მეფემ უბრძანა ალგეთის პირის ტა-რუღებს, მელიქებს და სხვა მეფის მოხელეებს, რომ გაითვალისწინონ მისი წყალობის წიგნი, რითაც იოვანე ბარათაშვილს მოლავში დაუმტკიცა მისივე კერძი მამული (1590. Hd—4167).

ალევი (სამების ტაძარი) შალვა ერისთავმა გამოსაღებისაგან განათავისუფ-ლა ალევის სამების ტაძრის მსახურნი (1465.X. Hd—2403-ბ). — ელიზბარ ერისთავმა შესწირა ნინია ყელმახარაშვილი „ალევის თავს სამებას“ (1643. Hd—2403-ა).

ალვანი კახეთის ბატონმა და ყარაბაღის ბეგლარბეგმა აბაზულიხანმა უბოძა იგი თუშთ მოურავს მამუკა ჩოლაყაშვილს, დურმიშხან სახლთ-უხუცესს და მათ შვილებს ისე, როგორც გორჯასპია და დათუნა ერისთვის შვილს ჰქონდათ (1693.VII.5. Qd—6719).

ალვენაური მამული რევაზ მაღალაძემ იყიდა იასე მრელიშვილისაგან მა-მული ალვენაურს აქეთ. ხრამის პირს ბაგა თაყის ჩაკაფით საზღვრებში: „საქ-ვეხაქროდ“ გოჩიასშვილის საზღვრამდის, ზევით შარამდია, ქვევით ულუმბელა-შვილის მიჯნამდის, „საზენაქროდ“ ბერინას საზღვრამდის (1689.XII.12. Qd—1349).

ალი გიორგი [იმერთა] მეფემ დაუმტკიცა ბოქაულთ-უხუცეს დავით და-ვითიშვილს მისი სამკვიდრო მამულის ფლობა, ამასთანავე ალში 1 ვაჭარი ([1615—19]. Hd—14633). —ალში იყო ანდუყაფარ ამილახორის საცილობელი მამული (1619. Hd—2115). — ალის მამასახლისი როსტომ მოწმეა გიორგი დავითიშვილის მიერ ავთანდილ მარტიროზასშვილისათვის მიცემული მამუ-ლის ნასყიდობის წიგნისა (1629.III. Hd—6356). ალ ელ მა მღვდელმა სახვა-შვილმა ტერ-გრიგოლმა ქიმელ ალექსი ზაქუაშვილისაგან იყიდა 2 დღის „ტი-რიფის მიწა“ საზღვრებში: „ზევით ვაკეაშვილის მიწამდე, ქვევით შახპარუნა-შვილის მიწამდე“ (1653. Hd—6105). — ალ ელ მა ბაინდურა ბიძინასშვილმა პირობა მისცა ხოჯა-ბულინაანთ ნასარას, რომ თუ 1 წლის მანძილზე იგი მის ვალს არ გადაიხდის, ბაინდურას შვილი ბიძინა დარჩება ნასარას (1678.VI.14. ხოც. დოკ. 1, № 84). — მარიამ დედოფალმა გაათავისუფლა თბილელს ყმები ბაყისაგან ალში ([1636—80]. Sd—765). — აქაური ელისბარა მოწმეა ანანია ქიტუასშვილის მიერ ოჰანა ყავარდელაშვილისათვის მიცემული სახლის ნას-ყიდობის წიგნისა (1690.X. Hd—13130). — ალში მცხოვრებნი ხუცესი ტერ-

თუმანა, ნაზარა სანბეგაშვილი, მამულა ჯ[ა]ნუაშვილი, თამაზა მიტინაშვილი მოწმეები არიან მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690. Hd—14815). — ა ლ ე ლ ა ხუბინა ქელიჯანაშვილი მოწმე და დამწერი იყო ბასილ თავბერიძის მიერ რივაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—2469). — ა ლ ე ლ ი იყო მანუჩარაშვილი დაითა ([XVII]. Sd—568) — ალს ეწერა 1 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—163ს).

ალის წყალი ლევან ბატონიშვილმა უბოძა იესე რუსაშვილს ალის წყალს ზევით ხევისთაობა (1683.VI.17. Hd—2181).

ალის ხეობა როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს ალის ხეობაში საყაძოსეული სოფ. ნაბახტევი, რომელიც გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ სახასო იყო (1652. Hd—13956).

ამართული ქვა ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული მიწა სამგორში, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო ამართული ქვა (1579. Sd—464).

ამბრიაული დედოფლის კარის დეკანოზს დავითს და მის ძმებს ამბრიაულში ბაგა ჰქონდათ, რომელიც შემდეგ მარიამ დედოფალმა იშხნელის ძმებს მისცა (1651. Hd—14688).

ამბროსისძისეული მამული მდებარეობდა მცხეთაში, ეკავა ბერინაშვილს. კოსტანტინე მეფემ და შიო კათალიკოსმა იოვანე ჭარმაულს უბოძეს (1505. Hd—14681).

ამლევი (ამლივი, ამლავი) ნ. აზიკუნი (1523. Ad—1299-ა). — სოფელი, სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს აქ უბოძა 5 კომლი ([XVII]. Hd—8437). — სიმონ მეფემ ყაფარბეგ [ბარათაშვილის] ნაქონი მამული ამლივში სამკვიდროდ უბოძა გოსტაშაბ იოვანეშვილს (1628.III.30. ქ.-სპ. საბ., № 32). — გოსტაშაბ ბარათაშვილი და ოსიყმა ბუჟღულასშვილი დაობდნენ ამლივსა და ბუჟღულისის საზღვარზე ([XVII]. Hd—1568). — აქ მცხოვრები გულია რევაზიშვილი მამულითურთ ერგო ბეჟანს [XVII]. Hd—13644). — აქ მცხოვრები დათუა ზუბიტაშვილი და იორაშვილის მამული ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd — 13623). — აქ მცხოვრები გიორგი ანუაშვილი წილად ხვდა მამულითურთ ამილღამბარს ([XVII]. Hd—13604). ამ ლავს მცხოვრები გიორგი რამაზასშვილი მოწმეა მამაგულა მამაგულასშვილის მიერ „ბატონ" პაპუნასთის მიცემული ტბისში ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd — 10120).

ამრუში ამრუშელმა უჩივლა ზურაბა ეზატელიძეს ქურდობისა და აფორიაქების გამო ([XVII]. Qd — 644).

ამუჯი ლორეში სოფელი ამუჯი ეკლესია-მამულითურთ კვლავ შესწირა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ანაგა ანაგელმა პაპუნამ იყიდა ივანა ამოვანაშვილისა და ავთანდილ ჰოჯუაშვილისაგან მიწები. ამ ნასყიდობის მოწმე იყო ანაგელი ხუცესშვილი (1687.III. 22. Qd—17).

ანაკლია ანაკლიაში მცხოვრები ფაცული წაწულუა და კოჩილა ჩოდუა შესწირა ლევან დადიანმა ბიჭვინტის ღვთისმშობელს (1628. Sd—2904).

ანანის გორი აქ მდებარე ნაფუძარი ღვთისავარამ მისცა ვარდია დ[illegible]ძეს ([XVII]. Hd—1579).

ანანური (მონასტერი) ივანე ბანცურის ძმებს პაპუნასა და პაატას უნდა მიეტანათ ანანურში ტირინისის მოურავის ნინია ბანცურისაგან გიორგი ერისთავისათვის გადახდილი საალაპო. ანანურის საყდარში არაგვის ერისთავმა ჩადაგა 8 ქოცო, რომლებიც უნდა აევსოთ ყვავილელებს, ყვავილში აკრეფილი 4 კოდი პური უნდა მიერთმიათ ანანურის დეკანოზისათვის. რომელსაც გიორგი ერისთავისათვის უნდა გადაებადა წელიწადში 9 აღაპი (1647.1.28. Ad—20-ა). — ყვავილელებს საწელიწდისთაო პურისა და ღვინის ნაცვლად, [არაგვის ერისთავის] ბრძანებით, ანანურის დეკანოზისათვის უნდა მიერთმიათ სხვა გამოსაღები ([XVII]. Ad—20-ბ). — [გიორგი არაგვის ერისთავის] ბრძანებით, ბანცურა ექვსი კოკა ღვინო უნდა მიერთმია ანანურის დეკანოზის თანდილა სულდგმულისათვის ხანდაზ ნაქონი ვენახიდან ([XVII]. Ad—20-გ).

ანგროინე სოფელი, გაყიდა ძაგან აბულეთის ძის ბიძაშვილმა იუანემ. ძაგან აბულეთის ძემ ისევ გამოისყიდა იგი ბაღდადს ნაშოვნი ოქროთი და შესწირა შიო-მღვიმის მონასტერს, რომელშიც მან ამისათვის გაიჩინა სამწირველო. მის სამწირველოში შედიოდა 1 გლეხი ანგროინიდანაც. ანგროინი ძაგან აბულეთის ძემ გაათავისუფლა გადასახადებისაგან, მისი სამართალი ძაგან აბულეთის ძის მოძღვრისა და მოურავთაგან დაიურვებოდა, მისი შემოსავალიც მოძღვარს უნდა განეგო, მონასტრის წინამძღვარს ხელი არა ჰქონდა ([1258 წ.-ის ახლოს]. Ad—5).

ანდრია სოფელი ბრამზე. მარიამ დედოფალმა დაუმტკიცა თაყა ბარათაშვილს 1 კომლი გლეხი ზეელი იოვანე და მისი ძმები ბუენია და აღდგომელი, რომლებიც სიმონ მეფის დროს მოვიდნენ ბარათაშვილების ადგილ-სამყოფელ ხრამზე სოფელ ანდრიას და ეყმნენ მათ ([1675—82]. სოც. დოკ. 1, № 75). — აქ მოსახლე ბეჟუა ზაქუტაშვილი მამულითურთ, გარდა ზვრისა, წილად ხვდა ბეჟანს ([XVII]. Hd—13608). — აქ მცხოვრები ალუა ხეჩატურაშვილი საუარესოდ მიეცა ამილღამბარს ([XVII]. Hd—13641). — აქ მცხოვრები მატუა ვაიაშვილი და ელიზბარ იეგელაშვილი მამულებითურთ ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13631, 13638).

ანდრიანთა სოფელი, სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ანდრიანთაში 1 კომლი ყმა მისცა ([XVI]. Hd—8437).

ანეში სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა იგი სვეტიცხოველს (1570. Hd—1557).

ანთოკა დავით ალმატისშვილი ეყმო სვეტიცხოველს და დასახლდა ანთოკას (1515. Ad—1609).

ანრაწმიდული შედიოდა სამთავნელის სამწყსოში და მართებდა წამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ანტიოქია მიქაელ ქართლის კათალიკოსმა მცხეთაში აკურთხა აწყურის მთავარეპისკოპოსი გერასიმე, რომელმაც მიქაელს აღუთქვა, რომ არ მოიხსენიებს ანტიოქიის პატრიარქს, არ შეიწუნარებს მის გამოგზავნილ კაცს და არ

აკურთხებს ეარძიის დიაკონს ([1414—26]. Ad—522). — ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიხაილმა აკურთხა ცაიშელ-ბედიელი იოაკიმე კათალიკოზად და დაუდგინა საქართველოს ეკლესიას წესები ([XV]. Sd—2920, 2990). — იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქი იყო მიხაილ ([XVII]. Hd—1551).

ანტიოქია (მცხეთაში): იოვანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს. ელიოზისძეებს დავითს, როსებს, ქაიხოსროს, პეტრეს, გიორგის და აბიათარს მათი ბიძის ლაზარეს შვილს მამულს უმკვიდროდ დარჩენილი მამული, რომელშიც შედიოდა ანტიოქიის ყოვლად წმიდის ეკლესია, სასაფლაო — ..რასაც აღმოსავლეთისაკენ გალავნის ორივ კუთხე გაიტანს", — მიწა და სასახლე (1616. Qd—39). — ნიკოლოზ კათალიკოსმა ანტიოქიასთან დიდი ჩარდახი დაადგმევინა (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64).

ანტონაური ვენახი შიო-მღვიმის მონასტრის დეკანოზს ნასყიდაშვილს მისცეს ზარად კასპში გუგულაური თავისი საზღვრით, კასპშიეე ბედიანური ვენახი, ფურნაგისს ორი ვენახი — ანტონაური (1655. სოც. დოკ., 1, № 58).

ანუში ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ანუში და აანუშის ყოვლად წმიდის მონასტერი (1579. Sd—464).

აპორეთი აქ მცხოვრებნი კაცია ხორხომელიძე და მამუკა ევატაშიძე ნესტან-დარეჯან დედოფალმა თავისი მეუღლის ალექსანდრე [იმერთა მეფის] სულის მოსახსენებლად გელათის ეკლესიას შესწირა თითო კომლად ([1661—67]. Ad—598-ა).

არაგვი არაგვს გაღმა მდებარე ჯვრის მონასტრის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — არაგვზე გერტაულის ციხის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — არაგვის თავს ხევში სოფელ გერგეტის შეწირულობის წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — ნიკოლოზ კათალიკოსმა მასზე ხიდი გაადებინა (1691. VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — იასონ არაგვის ერისთავმა ერთგულების წიგნი მისცა ქსნის ერისთვის „სახლის ძეს" რატიშვილს მანგლელ ეპისკოპოს ევედემოზს ([XVII]. Hd—9346). — არაგვის ერისთვის შვილებმა პატამ, ზალ, ნუგზარ, რევაზ, ზურაბ და ედიშერმა მიჰყიდეს მოღარეთუხუცესს ქაიყუბა კოხიაშვილს ხუცესი მარკოზ მუნჯისშვილი ცოლშვილით და ქონებითურთ ([VXII]. Hd—6125).

არადეთი საფარიდან გადმოსახლებული არსენ ავალიშვილი და საფარის მონასტრის ყმები თეიმურაზ მეფემ არადეთში დაასახლა (1630.IX.9. Hd—14678). — გორის მოურავის იოთამ ამილახორის ძმა ანდუყაფარი ..ქართველთ დაეტყვევებინათ: ბევრი ურიგო ექნა და ამისად ნასისხლათ და საუპატიოდ არადეთი დაედვათ". თეიმურაზ მეფემ არადეთი ისევ სახასოდ დაიჭირა და იოთამ ამილახორს მის სანაცვლოდ სურხან თურმანიძის კერძი მამული უბოძა (1631. Hd—2122). — მარიამ დედოფლის სახასო სოფელი,

თავისი კარის ეპისკოპოსს ათანასე მანგლელ-ტატიშვილს მარიამმა უბოძა აქა-ური მოლოზანიძე, ამბრია ბეჟუაშვილი და შისი ძმა მათი მამულებითურთ (1646. Hd—1548). — პეტრემ არადეში ციცის ყმები მუჩაიძეებისაგან იყიდა (1673. Hd—831). — ედიშერ ციციშვილს პაპუნასთან გაყრისას არადეში ერგო ყმები: შიო მუჩაიძე, რევაზ მაზანასშვილი, დათუნა გიორგისშვილი მა-მულებითურთ, პაპუნას დარჩა სეხნია მუჩაიძე განაყოფით და მამულითურთ ([XVII]. Hd—1636).

არატუაზანი ნ. ბახული (1594; ისტ. საბ., II, გვ. 58—60).

არაშენდა გორის პირს სოფელ არაშენდას შეწირულების წიგნი განუახ-ლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — შანავაზ მეფემ დომენტი კათალიკოსის თხოვნით გაათარხნა (1660.. Hd—2627). — სიამარდ ხერხეულიძისგან ნასყიდი 1 კომლი კაცი ნიკოლოზ კათალიკოსმა არაშენდას დაასახლა (1691. VII. 25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — იოვანე კათალიკოსმა დიასამიძემ ნიკოლოზ დარბაისელიშვილს სამოურაოდ უბოძა არაშენდა და დისევი (1698. Sd—407).

არგვეთი იმერეთში გადმოხვეწილმა „ქართველთ ბატონმა“ ფეშანგ ფ[ა]ლავნისშვილს უბოძა ლევან აბაშიძის ყმა-მამული — გორისას 4 კომლი და 2 პარტახტი, არგვეთს ხარშილაძე. იმერეთი რომ ხონთქარს დარჩა, ფალავნის-შვილის თანხმობით, სეხნია ჩხეიძემ ქაიხოსრო წერეთელს დაანება ეს ყმა-მა-მული ([1660—69]. Hd—2179). — არგვეთს სახლობდა ხარშილაძე, რომელიც ქართველმა ბატონმა ფალავნისშვილს მისცა, შემდეგ კი იგი დემეტრე [იმერ-თა] მეფემ (გურიელმა) უბოძა ქაიხოსრო და პაატა წერეთლებს (1663.. Sd—514). — არგვეთს, სოფელ მძარეთისში მოსახლე ევგია ვარდოსანიძე შეს-წირა ალექსანდრე [იმერთა] მეფემ გელათს და დაუწესა გადასახადი: ორი შა-მახური სანთელი და ნახევარი მარჩილის საკმეველი ([XVII]. Sd—2900). — აქ მცხოვრები ხუცესი შიო ტაბატაძე და კაცია მათი ოჯახებითა და მამულით იყიდა ქაიხოსრო წერეთელმა გიორგი, სოლომონ და კოკონა იაშვილებისაგან ([XVII] Hd—2239) — არგვეთს ცხოვრობდა მამუკა ხარშილაძე ([XVII].. Sd—516).

არგვეთის ციხე გედეონ [ლორთქიფანიძემ] შესწირა გელათის ხახულის ღვთისმშობელს მიწა, რომლის საზღვრები იყო: არგვეთის ციხე, მუხურის მთა სკანდურს დაღმა, სკანდას შემოღმა, თხილთა წყაროს ღელე და სკანდის ღელე (1664. Sd—2916).

არდასუბანი (არადახუბანი) როსტომ მეფემ დაუმტკიცა პაატა ყორღანა-შვილს არდასუბანში სახასო და ნასყიდი გლეხები (1635. IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53). — რამაზა ყორღანაშვილმა მიჰყიდა თავის განაყოფ როსტომას მემკ-ვიდრე ყმა ზეგელა შვილებით, ვენახით და ათი დღის მიწით: „4 დღის მიწა პაპის-გორში შარის პირას და 6 დღისა სადაც გინდოდეს არადასუბანში შარამდე“ (1679. სოც. დოკ., I, № 91).

არდაბანი როსტომ მეფის ძმამ უაფლან ბარათაშვილს შეატყობინა ურუ-ბი არდაბანს მოვიდაო ([1632—58]. Hd—14654).

არდი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში და მართებდა სამთავისათვის. გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

არდის-უბანი არდის-უბანში 6 დღის მიწა რამაზა ყორღანაშვილმა მიჰყიდა თავის განაყოფს როსტომს (1679. Qd—2022).

არივლი: სოფელი, შესწირა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1428.1.21. Sd—2882, 2883).

არმაზი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში და მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604). — მონასტერი, მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — მისი წინამძღვარი ბესარიონი დამწერია კოსტანტინე [მეფის] მიერ მცხეთის საყდრისადმი მიცემული მამულის შეწირულების წიგნისა (1560. ისტ. საბ., II, გვ. 45).

არმაზი სოფელი, ევდემოზ ქართლის კათალიკოსმა უბოძა იგი ხუცია მაღალაძეს (1634. Ad—1700). — დომენტი კათალიკოსმა უბოძა პაპუა მაღალაძეს არმაზი და ციხე-დიდის მოურაობა (1672.V.1. Ad—1689). — არმაზს ეწერა 4 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

არმაზის ციხე [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის ეკლესიას მისი შეწირულებისა და სითარხნის წიგნი (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121).

არსენაული ხაფლავი ჩაღათა ყორყოლაძემ თავის მწირველ მახარებელს მისცა ნატარაევლევი სასახლე, არსენაული საფლავი, შქმერნლის ნაბეღარი. კოკას საყანის ნახევარი, ეელას ერთი საყანე ვაჩიბერაძის საზღვრამდე და კოკის შალას ლუკუფხნას ნახევარი და დაავალა ყოველ წელს ახალკვირას აღაპი დაუდოს მას ერთი ცხვრით ([XV]. ქუთ. მუზ., № 655).

არტაანი არტაანს მოსახლე 40 კომლი კაცისა და მათი მამულების შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

არტანი არტანში ზემო ჭინჭარისა და ქვემო ჭინჭარის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

არტანუჯი არტანუჯში სოფ. ახალდაბის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე. მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

არტანუჯის ციხე მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

არტრენისის წმიდა გიორგი მოხსენებულია ყორღანან ქემაროზაშვილ რამაზას მიერ მისი განაყოფისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში (1658. Qd—2024).

არუხა აფხაზეთში ბიქვინტის გარშემო მდებარე სოფლები: აითარნე, არუწა და რაბიცია შესწირა მამია დადიანმა ბიქვინტის ღვთისმშობელს ([1512—32]. Ad—2218).

არქაული მიეცა ყორჩიბაშს (1692.III.15. Sd—2280).

არძაგამა ჩუბინისშვილმა მიჰყიდა თიღელ სამხარაძეს არძაგამა. პირად მტერთან ბრძოლაში სამხარაძემ დავით ფალავანდიშვილი დაიხმარა. რომელსაც მისცა არძაგამის ნასყიდობის წიგნი. შემდეგ ფალავანდიშვილს უჩიელა სამხარაძემ და დააბრალა ნასყიდობის წიგნის წართმევა. დავის გარიგების შედე-

ქად არძაგამის ნახევარი ერგო სამხარაძეს, მეორე ნახევარი კი დაეით ფალავანდიშვილს დარჩა (1687.1.25. Sd—499).

არწევანი მდებარეობდა სამეკრეოსა და გველფარეხას შუა, მოხსენებულია გიორგი მეფის შეწირულების წიგნში (1457. ისტ. საბ., 11, გე. 11).

არწივას-ბეგი გოგია ქოსაშვილმა არწივას-ბეგთან 4 დღის მიწა მიჰყიდა ბახუტა და დათუნა ჩივაძეებს ([XVII]. Hd—5178).

არჯავანი მეფე ნაზარალიხანმა მესტუმრის მეშვეობით აცნობა ფარემუზ ჯავახიშვილს, რომ უბოძებს არჯავანას ყორულობას (რაც ჯავახიშვილს შანავაზისა და გიორგი მეფის დროს ჰქონდა) (1690.IV.27. Hd—9269).

არჯაკალი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება მცხეთის სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

არჯევნაული მამული და სახახლე მიჰყიდა შანშე ჯავახისშვილმა გიორგი სააკაძეს (1609. Hd—1656).

ასადური სოფელი, თეიმურაზ მეფემ უბოძა იოთამ ამილახორს ([1626—32]. Hd—9429).

ასადურნი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ასადურნი (1579. Sd—464).

ასურეთი სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა ელიზბარ სოლაღაშვილს და ვის შვილს ზურაბს (1657.V.13. Hd—1350-ა). — ცოტა ხნით ხოჯა ოსიამ დაიკავა. ასურეთს სამაჩაბლოში მიწებს შეეცილნენ (1665. Sd—753). — შანავაზმა სოფელი ასურეთი სამკვიდროდ დაუმტკიცა ზაალ, ქაიხოსრო და ელიზბარ სოლაღაშვილებს (სხვა სოფლებთან ერთად: კუმისი, სყალტუთანი. ღვეუბანი, ტავნაგეთი, მონასტერი ჭაპალა) (1671. Sd—32).

ატენი ატენის ეკლესიის, ციხისა და ყმა-მამულების შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს ალექსანდრე მეფემ (1398.XII. Hd—8712). — სოფელი ავკეთი და იის ციხე გიორგი მეფემ უბოძა ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს და გათარხნა ეს სოფლები სამუშაო ბეგარისა, გორული და ატენური გადასახადებისაგან (1463.IX.2. Hd—1347). — ატენის მოურავმა საგია თურქანიძემ სითარხნის წიგნი მისცა ატენის ნაცვალს ძაგანა ვიგარაშვილს (1465. Hd—1301). — [სიმონ] მეფემ სვეტიცხოველს განუახლა ატენში ძველად შეწირული წინუბნელნი, გორელნი, თბილელაშვილნი (1559.XII.1. Ad—1572). — აქ მდებარე ზვარი ლუარსაბ მეფემ უბოძა ბარძი[მ] ამილახორს (1608 Hd—2135-ა). — ციხუა სულტასაშვილმა მიჰყიდა თავის ბატონს სულხანს ატენში სავენახე მიწა „დიდ კლდემდი, ნეფის ზვრამდი მისის ნიგზნარითა, მისი რუთი და სააროთი". ამ ნასყიდობის მოწმენი იყვნენ „სრულიად ატენელნი" (1613. Sd—528). — ნ. წედისი (1631. Hd—2122).—დაეით ჩალაბაშვილმა უმეკა ბახჩიაშვილს მიჰყიდა რუწაში მდებარე მიწები: 1 დღის მიწა რუს პირას და ნახევარი დღის მიწა ძულიას ბაგის ბოლოს: „ამის ბოლო ატენის შოურავის" იყო (1632.IX.8. Hd—1568). — ატენში მამული ჰქონდა მირზას, ვს მამული ძველიდანვე მეფეთაგან ატენის სიონის ღვთისმშობლისათვის იყო შეწირული. შემდეგ როსტომმა (თავის გამეფებამდე) იგი გიორგი სააკაძეს

უბოძა სამკვიდროდ (1635. Ad—1010). — ატენის ზერის მეოთხედი მდივან გივის ვენახისკენ თავის ურწყავით ერგო მანუჩარსა და შიოშის შვილებს (1638. Sd—4725). — ატენელი იყო ზაქარია ამბრისშვილი (1650. Sd—531). — ატენში დედოფალს 1 კომლი ყმა ჰყავდა. ატენში ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 17 კომლი თარხანი და 4 ურია ([1658—75]. Hd—1453-ბ). — ატენში ციცის 5 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ა). — ატენელი იყო ფირუყულა აფკარასშვილი (1681. Sd—546). — ნაზარალიხანმა გივი, შიო და მანუჩარ თუმანიშვილებს ატენში ნაქონი მამულის ნაცვლად უბოძა ატენის ბოლოს თიკანანთ უბანი და გაუთარხნა აქ მოსახლე გლეხები, სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობის გარდა (1689.III.30. Hd—6169). — ნიკოლოზ კათალიკოსმა ატენში დაასახლა 1 კომლი დარჩიაშვილი (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — დემეტრე ს[ა]ქაძემ მდივან ოთარ [თუმანიშვილს] ატენში მიჰყიდა „საცივის“ ნახევარი — ქვევრი და მარანი (მეორე ნახევარი დემეტრეს ბიძაშვილმა იორამმა მიჰყიდა ადრე მას) (1693. Hd—14397). — დომენტი კათალიკოსმა ატენში თომა ბერიშვილ-ლაზარეშვილის მამული უბოძა პაპუნა დოქიძეს და უბრძანა იასაულს ამისი სისრულეში მოყვანა ([XVII]. Ad—1807). — ატენის მოურავის შვილი გიორგი ვექილად მოიყვანა ედიშერმა ბერიკა ჩხუტიაშვილისაგან ნასყიდი მიწის შესაფასებლად ([XVII]. Hd—9315). — ედიშერ (ციციშვილს) პაპუნასთან გაურისას ატენში ერგო: ნასყიდა ანდრიაშვილი, ოქროა და ელიზბარ აბრამისშვილები და მაზიტა შათი მამულებითურთ, პაპუნას კი — გიორგი, ტატია და გოდერძა აბრამისშვილები მამულებითურთ და დემეტრე დემეტრასშვილის მამული ([XVII]. Qd—1636). — ატენის მოურავი იყო ზურაბ საყაძე ([XVII]. Qd—826). — ნიკოლოზი მოკლეს ატენის ომში ([XVII]. Hd—7585). — ატენს ეწერა 12 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ატენის სიონი ალექსანდრე მეფემ შესწირა ატენის სიონს ზვარი გოგნიაურა მისი მეზვრითურთ, გაიჩინა თვითონ და გაუჩინა აღაპი გიორგი ხაზინადარს და ბირთულეს ატენის სიონში (1414. ისტ. საბ., II, გვ. 3).

ატენის-წყალი აქ იდგნენ დემეტრე, ვახტანგ მეფის ძმა თაყა [ციციშვილი] და გამრეკელ [ჯავახიშვილი] მაშინ, როცა ჩიჟავასძემ სამწევრისი დაარბია ([1443—66]. Sd—1242).

ატენის-ქევი ალექსანდრე მეფემ ატენის სიონს შესწირა სიონს უკან ატენის-ქევში მდებარე ზვარი გოგნიაურა (1414. ისტ. საბ., II, გვ. 3).

ატოცი (წმიდა გიორგის ეკლესია) ატოცის წმიდა გიორგი მოხსენებულია ყორღანათ ქემაროზაშვილ რამაზას მიერ მისი განაყოფისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში (1658. Qd—2024). — ატოცის ეკლესიის დეკანოზს ნათანს, გიორგის, თევდორეს და ოთია მდივანს გივი თუმანიშვილმა მისცა პირობის წიგნი, რომ არ მოუშლის მათ ქართველთა მეფის მიერ წმიდა გიორგისადმი შეწირული ნასოფლარის თურამის მოურაობას (1692.VI.26. Hd—9656-ბ).

აფხაზეთი ანტონ ჯყონდიდელმა გააჩინა წყაროს მკაზმავად „აფხაზეთნი ივი გიორგი და იაბერ“ ([1202]. Hd—81). — ნ. ქართლი (1325. საისტ. მოამ. I, 1924, გვ. 6—8). — კოსტანტინე მეფემ მოახსენა აფხაზეთის კათალიკოსს, რომ

მის მიერ ნაროზ ცირღილასძისადმი მიცემული სასისხლო სიგელი კათალიკოსსაც დამტკიცებინა (1408.VII.4. საქ. სიძვ. III, № 461). — მოხსენებულია ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის ოქონის მონასტრისა და სოფლის დამტკიცების წიგნში (1488.VII.1. Hd—8731). — მოხსენებულია ბაქრაძეებისათვის ალექსანდრე მეფის მიერ მიცემულ სასისხლო სიგელში (1501.VI.7. Hd—10150). — აფხაზეთში ბიქვინტის გარშემო მდებარე სოფლები შესწირა მამია დადიანმა ბიქვინტის ღვთისმშობელს ([1512—32]. Ad—2218). — აფხაზეთის კათალიკოსი მოხსენებულია ბაგრატ მეფის მიერ ჯაკეა შერგილაძისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1554. Qd—1317). — ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს. ეეზირებს და მოხელეებს მეფე გორგასალმა და თამარ დედოფალმა უბრძანეს, რათა დაამტკიცონ მათ მიერ ქვეყ და არდაშელ ასათიანებისადმი მიცემული სასისხლო სიგელი (1606. Hd—10149-ა). — როსტომ ქორთოძემ ფიცის წიგნი მისცა აფხაზეთის კათალიკოს მალაქია გურიელს ([1615—46]. Hd—11203). — აფხაზეთის კათალიკოსმა და ქუთათელ-მიტროპოლიტმა სვიმონ ჩხეტიძემ ყმა-მამულის წყალობის წიგნი მისცა მამისთვალა ივანჯანისშვილს (1664. ქუთ. მუზ., № 1843). — აფხაზეთის კათალიკოსი იყო გრიგოლ ([XVII—XVIII]. Hd—1551). — აფხაზეთის მპყრობელად იხსენიება ვამეყ დადიანი ბიქვინტისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში ([XVII]. Sd—2925). — აფხაზეთის კათალიკოსი იყო დავით ([XVII]. Hd—1551). — აფხაზეთის კათალიკოსი იყო მალაქიონ ([XVII]. Sd—2895).

აფხაზის მამული გიორგი მეფემ ერთგულებისათვის როშაქ ჩოლოყაშვილსა და მის შვილებს უბოძა საყმოდ კარდანეხი და აფხაზის მამული ([1676—1709]. Hd—2286).

აფნისი აქ ცხოვრობდნენ ციხისთვისშვილის ნაყმევი 7 კომლი ყმა, მაჰუკასი 3 კომლი და გამცემრიშვილისა 1 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534).— ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას აფნისში ერგო ზუბიტა ფოცხვერასშვილი მისი მამულითურთ ([XVII]. Hd—1636).

აქეთ-ოყამი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა მისთვის გაბოსაღები (1459. Ad—559).

აღაიანი სოფელი, მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).— აქ მდებარე სავენახე მიჰყიდეს მისრია და როინა სუმბასძეებმა მარკოზ დედაბრისშვილს (1509. Sd—136). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს აღაიანის შეწირულება (1559.XII. Ad—1572). — გიორგი და ხუცია აღაიანელებმა თავნასყიდობის წიგნი მისცეს შერმაზან, ფარემუზ და გიუნა სუმბულიძეებს. ერთობით აღაიანელნი მოწმენი იყვნენ ამ აქტისა (1630.XII.25. სოც. დოკ. 1, № 28). — ნიკოლოზ კათალიკოსმა აღაიანში საწნახელი დადგა (1691.VII.25. ისტ. საბ., I, გვ. 64). — ნაზარალიხანმა ამილბარ მაღალაძეს უბოძა აღაიანში ვარდიაშვილი (1700.VI. 29. Qd—1348). — აღაიანს ეწერა 29 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

აღალა-ძუორა დუშია ოზბეგისშვილმა ქ[ა]ხალს აღალა-ძუორაში მიჰყიდა 2 დღის მიწა საზღვრებით: „თავი—იქეთ ღელემდე, ბოლო — აქეთ ღელემდე" (1622. IV. Hd—6782).

აღაურა უმეკ და ელიზბარ [დანდო]რასაშვილებმა მიჰყიდეს პაპუნა ხითარაშვილს, მის ძმებსა და ძმისშვილებს მიწა აღაურა პაპუნა ხითარასშვილის მიწის გვერდზე საზღვრებში: არღუთაშვილის მიწის გვერდამდე, ბოლო — პაპიას მიწის მიდგმამდე, თავი — ჯანიაზაშვილის მიწის მიდგმამდე (1700. Hd—1582).

აღეკი აქ ცხოერობდა ალიხაწა, რომელიც უბოძა თეიმურაზ მეფემ აბლა-ბაზსა და პაპუნას [ქვემო] ბოლნისში მცხოვრებ სუხუასშვილის ნაცვლად (1631. Ad—682).

აღოზანი სახლთ-უხუცესმა რევაზ ჩოლაყაშვილმა ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსს უბოძა უზუნ ქ[ა]ნთისა და აღოზნის მოურაობა (1690. Hd—10921).

აღუმბრუ აღუმბრუ და სუგეჩანი წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] ერგენთალის, კიპრუშისა და ზემო საფიქლის ფარდად ([XVII]. Sd—1936, 1922).

აშენდა ნიკოლოზ კათალიკოსმა აქ ერთი საყდარი დადგა, ზვარი გააშენა და დაასახლა ზედ ხმალაძისა და ზურაბისგან ნასყიდი 2 კომლი კაცი (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — აშენდაში მცხოვრებ მეტრეველს, ივანე კოპაძეს და ბოდიკიას ეწერათ ხამასპინძლო გამოსაღები ([XVII]. Ad—1800).— აშენდას ეწერა 20 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

აში სოფელი, მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ოდიშელისძენი მათი მამულებითურთ სოფელ აშიდან (1559.XII.1. Ad—1572).

აშურიანი მდებარეობდა კასპთან, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

აჩაბეთი ქრცხინვალის, ლევანის-ხევისა და აჩაბეთის მამასახლისობა უბოძა გიორგი მეფემ მამუკა უნაძეს (1695. Hd—4352).

აცანა ბეჟან და გიორგი ტატუაშვილებმა [იერუსალიმის] ჯვრის მონასტერს შესწირეს აცანაში მცხოვრები ივანე მეგრელიშვილი, რომელსაც 3—3 რუბი გამოსაღები და სამსახური ედო ([XVII].Hd—11275).

აძვი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

აძუძა ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს თბილნარაში მცხოვრები 2 გლეხის ტოხაძეთა შეწირულობა მამულითურთ, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი იყო აძუძა, ხოლო დასაელეთისა — თეძმის-ქევი (1579. Sd—464).

აწყური (აწყვერი) მისი მსახურთ-უხუცესი ნიკოლოზ. საყდრისშვილები დემნა და ნიკოლოზ მოწმენი არიან ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ არვანბეგ ხაბაისძისადმი მიცემული სოფლის წყალობის წიგნისა ([1270—72]. საისტ. მოამბ., II, 1945, გვ. 5—6.) — აწყურის მთავარეპისკოპოსმა გერასიმემ ერთკულებისა და მორჩილების წიგნი მისცა ქართლის კათალიკოს მიქაელს ([1412—

.24]. Ad—522).—აქ იდგა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ მ ა სერაპიონ მთავარეპისკოპოსმა ქართლის კათალიკოს თეოდორეს ერთგულების წიგნი მისცა ([1425—35]. Ad—320). — იოანე კუმურდოელმა ლახურისძემ პირობა მისცა დავით ქართლის კათალიკოსს, რომ მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ი და სამცხის სხვა ეპისკოპოსი მისგანაც უჯვარო და შეუნდობელი იქნებიან და თუ ყვარყვარემ (ათაბაგმა) მაწყვერელობა ან სხვა ხელი შესთავაზა მას (კუმურდოელს), ამან მისი (კათალიკოსის) ნებართვის გარეშე არ აიღოს ([1453—59]. Hd—2082). — ნ. ზარზმა ([1500—1516]. ისტ. საბ., II, გვ. 26—28). — იოანე ქართლის კათალიკოსმა მცხეთაში აკურთხა ნიკოლოზ მაწყვერელი და „მისცა საყდარი აწყურისა". მაწყვერელმა ამისათვის მას ერთგულება აღუთქვა ([1360 წ. ახლოს]. Hd—547). — მოხსენებულია ბაგრატ მეფის მიერ შერგილაიასადმი მიცემულ სასისხლო სიგელში (1554. Qd—1317). — თამარმა და მისმა ძვილებმა გიორგი ამილახორმა, ელბადურმა, ჭოიარმა, მელქიზედეგმა, ოთარმა, რუგეთელმა შესწირეს აწყურის მონასტერს და იერემია მ ა წ ყ ვ ე რ ე ლს წინასა და ახალციხეში ყმა-მამულები (1575. ისტ. საბ., II, გვ. 47). — როსტომ მეფემ სვეტიცხოველს შესწირა აწყურიდან ღოღეთში გადმოსახლებული რუსი რუსიშვილი, სხვა ახზაურები და გლეხები (1645. სოც. დოკ., I, № 38). — ნ. ღოღეთი (1645. აქტები, I, გვ. 18). — ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა იოვანე ომადმანიძეს მამამისის ამაბეგის ნაქონი მამული: ქართლის საზღვარს აქეთ, რველს აქეთ და ა წ ყ ვ ე რ ი ს საზღვარს აქეთ, ვახანის ციხე-ქვაბი, ბაშიმოლიანი ([1639—1660]. Sd—1789).

აწყურის ციხე აწყურის ციხის იერიშში მოკლეს მასტანა შალიკაშვილის ზეული თამაზი (1618. Hd—14422).

აწუფი (აწუფისი) სიმონ მეფემ უბოძა დოლენჯი თულაშვილს (1570. VII.2. Qd—1673). — სოფელი ა წ უ ფ ი ს ი მოხსენებულია სიმონ მეფის მიერ გიორგი თულაშვილისა და მისი ძმის ამირანისადმი მიცემულ წყალობის წიგნში (1581. Qd—1674). — სიმონ მეფემ წყალობის წიგნი მისცა ამოვარდნილი ბერიათაშვილის აწუფში მოსახლე ყმებს აკოფაშვილებს (ეს წიგნი შემდეგ გაანახლეს ლუარსაბ და როსტომ მეფეებმა) (1642. Qd—1698). — როსტომ მეფემ უბოძა ოთარ თულაშვილს აწუფისს ქურიაშვილის საკუამლო, რომელიც ადრე ოთარის განაყოფს დოლენჯას ეკუთვნოდა (1655.X.2. ქ.-სპ. საბ. № 111).

აჭის წმიდა გიორგის მონასტერი სიმონ გურიელმა შესწირა მას. ტყე და წყალი უნაგერას და სანისლოს შორის... გლეხები თითო კომლი მჟავანაძე სიქანდრარაი, ტაკიძე ივანაი, გორგოშიძე ბაიჯულაი, სალუქვაძე მახარობელი, გოგინიაშვილი მთარაული და დაუწესა მათ გამოსაღები კომლზე თითო ცხვარი, 2 გვერდი ღომი, ორი საწყაო ღვინო, თევზი, ყველი და ხარაჯა თითო რუბი (1614.XI.3. საისტ. მოამ., 1, 1925, გვ. 184—5).

ახალგორი პაპუნას ეპართა ა ხ ა ლ გ ო რ ე ლ თ ა, ხელთუბნელთა და ახრისელთა ვალი (1670. Hd—2835). — აქ მცხოვრები ვარდანა მოწმე იყო ყარაღულაანთ ვართანას მიერ ყარაგოზათ ბარალასადმი მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1685.VI. 10. Hd—13076).

ახალდაბა არტანუჯს მდებარე სოფელ ახალდაბის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ახალდაბა ლილოს გვერდის სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ახალდაბა ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსმა და მცხეთისშვილებმა ვახტანგ ბატონიშვილს მისცეს ყურისუბნის სანაცვლოდ სოფელი ვირშა მონატრით, წიასწყალს—ერისთავის შეწირული არჩუაძეები, ერეთს — გილაშვილი ჰამულით, ზაკვი, ქორდი, ტრძნისი, ცოტა მეღვრეკისი და სათიკარი, „რაც სვეტიცხოველისა ყოფილა, იმ საზღვრებით, მეღვრეკისში ვენახი და ახალდაბას ვარდან ფალავანდიშვილისაგან შეწირული საგლეხოები (1574. III. 14. Hd —. 16554). — როსტომ მეფემ უბოძა ჰასანბეგ ბარათაშვილს სამკვიდროდ ყველაფერი, რის მქონებელიც იგი იყო ახალდაბაში (1633. ქ.-სპ. საბ., № 39). — ნ. ალგეთი (1699.VI, 26. Ad—647). — კათალიკოსმა მისცა მანგლელ სერაპიონს მთასა და ბარში ყმა-მამული საზღვრებით: ვაკე, ღორისთავი, ახალდაბა და მისი ზემო მხარე ქციასა და ალგეთს შუა ([XVII]. Qd—1605).

ახალდაბა როსტომ მეფემ უბოძა ფარეშთ—უხუცეს პატა ჯავახიშვილის-ახალდაბის მოურაობა (1633. Hd—14450). — ნასოფლარი. გიორგი თარხნის — შვილმა ბატონიშვილ გიორგისა და მის [ძმებს] სთხოვა მისი აშენება. ბატონიშვილმა ახალდაბის მოურაობა უბოძეს (1663.VI.27. Hd — 7260).

ახალდაბა შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღები (1459. Ad — 559. 604).

ახალდაბა შედიოდა წილკნელის სამწყსოში. იხდიდა გამოსაღებს (1669. VIII. 5. Ad—526).

ახალდაბა ჯიმშიტა [თუმანიშვილს] წილად ხვდა ახალდაბაში ასაფა, ბასილა და ელიაშვილი, ავბეწვაშვილი, ოთია მამასახლისი და ყუბათასშვილები მამულებით (1656. Hd — 12235, 12272, 12271, 11717, 11718). — მანუჩარ [თუმანიშვილს] წილად ხვდა ახალდაბაში პატა ხოსროასშვილის შვილები მამულით და კაკოზასშვილის მამულის მესამედი, ბერია ხოსროაშვილი კაკიზასშვილის ვენახით და დემეტრაული მამულით, ხუცესი დავით შვილითა და მამულით, მურადასშვილები მამულით, ნაცვალი გოგია და პაპუნა ნაცვლიშვილი (1656. Hd—11842, 11841, 11997, 11812, 11996, 3698). — ქარიმშა [თუმანიშვილს] წილად ხვდა აქ მცხოვრები მერაბა ყველაშვილი და სოლაღა. გიორგი ნაცვლიშვილი წილად ხვდა გივი მდივანს. [თუმანიშვილების] წილის ნუსხაშივე მოხსენებულია ახალდაბას მოსახლე დათვიაშვილი ([1656]. Hd — 3698). — აქ მოსახლე ხოსრუაშვილებმა მიწა მიჰყიდეს გორელ ბერაძეს. ნასყიდობის მოწმეა ახალდაბელი შამასახლისი გოგია (1686. I. 10. Ad — 971). — ახალდაბელმა გიორგი ხოსრუაშვილმა მიჰყიდა გორელ ნასყიდა ბერაძეს მიწა საზღვრებით: ერთი გვერდი ფშანის მიდგმამდის, მეორე — პაპუას მიწამდე, ბოლო — არაქელას მიწამდე, თავი — რუმდე (1691. 1. 10. Qd—9037-ოგ).

ახალდაბა გიორგი [იმერთა] მეფემ მისცა ბოქაულთუხუცეს დავით დავითშვილს მისი სამკვიდრო მამულების დამტკიცების წიგნი. მამულების ჩამოთვლისას დამწერს მელნით გადაუხაზავს სიტყვები: „ახალდაბა სახელოდ, რარიგადაც მამათქვენს და თქვენს ძმას ჰქონებოდეს ისრე“ ([1615—1619] Hd—

14633). — დომენტი კათალიკოსმა უწყალობა ხუდადა ხოჯაშვილს ბერუკა გოჩიძე. ბერი აბაშიძის მიერ ახალდაბაში ნასყიდი (1660, V, 1. Sd—2913).

ახალდაბა აქაური. მღვდელი ზოსიმე არის მოწმე ხიზანას მიერ მედისთვის მიცემული სისხლის საზღაურის დადგენის წიგნისა (1657. Hd—1562). — ახალდაბელ სულხანის ყმამ პაატამ მერაბას მისცა თავისი ქალი მარიამი მოახლედ (1676. IV. 18. Hd— 2797). — აქაური მღვდელი რომანოზ არის მოწმე და დამწერი პაპუა პატასშვილის მიერ ქიტია მედიასშვილისთვის მიცემული სითარხნის წიგნისა (1691. V. 25. Hd — 1702). — აქ მდებარე ღვთისია ბერაძისეული მიწა ერგოთ შიოშვილებს და ლიპარიტიშვილებს ([XVII], Sd — 867).

ახალსოფელი ნ. ბეჟან-ბაღი (1693. ჭ.-სპ. საბ., № 152). — ლუარსაბს ეკუთვნოდა ბეჟან-ბაღზე ახალსოფელი, აბაზუყლიხანმა იგი უბოძა ლუარსაბის ბიძაყოფს აბელ ენდრონიკაშვილს. ქალბალიხანმა დაამტკიცა ეს წყალობა (1695. ჭ.-სპ. საბ.. № 157).

ახალუბანი მისი შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს ალექსანდრე მეფემ (1398. XII. Hd — 8712). — ახალუბანი მდებარეობდა მეჯურას-ხევში, აქაურები შალვა ქვენიფნეველმა ერისთავმა მიუვალ ადგილზე და შესწირა ლარგვისის მონასტერს (1470. Qd — 9020).

ახალქალაქი ახალქალაქის თავს სოფელ ოკამის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd — 8712). — აქ მცხოვრები არტურ ფელიკსაშვილი, ზალი, მიქელ, მირველისშვილი გოზალ მოწმეები იყვნენ აქაურ ნოინ დავითაშვილის მიერ მიღებული ნასყიდობის წიგნისა (1617. Hd—15067). — საყაძისეული სოფელი იყო, რომელიც როსტომ მეფემ მის მიერ იქ დასახლებული ეკრებითურთ უბოძა იორამ საყაძეს (გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ ეს სოფელი სახასო გახდა) (1652. Hd — 13956). — ახალქალაქის პირდაპირი ნაველახარი იყიდა პაპუნა თუხარელმა ნიკოლოზ აბულევრდიშვილისაგან (1661. Sd—49).— ივანე ძამანაშვილმა უკანშალას ერთი დღის მიწა მიჰყიდა ახალქალაქელ ყანდინა ედილაშვილს, მის შვილებს გიორგსა და ესტატეს (1690.IV.22. Ad—1605). — მეტეხელმა პაპუნა აღნისშვილმა მიჰყიდა ახალქალაქელ სპანდიერ[ა]ს შვილ ნარიბეგს და მის შვილებს: არაქელას, ესტატეს, ძმისწულს ზურაბ მაძისთვალ(ა)შვილისაგან ნაყიდი მიწა ჩოჩეთში (1693.XII. 15. აგ—1852-ა).— ეწერა 1 სახასო მოლაშქრე ([XVII]. აგ—1631). — ახალქალაქის ზვარი მოხსენებულია წილის ბარათში ([XVII]. Hd—9289). — აქ მცხოვრები როსტომა მინდურიშვილი წილად ხვდა ბეჟანსა და ზალს არჩივაკას ფარდად ([XVII] Hd—13301). — აქ მცხოვრები ნასყიდა ახჩიკაშვილი მამულით წილად ხვდა გიორგის, ზაზასა და იომანს ([XVII] Hd—12352). — მოურავისა და ზურაბის წილის ბარათით მოურავსა და ზურაბს დემეტრეს ფარდად ახალქალაქს ერგო ავთანდილაშვილი მამაჯანა ([XVII]. Hd—12088). — ყანდურ[ე]ლი მივიდა ახალქალაქს და ეყმო მოურავისშვილ თარხან გიორგის, ავთანდილს, დავითს, შიოშს და ზურაბს ([XVII] Hd — 2589). — ახალქალაქის თავს ზვარი და ვენახი ერგო ზაალს ([XVII] Hd—14962). — ზურაბ [საყაძეს] ჰყავდა ახალქალაქელი ყმა ბაინდურ პატასშვილი ([XVII] Hd—9331) — აქ მცხოვრები ჩაფრიშვილი გოგინა მისი ქონებით ერგო მოურავს და ზურაბს მამულას სანაცვლოდ ([XVII]

Hd — 12089), — აქ მცხოვრები ოვანა გალუსტაშვილი ოსკანას ნაცვლად ერგო მოურავს და ზურაბს მთელი თავისი ქონებითურთ ([XVII] Hd — 12090). — ახალქალაქელი ტუჩაშვილი მისი ქონებით წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს ([XVII]. Hd—11716). — აქ მცხოვრები პატაშვილი გიქუა მისი ქონებით ბაინდურის და ზალიაშვილების სანაცვლოდ ერგო მოურავს და ზურაბს ([XVII] Hd — 12087) მოურავისა და ზურაბის წილის ბარათით მურადას ფარდად მოურავსა და ზურაბს ერგო ახალქალაქს ერემაშვილი ნურალა ([XVII] Hd — 11880). — ახალქალაქელი გიქ(ო)რა ტუჩაშვილი და ცხირეთელი ესია მასურაშვილი, თავიანთი ქონებით ლომისა და შეხუას ფარდად ერგო მოურავსა და ზურაბს ([XVII]—Hd—11793). — ახალქალაქში ტერ-ოვანა თავისი ქონებით ერგო მოურავსა და ზურაბს საბუას ფარდად ([XVII] Hd—11879). — ახალქალაქელი სტეფანაშვილები, ყაზარა ამბარას(შ)ვილის ფარდად ერგო მოურავსა და ზურაბს ([XVII] Hd—11722).—აქ მცხოვრები პაპა ერემაშვილი წილად ხვდა მოურავს და ზურაბს, ამაზას ფარდად ([XVII] Hd — 11866). — აქ მცხოვრები გასპარა სიმენგულაშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს, ზურაბას ფარდად ([XVII] Hd — 11883). აქ მცხოვრები არუთია როსტომაშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს ესტატეს ფარდად ([XVII]. Hd—1183).—აქ მცხოვრები ანდრიასა როსტევანიშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს, ესტატეს ფარდად ([XVII] Hd — 11881). — აქ მცხოვრები მერეა ზეიადაშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს, კალატოზის ფარდად [XVII] Hd—11872).—აქ მცხოვრები პატა ბეგლარაშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს, ბეგასანას ფარდად ([XVII] Hd—11871).—აქ მცხოვრები დავით ვარდუაშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს, ბეგლარაშვილის ფარდად ([XVII] Hd — 11870). — აქ მცხოვრები ნაყიდა ატიკაშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს, არუთინას ფარდად ([XVII] Hd — 11869). — აქ მცხოვრები ათაბეგა თანდილაშვილი წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს, საფარას ფარდად ([XVII] Hd — 11868). — აქ მცხოვრები ალაჯანაშვილი და არუთინაშვილი გივი წილად ხვდათ მოურავს და ზურაბს, გიორგისა და პაპილას ნაოხრის ფარდად ([XVII] Hd — 11867).—აქ მცხოვრები შერმაზანა ფელიკაშვილი წილად ხვდათ ზურაბსა და მოურავს, გიორგის ფარდად ([XVII] Hd — 11882). — ახალქალაქელი მამასახლისი ელიზბარ, ბატონის იასაული ბაქრაძე პატა, აგრეთვე აქ მცხოვრებნი ჯავახიშვილი გოშპარ, საბუასშვილი ტერ ავეტიქ, მოურავისშვილი ზურაბა, სპანდიერისშვილი არაქელ მოწმენი იყვნენ პატა ბაქრაძის მიერ დავით ფილალისშვილსა და დიდი მოურავის შვილისშვილი დავითს შორის [ახალქალაქში] გოშპარ ჯავახიშვილისაგან ნასყიდ წისქვილზე დაეის გარიგების წიგნისა ([XVII] Hd—2023).

ახალქალაქი გიორგი მეფემ გასცა ვანქში შაყულასშვილს რაც სამკეიდრო მამული ეჭირა, ხოლო სახელოდ—ახალქალაქი და პატარა ტამალია (1676.X.18. Hd—1706). — ლევან ბატონიშვილმა იესე გერმანოზიშვილს უბოძა თრიალეთის ახალქალაქის, ტამალიის და ყოშაგეშრის მოურაობის წყალობის

წიგნი (1688. III. 12 Hd — 14306). — ნაზარალიხანმა უწყალობა იასე გერმანოზისშვილს ახალქალაქისა და ტამალიის მოურაობა, რომელიც ძველთაგანვე მათ ჰქონდათ (1689. Sd — 549).

ახალქალაქი კათალიკოსმა დაუწესა ორ ახალქალაქელ მოყალნე კაცს გამოსაღები: ერთი ფურბერწი და ერთი ცხვარი, დღიურ ყანაზე 4 კოდი ღალა, ფურისთავზე ერთი ჩარექი ერბო, საყველიეროზე ერთი ლიტრა ყველი, ოცი კვერცხი, გოჭი და ქათამი, მალი, საური, ულაყი, საღდგომო გადასახადად ძროხა, ცხვარი—ათის თავზე [ერთი], მალის თავზე 22 თანგა (1546. Ad—623). — ახალქალაქის მამასახლისი იყო კირაკოზ (1678. Sd — 63). — აქ მცხოვრებმა ტაჩიკაანთ მანველმა იყიდა ვენახი გიორგი ოთიასაშვილისგან (1691.VI.12 Hd—5993). — ახალქალაქის მამასახლისი ბაინდურა მოწმე იყო ზურაბ ბერუკაშვილის მიერ მეჯინიბეთუხუცესის ავთანდილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698. Hd — 2598). — ახალქალაქელი იყო ტერ-მარკარაშვილი ტერ-სატურა ([1700 წ. ახლოს]. სოც. დოკ. I, № 150).

ახალქალაქური მიწა გიორგი თათარაშვილმა მიჰყიდა პაატა მაღალაშვილს მიწა საზღვრებში: „ახალქალაქურს ქვემოთ მიწობლიძის მიწის ბოლოს რომ ძელქვა დგას, იმის ქვემოთ საბაჟოს წყარომდი“ (1502. Ad—1653).

ახალქალაქური ოლე. იოვანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს ელიოზისძეებს მათი ბიძის შვილის მამუკას უმკვიდროდ დარჩენილი მამული, რომელშიც შედიოდა „ახალქალაქურის ოლე, რასაც ჩამოიტანს ტყითა და მინდერითა მტკურამდი და მთის ძირამდინ“ (1616. Qd — 39).

ახალშენი [ბარათაშვილების]გაყრის წიგნით გერმანოზს თაყას, გოსტასაბს და ფალავანოსროს ერგოთ ახალშენში მცხოვრები აზნაურები: ყულიაშვილი, თაქორშა, ვალიჯანა და ხეჩუმა, ჩიჩინიკაშვილი, მანუკაშვილი და სოღომა მუღრიაშვილი (1523. Ad — 1299-ა). — აქ მოსახლე ტყაპუნასშვილი და ყარაშვილი მამულებითურთ შედიოდნენ საგერმანოზოშვილოში (1543.IV. 20. Hd — 10375). — სოფელი ქცია ვაღმა. აქ მდებარე დავითისა და აბაშის კერძი მამული კათალიკოსმა დაუმტკიცა მანგლისის ეკლესიას (1584. Qd — 1604). — ახალშენელი თეგასაშვილი მოწმეა პაპუნა ბარათაშვილის მიერ მერაბ ყორღანაშვილისათვის მიცემული ნასოფლარი ნასყიდობის წიგნის (1661.III.15. Hd — 1375),. — თრიალეთში. კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ მისცა ახალშენელთ საეკლესიო მოხელეთაგან ხელშეუვალობის წიგნი (1697.IV.23. სოც. დოკ. 1, № 142). — ნაზარალიხანმა უბოძა იორამ ბარათაშვილ-ზაალიშვილს ახალშენში ადუა ძმით და მამულით (1698.XII.5. ქ.-სპ. საბ., № 163). — ახალშენისა და შოშილეთის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა გოგარჩლუ ([XVII]. Sd — 1922, 1936). — ახალშენის მხარეს ზერის ნახევრის, შავი საწნეხლის და ტაძრის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ჯალდამში ზერის ნახევარი და კიანეთის მხარეს თეთრი საწნეხელი ([XVII]. Sd—1936).

ახალშენი გიორგი მეფემ უბოძა გამრეკელ ჯავახიშვილს (1454. Qd—9221).—ქაიხოსრომ ნოსტური, ახალშენური და სომხეთის ნახირი წამოასხა (1620. IV.15. Hd—6259).—აქ მცხოვრები ალავერდაშვილი სვიმონ მეფემ უბოძა გოშთაშაბ იოვანეშვილს (1629.V.27. Hd—1700). — როსტომ მეფემ უბოძა გოდერძი და შერმაზან სააკაძის შვილებს ბეჟან [სააკაძის] მიერ ძალით მითვისებული

მამულები სამღერეთს, ახალშენსა და ღორისთავს (1643. Sd—1941). — სააკაძისეული სოფელი. გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო გახდა .როსტომ მეფემ იორამ სააკაძეს დაუბრუნა (1652. Hd)—13956).— მდებარეობდა მოხისის (ნ.) თავში (1691.VII.25. ისტ. საბ. IV, გვ. 64). — გაყრის წიგნით როინ [ჯავახიშვილს] ერგო ახალშენსა და ცხირეთში: ივანა ჯორჯასძე, დავითა, ნახევარი თეგაური მამული, ტაბარვანული მამული, ესტატე მალაცისძე მამულით, ნადირაშვილი მამულით, სვიმონას კერძი მამული, გოგორაული მამული, იმედა მალაცისძის მამული, სუთია მამულით და ქაფქიაური მამული; გოშფარ [ჯავახიშვილს] ერგო ბასილა, გაბილა, ზაქარა, ნახევარი თეგაური მამული, ონიაური მამული, მამია კახაისძე მამულით, ტატია სიქანელი მამულით, ნასრაული მამული, ბახაური მამული, ფასაური მამული, ქუბაური მამული და დევნილაძე ([XVII]. Qd—605). დათუნამ და პატამ გაყიდეს ახალშენს ორი საკომლო თორმეტ თუმნად ([XVII]. Hd—11820).

ახალშენი საპანკისო სახასო სოფელი კახეთში. ვეჟინის პირას. პანკისის ციხის მსგავსად არასოდეს არავიზე ყოფილა გაცემული. ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1479.1.24 Ad—1838). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას სოფელ ახალშენის შეწირულება (1579. Sd—464). — ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს სახლთუხუცესობა და ჯანიშინობა სვეტიცხოველის მამულებისა კახეთში, რომელთა შორისაც შედიოდა ახალშენი (1700.VI.29. Qd—1348). — ახალშენის ნაცვალი [დათუნა ერაჯისშვილი?] გამოყოფილი იყო კათალიკოსის მიერ რუსისშვილებთან სამამულო დავის გამრიგედ ([XVII]. Ad— 1891).

ახალშენი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — დავის გარიგების წიგნით ამბრიას ერგო ივანას კუთვნილი სამი საბელი ახალშენში (1661. Ad—1681). აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 4 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — აქ ცხოვრობდა ადუა მედიაშვილი (1688. Sd—547). — ახალშენელი იყო შაღუბათა ([XVII]. Sd—820).

ახალშნის ბოლო ბახუტა უკანბერიძემ როინ ბუნიათიშვილს მიჰყიდა [მაწლეთში] ახალშნის ბოლო საზღვრებში: ფაფერაშვილის მიწის მიდგმამდე. საზენაქროდ ტბელიაურის მიდგმამდე, საქვენაქროდ მამიჯანაურის მიწის მიდგმამდე (1667. Hd—832).

ახალციხე სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — სოფელი. ბაგრატ მეფემ სვეტიცხოველს შესწირა, გარდა დეკანოზისაგან დასახლებული კაცებისა (1618. ისტ. საბ., IV, გვ. 9—10).

ახალციხე წინამურისა და ახალციხის მოურავი იყო თაყა ჭარუმიძე ([XVII—XIV]. Sd—140).

ახალციხე თამარმა აწყურის მონასტერს შესწირა აქ მოსახლე მერაბა ნაიბაიშვილი შვილ-ძმისწულებით, სახლ-კარითა და ქულბაქით (1575. ისტ. საბ., II, გვ. 47). — ყანდურ[ე]ლი მოვიდა ახალქალაქს და ეყმო მოურავისშვილ თარხან

გიორგის. ყანდურელს ცოლ-შვილი ახალციხეში ჰყავდა. იგი შეჰპირდა გიორგის, რომ ცოლ-შვილსაც ჩამოიყვანს მისი პატრონობის ქვეშ ([XVII]. Hd—2589).

ახალციხე უშვილოდ გადასული მირიანისძის [მამული] ღომარეთში და ბოროს ციხე კოსტანტინე მეფემ სამკვიდროდ უბოძა ახალციხელ ქავთარაძეებს ([1479—1505]. Hd — 1349).

ახალციხე აქ მოსახლე 60 კაცი უბოძა გიორგი მეფემ ზევდგინიძის გვარის კაცს ([XV]. Hd—1798). — მოხსენებულია ზევდგინიძის საჩივრის წიგნში ([XV]. Hd—14903). — გორში მცხოვრები ნურალა მამულით ერგო მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ([1632—51]. Hd—14665).

ახალციხის შარა ქაიხოსრო ჩხეიძემ და მისმა შვილებმა მიჰყიდეს იოანე კათალიკოს დიასამიძეს მიწა მანანაურის ბოლოს საზღვრებში: ზევით იესე ხოჯაურის სამნამდე, ქვევით პაპუაშვილის სამნამდე, აქეთ წულამდე, იქით ახალციხიდან მომავალ შარამდე (1700. Ad — 1610).

ახალციხის ციხე ნ. ჯვარი, სოფელი (1559. Hd—8729).

ახახტი ახახტის ეპისკოპოსი იყო ფარსეღ (1686. მატენად. ფნ. 252, №9).

ახატანი აქ მდებარე სარუე მამისამ დაუტოვა თავის ძმისწულ ზაქარიას (1477. Hd—1354). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ახატანში 5 მთელი საგლეხო მამულის შეწირულება (1579 Sd—464).—იოანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს ელიოზისძეებს მათი ბიძაშვილის მამუკას უმკვიდროდ დარჩენილი მამული, რომელშიც შედიოდა 3 კომლი კაცი ახატნიდან: გუთანაშვილი, ზუბია შარაბიძე და მისი განაყოფი (1616. Qd—39).

ახაშენი ა ხ ა შ ნ ე ლ ე ბ ი დაიფიცეს ვაჩნაძის, ჯანდიერიშვილის, შავქავაძის და კათალიკოსის სამამულო დავის გარიგებისათვის (1654. Hd—8389). — ერთობით ახაშნელებმა პირობა მისცეს ალავერდელს, რომ ამოკვეთენ მარხვის ჰამას, ხოლო თუ მარხვის ჰამის შემთხვევა მიეცემათ, გაუმხელენ მას ([XVII] Ad—847).

ახბულახის-წყალი ივანა ამოვანაშვილმა მიჰყიდა მიწა ანაგელ პაპუას ახბულახის-წყლის ზემოთ თელასთან (1687.III.22. Qd—17).

ახლდია სოფელი ქციას გალმა, წარმოადგენდა დავითისა და აბაშის კერძ მამულს. რომელიც შემდეგ კათალიკოსმა დაუმტკიცა მანგლისის ეკლესიას (1584. Qd—1604).

ახმაჯი ლუარსაბ მეფემ უბოძა ბარზია ამილახორს და მის ძმას დემეტრეს ახმაჯი (1609. III. 10. Ad — 1208).

ახმეტა ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა არსლან ჯანდიერიშვილს სამკვიდროდ ახმეტას ჯოთენურისეული ერთი ვენახი (1584.VII. 7. სოც. დოკ. 1, № 506).

ახოთა სიმონ მეფემ უბოძა ა ხ ო თ ა დონმაზას (1630.III.25. Sd—740). — ახოთის მამასახლისი თამაზა მოწშეა ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1699.IX.27. Hd — 10257). — ა ხ ო თ ე ლ ი ფოლადა და აკოფა მოწმენი არიან ხუგაზა ადიბეგაშვილის მიერ ბოლნელისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9275).

ახოტი [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს ახოტის შეწირულება (1559. საისტ. კრებ. III, გვ. 118—21). — ახოტი და მის გარშემო მდე-

გარე ნასოფლარები ლუარსაბმა შესწირა სვეტიცხოველს (1657. Qd—2153). — ახოტს ეწერა 11 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad — 1631).

ახპატი შანავაზის ბრძანებით, თავად პაპუნაბეგს ლორეში ებოძა სოფელი ახპატი მისი ეკლესიითურთ. ახპატის ეკლესიის წინამძღვარი ვალდებული იყო ყოველწლიურად მიეცა გამოსაღები პაპუნაბეგისათვის. ლორეს მებატონეს კი ახპატის ეკლესიაზე ხელი არ მიუწვდებოდა. სამეფო კარის საგანგებო ბრძანების გარეშე (1691.VI.7. Hd—8763). — ვარაპეტის სოფელსა და ახპატის ბაღების ნახევარზე რევაზბეგს ედავებოდა ბანდურბეგ არღუთაშვილი. თამაზყულიხანის თქმით ეს ადგილები მისთვის ჩამოურთმევიათ და რევაზბეგისათვის მიუცია. ამიტომ საღაჟო ადგილები რევაზბეგს დარჩა (1693. X. Hd—4159).

ახრისი ახალგორელთა, ხელთუბნელთა და ა ხ რ ი ს უ ლ თ ა ვალი ემართა პაპუნას (1670. Hd—2835).

ახტალა ახტალას მოსახლე 10 კომლი სომხის შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ახტალის-ხევი ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს განუახლა შეწირულება სოფელ ვარდისუბნისა ახტალის-ხევზე (1398.XII. Hd—8712).

ახტანი აქ სახლობდნენ [გუთნისშვილი], ზუბია შარბისძე და მისი განაყოფი (1616. Sd—543).

ახშანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთის სვეტიცხოველს ძველად შეწირული 5 კომლი გლეხი და ერთი ზვარი ახშანში (1579. Sd—464).

ჯალდამი მთიელთაგან ღორისთავად წოდებული, აქ მდებარე მამული შიოშ თამაზაშვილმა მიჰყიდა ვახტანგ ორბელიშვილს (1636.IX.26. Sd—2298). — ნ. ჯალდამი.

ბ

ბაბია ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — ბაბია წილად ხვედათ ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd —10381).

ბაბლიანთ-უბანი ერთ საკომლოზე მოსახლე ზაქარა, დოხორია და ნაღება სოლთანაშვილებს, სხვა მიწებთან ერთად, ბაბლიანთ-უბანში რუს პირას 4 დღის მიწა ჰქონდათ (1651. Hd—9669).

ბაბუშერი ტბა, ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა გაბრიელ ცაგარელს, რომელმაც შემდეგ იგი შესწირა ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიას (1656. Qd—9085).

ბაგა სოფელი, მისი შეწირულება ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს განუახლა (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ბადაბეთი შანავაზმა ფარსადანსა და მის შვილებს ბადაბეთსა და გორში მაშულების წყალობა განუახლა (1666. III. 30 Qd—2745).

ბადანი ნასოფლარი, გააშენა ნიკოლოზ კათალიკოსმა (1687. ისტ. საბ., VI, გვ. 66).

ბაზარი ბაზარს მოსახლე 27 კომლი კაცის შეწირულება ალექსანდრე მეფე[ს] განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სასახლე, საყდარი და 18 კომლი ურია და სომეხი ბაზარში (1579. Sd—464). — თეიმურაზ [კახთა] მეფემ ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილს, ადრე ნაწყალობევ მამულებთან ერთად, სიგლით დაუმტკიცა ბაზარში ებრაელები: იუდა და მოშეგული (1616. Hd — 14679). — თეიმურაზ [კახთა] მეფემ ნახულის ღვთისმშობლის მონასტერს შესწირა შუამთას მოსახლე ვაჭრების ბაჟი (რაც გრემს, ბაზარს და სხვაგან ივაჭრონ): (1637.VI,9. ისტ. საბ., IV, გვ. 23—25). — თეიმურაზ [კახთა] მეფემ უბოძა ენისელთ ნაცვალს ხოსროს ბაზრის ნაცვლობა (1662.IV.9. სოც. დოკ., 1, № 515).

ბათლისი რუსეთიდან მეფემ არსენ ჴყონდიდელი სამსახურად გაგზავნა ბათლისს ([1240 წლ. ახლოს]. საისტ. მოამ., 1925, გვ. 131—133).

ბაიდრის-უბანი გიორგი მეფემ უბოძა ფეშანგი ფინეზასშვილს შუა-ბოლნისს ბაიდრისუბანში ფეშანგის განაყოფის, ამოვარდნილი ადიბეგაშვილის მამული და გლეხი (1690. სოც. დოკ., 1, № 123).

ბაილეთი. სოფელი. მამია გურიელმა შესწირა ჩეხედენას ტაძარს ბაილეთის მოქიური სასახლე ოცი კომლი კაცით და დააკისრა თვითეულს გამოსაღები: ღმერთისია გოგვაძეს, ტატია გოგვაძეს, მზატვარს, ზაქარია სადრაძეს, ფრანგულას, ხუცეს ლომაძეს, ივანა ლომაძეს, ზაქარია კაკიას, სოზია ჯელაძეს, ნასყიდა დობორჯგინიძეს, კაკაჩიტა კილაძეს, იმარდონ კილაძეს, ღმერთისა კილაძეს, ნასყიდა მეგრელიშვილს, გიორგი ორძოლიას, აბრამა გოგვაძეს, გვარამიას ([1601—1627]. Ad—1913). — [იერუსალიმის] ჯვრის [მონასტრის] მამას ნიკიფორეს ქაიხოსრო გურიელმა განუახლა ჩაიხედენასა (ჩეხედენასა) და ბაილეთის შეწირულება ([1647—58]. Hd—10274-ა).

ბაიმათლუ გიორგი მეფემ, ერთგული სამსახურისათვის, როშაქ ჩოლაყაშვილსა და მის შვილებს სამოურაოდ უბოძა ბაიმათლუ ([1676—1709]. Hd—2286).

ბაკიბანი ბაკიბანს ემართა ჯუმალის გამოსაღები: ღვინო 120 კოკა, 22 გვერდი ღომი, 40 თეთრი, საჩხეურის ღვინო 67 დორა, საკლავი 20, 20 ქათამი, კვერცხი 330 ([XVII]. Hd—11223).

ბაკურციხე გიორგი მეფემ განუახლა ისათ ვაჩნასძეს ბაკურციხის წყალობა (1455.X.8. Hd — 7588). — ნ. ვეჯინი (1455.X. 8. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 40—43).

ბალახური (ბალახაური) პაპუნა-ბეგ ბარათაშვილ-ყაფლანიშვილმა დაუბრუნა იოსებ თბილელს და სიონთა ღვთისმშობელს წარუთი და ბალახური (ის ადრეც თბილელის სამწყსო იყო) (1671. Ad—85).—ბალახაურის ზვარს მართებდა კულუხი 21 საპალნე ტკბილი (1689. Sd—1932-ბ). — ბალახაურის ზვარს მართებდა კულუხი 24 საპალნე (1690. Sd—1932-გ). — ბალახურის ზვარს მართებდა კულუხი ([XVII]. Sd—1932-დ).

ბალიანი „ერთობით ბალიანი" არის მოწმე ხიზანას მიერ მედისთვის მიცემული სისხლის საზღაურის წიგნისა (1657. Hd—1562).

ბალიბეგ ბალიბეკელთ მიერ მიცემული წიგნი ლოქის საქმეზე მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.1.2. Sd—1931).

ბალის-მიწა კათალიკოსმა მარკოზ გულჯვარასშვილს უბოძა ბალის-მიწა ([XVII]. Ad—1871).

ბანძა დადიანი და გურიელი ურუმთა ჯარით შეებნენ ბანძაში ალექსანდრე [იმერთა] მეფეს, რომელმაც დაამარცხა ისინი (1647.XII.6. Hd—10147).

ბარალეთი თრიალეთზე, აოხრებული იყო, ხელახლა ააშენა ნიკოლოზ კათალიკოსმა ამილახორმა (1687. ისტ. საბ., IV, გვ. 66).

ბარამაოუბანი აქ ციცის 4 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd — 14534).

ბარაუნთა ლეონ [კახთა] მეფემ შესწირა მცხეთის სვეტიცხოველს „ბარაუნთათ“ ქვემო გაჟღოტში მცხოვრებნი 20 კომლი ყიზილაანი, ჩხუპიანი, პაველაანი, შურიანი (1537. ისტ. საბ., II, გვ. 35). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს „ბარაუნთ“ „რაც მცხეთის სოფელნი და მონასტერნია“ (1579. Sd—464). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა „ბარაუნთათ“ „მონასტერი ხატისკარი 42 კომლი კაცით“ (1579. სოც. დოკ., 1, № 10). —ნ. ბარაუნი.

ბარაუნი ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა არსლან ჯანდიერიშვილს სამკვიდროდ „ბარაუნთათ“ ქაღალდასეული ერთი კომლი და ქამბაათისეული 15 კომლი, „ბარაუნს“ ჯანაანი 16 კომლი (1584. VII.7. სოც. დოკ. 1, № 506). — სოფელი, აქედან 4 კომლი კაცი მათი მამულებითურთ ნიკოლოზ კათალიკოსმა უბოძა გედეონ ელიოზისშვილს (1588. Hd—2526).

ბარაუნული სოფელი, გიორგი მეფის სააღაპედ ჰქონდათ კირაულისძეებსა და წილკნელის სახლეულთ (1566. Hd—2579).

ბარბატი გარსევან და ზურაბ მამაცაშვილებს გაყრისას კაკონას ფარდად ერგოთ აბრამ ამბრიასშვილი მამულით, 8 დღის სახასო მიწით, ბ[ა]რბატში ირემას მიერ აშენებული ბაგის ნახევრით ([XVII]. Qd—338).

ბარდავი ბარდავის ბრძოლისას ერთი ფავნელი დაიღუპა და ერთი ცოცხალი დარჩა ([890—913]. Hd—1).

ბარდაული მიწა ნონიკა აღაპიშვილმა ციხოველ იმანაძეს მიჰყიდა 1 დღის მიწა ბარდაული, ბუზაურის გვერდით (1659. Qd—1446).

ბარდნალი პაატა აბაშიძემ კაცხის ეკლესიას შესწირა „საზანოს სამაჟავარიანო სასახლე“, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო „ალავიძეს გარდმოღმა დათვის ბოლო ბარდნალიანათ“ ([1684]. საისტ. კრებ., III. გვ. 52—57).

ბარევანი სოფელი, სამამასახლისო, ბაგრატ IV-მ მისცა იგი სატრაპეზოდ ოპიზარებს ([1027—1072]. Sd—1201).

ბარეთი თრიალეთში მდებარე ბარეთისა და ცოტა ბარეთის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ბარვუნთა ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს ბარვუნთაში 40 კომლი, რომელთაც საბატონო გადასახადი მთლიანად ეკლესიისათვის უნდა ჩაებარებინათ (1575. ისტ. საბ., 11, გვ. 49).

ბარი სოფელი რაჭაში ([1510—48]. Ad—2218).

ბასგა ახალშენი ბასგა 2 ხოდაბუნითურთ ზურაბ ზედგინიძემ მიჰყიდა გივი აძილახორს (1559. Ad—2119).

ბასილიშვილის მიწა ბასილიშვილის ნაქონი მიწა, პაპუნა თუხარელის სასახლის ზევით, გიორგი საყაძემ მიჰყიდა პაპუნა თუხარელს. მიწის საზღვრები იყო: საზენაქროდ* რუმდე, სალბინოს მიწამდე, საქვენაქროდ* ღელემდე, პაპუნას ბაღის გვერდამდე, სამხრეთისაკენ გზამდე, ჩრდილოეთისაკენ პაპუნას ნასყიდ მიწამდე (1678. Sd—63).

ბატონისეული ჭალის მიწა ახალდაბაში, იგი საშუალო წილად ხვედათ შიოშისშვილებს და მანუჩარს ([XVII]. Sd — 905).

ბაღდადი ბაღდადს ნაშოვნი ოქროთი ძაგან აბულეთის ძემ „უკმოიყიდა" თავისი ბიძაშვილის ივანეს მიერ გაყიდული სოფელი ანგროინი და შესწირა იგი შიო-მღვიმის მონასტერს ([1258 წ.-ის ახლოს]. Ad—5).

ბაღდადი როსტომ მეფემ განუახლა დოლმაზა და ყორხმაზა გოგიბაშვილებს ნასოფლარ ბაღდადისა და ჯიმშერას წყალობა (1635. Hd—14439).

ბაღთ-კარი ხოდაშნელებს დარჩათ იგი კისისხეველებთან დავაში (1654. Hd—8389).

ბაღთ-კარნი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული მიწა სამგორი, რომლის საზღვარი იყო ბაღთ-კარნი (1579. Sd—464).

ბაღნაური ბაღნაურის მამულის ნახევარი წილად ხვდა გულბაათ ელიოზისძეს, რომელსაც იგი ადრე სიმონ მეფემ უბოძა (1579. Sd — 527).

ბაღლის-ქევი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ნასოფლარი [ბ]აღლის-ქევი (1559.XII.1. Ad—1572).

ბაღჩალარი ნასოფლარი, ეკუთვნოდა პაპუნა ვირშელიშვილს, რომლის სარჩელის გადაწყვეტის შედეგად იგი საუპატიოდ მიეცა ყაფლან ბარათაშვილს (1670. Sd—534).

ბაში ყუფნიასეული. მამულითა და იქ მცხოვრები ყმებითურთ, ლევან დადიანმა, თავისი მამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად, შესწირა მთაწმიდის ხარების ღვთისმშობელს (1642. Qd — 6740).

ბახარი მდებარეობდა ყორნავთან (1699. ქ.-სპ. საბ., № 165).

ბაჯიხევი თეიმურაზ მეფემ დაუმტკიცა ბაქარ ბაქრაძეს ბაჯიხევსა და ცხმორს სახასო კაცები (1492. Sd — 3035).

ბდავის ციხე მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. AH—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ბდავის ციხის შეწირულება (1559. XII. 1. Ad — 1572).

ბებნისი აქ მოსახლე „ხუირანიელნი" მანუჩარ ათაბაგმა თავისი დედის სიმონ მეფის ასულ ელენეს სააღაპედ შესწირა რუისის ღვთაების საყდარს (1609. ისტ. საბ., IV, გვ. 5).

---

* საზენაქრო < სა-ზე-ნა-ქარ-ო. ზენაქარი აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთის ჭარია, ე. ი. საზენაქრო=დასავლეთი. საქვენაქრო < სა-ქვე-ნა-ქარ-ო. აღმ. საქართველოსთვის — აღმოსავლეთი.

ბეგთა-თავი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ბეგიასეული პარტახტი მდებარეობდა გორისას, ეკუთვნოდა ლევან აბაშიძეს. ბაგრატ მეფემ იგი უბოძა ქაიხოსრო წერეთელს ([1660—81]. Sd—516).

ბეგის-ძირი ესაზღვრებოდა ძაგანა ტეტიაშვილის მიერ გრძელაში მამულა დავითასშვილისათვის მისყიდულ მიწას ([XVII]. Hd—9318).

ბედაურა მამუკა ონაშვილმა თავისი წილი სათიბის მიწა ბედაურაში მიჰყიდა გიორგი წინამძღვრიშვილს (1689. VI. 7. Sd—551).

ბედენი როსტომ მეფემ უბოძა პაპუნა არეშიშვილს და მის შვილებს ამოვარდნილი ბარათაშვილის გერმანოზიანთ ნაქონი ნაოჯარი ვაბაში საზღვრებით: „ბედნის ნათლისმცემლის სწორად ღელე, ბოლოს დიდი გორა, ჭივჭივის ერთვის ზედათ, ყუინჩილის კევის სწორათ, რაც ბედენი დახედავს“ (1652. Sd—20). — ლუარსაბ მეფემ გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერს შესწირა ბედენის პირს მდებარე სოფ. ვერხუნალა ([1606—1615]. Hd—1554-ბ). — მახარებელ ხუცეშვილმა და მისმა ძმებმა გიორგი წინამძღვრიშვილს მიჰყიდეს მიწა ბედენზე ბანკანაშვილის მიწასთან (1695. Hd—6171). — გუდარეხელთ და ღორისთაველთ ბედენის საზღვრისათვის დავა ჰქონდათ, რაც, როსტომ მეფის ბრძანებით, გადაწყვეტილ იქნა იასაულ პაპია შანშესშვილისაგან (1653.VI.10. Hd — 14671).

ბედნის მიწა პაპუნამ, დათუნამ, ბერმა, ხიზანამ, ელიამ და ნასყიდამ ზაალ წინამძღვრიშვილს, „ბატონ“ ბეჟანის ნებართვით, მიჰყიდეს ბედნის მიწა ერთი დღისა საზღვრებში: „საზენაქროთ ახობაძისეული მიწის მიდგმამდი, ზეით ალექსიშვილის მიწის მიდგმამდი, საქვენაქროთ და ქვეით ქუბაძისეული მიწის მიდგმამდი“ (1690. Hd—14564).

ბედნის ნათლისმცემელი ნ. ბედენი (1652. Sd—20).

ბედია ბედიელი მოხსენებულია ალექსანდრე მეფის მიერ ვახტანგ და დავით ბაქრაძეებისათვის მიცემულს სასისხლო სიგელში (1501. VI. 7. Hd — 10150).—ბედიელი, მოქველი და ცაიშელი მობსენებული არიან ალექსანდრე მეფის მიერ ავთანდილ ხელიძე-სარმანიშვილისათვის მიცემულს სასისხლო სიგელში (1503.1.30. Qd—6935).

ბედიანური ვენახი შიო-მღვიმის მონასტრის დეკანოზს ნასყიდაშვილს მისცეს ქასპს ბედიანური ვენახი (1655. სოც. დოც., 1, № 58).

ბეთენია (ბეთანია). [ბარათაშვილების] გაყრისას ბეთენიას სახლის ერთი წილი გუგუნას და ქუმსის ერგო, ორი წილი — გერმანოზს და მის ძმებს. თაყას, გოსტასაბის, ფალავანხოსროს. ამათვე ერგოთ აგრეთვე ბეთენიაში მცხოვრები აზნაურები: სპანდისძე, გუდასძე, ყურდიდაშვილი, ქუბაშვილი, თანღრიყულაშვილი და ჯანიბეგაური [მამული], ერთწილად პეტრია, გამგებელი ამბალაშვილი, როდინასძე, ხიზანა, ჯანაზიაური მამული, ნიკოლოზაური [მამული] (1523. Ad—1299-ა). — აქ მდებარე ნადიკაძის მამული შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV,20. Hd—10375). — აქ მცხოვრები დურმიშხან ფალავანხოსროშვილის ყმა მამისიმედი, ნასყიდა სალარიშვილთან ერთად, დურმიშხანის უშვილოდ გარდასვლის შემდეგ, გიორგი მეფემ უბოძა პაპუნა გოსტაშაბიშვილს (1688. V. 4. Qd—2025). — ბეთენიაში საბიაშვილი თავისი მამულითურთ საუფროსოდ ერ-

გო ოთარ [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—11899). ბ ე თ ა ნ ი ა ს მოსახლე ჯვარისა ოთიაშვილი წილად ხედა ამილღამბარს ([XVII]. Hd—13616).—ბეთანიის წინამძღვარი ზესელა საგინასშვილი მოწმეა გოსტაშაბ ბარათაშვილსა და ოსიყმა ბუჟღულასაშვილს შორის დავის გარიგების წიგნისა ([XVII]. Hd—1568).

ბეთლემი სოფელი ყაიყულში (1692.XI.13. Hd—6042).

ბეთლემის მონასტერი ნ. იერუსალიმი ([1650—58]. Hd—11207).

ბეთლემის ქვა მანუჩარ თუმანიშვილმა იყიდა ნინიკა ყიზიშვილისაგან მისი სამკვიდრო მიწა ბეთლემის ქვასთან, ზემო რეხისაკენ საზღვრებში: ერთი გვერდი ბატონის ხოდაბუნამდე, ბოლო — ჰურექიდან გამომდინარე რუმდე ხელთუბნისაკენ, გვერდი — წერეთელაშვილის მიწამდე (1669.II,20. Qd—9037-ნგ).

ბელტის ციხე სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ზაქარია კათალიკოსმა უბოძა მღვდელ შიო ეგაძეს ბელტის ციხეში ოცი დღის სახნავი მიწა, რომლის საზღვრები იყო: „იქით ზუმბულიძის მახარებლის მიწის სამძღვრამდი, აღმოსავლეთისაკენ ბელტის ციხის რუამდი და დასავლეთისაკენ საფურცლულის რუამდი“ (1629. Hd—2391).

ბენი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ბენდიანური საბლი: ნ. ბერიას კალო.

ბეჟან-ბაღი აბაზყულიხანმა უბოძა აბელ მოურავს ბეჟან-ბაღზე ახალსოფელი (1693. ქ.-სპ. საბ., № 152). — ბეჟან-ბაღზე ლუარსაბს ეკუთვნოდა ახალსოფელი, რომელიც აბაზყულიხანმა უბოძა ლუარსაბის განაყოფს, მოურავ აბელ ენდრონიკაშვილს. ქალბალიხანმა დაამტკიცა ეს წყალობა (1695. ქ.-სპ. საბ., № 157).

ბეჟან-კალა ერთ-ერთი საზღვარი სამნა ნადირაძის მიერ უმეკა ბარათაშვილისათვის მისყიდული 1 დღის ნაფუზარისა (1631.V.13. Ad—1567).

ბერბუკი აქაური ბატატა როსტომასშვილი მოწმეა პაპუა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678. Hd—10203).

ბერდიკი სომხითში, მოურავის ნაქონი, უბოძა იგი სვიმონ მეფემ სამკვიდროდ ბაკა თულაშვილს (1630.VIII.2. ქ.-სპ. საბ., № 36). — აქაური ბერი ყანდარაშვილი მამულითურთ წილად ხედა შიოშის შვილებსა და მანუჩარს (1633. Sd—5542). — აქაური კვესია მამულითურთ წილად ერგო შიოშის შვილებსა და მანუჩარს (1635. Sd—4538). — სოფელი ბოლნისის ხეეში, უბოძა როსტომ მეფემ ერთგულებისათვის თუმანიშვილებს: თაყას, ბირთველს, მანუჩარს, ჯიმშიტას, ბაინდურს, გიორგის, ზურაბს (1658. Sd—36, 532). — ავთანდილ ქამარბეგისშვილმა გივი თუმანისშვილს მიჰყიდა შამირზას ნასოფლარი საზღვრებით: ერთი გვერდი—კირაკოზას სოფლამდე, მეორე გვერდი—ლურჯვანქის საზღვრამდე, მესამე გვერდი—ჩიტალის საზღვრამდე, მეოთხე გვერდი—ბერდიკის საზღვრამდე (1697.XI.11. Hd—403). — ბერდიკში მცხოვრები ბახუტა შეედავა შიო-

შის ყმებს — სამადას და გიორგის საწისქვილოს თაობაზე ([1688—1703]. Qd—7131). — ბერდიკში ზიკილია, ზაბახი მამულებითურთ და ქიციაურის მამული ერგო შიოშისშვილებსა და მანუჩარს ([XVII]. Sd—1738).

ბერთუბანი მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სოფელ, შესწირა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1428.1.21. Sd—2882, 2883).

ბერიას კალო გულშარა დედოფალმა გაუცვალა კათოლიკოზებს მოურავს ივანე საააკაძეს „ნოსტეს რომალისშვილის გულიასეული სასახლე მისითა მიდამოთა, რასაცა ბერიას კალო გაიტანს ბენდიანურის სახლამდის“ — ბეცლეაურის მიწაზე კავთისხევში (1482. საისტ. კრებ., IV, გვ. 69).

ბერიყლის გზა ბერუკა ჯანსშვილმა პაპუნა ჯანსშვილს მირჯანულის ბოლოს ნაფუზვარი, ბერიყლის გზამდე, სავენახედ გაუცვალა ზომით მეოთხედ ნაიონჯარ მიწაში (1656. Hd—1585).

ბერული ბერუკა თბილელაშვილმა ესტატე მარინდაშვილს ბერულის ბოლოს მანდარაშვილის საზღვრამდე მიჰყიდა ზერთელაშვილისეული უღალო და უკულუხო მიწა, რომელიც წმიდა გიორგის საღალო მამული იყო (1691. Hd—1048).

ბერშოეთი (ბერშუეთი) [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ბერშოეთში ძველად შეწირული საგლეხონი და მამულნი (1559. Ad—1572). — ბერშოეთის მოურავი ვახტანგი მოწმეა ბეჟან ამილახრისშვილის მიერ შანშესათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1621.VII.20. Ad—1067). — ბერშოელნი მოწმენი არიან პაპუნა კვეზერულის მიერ თინათინ უგანაძისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1690.1. Ad—1201). — იოთამ ამილახორმა უწყალობა თავის ყმას დათუნა მხალაძეს და მის შვილებს სვიმონსა და იესეს ბერშოეთში პეტრე ციცინაშვილი, ბერუკა კვიწინაძე, ქეტანაშვილები, აგრეთვე ტარსაიჭაშვილთა მამულები (1698.II.18. Ad—1059). — ეწერა 2 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631). — შიოშ ბოწიაშვილმა მიჰყიდა დათუნა ტარსაიჭაშვილს ბერშუეთში სამკვიდრო ნაზერევი საზღვრებში: გლარჯაძის ორღობამდე, ხანდოლის მიდგმამდე, მარუხაშვილის მიდგმამდე და ბერშულის ხევამდე ([XVII]. Ad—1485).

ბერშულის ხევი ნ. ბერშოეთი (ბერშუეთი) ([XVII]. Ad—1485).

ბერძენაული ბერძენაულებს: კაპანაძეს, მარგველაშვილს, ჯავახიშვილს, დათუნა ხაბაზს, შათირს — ეწერათ სამასპინძლო გამოსაღები ([XVII]. Ad—1800). — დომენტი კათალიკოსმა ბრძანების წიგნი მისცა ბერძენაულ ნაცვალსა და ბერძენაულელებს ([XVII]. Ad—1424). — ბერძენაულს ეწერა 19 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ბერძენაული მინდორი დავითაშვილისაგან იყო ნასყიდი, დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს (1660.V.1. Sd—2913).

ბეღელეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში; მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ბეშქენაშენი (ბეშკენაშენი) ბეშქენაშენის შეწირულება ალექსანდრე მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ქართლის კათალიკოსმა იოანე დიასამიძემ მისცა ბეშკენაშნელებს ხელშეუვალო-

ბის წიგნი (1697.IV.23. სოც. დოკ., 1, № 142). — ბეშქენაშენს ეწერა 13 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ბეცღელაურის მიწა ნ. ბერიას კალო (1482. საისტ. კრებ., IV, გვ. 69).

ბეწეწური თეიმურაზ [კახთა] მეფემ ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილს დაუმტკიცა ადრე ნაწყალობევი ასლამაზისეული მამული ბეწეწურში (1616. Hd—14679).

ბია ბიას მცხოვრებ საეკლესიო გლეხებს მეზადილე კოჩიორე სიჭინავას 3 ლოღარიკი სანთელი და ჭვებე ბიგვავას 5 ლოღარიკი სანთელი ევალებოდათ ([XVII]. Hd—11221).

ბისი აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 9 კომლი ყმა ([1658—75]). Hd—14534-ა, 14534-ბ). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო ბისში: აჩაჩასშვილის მამული, პატა მამულით, ოქროასშვილი 2 დღის მიწით, ნასყიდა იმარინდუაშვილი, მახარა იმარინდოასშვილი მამულებითურთ; პაპუნას ერგო: გოგნიასშვილის მამული, ბერი ოქროასშვილი მამულით, დათუნა მამულით ([XVII]. Hd—636).

ბიწკინტელის ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ბიწკინტელის ღელე (1579. Sd—464).

ბიწმენი (ბიწმედი) სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464). — ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს, იოანე კათალიკოსისა და მცხეთელთა „ნებადართულობით", მის წინაპრებისათვის ადრიდანვე მიცემული კახეთში სვეტიცხოველის მამულების სახლთუხუცესობა და ჯანიშინობა შემდეგი განაწესის დაცვით: „პირიქით და პირაქეთ საგარეჯოს, ჯიმითს, ახალშენს, ვეძისხევს, ერწოს. ბ ი წ ვ ე დ ს, საგურამოს რაც სვეტიცხოვლის მამულები არის და ჯვარი, სახასო ნამულებში სთველს თქვენ აიღებდეთ, ჯურს, საბალახეს, ჯურუმს და რუზედ— ბრინჯსა; სათაოს არაფრისაგან არ დააკლებდე, ყოვლისფერისაგან აიღებდე და თქვენის ხელით კათალიკოსს და სვეტიცხოველს მიართმევდე" (1700.VI. 29. Qd—1348).

ბიჭვინტა (პიჭვინტა, ღვთისმშობლის ეკლესია) იხსენიება იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხაილის მიერ იოაკიმე ცაიშელ-ბედიელის კათალიკოსად კურთხევისა და საქართველოს ეკლესიისათვის წესების დადგენის წიგნში ([XV]. Sd—2920, 2890). — ბაგრატ [იმერთა] მეფემ შეუვალობა მიანიჭა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიის მამულებს და შესწირა: გელათის წმიდა გიორგის სადედოფლო საყდარი 100 კომლი კაცით, რაჭაში სოფელი ბარი. სასახლე და მონასტერი 1 აზნაურიშვილით და 30 კომლი კაცით, ლეჩხუმში ციხის მონასტერი — საჩხეური, წუგნა, კუშმლევი 25 კომლი კაცით, ობჩაში 8 კომლი, ნაეენახევის სასახლე 30 კომლი კაცით, წმიდის საყდარი 6 კომლი კაცით, ჯიმასტაროს სასახლე 12 კომლი კაცით, ხოშტიბელა სასახლე 12 კომლი კაცით, ჩუნეშში 10 კომლი კაცი, ხონსა და კუხში 20 კომლი კაცი, მანთხოჯის სასახლე და მონასტერი 40 კომლი კაცით, 1 აზნაურიშვილით, ჯიქთუბნის მთავარანგელოზის მონასტერი 12 კომლი კაცით, ეგურის პირას ნაყანეო 60 კომლი კაცით. ხოირის წმინდა გიორგის ეკლესია 25 კომლი კაცით, წამხარში სასახლე. სოფ. შუხური აზნაურიშვილებით და 30 კომლი კაცით, ტოცურუს მეთევზე და მენავ-

ტენი, მარმარის-კარს 2 კაცი, აგრეთვე აფხაზეთში ბიჭვინტის გაოშემო სოფლები: აითარნე, არუხა, რაბიცია, აითარნეს მთა, ზეთისხილოვანი, ხიბულას მთავარანგელოზის მონასტერი 40 კომლი კაცით, გურიაში 21 კომლი კაცი — ერთი სიტყვით, ბიჭვინტის კათალიკოსის სამწყსო იყო ლიხსა და კაფას, რუსეთის საზღვარსა და ჭანეთს შუა. ამასთანავე, იქვე ბაგრატ მეფემ განუწესა ბიჭვინტის ეკლესიას სისხლის სამართალი ([1510—1548]. Ad—2218). — ლევან დადიანმა და გიორგი ლიპარტიანმა [ბიჭვინტის] ღვთისმშობლის ეკლესიას შეწირეს ერთი კომლი ყმა გლეხი შაფათია, რომელსაც ეკლესიისა და ეფთვიმი კათალიკოსის სასარგებლოდ გადასახადიც გადაუწყვიტეს ([1611—15]. საქ. სიძვ. 1, № 7). — გიორგი ლიპარტიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ბონბოთში მცხოვრები მახარებელი ნაუყენია სახლ-კარ-მამულით. ამისათვის კათალიკოსს ყოველწლიურად წირვა უნდა გადაეხადა ლიპარტიანისათვის ([1615—40]. საეკლ. საბ., II, გვ. 172). — ლევან დადიანმა შესწირა სასახლე წყალიძგაში, ყმები თეკლათს, ფოთს, ჭალადიდს, ყუელის-კარს, ეკალოს, საქუჩულორიოს, მზანათს, თილითს, კამულეთს, მარცხეულს, ზეგანს, ილორს, ანაკლიას და დაუწესა მათ გადასახადი ეკლესიისათვის (1628. Sd—2904). — ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესია მოხსენებულია ერთ საბუთში ([1615—46]. Hd—11203). იგი მოხსენებულია ქაიხოსრო შანგულიას და ზარიამ ჯოღორიას მიერ ლევან დადიანისათვის მიცემულ ფიცის წიგნში ([1611—57]. Hd—11204). — ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიაზე დადგინებული იყო კათალიკოზი სიმონ ჩხეიძე, რომელსაც ვამეყ დადიანმა მისცა წყალობის წიგნი და გაათავისუფლა საკათალიკოსო მამულები გადასახადებისაგან (1661. Sd—2914). — ხოფის მონასტერი ძველიდანვე ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძრისა იყო, მაგრამ ჟამთა ვითარებაში მან იგი დაკარგა. შემდეგ ლევან დადიანმა ბიჭვინტის ეკლესიას შესწირა ხოფის მონასტერი ორი სასახლით „სრულებით და ხორგით", აგრეთვე „ხორგას სამი ნავი ვაჭარი თუ მოვიდოდეს, ერთი ბარძაგანი ვაჭარი სახოფე კაცისას დადგებოდეს" და სხვა რომელიც სარგო იყოს, ხოფის ღვთისმშობლის ტაძარს მიეცემოდესო (1675. Qd—9136). — დავით აფხაზთა კათალიკოსმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიას იუსუფ და იანვარა ლიფონავები ([1673—80]. Hd—1551-ე). — ზებედემ შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძარს მაძღელი და მომაძინი იასაევები ცოლ-შვილ-მამულებითურთ (1682. Hd—1551-ვ). — ბიჭვინტის ეკლესიას ვამეყ დადიანმა შესწირა წშიდა კვირიკეს საყდარი ძიმითს ([XVII]. Sd—2925). — იმავე ვამეყ დადიანმა მასვე შესწირა და მიაბარა კათალიკოს ზაქარია ქვარიანს გურიაში აკეთის საწინამძღვრო მაცხოვარი ([XVII]. Sd—2911). — ნ. ღალიგა ([XVII]. Hd—11226).

ბიჯნისი ნაზარალიხანმა იესე რუსიაშვილს და მის შვილებს უბოძა ბათიე ნაქონი ყმა-მამული ბიჯნისს: პაპია გივაშვილი, თამაზა არჯევანიძე, ივანე კოჩაძე, პაპუნა და შამუკა გეჯაძეები, დათუნა უბედაშვილი, საყდარ-ხოდაბენის ნახევარი და სხვა მიწები ([XVII]. Hd—11352).

ბლორძი ზურაბ და ოტია ბლორძელები მოწმენი არიან ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ პაპუნა ბარათაშვილ-გოსტოშაბიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680. Hd—4152).

ბნავისი ნ. წედისი (1631. Hd—2122). — ზუბიტა თავყელიშვილს აქ 1 კომლი ყმა ჰყავდა, აქვე ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 2 კომლი მოსაერე ყმა ([1658—75]. Hd—14532-ბ).

ბნელა სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ბობნავი აქ ცხოვრობდა 1 კომლი ყმა მოელიძე, ბაბათას აქ 3 კომლი კოდის პურის თარხანი ყმა ჰყავდა, ბობნაჟსა და სიქალეთში პაპუნას 3 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ბ).

ბობოკვრელი ქვაჯვარა ნ. ჯვარი, სოფელი (1559. Hd—8729).

ბოგვი ბ ო გ ვ ე ლ მ ა სეხნია საგინაშვილმა ვარდუა მარქარაშვილს მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მამული (1690. II. Hd—5151).

ბოგვის ხევი აქ ნასყიდი ზვარი შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

ბოდბე (წმიდა ნინოს ეკლესია-მონასტერი) ბ ო დ ბ ე ლ ი ეპისკოპოსი იყო მაქსიმე (1568. სოც. დოკ., 1, № 503). — ააოხრა შაჰ-აბაზმა. თეიმურაზ მეფე რომ დაბრუნდა, ბოდბეს მამულის შეწირულების წიგნი განუახლა (1631. ისტ. საბ., IV, გვ. 18—19). — ბოდბელი მიტროპოლიტი ზაქარია ენდრონიკაშვილი მოწმეა ალავერდის წმიდა გიორგის სახლთ-უხუცესობისა და სახასო მამულის სულხანისათვის მიცემული წყალობის წიგნისა (1636.1.29. Qd—28). — ბოდბელი ეპისკოპოსი იყო ზაქარია ([1636 წ.-ის ახლოს]. Ad—1892). — როსტომ მეფემ ბოდბის ეკლესიას განუახლა მის მამულებში მობალახე თათრებისა და ლეკების ფარებზე გადასახადის აღება (1654. აქტები, 1, გვ. 19). — ზაალ ერისთავმა ბოდბის მონასტერს შესწირა დვალაშვილები და გაათავისუფლა ისინი საბატონო სამსახურისაგან (1657.V.6. ისტ. საბ., IV. გვ. 35—36). — ბოდბის მონასტრის ყმები დვალაშვილები ერეკლე ბატონიშვილმა გაათავისუფლა მეფის მეჯინიბობისაგან (1663 II. 24. ისტ. საბ., IV. გვ. 37—38). — არჩილ მეფემ მისცა პირობის წიგნი მათეოზ ბოდბელს და (ბოდბის) წმიდა ნინოს ტაძარს ღალის აღების შესახებ (1669. სოც. დოკ. 1. № 518). — ევდემოზ ბოდბელმა დაამტკიცა დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძის დადგენისა და მისი საქმის გარიგების წიგნი (1690.III.12. Ad—349).

ბოდიკას მიწა იორამ და ონოფრე სა[ა]ძეებმა გაჰყიდეს დევაურის მიწა ბოდიკას მიწის მიდგომამდის ([XVII]. Sd—378).

ბოდორნა ერისთავმა ვამიყ შაბურისძემ შესწირა ბოდორნის ეკლესიას სოფ. ხანდაკი და გაიჩინა აღაპი თავისთვის, დულარდუხტისათვის, ბარამ და მიქა შაბურისძეებისათვის (1494.VI.24. Ad—873).

ბოდორნა (სოფელი) ზურაბ ერისთავმა შესწირა წილკნის ღვთისმშობელს ბოდორნა და კოკლაძე (1629.IX.12. Sd—2907).

ბოვაძური ზაქუმ ალიყულიშვილმა მიჰყიდა ვახტანგ [ორბელიშვილს] ზემო ბოლნური მკვიდრი ზვარი ბოვაძურისკენ ძველ რუმდე (1677. Sd—537).

ბოკონინა სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1579. Sd—464). — ბ ო კ ო წ ი ნ ე ლ ე ბ მ ა პირობა მისცეს დომენტი კათალიკოსს, რომ ყოველწლიურად კომლზე ხუთ-ხუთ ჩაფ

ტკბილს გამოიღებენ მისთვის, მოუხნავენ მას 3 დღის ყანას და გადაუხდიან 2 დღის ქერს და 2 დღის ფეტვს გუთნის თავზე (1689. Ad—1612).

ბოლეთი გიორგი გურიელმა უბოძა [იერუსალიმის] ჯვრის მონასტერს ყველაფერი, რაც მისთვის ადრე შეუწირავთ ([XVII]. Hd—10275).

ბოლნისი (სიონის ღვთისმშობლის ეკლესია) თამარ დედოფალმა საალაპვედ შესწირა მას ვართანა შვილებით და მამულითურთ (1611. ისტ. საბ.. IV, გვ. 6—8). — ძველიდან ეკუთვნოდა ყოჩის მიწა. მისი ეპისკოპოსი იყო ნიკოლოზ (1615. Hd—14178). — იოვანე ბოლნელი ეპისკოპოსი რევიშვილი და ბოლნისის სიონის ღვთისმშობელი მოხსენებული არიან ერთ საბუთში (1620.V.10. Sd—620).— იოსებ ბოლნელმა ეპისკოპოსმა რევიშვილმა მისცა დოლმაზა და ელიზბარა შანშიაშვილებს აღჯანასშვილის და მხითარასშვილის საეენახე მიწა და ზოგიერთი მიწა გამოართვა (1670.VIII.2. Hd—10249, 5242). — ბოვნელი ეპისკოპოსი იყო მაქსიმე (1698. Sd—764). — ნ. სიონი (ბოლნისის).

ბოლნისი (სოფელი) „სამივ ბოლნელნი" მოწმეები არიან ფინეზას მიერ გიორგი ყაფლანიშვილისათვის მიცემული ენახის ნასყიდობის წიგნისა (1674. Sd—623). — ბოლნისის მამასახლისი იყო ნოდარა, სრულნი ბოლნელნი ემოწმებიან სეხნია შემაზასშვილის მიერ პაპუა ყაფლანიშვილისათვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნს (1620.V.10. Sd—620). — ბოლნისში მცხოვრები ხარაზიზაშვილი ყარაგოზა თავისი მამულითურთ როსტომ მეფემ უბოძა ზურაბ ლარაძეს და უბრძანა ბოლნისის მოხელეებს ამისი შესრულება (1640. Hd—14479). — ბოლნისის ნაცვალი იყო დათუნა (1665. Sd—622). — დოლმაზა შანშიაშვილს პაპიასთან გაყრისას ბოლნისში ერგო მირაზა და ბოლნისის ზვარი (1667. Hd—9292, 10254). — ბოლნისში ცხოვრობდნენ იარალის შემკვიდრე ყმები ზაზაშვილები და საქიაშვილები, რომელთა ნასყიდობის წიგნი განუახლა იარალმა სალამახანა მელიქსეთაშვილს (1683.1.5. სოც. დოკ., 1, № 103). — ბოლნისის მამასახლისი იყო გოგია ყორღანაშვილი (1686. მატენად., ფნ. 252, № 9). — ბოლნისზე გამავალი ქარავნის ბაჟი [ორბელიანებისა] უნდა იყოსო (1689. Sd—1932-ა). — ზაქუმ ალიყულიშვილის მიერ გაყიდული 1 დღის მიწა ბოლნისში ეპირა ნაზარას ([1690—1716]. სოც. დოკ., 1, № 124). — ბოლნისში მცხოვრებ ზურაბას არ ევალებოდა მეღალეობის, მებაღეობის და მერთველობის გამოსაღები ([XVII]. Sd—1985). — ბოლნისში დიმიტრი [ორბელიანს] ნასყიდი ჰქონდა ზვარი ([XVII]. — 1922, 1936).

ბოლნისის ხევი ბოლნისის ხევში მდებარეობდა სოფელი ბერდიკი (1658. Sd—36, 532).

ბოლოთა შედიოდა საღვინის მოლარე ქაეთარაძისათვის ნაწყალობევ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695).

ბონბოთი გიორგი ლიპარტიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ბონბოთში მცხოვრები მახარებელი ნაჩუეპია სახლ-კარ-მამულითურთ ([1615—1620]. საეკლ. საბ., II, გვ. 172).

ბორი სამკვიდრო სოფელი შანშიაშვილებისა, მდებარეობდა სომხიოში, როსტომ მეფემ განუახლა გიორგი შანშიაშვილს იქ მცხოვრები 2 კომლი გლეხის წყალობა (1641.IV.17. ქ.-სპ. საბ., № 72). — დოლმაზა შანშიაშვილს პა-

პიასთან გაყრისას ერგო ბორისოფელს (ბორს): კირაკოზა ხეჩივართშვილი, მურადა ჰანესაშვილი, ავეტიზა ვართაიზაშვილი, კირაკოზა ყარახანაშვილი, კირაკოზა ავეტიზაშვილი (1667. Hd—9292, 10254).

ბორის ციხე შედიოდა საღვინის მოლარე ქავთარასძისათვის ნაწყალობევ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695).

ბოროს ციხე უშვილოდ გადასული მირიანისძის (მამული) ღომარეთში და ბოროს ციხე კოსტანტინე მეფემ უბოძა სამკვიდროდ ახალციხელ ქავთარისძეს, საღვინის მოლარეს ([1479—1505]. Hd—1349).

ბორჩალო ბორჩალოში სადავო ადგილები: ვარაპეტის სოფელი და ახპატის ბაღების ნახევარი ბორჩალოს მეპატრონეს თამაზუყულიხანს ჩამოართვეს და რევაზბეგს მისცეს (1693.X. Hd—4159-ვ).

ბორცუის ჯუარი ნ. მანგლის-ქვეშ.

ბორძა აქ მცხოვრები ბუძოლეი ქვაშჩია ლევან დადიანმა, მამამისის მანუჩარის სულისათვის, შესწირა თაწმიდის ხარების ღვთისმშობელს (1642. Qd—6740).

ბოსელთა შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ბოსლები სიმონ მეფის ნაბოძები წიგნი ქვაბევნისა, ბოსლებისა, ძველი დმანისისა, ფოცხვერისანისა მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ ალანის [ძისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.1.2. Sd—1931).

ბოსლეთი აქ ცილის 2 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ა).

ბოსტან-ქალაქი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთის სვეტიცხოველს სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო ბოსტან-ქალაქი (1579. Sd—464).

ბოტკო გიორგისა და ჯაბერს ანტონ ჰყონდიდელმა თანასწორად მისცა მონასტრის მიწები ბოტკოსა და დიდვალში ([1202]. Ad—81). — მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნ. ხახული (1594. ისტ. საბ., II, გვ. 58—60).

ბოტკოი გიორგი მეფემ უბოძა გუგუნა მაჩაშვილს ბოჭორმის პირას მდებარე მისი ბიძისეული მამული ბოტკოი, რომელსაც მიანიჭა შეუვალობა (1377. Ad—1284).

ბოშური აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 1 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ).

ბოცოს ჯვარი (ბოცოს ჯუარი) მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სოფელი საბარათაშვილოში, სვიმონ მეფემ უბოძა სამკვიდროდ თამაზ-ბეგს (1626.XII.15). ქ.-ჯ. საბ., № 23).

ბოჭორმა გიორგი მეფემ უბოძა გუგუნა მაყაშვილს ბოჭორმის პირას მდებარე მისი ბიძისეული მამული ბოტკოი (1377. Ad—1284).

ბოჭორმის მონასტერი ერწოში იყო; ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ბოჭორმის მონასტერი (1579. Sd—464).

ბარბონა აქ ციცი [ციციშვილს] 6 სახასო ყმა ჰყავდა, რომელთაგან 2 კოდის პურის თარხანი იყო, საური კი ყველას უნდა გამოეღო ([1658—75]. Hd—14534-ა).

ბრეთი გიორგი [იმერთა] მეფემ დაუმტკიცა ბოქაულთ-უხუცეს დავით დავითიშვილს მისი სამკვიდრო მამული, რომელშიც ბრეთიც შედიოდა ([1615—19]. Hd—14633). — უბოძა როსტომ მეფემ დავით დავითიშვილს. ადრე იგი როსტომ მეფეს ქაიხოსრო ავალიშვილისთვის უწყალობებია. (1633.VII.21. Sd—556).—კოსტანდილე და ელიზბარ დავითიშვილებმა სამკვიდროდ ბრეთი აირჩიეს და როსტომ მეფეს მისი წყალობა სთხოვეს. მეფემ შეისმინა თხოვნა და უბოძა ბრეთი მათ ამნაირად: თუ ქაიხოსრო ავალიშვილი მეფეს საყმოდ არ შემოურიგდებოდა, მაშინ ბრეთი დავითიშვილებს დარჩებოდათ (1634. Hd — 14699). — სოფელი; ეკუთვნოდა ავალიშვილებს, როსტომ მეფემ უბოძა ქაიხოსრო ავალიშვილს (1636.1.2. ჭ.-სპ. საბ., № 54). — შანაევმა დაუმტკიცა პეტრეს ნაზვრევის ნასყიდობა საზღვრებში: ბრეთს ქიქნაძის მიწამდე და ფრონემდე (1673. Hd—831). — ბრეთს ეწერა 20 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ბრინჯის ხევი ერთ-ერთი საზღვარი იყო თაყა ამილახორის სადაო მამულისა ([XVII]. Hd—13750).

ბრმა წყარო ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული მიწა სამგორი, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო ბრმა წყარო (1579. Sd—564).

ბროწლეთი ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა უბოძა ზაქარია ჭარშეულს ბროწლეთში გლეხი საბია ქათიაშვილი 2 საკომლოთი და სვეტიცხოველის ყმა-მამულითურთ (1657. Qd—31). — სოფელი, ძმისწულ რამაზთან დავის გარიგებისას, სხვა სოფლებთან ერთად, იგი არგუნეს დავით დავითიშვილს ([1632—58]. Qd—8237).

ბრუტიანის მთა აქ შაყმაშვილს ნაყიდი ჰქონდა ვენახი, რომელზეც ერთმანეთს ედავებოდნენ ყაფლან, პატა და პაპუნა ბარათაშვილები ([1632—58]. Sd—794). — პატა და ყაფლან [ბარათაშვილებმა] სამამულო დავის გარიგებისას გადაწყვიტეს: თუ დარბაზის, თაწმიდის და ბრუტიანის მთა შერმაზანსა და რევას ჰქონიათ მახსოვართა მოწმობით, მაშინ პატა ნუ დავობსო ([XVII]. Hd—14284).

ბუეთანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს მონასტერი ხატისკარი ყმა-მამულებით ისე, რომ ბუეთანს ზევით და ინაბოტის წყალს ქვეით ვერავინ გადადგომოდა (1579. სოც. დოკ. 1, № 10).

ბუზაური ნონია აღაპიშვილმა ციხოველ იმანაძეს მიჰყიდა 1 დღის მიწა ბარდაული ბუზაურის გვერდით (1659. Qd—1446).

ბუკულასი გოსტაშაბ ბარათაშვილი და ოსიყმა ბუკულასაშვილი დაობდნენ ამლივისა და ბუკულასის საზღვარზე ([XVII]. Hd—1568).

ბუკულეთი ნაზარალიხანმა უბოძა იორამ ბარათაშვილ-ზაალისშვილს მისი უშვილოდ გადასული ბიძაშვილის დურმიშხანის კერძი მამული ბუკულეთში (1698.XII.5. ჭ.-სპ. საბ., № 163).

ბუჟღულიანი აქ დურძი'ძხახს სასახლე და ძაძული ჰქონდა (1688. Sd—547).

ბურდულაული მამული დათუნა ოსაძესა და მის შვილებთან ერთად. შეწირულ იქნა მთაწმიდის მონასტრისადმი (1678.V.28. Hd—11067).

ბურეთი უბოძა იგი გიორგი მეფემ გორელებს (1683. Qd—1970).

ბურეთის გზა ერთ-ერთი საზღვარი იყო დუბის მიწისა (1659. Hd—1588).

ბურნაყაული მიწა ბარამ ფარემისშვილმა დათუნა ხიზანაშვილს და მის ძმებს მიჰყიდა თაბორიძისეული ნასისხლი ბურნაყაული 2 დღის მიწა საზღვრებში: „ქვევით ნარეკვამდე, ზემოთ ბარათაშვილის მიწამდე“ ([XVII]. Ad—2243-ა). — ხოსია ბირაშვილმა დათუნა, პაპუნა და ბერუკა ხიზანაშვილებს მიჰყიდა თავისი მამული ბურნაყაული 6 დღის მიწა საზღვრებში: „ქვევით ფარემისშვილის მიწამდე, ზევით ფიცხელაურის მიწამდე, აქეთ ხევამდე“ ([XVII]. Ad—2243-ბ).

ბურსა ნ. გილანი.

ბუღამი [სათილ]მიშა დოლმაზაშვილმა ვენახი გაცვალა ბუღამში (1698. Sd—764).

ბუღლიაური მამული შინდარს სვიმონისშვილი იმონა ბუღლიაურის მამულითურთ შესწირა სიმონ მეფემ იტრიის სიონს (1584. Sd—2909).

ბუშატი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ქველად შეწირული ბუშატი მონასტრითურთ (1579. Sd—464). — დარჩა იგი კათალიკოსის სახახლოდ მასზე ვაჩნაძეპა, ჯანდიერიშვილსა, ჭავჭავაძესა და კათალიკოსს შორის დავით გარიგების შედეგად (1654. Hd—8389).

ბუჯი პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას საზანოში სამაშავარიანო სასახლე, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო: „ტყლაპი რუსა ბუჯის შესაყარს აქეთ კლდის წყარომდის ნახევარი ტყე და მინდორი, სანადირო და საყანე სამაშავარიანო არის — ხატისათჳს შეგვიწირავს“ ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 55).

ბუჯის-წყალი მის ზემოთ, ხრეითის ჩათვლით, ლიხის მთამდე არსებული ტერიტორიის სარდლობა შანავაზმა უბოძა ზაალ წერეთელს ([1661]. Hd—9467).

ბჭითი ნ. თრიალეთი (1170, Hd—1351).

გ

გაგნაური [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს გაგნაურში ზერის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

გავა ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული 7 საკომლო და 1 ზვარი გავაში (1579. Sd—464).

გავაზი გავაზს მდებარე მამულების შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — აქ მოსახლე 1 კომლი კაცი (ძმები: ფოცხვერა, შერმაზანა და სამადა) ივანე ქართლის კათალიკოსმა მოსეს უბოძა (1613. ისტ. საბ., IV, გვ. 9).

გავაზი შედიოდა სამთაესელის სამწყსოში, მართებდა სამთაესისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

გავაზი ალექსანდრე [კახთა] მეფემ ყველაზე შეძლებულ 100 გლეხს სამოურავო ულუფად დააკისრა თვითეულს 6—6 შაური და 3—3 გ ა ვ ა ზ უ რ ი დიდი სპილენძის თუნგი ტკბილი (1593. Hd—2092). გავაზის თავს ჭიკანში მოსახლე 9 კომლი კაცი ლევან [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს შესწირა (1613. ისტ. საბ., IV, გვ. 9). — აქ მდებარე თამაზ მოურავისეული მამული თეიმურაზ მეფემ უწყალობა სუფრაჩ ფარემუზს, რომელსაც იგი ერეკლე ბატონიშვილმა უკან გამოართვა და უბოძა რამაზ ვაჩნაძე-ბებურისშვილს (1662. Hd—1925).

გავაზური საკაძისეული სოფელი; როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს. გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ ეს სოფელი სახასო იყო (1552. Hd—13956).

გალისა შედიოდა საღვინის მოლარე ქავთარასძისათვის ნაბოძებ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695).

გამანაური ტბისში „გამანაურის მამულის ურწყავი“ ოთარ, პაატა და ვარაზ ბარათაშვილებმა მიჰყიდეს პაპუნა და გოსტაშან ბარათაშვილებს (1659. Hd—6285). — გიორგი მეფემ იასე გერმანოზიშვილს ტბისში უბოძა ჰაულფათიშვილის [ვენახი „ერთი მხრივ გამანაურამდე“ [1676—88] Hd—8810).

გამრეკელაური: ბარათაშვილების მამული აკურაში (1654. Hd—14670).

გამოჩინებული ვენახი როსტომ მეფემ უბოძა ოთარ თულაშვილს გამოჩინებულში ვენახი, რომელიც წინათ ოთარის განაყოფს, დოლენჯის ეკუთვნოდა (1655.X.2. ქ.-სპ. საბ., № 111).

განლოტი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ შცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712).

განძას-ხევი: ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილებმა ლეონის სულის სახსრად ვანის ქვაბებს შესწირეს განძას-ხევში ვენახი და მევენახე მისი სახლ-კარითურთ ([XV]. Ad — 933-15).

განჯა გიეი თუმანიშვილის გორელი ყმა წატურაშვილი ინდოეთს გაიპარა. გზად განჯაში ავთანდილ კაკაკაიშვილს შეხვდა, რომელსაც მიჰყიდა გორში დატოვებული თავისი 2 წისქვილი (1697.III.20. Hd—2268).

გარგალი (გარგარი, გარგარეთი) გარგალის ნახევარი ეკუთვნოდა ზაქარია ჯავახისშვილს, რომელმაც მისცა შეყრილობის წიგნი „ბატონ მოურავს“ და გაერთიანა მასთან ეს მამულიც (1624. Hd—14693). — საკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა გ ა რ გ ა რ ი იორამ საკაძეს. გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ ეს სოფელი სახასო იყო (1652. Hd—13956). — გოშფარ [ჯავახიშვილს] როინთან გაყრისას ერგო გარგალში ივანა, ირემა, კვირისა დვალის ოხერი სენაკები, როინს კი — იანეარაშვილები ([XVII]. Qd—605). — გ[ა]რგ[ა]რეთში მცხოვრები ბერი მოწმია დიდი მოურავის შვილის ზურაბის მიერ ბაინდურ-პატასშვილისათვის მიცემული მიწის წყალობის წიგნისა ([XVII]. Hd—9331).

გარდატენი გორელმა თაყა ანდრონიკაშვილმა მარიხ ჯავახიშვილისაგან გარდატენში იყიდა ვენახი — სახასო ზვარი და კოკოლაშვილისა და ამირაშვილის მამულები (1634 Hd—7608).— ნოდარ ციცისშვილმა გორელ ალიბეგ

და გაბრიელ ენდრონიკაშვილებს დაანება გარდატენს ამაშაშვილისგან ნასყიდი ზვარი და კოკოზაურის მამული (1653. Hd—7608-ვ) — აქ ციცი [ციცი-შვილს] 2 კომლი ყმა ჰყავდა, ოთიას — 1, პაპუნას — 1, ბიძინას — 1. გარდატენში ცხოვრობდნენ კოდის პურის თარხანი მოსაურენი ბერუა და პაპუნა ხუციშვილები ([1658—75]. Hd—14534-ა) — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაურისას ერგო გარდატენში: ხუციშვილი, პაპუნასშვილები მათი მამულებითურთ; პაპუნას კი: ზუბითა და ხუცისშვილები მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).

გარდიგარდმო იოანე ზარდალიშვილმა დომენტი კათალიკოსს უბოძა გარდიგარდმოში 1 დღის მიწა თბილელაშვილის საზღვრამდე და ქვითკირის ხიდთან, რუს ქვემოთ პაპუნასაგან საწირავში აღებული მარიამული 2 დღის მიწა (1666.XI.13. Ad—1715).

გარეზმანი ნ. გრძელას მიწა (1683. Hd—821).

გარეყანთუბანი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

გარეჯა (უდაბნო, მონასტრები) ალექსანდრე [კახთა] მეფემ, ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის თხოვნით, გ ა რ ე ჯ ე ლ თ მისცა პირობის წიგნი საგარეჯოს მამულების გაუცემლობის შესახებ (1579. Ad—1604). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ და თინათინ დედოფალმა განუახლეს წმიდა დავითის მონასტერს და დოდორქის ღვთისმშობელს ძველ მეფეთაგან შენაწირი: წ მ ი დ ა დ ა ვ ი თ ი ს უ დ ა ბ ნ ო ს — სოფელი ჟატი, დეკანოზი, 2 ყარაული, მეძროხე, 1 მეცხვარე, ზვარი და მისი მეზვრე, „მთას იქითური“ ღალა და კულუხი; დ ო დ ო რ ქ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ს — სოფლები ტაძრები, მათაანი და უჯარმაში 4 კომლი, დეკანოზი, 2 ყარაული, ზვარი და მისი მეზვრე. „მთას აქათური“ ღალა და 40 კაბიწი პური — ორივე უდაბნოს (1590. ისტ. საბ., II, გვ. 57). — მამია გურიელმა ფიცის წიგნი მისცა გარეჯის ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს უ დ ა ბ ნ ო დ ა ნ გამოგზავნილ ბესარიონს ([1600—1625]. საისტ. მოამ., 1, 1925, გვ. 182—3). — ერთობით გარეჯელნი არიან მოწმენი ნინოწმიდელთა და თვალელთ შორის დავის გარიგების წიგნისა (1651.V. 29. ისტ. საბ., IV, გე. 33—34). — გარეჯელნი მოწმენი არიან რამაზ ფარღუზათაშვილის მიერ მამისიმიერ ენაგელაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656. Qd—16). — შანაზარმა (არჩილმა) დაუწესა გარეჯის უდაბნოს მონაზვნებს ჯამაგირი ნატურით (1672. Ad—61). — გარეჯელთ დავა ჰქონდათ ჩერქეზელებთან. შანაზარმა უბრძანა კათალიკოსის ჯვარისმტვირთველს მოეყვანა მახსოვარი კაცი იმ მცხეთელთაგან, რომელთაც დაუფიცნიათ ამ დავაზე ([1664—75]. Ad—102). — აბაზუულიხანმა გაუთარხნა გარეჯის მონასტერს საგარეჯოში მცხოვრები ყმები. იქვე მონასტრის წინამძღვრად იხსენიება ონოფრე მაჭუტაძე (1693.IX.29. ქ. -სპ. საბ., № 154). —გარეჯის წინამძღვარს ანა დედოფალმა სარგოდ გაუჩინა 5 თუმანი. თაისი ძის იმამყულის სადღეგრძელოდ ([XVII]. Ad—76). — მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს განუახლა დავითგარეჯის უდაბნოს შეწირულება და ამ უდაბნოდან ნიღებული შემოსავლით გაჩენილი აღაპი, ამასთანავე გაათავისუფლა უდაბნო გამოსაღებთა-

გან. გარდა ლაშქარ-ნადირობისა და მალისა, მეფემ მიაბარა გარეჯის უდაბნო განსაგებელად, ხსვა მონასტრებთან ერთად, მალაქია ქართლის მთავარეპისკოპოსს ([XVII]. Ad—712). — ნ. დოდოსრქა.

გარეჯვარ-ბაკურს-უბანი სოფელი ქართლში, სალარე მიხას ძემ უანდერძა იგი ქვენიფნეველ ლარგველისაშვილ წითლოსანს (1348. Hd—3493).

გარეჯვარი (გარეჯუარი) „გარეჯვრის გზაზედ რომ მიწა არის საზენაქროთ, ნახევარი“ ერგო ბეჟანს (1535. Sd—4949). — როსტომ მეფემ სოფელ გარეჯვარში მოსახლე სულარუაზანის ნაქონი მამულის წყალობა განუახლა ქაიხოსრო მაჩაბელს (1633. Qd—8924).—მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ძმებთან თაყასა და ბირთველთან გაყრისას გარეჯვარში ერგოთ: ლელუაშვილები, სოლთანასშვილები, ბაინდურა დედაბრისშვილი, პაატა მამასახლისი, ბერი მურადა მისი ვენახითურთ ([1632—51]. Hd—14665). — გარეჯვარში მოსაბლე გოშტა, ეჯაბა, ნადირა და ქრისტესია ლელუაშვილები მათი მამულებითურთ, პაატა მამასახლისი მამულით — წილად ხვდა მანუჩარ [თუმანიშვილს] (1656, Hd—11813, 11814, 11815, 11816). — აქ მცხოვრები ბერი მურადა თავისი ვენახით, ბაინდურა დედაბრისშვილი, სოლთანასშვილები მამულებითურთ, საქილა მამულით, საქულა მამულიანად — წილად ხვდა ჯიმშიტა [თუმანიშვილს] (1656. Hd—11946, 11947, 11948, 12914, 11944). — გარეჯვრელი მღვდელი იყო ქრისტესია (1675. Sd—55). — დავით ქსნის ერისთავმა გაუჩინა ლიახვიდან გამოყვანილ რუს 3 მერუე მარანის დაღმა გარეჯურის თავამდე (1678.XII.18. Ad—1016). — გარეჯვარში ცხოვრობდნენ ქონქლე და მისი ბიძაშვილი ქვემო, მურადაშვილი თევდორე ([XVII]. Sd—882). — აქ ცხოვრობდა სოლთანა სოლთანაშვილი თავისი ბიძაშვილებით ([XVII]. Sd—878).—გარეჯვარს მცხოვრებ მანუჩარ [თუმანიშვილის] 4 ყმას უნდა დაეფიცებია, რომ საწისქვილე მანუჩარს ეკუთვნოდა ([XVII]. Hd — 14856). — გარეჯვარს ბერუა თავისი ძმებით, პაპუა ნასყიდაშვილი თავისი მამულით, „ორი ჩალის მიწა“ და ერთი ნაიონჯარი წილად ხვდათ შიოსშვილებსა და მანუჩარ [თუმანიშვილს] ([XVII]. Hd—4096). — გარეჯვარში მცხოვრები დედაბრისშვილები წილად ხვდა ლიპარიტის შვილს, სოლთანა — მანუჩარ [თუმანიშვილს]. აქ მცხოვრები დათუნა მურადაშვილი მოხსენებულია [თუმანიშვილების] წილის ნუსხაში. აქ მდებარე საქილაშვილის მამული მოხსენებულია [თუმანიშვილების] წილის ბარათში ([XVII]. Hd—3698).

გარისი გარისელ პარუნ სარქისაშვილს მიწაზე დავა ჰქონდა ბარათას აზნაურ მამუკა ბლორძელთან. სადავო მიწა საგარისო არ გამოდგა (1656.VI.28. Hd—14657). ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647).

გარიყულა ვეძელმა მეხარანთ იოვანესშვილმა გიორგიმ მიჰყიდა წოდორელ ხუციანთ მარკოზაშვილ იოვანეს მიწა გარიყულა გოგილას წისქვილის ზევით (1691. Sd—64).

გარძელი დათუნა ყანდიაშვილმა გიორგი დაკარგულასშვილს გარძელში მიჰყიდა 1 დღის მიწა (1690.I.29. Hd—4083).

გაღმა დიეში მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

გაღმა სავანე აქ მიწა ნადირა მეტრელმა მისცა ალხაზ მაჩაბელს (1691.. Hd—11573).

გაღმა ჰერედვი იოთამ ფავნელიშვილის საკუთრება, თეიმურაზ მეფემ უბოძა ზაქარია ავალიშვილს (1633.V.30. Hd—9377).

გაწყუეტილა ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფელ ჯიმითისა, რომლის საზღვარი იყო გაწყუეტილა წნორის მიდგმამდე (1579. Sd—464).

გეგუთი გეგუთს მამუკა თვალიაშვილი ცოლ-შვილ-მამულითურთ ბაგრატ [იმერთა] მეფემ უბოძა ქაიხოსრო წერეთელს (1680. Hd—2198).

გედიჭი მამული ნაზარალიხანისა, რომელმაც იქ დაუმტკიცა თარაბშვილებს მათივე აგებული წისქვილი (1693.VI.17. Qd—7236).

გეზიანი მოხსენებულია უვნებლობისა და კეთილგანწყობის წიგნში, რომელიც მისცა თეიმურაზ [კახთა] მეფემ ზაქარია ავალიშვილს ([1605—1648]. Hd—14687).

გელათი (ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი) მისი მოძღვართ-მოძღვარი იყო საბა ([1346—60]. Hd—7346-ბ). — მისი შშენებლობის დროს გალავნიდან გადავარდა ავშანდაძე (1452. Sd—521). — გიორგი მეფემ შესწირა გლეხები ფანჩულიძენი მამულითურთ (1464.1. Sd—2888). — ალექსანდრე [იმერთა] მეფემ შესწირა მას დაით ჟორჟოლაძის ნაქონი მამული და გლეხები: შვენიერისძე, ვაჩაბერიძე, გორგაძე, ჩიტაძენი, ხუცესი გოლაძე (1495. Sd—2892). — ალექსანდრე [იმერთა] მეფემ მას შესწირა ყმა-მამულები არგვეთის სოფელ მძარეთისაში, პატრიქეთში და ქუტირს და დაუწესა შეწირულ ყმებს მონასტრისათვის გამოსაღები და სამსახური ([XV]. Sd—2900). — „ა ბ ა ლ ი ი ე ლ უ ს ა რ ე მ ი“, ყმა ცირღილაძე ბაგრატ [იმერთა] მეფემ, მთავარეპისკოპოს მელქისედეკ საყვარელიძის თხოვნით, ხახულის ღვთისმშობლის საყდრიშეილად „შექმნა“ და უბოძა ამოწყვეტილი ივანწყეპლაძისეული ყმა-მამული (1545.VII.19. ქუთ. მუზ., № 745). — გიორგი [იმერთა] მეფემ კლდიაშვილს გელათში თავის საფერხეს 1 ტანი სასაფლაო აძლია, კლდიაშვილმა მეფეს ეს არ აკადრა და უარი უთხრა. ([1563—64]. Hd — 8727). — გიორგი [იმერთა] მეფემ ბახულის ღვთისმშობლის ტაძარს შესწირა ცხუკურში თურმანეული სასახლე და ცხუკურსა და ჩუნეშს გლეხები (1568. VIII. 30. Sd—2901).— ხახულის ღვთისმშობლის ყმები იყვნენ ნიქაბაძეები, რომელთაც დაით ვახტანგის ძემ „სასისხლო წიგნი“ მისცა ([XVI]. ქუთ. მუზ., № 1604). — ბაგრატ [იმერთა] მეფემ მას შესწირა ყმა-მამულები სასვიმონეთო და საგოდოგნო შარას „აქეთ“, ჰიშერას „გაღმა“ სათევზე, სოფელ ჭალისთავში, ნავენახებს სასახლე, ფარცხანაყანევში, მაღლაკში, ნამაშევს, მესხეთს, ზემო ქვიტირში და დაუწესა შეწირულ ყმებს სამსახური და გამოსაღები მონასტრისათვის ([XVI]. Sd — 2896). — მას გედეონ [ლორთქიფანიძემ] შესწირა კაცია კუჭაიძისაგან ნაყიდა მიწა, რომლის საზღვრები იყო: „არგვეთის ძველი ციხე, მუხურის მთა სკანდურს დაღმა, სკანდას შემოღმა, თხილთა წყაროს ღელე და სკანდის ღელე“ (1664.

Sd—2916). — ხახულის ღვთისმშობელს დარეჯან [იმერთა] დედოფალმა, თავისი მეუღლის ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად, შესწირა ნოღაში სასახლე, რიონში, ხორმონს, ოკრიბას, დღნორისას, აპორეთსა და ჯვარისას ყმა-მამულები ([1660—67]. Ad—598-ა).—მისი კანდელაკი იყო გიორგი (1682. Sd—2931). — ქაიხოსრო იაშვილმა ყმები კუხლუაშვილები გაათარხნა 1 მარჩილი ბეგარისაგან და შესწირა გელათის ღვთისმშობელს, მასვე შესწირა 1 შამახური სანთელი, რომელიც კუხლუაშვილებს ყოველ დიდმარხვაში, თედორობის კვირაში უნდა მიეტანათ ღვთისმშობლისათვის, (1692. ქუთ. მუზ., № 139-ა).—ალექსანდრე [იმერთა] მეფემ ხახულის ღვთისმშობელს განუახლა პაპამისის ალექსანდრე მეფის ყმებისა და მათ გამოსაღებთა შეწირულება და მის საფლავზე სულთაობის შაბათობით აღაპი დაწესა ([1682—95]. Ad—598-ბ).

გელათი (წმიდა გიორგის მონასტერი) სადედოფლო საყდარი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა იგი ასი კომლითურთ ბიჭვინტის ღვთისმშობლის სახელობის საკათალიკოსო ეკლესიას ([1510—48] Ad—2218). — ადრე სადედოფლო იყო, შემდეგ მოიშალა, ბაგრატ [იმერთა] მეფემ აღადგინა და შეამკო, სამეფო სამარხად და საძვალედ შექმნა. შესწირა მას ყმა-მამულები და თავისთვის იქ აღაპი გაიჩინა, თავის მწირველებად დანიშნა გენათელი, აგრეთვე თავისი მოძღვარი, რისთვისაც მათ სარგო გაუჩინა. მან საყდარს შესწირა ყმა-მამულები სამოქალაქოში, მაღლაკში, ფარსმანაყანევში, ქუტირასა და ნამაშევში, რიონს, ჭოლევს, ზემო ქუტირს, ნავენახევს, ნაბოსლევს, ოხომირას და დაუწესა მათ გამოსაღები საყდრისათვის. ბაგრატ მეფემ შესწირა წმიდა გიორგის ტაძარს მისი ზღუდის გარეთ მოძღვარ საბასეული სენაკი მამულითურთ (1545. Hd—11201). — საძვალე ბაგრატ [იმერთა] მეფისა, მას შესწირა გიორგი [იმერთა] მეფემ მიწა „ჩუნეშის თავსა ღელეს გაღმა ხოშტიბელის სასახლე ნემსაძისა და ქურდიანის თარჯსა და იოსელიანის საზღვრამდე“, აგრეთვე გლეხები ჩუნეშს (1569.II.4. Sd—2902). — წმიდა გიორგის ტაძარს შესწირა დიასამიძის ასულმა თამარ [იმერთა] დედოფალმა გლეხები ჩხარს (1584. Sd—2903).

გელათი გენათელი ეპისკოპოსი იყო მელქისედეკი, მისი სამწყსოს საზღვრები დაწესა მალაქიონ აფხაზთა კათალიკოსმა, ბაგრატ [იმერთა] მეფის თანხმობით: „რიონსა და ქუთათის ქალაქს ზეით ყვირილას გამოღმა კაკ[ხ]ის ზღუარამდე, ხრეითს აქეთ რაჭის მთამდე ოკრიბა, სრულიად ქუთათის ქალაქსა შიგან გაღმა და გამოღმა ([XVI]. Sd—2895). — გენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ მოწმეა გიორგი მეფის მიერ ვახტანგ ავიაშვილისათვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1697. საისტ. მოამ., 1, 1925, გვ. 94—5).

გელათი (სოფელი) ახვანბეგ საბაისძემ გადაიხადა გელათისა და აბუსერთ საერისთავო ბეგრის სასყიდელი, რომელიც შეუბანს დასდებოდა ([1270—72 წწ. ახლოს]. საისტ. მოამ., II, 1945, გვ. 5—6).

გემანი ნ. ტინისხიდი (1688.III.5. გუჯრ., გვ. 171—172).

გემიაური მამული კალაურში, რამაზ ეაჩნაძემ მიჰყიდა ოხია ყორჩ როსებს ქიდან 1 საკომლო (1673. Ad—1254).

გენაგა ზურაბ და ელიზბარ ბერუკაშვილებმა დიდი მოურავის შვილის-შვილს ავთანდილ მეჯინიბეთ-უხუცესს მიჰყიდეს 5 დღის ნარქვევი მიწა საზღვრებში: „ზევით გენაგას წყაროამდე, ჭოღოს მახარა მონასელიძის მიწამდე. იქით ბატონის ხოდაბუნამდე, აქეთ ალხაზისშვილის მიწამდე“ (1698. Hd—2598).

გერგეტი (წმიდა სამების ეკლესია) ბაგრატ მეფემ გაუჩინა გ ე რ გ ე ტ ე თ ი — წმიდა სამების საყდრისშვილებს სისხლის საფასური სამმაგად. ([XV]. საისტ. მოამ., II, გვ. 48).

გერგეტი „არაგვის თავის ხევს“ სოფელ გერგეტის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

გერეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა ჯამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

გერითები სოფელი, თეიმურაზ მეფემ უბოძა იოთამ ამილახორს ([1626—32]. Hd—9429).

გერტაული ციხე არაგვზე ციხე გერატაულის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

გვაზაური გვაზაურში ცხოვრობდნენ [საეკლესიო გლეხები] გიორგი ნადარაია, მახარობელა ფანცულაია ([XVII]. Hd—11221).

გველდეს-ორბეთი საყაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ დაუბრუნა იგი იორამ საყაძეს. გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ ეს სოფელი სახასო იყო (1652. Hd—13956).

გველ-ფარეხა ნ. არწევანი (1457. ისტ. საბ., II, გვ. 11).

გვერდის-უბანი აქ მცხოვრები იოვანე გუერებაშვილი, ბეჟიტა შიშნაშვილი და ქავთარაი ბურთიაშვილი მამულებითურთ სიმონ მეფემ შესწირა იტრიის სიონს (1584. Sd—2909).

გვერდის-ძირი გვერდის-ძირს ვეძის-კევში მდებარეობდა ვარცანის მონასტერი და სოფელი ვეძისკევი (1579. Sd—464).

გვეძინეთი (გუეძინეთი). ედიშერ (ციციშვილს) პაპუნასთან გაყრისას ერგო გვეძინეთში მცხოვრებნი: ბერი გაჩიტაშვილი, გელა ჭედლისშვილი, ბიძინა სისაური, გიორგი ჭულუკასშვილი, სეხნია მრაქველი, დათუნა ნინიასშვილი, სეხნია ლოლაძე, ბერი ღომღაძე თავიანთი მამულებით; პაპუნას კი ერგო: დათუნა სისაური, თევდორა ჭედლისშვილი, პაპია შოშიტაშვილი, მამუკა სისაური, კაკონა გელიასშვილი, გიორგი ქიბაძე, გოჩია ნინიასშვილი, მახარა ღომღაძე, ჭუმსია ლოლაძე მათი მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).—გ უ ე ძ ი ნ ე თ ს. ციცის 14 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ა).

გვიმბრალი ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა ციხისთავე იოვანე ომადმანიძეს ადგილი „სააჯანგის ღელეს აქეთ ჯაუშიასა და გვიმბრალის ბოლოზე, ტაჩხურას ღელეს ზეით, ნახშირის ღელეს და ჭიშურას შუა, ჭიშურას ჩასართავამდის“ ([XVII]. Sd—1789).

გვირგვინეთი ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

გზატი საკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს. გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ იგი სახასო იყო (1652. Hd—13956).

გიბითი აქაური ესაძენი ადრე შეწირული იყვნენ მთის წმიდა გიორგიs ეკლესიისათვის. ეს შეწირულება შემდეგ განაახლა ბაგრატ მეფემ (1491. VIII.20. Sd—2898).

გოგოას წყარო იყო მამუჩი ჯავჯავაძისა და წინა-საგარეჯოელთა შორის სადაო მიწების ერთ-ერთი საზღვარი (1654.1.2. ისტ. საბ., IV, გვ. 34—35).

გილანი გიორგი მეფემ, მისმა შვილმა ბაგრატმა, ძმებმა ლევანმა და სულეიმანმა, ნიკოლოზ კათალიკოსმა, თეიმურაზ და აშოთან ბატონიშვილებმა, გივი ამილახორმა, პაპუნა-ბეგმა, ვახტანგ მდიანბეგმა, დავით ერისთავმა, იასონ ერისთვისშვილმა, იოსებ მთავარეპისკოპოსმა, მანგლელმა და მროველმა სთხოვეს პატრიარქ დოსითეოსს დაეხსნა იერუსალიმის ქართველთა მონასტერი ვალებისაგან. ამისათვის ისინი შეპირდნენ პატრიარქს 60 ათასი მარჩილის მიცემას და გილანს აბრეშუმის საყიდლად გაგზავნეს კაცები, რომელთაც შემდეგ ოზმირში უნდა გადაეყიდათ აბრეშუმი და აღებული ფული დოსითეოს იერუსალიმის პატრიარქისათვის მიეცათ ბურსაში ან სტამბოლს ([1676—96]. აქტები, 1, 26—27).

გიორგანი მცხეთის სვეტიცხოველის სამკვიდრო მამული, სოფელი ვეძისხევი და ფაშანი „სრულად მისის შენობით“, ხევთუბანი და გიორგანი -- ორივე ხევი მაღლა მთიდან დაბლა თეთრა-კლდემდე, რაც სავეძო არის, ხევს „გამოღმა“ გრემის „კერძად“ ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა ყარა ასლანს. ნიკოლოზ კათალიკოსის ჩარევის შემდეგ მეფემ სვეტიცხოველს დაუბრუნა თავისი სამკვიდრო გიორგანი ([1574—1605]. Ad—614, 786).

გიორგიწმიდა (გიორგიწმინდა) მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სოფელი, გიორგიწმინდა შესწირა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1428.1.21. Sd—2882, 2883). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

გლდანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს გლდანში ღაჭიაძეების შეწირულება (1579. Sd—464). — გლდანისა და ავჭალის წყლის თაობაზე დავა ჰქონდათ ჯანდიერებს იოთამსა, შიოშსა და ყაფარბეგთან. ჯანდიერებმა პირობა მისცეს მათ ღომსაურის რუს დათმობისა, თუ წყალმცირობის დროს ავჭალის წყალს არ დააკლდებოდა ([XVII]. Hd—14977). — აქ ცხოვრობდნენ ზაალ ჯანდიერისშვილის ყმები ([XVII]. Hd—14912-დ).

გოგალური ანდუყაფარ ამილახორისშვილმა დათუნა ტარიჭაშვილს უბოძა ოთარასშვილის ნაქონი მამული გოგალურს ([1676—96]. VIII.S. Ad—1203).

გოგანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი გოგანი (1579. Sd—464).

გოგარჩლუ წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] შოშილეთისა და ახალშენის ფარდად ([XVII]. Sd—1936. 1922).

გოგასგუერდი (გოგასგვერდი, გოგადგვერდი) ნასოფლარი თრიალეთში, სხვა

ნასოფლარებთან ერთად, „დიდმა ბატონმა“ ლუარსაბმა შესწირა იგი სვეტიცხოველს. შემდეგ კი უბოძა სვეტიცხოველის აზნაურს ზურაბ ელიოზისშვილს, რომელსაც აბაშ ბარათაშვილი გამოედავა მათზე, მაგრამ, მორიგების შედეგად, ისინი ზურაბს დარჩა (1657. Qd—2153).—[კათალიკოსმა] იოანე დიასამიძემ გოგასგვერდელთ მისცა ხელშეუვალობის წიგნი (1697.IV.23. სოც. დოკ., I, № 142). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — კათალიკოსმა მისცა სერაპიონ მანგლელს მთასა და ბარში გლეხები, განუსაზღვრა: ვაკე, ღორისთავი, გოგასგუერდი ([XVII]. Qd—1605). — გოგადგვერდს ეწერა 7 სახასო მოლაშქრე [XVII]. Ad—1631).

გოგასწყაროო ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული მარმაროვა, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო გოგასწყაროო (1579. Sd—464). — გოგასწყარო ერთ-ერთი საზღვარი იყო კათალიკოსის სახასო სოფლების ბუშატისა და ვანთისა (1654. Hd—8389).

გოგი ბაგრატ [იმერთა] მეფემ უბოძა არჯევან აეშანდაძეს სატყისმცველოდ ადგილი სკანდასა და გოგს დაღმა, იქ, სადაც ძევრის წყალი ერთვის ყვირილას (1452. Sd—521).

გოგიას კევი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელ ოროტას შეწირულება საზღვრებით: „მოლამურთ ჩატანებასა მუხრაულთა პირ-პირ გოგიას კევამდე. უნაგირას ქვას ქვეით გარდაკვეთილამდე“ (1579. Sd—464).

გოგილანი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd — 8712),

გოგისოფელი სიმონ მეფის დელეშამადასადმი გოგისოფლის წყალობის წიგნი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებული ასლანის ძმისწულის სამაშულო წიგნების ნუსხაში (1691. 1. 2. Sd—1931).

გოგის ფლატე ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ჩეკურნი, რომლის ზემო საზღვარი იყო გოგის ფლატე (1579. Sd—464).

გოგატაური სასახლე გიორგი [იმერთა] მეფემ უბოძა დავით წულუკიძეს (1570. Hd— 2270).

გოგოდურის სამანი პაპუნა შატბერასშვილმა მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს მისცა წიგნი მიწის თაობაზე, რომელიც მდებარეობდა „თამთის წყაროს გამოღმა. გოგოდურის სამნის ბოლოს“ ([XVII]. Qd—9037-მა).

გოგოეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

გოგოთი სააკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ სააკაძეს გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო იყო (1652. Hd—13956).

გოგოლაურის ნაფუძარი მანუჩარ თუმანიშვილმა ჯიმშიტასაგან ნაყიდი ბიჭები დაასახლა გოგოლაურის ნაფუძარში (1657. Ad—962).

გოგორაული მამული გოშფარ [ჯავახიშვილს] როინთან გაყრისას ერგო ხანდაკში გოგორაული მამული ([XVII]. Qd—605).

გოდბარეჭი თეიმურაზ [კახთა] მეფემ სახლთ-უხუცეს იესე ჯორჯაძეს უბოძა მამრეკი და გოდბარეჭი (1662. Qd—1787).

გოდოგანი აქ ამოწყვეტილი გიორგი ივანწკეპლაძისეული გლეხები — ფუძედ ორი და კვამლად ოთხი ბაგრატ [იმერთა] მეფემ უბოძა საყდრისშვილ ივანე ცირღილაძეს (1545.VII.19. ქუთ. მუზ. № 745).

გოზალბეგათ-მიწა ანტონ ვეციკაშვილმა მიჰყიდა ქოქოლას და მის შვილებს თავისი ნასყიდი „მიწა დაპალათ-თავი, გოზალბეგათ-მიწის ბოლოს შარამდინ და ბოლოს ფშნის გასავლამდინ და იქით გუერდი ფშნის პირამდინ“ (1623. Sd—39).

გოლგოთა ქართლში; შედიოდა სამთაოწელის სამწყსოში (1459. Ad—559. 604).

გოლგოთა მონასტერი იერუსალიმში, გიორგი [იმერთა] მეფემ წმიდა გოლგოთას შესწირა საზანოში 3 კომლი გლეხი ხელშეუვალად და განუახლა მას სხვა შეწირულების წიგნებიც (1619. Hd—11273). — ბ. იერუსალიმი ([1650—58]. Hd—11207).

გომარეთი ნაოკარი, უბოძა როსტომ მეფემ სამკვიდროდ ჰასანბეგ ბარათაშვილს (1633. ქ.-სპ. საბ., № 39).

გომარეული იყო ერთ-ერთი საზღვარი ბეჟან თუმანიშვილის მიერ ხელთუბნის მონასტრისადმი შეწირული მიწისა (1677.XI.20. Hd—9652).

გომთ-წყალი ჭერემის წყალთან გომთ-წყალის შესართავი იყო მამული ჰავეჰაძისა და წინა-საგარეჯოელთა შორის სადავო მიწების ერთ-ერთი საზღვარი (1654.1.2. ისტ. საბ. IV, გვ. 34—35). — მისი შესართავი ჭერემის წყალთან იყო კათალიკოსის სოფლების ბუშატისა და ვანთის ერთ-ერთი საზღვარი (1654. Hd—8389).

გომი (გომნი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულებისა და სითარხნის წიგნი (1559. საისტ. კრებ. III, გვ. 118—121), — სიმონ მეფემ სამოურაოდ მისცა პაპუნა მაღალაძეს (მაღალაძეებს ივი სიმონ მეფის პაპისაგანაც ჰქონდა ნაბოძები). (1561.IX.10. Qd — 6994). — ქრისტეფორე კათალიკოსმა გიორგი მიწობლიძეს უბოძა გომნი სამოურაოდ და 1 კომლი კაცი დათუნა ოქროპირისშვილი ყმად (1619.V. 4. სოც. დოკ., I, № 21), — სამოურაოდ ჰქონდა მიწობლიძეს, ქრისტეფორე კათალიკოსმა იგი უბოძა სამკვიდროდ და სამოურაოდ ხუცია, იოვანე, სეხნია და ზაალ მაღალაძეებს (1624.VIII.17. Ad—1756). —ერთობით გომელნი მოწმეები არიან თამაზას მიერ ბერი გოგიაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1668.V.9. Ad—1372). — დემეტრე და ზაზილა მაღალაშვილები გომის მოურაობაზე დავობდნენ. დომენტი კათალიკოსმა მათი დავის გარიგება არჩილ მეფეს სთხოვა ([1660—75]. Ad—1797). — ნიკოლოზ კათალიკოსმა გომს დადგა მარანი და საწნახელი (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — გომი სამოურაოდ უბოძა ნაზარალიბანმა სახლთ-უხუცეს რევაზ მაღალაძეს 1692.III.11. Qd. 1344). გომს მცხოვრები გლეხი ოქროა ხახანაშვილი მისმა ბატონმა ზაქარია ზუნბულიძემ მიჰყიდა ქადაგ არქიმანდრიტ ნიკოლოზ მაღალაძეს (1697. Qd 7025). — გომს ეწერა 31 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

გომის წყალი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შე-

წირული მარმაროვა, რომლის საზღვარი იყო გომის წყლისა და ჭერემის კევის შესართავი (1579. Sd—464).

გომიჯვარი (გომისჯუარი) აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 5 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534—ბ). — თურმანმა უბოძა დავით გაბადიძეს თელად-გორისა და გომისჯუარის მოურაობა ([XVII]. Hd—8794—ა).

გონბორი ლეონ [კახთა] მეფემ თავისი ქალი „უხვედროდ" მიათხოვა ბაგრატის შვილს ერეკლეს. სვიმონ კათალიკოსმა რჯულის წესით გამოიხსნა მეფის ასული. ამის სანაცვლოდ ლეონმა შესწირა [სვეტიცხოველს] „მთას აქეთ" საგარეჯო, გაათავისუფლა იგი სამეფო გამოპაღებისაგან; შესწირა აგრეთვე გონბორს „გარეთ" ნახევარი ცხვრის საბალახე" (1548. Ad—1585).

გორაკას მიწა მისი მესამედი საქვენაჭროდ ერგო მანუჩარსა და შიოშიშვილს ([XVII]. Sd—3653).

გორაკი ბერუკა მიქელაშვილმა მიჰყიდა მარქარასა და მის შვილებს გორაკს დღენახევრის მიწა (1699.XII.1. Hd—11049).

გორამიყარი ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა არსლან ჯანდიერიშვილს სამკვიდროდ გორამიყარში გოგოღლასეული 2 კომლი (1584.VII.7. სოც. დოკ., 1. № 506).

გორანა ალექსანდრე კახთა მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული (სოფელი) გორანა (1579. Sd—464).

გორი დავით მეფემ უბოძა ეზოს-ჩურჭჩარს პაპაიას ქისიყისეული მამული გორში (1365. Hd—2199). — აქაური მამულებისა და ვაჭრების შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — გორის მოურავი იყო ავთანდილ ზევდგინიძე (1429. Hd—11634). — ალექსანდრე მეფემ ავთანდილ, თაყა და ზევდგინ ზევდგინისძეებს უბოძა გორის მოურაობა (1430. Hd—1348). — სოფლები აქეთი და იის ციხე გიორგი მეფემ უბოძა ზაქარია, ზაზა და კახა ჯავახიშვილებს და გაათარხნა ეს სოფლები სამუშაობეგარისა და გამოსაღებთაგან, მათ შორის გ ო რ უ ლ ი და ატენური გადასახადებისაგანაც (1463.IX.2. Hd—1347). — აქ მოსახლე არმაზ ფეშრუკაული და დიაკონისძენი მამულებითურთ დავით კათალიკოსმა უბოძა მახარობელ მაღალსძეს (1470. Hd—1352). — ერისთავმა ვამიყ შაბურისძემ გაათავისუფლა ხანდაკელები გორის გამოსაღებთაგან (1494. VI.24. Ad — 873). — გორი მოხსენებულია ორ საჩივრის წიგნში ([XV]. Hd—1799, 14903). — დავით მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა გორში მცხოვრები ჯამბეგაშვილი, რომელსაც წლიურად უნდა გადაეხადა გორული ლიტრით: მატყლი — 400, ზეთი — 24, ცვილი — 9, მანვე შესწირა მცხეთას აგრეთვე გორში მოსახლე მოლარე ჩეხატურა ეეფხუაშვილი, რომელსაც მისცა დიმელაური მამული და ვენახი და რომელსაც [სვეტიცხოვლისათვის] უნდა გადაეხადა გორული ლიტრით ზეთი — 5(1524. ისტ. საბ., II. გვ. 32—33). — სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ატენში ძველად შეწირული გ ო რ ე ლ ე ბ ი, აგრეთვე გორში მცხოვრები ვაჭარნი და გლეხნი სახლ-კარ-ქულბაქ-მამულებითურთ (1559.XII.1. Ad—1572). — ნებატან-დარეჯან დედოფალმა უბოძა გიორგი საყაძეს გორში აბოვაი ნირნიკასშვილი ([1570—75]. საისტ. კრებ., IV, გვ. 70—71). — გორში სვეტიცხოვლის ყმები სვიმონ მეფემ გადასახადებისაგან გაათავისუფლა (1583. Hd—1374).—ქალაქსა

(თბილისსა) და გორში დადებული ვალის გადასახდელად შანშე ჯავახიშვილმა პაატა ბესაღაშვილი მამულითურთ მიჰყიდა გიორგი ცალქალამანიძეს ([1609 წ.-ის ახლოს]. Hd—7567). — გიორგი [იმერთა] მეფემ დაუმტკიცა ბოქაულთ-უხუცეს დავით დავითიშვილს გორში 2 ვაჭრის — მერაბას და უნანას მფლობელობა ([1615—19]. Hd—14633). — სიმონ მეფემ რომ გორი აიღო, ამის მახარობლად ყაენთან [ჯავახიშვილი] გაგზავნა და გორის კლიტეებიც მას გაატანა ([1599]. Hd—2272). — თეიმურაზ მეფემ კეთილმოყვრობა აღუთქვა გორის მოურავს ოთია ამილახორს ([1626—32]. Hd—2128).—ამილახორის სადროშოში შედიოდა, „რაც გორს ზედათ ან სადედოფლო" იყო, „ან სუეტისცხოველისა და იელუსარემისა" ([1626—32]. Hd—2124). — გორელ ტერტერებს თეიმურაზ მეფემ მისცა სითარხნის წიგნი (1630. მატენად., ფ. 252, № 1[1]). — თეიმურაზ მეფემ გორის მოურავს იოთამ ამილახორს არადეთის სანაცვლოდ უბოძა სურხან თურმანიძის კერძი მამული (1631. Hd—2122). — აქ მოსახლე სომეხი აკოფა და მისი სახლი თეიმურაზ მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1631. ისტ. საბ., IV, გვ. 15—17).—გორელმა მანდატურთ-უხუცესმა თაყა ანდრონიკაშვილმა იყიდა მარიხ ჯავახიშვილისაგან გარდატენს ვენახი — საბასო ზვარი, კოკოზაშვილის მამული და ურიცხს ამიშაშვილის მამული (1634. Hd—7608—1).—გორელი მეკარე ფარღუზათ გიორგიშვილი როსტომ მეფემ გაათარხნა სამეფო გადასახადებისაგან (1636. IX. 24 Hd—1558). — ნ. ჯიგრაშენი (1636. Qd—1988).—გორელი ფირალი, როსტომ მეფის სალაროს მუშრიბი დამწერია როსტომ მეფის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული სარგოს საბეჭდავის წიგნისა (1638.VII.2. Hd—14602). — გორი მოხსენებულია როსტომ მეფის მიერ გაცემულ მამულის წყალობის წიგნში (1641.II.24. Hd—14434). — როსტომ მეფემ გაათარხნა ხუდადა აშანმაშანაშვილი სავაჭრო ბაჟისაგან ქალაქს (თბილისს), გორში და სხვაგან (1649.III. 21. Hd—13143) — გორელი მირიან მოწმეა გოგიჩაიშვილისა და სხვათა მიერ მესახსტურაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1649.VII.25. Hd—5306). — როსტომ მეფემ გორელ ხითარაშვილს მისცა ყმების წყალობის წიგნი (1649. სოც. დოკ., 1, გვ. 44). — გორის მამასახლისი ალიბეგი მოწმეა ხარატაშვილის მიერ ენდრონიკაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1650. Hd—6441). — მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს თაყასა და ბირთველთან გაყრისას გორში ერგოთ: პაპინა ასატურაშვილი ყმა-მამულითურთ, არუთინა ძმით, ბარილუსა, ალიხანა, შურდასანგა, ჭარუა, ნაზერევის მეთხუთხედი, ახალციხიდან მოყვანილი ნურ-აღა, 2 თვალი წისქვილი და ივანა მეწისქვილე. აგრეთვე როსტომა წატურასშვილი ყმა-მამულითურთ ([1632—51]. Hd—14665). — ნოდარ ციცისშვილმა გორელ ალიბეგ და გაბრიელ ენდრონიკასშვილებს დაანება გარდატენს ამიშაშვილისაგან ნასყიდი ზვარი და კოკოზაურის მამული (1653. Hd—7608-2). — როსტომ მეფემ გორელ ენდრონიკაშვილებს უბოძა ზვარი და კოკოზაური მამული ([1653 წ.-ის ახლოს]. Hd—7608-3). — როსტომ მეფემ ანდუყაფარ ამილახორს მისცა [ზემო ქართლის] საღროშოს სარდლობისა და გორის მოურაობის განახლების წიგნი (1656. Hd—2127). — გორელი ვაჭარი მირიან ქამალაშვილი შანავაზმა გაათარხნა, სამეფო კარის სამსახურისა და სათათრო საურის გარდა (1659.III.17. Hd—13064). — აქ მცხოვრები წატურაშვილი როსტომა თაისი

ყმოთა და მამულით, ჭარუა და ალიხანა თავთავიანთი მამულებით, ნაზვრევის მეოთხედი წილად ხედა ჯიმშიტა [თუმანიშვილს], ხოლო ივანა მეწისქვილე, არუთვნა პაპია ასატურასშვილი და ბარილუსა თავთავიანთი მამულებით—მანუჩარს (1656. Hd—12650, 12648, 11852, 11789, 11714, 11792, 11791, 11709). — გორს მამასახლისი გოდერძი მოწმეა გიორგი შატბერაშვილის მიერ თაყა თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1657.1.10. Hd—13051).— გორში ცხოვრობდნენ სვეტიცხოველის ყმები; დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს ადგილი გორში ციხისძირზე ლიახვისაკენ, „გორს აქეთ“ ხოდაბუნი. გორის მხარეზე ზედგინიძე, გორში დათუნა ბერაძე (1660.V.1. Sd — 2913). — შანავაზმა უბოძა გორელ ქამალაშვილ-სუმბატაშვილებს მათი საყდრის გარშემო დუქნები, რომლებიც მათ ობლობაში დაუკარგავთ; მანვე უბრძანა გორის მოურავს ამ წყალობის სისრულეში მოყვანა (1661.IV.16. Hd—13026). — გორელი იყო სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი ფირალ ყანდურალიშვილი (1661.XII.18. ქ.-სპ. საბ., № 126). — გორელი იყო იარალ ყანდურალისშვილი, სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი (1661.XII.27. ქ.-სპ. საბ., № 127), — ტფილისიდან, სომხით-საბარათიანოდან, თრიალეთიდან, კახეთიდან თუ მგზავრი გორში ჩამოვიდოდა, გორის მებაჟეს მისგან აღებული ბაჟის მესამედი სვეტიცხოველის მებაჟისათვის უნდა მიეცა ხოლო თუ სამცხიდან ან იმერეთიდან ჩამოსული მგზავრი გორში მივიდოდა და ივაჭრებდა, კათალიკოსის მებაჟეს ბაჟი არ უნდა გადაეხდევინებინა მისთვის (1662,V.24. აქტები, 1, გვ. 20). — გორში მცხოვრები სუბატაშვილი და გოგინაშვილი მამულზე დაობდნენ, გორში მყოფმა გივი ამილახორმა მოდავეებს მამული ერთმანეთს შორის გაუყო და შეარიგა ისინი (1664. Hd—13141). — გორის მამასახლისი დავით მოწმეა ესტატეს მიერ თავის განაყოფ ფარსადანისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1665. Qd — 195). — ნ. ბადაბეთი (1666. III 30. Qd — 2745). — როსტომა და აეთანდილ წყაროშვილებმა გორში იყიდეს საწისქვილე მამიჯანა მეფისაშვილისაგან; გორის მამასახლისი გოდერძი მოწმეა გივი ამილახორის მიერ ბაინდურ თუმანიშვილისათვის მიცემული წისქვილისა და რუს წყალობის წიგნისა (1669. Hd—2029).— გორელმა ამირაღასშვილებმა მიწა იყიდეს ტინისხიდელ პაპუნა ლალასშვილისაგან (1671. Hd — 6270). — იესე ერისთავმა აშოთან ბატონიშვილს და მის შვილებს, ჭაიხოსროს და იესეს, უბოძა ბასილა იორდანეშვილი, რომელიც იესე ერისთვისაგან ადრე ჰყავდა შესყიდული მის ყმას გორელ გოგინა ქოქილასშვილს (1672. სოც. დოკ., 1. № 70). — გორის მამასახლისი იყო [ზალია] (1675. Sd—33). — გორის მამასახლისი დავით ენდრონიკასშვილი მოწმე და დამწერია პაპუა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა; გორში მცხოვრები მამუკა მუსეფირისშვილიც მოწმეა ამ ნასყიდობის წიგნისა (1678. Hd—10203). — გორის მამასახლისი დავით დამწერია გივი ამილახორის მიერ ტერ-კარაპეტასშვილ ტერ-დავითასათვის მიცემული სამოურაოს და ულაყის ამოკვეთის წიგნისა (1679. მატენად., ფ. 252, № 8). — მარიამ დედოფალმა გაათავისუფლა თბილელის ყმები: ტატუნაშვილები, ამირანიშვილები, ბეგლიკაშვილები, სარუხანა ნოდარაშვილი გორში ბაჟისაგან ([1634—1680]. Sd—765). — გორში მცხოვრებმა ზალიანა მეფისაშვილმა იყიდა [მიწა] ტოხელ გოგიბასშვილისა და სამწია სიმენ-

დასშვილისგან (1681.1. II. Hd—9430). — გორისა და ოქონის ხატის დეკანოზის მარკოზის შვილები: დავით, გარსევან და თამაზ მოხსენებული არიან საბუთში (1681. VI. Sd—546). — გორელმა ზალინა მეფისასშვილმა იყიდა სამნია გოგიბასშვილ-სიმენდასშვილისაგან სამკვიდრო მამული (1681.II.1. Hd—9436). — თარალისშვილები იყვნენ გორელები, გორის მამასახლისი იყო დავითა (1682. Sd—568). — გორის ვაჭრები: როსტომასშვილები, ალიხანასშვილები, გოგინასშვილები, შიხინასშვილი, გივინასშვილები, ზირაქასშვილები და ჭურიკასშვილები მამულებითურთ გიორგი მეფემ უბოძა დავით ქსნის ერისთავს, მის ძმას რევაზს და ბიძაშვილებს ლარგველსა და დათუნას (1683.1.21. Hd—2342). — გორში ნაზვრევის ნაწილი ბეჟან [თუმანიშვილმა] მიჰყიდა თავის ბიძაშვილს ზურაბს (1683. Sd—44). — გიორგი მეფემ გორელებს უბოძა ულაყის სითარხნე და ზედაველის მთა, ვერის ხევი, სკრის მთა და ბურეთი (1683. Qd—1970).—ახალდაბელმა გიორგი ხოსრუასშვილმა მიწა მიჰყიდა გორელ ნასყიდა ბერაძეს და მის შვილებს (168[6].1.10. Ad—971). — ფარსეღ ეპისკოპოსმა გაუცვალა ოთარ თუმანიშვილს ხოსიტასეული მიწა ხელთუბანს გორის ნაზვრევში (1686. მატენად., ფ. 252, № 9). — ტინისხიდელმა ზალი ალაშვილმა გორელ მამულა ჭუკასშვილს მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მიწა. ამისი მოწმენი არიან გორელები: ფიბინა ბასინასშვილი და კირაკოზა ყირმიზასშვილი (1688.XII.1. Hd—6107).— ბეჟან თუმანიშვილმა მიჰყიდა ყალანდარ თუმანიშვილს გორში ყმა დევადიშვილის სახლ-კარი (1688. Sd—43). — გორელნი მოწმენი არიან ერთი გარიგების წიგნისა (1688. Sd — 18). — გორელ მებატონეს თავისი ცოლ-შვილი და თავი ნასყიდად დაუწერა შიო კელესარიძემ (1690.III.15. Hd—14788).—კიტარაშვილი ხითარა და მისი შვილები ბერინა და მარტიროზა გორელები იყვნენ: გორელი მამასახლისი იყო ზურაბ ხითარაშვილი (1690.IV.6. Sd—552). — გორში ცხოვრობდნენ სოლაღა ერთიერაშვილი და ავრანაშვილი (1690.V.13. Sd—555).— ახალდაბელმა გიორგი ხოსრუაშვილმა მიჰყიდა გორელ ნასყიდა ბერაძეს მიწა (1691.1.10. Qd—9037-ოგ). — ერეკლე მეფემ გორის მოურაობა უბოძა ოთიას [ოთარ ამილახვარს], რომელსაც შემდეგ ორგულობისათვის იგი გიორგი მეფემ წართვა და გივი ამილახვარს უბოძა (1692.IX.10. Hd—2134).—ნაზარალიხანმა იოთამ ამილახვარს უბოძა გორის მოურაობა (1692.IX. ქ.-სპ. საბ., № 150).—ნ. განჯა (1697.III. 20. Hd—2268). — გორელი ბეჟუა გასპარაშვილი მოწმეა ბერიკა ოთელასშვილის მიერ პაპუა გიორგისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697.III. Hd—6305). — გორის მამასახლისის შვილი ფარსადან მოხსენებულია ერთ საბუთში (1697.VII.10. Sd—552-ც). — ზემო ქართლის სარდალმა, გორისა და ქრცხილვანის მოურავმა იოთამ ამილახორმა უბოძა თაიის ნამსახურ ყმას დათუნა მზალაძეს ყმა-მამული (1698.II.18. Ad—1059),—ნოდარ ფანასკერტელ-ციციშვილის შვილები: ვახტანგ, პატა, ამილღამბარ და მათი შვილები: ზაზა, დომენტი, სებნია, ედიშერ, ციცი, ნოდარი. გორელებს: დავით მდივანს, ზურაბ მამასახლისს, ავთანდილ გორგიჯანასშვილს. ძველ მამასახლის გაბრიალას, მამუკა როსტევანისშვილს, საკო ტერქორასშვილს, ბეჟან შიხიბებგიშვილს, ფეშანგი თაყინასშვილს და სხვებს არ აძლევდნენ თავიანთ მთაში ტყით სარგებლობის უფლებას. გორელებმა ნებართვა სთხოვეს ნაზარალიხანს, რომელმაც დააკმაყოფილა ისინი (1699.II.24. Hd—1351). — ახალციხიდან გორში მო-

ყვანილი ნურალა (ნუსალა?), ნაზვრევის მეოთხედი, აქაური წისქვილი წილად ხვდა ჯიმშიტა [თუმანიშვილს] [XVII]. Hd—11920. 13304, 11716). — გორში წისქვილი წილად ხვდა მანუჩარს ([XVII]. Sd—862). — გორის ზვარში სამუშაოდ ნაზარალიხანმა ელიზბარ დავითიშვილს 30 მუშა მოსთხოვა 3 დღით ([XVII]. Hd—10348). — ტფილისს მოსახლე საბატონო [უმას] გრიგოლაშვილს სურდა გორში გადასახლება ([XVII. Hd — 14990).

გორინჯუკი დმანისის კეცში, როსტომ მეფემ სამკვიდროდ დაუმტკიცა ჰასანბეგ ბარათაშვილს გორინჯუკში მისი საკერძო გლეხები და მამული (1633. ქ.-სპ. საბ., № 39).

გორისა როსტომ მეფემ დაუმტკიცა ზაალ ჯომარდიძეს მისი სამკვიდრო სოფელი გორისა (1633.IV.21. Hd—14675). — გორისაში ლევან აბაშიძეს ჰყავდა 4 გლეხი და ჰქონდა 1 პარტახტი, რომელიც „ქართველმა ბატონმა" მისცა ფალავნისშვილს. შემდეგ იგივე ქონება დიმიტრი [იმერთა] მეფემ ქაიხოსრო და პაატა წერეთლებს უბოძა (1663. Sd—514). — გორისაში ცხოვრობდა წმიდა გიორგის 6 კომლი თარხანი ყმა ([1658—75]. Hd — 14534-ბ). — იმერეთში გამეფებულმა „ქართველთა ბატონმა" ლევან აბაშიძის ყმა-მამული გორისაში — 4 კომლი და 2 პარტახტი, არგვეთში ხარშილაძე — უბოძა ფეშანგ ფალავნისშვილს. იმერეთი რომ ხონთქარს დარჩა, ფალავნისშვილის თანხმობით, ეს ყმა-მამული სებნია ჩხეიძემ ქაიხოსრო წერეთელს დაანება ([1660-იანი წლ]. Hd—2179). — აქ ყვედა ლევან აბაშიძეს ყმები: 3 კომლი შეყრილასშვილი, 2 კომლი ნადირაძე და ჰქონდა ბეგიასეული პარტახტი ([1660—81]. Sd—516).

გორის გზა. გორის გზაზე, თამთის წყაროსთან მდებარეობდა მიწა, გაყიდული პატა შატბერაშვილის მიერ (1665. Sd—54). — „გორის გზაზე" მდებარე მიწა იყიდა ბერიკა ბესიაშვილმა (1669. Sd—11). — გორის გზაზე მდებარეობდა პაპუნა შატბერაშვილის გაყიდული მიწა (1669. Sd—30). — „გორის გზის დიდი მიწის მეოთხედი" იესეს მიწამდე ერგო მანუჩარს და შიოშვილს ([1670]. Hd—12338). — გორის გზისაკენ ხელთუბანთან მდებარე მიწა ქრისტესიამ მიჰყიდა ზურაბ [თუმანიშვილს] (1675. Sd—55). — სვენელმა მაზიტა იმამაშვილმა მიჰყიდა თუმანიშვილებს თავისი სამკვიდრო მიწა თაყას მიწამდე და გორის გზამდე (1675. Qd—-9037-როზ)—იმრაშვილებმა ზურაბ თუმანიშვილს მიჰყიდეს მიწა, რომელიც მდებარეობდა გორის გზა[მდე] (1678. Sd—473).

გორის პირი გორის-პირს სოფელ არაშენდას შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს გორის პირას ზემო ახალდაბის შეწირულება (1559. XII.1. Ad—1572).

გორის-უბანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს გორის-უბანში მცხოვრებელი წუალთველაშვილის შეწირულება (1579. Sd—464).

გორის ღვთისმშობელი (ეკლესია). ფარსადან სუმბატაშვილს სამკვიდრო ჰქონდა გორია ღვთისმშობელთან; იგი ხან ფარსადანია განაყოფა — როატევანაშვილა ეკვრა, ხან მეფეთაგან იყო გაცემული წიგნით (1695. Hd—13167).

გორის ციხე ყვარყვარესაგან გამოქცეულმა კოსტანტინე მეფემ თავი გორის ციხეს შეაფარა, სადაც იგი გაამაგრეს ხაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებ-

მა (1466. Hd—2007). — კოსტანტინე მეფემ გორის ციხეში ვალადემურიშვილები მეციხოვნეებად დააყენა ([1479—1505]. Sd—480). — დომენტი კათალიკოსმა ხუდადა ხოჯაშვილს ადგილი უბოძა გორში ციხის ძირზე ლიახვისკენ (1660.V.1. Sd—2913). — ქართლში ორმეფიანობის დროს ფარსადან სუმბატაშვილი ცოლ-შვილითურთ გორის ციხეში შეიხიზნა (1695. Hd—13167). — გორის ციხის დასაცავად იბრძოდა იოთამ ამილახვარი, მაგრამ ციხეს ალყა შემოარტყა გიორგი მეფემ. ნაზარალიხანმა მითითება მისცა ამილახვარს დაეტოვებინა გარემოცული ციხე (1695. ჭ.-სპ. საბ., № 156). — თექთუმან თექთუმანიძეს გორის ციხის მეთოფის ვალი დაედო. ამის გამო მან ზაალ ქარუმიძეს თავისი მამული — რენე მიჰყიდა (1699. Hd—1553).

გორისჯვარი (გორიჯვარი: წმინდა გიორგის ეკლესია) სიმონ მეფემ შესწირა გორისჯვრის წმიდა გიორგის ეკლესიას ფარისისა და ზურაბ თაქალაშვილთა და დემეტრეს კერძი მამული ტინისკიდურ ჭალაში და თავისთვის წირვა-ღაწი გაიჩინა (1590. Qd—430). — გორიჯვრის წმ. გიორგის დეკანოზი მღვდელი ოთარი დამწერი და მოწმეა დავით ზედგინიძის მიერ პაპა ხოჯაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1636. Qd—1988).

გორიჯვარი (სოფელი) თეიმურაზ ხერხეულიძემ პირობა მისცა [ევდემოზ] კათალიკოსს, რომ კარგად მოეპყრობა მისგან ნაბოძებ გორიჯვარში მყოფ ყმას ([1634—43]. სოც. დოკ. 1, № 32).

გორმახვილი ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა იოვანე ომადმანიძეს ადგილი მინდორს აქეთ, სკიპის ღელესა და გორმახვილს შუა ([XVII]. Sd—1789).

გოროვანი წმიდა ევაგრეს მიერ ნასყიდი, მისი შეწირულება გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351).—სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნ. წეროვანი (1559.XII.1. Ad—1572). — გოროვანს ეწერა 6 სახასო მოლაშქრე ((XVII). Ad—1631).

გოროვნა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

გოსტიბე საკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს. გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ იგი სახასო იყო (1652. Hd—13956). — გოსტიბეს მამასახლისი იყო ლაზარა, რომელიც მოწმეა ბარნაბე გორგაძის მიერ გიორგი [საკაძისათვის] მიცემული ჰიჭავისის მამულის ნასყიდობის წიგნისა ([1677—88]. Hd—14446). — გოსტიბელი ლაზარ მოწმეა გიორგი ოთიასშვილის მიერ ტაჩიკაანთ მანველისათვის მიცემული ეენახის ნასყიდობის წიგნისა (1691. VI.12. Hd—5993). — აქ მცხოვრებნი გიორგი ჩაჩანიძე მამულითურთ ბერელას ფარდად და გემაზა გასიტაშვილი მახარას ფარდად, ერგო მოურავსა და ზურაბს ([XVII]. Hd— 11919, 11922). ზაქარია და ტატია ჩაჩანიძეები გიორგის ფარდად. ნასყიდა ჩაჩანიძე რამაზას ფარდად. ცაცუაშვილის მამული ბარატაშვილის მამულის ფარდად წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს ([XVII]. Hd—11919, 11922, 13311. 11819, 12276). — გოსტიბეში მოსახლე მახარა გასიტაშვილი. გიორგი კვირიაშვილი. იევნა ბარატაშვილი. მოხსენებული არიან წილის ბარათში ([XVII]. Hd — 13303). — გოსტიბე მოხსენებულია ჯავახიშვილების მიერ წართმეული ნივთების ნუსხაში ([XVII]. Hd—3592).

გუელდესი ფავნელმა მიჰყიდა შიო-მღვიმის მონასტრის მთავარ მემღვიმეს თევდორეს ([890—918]. Ad—1).

გოჩიას ველი შანშე ჯავახიშვილმა მამისიმედ გოგიჩასშვილს მიჰყიდა გოჩიას ველი — 2 დღის მიწა ქებათ-კარში (1608. Hd—1576).

გოჯა შიო წინამძღვრიშვილმა დომენტი ბუნიათოშვილს მიჰყიდა ჭალის ვენახი საზენაქროდ გოჯას მიდგმამდე (1672. Sd—545).

გრაკალი სოფელი, მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).—აქ ცხოვრობდა 7 კომლი მოსაურე ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ).

გრემი მის „გამოღმა" მდებარეობდა ჩელტი. ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული 2 გლეხი გრემში (1579. Sd—464).—ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბრძანა გრემისა და წალმა-ბაზრის მოურავეთ, რომ არ გამოართვან 1 საპალნე აბრეშუმი ნინოწმიდლის ვაჭარს ნისანას (1591, ქ.-სპ. საბ., № 17). — აქ მოსახლე ნადირა სახლითა და მამულით თეკლა მონაზონმა შუამთის მონასტერს შესწირა (1603 ისტ. საბ., IV, გვ. 3—4).—5. გიორგანი ([1574—1605]. Ad—614. 786).—თეიმურაზ [კახთა] მეფემ ხახულის ღვთისშობლის მონასტერს შესწირა ბაჟი, რომელიც შუამთაში მოსახლე ვაჭრებს უნდა გადაეხადათ გრემში, ბაზარში და სხვაგან ვაჭრობისათვის (1637.VI.9. ისტ. საბ., IV, გვ. 23—25).

გრემისხევი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სრულად გრემისხეველნი მოწმენი არიან მაწია მწერლიშვილის მიერ დაცით ჭანის ერისთავისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1690.V.10. Hd—2708). — გრემისხევი მოხსენიებულია ერთ საბუთში ([XVII]. Hd—4490).

გრძელა ბეჟანს ერგო „გრძელა საზენაქროთ ნახევარი" (1535. Sd—4949). — ძაგანა ტატიასშვილმა მიჰყიდა მამულა დავითასშვილს გრძელაში დღენახევრის მიწა საზღვრებში: „თავს — ბეგის ძირამდის, ბოლოს — იოვანეს მიწის პირამდის, ქვეშოთ — ჯაშიასშვილის მიერ დავითასშვილისათვის მისყიდული მიწის პირამდის, ზემოთ — ნახევარმიწის საზღვრამდის" ([XVII]. Hd—9318).

გრძელას მიწა ნასყიდა გოგშაძემ და დათუნა მეფარიძემ მიჰყიდეს ბერინა ზარიძეს თავიანთი მკვიდრი მამული გრძელას მიწა საზღვრებში: „იქით" ბახჩიაშვილის მიწამდე, აქეთ შაევრდაშვილ ნასყიდას მიწამდე, თავი რუმდე, ბოლო პანდა გორამდე" (1680. Ad—1643, 1643-ბ).

გრძელაური პაპუა შატბერაშვილმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს გრძელაურში თავისი მკვიდრი 4 დღის მიწა საზღვრებით: გვერდები შაქარაშვილის და ბერუას მიწის მიდგმამდის, თავი ბეგამდის, ბოლო შოშიაშვილის მიწამდის (1668. Sd—24). — გიორგი შოშიაშვილმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს თავისი სამკვიდრო მიწა გრძელაურში საზღვრებით: თავი ქიტუაშვილის მიწამდე, ბოლო ლიამდე, გვერდები ბაღჩიაშვილის ნაქონ მიწამდე და ჩალისაკენ ბაბინას მიწამდე (1671. Sd—59).

გრძელი ოსმანას თამაზამ ბერ გოგიაშვილს მიჰყიდა გრძელში თავისი განაყოფის მესამედი [მამული] (1668.V.9. Ad—1372).

გრძელი მიწები იორდანამ მიჰყიდა მერაბ ყორღანაშვილს სასახლე და 4 დღის მიწა: 2 დღისა სასახლის კარში და ორიც „შარას ზედათ გრძელს მიწებში“ (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53).

გრძელი ტბა ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო გრძელი ტბა (1579. Sd—464).

გრძელი ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ჩეკურნნი, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო გრძელი ღელე (1579. Sd—464).

გუარეთი ნ. აზიკუნი (1523. Ad—1299-ა).

გუარამათ მიწა ნ. მილახი.

გუბი ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა ძირმკვიდრ აზნაურისშვილს ეზია იოსელიანს სოფელ გუშტიბში მიწა-წყალი: „გუბის წყალს გამოღმა, გუბის ფონს ზევით, ყენის წყლის შერთვამდის, ჩუნეშის სასაზღვროს დაბლა“ (1647.XII.6. Hd—10147).

გუბის წყალი ნ. გუბი (1647.XII.6. Hd—10147).

გუგულაური შიო-მღვიმის მონასტრის დეკანოზს ნასყიდაშვილს მისცეს ზვრად კასპში გუგულაური (1655. სოც. დოკ., 1, № 58).

გუდალეთი (გუდლეთი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს 1398.XII. Hd—8712). — სოფელი მონასტრით და სასახლით, ამოვარდნილი მოწობლიძის სამკვიდრო მამული, როსტომ მეფემ დაუმტკიცა პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ.. № 53). — საყაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს და მასთან ერთად იქვე მოსახლე ცალქალამანიძეები მათი ყმა-მამულით, აგრეთვე მამაჯაანთ უბანი გუდალეთს ზევით. გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ ეს ადგილები სახასო იყო (1652. Hd—13956). — გუდალეთს ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 2 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — იორამ საყაძე-თარხანმოურავისშვილმა თავის ერთგულ ყმას დეკანოზ რომანოზ მოდრეკილაძეს მისცა 2 დღის მიწა, უბოძა აგრეთვე გუდლეთის დეკანოზობა ([XVII]. Ad—1649).

გუდარეხი (გუდარეკი, ღვთისმშობლის მონასტერი) სიმონ მეფემ დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა გუდარეკის ღვთისმშობლის მონასტერი მისი მამულებითურთ (1586.1.9. Ad—2233). — იესე ბარათაშვილმა გუდარეხის ტაძარს განუახლა ძველი შეწირულებანი და ახლად შესწირა სოფელი ვერხენალი მისი საზღვრებითურთ, გარდა მცოვრეთისა და ღორისთავის სახნავ-სათესისა. და გუდარეხის ტაძრის გვერდით მცხოვრებნი. ბარათაშვილმა შეწირული ყმა-მამული გაათარხნა. ამის სანაცვლოდ გუდარეხის წინამძღვარს მისთვის აღაპი უნდა გადაეხადა (1630.III.4 Hd—14667—ა). — იესე [ბარათაშვილმა] გუდარეკის მონასტერს შესწირა: დეკანოზი ოქროპირ ნამორაძე, მოძღვრისშვილი მოძუღვარი ძმებიანად, მამისგულა ძმებიანად, დათუაშვილი და მისი ძმა, რევაზიშვილი მამუკა, იორამა დიასახლისშვილი, იასონა უდრუცუნაშვილი, მამუკა კაკონაშვილი ([1630 წ.-ის ახლოს]. Hd—14667—გ). გუდარეხის მონასტერი ედავებოდა მიწებზე ღორისთაველებს. გადაწყვეტილების შედეგად, სამ ღორისთაველს:

ზურაბა ფანიაშვილს, გოგია ხუცისშვილსა და ჯიმშერა მექვაბიშვილს — ხატზე უდგა დაეფიცა, რომ ღორისთავი გუდარეხის ღვთისმშობელს გამოსწირეს და პრივატურს მასზე ხელი არა აქვს (1660.V.13. Hd—830). — შაჰნავაზ მეფემ მისცა ოთარ ბარათაშვილს გუდარეხის მონასტრისათვის სოფელ ვერხუნალას შენირულების განახლების წიგნი (1662. Hd—14692). — გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერი შეამკო და შეაკეთა რუსუდან დედოფალმა, რომელიც იქვე დაასაფლავეს. მონასტერში მიეიდა ლუარსაბ მეფე და მას შესწირა 5 თუმანი თთრი სანთელ-საკმეველისა და ზეთის ფასად, აგრეთვე ბედენის პირს მდებარე სოფ. ვერხუნალა და ალგეთის პირას მდებარე სოფ. ხოფისში მცხოვრები 3 კომლი. მეფემ გაათარხნა მონასტრის მამულები და დაუტოვა მხოლოდ ლაშქარ-ნადირობის ვალდებულება, გაიჩინა აღაპი, რომელსაც წინამძღვარი და 9 ხუცეს-დიაკონი გადაუხდიდა ღვთისმშობლის, გიორგობისა და ნათლისღების დღეებში ([1606—1615] Hd—1554-ბ). — თეიმურაზ I-მა შესწირა გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერს უნდილაძის კუთვნილ „აბელის მონაჭერზე“ მოსახლე 3 საკომლო ([1606—48]. Hd—1564, 1554, 10301).

გუდარეხი (სოფელი): შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).—გუდარეხი „წილია გარეშე“ ერგო ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — წინამძღვარმა დომენტი გერმანოზიშვილმა მისცა ჯალოს პურის ამოკვეთის წიგნი გუდარეხელ თამაზა კახისშვილს (1652. Hd—3397). — გუდარეხელნი და ღორისთაველნი ბედენის [მთის] საზღვარზე შეეცილნენ ერთმანეთს. გუდარეხის პატრონს, ოთარ გერმანოზიშვილს ფიცი დაედო. მაგრამ სოლბათ იასაულმა ფიცის გარეშე გააროგა მათი დავა (1653.VI.10. Hd—14671). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — დომენტი გერმანოზიშვილმა გუდარეხელებს დაუდგინა: როგორც პაპაჩემის დროს იყო, ასევე 3 დღის ანეულის მეტი ჩემი არაფერი გემართებათო ([XVII]. Hd—2885).— აქ მცხოვრები რევანდაშვილი მამულითურთ წილად ერგო იესეს ([XVII]. Hd—11901).

გუდელისი სიმონ მეფემ უბოძა ყაფარ სოლაღაშვილის შვილებს მათი წილი მამული გუდელ[illegible]: 2 კომლი და 2 ოხერი ([1581].III.16. ქ—სპ. საბ., № 4).

გულაური ვენახი ზურაბ კვეზერულმა მიჰყიდა თამაზა ტარშაიძაშვილს ვენახი გულაური საზღვრებში: „ბოლო—რიყემდე, ზედათრემდე, გვერდით — გიგაურის მიდგმამდე. აქათ — ღვინიაშვილის მიდგმამდე“ (1695. Ad—1431).

გულაური ჭალა სოფ. მირაშხანში, მოხსენებულია ერთ დოკუმენტში ([XIV] Ad—933).

გულგულა ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიის რუ გაფუჭდა და გულგულაში წყალი არ მიდიოდა. თეიმურაზ [კახთა] მეფემ პირობა მისცა ეკლესიას, რომ გაიყვანს რუს და მოაკვარებს მის დავას მაყაშვილებთან რუს თაობაზე (1641. Ad—52).

გულე-კარი აქ მცხოვრები მიხილია ელიავა ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინტას (1628. Sd—2904). — ასპანა ფაღავამ გაქურდა გულე-კარში მოსახლე ბიჭვინტის ღვთისმშობლის შენაწირი ([XVII]. Hd—1551-ე).

გულიაური პარტახტი ჩუნებში, შესწირა გიორგი [იმერთა] მეფემ გელათს (1568.III.30. Sd—2901). — მამული საყავრეს მცხოვრები ზაქარია ჯავახიშვილის გლეხისა, მოხსენებულია ერთ საბუთში (1624. Hd—14693).

გუნანეთი აქაური დათუნა მახვილაძე საუფროსოდ ხვდა ამილღამბარ [ბარათაშვილს] გუნანეთის მესამედითურთ ([XVII]. Hd—13602). — აქაური მახვილაძე მესამედი გუნანეთითურთ, საუფროსოს გარდა, წილად ხვდა ბეჟან [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd — 13618).

გურია როსტომ გურიელმა შესწირა ბიჭვინტის ეკლესიას მთავარანგელოზის მონასტერი ხიბულა 40 კომლი კაცით, აქედან გურიაში 20 კომლითურთ ([1533—64]. Ad—2218). — იერუსალიმის გოლგოთის მონასტრის მონაზონმა მართამ წერილით სთხოვა [გრიგოლ აფხაზთა] კათალიკოსს, რომ მას დაეყოლიებინა ქართლის, იმერეთის, ოდიშისა და გურიის მეფე-მთავრები ერთობლივად ხელი გამოეღოთ ქართველთა წმინდა ადგილების დასაცავად ([1650—58]. Hd—11207). — გურიის მპყრობელმა ვამეყ დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს გურიაში წმინდა კვირიკეს საყდარი ძიმითს ([XVII]. Sd — 2925). — ვამეყ დადიანმა შესწირა ბიჭვინტას გურიაში აკეთის საწინამძღვრო მაცხოვარი ([XVII] Sd—2911).

გურწა აქ ცხოვრობდნენ ბედან და გოჩა ყიფიანები, გოჩას ნაყმევი მახარობელ ბოჭორიშვილი და აცლადა ძოწენიძე. ეს ქონება შერმაზან ომადმანიძისა იყო, მისი სიკვდილის შემდეგ ყიფიანები და მათი ყმა-მამული მეფემ დაიკავა და იოვანე ომადმანიძეს უბოძა ([XVII]. Sd—1789). — აქ მცხოვრები გიორგი მეჯაიძე ერთ კომლად შესწირა დარეჯან დედოფალმა, თავისი მეუღლის ალექსანდრე [იმერთა] მეფის სულის მოსახსენებლად, გელათის მონასტერს ([1660—67]. Ad—598).

გუფთა ინდუა ტლაშასძემ მიჰყიდა [ოქრუა] საღირაშვილს [გუფთაში] მიწა ბასილიშვილის მიდგმამდი ([XVI]. Sd—1775). — ატენელმა ფირყულა აფკარასშვილმა მიჰყიდა გორისა და ოქონის ხატის დეკანოზის მარკოზის შვილებს გუფთაში 2 დღის სახნავი მიწა საზღვრებით: თავი—ბროლისშვილის პაპუნას მიწამდე, ბოლო—დარჩიასშვილის თევდორეს მიწამდე, გვერდები—აფკარასშვილის ფირყულას განაყოფის როსტიას და ანდრიაშვილის ანდრიას მიწამდე (1681.VI. Sd—546).—სულხან ბარათაშვილმა მიჰყიდა მიწა გუფთაში ამბრია სულაშვილს ([XVII]. Qd—1355).

გუშტიბი ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა ძირმკვიდრ აზნაურიშვილს ეზია იოსელიანს სოფელ გუშტიბში მიწა-წყალი საზღვრებით: „გუბის წყალს გამოღმა, გუბის ფონს ზევით, ყენის წყლის შერთვამდის ჩუნეშის სასაზღვროს დაბლა"; აგრეთვე გუშტიბში მოსახლე 2 შვანგირაძე, 2 ჩაფიძე და 1 მელაძე (1647.XII.6. Hd—10147).

გუჯანი ნ. ეჯინი (1694.VII.1. Hd—2632).

გძელას მიწა მამუკა მაღრაძემ ფიცი დასდო, რომ მას ეკუთვნოდა მამულები: გძელას მიწა, მეცხრაულას მიწა, ღუდაში ევნახი. მიწობში ხოდაბუნი, გარეზმანში ხოდაბუნი და ყარცისის ბოლოს მდებარე მიწა. ჯომაში ტრანჯაშვილი-

სა და გუერწითლისა და შრატიაშვილისაგან მოსყიდული მიწები, ყრისხევში· თუთუშიძისა და ბლოკაძისაგან მოსყიდული მიწები და შრატიაშვილისაგან მოს-- ყიდული საბოსტნე, ღუდაში ლაცაბიძე მამულით და ღართაში დემურაშვილი· მამულით (1683. Hd—821).

დ.

დააურის რუ პაპუნა თუხარელმა იყიდა ახალქალაქის პირდაპირ ნავენახა-· რის ნახევარი, რომელიც მდებარეობდა დააურის რუმდე (1661. Sd—49).

დაბაკნეთი (დაბაჲნეთი) შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა· სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

დაბარაუნჩი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაბარაუნჩში მცხოვრები ყმების გათარხნების წიგნი მისცა არსნალ, ზაქარია და ზურაბ ჯანდიერისშვილებს (1576. Ad—1355).

დაბიანი მირიან ჭარელის ძე ერისთავმა ერთგულებისათვის თავის აზნაურს გიორგი შერაზანიშვილს უბოძა შალულაძე მამულითურთ დაბიანში ([XV]. ქუთ. მუზ., № 1024).

დადანეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის· გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

დადვალეთი ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

დავალთისა ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო ღელე დავალთისას იქით· (1579. Sd—464).

დავითასეული მიწა შაფათა ტირიასშვილმა მიჰყიდა [ლუარსაბ] და ნიკო-ლოზ ფალავანდიშვილებს დავითასეული მიწა ნედლოში ([XVII]. Sd—817).

დავით-გარეჯა მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — „ორნიე უდაბნონი გარეჯისანი და-ვით-საფლავისა მრავალთისა და დოდორჭისანი“ გაათარხნა ალექსანდრე [კახთა]· მეფემ და მამულ-სოფლებითურთ სვეტიცხოველს შესწირა (1479.I.23. Ad— 6.). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა მას სოფელი ჭატი, დეკანოზი, 2 ყა-რაული, მეძროხე, „თვალზე მეცხვარე“, 1 ზვარი და მისი მეზვრე და „მთას იქით“ ღალა და კულუხი ([XV]. Ad—2050). წ მ ი დ ა დ ა ვ ი თ ი ს ყმებს აკურელებს ალექსანდრე [კახთა] მეფემ მისცა თივის თიბვის ამოკვეთის წიგნი (1581. Ad—371). დავით-გარეჯის კუთვნილი აკურის მონასტრის წინამძღვრობა ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა თავის უფროს დას ქეთევანს, აგრეთვე დაამ-ტკიცა ლევან [კახთა] მეფის 2 სიგელი, რომელთაგან ერთში მეფე ადგენს, რომ წინა და უკანა საგარეჯოს გამოსაღები გაიყოს, ნახევარი მიეცეს მცხეთის კათა-ლიკოსს, ხოლო ნახევარი — დავით-გარეჯასო (1597. Hd—1377). — შაჰ-აბასმა რომ კახეთი მოაოხრა, თეიმურაზ მეფე ლიხთ-იმერეთს გადაიხვეწა, სადაც 26 წე-ლი დაყო, დაბრუნების შემდეგ დაიწყო შენება დავით-გარეჯის მონასტრისა და მის წინამძღვრად მარკოზი დააყენა. წინა და უკანა საგარეჯოს გამოსაღების ნა-·

ზევარს მაშინ სახელმწიფო ღებულობდა, ხოლო მეორე ნახევარს მონასტრის მონაზვნები. ახლა კი რადგან სახელმწიფო აოხრებული იყო და თანაც მონაზვნები ძალიან ცოტა, თეიმურაზმა წინა და უკანა საგარეჯოს გამოსაღები მთლიანად სახელმწიფოს დაუნიშნა, სანამ დავით-გარეჯაში მონაზონთა რიცხვი გაიზრდებოდა (1639. აქტები, გვ. 17).—არჩილ [კახთა] მეფემ აღადგინა და გააერთიანა დავით-გარეჯისა და ნათლისმცემლის მოშლილი მონასტრები. დაუყენა ორივეს ერთი წინამძღვარი, მიაბარა მას უჯარმასა და ხაშმში მცხოვრებნი ნათლისმცემლის ყმები: გოგია ხუციშვილი, თამაზა ჯობიაშვილი, გოგია ბატიკერკაშვილი. დავითა ხატიაშვილი, მახარებელ ჭიაბრიშვილი და გათარხნა საგარეჯოში მონასტრის ყმები (1672. Ad—2060). — ბარძიმ მდივანბეგმა შესწირა მას 25 კოდი პური, 3 საპალნე ღვინო, 5 ლიტრა ზეთი, 2 ლიტრა სანთელი (1689.I.1. Ad—407). — არჩილ [კახთა] მეფემ დავით-გარეჯაში ახალი შენობები ააგო. მღვდელ-მონაზვნები შეაყენა. წინამძღვარი დაადგინა და მათ წლიური სარგო გაუჩინა. შემდეგ იოვანე ქართლის კათალიკოსმა დიასამიძემ, ნიკოლოზ ამბალავერდელმა, არსენ ნინოწმიდელმა და ყველა ეპისკოპოს-მიტროპოლიტებთან ერთად, დავით-გარეჯის წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძე დაადგინა და მონაზვნების მოვალეობა მის მიმართ ამნაირად გაარიგა: უდაბნოს მონაზონი ონოფრეს სიტყვის მორჩილი და ხელქვეითი უნდა იყოს, მონასტერს ერთგულად და მორჩილებით ემსახუროს, წირვით ან „სხვა მოღვაწებით“ თუ რამეს იშოვის. უკლებლად წინამძღვარს უნდა მიაბაროს. თუ ამას არ შეასრულებს იგი, შეჩვენებული იქნება და მონასტრიდან განიდევნებაო (1690.III.12. Ad—349). — დავით-გარეჯა ლეკებმა დაარბიეს. ონოფრე წინამძღვრის თხოვნით, ნაზარალიხანმა მონასტერს განუახლა სითარხნის წიგნი (1693.VII.6. Ad—69). — ონოფრე მაჭუტაძის თხოვნის მიხედვით, ნაზარალიხანმა დავით-გარეჯას განუახლა წლიური ჯამაგირი: 9 თუმანი, 5 ლიტრა სანთელი, 1 ლიტრა საკმეველი, 1 ლიტრა შუღლო, 13 ლიტრა ზეთი (1696.XI.18. Ad—86). — ონოფრე წინამძღვარს ნაზარალიხანმა დაუმტკიცა კახთა ეპისკოპოსების მიერ დავით-გარეჯის მონასტრისათვის გაცემული გადასახადების სითარხნის წიგნი (1696. აქტები, I, გვ. 25—26). — დავით-გარეჯის წინამძღვარი იყო ონოფრე [მაჭუტაძე] (1696. სოც. დოკ., 1, № 138). — ნაზარალიხანმა განუახლა დავით-გარეჯას ის ულუფა, რომელიც მას ქართლიდან შესდიოდა და დაუმატა თავის მხრივ ახალი ულუფა: 100 კოდი პური, 10 საპალნე ღვინო, 100 ლიტრა ბრინჯი, 100 ჩარექი ერბო, 100 ლიტრა ყველი, 100 ლიტრა მარილი, 60 წყვილი დოში, 60 წყვილი მკერდა, 60 ზურგიელი, 40 კუდი, 30 ლიტრა ხიზილალა, 50 ლიტრა სამარხო, 50 ჩარექი ნიგოზი, 30 ლიტრა ხახვი, 20 ლიტრა მატყული (1697.XII.8. Ad—87). — დავით-გარეჯას შესწირა ერეკლე მეფემ მონასტრის გარშემო მდებარე იალაღები (1700.V.20 Ad—2280). — დავით-გარეჯის წინამძღვარს პავლეს და „უდაბნოს მყოფთ“ მამუკა ჩარქეზმა დაუნიშნა ჯამაგირი: 20 კოდი პური და 2 საპალნე ტკბილი ([XVII]. Ad — 886).

დათვის ბოლო პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას საზანოში სამაპავარიანო სასახლე, რომლის ერთი საზღვარი იყო „ალავიძეს გარდმოღმა დათვის ბოლო ბარდნალიანათ“ ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57).

დაკუკური მამული პაპუა ჩოლაყაშვილმა მიჰყიდა როსებ ოხიაურორჩს და–კუკაური მამული ([1670]. Ad—1280).

დალანი ნასოფლარი, სხვა ნასოფლარებთან ერთად, „დიდმა ბატონმა“ ლუარსაბმა შესწირა სვეტიცხოველს. შემდეგ ისინი უბოძა სვეტიცხოვლის აზნაურს ზურაბ ელიოზისშვილს, რომელსაც აბაშ ბარათაშვილი შეედავა მათზე. გარიგების შედეგად დალანი, სხვა ნასოფლარებთან ერთად, დარჩა ზურაბს (1657. Qd — 2153).

დამპალა ელიზბარ სოლაღაშვილმა პაპუნა მაღალაძეს მიჰყიდა კავთისხევში გლეხი დემეტრე მიწა-წყლით, ერთი საკომლო ვენახი, ზვარი და ორი ხოდაბუნი: ერთი დამპალაში, ერთი თვალთუბნის ბოლოს—ორივე ოცდაათის დღის და თავისი სახახლე. ქვევრი, მარანი და ყოველივე ჭოთახევს, რაც კი მისი წილი იყო (1565.IX.25. სოც. დოკ., 1, № 7). — ბახუტა შატბერაშვილმა მიჰყიდა ზურაბ თუმანიშვილს მიწა, რომელიც მდებარეობდა დამპალამდე (1672. Sd — 179). — „დამპალა საზნაჭრო წილისაკენ შეოთხედი“ ერგო მანუჩარს და შიოშვილს ([XVII]. Sd — 866).

დამპალი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო „დამპალის კერძო იორთაკენ“ (1579. Sd — 464).

დამპალი წყალი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ჩეკურნნი, რომლის საზღვარი იყო დამპალი წყალი (1579.Sd—464). — ნ. წვერწვერა ([XVII]. Hd—1639-გ).

დამპალი წყარო პაატა გერმანოზისშვილმა იყიდა თაყა ასანბეგისშვილისაგან 5 დღის მიწა ხოდაბუნი მაწევნურ[ი]ს ხევის პირში და 2 დღის მიწა დამპალ წყაროში (1669.VI.20. Hd — 1880).

დაოთი კვირიკე კახთა მეფის შეწირული, გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს (1170. Hd — 1351). — სოფელი დაოთი და აქ მცხოვრები ვაჭრებიძე კვირიკე კახთა მეფემ, თავისი სულის სამწირველოდ, შიო-მღვიმის მონასტერს შესწირა ([1190—1207]. Ad—3).

დაპალათ-თავი ანტონ ვეტიკაშვილმა მიჰყიდა ქრქოლას და მის შვილებს ნასყიდი „მიწა დაპალათ-თაეი გოზალბეგათ მიწის ბოლოს შარამდინ და ბოლოს ფშნის გასავლამდინ და იქით გუერდი ფშნის პირამდინ“ (1623. Sd—39).

დარბა ივანე მეხარაშვილმა პაპუნა თუხარელს მიჰყიდა მიწა „დარბას ზედათ, პატარა ბაღის პირდაპირამდე“ (1677. Sd—51).

დარბაზი (დარბახი) სეიმონ მეფემ უწყალობა ერთგულობისათვის თუმანიშვილებს თაყას, ბირთველს, მანუჩარს, დავითს და მათ შვილებს ბაინდურს და გორჯასპის დარბაზი სამკვიდროდ (1626.VII.1 Sd — 530) როსტომ მეფემ განუახლა დონდარა ეჯიბისშვილს ტალავერსა და დარბაზის საზღვარზე მდებარე ნასყიდი მიწა-სავენახე ახალშენი ბაგა ([1651] ქ.-სპ., საბ., № 95). — აქ მცხოვრები აბრამასშვილები მათი მამულით ერთწილად ხვდა ჯიმშიტა [თუმანიშვილს] (1656. Hd —15189). — აქ მოსახლე მამულა თაეისი მამულით წილად ხვდა მანუჩარ [თუმანიშვილს] (1656. Hd — 11710). — დარბასში მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს გაყრის შედეგად ერგოთ ღომიტაშვილები, მამულა და აბრამაშვილები მათი მამულებით ([1632—1658]. Hd—14665). — აქ მცხო-

ერები გიგოლა პოლოზაშვილი მოწმეა მანუჩარ ვახუშტისშვილის მიერ ზურაბისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690. Hd—4164—ე). — დარბაზში სახლობდა ბოქაულთ-უხუცესი ედიშერ ([XVII]. Hd—14431). — მოხსენებულია [თუმანიშვილების] წილის ნუსხაში ([XVII]. Hd—3698).

დარბაზი ყაფლან, პატა და პაპუნა ბარათაშვილებს ჰქონდათ დავა ერთ გლეხზე დარბაზს ([1632—1658]. Sd—794). პატასა და ყაფლან [ორბელიანს] დავა ჰქონდათ დარბაზის, თაწმიდის და ბრუტიანის მთის თაობაზე ([XVII]. Hd—14284).

დარბაზი ნიკოლოზ კათალიკოსმა აქ საწნახელი აბშენა. (1691. 25. VIII ისტ. საბ. IV, გვ. 64). — ეწერა 27 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

დარბასტანა ბაგრატ მეფემ სასხორისათვის იყიდა ხეკორძულასა და დარბასტანაში წყალი, როცა იქ გაელისას უწყლობა შესჩივლეს მას. შემდეგ მეფემ სასხორი უბოძა, სეეტიცხოველში აღაპის გადახდის პირობით, ჯვარისმტვირთველ დანიელ ელიოზისძეს (1467.I.21. Sd—27).

დარეთი დარელი იყო ფარსეღაშვილი მამუკა ([XVII]. Sd — 737).

დაური ქაიხოსრო ჯავახიშვილის ყმამ, სიონში მცხოვრებმა თედიამ, თავისი ბატონის თანხმობით, პაპია ჭყოპი[ა]შვილს მიჰყიდა 3 დღის მიწა საზღვრებით: ქვემოთ ყარაღაჯულ—რუმდე, ზემოთ—„დაურის“ რუმდე, თავი—ვარსიაშვილის მიწამდე, ბოლო — ბეგამდე (1633. Ad — 1802).

დარუბანდი დარუბანდიდან იყო მოსული ავშანდაძე (1452. Sd — 521).

დარხვეთი დარხვ[ე]თს მეზერედ დააყენეს მახარა კენჭაძე ([XVII]. Hd—14286).

დასწყარო შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad — 559, 604).

დაფაქუეთა ნ. ველეფა ([1500 წ.-ის ახლოს]. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 44—45).

დაღარულა (დაღარული) ედიშერ [ციციშვილს] პაპუასთან გაყრისას ერგო დაღარულაში კოშკი და წისქვილი სანებელში საწნახლები დაღარულას კოშკისა და წისქვილის ფარდად, პაპუნას კი ერგო სანებელში საწნახლები დაღარულას კოშკისა და წისქვილის ფარდად ([XVII]. Hd — 1636). — პაპუნა ციციშვილმა ერასტი მდივანბეგს წერილით აცნობა, რომ ზაზა [ციციშვილი] მასთან წმინდა ნიკოლოზის მამულზე დავისას ტყუის; ზაზას აღრე, ბაგრატის მიმხრობით, უსამართლოდ და უფიცრად დაუპყრია აგრეთვე სხვა მამულებიც, კერძოდ ხევდურეთის ბოლოს, ქვენა ფლაზის ბოლოს და დაღარულის ბოლოსო ([XVII]. Ad—1347).

დაღეთი აქაურ დონდარა მამადელაშვილს ნესტან-დარეჯან დედოფალმა უბოძა დაღეთის მამასახლისობა (1556. Sd—138). — დაღეთს მცხოვრები თთრიშვილი მამულითურთ წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] ([XVII]. Sd—1936, 1922).

დაწყობილა ზედგენ თამიაშვილს, პაპუასთან ერთად, დაწყობილაში ჰქონდა მიწა, რომელიც საღალედ გაჰყიდა ([XVII]. Hd—14861).

დბონა ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო დბონაში ბადია მაზმანი, შოშია ობლიძე მათი მამულებითურთ; პაპუნას ერგო: გიორგი ბაბლიძე, პაპუნა მაზმანი ([XVII]. Hd — 1636).

დგიმი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში ლოგობეთსა, შველიეთსა და მორღანთან ერთად, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559. 604).

დედოფლის რუ ზაქარიე ფიფინაშვილმა არდაშელ ბერძნიშვილს მიჰყიდა შლაპიშვილისეული მიწა დედოფლის რუზე (1692. Sd — 53).

დედოფლის წისქვილნი მდებარებდა იორს „გამოღმა"; ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო დედოფლის წისქვილნი (1579. Sd—464).

დევაური სიმონ მეფემ უბოძა ბანაროზს, იობს და იანქოს დევაური, რომელიც ადრეც მათი იყო (საბუთის სათაურია: „დევაური არის წვინარეხისა") ([XVI—XVII]. Hd—14658).

დევთ-ნასახლარი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული მარმაროვა, რომლის ერთი საზღვარი იყო დევთ-ნასახლარი (1579. Sd — 464). — იგი იყო ერთი საზღვარი მამუჩი ჭაეშავაძისა და წინა-საგარეჯოელთა სადაო მიწებისა (1654.1.2. ისტ. საბ., IV, გვ. 34—35). — დევთ-ნასახლარი ერთი საზღვარი იყო კათალიკოსის სახასო სოფლების ბუშატისა და ვანთისა (1654 Hd — 8389).

დევის-მუხლი ნ. ჯვარი, სოფელი (1559. Hd—8729).

დელუ-უულიჯანი სოფელი ტაშირში, ბარათაშვილების სამკვიდრო, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს (1657. ქ. — სპ. საბ., № 115).

დემურაანი თეიმურაზ [კახთა] მეფემ უბოძა ხოსროს დემურაანში ნატროს ნაქონი მამული (1645. VIII. 4. სოც. დოკ. 1, № 512). — თეიმურაზ [კახთა] მეფემ განუახლა ენისელთ ნაცვალს ხოსროს დემურაანში შანაზარას ნასახლარი მამულის წყალობა (1662.IV.4. სოც. დოკ., 1, № 515).

დემურასოფელი ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა მუსიყალა დემურასოფლისა და ვართევანის ფარდად ([XVII]. Sd—1936, 1922).

დემურჩახალი ერეკლე ბატონიშვილმა კაკაბეთი, დემურჩახალის საბალახესთან ერთად, უბოძა ლევან ავალიშვილს (1631.VIII.18. Hd — 14525).

დერბუკი დერბუკს ცხოერობდა ბატატა როსტომაშვილი (1678. Sd — 179).

დერეფანა ნ. ჯიგრაშენი (1636. Qd — 1988).

დერჩი სოფელი, გიორგი მეფემ შესწირა გელათში მეფის სამწირველოს ([XII]. Qd—8511).

დვალეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

დვალეთი დვალეთის მპყრობელად იხსენიება ვამეყ დადიანი მის მიერ ბიჭვინტისათვის მიცემულ შეწირულების წიგნში ([XVII]. Sd—2925).

დვალთა სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს სოფელ დვალთაში 1 კომლი ყმა უბოძა (1591. Hd — 8737). — აქ მცხოვრები თეგაძე სიმონ მეფემ უბოძა გოშთაშაბ იოვანეშვილს (1629.V.27. Hd — 1700). — სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა ჰასანბეგ ბარათაშვილს დვალთას მისი საკერძო მამული და გლეხები სამკვიდროდ (1633. ქ.-სპ. საბ., № 39). — დ ვ ა ლ თ ე-

ლები იყვნენ ხუცია სანაძე და გიორგი თეგაძე (1636.VIII.3. ქ.-სპ. საბ., № 55).

დვალი გერმანოზს და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბის, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] გაყრისას ერგოთ სოფელი დვალი (1523. Ad—1299-ა).

[დვანი] დვანელი გოგია ეპიტაშვილი მოწმეა როსტომ [შალიკაშვილის] მიერ არსენ ალავერდელ ავალიშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd — 14286).

დიაკონი, სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს უბოძა ნასოფლარი დიაკონი ([XVI]. Hd—8437).

დიაკუნის ჭვა (მინდაჭარი) ბარათაშვილების სამკვიდრო, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს (1657. ქ.-სპ. საბ., № 115).

დიდგორა (დიდგორი) ნაზარალიხანმა განუახლა ამილბარ მაღალაშვილს დიდგორაზე მოხისის მოურაობა (1700.VII.19. Ad—1590). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს დიდგორს მოხისის შეწირულება (1559,XII.1. Ad — 1572).

დიდგორი როსტომ მეფემ განათავისუფლა ზემო-შავნი სამეფო გადასახადებისაგან, გარდა დიდგორზე სამასპინძლოს მორთმევისა (1634.VI.27. ქ.—სპ. საბ., № 50). — იმავე მეფემ გოსტაშაბ ბარათაშვილს უბოძა [მისი] მკვიდრი ძამული სოფ. აგუდანეთი დიდგორის ძირს (1634. ქ.-სპ. საბ., № 48).

დიდგორის შარა ზემო შავნის საზღვარი იყო „რასაც [ვილოენას] ხევი შეიტანს დიდგორზე სადიღმო შარამდის და სხალბარიდამ რომ დიდგორის შარა შემოივლის" (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53).

დიდება დიდებული იყო ჩაჩხიპარასშვილი ამირანაი (1558. Sd—734). — სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს უბოძა სოფელ დიდებაში ერთი საგლეხო ([XVI]. Hd—8437). — აქ მოსახლე სებნია რევანდიშვილი მისი მამულითურთ საუფროსოდ ერგო ამილღამბარ [ბარათაშვილს] ([XVI]. Hd — 13607).

დიდვალი გიორგისა და იაბერს ანტონ ჭყონდიდელმა თანასწორად მისცა მონასტრის მიწები სხალტბაში, ბოტკოს და დიდვალს — ათი დღის მიწა [1202]. Ad—81).

დიდი ბაბია ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

დიდი გორა ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფელ ჯიმითისა, რომლის ერთი საზღვარი იყო დიდი გორა (1579. Sd—464). — ნ. ბეგენი (1652. Sd—20).

დიდი მახრაძაჯი სოფელი, ლუარსაბ მეფემ უწყალობა ბარძი ამილახორს (1608. Hd—2135-ა).

დიდი მონასტერი (გელათისა), მისი წინამძღვარი ნიკოლოზი მოწმეა არსენ ჭყონდიდლის მიერ გელა აბულხოტრისძისათვის მიცემული მამულის შეწირულების წიგნისა ([1240 წ-ის ახლოს]. საისტ. მოამ., II, 1925, გვ. 131 — 133).

დიდი ნადარბაზევი ალექსანდრე [კახთა] მეფემ სამთავისს შესწირა აზნაუ-

რი იოელ კანდელაკი და თავისი საბასო სოფელი დიდი ნადარბაზევი შეუვალად, სამთავნელს კი წლიურად 500 ქირმანეული გაუჩინა ([XVII]. Ad—565).

დიდი ურცევანი ნ. ურცევანი.

დიდკლდე მურვან ღარიბასძემ შესწირა ვაჰანის მონასტერს სოფელ დიდკლდის მესამედი (X1X. Ad—933).

დიდუბე შანავაზმა ააშენა სოფელი დიდუბე და აქვალიდან რუ გამოიღო. ამის გამო გიორგი მეფემ, ვახტანგის ძემ, აღაპი შეაწერა ერთობით დიდუბელთ თავისი მამის სულის მოსახსენებლად (1682. სოც. დოკ., 1, № 102).

დიდუბის ხერთვისი ნ. ოპიზა ([1027—72]. Sd—1201).

დილმაშენი დილმაშნელი იყო სარქისა ტერტერაშვილი ([XVII]. Sd—1936).

დირბი მისი მოურაობა როსტომ მეფემ უბოძა დავით დავითიშვილს და მის შვილებს კოსტანტილეს და ელიზბარს (1635. Sd—602).—დირბელნი მოწშენი არიან მაზანა [ი]უცაშვილის მიერ მანგლელ ტატიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1639. Hd—3238). — როსტომ მეფემ გაათარხანა სოფელი დირბი გამოსაღებისაგან, გარდა ლაშქარ-ნადირობისა და ექვსი ათასი თეთრისა (1650.IV. სოც. დოკ., 1, № 45). — დირბელნი მოწშენი არიან ზაქარია და ივანე ორკერაშვილების მიერ სეხნია გულიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1655. Ad — 1049—ა). — დირბელნი მოწშენი არიან დათუნა ბეჟანიშვილის მიერ სეხნია გულიაშვილისათვის მიცემული ნაფუძრის ნასყიდობის წიგნისა (1655. Ad — 1049—ბ). — დირბელთ როსტომ მეფემ უბრძანა ლაშქარში მონაწილეობა და ელიზბართან შეერთება ([1632—58]. Hd—14429). — დირბელი იყო დათუნა (1689.VI.7. Sd—551). — ელისე თბილელმა ეპისკოპოსმა, ნიკოლოზ მღვდელ-მონაზონმა და ზებედემ დაეით ბოქაულთ-უხუცესს მიაბარეს როსტომ მეფის მიერ ქრისტეს საფლავისათვის შეწირული სოფელი დირბი. დირბელებს ამის შემდეგ ევალებოდათ ბოქაულთ-უხუცესისათვის ერთი დღის ხვნა-ღერწვა ([XVII]. Hd—15041).

დირბული მიწები ნასყიდა ხოსრუაშვილმა მიჰყიდა მანგლელ ტატიშვილს ჭუათეთრას მიწა დირბულის მიწების პირში ფალავანდიშვილის საზღვრამდი (1639. Hd — 6170).

დისარღი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

დიხევი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd — 8712). — სოფელი და მონასტერი, [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის ეკლესიას მისი შეწირულებისა და სითარხნის წიგნი (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121). — დისევი და არაშენდა სამოურაოდ უბოძა იოანე კათალიკოსმა დიასამიძემ ნიკოლოზ დარბაისელიშვილს (1698. Sd—407).

დისველი მას ეწერა 4 საბასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

დიღმელაური დავით მეფემ თავის ბერობაში მცხეთის მონასტერს შესწირა შორში მოლარე ხეჩატურა ვეფხუაშვილი, რომელსაც მისცა დიღმელაური მამული და ვენახი. მას უნდა გადაეხადა მონასტრისათვის 5 ლიტრა ზეთი გორული ლიტრით (1524. ისტ. საბ., II, გვ. 32—33).

დიღმის თავი გიორგი და პეტრე ხიზანაშვილებმა კათალიკოსს მიჰყიდეს დიღმის თავს ვენახი საზღვრებით: ხევისაკენ ღობემდე, კლდისაკენ რუს გაღმა ღობემდე, ხიზანაშვილის განაყოფის ვენახამდე (1673.III.7. Ad—1666).

დიღომი [დიღუამი, დიღვამი] აქ მდებარე მცხეთის მამულის შეწირულება ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს განუახლა (1398.XII. Hd — 8712). — დ ი ღ უ ა მ ს მდებარე მზევასძის „ქელი ვენახი“ თეოდოსი კათალიკოსმა უბოძა ქადაგ რომანოზ მაღლისძეს (1542. Hd—1353). — [სიმონ] მეფემ სვეტიცხოველს განუახლა ვენახის შეწირულება დიღუამში (1559.XII.1. Ad—1572).— „დიღომს ზედათ“ და მტკუარგამოღმართ“, ვიდრე ხევამდე მცხოვრებებს სიმონ მეფემ მეკობრეთ-მძებნელად გაუგზავნა გ[ო]შფარ ჯავახიშვილი და ყარაიგით ლარასძე (1590. Hd — 1993). — დიღუამში იყო ანდუყაფარ ამილახორის სადაო მამული (1619. Hd—2115). — დ ი ღ მ ე ლ ნ ი მოწმენი არიან გიორგისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([1632] Hd—1042-ა).— დიღმელნი მოწმენი არიან გიორგი გიგუაშვილის მიერ დემნა ღუნიანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1632. Hd—1042-ბ). — ერთობით დიღმელნი მოწმენი არიან გიორგი ხიზანაშვილის მიერ კათალიკოსისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1673.III.7. Ad—1666). — დიღმის მამასახლისი იყო გაბრიელ (1673.III.7. Ad — 1666). — დიღმელები იყვნენ მაზიტა უგუნურიშვილი, მისი შვილი ტატია და დავითა ფირიაშვილი (1674.XII.15. Ad—1613). — დიღმელნი მოწმენი არიან ბასილა სულხანაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1673. Ad—2246). — ბეჟან და იესე ამილახვრისშვილებმა თავიანთ ყმას შანშეს და მის შვილებს მამული უბოძეს დიღომთან ერთგული სამსახურისათვის (1681.VII.20. Ad — 1067). — როსტომ მეფის დროს რევაზ მაღალაძის პაპას სვეტიცხოველის ბეჭედი დაეკარგა და დ ი ღ ვ ა მ ში ზვარი რომნაბაული გაყიდა. შემდეგ ეს ვენახი კათალიკოსმა დაიხსნა და რადგან იგი მაღალაძეების სამკვიდრო იყო, უბოძა რევაზ მაღალაძეს (1687. Ad — 1646). დიღმის მოურავი იყო იესე (1687. Ad—1646).—დიღმელი იყო ოთარა დეკანოზიშვილი; ერთობით დიღმელნი მოწმენი არიან ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისათვის მიცემული სააღაპე წიგნისა (1696. სოც. დოკ.. I, № 138). — დიღმის მამასახლისი იყო ნიკოლოზ (1696. სოც. დოკ., I. № 138). დიღმის მამასახლისი ნიკოლოზი მოწმეა თამაზ გოშფარიშვილის მიერ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1687. I, 1. Ad—1614). — დიღომს ეწერა 11 საბასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631). — დიღომში ცხოვრობდა აბამ პაპიძე, რომელსაც ელენე დედოფალმა სითარხნის წიგნი უბოძა ([XVII]. Hd—15097).

დიღომი (წმიდა გიორგის ეკლესია) სიმონ მეფემ გაათარხნა დიღმის წმიდა გიორგის [ეკლესიის] დეკანოზი ნათანელ ერემასძე (1589.X.14. Hd—1050). — როსტომ მეფემ მისცა ცხოვრებაშვილისეული სასახლის წყალობის წიგნი დიღმის წმიდა გიორგის [ეკლესიის] დეკანოზს ათანელს (1641. Hd—1053). — დიღმის წმიდა გიორგის ეკლესია მოხსენებულია გოგია ზარდარასშვილის მიერ დემეტრე პაპასშვილისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში (1678. Hd—1547).

დმანისი (ღვთისმშობლის ეკლესია-მონასტერი) სიმონ მეფემ განუახლა მას ძველად შეწირული სოფელი ჩინჩახორი, დმანისის ხეობის დამღის მესამედი, მუტავისი, სოფ. ვარდისუბანი, გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერი მისი მამულებითურთ; შეწირული მამულებიდან გადასახადები (სატარუღო, სამელქო, საბალახე, სამეკობრისმძებნელო) დმანისის მთავარეპისკოპოსს უნდა აღეო (1586.I.9 Ad—2233). — ფილიპე დმანელი მართაშვილი მოწმეა ბეჟან გამცემრისშვილისა და სხვების მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული პირობის წიგნისა (1673.IX.20. სოც. დოკ., 1, № 71).—დმანელი (ეპისკოპოსი) იყო ქრისტეფორე ბარათაშვილი (1665. Sd—622). — დმანისის მონასტერს შესწირა ბატონის უაფლანის შვილმა პაპუნამ ყარაბახა მჭედელი და გაათარხნა იგი (1683. Ad—1042).—პაპუნა ორბელისძე-უაფლანიშვილმა დმანისის ღვთისმშობელს შესწირა სარკინეთში მცხოვრები ერთი კომლი ბიძინა პაატაშვილის შვილები გიორგი და მახარა მათი მამულებითურთ (1689.IV.11. Ad—1291).—ზურაბ ყარჩიხაშვილს ემართა ოცდარვა თუმანი დმანისის ეკლესიის ვალი, აღებული ქრისტეფორე დმანელ ბეგაშვილისაგან. ამ ვალში მან ნასყიდად მისცა ელისე დმანელს თავისი მკვიდრი ყმები გალუსტაშვილები (1698.XII.26. Ad—1075). — იოანე კათალიკოსმა დიასამიძეს დაამტკიცა დმანელსა და მანგლელს შორის სამწყსოზე დავის გარიგება (1699.V.26. Ad—647).

დმანისი (სოფელი), ნ. ორომაშენი ([1241 წ.-ის ახლოს]. საისტ მოამ., II, 1945, გვ. 3—5). — ნ. ქიტაანთ დმანისი (1543.IV.20. Hd—10375). — დმანისში მოსახლე ალიყულობეგის კერძი მამული როსტომ მეფემ უბოძა შიოშ მალაძეს (1636. Qd—6997). — დმანისში ' სასახლე ჰქონდა [ორბელიანს] [XVII]. Sd—1989). — აქ ვენახი დარჩათ გასაყოფი უაფლან და ვახტანგ [ორბელიანებს] ერთმანეთს შორის ([XVII]. Sd—1936, 1922). — დათუნამ და პატამ 15 თუმნად გაყიდეს ერთი საკომლო დმანისში ([XVII]. Hd—11820). — აქ ცხოვრობდა ბადრია, მოფიცარი სამღერელთა და ნადარბაზევს შორის მიწაზე დავის გარიგების წიგნისა ([XVII]. Sd—477-ა).

დმანისის ხევი აქ მდებარეობდა გორინჯუკი და უკანგორი (1633. ჭ.-სპ. საბ., № 39). — ამ ხევის თავში, ნაოხარ ადგილზე — ოროზმანს თამარმა სათავისოდ დაასახლა თავისი ძმის ნაყმევი „ჯავახი მესხი კაცები". როსტომ მეფემ გაათარხნა ეს გლეხები (1656. Hd—14432).

დოდოსრჭა (დოდორჭა) მონასტერი, უდაბნო, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — „ორნივე უდაბნონი გარეჯისანი დავით-საფლავისა, მრავალთისა და დ ო დ ო რ ჭ ი ს ა ნ ი" გაათარხნა ალექსანდრე [კახთა] მეფემ და მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა (1479.I.23. Ad—6). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა მას: სოფლები ტაძრები და მათაანი, უჯარმას 4 კომლი კაცი, დეკანოზი, 2 ყარაული, „თვალზე ზვარი" და მისი მეზვრე ([XV]. Ad—2050). — ნ. გარეჯა (1590. ისტ. საბ., II, გვ. 57).

დოესი (დოეზი, დოეზი) სოფელი, ლუარსაბ მეფემ უბოძა ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს (1615. Ad—1410). — დ ო ე ზ ი ციცის 8 კომლი ყმა ჰყავდა, ანანიას — 1 ([1658—75]. Hd—14534-ა). — დათუნა დოლენჯიანი თა-

ვისი ყმის შვილის მოპარვას სწამებდა დ ო ე ლ კაცსა და გივი მდივნის ყმას გა-
რეჯვრელ სოლთანაშვილს (1688. Sd—42). — ფარსადან ციციშვილმა მაღალა-
ძეების ვალისაგან დაიხსნა თავისი ყმა ნინია, სამაგიეროდ მაღალაძეებს მისცა
დოელი ხუდუაშვილები (1690. Ad—1781). — ფარსადან [ციციშვილმა] მიჰ-
ყიდა ნიკოლოზ მაღალაძეს და მის ძმებს დოელი ობოლი ხუდუაშვილები, რომ-
ლებიც ამის შემდეგ დაბრუნდნენ თავიანთ მამულში. მათ ნაცვლად ფარსადან-
მა მისცა ნიკოლოზს დოელი გოგია მეკრძს შვილი თამაზა და მისი ძმა რამაზა
(1697. Ad—1883). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო:
დ ო ე ზ შ ი მამალას მამული, გუნდიასშვილის მამული, აქელა თათანასშვილი,
მისი ძმა ბაინდურა, დათუნა თუხტამასშვილი, მისი განაყოფი ზალა, ტერტერა
ტერტერასშვილი; პაპუნას ერგო: ყარაჯასშვილის მამული, ელიზბარ ტერტე-
რასშვილის მამული, გოგია თათანასშვილი, ზურაბ ებიტაშვილი , შერმაზან
თუხტამასშვილი ([XVII]. Hd—1636).

დოესის თავი პატუა ტერტერასშვილმა, „ბატონ" ფარსადანის დასტუ-
რით, ფარემუზ ჯავახიშვილს მიჰყიდა მიწა ნამგალა დოესის თავს საზღვრებში:
„ქვეით—ციცისშვილის მიწის ნამგალ[ა]მდი, ზეით—გზამდი" (1695. Hd—6442).

დოლენჯაურის მამული ტაგნაგეთში ბეჟიტა ვარსიმაშვილი დოლენჯაუ-
რის მამულითურთ ბიძინა სოლაღაშვილმა ელიზბარ სოლაღაშვილს მიჰყიდა
სამკვიდროდ (1661.IV.16. Sd—751).

დოლისყანა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ
სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

დრანეთი აქ ცხოვრობდა შერმაზანა ელიაშვილი, რომელიც იხსენიება
როგორც მოფიცარი სამღვრელთა და ნადარბაზევს შორის მიწაზე დავის გარი-
გების წიგნში ([XVII]. Sd—477-ა).

დრგუისი ნაზარალიხანმა უბოძა პაპუნა ფავნელიშვილს დრგუისში მცხოვ-
რებელი მეკარეშვილები მამულითურთ (1689.XI.16. ჭ.-სპ. საბ., № 144).

დრე: სიმონ მეფემ უბოძა იოვანე სოლაღაშვილს მისი წილი მამული ქა-
ლაქის პირში და ვერის ხევში სოფელი დრე ([1581].III.16. ჭ.-სპ. საბ., № 4).—
ფირალს აქ 5 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ბ).

დუბე სუმბატ თაყაელიშვილმა ნატეხარას [მიწაზე] გაუცვალა სოლუღა-
შვილებს [მიწა] დუბე საზღვრებით: „ზეით ბურეთის გზა რომ ჩამოიცილის,
იმას აქეთ ზემო თავამდი" (1659. Hd—1588). — ნ. ხახანასეული მიწა (1678.
Sd—10).

დუბის ვენაკი აქ მდებარე თავისი წილი ვენახი მიჰყიდა პატა სონღულა-
შვილმა თავის განაყოფ ზოსია, ზაქუტა და სონღულა [სონღულაშვილებს]
([XVII]. Hd—14005).

დუმასუბანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად
შეწირული [სოფელი] დუმასუბანი (1579. Sd—464).

დურნუკი დურნუკის ბოლოს მდებარეობდა ჯიგრაშენი (1635.IX.10.
ჭ.-სპ. საბ., № 53). — დურნუკის მამასახლისი იყო პაპუნა ([XVII]. Sd—1783).

დუშეთი გიორგი [არაგვის] ერისთავმა უბოძა ელისბარ კობიაშვილს დუშეთში თანდილა, დემეტრე და გიორგი გორზამისშვილები მამულითურთ (1693.V.1.27. სოც. დოკ., I, № 128).

დღნორისი აქ მცხოვრები ბენია ნესტან-დარეჯან დედოფალმა, თავისი მეუღლის ალექსანდრე [იმერთა] მეფის სულის მოსახსენებლად ერთ კომლად შესწირა გელათის მონასტერს ([1660—1667]. Ad—598).

ე

ეგური მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეგურის პირას ნაჟანეო 60 კომლი კაცით ([1512—32]. Ad—2218).

ევეტი ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა ძველად შეწირული სოფელი ევეტი (1579. Sd—464).

ეზატი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის ჯვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — აქ ცხოვრობდა 3 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ).

ეზატის წყალი როსტომ მეფემ დაუმტკიცა პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს „ეზატის წყალს გამოღმართი“ (1635.IX.10. ჭ.-სპ. საბ., № 53).

ეკალო აქ მცხოვრები ივანე კოტირიძე ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინტას (1628. Sd—2904).

ეკი აქ მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ჩილაჩავას ეწერა 5 ლოღარიკი სანთელი ([XVII]. Hd—11221).

ეკუდარი „მეექვსედი ეკუდარი“ შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543. IV.20. Hd—10375).

ელაზნაური ალექსანდრე მეფემ გიორგი მამუკაშვილ-აბაშიძეს უბოძა მისი ბიძის ღობუა [აბაშიძის] წილი მამული ჭარტალი, ელაზნაური, 10 კომლი გლეხი და აზნაურიშვილები (1677. ქუთ. მუზ., № 1455).

ელისბარის სოფელი აკოფას სოფლის, ხუცის სოფლის თასილბითმაზისა და ელიზბარის სოფლის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ტაშირზე ყოშაქილის შიშტეფა, ყამიში, ბანზა და საფიელა ([XVII]. Sd—1936, 1922).

ელიჭარი საკაძისეული მთა, ქსილისთან ერთად, პირიქით და პირაქეთ, იგი როსტომ მეფემ იორამ საკაძეს უბოძა. გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ ეს ადგილები სახასო იყო (1652. Hd—13956).

ელფია ე ლ ფ ი ე ლ ნ ი არიან ბუენი ხიზანას სასისხლო საქმისა (1657. Hd—1562). აქ მცხოვრები ირემა მამაგულაშვილი და მგელიტა მოლოდინაშვილი თავთავიანთი მამულებითურთ წილად ერგო უცნობ პირს (1658. Hd—5506). სოფელი, სიმონ მეფემ ელფიაში 2 კომლი უბოძა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ([XVII]. Hd—8437). — აქ მცხოვრები იაგელაშვილს საკომლო ერთწილად ერგო იორამიშვილს ([XVII]. Hd—13513). — აქ მოსახლე დათუნა მოლოდინაშვილი ერგო ამილღამბარ [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—13616).

ენაგეთი გერმანოზს და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბის და ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] გაურისა ერგოთ ენაგეთში მცხოვრები აზნაურები: დათო-

ნაშვილი, ასათაშვილი, ჯანიაშვილი, ფარილუსაშვილი, თომიაშვილი, პაველიაშვილი, ყარაგოზაშვილი, ყურშიაშვილი და სხვები, აგრეთვე სასახლე (1523. Ad—1299-ა). — ენაგეთში მდებარე 8 საკომლო მამული შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — სიმონ მეფემ ქაიხოსრო ბარათაშვილს უბოძა მემშვილდისშუილისეული მამული და საკომლო ენაგეთში (1630.IV.22. ქ.-სპ. საბ., № 35). როსტომ მეფემ ჰანასბეგ ბარათაშვილს სამკვიდროდ უბოძა ყველაფერი, რაც კი ენაგეთში ჰქონდა (1633. ქ.-სპ. საბ., № 39). — როსტომ მეფემ პაატა ყორღანაშვილ-იარალიშვილს დაუმტკიცა ენაგეთში სახასო და ნასყიდი გლეხები, მერაბ ყორღანაშვილის მიერ ყაენის კარიდან ნაშოვნი მამული (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53). — როსტომ მეფემ ფარსადან ბარათაშვილს სამკვიდროდ უბოძა ენაგეთს მცხოვრებნი ხუციშვილი და ფირუაშვილი მამულებითურთ (1643.II.22. ქ.-სპ. საბ., № 78). — როსტომ მეფემ თავის დისწულ ასანბეგს უბოძა ენაგეთში მცხოვრები გლეხები მამულებითურთ: პაპია ფირუაშვილი, დათუნა სურამაშვილი, სტეფანა მშვილდიშვილი, ეკანეზა ჯანიკაშვილი (1647.III.15. ქ.-სპ საბ., № 89). — როსტომ მეფემ პაპუნა ბარათაშვილს ენაგეთში უბოძა ფერიაშვილისა და მირაქას მამული ზედ მოსახლე დავრეშათი და თამაზისთურთ (1658. Hd—4153).— აქ მცხოვრები 3 კომლი ჯანიკაშვილი მამულით და პაპის გორში 5 დღის მიწა პაპუნა გოსტაშაბისშვილმა გაუცვალა თაყა და ასლამაზ ას[ა]ნბეგისშვილებს ტბისში მათ სამკვიდრო მამულზე (1671.II.12. Hd—2236. 6777). — პაპუნა ბარათაშვილმა თავისი განაყოფის ასანბეგის შვილებს თაყასა და ასლამაზს გაუცვალა ენაგეთში ბიზუა ჯანიკასშვილი და ბერუა ალავერდაშვილი და პაპის გორში 10 დღის მიწა. ამის სანაცვლოდ მათგან მიიღო ყმა-მამული ტბისში (1671. Hd—4151). — შანავაზმა პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილს და მის შვილებს ენაგეთში უბოძა სახასო ზეარი (1672.II.10 Qd--2041). — შიოშ ბარათაშვილმა და მისმა ძმებმა პაპუნა გოსტაშაბისშვილს ენაგეთში ვენახი გაუცვალეს ვენახზე (1673. Hd—6020). — ქაიხოსრო ბარათაშვილმა 34 თუმანში პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბისშვილს გირაოდ მისცა ენაგეთს მცხოვრებნი მემშვილდისშვილი და პაატა სადუნიშვილი (1679. Hd—4156). — ენაგეთს მოსახლე პაატა სადუნაშვილი განაყოფებითურთ და მემშვილდისშვილი მამულებით ქაიხოსრო ბარათაშვილმა მიჰყიდა პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილს (1680. Hd—4152). — ქაიხოსრო ბარათაშვილმა პაპუნა ბარათაშვილს მიჰყიდა ენაგეთში მცხოვრებნი პაატა სადუნაშვილი და მემშვილდისშვილი მამულებითურთ (1680. სოც. დოკ., I, № 95).—ენაგეთში მდებარე მამულების მფლობელობა განუახლა ნაზარალიხანმა თავის სახასო აზნაურებს: ყორღანაშვილებს, პატაშვილებს, მერაბაშვილებს და სხვებს (1688. Hd—1913). — ე ნ ა გ ე თ ი ყაზარა საკაშვილი მოწმეა ქუბა გიუაშვილის მიერ შიოსათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წერგნისა (1699.VIII. Hd--7257). — აქ მცხოვრები ბერუა მამასახლისი მამულითურთ საუფროსოდ ერგო ოთარს [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—11887). — დათუნამ და პატამ ენაგეთში 1 საკომლო 3 თუმნად გაყიდეს ([XVII] Hd—11820).

ენგიანი ერეკლე მეფემ [საგამგეოდ] დაუმტკიცა რევაზ სახლთუხუცესს თიანეთი, ერწო, კისის ხევი, ფადარი და ენგიანი ([1688—1703]. Hd—1253).

ენისელი (ელისნელი, ელისელი) ენისელში მოსახლე ურია და სომეხი ვაჭრების შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ მალის ამოკვეთის წიგნი მისცა ენისელთ მოურავს დავით ჯორჯაძეს (1577.I.5. სოც. დოკ., I, № 505). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა ძველად შეწირული ლერწანი და კულნანი ე ლ ი ს ე ლ შ ი (1579. Sd—464). — ე ლ ი ს ე ლ შ ი მოსახლე „საბრეშუმე გლეხები" იესე მეფემ უბოძა სიღნაღს საკაბეს (1580. Hd—14441). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ სამკვიდროდ უბოძა არსლან ჯანდიერიშვილს ენისელში გარსევან ჭავჭავაძისეული 6 კომლი და 1 უყორეული (1584.VII.7. სოც. დოკ., I, № 506). — სოფელ ენისლის მოურავი დავით მოწმეა ალექსანდრე [კახთა] მეფის მიერ იოთამ და ყაფარ გურამისშვილთათვის მიცემული ფიცის წიგნისა ([1574—1605]. Hd—14857).—როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს სოფ. ენისელში 40 მეაბრეშუმე. გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ ისინი სახასო გახდნენ (1652. Hd—13956). — თეიმურაზ [კახთა] მეფემ ენისელთ ნაცვალს ხოსროს განუახლა საბელო (1662.IV.4. სოც. დოკ., № 515). — ნაზარალიხანი ნოდარ ჯორჯაძეს დაჰპირდა თავისი შესაძლო გამეფების შემთხვევაში ენისელთ მოურაობის საბელს, რომელიც ჯორჯაძეების განაყოფისა იყო ადრიდანვე (1693. Sd—15). — ენისელთ მოურავი იყო სულხან ([1688—94]. სოც. დოკ., № 521). — ქალბალიხანმა უბოძა ენისელთ მოურავის შვილს მერაბს ენისელთ მოურაობა (1698. ქ.-სპ. საბ., № 162). — ენისელის მოურავი იყო მერაბ (1699. ქ.-სპ. საბ., № 165). — კაკაბელებსა და შიბლიანელებს შორის მიწა-წყალზე დავის გარიგებისას გამრიგეებმა ალაპარაკეს ენისელთ მოურავი ნოდარ, მისი შვილი და გივი ჯანდიერისშვილი (1700.XI.15. Ad—574).

ენჩო იყო ერთი საზღვარი შაბადინისა (1670. IV.15. ისტ. საბ., IV, გვ. 47—49). — არჩილ [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს მტკვრის პირას ენჩო და ენჩოს დაბლა მინდორი (1670.VII.18. Ad—1837).

ეეუანთა ქედი ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა დავა ოპიზართა და მიჯნაძორელთა შორის „ტყესა და ზღვარზე" და დაუმტკიცა საზღვრად „დასავლით ეეუანთა ქედი" ([1027—1072]. Sd—1201).

ერგენთალი ერგენთალის, კიპრუშისა და ზემო საფიქლის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა აღუმბრუ, სუგეჩანი, მურავანს-შესაყარი ([XVII]. Sd—1936, 1922).

ერგნეთი ნ. კრცხილოანი (1451.III.8. ისტ. საბ., II, გვ. 7).

ერდგულაური მიწა პაპუნა საკაძემ პაპუნა თუხარელს დახარჯული ნიშნის სამაგიეროდ მისცა მუხათში 4 დღის მიწა ერდგულაური (1661. Sd—50).

ერდო (ერდოთი) ყაფარბეგ [ბარათაშვილის] ნაჭონი მამული ერდოში სიმონ მეფემ სამკვიდროდ უბოძა გოსტაშან იოვანეშვილს (1628.III.30). ქ.-სპ. საბ., № 32). — ნასოფლარი, სიმონ მეფემ უბოძა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს (1661. VIII.7. Hd—8437). — აქ მოსახლე ბერია ერგო

ბეჟანს ([XVII]. Hd—13620). — ე რ დ ო თ ი, ამილღამბარის საუფროსოს გარდა, ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13618).

ერედი (ერეთი) ერედს მოსახლე გილაძეთა შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ე რ ე თ შ ი ძველად შეწირული 2 კომლი: გაბრიელი და მისი განაყოფი (1559.XII.I. Ad—1572). — ერეთში მცხოვრები გილაშვილები ნიკოლოზ კათალიკოსმა ყურისუბნის სანაცელოდ მისცა ვახტანგს (1574.III.14. Ad—1654). — ერედს ეწერა 3 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ერედვი სრულიად ერედველნი მოწმენი არიან დავით ფავნელიშვილის მიერ გაბრიელ გილაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—5940).

ერევანი ერევნის წმინდა გიორგი მოხსენებულია ყორღანათ ქემაროზაშვილ რამაზას მიერ მისი განაყოფის ზაალისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში (1658. Qd—2024). — ე რ ე ვ ნ ე ლ მ ა არუთინა ოჰნეზაშვილმა [დომენტი] კათალიკოსის ყმად დაიწერა თავი (1671.VII.4. ისტ. საბ., IV, გვ. 49—50).

ერთაწმიდა (ერთაწმინდა, ესტაწმინდა, ერტაწმინდა) ეკუთვნოდა გარასპისა და რობამს. სიმონ მეფემ უბოძა სიაუშ საკაძეს (1588. Hd—14444). — ე რ თ ა წ მ ი ნ დ ა ში მცხოვრები გედია გედევანისშვილი მოწმეა ნოინ დავითაშვილის მიერ მიღებული ნასყიდობის წიგნისა (1617. Hd—15067). — მოურავი ბრალს სდებდა ქაიხოსროს: ე რ თ ა წ მ ი ნ დ ი დ ა ნ ნახირის წასხმაში. ქაიხოსრო ამაზე უარს ამბობდა და თავის მხრივ ბერუკას აბრალებდა (1620.IV.15. Hd—6259). — მარეხმა წმინდა ევსტათის ეკლესიას შესწირა მამული ერთაწმინდაში: 1 კომლი გლეხი მამისა ელისაბედაშვილი და მისი ძმები პაატა და ნადირა (1624. სოც. დოკ., I., № 23). — საკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ დაუბრუნა იორამ საკაძეს მისი ეკლესიითურთ, გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ იგი სახასო იყო (1652. Hd—13956). — სოფელი, აქ მცხოვრებნი: გოგია ფაშვიაშვილი, პ[ა]ტა გულისაშვილი, გოგია ამილბ(ა)რ(ა)შვილი მოწმენი არიან მაზიტა და პ(ა)ტას მიერ ხახანა შალვიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1652. Hd—5990). — ერთაწმიდაში ბახუტა ფავლენიშვილ-შალვაშვილის ნაქონი ზვარი და სააზნაურო-შვილო, აგრეთვე გლეხებიც როსტომ მეფემ უბოძა თარხან იორამ საკაძე-მოურავისშვილს (1654. Hd—14415). — აქ მცხოვრებმა გიორგი ოთხასაშვილმა ვენახი მიჰყიდა ტაბიკაანთ მანველს (1691.VI.12. Hd—5993).—აქ მცხოვრები ელიყა ზაქარასშვილი მოწმეა ზაზა ვეფხიასშვილის მიერ თამაზა დათვიასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697.VI.15. Hd—8577). — აქ მცხოვრები სეხნია გედიაშვილი მამულითურთ წილად ხვდა მოურავსა და ზურაბს თამაზა გოჩიაშვილისა და კურდღელაშვილის ფარდად ([XVII]. Hd—11786). — აქ მცხოვრები დათუნა კორკოტაშვილი მამულითურთ ერგო მოურავსა და ზურაბს ოთარას ნაცვლად ([XVII]. Hd—12384). — აქ მცხოვრებნი: სეხია ხუციაშვილი, ბერი ჭაღიაშვილი, ბასილ გედევანიშვილი, გიორგი ფარეშიშვილი, დემეტრე ამილბარეშვილი, თამაზა პატატუნაშვილი თავთა-

ვიანთი მამულებითურთ წილად ხვდნენ მოურავსა და ზურაბ [საკაძეებს] ([XVII]. Hd—11797. 13313, 12239, 12352, 12238).

ერთაწმინდის გზა ერთაწმინდის გზა საქვენაჭროდ საზღვრავდა ამილბარ ამილბარაშვილის მიერ ესტატე ხახანაშვილისათვის მიყიდულ მიწას (1613.III. Hd—2966).

ერთაწმინდის კვევი კათოლიკოსი და ერთაწმინდის კვევის ტარუღებს სიმონ მეფემ უბრძანა თავისი წყალობის „გათავება" (1588. Hd—14444).

ერკუატა [მურვან ღარიბაძის შვილის] საგიას ნასყიდი ყმა-მამული ერკუატაში მისმა ვაჟებმა მირძამ და ზაზამ სამნათეოდ შესწირეს ვანის მონასტერს. ერკუატაში მცხოვრებ 2 კომლ კკრივასძეებს ეკისრებოდათ გამოსაღები 46 თავჩაფი ღვინო და 2 გრიგი პური, ავგრეთვე ქამერა ევატასძეს ევალებოდა 14 ჩაფი ღვინო და 7 კაბიწი პური ([XIV]. Ad—933).

ერტისი ძმებს გერმახოზს. თაყას, გოსტასაბს, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] გაყრისას ერგოთ ერტისში მახარებელი, იმირინდო, ივანე, ფოკუია, ოქრია, იმედა, ნასყიდა და მახნია (1523. Ad—1299-ა). აქ მოსახლე გოგაძე მამულითურთ შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — ერტელი იყო უსენია ოქრიასშვილი (1558. Sd—734). — როსტომ მეფემ ერტისში მაკარაშვილები სამკვიდროდ უბოძა ჰასანბეგ ბარათაშვილს (1633. ჭ.-სპ. საბ., № 39). — აქ ცხოვრობდნენ ივანა მაკარაშვილი, ივანა ნანუაშვილი, სამანა გოგაშვილი (1661.IV.16. Sd—751). — აქ მცხოვრები მეზრისშვილები პკვიდრი ყმები იყვნენ პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილისა, შემდეგ ისინი თურქმანიშვილებს უბოძეს. შაჰნავაზმა კი ისევ ძველ პატრონს დაუბრუნა (1672.II.10. Qd—2041). — აქ ცხოვრობდა ირემაშვილი (1688. Sd—547). — იორამ ბარათაშვილ-ზაალისშვილს ნაზარალიხანმა უბოძა ერტისს მცხოვრები თევდორა ჯოშვილი მამულითურთ (1698. ჭ.-სპ. საბ., № 163). — ნაზარალიხანმა აქ მცხოვრები თევდორა გოგაშვილი უბოძა ამილბარ მაღალაძეს (1700. VI.29. Qd—1348). — სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს სოფელ ერტისში უბოძა 1 კომლი ([XVII]. Hd—8437).

ერწო [ბარათაშვილების] გაყრის წიგნით გერმანოზს და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბის, ფალავანხოსროს ერგოთ მთაში მამული და სოფელი ერწო (1523. Ad—1299-ა).—სოფელი, სიმონ მეფემ უბოძა ბარათაშვილებს იოანეს, ამილღამბარს ერწოში 2 კომლი (1561.VIII.7. Hd—8437). — აქ მცხოვრები დურმიშხან ფალავანხოსროშვილის ყმა მამუკა ზუბიაშვილი დურმიშხანის უშვილოდ გარდასვლის შემდეგ გიორგი მეფემ უბოძა პაპუნა გოსტაშაბიშვილს (1688.V.4 Qd—2025). — აქ მცხოვრები ამრუმელაშვილი პაპუნა საუფროსოდ ხვდა ამილღამბარს ([XVII]. Hd—13646).

ერწო ერწოში მონასტერ ბოპორმას, ციხის და წობენას შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII), Hd—8712).—ერწოშია მონასტერი ბოპორმისა. წმ. გიორგის და წმ. არჩილისა (1579. Sd—464).—ერწოშია თხილნარა (ნ.) (1579. Sd—464).—ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს კათალიკოს იოანესა და მცხეთელთა „ნებადართულობით", მის წინაპრებისათვის ადრიდანვე მიცემული კახეთს სვეტიცხოველს მა-

მულების სახლთ-უხუცესობა და ჯანიშობა შემდეგი წესის დაცვით: „პირიქით და პირაქეთ საგარეჯოს, ჯიმითს, ახალშენს, ვეძისხევს, ერწოს ბიწმედს, საგურამოს, რაც სვეტიცხოვლის მამულები არის და ჯვარი, სახასო მამულებში სთველს თქვენ აიღებდეთ, პურს, საბალახეს, ჯურუმს, და რუზედ ბრინჯსა. სათაოს არ დააკლებდე. ყველაფრისგან აიღებდე და თქვენის ხელით კათალიკოზს და სვეტიცხოველს მიართმევდე" (1700.VI.29 Qd—1348). ერეკლე მეფემ დაუმტკიცა სახლთუხუცეს რევაზს თიანეთი, ერწო, კისის ხევი, ფადარი და ენგიანი ([1688—1703]. Hd—1253).

ესიაური საკომლო მისი შეწირულება განუახლა მარიამ დედოფალმა თბილისის სიონს (1649.VI.15. ისტ. საბ., IV, გვ; 29—30).

ეშუისწყაროო (ეშვისწყარო) გაყრისას ძმები [ბარათაშვილები] ეშუისწყაროზე დაობდნენ (1523. Ad—1299-ა). ეშვისწყაროს ცხოვრობდა თაყა ბარათაშვილის ყმა პაპუა ბუდახაშვილი (1681.V. სოც. დოკ., I, № 96).

ეჩმიაწინი (ეჩმიაძინი) მონასტერი. [როსტომ] მეფემ შესწირა მას სოფელი ნახიდური, გაღმა-გამოღმა სახასო, მირიმანათ ხოსიასა და ყარჩიღას რომ წოგნებში ეწერათ. იმათს გარდა აგრეთვე: გლახია მამასახლისი, ხუცესი ტერკოსტანტა, ვართანანა ოქრომჭედელი, გრიგოლა სარუხანაშვილი, სარქისა დაუთაშვილი, საქუა, მაკარი ხუცესი, ევანეზა მჭედელი, ლაჩინა, მირანშა ეშაკაშვილი, ყაზარა ეშაკაშვილი, ამირხანა, ხეჩიკა ულუქაშვილი, სუთია ხანველაშვილი, ვართანა კოკოსაშვილი, მირანშა შულავერელი, ყარახანა. აშიყი ყარაგოზა, დაითა თავთავიანთი სახლ-კარ-მამულებითურთ (1657.I.15. მატენად., ფნ. 252.. № 4). — ხოჯა ასლან ბეჰბუდასშვილმა შესწირა ე ჩ მ ი ა ძ ი ნ ს სამი ქულბაქი ზოქრაბასა და დოღლათიარას სახლის წინ, კიდეე ერთი ქულბაქი ჩარსუბაზარში (1664.III.18. მატენად., ფნ. 252, № 6).

ეძანი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს ალექსანდრე მეფემ (1398.XII. Hd—8712). — სოფელი თრიალეთში, სიმონ მეფემ განუახლა მცხეთას მისი შეწირულებისა და ხითარხნის წიგნი (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121). — სიმონ მეფემ სამოურაოდ უბოძა იგი პაპუნა მაღალაძეს (1651.IV.10. Qd—6994). — ე ძ ე ნ ი ფარსოა მოწმეა შაყუბათა ბეროაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687. Hd—14179).

ეწერი ლევან დადიანმა და მისმა ბიძამ გიორგი ლიპარტიანმა ლევანის შამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად ეწერს ააგეს საყდარი, რომელიც უმაჩამულითურთ თაწმიდის ხარების ღვთისმშობელს შესწირეს (1642. Qd—6740).

3

ვათაზური მამული ნ. კოხარტული მამული (1467. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 30—31).

ვაკე აქ მდებარე საჩინოს ნაქონი მამული სიმონ მეფემ უბოძა ყაფარბეგ ბარათაშვილს (1627. Hd—8442). სიმონ მეფემ უბოძა გოსტაშაბ იოანეშვილს მისივე ბიძაშვილის ყაფარბეგ [ბარათაშვილის] ნაქონი მამულები ამლივში, ერდოსა და ვაკეში (1628. Hd—4171). — სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა ჰასან-

ბეგ ბარათაშვილს აქ თავისი კერძი მამული სამკვიდროდ (1633. ქ.-სპ.საბ., № 39). — ნ. ალგეთი (1699.V.26.. Ad—647). — სიმონ შეფემ იოანე და ამილ-ღმაბარ ბარათაშვილებს უბოძა 1 კომლი სოფელ ვაკეში ([XVII]. Hd—8437). — კათალიკოსმა უბოძა სერაპიონ მანგლელ ეპისკოპოსს მთასა და ბარში გლეხები, განუსაზღვრა: ვაკე, ღორისთავი, ცოვრეთი ([XVII]. Qd—1605).

ვაკე შერმაზან ომადმანისძისეული მამული ვაკეში უბოძა ალექსანდრე მეფემ იოვანე ომადმანიძეს ([XVII]. Sd—1789). — ვაკის მოურავი გიორგი მეძმარიაშვილი და ვაკის მოხელე გოგია კვერნაძე მოწმენი არიან სვიმონ ჭუთათელ-ქყონდიდლის მიერ მახარებელ ივანჯანისშვილისათვის მიცემული იმედის წიგნისა ([XVII]. ქუთ. მუზ., № 1841).

ვანათი აქ მოსახლე 9 კომლის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ვ ა ნ ა თ ე ლ ი მამისა გოგიჩაშვილი ერთ-ერთი მიმსყიდველია ამირაღა მესაბასტურაშვილისათვის ტინისხიდში მდებარე მიწისა (1649.VII.25. Hd—5306). — ნ. ტინისხიდი (1688.III.5. გუჯრ., გვ. 171—2). — აქაური ბერინა მოწმეა ზაქუტა ნაციხაშვილისა და სხვათა მიერ მათ განაყოფ შოშიასა და სხვებისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9387).

ვანანი სოფელი ვერის ხევში, ეკუთვნოდა არდაზიანდისშვილებს. როსტომ მეფემ დაუმტკიცა პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53).

ვანეხი აქედან 4 საკომლო წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

ვანთა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — შესწირა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1428.1.21 Sd—2882, 2883). — ვაჩნაძესა, ჯანდიერისშვილსა, ჰაქპავაძესა და კათალიკოსს შორის სამამულო დავის გარიგების შედეგად იგი დარჩა კათალიკოსის სახმაროდ (1654. Hd—8389). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 6 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — აქ მცხოვრები ივანე ბერინაშვილი მოწმეა ტოხელ გოგიბასშვილისა და სამნია სიმენდასშვილის მიერ ზალინა მეფისასშვილისათვის მიცემული [მიწის] ნასყიდობის წიგნისა (1681.1.II. Hd—9430). — ვ ა ნ თ ე ლ მა ზაქარია საზუაასშვილმა მიჰყიდა ივანე ბერინაშვილს ქედის მიწა და ორმოციანი ჭური (1681.XII.15. Hd—6789). — აქ მცხოვრებმა ნონიკამ მიჰყიდა [მიწა] გოგიჩასშვილს (1690.IV. Hd—9386). — ვანთელი მამასახლისი გიორგი მოწმეა ივანე ბეჟუაშვილის მიერ გელია ბერინაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Qd—746).

ვანთა-მონასტერი ალექსანდრე [ქახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო ვანთა-მონასტერი (1579. Sd—464).

ვანი (წმიდა გიორგის ეკლესია) მოხსენებულია ბეერაზა [შერაზადიშვილის] მიერ გიგნია [შერაზადიშვილისათვის] მიცემულ ვენახის ნასყიდობის წიგნში ([XVII]. ქუთ. მუზ., № 649). — მოხსენებულია ივანა მხალითელის მიერ

მამაჩა შერაზადიშვილისათვის მიცემულ ზედა ვაკეში ყანის ნასყიდობის წიგნში ([XVII]. ქუთ. მუზ., № 648).—მოხსენებულია დავით სამსონიშვილის მიერ შალვა შერაზადიშვილისათვის მიცემულ ყანის ნასყიდობის წიგნში ([XVII]. ქუთ. მუზ., № 650). — მოხსენებულია მამისთვალა სამსონიშვილის მიერ ვახტანგ შერაზადაშვილისათვის მიცემულ ყანის ნასყიდობის წიგნში ([XVII]. ქუთ. მუზ. № 651).

ვანი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459.Ad—559, 604).

ვანის ქუაბანი მურვან ღარიბაძის ძემ შესწირა ნასყიდი მამული როტოშაული ორხოფიაში, ერთი ნასყიდი ვენახი მაღნარა ტოლოშში, ორი ნასყიდი ყანა სოფელ ფიაში ([1393 წ.-ის ახლოს]. Ad—933-ვ). მურვან ღარიბაძის ძემ შესწირა ნასყიდი [სოფელი] ხარაკია და ორი ნასყიდი ვენახი ტოლოშში, „მაღმარშიგან“ ([1393 წ. ახლოს] Ad—933_1). — [მურვან] ღარიბას ძის სძლებმა მამადღამ და დადუნიაძემ შესწირეს თავიანთი ქმრების საგიასა და ინდუსტარის სააღაპედ ერთი ყანა მჭედლის უბანში და ვენახი ტოლოშში ([XIV]. Ad—933_2).—მურვან ღარიბას ძემ შესწირა კუნელეთი, დიდკლდე, ციხეკნელი და კუპარბითის მესამი ([XIV]. Ad—933_5). — [ღარიბას ძეთა] ეკვდერი მირძამ და ზაზამ შესწირეს სამნათეოდ თავისი მამის საგიასგან ნასყიდი: ერკუატაში ორი კომლი კვრიკას ძეები, რომლებსაც დაეკისრათ 46 თაჭიფი ღვინის გამოღება, სატრაპეზო თაჭიფით და ორი გრივი პურისა სატრაპეზო კაბიწით; ერკუატაშივე — ჟამერა ევატას ძე, რომელსაც დაეკისრა 14 თაჭიფი ღვინის გამოღება და შვიდი კაბიწი პურისა; აგარაში—ორკალოსძის მამული, რომელსაც დაეკისრა 3 გრივი პურის გამოღება. მის სამაგიეროდ მათ გაიჩინეს წელიწადში 12 საუფლო დღის წირვა და დიდმარხვას 6 პანაშვიდი ([XIV]. Ad—933_7). — [ჩაისარ] თმოგველის ასულმა გულშარმა შესწირა ჯამნათოდ თფის მშობლების მიერ ნასყიდი მამული: ფიაში — ხაბა და ნიკოლოზ ბალახაშვილებისგან ნასყიდი კეერნაული ვენახი, მირაშხანაში — ნაწალკოტევი ყანა და გულაური ჭალა. ამის სანაცვლოდ მნათეს გრიგოლს უნდა ეწირა 12 საუფლო დღეს ([XIV]. Ad—933_8). ჩაისარ თმოგველის ასულმა გულშარმა შესწირა თავისგან ნასყიდი სოფლის ზედა ვარძიის მესამედი, გუარამათ მიწის ერთი ვენახი მილახში და ერთი ლუკასური ვენახი ([XIV]. Ad—933_9). — ივანე ჯაყელმა შესწირა 1500 თეთრი ([XV]. Ad—933_6) ათაბაგ-ამირსპასალარმა ივანე ჯაყელმა შესწირა ვანის ქვაბთა მაცხოვრის ხატს ერთი ვერცხლით შეკედილი საკელაპტრე, ერთი ვერცხლის კანდელი და საუფლო ჰაპკრული მალი, საზეთედ ([XVI]. Ad—933_{11}). — როსტევან [რჩეულას ძემ] შესწირა „გულარშნისა ქუშეთი“ აჯარეული ზვარი და თავისი აშენებული პარტახტი ([XV]. Ad—933_4). — როსტევან რჩეულას ძემ შესწირა წევის ბოლო და ახალშენი ვენახით ([XV]. Ad—933_{10}). — ყუარყუარე [ათაბაგმა], მისმა თანამეცხედრე ანამ და შვილებმა მზეპაბუკ და ქაიხოსრომ განუახლეს ჰაპკული მალის შეწირულება ([1515—1535]. Ad—933_{-12}). — ყვარყვარე ათაბაგმა შესწირა ჰაპკური ვენაკის თავი და მალი ([1515—35]. Ad—933_{-13}). — ყვარყვარე [ათაბაგმა] და მისმა თანამეცხედრემ ანამ განუახლეს ჰაპკრული ვენახის სათავისა და კალოს კაბიწის შეწირულება ([1515—1535]. Ad—933_{-14}). — ენუქ და ალფეზ რჩეულაშვი-

ლებმა შესწირეს განძას ხევში ვენახი და მევენახე; სოფელ ჰაჰკარში ბერაულის მესამედი საზედაშედ: ვანის ჭვაბში—ირინაშვილი; მელიაში—ბაქელიძის ნახევარი ვენახით; ფარნაოზა და ელიზა ნახევარი ვენახით, ლეონის სულის სახსარად ([XVI]. Ad—933-ıϑ). აღბუღამ და ყვარყვარემ ივანეს სააღაპედ შესწირეს ტულოშს ბეიდისთავთა თხუთმეტი ჩაფი ღვინო და ორი გრიგი პური [მარგასტანს] ([XVI]. Ad—933-ıϑ).

ვანური საზღვარი რევაზ ზურაბიშვილსა და სულხან ყაფლანიშვილს დავა ჰქონდათ კახეთში ქვალდამაზე. დავა ასე გადაწყდა წყალგაღმა ღორისთული და ვანური საზღვრების შესახებ: სერის გაყოლებით წყლის პირამდე და სახნავამდე სულხანს დარჩა, აქედან მოკიდებული სახნავის ჩათვლით — რევაზს (1700.VI.2. Hd—4164-დ).

ვანჭი აქ მდებარე 4 საკომლო შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543. IV.20. Hd—10375). — როსტომ მეფემ უბოძა ჰასანბეგ ბარათაშვილს მისი სამკვიდრო ვანჭში (1633. ქ.-სპ.-საბ., № 39). — აქ მდებარე მიწები ერთმანეთს გაუცვალეს გერმანოზ ბარათაშვილმა და ალიხან არეშიშვილმა (1638.IV.4. Hd—6261). — სოფელი, როსტომ მეფემ დაუმტკიცა ყაფარას ვანჭში, „რისაც მამულის მონასყიდე იყო" (1641. ქ.-სპ. საბ., № 71). — ბარათაშვილების საკუთარი სოფელი სომხითში. ოთარ, პაატა და ვარაზ ბარათაშვილებს ვანჭზე გაუცვალეს სოფელი აბელია დოლმაზ გოგიბაშვილმა, მისმა ძმისწულმა ხოსრომ და დურმიშხან ბექანიშვილმა (1653. Hd—14664). — გიორგი მეფემ გასცა ვანჭში შაყულაშვილის სამკვიდრო მამული, აგრეთვე საკელოდ ახალქალაქი და პატარა ტამალია (1676.X.18. Hd—1706). — ნაზარალიხანმა უბოძა იორამ ბარათაშვილ-ზაალიშვილს ვანჭში მცხოვრები ელაღა მამულითურთ (1698. ქ.-სპ. საბ., № 163). — აქ მცხოვრები პაპალა ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13642).

ვაჟთა-ქევი მარაბდის უბანი იყო ([1688—1703]. Sd—577).

ვარაპეტი ვარაპეტის ხოფელსა და ახპატის ბაღების ნახევარს ბანდურბეგ არღუთაშვილი შეედავა რევაზბეგს. თამაზყულიხანმა უჩვენა: ეს ადგილები რომ ბორჩალოს მეპატრონეს თამაზყულიხანს. ჩამოერთვა, რევაზ-ბეგს მისცესო. ამის მიხედვით არღუთაშვილი გამტყუნდა და სადაო ადგილები რევაზბეგს დარჩა (1693.X. Hd—4159).

ვარდანუცი გიორგი მეფემ განუახლა ისათ ვაჩნასძეს ვარდანუცის წყალობა (1455.X.9. Hd—7588).

ვარდიანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული 7 საკომლო ვარდიანში (1579. Sd—464).

ვარდისუბანი ახტალის ხევზე სოფელ ვარდისუბნის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII Hd—8712).

ვარდისუბანი სოფელი ქციას გაღმა, აქ დავითისა და აბაშის კერძი მამული კათალიკოსმა დაუმტკიცა მანგლისის ეკლესიას (1584. Qd—1604).

ვარდისუბანი სიმონ მეფემ შესწირა დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიას სოფელი ვარდისუბანი (1586.I.9. Ad—2233).

ვარდისუბანი დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს ვარდისუბანში ბაღი და სახლები (1660.V.1. Sd—2913). — ვარდისუბნის ზვარს

მართებდა 18 საპალნე და კულუხი 10 საპალნე (1689. Sd—1932-ბ). — ვარდისუბნის ზვარს მართებდა 19 საპალნე და კულუხი 12 საპალნე (1690. Sd—1932-გ). — ვარდისუბნის ზვარს მართებდა კულუხი ([1691]. Sd—1932-დ). — ვარდისუბანს როინიშვილისეული წისქვილი და ვენახი კოზმანაშვილის კარზე დემეტრე ზედგინიძემ მისცა იესე დედაბრიშვილს ნასისხლი მამულის ნაცვლად ([XVII]. Sd—67).

ვარდოვანი აქ მდებარე 6 დღის მიწა შესწირეს სულის მოსახსენებლად ([XV]. Ad—2050). — ლიპარიტმა და გუგუნამ შენდობის მისალებად ვარდოვანში 6 დღის მიწა შესწირეს საყდარს ([XVII]. Ad—2014).

ვარდუანა ნ. ჭურეკი (1669. Sd—11).

ვარდუანი მანუჩარ თუმანიშვილმა იყიდა ბერიკა ბესიაშვილისაგან სამყვიდრო მიწა ვარდუანასთან ახლოს (1667. Qd—9037-ლე).

ვართევანი სოფელი, ამისა და დემურასოფლის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა მუსიყალა ([XVII]. Sd—1936, 1922).

ვარიანი ამოწუვეტილი მაჩაბლის კერძი მამული ვარიანში, ძარში, ძარწემსა და ზემთხეში, რომელიც შემდეგ პაპუნა ვაშაყაშვილს ჰქონდა, როსტომ მეფემ უბოძა სეხნია მაჩაბლის შვილებს: თამაზს, ლომკაცსა და ბადურს (1656.VIII.1. Qd—8967). — აქაური ხუცესი უჯარმელაშვილი, ბერუკა უჯარმელაშვილი და ხუცო მამულითურთ, ნაზარალიხანის ბრძანებით, იასაულმა ბიძინჯასა და დუშიას მიაბარა მოკლული ნათესავის სისხლის საფასურში ([1688—1703]. Hd—2004).

ვარსანი როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო ვარსანში მცხოვრებნი როსტევანიშვილი და ზამთარასძე მამულებითურთ, ხოლო გოშფარს — ძმაორაშვილი მამულითურთ და ქოქუა უმამულოდ ([XVII]. Qd—605).

ვარცა ალექსანდრე [ყახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული ვარცა ([1579, Sd—464]).

ვარცანის მონასტერი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — მდებარეობდა გვერდის ძირს (სოფელ) ვეძისხევთან, ალექსანდრე [ყახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს მისი შეწირულობა (1579. Sd—464). — სვეტიცხოვლის სამკვიდრო სოფელი ვეძისხევი და ფაშაანი „ბიზნობის კვალად" ორიოდე წლით ალექსანდრე [ყახთა] მეფემ ყარა-ასლანს მისცა. ნიკოლოზ კათალიკოსის ჩარევის შემდეგ, მეფემ ნება დართო სვეტიცხოველს ვეძისხევსა და ფაშაანში თავისი მოურავისა და ქადაგის დაყენებისა, საბალახო, აბრეშუმისა და დიდი სათათრო საურავის აღებისა. თვითონ მეფემ დაიტოვა ლაშქარ-ნადირობის ბეგარა და „მონასტერი ვარცანისა, სასახლე და ციხე უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშაკობდენ"-ო ([1574—1595]. Ad—786, 614).

ვარძა ვარძის მოურაობა უბოძა გივი ზედგინიძემ თავის ყმას ქავთარ ეგაძეს (1647. Ad—1102).

ვარძაგრა ვარძაგრისა და მუხრანის სამეკრეო წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] ([XVII].Sd—1636, 1922). — ვარძაგრელი იყო მურად ([XVII]. Sd—1936).

ვარძია გიორგი მეფემ „ვარძიას რაბიძისოული წყალობათ" გასცა ([1325].

საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 6—8). — ქართლის კათალიკოსმა მიქაელმა მცხეთაში აკურთხა აწყურის მთავარეპისკოპოსი გერასიმე, რომელმაც მიქაელს აღუთქვა: „არ მოიხსენიოს ანტიოქიის პატრიარქი, არ შეიწუნაროს მისი გამოგზავნილი კაცი და არ აკურთხოს ვარძიის დიაკონი“ ([1414—1425]. Ad—522). — ვარძიის ღვთისმშობელი მოხსენებულია როსტევან რჩეულასძის მიერ ვანის ქვაბებისადმი მიცემულს წყალობის წიგნში ([XV]. Ad—933).

ვარხონა (ვარხონა) სოფელი ხრამის ხეობაში, უბოძა სიმონ მეფემ ასლამაზ არეშიშვილს (1583.V.25. ჭ.-სპ. საბ., № 8). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — კათალიკოსმა უბოძა სერაპიონ მანგლელს მთასა და ბარში გლეხები, განუსაზღვრა: ვაკე, ღორისთავი, ვარხონა... ([XVII]. Qd—1605). — როსტომ მეფემ უბოძა ჰანასბეგ ბარათაშვილს სამკვიდროდ ვარხონაში მცხოვრები მისი საკერძო არეშიშვილები მამულითურთ (1633. ჭ.-სპ. საბ., № 39).

ვახაკას სოფელი როსტომ მეფემ განუახლა ზურაბის ძმისწულს ყაფარას ვახაკას სოფელში მისი კერძი მამულის წყალობა (1641. ჭ.-სპ. საბ., № 71).

ვაშლოვანი ვაშლოვნელი იყო ბაბულა და მისი ძმა ალავერანაშვილი გარსუა (1558. Sd—734). — სოფელი ვაშლოვანი როსტომ მეფემ უბოძა შიომ მალაძეს (1636. Qd—6997). — ვაშლოვნელები იყვნენ ალაჰვერნა და აბოა საფარაშვილები (1661.IV.16. Sd—751) — აქ მცხოვრები პა[რ]უა ბეგუასშვილი მოწმეა სუხია მუსლისშვილის მიერ მურადასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683.XII. Hd—11048).

ვაძა ვაძას ნაოკარი, ამოვარდნილ გერმანოზიანთ ბარათაშვილის ნაქონი, როსტომ მეფემ უბოძა პაპუნა არეშიშვილს და მის შვილებს საზღვრებში: „ბედნის ნათლისმცემლის სწორათ ღელე, ბოლოს დიდი გორა ჰივჰივს ერთვის ზედათ, ყუინჩილის კევის სწორათ, რაც ბედენი დახედავს“ (1652. Sd—20).

ვაჭევი სოფელი, ძველად კაცხის მაცხოვრის ეკლესიისა, შემდეგ დაკარგულა. მისი საზღვრები იყო: „იქით რგანის სოფლისაკენ კაჟის სამანი და თელაწმინდამდი, აქეთ ღუითორისაკენ წითელას ჯვარამდინ“. გიორგი [იმერთა] მეფემ თავის სახასო სოფელ ხრეითიდან გადმოიყვანა და ვაჭევში დაასახლა 4 კომლი ცერცვაძე, რომელთაც არ მოუშალა ხრეითში სამკვიდრო მამული და სასაფლაო, გაათარხნა სამეფო გადასახადებისაგან, გარდა ლაშქარ-ნადირობისა. და შესწირა კაცხის მაცხოვრის მონასტერს (1615. ქუთ. მუზ., № 125). — აბულახარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას „ავაზნისა იქით“ ნასოფლარი ვაჭევი „თელაწმინდიდგან ღვითორისკენ, აქეთ კაჟის სამანს რკინის ჯუარამდე“ ([1515—35]. საისტ. კრებ., III, გვ. 43).

ვახანის ციხე-ქვაბი ალექსანდრე მეფემ უბოძა იოვანე ომადმანიძეს მამამისის ამაბეგის ნაქონი ქართლის საზღვარს აქეთ, რეელს აქეთ და აწყვერის საზღვარს აქეთ ვახანის ციხე-ქვაბი ([XVII]. Sd—1789).

ვახნისისი ბაკა იაშვილმა ვახნისისის მეოთხედი უბოძა თვალია შერაზადიშვილს ([XVII]. ქუთ. მუზ., № 1025).

ვახანი ნ. ჯ.-ის ქუაბნი.

ველეფა ველეფას საყდარი შემოსაელითა და სასაფლაოთურთ იოანე

შერაზადიშვილის მკვლელმა ლექერა ჩიკვილაძემ სისხლის ფასად მისცა შალვა შერაზადიშვილს ([XVI]. ქუთ მუზ., № 647).

ველთა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ველისხოფელი ეწერა 3 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ველისჯვარი რევაზამ აქ საყდრის ახლოს მდგომ დიდ მუხასთან დაიბარა ამირა (1664. III. Hd—10346).

ველკეთილი ნ. სვეტიცხოველი (1587. ისტ. საბ., II, გე. 55—57). — სომხითში ყორანთას ქვეყით ველკეთილის მეღალობა იოანე კათალიკოსმა დიასახლისს უბოძა სვეტიცხოელის დეკანოზს ფოცხვერას (1792.IX. Qd—9087). — ეწერა მას 12 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ველოუბანი აქ მცხოვრები ფარეშვილები წილად ხვდნენ მანუჩარ [თუმანიშვილს] (1656. Hd—11973).

ველ-ტყიანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთის სვეტიცხოველს სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო ველ-ტყიანი (1579. Sd—464).

ველური [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ველური (1559.XII.1. Ad—1572).

ვენახისთავი „ვენახისთავს, ცუქელაურის მიწის საქცევს, შირიანაშვილის მიწის თავს, ყართუმალს პანიაურის" — ამ საზღვრების მქონე 4 დღის მიწა გაყიდეს მუჩათიძე-პაატაშვილებმა (1681.VI.20. Hd—834).

ვერე ცალქალამნიძე სახლში მიუხტა ქაიხოსროს, დაურბია სახლ-კარი და გადაუხვეწა ცოლ-შვილი, რომელიც შემდეგ ქაიხოსრომ ვერეს იპოვნა (1620.IV.15. Hd—6259). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 12 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ვერეში ერგო: გიორგი ბეჟიაშვილი, დათუნა ლოცვილასშვილი, თაშაზ დედანაშვილი მამულებითურთ, შირზაშვილის, ხეჩიკასშვილის მამული, მიჩიტასშვილის მამული, სულხან ყენასშვილი მამულითურთ, ზურაბ წეროსაშვილი მამულითურთ; პაპუნას ერგო: ებიტასშვილის მამული, ივანა სულხანაშვილი, ბერი დავითასშვილი მათი მამულებითურთ, გულა ეგნატასშვილი, გივაურის მამული, ნადირა ეადიასშვილის მამული ([XVII]. Hd—1636).

ვერენა სოფელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს შეწირულება ვერენასი ციხითურთ, აგრეთვე ამ ციხის გადაღმა ადგილისა საფისტეს ციხემდე (1579. Sd—464).

ვერზნალა აქ მოსახლე თამაზა ოქროპირიშვილი ყმად ერგო ოთარ [ჯავახიშვილს] ([XVII]. Hd—11900).

ვერის-ხევი (ვერის-ქევი) სიმონ მეფემ დაუმტკიცა ყაფარ სოლაღაშვილს შვილებს მათი წილი მამული ქალაქის პირსა და ვერის ხევში: ტაბახმელას 3 კომლი და 3 ოხერი, გუდედისს 2 კომლი და 2 ოხერი, ტაგნაგეთს 1 კომლი და 1 ოხერი; სოფლები: დრე. შავნი და მამისდაბა ([1581].III.16 ქ.-სპ. სჩბ., № 4). — ალგეთის პირისა და ვ ე რ ი ს-ქ ე ვ ი ს ტარუღებს სიმონ მეფემ უბრძანა თაეისი ბრძანების შესრულება (1581. Qd—1674). — როსტომ

მეფემ უბოძა ქაიხოსრო ბარათაშვილს ვერის-ხევში მისი სამკვიდრო მამული: სოფელი ნახშირის გორო ქვემოთი უბანი და ზემოთი უბანი (1633.XII.25. ქ.-სპ. სიგ., № 47).

ვერის-ხევი აქ მდებარეობდა სოფელი ვანანი (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53). — ვერის ხევი გიორგი მეფემ უბოძა გორელებს (1683. Qd—1970).

ვერნაულა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ვერტყუილა თეიმურაზ [კახთა] მეფემ, [იმერეთის] მეფეთაგან გაცემული წოგნის საფუძველზე, ბატონ ლევან [აბაშიძესა?] და მის სიძეს ამილღამბარს უბოძა ვერტყუილაში ბლიაძეები, ვ ე რ ტ ყ უ ი ლ ი ს ჰ ა ლ ა შ ი გოგალაძეები და ციცქიშვილი (1628.X.30. Hd—14680).

ვერტყუილის ჰალა ნ. ვერტყუილა (1628.X.30. Hd—14680).

ვერხუნალა (ვერხუნელა, ვერხნალი) ბედენის პირას მდებარე სოფელი, ლუარსაბ მეფემ შესწირა გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერს ([1606—15]. Hd—1554). — სოფელი ვ ე რ ხ ნ ა ლ ი იესე ბარათაშვილმა შესწირა გუდარეხის მონასტერს მთელი მისი საზღვრებით, გარდა მცირეთისა და ლორის-თავის სახნავ-სათესისა, და გაათარხნა (1630. III.4. Hd—14667-ა). — შანავაზმა ოთარ ბარათაშვილს მისცა გუდარეხის მონასტრისათვის სოფ. ვერხუნალას განახლების წიგნი (1662. Hd—14692). — სოფ. ვ ე რ ხ უ ნ ე ლ ა როსტომ მეფემ ჯილდოდ მისცა დონდარა მესტუმრეს, რომელსაც იგი შანავაზმა გამოართვა შემდეგ (1662. Sd—621). — პაპუა გუგუნა და ვარაზა გერმანოზიშვილებს დავა ჰქონდათ პაპუნას ახოებზე ვერხუნალაში ([1692—1703]. Sd—577). — აქ ცხოვრობდა დათუნა ოქროპირისშვილი ([XVII]. Sd—477-ა).

ვეცოკაშვილისეული მიწა [გორის მახლობლად], „ვეცოკაშვილისეული მიწა დანპალათ“ მიჰყიდა ერაზა გოგინაშვილმა ზურაბ თუმანიშვილს. მისი საზღვრები იყო: თავი — მამუკა როსტევანაშვილის მიწამდე, ბოლო — მამასახლის ხალია ანდრონიკაშვილის მიწამდე, ზედა გვერდი—ფშანამდე, ქვედა გვერდი — ჭაობამდე (1675. Sd—33).

ვეძისი მარიამ [დედოფალმა] განუახლა სოლაღაშვილს ვეძისისა და ზურაბის წილი მამულის წყალობა (1636. Sd—742). — ვ ე ძ ე ლ ნ ი მოწმენი არიან ბასილა სულხანაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1673. Ad—2246). — ვეძელი იყო მეხარანთ ივანეშვილი გიორგი (1691. Sd—64).

ვეძისხევი (ვეძისქევი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სოფელი ვ ე ძ ი ს ქ ე ვ ი ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს შესწირა (1428.1.21. Sd—2882, 2883). — ლეონ [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს შესწირა ვეძისქევი და ფაშაანი (1537. ისტ. საბ., II, გვ. 35) — ქევი და სოფელი, მდებარეობდა გვერდის ძირს, ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464). — სვეტიცხოვლის სამკვიდრო მამულები: სოფლები ვეძისხევი და ფაშაანი „სრულად მისის შენობით“, ხევთუბანი და გიორგანი — ორივე ხევი მაღლა მთიდან დაბლა თეთრაკლდემდე, რაც საეჭო არის, ხევს გამოლმა გრემის „ქერძად“ ორიოდე წლით ალექსანდრე

[კახთა] მეფემ, „ხიზნობის კვალად" ყარა-ჰასლანს უბოძა, ნიკოლოზ კათალიკოსმა ამაზე პროტესტი განაცხადა და მეფეს უჩვენა სვეტიცხოველის გუჯარი. ალექსანდრე მეფემ შეიწყნარა ეს და სვეტიცხოველს უკან დაუბრუნა მისი მამული: ეკლესიას შეეძლო თავისი მოურავი და ქადაგი ჰყოლოდა ვეძისხევსა და ფაშაანში, აგრე სახალახო, აბრეშუმი და დიდი სათათრო საურავი. მეფემ დაატოვა ლაშქარ-ნადირობა, აგრეთვე „მონასტერი ვარცანისა, სასახლე და ციხე უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშაკობდნენ"-ო ([1574—1595]. Ad—786-ა, 614). — რუსი რუსიშვილმა შესწირა სვეტიცხოველს გეჯაშვილის მამული ვეძისხევში (1664. Ad—1753). — უმეფობის ხანაში ქაიხოსრო რუსიშვილ-პაატიშვილმა მიითვისა სვეტიცხოვლის მამულები ვეძისხევს ([XVII]. Ad—823, 786-ბ). — ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს კახეთში სვეტიცხოვლის მამულთა სახლთუხუცესობა და ჯანიშინობა შემდეგი წესის დაცვით: „ჯიმითს... ვეძისხევს რაც სვეტიცხოვლის მამულები არის და ჯვარი, — სახასო მამულებში სთველს თქვენ აიღებდეთ, პურს, საბალახეს, ჯურუმს და რუზედ ბრინჯსა, სათაოს არაფრისგან არ დაიკლებდე და თქვენი ხელით კათალიკოზს და სვეტიცხოველს მიართმევდე" (1700.VI.29. Qd—1348).— ვეძისხეველნი გამრიგენი იყვნენ კათალიკოსთან რუსიშვილთა სამამულო დავისა ([XVII]. Ad—1891).

ვეძური ვეძურში „თელოვნურის საზღვარს ზემოთ" პაპუნა დეკაბრიშვილმა 2 დღის მიწა მიჰყიდა დავით ზანდარაშვილს (1696. Hd—14861).

ვეჯინი (ვეჟინი) გიორგი მეფემ მეღვინეთ-უხუცეს ასა ვაჩნაძეს განუახლა წყალობა ვეჯინსა და ვეჯინის პირს სოფლებისა: ყარდანეხს, ყარაყრუცის, ბაკურციხის, ჩალამოტის, კოლაგის, კეპასი და კალატურნისა (1455.X.8. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 40—43). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს შესწირა კახეთში ვეჟინის პირთა სოფელი ახალშენი — საპანკისო, სახასო, რომელიც პანკისის ციხის მსგავსად არასოდეს არავის არ ყოფილა გაცემული, და თორღიანი (1479.I.24. Ad—1838). — აბაზყულიხანმა და ნაზარალიხანმა ზაალ ენდრონიკაშვილს სპარსელთადმი ერთგულების გამოჩენისათვის უბოძეს მისი ბიძაშვილების ლუარსაბისა და ერასტის ყმა-მამული ვეჯინსა და გუჯანში: ლომიტა საბაშვილი, ირემა ხატუაშვილი, უტა და გიორგი უტიაშვილები და სხვები (1694,VII.1. Hd—2632).

ვეჯინის პირი (ვეჟინის პირნი) ნ. ვეჯინი (ვეჟინი) (1455.X.8. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 40—43; 1479, 1. 24. Ad—1838).

ვილოვნას ხევი აქ მდებარეობდა ზემო შავნი (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53).

ვირშა (მთავარანგელოზის მონასტერი) ვირშის მთავარანგელოზის მონასტრის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).—ნიკოლოზ კათალიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა ყურისუბნის სანაცვლოდ ვირშის მონასტერი ისე, როგორც იგი სვეტიცხოველს შესწირვია (1574.III.14. Ad—1654, Sd—2870). მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ვირშის მონასტრისა და მისი მამულების შეწირულება; მეფემ იგი მიაბარა განსაგებლად მალაქია ქართლის მთავარეპისკოპოსს ([XVII]. Ad—712).

ვირშა (სოფელი) [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს ვირშის შეწირულება (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121). — ნიკოლოზ კათალიკოსმა ვირშა გაცვალა ყურისუბანში (1574.III.14. Ad—1654).

ვირშელაური მამული ნ. ლაფაური (1467. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 30—31).

ვიძი ნ. ვიძნი.

ვიძნი დარისპანა ბერძნისშვილმა მიჰყიდა ოსიყმა ბეჟღულაშვილს მესამედი ვიძნი და ვიძის სამტიტლე ([XVI]. Hd—1571).

ვრცლა გორგაძეებმა და რთველიაშვილებმა გიორგისა და მის ძმებს მისცეს პავკავისში შავარდნის კლდის თავის დუბე — ვრცლა ([1677—88]. Hd—14446).

ზ

ზა აქ მდებარე 6 საკომლო შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — ზას მდებარე გიორგი კახაბრიშვილის ნაქონი მამული, 1 საკომლო, იასე ბარათაშვილმა მიჰყიდა მეჯინიბეთ-უხუცეს პაატა ბარათაშვილს (1679.II.8. Hd—8802). — აქაური ჯამასპა პაპუჩაშვილი მამულითურთ ერგო [ოთარ ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—14983, 11898). — ოთარ [ბარათაშვილს] ერთწილად ერგო ზაში ფარდონასშვილი და მამაცასშვილი ახალკაცისშვილის მამულითურთ და მერაბას მამული ([XVII]. Hd—11897).

ზაგალეთი უსახელოს ზაგალეთში მოსახლე ბეჟუა მუსელიანი ცაგერის ეკლესიის შეწირული იყო, მაგრამ კუპაიძემ დაიპირა. შემდეგ გიორგი [იმერთა] მეფემ გამოართვა იგი კუპაიძეს და ისევ ცაგერის ეკლესიას შესწირა ([1605—39]. Qd—9085-გ).

ზაკი აქ რომ როპიკაშვილს 1 კომლი და 1 საკომლო ეკავა, გრიგოლმა შერმაზანსა და მის სახლისკაცებს უბოძა, როპიკაშვილს კი სანაცვლოს შეჰპირდა ([XVII]. Hd—14983).

ზაკუი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სხვა სოფლებთან ერთად სოფელ ზაკუის შეწირულება (1559.III.1. Ad—1572). — ნიკოლოზ კათალიკოსმა, სიმონ მეფის ნებართვით, ვახტანგ ბატონიშვილს მისცა ყურისუბნის სანაცვლოდ ზაკუი, სოფ. ვირშა მონასტრითურთ, ჭორდი და სხვ. (1574.III.14. Ad—1654).

ზაკუი აქაური გლეხები დეველინისძე, ნადიმაშვილი, ბახტასძე მამულებითურთ ზაქარია და იესე ჯავახიშვილებმა, თავიანთ სხვა ყმა-მამულებთან ერთად, „ბატონ მოურავს" [გიორგი საყაძეს] შეუერთეს (1624. Hd—14693).—აქ ცხოვრობდა ციცი [ციციშვილის] მოსაურე გლეხთა ნუსხაში მოხსენებული 3 კომლი ყმა, ფარეშთ-უხუცეს პატას აქ 2 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534). — როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო აქაური ვირიკა დეალაური, სუიმონასშვილები, თევდორა ნახევარი მამულით, ესმიერა ფაჩუიაურითა, მელაური მამული; გოშფარს ერგო მიქელა ბახტასძე და ბასილა ნახევარი მამულით, ნადიმაშვილი მთელი მამულით ([XVII]. Qd—605).

ზამთარეთი იყიდა იტრიის სიონმა გიორგი მეფისაგან. შემდეგ კი იგი მეფის ძემ გიორგიმ შესწირა, სხვა სოფლებთან ერთად, იმავე ეკლესიას (1584, Sd—209).

ზარზმა მზეჰაბუკმა და მისმა ძმისწულმა ყვარყვარემ შესწირეს „აწყურის მონასტერს და სუიმონ მაწყუელელს ზარზმის მონასტერი მისი შემოსაელით, სოფლებითა და გლეხებით ([1500—1516]. ისტ. საბ., II, გვ. 26—28).

ზე მარიამ დედოფალმა უბოძა თაყა ბარათაშვილს ზ ე ე ლ ი იოვანე და მისი ძმები ([1675—82]. სოც. დოკ., I, № 75).

ზეგანი აქ მცხოვრები მუთაგილუნ ხუბილავა ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინტას (1628. Sd—2904).

ზეგლეჯი ბაგრატ [იმერთა] მეფემ ხოსია ჯაფარიძეს უბოძა ზეგლეჯს მისი განაყოფის ლომკაც ჯაფარიძისათვის წართმეული სამკვიდრო 5 კომლი (1665. Hd—9546).

ზედა ვარძია მისი მესამედი იყიდა ჩაისარ თმოგველის ასულმა გულშარმა და შესწირა ვანის ქვაბებს ([XIV]. Ad—933-ჯ).

ზედაველის მთა გიორგი მეფემ უბოძა გორელებს ზედაველის მთა აგარის მიდგმამდი და ურიულამდი (1683. Qd-1 970). — ნ. ნარაყალა (1699.II.24. Hd—1351).

ზედა თრიალეთი ქრისტეფორე კათალიკოსმა მიაბარა ელისე თბილელ-მთავარეპისკოპოსს წალკელის სამწყსოში შემავალი ზედა თრიალეთის სოფლები, რომელთა შემოსავალი ნახევარი თბილელს უნდა დარჩენოდა და ნახევარი სვეტიცხოველს მიეღო ([1616—60]. Ad—47).

ზედა ირდასუბანი ნ. ირდასუბანი.

ზედა კრავა წოდორეთში მდებარე ზედა კრავას 3 დღის მიწა სვიმონ და ბასილა სულხანიშვილებმა მიჰყიდეს ჯავახიშვილებს (1672.V.1. Hd—2629). — ბასილა სულხანიშვილმა მიჰყიდა ზედა კრავაში 3 დღის მიწა და ახო ზურაბ ჯავახიშვილს (1672.V.9. Ad—967).

ზედა ქსორისი აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 1 კომლი ყმა, აქვე ხალს 1 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534).

ზედა ჯვარი აქ თავისი ნაწილი ახო მიჰყიდა მამუკა ონაშვილმა გიორგი წინამძღვრიშვილს (1689.VI.7. Sd—551).

ზედაძენი ნ. ჯვარი (1559. Hd—8729).

ზედვაკე მამისთვალა სამსონიშვილმა აქ ყანა მიჰყიდა ვახტანგ შერაზადიშვილს ([XVII]. ქუთ. მუზ., № 651).

ზეთისხილოვანი ბიჭვინტის ახლოს სოფელი „აითარნეს მთა ზეთისხილოვანი“ მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ([1512—32]. Ad—2218).

ზემთხე ამოწყვეტილი მაჩაბლის კერძი მამული ვარიანში, ძარწემში, ძარში და ზემთხეში, რომელიც შემდეგ პაპუნა ვაშაყაშვილს ეკუთვნოდა, როსტომ მეფემ უბოძა სეხნია მაჩაბლის შვილებს (1656.VIII.1. Qd—8967).

ზემო ანტრაპი აქ 20 კომლი კაცისა და ეკლესიის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ზემო აშენდა დომენტი კათალიკოსმა „ფრანგ" (კათოლიკე) ხუდადა ხოჯაშვილს უბოძა „ახალდაბას ზემო აშენდა თავისის გლეხით" (1660.V.1. Sd—2913).

ზემო ახალდაბა სიმონ მეფემ სვეტიცხოველს განუახლა გორის პირას ზენა ახალდაბაში ფალავანდიშვილისაგან შეწირული 18 მთელი მამული და გაათარხნა იგი (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 119).

ზემო ბიწმენი სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII.Hd—8712).

ზემო ბოლნისი მისი მამასახლისი და მოურავი იყო დუშია (1620.V.10. Sd—620). — სოფელი, როსტომ მეფემ განუახლა აქ ზურაბის ძმისწულს ყაფლარას გლეხ ასლამაზას წყალობა მამულითურთ (1641. ქ.-სპ. საბ., № 71). — აქ მდებარე აღაჯანაშვილის და მბითარასშვილის სავენახე მიწა მოუცვალა იოსებ ბოლნელმა რევიშვილმა დოლმაზა და ელიზბარ შანშიაშვილებს (1670.VIII.2. Hd—10249). — ზემო ბოლნელნი მოწმენი არიან პაპუა ყამაზასშვილისა და გიგოლა ფირიკელაშვილის მიერ გიორგი ყაფლანისშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1676. Hd—6038). — ზაქუა ალიყურისშვილმა მიჰყიდა ვახტანგ [ორბელიშვილს] ზემო ბოლნური მკვიდრი ზვარი (1677. Sd—537). — ზემო ბოლნელი მამასახლისი იყო შერმაზანა (1678.VII.1. Sd—2295). — ზემო ბოლნელნი მოწმენი არიან არაზა ტერტერასშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1679.VIII.5. Hd—14164). — ზემო ბოლნელმა არაზა სტეფანაშვილმა მიჰყიდა დოლმაზა შანშიაშვილს 4 დღის ყოჩის მიწა საზღვრებში: ზემო მხარეს — გალუაშვილის მიწა, ქვემოთ — შენაზარას მიწა (1681.V. Hd—1781). — ზემო ბოლნელი მოურავი დუშია მოწმეა ასლუაშვილ-ზურაბაშვილების მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1693. Hd—6604). — ზემო ბოლნისის მოურავი მახარობელი და მამასახლისი ვართანა მოწმენი არიან ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1699.IX.27. Hd—10257).—ხეჩუმამ და მისმა ძმამ გრიგოლამ მიჰყიდეს ბატონ შიოშს მკვიდრი ვენახი შუა ბოლნისსა და ზემო ბოლნისს შორის ([XVII]. Sd—820). — ვერანა ზეგალაშვილმა და მისმა ძმებმა დოლმაზა შანშიაშვილსა და მის შვილებს მიჰყიდეს ზემო ბოვნელი კაცისაგან ნასყიდი 1 დღის მიწა. ამისი მოწმე და ჩამწერია ზემო ბოლნისის მამასახლისი ზალ ([XVII]. Hd—1779). — ზემო ბოლნისელი მოურავი ვერმიშა მოწმეა ხუგაზა ადიბეგასშვილის მიერ ბოლნელისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9275).— ზაქუა ზაქუმიშვილმა დოლმაზა შანშიასშვილს მიყიდა ზემო ბოლნისში თავისი მკვიდრი გლეხის დავითაჯშვილის 4 დღის მიწა [XVII]. Hd—354).

ზემო გომი სოფელ ზემო გომის შეწირულება ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს განუახლა (1398.XII. Hd—8712).

ზემო დიდი ხახუნდარი ნახარალიხანმა სომხითის აზნაურიშვილ „სოიბათ" იასაულ ბაინდურ გოგიბაშვილ-პაპიაშვილს უბოძა ამოვარდნილი კაცის

ნაქონი ნახევარი ზემო დიდი სახუნდარი, რომლის მეორე ნახევარიც ადრევე მისი იყო (1688.XII.6. Hd—10147).

ზემოთი უბანი სამკვიდრო მამული ქაიხოსრო ბარათაშვილისა, რომელსაც ძეი როსტომ მეფემ ხელახლა დაუმტკიცა (1633.XII.25. ქ.-სპ. საბ., № 47).

ზემო ზვარი „ერთწილად ზემოზვარი მეოთხედ ზემორღობისკენ მეოთხედის მიწით, რასაც ეს ენახი გაიტანს — ერგო მანუჩარ [თუმანიშვილს]" (1671. Sd—879).

ზემო მეღურეკი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს აქ შეწირული 1 მამული (1559.XII.1. Ad—1572).

ზემო მძივლეთი „ზემო მძივლეთს ჩაჩანიძე პაპუნა ზურაბის გამონაყარის სასახლითა, ჯურითა, ბერუაშვილი — რისაც მქონებელი იყო, ქვემო მძივმლეთს ელია გაგნიძე რისაც მქონებელი იყოს, — ფარდში ერგო ტატიშვილი პაპუნას" ([1658—75]. Sd—607).

ზემო ნასაკირალი პაპუნა გოსტაშაბისშვილმა დურმიშხან ფალვან-ხოსროშვილს გაუცვალა მოძღვრისშვილის წისქვილთან თავისი ნასყიდი ბაღი. წისქვილი ზემო ნასაკირალამდე, რუსთავითი ბაღი, მეწისქვილე მამუკა თავისი ცოლ-შვილით — ტბისში პაპუნა და სიყმია ტუხიაშვილებზე მათი მამულითურთ, აგრეთვე გრძელში გერგაძის ხოდაბუნსა და ანდრიას საფიჩხულზე ([XVII]. Hd—2017).

ზემო ნიქოზი რობამ ფავნელისშვილმა ნიქოზის საყდარს შესწირა სოფელი ზემო ნიქოზი (1565. Ad—1504-4). — [ნიქოზის] ეკლესიას სააღაპედ შეწირეს მირზაული მამული ზემო ნიქოზში (1573.IV.23. სოც. დოკ., 1. № 9).

ზემო ნიქოზის საყდარი გიორგი მეფემ შესწირა 4 საკომლო (1688.IX.1. ისტ. საბ. IV, გვ. 68).

ზემო ოძისი სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა სამკვიდროდ ჰასანბეგ ბარათაშვილს (1633. ქ.-სპ. საბ.. № 39). — საყაძისეული სოფელი მანგლისის ხევზე, გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ სახასო გახდა და იგი როსტომ მეფემ იორამ საყაძეს უბოძა (1652. Hd—13956).

ზემო რეხა ნინიკა ყაიზისშვილმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს სამკვიდრო მიწა „[ბე]თლემის ქუასთან ზემო რეხისაკენ (1670. Sd—48). — ზ ე მ ო რ ე ხ ე ლ ი ხუცესი იყო პარკაძე (1678. Sd—47). — ბეჟან თუმანიშვილმა თავის განაყოფთ ყალანდარს. გივი მდივანს, შიოშ მდივანს. ლიპარიტს და მანუჩარს მიჰყიდა ზემო რეხაში ბაბულაშვილის ნაქონი სამკვიდრო მამული (1697. Sd—396).

ზემორღობე ნ. ზემო ზვარი (1671. Sd— 879).

ზემო საფიქლე ზემო საფიქლის, ერგენთალისა და კიპრუშის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა აღუმბრუ, სუგეჩანი და მურვანს შესაყარი ([XVII]. Sd—1922, 1936).

ზემო სობისი ლუარსაბ მეფემ, ლუიმის მონასტრის წინამძღვრობასთან ერთად, უბოძა ფარემუზს სოფელი ზემო სობისი ([1612.X.20.] Hd—5297).

ზემო ჭართლი აქ შედიოდა სოფელი მოხისი (1581.VII.14. ქ-სპ. საბ., № 5). — აქ მდებარე სოფელი აბანო ლუარსაბ მეფემ უბოძა დაით ბოქაულთ-

უხუცესს (1608. Hd—10243). — აქ მდებარე სოფელი ოსიაური დარეჯან დედოფალმა სვეტიცხოველს შესწირა (1629.X.13. ისტ. საბ., IV, გვ. 12—15). — ზემო ქართლის სარდალი იყო იოთამ ამილახორი (1638. VIII.27. ქ.-სპ. საბ., № 65). — ზემო ქართლში შედიოდა თიღვა (1648.II.10. Sd—1138). — მარიამ დედოფალმა თავის კარის დეკანოზს დავითს და მის ძმებს პეტრეს. ზაქარიას და „მხატვარს" უბოძა ზემო ქართლში სადედოფლო მამულების მებალახეობა (1651. Hd—14688). — როსტომ მეფემ ანდუყაფარ ამილახორს განუახლა ზემო ქართლის სარდლობა და გორის მოურაობა (1656. Hd—2127). — [როსტომ] მეფემ ბეჟან ამილახორს უბოძა „ზემო ქართლის სარდლობა": „რაც კაცი საამილახოროს დროშაზედ ყოფილიყოს, ისრევე უკლებრივ ამას მოუდგეთ, ნურც დიდი და ნურც ცოტა ამის ქართულიდგან ნუ გამოხვალთ", — მიმართავდა მეფე ხალხს: „ლიახუს ზედათ და ლიახუს ქვეშეთ, ერთობილნო ზემო ქართლელნო"-ო ([1634—58]. Hd—2123). — ნაზარალიხანმა ოთია [ამილახორს] უბოძა ზემო ქართლის სარდლობა, რომელიც შემდეგ ორგულობისათვის წაართვა გიორგი მეფემ და გივი ამილახორს უბოძა (1692.IX.10. Hd—2134). — იოთამ ამილახორს უბოძა ზემო ქართლის სარდლობა (1692.XII. ქ.-სპ. საბ., № 150). — ზემო ქართლის სარდალმა, გორისა და ჭრებილევანის მოურავმა იოთამ ამილახორმა უბოძა ყმა-მამული თავის ნამსახურ ყმას დათუნა მხალაძეს და მის შვილებს (1698. II.18. Hd—1059).

ზემო ქვეყანა ქაიხოსრო წერეთელმა გიორგი [იმერთა] მეფისაგან მიიღო პირობის წიგნი: თუ ერთგული მსახური იქნებოდა მისი, მეფე არ მოუშლიდა მას ზემო ქვეყნის სარდლობას ([1680 წლის ახლოს]. Hd—1995). — ზემო ქვეყანაში შედიოდა ხეფინის-ხევი, ლიჩი და ღოდორა (1691. Sd—515).

ზემო ქუტირი სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ გელათის წმიდა გიორგის საყდარს „ხელშეუვალად... თვინიერ ნადირობისა" შესწირა ზემო ქვიტირში ციხისთავე ღოლბერიძისეული მოსახლე 2 კომლი ფეტუშნელიძე, რომელიც სხვა გლეხებთან ერთად მეფემ „ნაშვილეობით" მიიღო ფეტუშნელიძის ბატონის „უშვილოდ გარდახდომის" გამო (1545. Hd—11201).

ზემო შავნი მერაბ ყორღანაშვილმა იყიდა იგი გოსტაშაბ ბარათაშვილისაგან და როსტომ მეფემ გაათავისუფლა სამეფო გადასახადებისაგან, გარდა დიდგორზე სამასპინძლოს მირთმევისა (1634.VI.27. ქ.-სპ. საბ., № 50). — ნაოხარი სოფელი ვილოვნას ხევში, ყორღანაშვილებმა იგი გოსტაშაბ ბარათაშვილისაგან იყიდეს, სიმონ მეფემ მერაბ ყორღანაშვილს უბოძა, როსტომ მეფემ მონასტრიშთურთ პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს დაუმტკიცა. მისი საზღვრები იყო: „რასაც ის ხევი (ვილოვნას ხევი) შეიტანს დიდგორზედ სადიღმო შარამდისინ და სხალნარიდამე რომ დიდგორის შარა შემოივლის ქუეშეთი ბოლოს სამძღვარი სარწივის ხევი შარამდი და რასაც ის შარა შეიტანს მოქრისის სამძღვრამდისინ (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53). — ნასოფლარი, პაპუნა ბარათაშვილის მამამ გოსტაშაბმა ზემო შავნი მიჰყიდა ყორღანაშვილებს საზღვრებში: ზევით — სადიღმოს შარამდე, პირდაპირ — სარწივის კლდის ზევით საქოლავის ბოლოს დიდგორამდე „რასაც შარა შეიტანს მოქრისის საზღვრამდე", გზას აქეთ წყარევამდე, ქვემოთ — ზემო ფიცხისის მხრისა-

კენ „რასაც ვერის წყალი შეიტანს“, კიდევ სადიღმო შარამდე (1661.III.15. Hd—1375).

ზემო წერაქვი ნაზარალიხანმა განუახლა ყლიჯყოჩ პაპუნა ბარათაშვილს თალგამოზისშვილის ნაქონი მამული — „სომხითის ზემო წერაქვის“ — წყალობის წიგნი ([1688—91]. Hd—2397). — ნაზარალიხანმა უბოძა სუფრაჯია ცოლს ქეთევანს ზემო წერაქვი ექვსი კომლის გამოკლებით (1696.IV.13. Hd—6357).

ზემო ჭინჭარი არტანში ზემო ჭინჭარისა და ქვემო ჭინჭარის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ზემო ჯავა ივანემ და ზაქარიამ ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებს ზემო ჯავაში მიჰყიდეს ძიგანიძის მამული. იმ დროს „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან... კაცის ნაშენები აღარა იყო რა“ და ისეთი შიმშილობა იყო, რომ „ორგან-სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმა ცოლი გაყიდის“. ივანე და ზაქარია ამბობენ, რომ „ძიგანიძე... დაკარგული იყო და ფასი იმისაც აგიღეთ“-ო ([1621—50]. Hd—1959).

ზემოთი უბანი როსტომ მეფემ დაუმტკიცა ქაიხოსრო ბარათაშვილს მისი სამკვიდრო მამული ვერის ქვეშ სოფელი ნახშირის გორი, ქვემოთი უბანი და ზემოთი უბანი (1633.XII.25. ქ.-სპ. საბ., № 47).

ზემსობისი ლუარსაბ მეფემ უბოძა ბარძი ამილახორს მკვიდრი მამული სომხითს სოფელი დიდი მახრაღაჯი, მთას აქეთ ზემსობისი და ატენს მათი ნაქონი ზვარი (1608.VIII.8. Hd—2135-ა).

ზენადრისი მახვილაძეებმა აქ მდებარე 2 დღის მიწა გაუცვალეს ჭყანაიშვილებს ქვენადრულ მიწებში (1641. Ad—1770). — ნიკოლოზსა და ბეჟანს აქ 2 კომლი ყმა ჰყავდა ([XVII] Qd—610). — აქ სეხნიასი და მისი განაყოფის 2 კომლი ყმა ცხოვრობდა ([1658—75]. Hd—14534).

ზენაფლაზი აქ ყაიას 2 კომლი ყმა ჰყავდა, ზაქარიას — 1 კომლი, აქ ცხოვრობდა აგრეთვე ციციანთ მობეგრე ყმებას ნუსხაში მოხსენებული 3 კომლი ([1658—75]. Hd 14534).

ზენბადი მისმა დეკანოზმა, გრიგოლ ბარამისშვილის მამამ ფიცი დასდო, რომ ნაცარგორის ხოდაბუნი წყლამდე ალიბეგისშვილისაა, ხოლო მისი ნაწილი სამონასტროაო ([1688—1703]. Hd—837).

ზერტები გიორგი მეფემ შესწირა სვეტიცხოველს სოფელი ზერტები საზღვრებში: აღმოსავლეთით სობურის სამნამდე, ჩრდილოეთით კილბრის საზღვრებამდე, დასავლეთით მეჯუდის ხევის საზღვრამდე, სამხრეთით კუარხეთის ლაგამას ხევამდე და გაათავისუფლა ფეტვის ღალის, ფუტკრის ბეგარისა და სხვა გადასახადებისაგან, გარდა სათათრო საურისა (1450. ისტ. საბ., II, გვ. 37—40).

ზერტი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — კოსტანტინე [ქართლის] მეფემ იოთამ მაღლანიძეს უბოძა სოფელი ზერტი (1472.I.2. Ad—1669). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ზერტის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — ქრისტეფორე კათალიკოსმა ბაგრატის მეფობაში უბოძა ზერტი საპოურაოდ

ესვ გაბრიელისშვილს (იგი ადრევეც ამისი იყო) ([1616—19]. Ad—1630). — იოვანე კათალიკოს დიასამიძესა და გივი ამილახორს შორის მოხდა დავა ზ ე რ ტ უ ლ ი ს ა და სობისის რუების თაობაზე. გარიგების შედეგად სათემო რუ ხუთ ნაწილად გაიყო: 3 წილი ამილახორსა და სობისელებს ერგოთ, 2 წილი — კათალიკოსსა და ზ ე რ ტ ე ლ ებ ს. ამ გარიგების დამრღვევი სოფლელებისათვის კათალიკოსსა და ამილახორს უნდა მოეკითხათ და ჯურუმი გადაეხდევინებინათ. ამილახორის გარეშე ზერტულელი კაცის დარბევის უფლება არავის ჰქონდა (1692.V.23. Ad—1251). — იოვანე კათალიკოსმა დიასამიძემ უბოძა ზერტის მოურაობა სახლთ-უხუცეს რევაზ მაღალაძეს და მის ძმებს (1696.VIII.20. Ad—1878). — აქ მცხოვრები მამულაშვილები და „სხვა გლეხები" ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს (1700.VI.29. Qd—1348). — ნაზარალიხანმა განუახლა ამილბარ მაღალაშვილს ზერტში მცხოვრები მამულაშვილების ყმობა. აგრეთვე [ზერტის] მეღალეობა (1700.VII.19. Ad—1590). — ზერტს ეწერა 26 სახასო მოლაშქრე ([XVIII]. Ad—1631).

ზესი აბულეარდ ფიყნიაშვილმა მიჰყიდა ქაიხოსრო ჯავახიშვილს ხოდაბუნი მიწა ზესის ბოლოს „ზედათ ტყემლამდი, ქვეშეთ კევ-ქმელამდი, იქით ხოდაბუნამდი და აქეთ კევამდი" (1607.XII.1. Hd—6598). — „ზეს" მცხოვრები წვნალაშვილი ლელაურის მამულითურთ იყო ზაქარია ჯავახიშვილისა, რომელმაც შეყრილობის წიგნი მისცა „ბატონ მოურავს" (გიორგი საყაძეს) (1624. Hd—14693). — აქ ცხოვრობდნენ მდივანბეგის მოსაურე ყმები ლაგრაძე და შოშიტა ([1658—1675]. Hd—1453). — აქ მდებარე „სავენაკე ფილიმანაური" უბოძა შაწუ ჯავახიშვილმა ძებან-მამუკას ([XVII]. Hd—1583). აქაური ამირანიშვილი მისი საქონებელით წილად ხვდა სვიმონს ([XVII]. Hd—12017).

ზესურამი აქ ტუკაძე როსტევანა შვილებითა და მამულითურთ შესწირა სამოწ მეფემ იტრიის სიონის ღვთისმშობელს (1584. Sd—2909).

ზვარეთი სოფელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1598.XII. Hd—8712).

ზილიჩა ახარა ყორნავის საზღვარი იყო (1699. ჭ.-სპ. საბ., № 165).

ზიკრუტი სამეფო კარის ყაფიჩაშის დონმაზას სოფელი. მდებარეობდა ხაშმიან ადგილას. ამიტომ დონმაზამ მაღალ ადგილზე დასახლება მოიწადინა. როსტომ მეფე მას შეეწია და 3 წლით გაათარხნა (1646.IV.3. სოც. დოკ., 1, № 39).

ზინდისი ჯერ გიორგი მეფისაგან იყიდა იგი იტრიის ეკლესიამ. შემდეგ კი სიმონ მეფემ დაუმტკიცა იგი იმავე ეკლესიას. ზინდისს ცხოვრობდნენ ჯინგარაძე, მახარაძე და ჯინჭორაული (1584. Sd—2909).

ზოდეხი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559).

ზოდი აქ მცხოვრები ნავაძეები, ავზნარაშვილები და ქველიძე ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა წინამძღვარ ფილიპე წერეთელს (1639. ქუთ. მუზ., № 66).

ზოველი ზ ო ვ ე ლ ე ლ თ ა „შეკითხულობითა და მოწმობითა და ნება-

დართულობითა" ნადირა, იმარინდო და ესტატე ტაველისშვილებმა იყიდეს მათი სასოფლო მიწა და ფასი მისცეს სოფელს ([XVII]. Hd—1359-ა).

ზრბითი (ზირბითი, ზრბეთი) სოფელი, სიმონ მეფემ უბოძა დოლენჯი თულაშვილს (1570.VII.2. Qd—1673). — სოფელი ზრბითი მოხსენებულია სიმონ მეფის მიერ გიორგი თულაშვილისა და მისი ძმის ამირანისათვის მიცემულ წყალობის წიგნში (1581. Qd—1674). — როსტომ მეფემ გაათავისუფლა ბეჟან თულაშვილის ზ რ ბ ე თ შ ი მოსახლე გლეხები გადასახადებისაგან, გარდა სათათრო საურისა (1641.VIII.10. Qd—1672). — ზრბითს მცხოვრები ამოვარდნილი დოლენჯა თულაშვილისეული 1 კომლი ბოქაული როსტომ მეფემ უბოძა ოთარ თულაშვილს (1655. Qd—1678). — ნაზარალიხანმა უბოძა და გაუთარხნა მანუჩარ მეითრის შვილისშვილებს ზ ი რ ბ ი თ ს მათი პაპის ნაჯონი ზვარი, რომელიც ცოტა ხანს თულაშვილების ხელთ იყო (1696. Sd—564).

ზუბი ზ უ ბ ე ლ ი იყო ინდო რუსიშვილი (1579. Sd—464).

ზუბი-ციხე „ზუბი-ციხე" და მისი გლეხები მეფისა იყო. ალექსანდრე [იმერთა] მეფემ იგი გაბრიელ ცაგერელს უბოძა, ამან კი ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა (1656. Qd—9085—ვ).

ზურაბაული მიწა გასპარა დარისპანაშვილმა მიჰყიდა თავის ბიძაშვილ დოლმაზას „ურწაშენს ზურაბაულის მიწისა ნახევარი დღის მიწა" (1690.VI. Hd—1780, 10262).

ზურის უბანი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

თ

თაგოეთი (თაგუეთი) აქ ციცი [ციციშვილს] 4 კომლი ყმა ჰყავდა; ფალებს, თაგოეთსა და ყრისის-ხევში ომანს 5 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534). —ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას თ ა გ უ ე თ შ ი ერგო: დათუნა კანიაშვილი, ბერი ტეტიაშვილი, ივანე ტეტიასშვილი, ალექსა ობლიძე, გელია აფთარაშვილი, გიორგი ბაბლიძე მამულებითურთ; პაპუნას ერგო: შერმაზან კანიაშვილი, ობლიძე, პაპუასშვილები, ბერუკა ტეტიაშვილი მათი მამულებითურთ, გიორგი ობლიძე და ლომი, მამუკა ობლიძე ([XVII]. Hd—1636).

თავასა გულბუდახ ჩხეიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას თავასაში ხუცესი კოჩაძე ძმებით და ქაქაბაძე კუირიაი ([1610—30]. საისტ. კრებ., III, გვ. 51—52).

თავმგურგალე ნ. მცხეთა (სვეტიცხოველი) (1654. ისტ. საბ., IV, გვ. 35).

თავრუ პაპუნა ხუდადისშვილმა იყიდა ხოსინა წერეთელასშვილისაგან სეენეთსა და რეხას შუა მდებარე მიწა „ზემოთ თავრუმდე" (1654. Hd—6858).

თაკუი (თაკუ, თაკვი) გერმანოზსა და მის ძმებს თაყას, გოსტასაბის, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] გაყრისას ერგოთ ერთწილად სოფლები თაკუი და ხოზეთი (1523. Ad—1299-ა). — თ ა კ ვ შ ი მცხოვრები ამირაშვილი სვიმონ მეფემ უბოძა გოშთაშაბ იოვანეშვილს (1629.V.27. Hd—1700). — სოფელი,

როსტომ მეფემ უბოძა ჰასანბეგ ბარათაშვილს თ ა კ უ ს მისი საკერძო მამული სამკვიდრო (1633. ქ.-სპ. საბ., № 39). — არჩილ მეფემ ამილღაბარ გოსტაშაბაშვილს და მის შვილს დავითს განუახლა ვახტანგისაგან ნაწყალობევი თაკვში მცხოვრები ყმის ებალასშვილის მფლობელობა ([XVII]. Ad—1212). — სიმონ მეფემ იოანე და ამილღაბარ ბარათაშვილებს სოფელ თაკვში მისცა 1 კომლი ([XVII]. Hd—8437). — თაკვს მაზიტა ამირასშვილი მოწმე იყო მამაგულა მამაგულაშვილის მიერ „ბატონ“ პაპუნასათვის ტბისში მისყიდული ვენახის ნასყიდობისა ([XVII]. Hd—10120).

თალა ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

თამალარა ზაქუმმა უბოძა დონმაზას ბეშკენას თამალარა ხანდაკს ქვეშეთ (1630.III.25. Sd—740).

თამარაშენი როსტომ მეფემ ქაიხოსრო მაჩაბელს განუახლა თამარაშენში მოსახლე აზნაურის ღუღუნაშვილის, ქებაძის, გულიტა ბაბუციძეს, ხუცეს კობახიძისა და გამსახურდას წყალობა (1633. Qd—8924). — თამარაშენში მცხოვრები სომეხი ბადურა როსტომ მეფემ უბოძა ქვაბულ მაჩაბელს (1644, ქ.-სპ. საბ., № 83). — თამარაშენში ცხოვრობდნენ გლეხები ჩუყელაშვილები, ბეგლარაშვილები და პაპინაშვილები (1671. ქ.-სპ. საბ., № 134).

თამარ მეფის რუ ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო თამარ მეფის რუ (1579. Sd—464).

თამრგვალი (თამგრგვალი) ნახიდურელებსა და სვეტიცხოველს თ ა მ რ გ ვ ა ლ ე ლ ყმებს შორის მიწაზე დავის გარიგებისას როსტომ მეფემ დაადგინა ნახიდურის საზღვრები (1654. Hd—4170). — თ ა მ გ რ გ ვ ა ლ ს ეწერა 5 სახახო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

თამთის წყარო (თავთის წყარო) პაპუნა შატბერაშვილმა მიჰყიდა მიქელა ფირუაშვილს ალალი მამული თამთის წყაროს ბოლოს საზღვრებში: ოთარის ნასყიდის ბოლო, საზენაქროდ — თამთის წყაროს რუმდის, საქვენაქროდ — ჯიმშიტაშვილის ნასყიდის მიდგმამდის (1662. Sd—66). — მანუჩარ თუმანიშვილმა პატა შატბერაშვილისაგან თამთის წყაროსთან იყიდა სამკვიდრო მიწები საზღვრებში: ჩალისაკენ, პატას ხოდაბუნამდე, გიორგის და ზაქარიას წისქვილამდე ქეციპირს, ელიზბარის მიწამდე და თაყას ნასყიდამდე; მიწები მდებარეობდა გორის გზაზე (1665. Sd—54). — შატბერაშვილის მოსყიდული თ ა მ თ ი ს წ ყ ა რ ო ს ბოლო მეთხედი, საზენაქროდ ოთარ მდივნის ნასყიდამდე ერგო მანუჩარს და შიოშვილს ([XVII]. Sd—3649). — პაპუნა შატბერასშვილმა მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს მიჰყიდა მიწა თამთის წყაროს გამოღმა გოგოღურის სამნის ბოლოს ([XVII]. Qd—9037-მა). — დოლმაზამ და ამირალამ თამთის წყაროში იყიდეს მიწა, რომელზეც პაატა შატბერაშვილი და თანია შან[შ]აშვილი შეეცილნენ ([XVII]. Hd—9402).

თამთის წყაროს გზა (თანთის წყაროს გზა — Hd—2111) გივი ამილახორ-

მა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს თამთის წყაროს გზას ქვემოთ, ლაგამის-ხევის აქეთ 45 დღის მიწა (1656. Hd—14437).

თამთის წყაროს რუ ნ. თამთის წყარო (1662. Sd—66).

თარაქნი ალექსანდრე [ქახთა] შეფემ დაუმტკიცა სეტიცქოველს სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო მცხეთის გორაკი „თარაქთ ბოლოს“ (1579. Sd—464).

თარკამა აქ მდებარე მამული იყიდა გიორგი ტაერიშვილმა გირშელ რამადანიშვილისაგან (1612. Hd—7966).

თასილბითმაზი თასილბითმაზის, აკოფას სოფლის, ელისბარის სოფლისა და ხუცის სოფლის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ტაშირზე ყოშაქილის შიშტეფა, ყამიში, ხანზა და საფიელა ([XVII]. Sd—1936, 1922).

თასმალური თეიმურაზ მეფემ უბოძა ხოსროს თასმალურში მურადა შვილებითა და მამულითურთ (1645.VIII.4. სოც. დოკ., 1, № 512).—იმავე მეფემ განუახლა ენისელთ ნაცვალს ხოსროს მურადაშვილის წყალობა თასმალურში (1662.IV.4. სოც. დოკ., № 515);

თაფანი: გაყრისას გერმანოზსა და მის ძმებს თაყას, გოსტასაბის, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] ერგოთ თაფანს მცხოვრები აზნაურები ერთწილად წატურაშვილი, ძამუნა აბირმურაშვილი, ფარხადინა. ამილბარა და ნადირა, ერთწილად ქუაბულაშვილი, მიხითარაშვილი, იღმაშვილი, ხოშნადარაშვილი, აკოფაშვილი, გოზალაშვილი, ტალია (1523. Ad—1299-ა). აქ მოსახლე იარალაშვილი მამულითურთ შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — აქაური იარალიშვილი მამულითურთ წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — ბარათა ბარათაშვილთაყაშვილმა მიჰყიდა ვახტანგ ორბელისშვილს [მამული] თაფანში საზღვრებით: ფონს გამოღმა წისქვილის არეკალი, ბალასშვილის ვენახიდან ოსმანაშვილის საზღვრამდე მისი საწყლისპიროთი, ოქრიასშვილის ვენახს აქეთ, გზის ქვეითი მირზუკაშვილის ვენახის მიდგმამდე. ამ ნასყიდობის მოწმენი იყვნენ ერთობით ო ა ფ ნ ე ლ ე ბ ი (1684.X. Sd—540). — თაფანს პაპუა ქვრივიშვილი გასაყოფი დარჩათ ერთმანეთს შორის ვახტანგ და ყაფლან [ორბელიანებს] ([XVII]. Sd—1936, 1922).

თაყაიური მიწა მოხსენებულია მიწის ნასყიდობის წიგნში (1690. Hd—14815).

თაყაური ვენახი იყო ერთი საზღვარი იმ ვენახისა, რომელიც ფარემუზმა ჯაუცვალა მანგლელს ზვარზე ხოლეში (1694.VIII.3. Hd—14083).

თაწმიდა (ხარების ღვთისმშობლის ეკლესია ოდიშში) ლევან დადიანმა და მისმა ბიძამ გიორგი ლიპარტიანმა ლევან დადიანის მამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად ეწერს აბგეს საყდარი და თაწმიდის ხარების ღვთისმშობელს შესწირეს მისი ყმა-მამულებიანად: ნაუფუნოუ სასახლე და გლეხები ლესარეს: სჭაბაი სარია, შიო ღვეძია; ბაშს: სოგიჯუმა გეგია, გატანჯია გვიჩია: ღლაშს: ხახუტაი ჭითარქია, თუთაშხია შეგიქორია, სქვამილეი ფაცურია; საფიჩხაოს: ჭიკვენია, ხერხილეი, ჯღატუშია და ხახულეი ძარსანია, მიდარაჯი როქია; ობუჯს

ისლამუ ზენაია; ოკალიკეს ჯოხვაჯი სვირასულ 1 სასაბლე და 18 კომლი კაცი ეკლესიისათვის სამუშაო ბეგარითა და გამოსაღებითურთ (1642. Qd—6740).

თაწმიდა აქ შაყმაშვილს ჰქონდა ნასყიდი ვენახი, რომელზეც დავობდნენ ყაფლან, პატა და პაპუნა ბარათაშვილები ([1632—1658]. Sd—794). — პატა და ყაფლან [ორბელიანთა] დაეის გარიგებისას გადაწყვეტილი იქნა, რომ თუ, მაცხოვართა მოწმობით, დარბაზის, ბრუტიანისა და თაწმიდის მთა შერმაზანსა. და რევაზ]ს ჰქონდათ, მაშინ პატას არაფერი აქვს სადავოო ([XVII]. Hd—14284).

თახვინთავი თაყა ასანბეგიშვილმა ტბისში თავისი კერძი სასახლე, გარდა თახვინთავისა, ჯოჯ]შვილები მამულით, მირზიასშვილი მამულით და ახალშენი „შენითა და უშენით“ — გაუცვალა პაპუნა გოსტაშაბიშვილს ენაგეთში მცხოვრებ 3 კომლ ჯანიკაშვილებსა, 13 თუმან თეთრსა და პაპისგორში 5 დღის მიწაზე (1671.II.12. Hd—6777).

თბილისი (სიონთა ღვთისმშობლის სამთავარეპისკოპოსო ეკლესია) ალექსანდრე მეფემ შესწირა მცხეთის სვეტიცხოველს თბილისის ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ქულბაქნი და ბაჟნი (1398.XII. Hd—8712). — თბილისის სიონთა ღვთისმშობლის ტაძარი თბილელმა მთავარეპისკოპოსმა ელისე საგინასძემ მეორედ ააშენა, განაახლა და შეამკო. ლეონ [კახთა] მეფემ მისი ხატი შეამკო, ხოლო თეიმურაზ მეფემ შესწირა მას ეშხიანისშვილის მამული, რომელსაც ამოუკვეთა სარუსთველო გამოსაღები (1647. ისტ. საბ., IV, გვ. 27—28). — თბილელ მთავარეპისკოპოს ელისეს მარიამ დედოფალმა განუახლა. ლეონ [კახთა] მეფის შეწირულება კისისხევში მდებარე ესიაური საკომლოსი და ხოშიაური მამულისა (1649.VI.15. ისტ. საბ., IV, გვ. 29—30). — ელისე თბილელმა საგინაშვილმა განაახლა სიონის ეკლესიის გუმბათი და სამკაროები, მას. როსტომ მეფემ შესწირა მის მიერ აშენებული ქარავასლის სარგოდან 100 მარჩილი თეთრი (1650.IV.15. ქ.-სპ. საბ., № 94). — ქრისტეფორე კათალიკოსმა ელისე თბილელს მისცა სოფლების მიბარების წიგნი ([1643—60]. Ad—47).— ლევან თურქისტანაშვილის ყმა მამუკა ირემაშვილი თბილისის სიონთა ღვთისმშობელს ყმად მიუვიდა. ლევანმა იგი იოსებ თბილელს მოსთხოვა, რომელმაც ის ყოფილი მებატონისაგან დაიხსნა და სიონთა ღვთისმშობელს შესწირა. ეს შეწირულება შანავაზმა დაამტკიცა (1665. ისტ. საბ., IV, გვ. 43). — შანავაზმა მას განუახლა ეშხიანისშვილის მამულის შეწირულება (1667. ისტ. საბ., IV, გვ. 25—29). — იოსებ თბილელს პაპუნაბეგ ბარათაშვილ-ყაფლანისშვილმა უკან დაუბრუნა წარუთი და ბალახური, რომლებიც ადრე მისი სამწყსო იყო (1671. Ad—85). —თბილელი მთავარეპისკოპოსი იყო იოსებ (1682.VIII.24. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — თბილელმა მთავარეპისკოპოსმა დომენტიმ დაამტკიცა გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძის დადგენისა და მისი საქმის გარიგების წიგნი (1690.III.12. Ad—349). — ელისე თბილელმა, ნიკოლოზ მღვდელ-მონაზონმა და ზებედემ დავით ბოქაულთ-უხუცესს მიაბარეს სოფელი დირბი ([XVII]. Hd—15011).

თბილისი ნ. ქალაქი და ტფილისი.

თეგანი სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს უბოძა ნასოფლარი თეგანი ([VXII]. Hd—8437).

თეგაური მამული გოშფარ [ჯავახიშვილს] როინთან გაყრისას ერგო ახალშენსა და ცხირეთში, სხვა ყმა-მამულებთან ერთად, თეგაური მამული ([VXII]. Qd—605).

თედელეთი თეიმურაზ მეფემ დაუმტკიცა ბაქარ ბაქრაძეს სოფელი ჩორღი, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი იყო თედელეთი (1494. Sd—3035).

თევდორაული ნავენაკები ნ. თხოთის აგარა ([1258 წლ. ახლოს]. Ad—5).

თევდორწმიდა (თევდორეწმიდა) გერმანოზს და მის ძმებს თაყას, გოატსაბს, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] ერგოთ თევდორწმიდაში მცხოვრებელი აზნაურები მიტიჩაშვილები და ავეტიზაშვილები (1523. Ad—1299-ა). — თ ე ვ დ ო რ ე წ მ ი დ ე ლ ე ბ ი იყვნენ ალიხან და საზაი (1672. Sd—57).

თეზი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604). — აქ მდებარე მამული ზაალ [ქსნის] ერისთავმა უბოძა გიორგი გარეყანისძეს (1634. Hd—8419-ბ). — აქაური ყმა-მამული ელიზბარ [ქსნის] ერისთავმა უბოძა გიორგი და ბეჟან გარეყანიძეებს (1639. Hd—8419-გ). — ელიზბარ [ქსნის] ერისთავმა უბოძა პაპუნა გარეყანიძეს სოფელი თეზი, გარდა ებიტა და როინ [ჯავახიშვილების] საკუთრებისა (1683.II.5. Hd—8419-ა).

თეზი სოფელი თრიალეთში, ნაზარალიხანმა უბოძა იგი ფარემუზ ჯავახიშვილს (1691.I. 24. Qd—993, Hd—2447).

თეთრაკლდე სვეტიცხოველის სამკვიდრო მამული სოფ. ვეძისბევი და ფაშაანი „სრულად მისის შენობით“, ხევთუბანი და გაორგანი — ორივე ხევი მაღლა მთიდან დაბლა თეთრაკლდემდე რაც სავეძო იყო, ალექსანდრე [კახთა] მეფემ ორიოდე წლით უბოძა ყარა-ასლანს. ნიკოლოზ კათალიკოსის ჩარევის შემდეგ იმავე მეფემ კვლავ ეკლესიას დაუბრუნა იგი ([1574—1591]. Ad—786.614).

თეთრი კლდე ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ადგილი ჩელტის გამოღმა თეთრ კლდემდე (1579. Sd —464).

თეთრი უბანი მისი მოურაობა უბოძა გიორგი ბატონიშვილმა ქარბოსორო რატისშვილს (1665.IX.22. Hd—2433).

თეთრი წყალი თეიმურაზ მეფემ ბაქარ ბაქრაძეს დაუმტკიცა სოფელი ჩორღი, რომლის სამხრეთი საზღვარი იყო შავწყლისა და თეთრი წყლის შესართავი (1492. Sd—3035).

თეთრი ხოფელი თეთრი სოფლისა და შულავერის მამულის თაობაზე დავა გაარიგა ბირთველ [თუმანიშვილმა]: თეთრი სოფლის კაცის მოხნულიდან ღალა იორამ ბატონიშვილს უნდა მისცემოდა; მის მამასახლისს უნდა გაძოეუანა ერთი მერუე ([1632—58]. Sd—484). — თათრები თეთრი სოფლიდან მოითხოვდნენ მირის (1698.V. სოც. დოკ., 1, № 145). — დურმიშხან ალიხანაშვილმა იყიდა შულავრელი ბაბაშვილის ვენახი თეთრ სოფელში ([1695—1703]. სოც. დოკ., I, № 133).

თეთრობი ბარათამ თევდორე და ნაუროზ ბუჟღულაშვილებს უბოძა ნაქორდევი, რომლის საზღვარი იყო თეთრობი (1461.I.17. Hd—14858, 7587).

თეთრუბანი აქ მოსახლე შიოშ სახლთ-უხუცესის ნაყოლი ყორმაზაშვილები ბაგრატ და ლევან ბატონიშვილებმა უბოძეს სახლთ-უხუცესს ქაიხოსრო რატიშვილს (1689.X.17. Hd—8415).

თეკენა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველა (1398.XII. Hd—8712). — მისი შეწირულება განუახლა [სიმონ] მეფემ სვეტიცხოველს (1559.XII. 1. Ad—1572). — როსტომ მეფემ ასაშენებლად გაუთარხნა ვახტანგ ბატონიშვილს ნაოხარი სოფლები მისაქციელი და თეკენა (1637. Qd—1490).

თეკლათი აქ მცხოვრები 2 მოსახლე სალაყაია ლევან დადიანმა შესწირა ბაკვინტას (1628. Sd—2904). — გრიგოლ [აფხაზთა] კათალიკოსმა უბოძა ბერძენ გიორგი კალფას თეკლათში მცხოვრები ფუცხუტია ([XVII—XVIII]. საეკლ. საბ., II, გვ. 175). — აქ მცხოვრებ საეკლესიო გლეხებს მაქაცარიასა და გრიგოლიას ეკიარათ 5 5 ლოღარიკი სანთელი ([XVII]. Hd—11221).

თეკნადი სოფელი, ბარათას ნაჭონი, სიმონ მეფემ სამკვიდროდ უბოძა ყაფლანბეგ ბარათაშვილს (1627.II.4. ჭ.-სპ. საბ., № 25).

თელადგორი (თელეთგორი) თ ე ლ ე თ გ ო რ შ ი სულხან თურმანიძეს მამული ჰქონდა, რომელიც ლუარსაბ მეფემ უბოძა ზაალ აბაზაძეს (1613.X.10. Sd—1206). — შანავაზის შვილებმა დავით გაბადიძეს წაართვეს 1 კომლი სახასო მამული, რომელიც უბოძეს თავიანთ მსახურს საბანდარს, ხოლო გაბადიძეს სანაცვლოდ მისცეს თელადგორში 2 კომლი კალაშვილი მამულითურთ (1663.VIII.27. Hd—8794-ვ). თელადგორს ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 11 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — თურმანმა უბოძა დავით გაბადიძეს თელადგორისა და გომისჯვრის მოურაობა, აგრეთვე განუახლა ლუარსაბ მეფისა და მოურავისაგან თელადგორში მიცემული სულხანის კერძი მამულის წყალობა ([XVII]. Hd—8794-ა). ნიკოლოზ სუნიძემ მიჰყიდა მანუჩარ გაბადიძეს წყალი თელადგორში. თ ე ლ ა დ გ ო რ ე ლ ე ბ ი მოწმენი იყვნენ ამ ნასყიდობისა ([XVII]. Hd—8794-ა).

თელავი თ ე ლ ა ვ ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ დავით კოზმანიშვილისათვის პაატა რაზმაძის მიერ მიცემული თავ-ნასყიდობის წიგნისა (1664. სოც. დოკ., I, № 516).

თელათი ბეჟან ჯავახიშვილმა მიჰყიდა ქაიხოსრო [ჯავახიშვილს] თხლიური ბიწა: „ქვეშეთ თელათამდი და ზედათ ხატის მიწამდი" (1606. Hd—9319).

თელათუბანი ნაწილი იყო კათისხევისა, აქ ცხოვრობდნენ მექანარიშვილი და დათუნაშვილები, აქვე იყო ღვარის სოდაბუნი (1695. სოც. დოკ., I, № 132).

თელაწმინდა აბულხასარ ამირეჯიბის შვილმა კაცხის ეკლესიას შესწირა ნასოფლარი ვაკევი „ავაზნის ქით თელაწმინდიდგან ღვითორისაკენ" ([1515—1535]. საისტ. კრებ., III, გვ. 42—44). გიორგი [იმერთა] მეფემ კაცხის მაცხოვრის მონასტერს შესწირა სოფ. ვაკევი, რომლის საზღვარი რგანის სოფლისკენ კაჟის სამანი და თელაწმინდა იყო (1615. ქუთ. მუზ., № 125).

თელეთი თელეთს წვიდა გიორგი მოხსენებულია ყორღანაანთ ქემაროზაშვილ რამაზას მიერ მისი განაყოფისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნ-

ში (1658. Qd—2024). — ფრიდონა აბირბოქაშვილმა მიჰყიდა დოლმაზა საქუასშვილს 6 დღის მიწა თელეთისაკენ ღელის მიდგმამდე (1697.V.27 Sd—763). — ნიკოლოზ (კათალიკოსმა) ამილახვრისშვილმა, იესე ბატონიშვილთან ერთად, გაარიგა დავა თ ე ლ ე თ ე ლ ე ბ თ ა ნ მათი მებატონის, ქალაქში (ტფილისში) მცხოვრებ ზაალ სარდლისშვილისა ღალა-ბეგარის თაობაზე ([XVII]. Ad—1226).

თელის მიწა ბეროაშვილმა მიჰყიდა დოლმაზა შანშიაშვილს 3 დღის თელის მიწა (1617.IX. Hd—10254).

თელოვანი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სიმონ მეფემ სვეტიცხოველს განუახლა თელოვანის შეწირულება (1559.XII. 1. Ad—1572). — თელოვანში ცხოვრები ხუცესი ნიკოლოზ ქიქნაძე ციცი ციციშვილმა უბოძა პაპუა მაღალაშვილს (1665. II.10. Qd—7010). — თ ე ლ ო ვ ნ ე ლ ე ბ ი მოწმენი იყვნენ [თელოვანში] მდებარე მიწის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—14861-ბ). — თელოვანს ეწერა 9 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

თელოვნური საზღვარი პაპუნა დედაბრიშვილმა მიჰყიდა დავით ზანდარაშვილს 2 დღის მიწა ვეძურში „თელოვნურის საზღვრის ზემოთ". ამ ნასყიდობის მოწმე იყო თელოვნის ბატონი გაბრიელისშვილი (1686. Hd—14861-ბ).

თერდოწმინდა (თეროდწმინდა — Hd—1966) — გიორგი მეფემ უბოძა ბეჯინიბეთ-უხუცეს ავთანდილ მოურავისშვილს სოფელი თერდოწმინდა (1693. Hd—1924).

თეძამი [ბაგრატ მეფემ] გედევან მაღალაძეს დაუმტკიცა ღორიჭედაშვილი მისი მამულითურთ თეძამზე (1472.I.2. Ad—1669). — სეხნია მახვილაძემ მიჰყიდა პაპია ჭყოპიაშვილს სავენახე მიწა თეძამზე (1619. Ad—1857).

თეძმის-პირი მოურავმა (გიორგი სააკაძემ) ბრალი დასდო ქაიხოსრო [ჯავახიშვილს], რომ მისი დავალებით მანაგაძემ თამარის ცხვარი წამოასხა თეძმის-პირიდან (1620.IV.15. Hd—6259). — გოგოლა მახვილ[ა]ძემ მიჰყიდა პაპია ჭყაპიაშვილს დღენახევრის მიწა თეძმის-პირს მალციძის საზღვარს ზემოთ, შარის პირამდე (1687. Ad—1675-ბ).

თეძმის ხანდაკი ნაზარალიხანმა უბოძა ფარემუზ ჯავახიშვილს ერთი კომლი გოგიბედაშვილები თეძმის ხანდაკში (1698.XI.15. Hd—14496).

თეძმის ჭევი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს თხილნარში მცხოვრები გლეხების ტობაძეების შეწირულება მათი მამულითურთ, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი იყო აძუძა, ხოლო დასავლეთით თეძმის-ჭევი (1579. Sd—464).

თვალათი აქ მიწა და საგლეხო ჰქონდა პაპუნა მაღარაძეს, რომელსაც იგი გამოართვა სიმონ მეფემ (1561.IX.10. Qd—6994).

თვალათუბანი ელისბარ სოლაღაშვილმა პაპუნა მაღალაძეს მიჰყიდა ქავთისხევში გლეხი დემეტრე, 1 საკომლო ვენახი, ზვარი და ორი ხოდაბუნი; ერთი თვალათუბნის ბოლოს — ორივე 30 დღისა და თავისი სასახლე, ქვევრი, მარანი და ყოველივე, რაც კი მისი წილი იყო ქოთახევს (1565.IX.25. სოკ. დოკ., I, № 7). — ედიშერ [ციცაშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო თვალთუბანში

ბერა ივანასშვილი, ურემას ნახევარი მამული, მამუკა, დათა და გოგია გოგნიაშვილები, მახუტა ჯედლისშვილი, დიაკონი ხუტუნასშვილი მათი მამულებით, თანდილა გუდიაშვილის მამული და წისქვილი; პაპუნას ერგო: ქიტია მჩიხიკვაძე. ბებუთასშვილი, ხუცესი შერმაზან. ხუტუნასშვილი, ბერი ხუცისშვილი მათი მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).

თვალეჯი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

[თვალი] ნ. ნინოწმინდა (1651.V.29. ისტ. საბ., IV, გვ. 33—34).

თვალნი სოფელი, ალექსანდრე მეფემ შეუწირა სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883).

თვინთახმა თაყა ასბეგათშვილმა გაუცვალა პაპუნა გოსტაშაბისშვილს ტბისი, გარდა თვინთახმისა ([XVII]. Hd—7592).

თიანეთი თიანეთის თავს მდებარეობდა სოფელი ჯიჯეთი (1579. Sd—464). — თ ი ა ნ ე ლ ე ბ ი იყვნენ ლომიტა და გიორგი ზამთარაულები (1610. Ad—530). — როსტომ მეფემ გაიმარჯვა [ჯათ]-ბატონ თეიმურაზზე თიანეთს (1651. ჭ.-სპ. საბ., № 95). — როსტომ მეფემ უბოძა შანშე [ჩოლაყაშვილს] პაპუას ნაქონი მამული: 2 კომლი გლეხი თიანეთს (1656. Sd—2841). — ერეკლე მეფემ დაუმტკიცა რევაზ სახლთ-უხუცესს თიანეთი, ერწო. კისის-ხევი, ფადარი და ენგიანი ([1688—1703]. Hd—1253).

თიბელაური ვენახი შანშე ჯავახიშვილმა თავისი სამკვიდრო მამულიდან სკრაში თიბელაური ვენახი მიჰყიდა გიორგი ცალქალამანიძეს ([XVII]. Hd—8506).

თიბელაური მამული მდებარეობდა სკრაში, იყო მამული ზაქარია ჯავახიშვილის სკრაში მოსახლე ორი გლეხისა (1624. Hd—14693).

თიკანაანთ-უბანი ნაზარალიხანმა გივი, შიო და მანუჩარ თუმანიშვილებს ატენში ნაქონი მამულის სანაცვლოდ უბოძა თიკანაანთ-უბანი, რომელიც მდებარეობდა ატენის ბოლოს (1689.III.30. Hd—6169).

თილითი აქ მცხოვრები ელიჯარ ჩანგელია და კამულეთს მცხოვრები გურმიხილი კუბეცია ლევან დადიანმა შეუწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს (1628. Sd—2904). — სოფელი თილითი მოხსენებულია შეწირულების წიგნში ([XVII]. Hd—11205).

თიღვა ზემო ქართლში. როსოტმ მეფემ უბოძა ზაალ წერეთელს, რომლის ნათესავის სამკვიდროც ის იყო (1648.II.10. Sd—1138). — თ ი ღ ვ ე ლ ე ბ მ ა: ბეჟან გამცემრისშვილმა, ზურაბ წერეთელმა, ბურნაძეებმა და სხვებმა დომენტი კათალიკოსს ტყვის გაუყიდველობის პირობა მისცეს (1673.IX.20. სოც. დოკ., I, № 71).

თიკრევი (თიხრევი) როსტომ მეფემ უბოძა დავით დავითიშვილს მისივე მკვიდრი მამული თიკრევი, რომელიც მის ნარძლევს გირაოდ მიუცია ნამორაძისათვის (1634. Sd—567). — თავის ძმისწულ რამაზთან დავის გარიგებისას სოფელი თ ი ხ რ ე ვ ი ერგო დავით დავითიშვილს ([1632—1658]. Qd—8237).— აქ მცხოვრებ ზარდიაშვილის ნასახლარი და ნაფუშარი გაყრის შედეგად შეხვდა ელისბარ დავითისშვილს ([1658—75]. Hd—2289). — თიკრევი იყიდა ნიკო-

ზელმა [ეპისკოპოსმა] გიორგი დავითიშვილისაგან და მისცა ნამორაძეს, რომელსაც შემდეგ შეედავნენ მასზე დავით და ელისბარ დავითიშვილები ([XVII]. Sd—775). — კოსტანტილეს თიხრევში ერგო [ბერი] კუპრაძე და დათუნა ტოხაძე ([XVII]. Hd—11664).

[თლვავი] თლვაველი ზურაბ წერეთელი მოწმეა იესე გამცემრისშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1673.I X.20. ისტ. საბ., IV, გვ. 51—52).

თმოგვი ივანე [ჯაველმა] შესწირა ვაჰანის მონასტერს 1500 თეთრი თავისი საპატრონო ტაღმიდან თმოგვს ([XV]. Ad—933).

თოლეჯი სოფელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (142ბ. I.21. Sd—2882, 2883).

თორეჯნი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული თორეჯნი (1579. Sd—464).

თორმანეული თორმანეულში გვიმრაძისეული ვენახი პაპუა, თამაზა, ხოსია და სეხნია ტატიშვილებს გაყრისას სამად უნდა გაეყოთ ([XVII]. Sd—607).

თორმანეული სასახლე მდებარეობდა ცხუკურში, გიორგი [იმერთა] მეფემ შესწირა გელათს (1568.VIII.30. Sd—2901).

თორნი თ ო რ ნ ე ლ ი თანდილა მოხსენებულია პირობის წიგნში ([XVII]. Hd—11026).

თოროსაული სახლ-კარი ბირთველ თუმანიშვილმა გაუცვალა იგი ტერასატურა პარვარაშვილს ეკლესიის გარშემო ადგილსა და ქულბაქში (1482.. Hd—8711-ა).

თორტიზი (თორტეზი) ბეჟან [თუმანიშვილს] ერგო „თ ო რ ტ ე ზ ი ს ბოლოს რომ პატარა მიწა არის — ნახევარი, ჭალისაკენ, საზენაქროთ" (1535. Sd—4949). — ხელთუბანში მცხოვრები ღლამასშვილები მამულებითურთ და თორტიზის მხრისკენ დათუასათვის გამორთმეული მიწით წილად ხვდნენ ჭანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ([1632—51]. Hd—14665, 11934, 11950). — აქ მცხოვრები ნონიასშვილი მოწმეა პაპუა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678. Hd—10203). — ბახუტა გოჩიაშვილმა მიჰყიდა გარსევან ქარუმიძეს თორტიზში თუშიასშვილის მიწა საზღვრებით: საზენაქროდ წყაროს ჩატანებით, ბოლო — პაატას მიერ ნაყიდ ქუმსიაშვილის მიწამდე, საქვენაქროდ — ბეჟიტა შავბალახაშვილის საზღვრამდე, თავი — პაპუნა ყადახაშვილის მიწის ბოლომდე (1691. Ad—1536). — ბეჟან თუმანიშვილს ჰყავდა ყმები ბაბულაშვილები, რომლებსაც თორტიზის ბოლოს აბდულაშვილის მიწასთან ჰქონდათ 2 დღის მიწა (1697. Qd—9037, Sd—396).

თორღიანი სოფელი კახეთში, ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1479.I.24. Ad—1838).

თოღა თეიმურაზ მეფემ ლუარსაბ მეჯინიბეთ-უხუცესს უბოძა თოღაში იოსაფათის სამოურაო და უზუქანთის მოურაობა ([1606—48]. Ad—513).

თოღაანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთის სვეტიცხოველს ხელად შეწირული თოღაანი (1579. Sd—464).

თრელუ აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 6 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა).

თრიალეთი თრიალეთში ადრინდესგან ნაყიდი და შემოწირული ბჟითის შეწირულება გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351). — თრიალეთში სოფლების ბარეთისა და ცოტა ბარეთის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).— [ლიონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს თრიალეთში სოფლების ეძანისა და უკანა ბეშქენაშენის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — სოფლები თრიალეთზე: ეძანი და ჩორეთი სიმონ მეფემ დაუმტკიცა პაპუნა მაღლაძეს (1561.IX.10. Qd—6994). — ალექსანდრე მეფემ მისცა ბასილ კათალიკოსს სარდლის უფლება თრიალეთში მოსახლე საკათალიკოსო ყმებზე (1562. Hd—1721). — როსტომ მეფემ უბოძა პაპუნა გოშტაშაბიშვილს „აზიკის ნაბარი" თრიალეთის პირს (1654. Hd—4166). — აქ მდებარე ოლთისის მოურაობა უბოძა როსტომ მეფემ ფარეშთ-უხუცეს პაატა ჯავახიშვილს (1654. Hd—4662). — ნ. გორი (1662.V.24. აქტები, I, გვ. 20) — თრიალეთში მდებარე სოფელი თეზი ნაზარალიხანმა უბოძა ფარემუზ ჯავახიშვილს (1682.1.25. Hd—2847). — ნაზარალიხანმა უბოძა იასე გერმანოზიშვილს თრიალეთის ახალქალაქისა და ტამალიის მოურაობა (1689. Sd—549). — თრიალეთზე მიმავალი ქარავნის ბაჟი [ორბელიანებისა] უნდა ყოფილიყო: აბრეშუმზე აბაზი, ენდროლა და ბამბაზე ორი შაური, ხიზალალასა და თევზზე ერთი შაური და სხვ. (1619. Sd—1932-ა). — თრიალეთზე მდებარეობდა სოფელი მეთრევანა (1687. სოც. დოკ., I, № 117). — ნ. მანგლისი (1689. აქტები, I, გვ. 23—24). — თრიალეთზე მდებარე ბარალეთი ნიკოლოზ კათალიკოსმა ხელახლა გააშენა და დაასახლა (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — თრიალეთზე იყო ნასოფლარი თურანი (1692.VI.26. Hd—9656-ვ). — თრიალეთზე ნასოფლარ მარიამის სოლრჩხის წიგნი გიორგი მეფემ მისცა პაპუნა ბარათაშვილს (1693.IV.23. ხოც. დოკ., I. № 142). — ნაზარალიხანმა გაბრიელ ჯავახიშვილს გაუთარხნა სოფელი ვეთრევანა თრიალეთზე ([XVII]. Ad—1506-ა). — გიორგი მეფემ მანგლისის ღვთისმშობელს შესწირა სოფ. მეთრევანა თრიალეთზე ([XVII]. Ad—261).— თრიალეთი მოხსენებულია ერთ საბუთში ([XVII]. Hd—12031).

თრიალული მიწა ნ. თხოთის აგარა ([1258 წლ. ახლოს]. Ad—5).

თრუსო შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთაეისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

თუალათუბანი თ უ ა ლ ა თ უ ბ ნ ე ლ ნ ი იყვნენ ყმები წმიდა ნიკოლოზისა (1659.V.18).

თუთუბოს-ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფელ ჯიმითისა, რომლის ერთი საზღვარი იყო თუთუბოს-ღელე საყარაულოს კომკისაკენ (1579. Sd—464).

თურანი ნასოფლარი თრიალეთში, საქართველოს მეფემ ატოცის წმიდა გიორგის შესწირა, გივი თუმანიშვილმა იგი ააშენა და მეფემ მას მისი მოუ-

რაობა უბოძა. ატოცის დეკანოზმა ნათანმა თუმანიშვილს თურანის მოურაობის მოუშლელობის პირობა მისცა (1692.VI.26. Hd—9656-ბ).

თურმანიძა ყაფლანა ყაზარაშვილს. თეთრი ეპართა დოლმაზა შანშაშვილისა. ამ ეალში ყაფლანამ მიჰყიდა მას თაეისი სამკვიდრო ერთი დღის მიწა თურმანიძაში საზღვრებით: თაეში — გზა, ბოლოს — სურათაშვილის მიწა (1669.V. Hd—9285).

თუშეთი კახეთში მყოფ შანავაზს თავს დაესხა თუშეთიდან კახთ ბატონიშვილი, შანავაზმა გაიმარჯეა (1664. Hd—14538). — თუშეთის მპყრობელი იყო ნაზარალიხან (1692.XII. ქ.-სპ. საბ., №140). — ნაზარალიხანმა უბოძა თუშეთია ბეგლარობა ტუსია პეტრიაშვილისა და მის ძმებს: იესეს, ელოს. ჯანოს (1693.VI.10. Ad—1168). — ნაზარალიხანი იყო ქართლისა და თუშეთის მპყრობელი (1695. Hd—13167).

თუხარი აქ მოციქულთა საყდრის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

თხალარი იხსენიება ლევან დადიანის მიერ ბიჭვინტისადმი მიცემულ გლეხების შეწირულების წიგნში (1628. Sd—2904).

თხვინთიბა გიორგი თურაზასშვილმა თაეისი სამკვიდრო ყმანი ჯოიშვილები ტბისიდან და თაეისი სამკვიდრო მამული თხვინთიბაში მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბისშვილს (1670.II.15. Hd—10025).

თხილვანი მდებარეობდა საციციანოში (1664.III. Hd—10346).

თხილთაწყაროს-ღელე გედეონ [ლორთქიფანიძემ] ხელშეუვალად იყიდა მიწა საზღვრებში: არგეეთის ძველი ციხე, მუხურის მთა სკანდურას დაღმა, სკანდას შემოღმა, თხილთაწყაროს-ღელე და სკანდას-ღელე და შესწირა ის გელათის ხახულის ღვთისმშობელს (1664. Sd—2916).

თხილნარა ერწოში, აქ ცხოვრობდა 2 გლეხი ტოხაძე (1579. Sd—464).

თხილნარი მიწობსა და თხილნარში მამუკას 2 კომლი ყმა ჰყავდა. თხილნარში ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 4 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო თხილნარში სვიმონ იეანასშვილი მამულითურთ, პაპუნას კი — დარჩია და თეედორე [XVII]. Hd—1636).

თხილოვანელის ვენახი არდაშელ სოლაღაშვილმა დეკანოზ თეედორე პორჩილაძეს მისცა სამწირველოდ სავენახე მიწა საზღვრებში: თაეში პეტრაძის მიწამდე, ბოლოს თხილოვანელის ვენახამდე, „აქეთ“ მორჩილაძის ვენახის გვერდამდე ([XVII]. Ad—1484).

თხილოვნა სოფელი ქალაქის (თბილისის) პირას, გაბაშვილების მკვიდრი მამული. კოსტანტინე მეფემ გაათაეისუფლა გამოსაღებთაგან და უბოძა ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს და მათ შეილებს: ჯავახს, სოღას და იეანეს, რომლებიც გაბაშვილებს ჰყავდათ ნაშვილები (1466. Hd—2007, Qd—1010).— აქ მცხოვრები გოგლე და გიორგი მოწმენი იყვნენ იოსებ ბეგაშვილის მიერ ქუბაშვილებისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9549).

თხლიური მიწა ნ. თელათი (1606. Hd—9319).

თხოთის აგარა სოფელი შიო-მღვიმის მონასტრისა. ძაგან აბულეთის ძემ აქ სამწირველოდ გაიჩინა 2 გუთანი თევდრული ნავენაკები, 2 გუთანი სარბიელი მიწა და 1 გუთანი თრიალული მიწა — მის მიერ შიო-მღვიმისათვის შეწირული სოფლის ანგროინის სამაგიეროდ ([1258 წლ. ახლოს]. Ad—5).

ი

იალღუზი ააშენა [ორბელიანმა] [XVII]. Sd—1989). — იალღუზი, ქედის ეკლესია და ქამარ-ბაღი წილად ხედა ყაფლან [ორბელიანს] შინდლარის ფარდად ([XVII]. Sd—1936, 1922).

იგოეთი ალექსანდრე მეფემ უბოძა იგი ზევდგინიძეებს: ეზოს ჩუხჩარეხსა და გორის მოურავს ავთანდილს, მოლარეთ-უხუცეს თაყას და ზევდგინს (1429. Hd—11634). — შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისასათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604). — აქ ცხოვრობდნენ დვალისშვილი და ახალკაცი (1699. Hd—1553).

იდლეთი დავით მეფემ ბერად შედგომისას სვეტიცხოველს შესწირა ზვარი იდლეთში (1524. ისტ. სბ., II, გვ. 32—33).

იევფნევი იევფნელნი შედიოდნენ სამთავნელის სამწყოსში, მართებდათ სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

იერუსალიმი (იწლუსარემი, იერუსალემი, იელუსარემი) იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიხაილმა აკურთხა ცაიშელ ბედიელი იოაკიმე კათალიკოსად და გაუჩინა საქართველოს ეკლესიას წესები ([XV]. Sd—2920, 2890). — იწლუსარემი — „წმიდა დედაქალაქი" მოხსენებულია როსტევან [რჩეულასძის] მიერ ვაჰანის მონასტრისათვის მიცემულ მამულის შეწირულების წიგნში ([XV]. Ad—933). — იერუსალემის ჯვრის მონასტერს და გოლგოთას ქართველმა მეფემ შესწირა ოცი თავი სამეფო სალაროს შემოსავლიდან (1558. Qd—1447). — იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქი იყო მიხაილ ([1611—57]. Hd—1551). — ქაიხოსრო გურიელმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამას ნიკიფორეს განუახლა ჩაიხედენასა და ბაილეთის შეწირულობა ([1647—58]. Hd—10274-ა). — იერუსალიმის გოლგოთის მონასტრის მონაზონმა წერილი მოსწერა [გრიგოლ] კათალიკოსს. იგი აღწერდა საფრთხეს, რომელიც იერუსალიმის ჯვრისა და გოლგოთის ქართულ მონასტერს ემუქრებოდა სომეხთა და ფრანგთაგან [კათოლიკეთაგან]: ბეთლემის მონასტერი ფრანგებმა იგდეს ხელთო, ხოლო წმიდა იაკობის მონასტერი — სომხებმაო. მონაზონი კათალიკოსს სთხოვდა, რათა დაეყოლებინა საქართველოს მეფე-მთავრები ქართველთა წმიდა ადგილების დასაცავად (1650—58). Hd—11207). — მოხსენებულია საბუთში (1666.V.14. Ad—650). — იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს მოხსენებულია ერთ საბუთში ([1689 წლ. ახლოს]. Ad—1540). — ნ. გილანი ([1676—1696]. აქტები, I, გვ. 26—27). — გიორგი გურიელმა შესწირა [იერუსალიმის] ჯვრის მონასტერს ყმა-მამულები ბოლეთში, ჩოჩხათში, ჩაიხედნაში, ნაცხავატევსა და ჩაქვის-თავში ([XVII]. Hd—10275). — ბექან და გიორგი ტატუაშვილებმა შესწირეს [იერუსალიმის] ჯვრის მონასტერს აცანე-

ლი მეგრელიშვილი, რომელსაც 3—3 რუბი ბეგარა და სამსახური დააკისრეს ([XVII]. Hd—11275). — იელუსარემი მოხსენებულია მამია გურიელის ნიერ ჩეხედენას ტაძრისადმი მიცემულ ყმა-მამულის შეწირულობის წიგნში ([XVII]. Ad—1913).

ივანაური მამული გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბის, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] გაყრისას ერგოთ ტბისში აზნაურებთან ერთად ივანაური [მამული] (1523. Ad—1299-ა).

ივანაძეული [მამული] [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს კავთისკეში გოგელიშვილისეული მამულის, ივანაძეული [მამულისა] და მონასტრის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

ივანეული ნასასახლევი პაატა აბაშიძემ შესწირა .კაცხის ეკლესიას საზანოში სამაკავარიანო სასახლე. რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო „ივანეული მკათაური ნასასახლევი საყდრიანათ“ ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 55).

ივანწმიდა გოდერძის მიერ შეწირული შიო-მღვიმისადმი, რომელსაც იგი გიორგი მეფემ განუახლა (1170. Hd—1351).

ივრეთი სოფელი, ათხრა მურვან-ყრუმ, შემდეგ ააშენა შალვა ქვენიფნეველმა და შესწირა ლარგვისის მონასტერს (1470. საქ. სიძვ., III, № 578).

ივტისი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

იზმირი ნ. გილანი ([1676—1696]. აქტები, I, გვ. 26—27).

[იოხვისი] ალექსანდრე მეფის სასახლო სიგელში მოხსენებულია იოხვისურველნი (1497. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 66—67).

იის-ციხე (ის-ციხე) სოფლები აკეთი და იის-ციხე გიორგი მეფემ გაათარხნა გადასახადებისაგან და უბოძა ზაქარია. ზაზა და კახა ჯავახიშვილებს (1463.IX.2. Hd—1347). — სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა პატა ჯავახიშვილს ის-ციხისა და ავკეთის ნახევარი (1641. Qd—2188). — ის-ციხეში ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 13 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ა). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას იის-ციხეში ერგო: პაპუნა იორდანესშვილი, თამაზ მშვილდისშვილი, ქიტია გეშიასშვილი მაშულებითურთ; პაპუნას ერგო: დათუნა იორდანესშვილი, გოგიჩა კიკოსშვილი, ნახარა გეშიასშვილი მამულებითურთ და არჩვაძის მამული ([XVII]. Hd—1636).

იორთა (მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზთა ტაძარი) ძმებმა იესე და ზაალ ერისთავებმა შესწირეს მას ფლავიდან პაატა მრულიშვილის ნაქონი სასაბლე, ზვარი, სასაფლაო და გლეხი გოშფარაშვილი მამულითურთ (1675. Hd—6774).

იყუნევი აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 1 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა).

ილემი გიორგი მეფემ განუახლა გოგია და გოგნია მაკავარიან-სიქდურიშვილებს სოფლების: ხოვრეთის, წეისა და ილემის შეწირულება (1452.VI.12. Ad—1564). — აქ ცხოვრობდა მამუკა გორგაძე ([1658—76]. Sd—535).

ილი სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ მისი შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ილორი აქ მცხოვრები გამიძულა წაწულება ლეკეთ დადიანმა შესწირა ბიქვინტის ღვთისმშობელს (1628. Sd—2904).

იმარხები ედიშერ [ციციშვილ] პაპუნასთან გაყრისას ერგო იმარხებში მცხოვრები შოშიტა ნადირასშვილი მამულითურთ, პაპუნას კი — თეკლორა ნადირასშვილი მამულითურთ ([XVII]. Hd—1636).

იმედა ნ. აზოკუნი (1523. Ad—1299-ა).

იმერეთი როსტომ მეფემ იმერეთს ლაშქარი გაგზავნა თავისი შვილის ლუარსაბის მეთაურობით. ლაშქრობაში მონაწილეობდნენ მანგლელის ძმისწულებიც: ოთარ, ბექან. ელიზბარ და პაპუნა, რომელთაც დაატყვევეს 2 ძმა რაქველი არეშიძე (1645. Hd—14443). — იმერეთი შეწუხებული იყო. დადიანი და გურიელი ბანძაში შეებნენ ურუმის ჯარით ალექსანდრე [იმერთა] მეფეს. ღვთემ გაიმარჯვა ([XVII]. Hd—10147). — თეიმურაზ მეფე იმერეთს გადავიდა (1649.VI.15. ისტ. საბ., IV. გვ. 29—30). — იერუსალიმის გოლგოთის მონასტრის მონაზონმა მართამ [გრიგოლ] კათალიკოსს სთხოვა, რათა დაეყოლიებინა საქართველოს სხვა მეფე-მთავრებთან ერთად იმერეთის მეფეც, რომ ერთიანი ძალ-ღონით დაეცვათ ქართველთა წმიდა ადგილები ([1650—58]. Hd—11207).— იმერეთში გადასულმა „ქართველთა ბატონმა" [არჩილმა] ლევან აბაშიძის ყმა-მამული უბოძა ფეშანგი ფალავნისშვილს, ხოლო როცა იმერეთი ხონთქარს დარჩა , ეს ყმა-მამული სეხნია ჩხეიძემ ქაიხოსრო წერეთელს დაუთმო ([1661—1663]. Hd—2179). — ნ. გორი (1662.V.24. აქტები, I, გვ. 20). — იმერეთს ბატონობდა დიმიტრი მეფე [გურიელი] (1663. Sd—514). — მაბარე გამაზიდაშვილი მოსული იყო იმერეთიდან (1665.IV. სოც. დოკ., I, № 51). — იმერეთი მოხსენებულია გიორგი მეფის მიერ გიეი ამილახორისათვის მიცემულ ზემო ქართლის სარდლობისა და გორის მოურაობის წყალობის წიგნში (1692.IX.10. Hd—2134). — გიორგი მეფე გადავიდა იმერეთს (1692. Sd—559). — ალექსანდრე [იმერთა] მეფის აღაპის წირვაში კანდელაკისათვის უნდა მიერთმიათ ექვსი შაური იმერეთის მარჩილისაგან ([1682—95]. Ad—598-ბ). — იმერეთში გადავიდა რატიშვილი ([XVII]. Hd—7585). — იმერეთიდან წამოვიდნენ კახთა მეფე, იმერთა მეფე და ლიპარტიანი, მცხეთამდე ჩამოვიდნენ. ([XVII]. Qd—826).

იმერხევი (იმერკევი) იმერხევში სოფლების სარკისისა და მარჯანიძენის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს იმერკევში ძველად შეწირული მაჯანისძე და ციხე (1559.XII.1. Ad—1572). — იმერხევში ცხოვრობდა 2 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო იმერხევში მცხოვრებნი: დარჩია მაცხონასშვილი, ნავრუზა საგინასშვილი, დათუნა ინდოასშვილი და ბეჟია მაფი მამულებითურთ; პაპუნას ერგო: თამაზა ინდოასშვილი, პაპუნა კახისშვილი, გოგია საგინასშვილი მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).

ინაბოტის-წყალი ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს შესწირა მონასტერი ხატისკარი 42 კომლი კაცით, ალაზანზე საწისქვილე, საკონე და საფიცხულე, ისე რომ ბუეთანს ზევით და ინაბოტისწყალს ქვეით წინ ვერავინ გადადგომოდა (1579. სოც. დოკ., I, № 10).

ინდოეთი დავით მეფემ ინდოეთში მცხოვრებელ მაღნარაძეებს დაუდო სასისხლო სიგელი ([1486—88]. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 20—21). — გიეი თუმანიშვილის გორელი ყმა წატურაშვილი ინდოეთს გაიპარა (1697.III.20. Hd—2268).

ინიაურის მამული სიმონ მეფემ შესწირა იტრიის სიონს; ბეჟიტა შიშნაშვილი გვერდისუბანში ინიაურის მამულითურთ (1584. Sd—2909).

იოვანე წინამორბედის მონასტერი ბარძიმ მდივანბეგმა გაუჩინა ყოველწლიური ულუფა და თავისთვის გაიჩინა წირვა 12 საუფლო დღეს (1689. Ad—738).

იორდანული ბაგა მახარა ბაკურასშვილმა ბატონ ფარემუზს მიჰყიდა იორდანული ბაგა (1689.X.30. Hd—14084).

იორი იორზე მდებარე მონასტრის სიონისა და ქვაბნის შეწირულება გაანუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).— ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს დამტკიცა ძველად შეწირული მიწა სამგორი საზღვრებში: „დამპალის კერძო იორთაკენ", იორის პირს სამნი გორანი და იორს გამოღმა დედოფლის წისქვილნი (1579. Sd—464). — აღდგომლისშვილმა ქუბასშვილისგან მიწა იყიდა, მაგრამ ნასყიდობის წიგნი არა ჰქონდა, ამიტომ ქავთარისშვილმა მას იასაული ჩაუყვანა იორის თავზე (1690. 1.2. Hd—2422). — ბაინდურ ერისთავმა ზანდუკელასშვილებს უბოძა მათი სამკვიდრო მამული იორზე (1697.V.12. ქუთ. მუზ., № 1057). — კაკაბელები და შიბლიანელები მიწა-წყალზე დაობდნენ. დავა გაარიგა ნიკოლოზ ამბაალავერდელმა ჩოლაყაშვილმა: იორზე, სალთხუცის მამულზე, ყოჯას პირდაპირ ჭალა შიბლიანელებს დარჩა საწისქვილედ, დანარჩენი ჭალა კი კაკაბელებს ერგო (1700.XI.15. Ad—574).

იოსაფათი თეიმურაზ [კახთა] მეფემ უბოძა ლუარსაბ მეჯინიბეთუხუცესს თოღაში იოსაფათის სამოურაო და უზუქანთის მოურაობა ([1606—48]. Ad—513).

იოსელიანისეული მიქელის პარტახტი ჩუნეშში, გიორგი [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის მონასტერს (1568.VIII.30 Sd—2901).

იპტისი სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ირაგა ირაგელი იყო სავანელი ([1632—58]. Sd—794). — ირაგელ გლეხზე პატასა და ყაფლან [ორბელიანს] შორის დავის გარიგებისას ასე გადაწყვიტეს: თუ მისი „საპასუხო" ყაფლანის ყმა პატას ჰყავდეს, აჰყაროს, თუ არა და ყაფლანმა ირაგელი გლეხი პატას დაანებოს ([XVII]. Hd—14284). — ირაგელი სორაზან მოწმე იყო პირობის წიგნისა ([XVII]. Hd—14977). — ირაგაში ცხოვრობდა ელიზ[ბარა], მოფიცარი სამღერელთა და ნადარბაზევს შორის მიწაზე დავის გარიგების წიგნისა ([XVII]. Sd—477-ა).

ირგი ლუარსაბ მეფემ ლარაძეების გვარს ჯილდოდ მისცა სოფელი ირგი ირგის-ხევზე (1640.IV.23. სოც. დოკ., I, № 33).

ირგის-ხევი ნ. ირგი.

ირდასუბანი სეხნია საგინაშვილმა ვარდუა მარქარაშვილს ზედა ირდასუბანში მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მამული მახარაშვილისა და გიორგის საზღვრებამდე. ირ დ ა ს უ ბ ნ ე ლ ი გიორგი შათირიშვილი მოწმე იყო ამ ნასყიდობისა (1690. II. Hd—5151).

ირი ნ. ღუერაკი (1298. Hd—13331).

ირისკოპოზი სოფელი სომხითში, შანავაზმა განუახლა მისი წყალობა ტერ-სარქისა არღუთაშვილს, რომელსაც იგი აუშენებია (1661.VII. 11. ქ.-სპ. საბ., № 125).

ისელაური მამული გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტანაბის, ფალავანხოსრო [ბარათაშვილებს] გაურისას ერგოთ ენაგეთში მცხოვრები ავატამაშვილი, სადუნაშვილი, აგრეთვე ისელაური მამული(1523. Ad—1299-ა).

ისლამაური თეიმურაზ [კახთა] მეფემ განუახლა ენისელთ ნაცვალს ხოსროს ისლამაურში ყიშლაღისა და გზირისშვილის მამულის წყალობა (1662. IV.4. სოც. დოკ., I, № 515).

ისროლი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ისპაანი (ისპანი, ისპაჰანი) ერეკლე მეფე რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ წავიდა ისპაანში, სადაც თან გაჰყვა ლაზარე ქუმსიაშვილი (1676. Qd—7873). — საერისთავოსაგან გაღარიბების შემდეგ ელიზბარ ქსნის ერისთავი ყაენს ეახლა ისპაანში, სადაც შეადგინა პაპუნა გარაყანიძისათვის მამულის წყალობის წიგნი (1683.II. Hd—8419-ა). — ზურაბ ბერუკაშვილის ბიძაშვილი სეხნია გიორგი მეფესთან წავიდა ი ს პ ა ნ ს (1698. Hd—2598). — რევაზ სახლთ-უხუცესი 12 წელი იყო ერეკლე მეფის ელჩად ისპანში ([1688—1703]. Hd—1253). — ი ს პ ა ჰ ა ნ შ ი ყოფნისას ნაზარალიხანს რამდენჯერმე ახლდა მთავარეპისკოპოსი (1693.IV.3. Hd—2593). — ხითარაშვილების გაურის წიგნის მიხედვით, ისპაჰანის თამასუქებზე ვალი საქუას უნდა გადაეხადა (1699.III.1. Ad—954). — ქალაქი ისპაჰანი მოხსენებულია მაჰმ[ა]დის მიერ გაგზავნილ წერილში ([XVII]. Hd—5237).

ისპიანი მანუჩარ ვახუშტისშვილმა მიჰყიდა ბატონ ზურაბს თავისი ორი ძმის წილი ისპიანი (1690. Hd—4164-ა).

იტრია ხორაშან დედოფალმა შესწირა სვეტიცხოველს ზემო ქართლში მდებარე სოფ. ოსიაური იტრიისადმი შენაწირის გარდა (1629.X.13. ისტ. საბ., IV, გვ. 12—15). — იტრიის წინამძღვარი შედიოდა ამილახორის სადროშოში ([1606—48]. Hd—2124).

იფნარი სოფელი ქციას „გაღმა", აქ დავითისა და აბაშის კერძი მამული კათალიკოსმა დაუმტკიცა მანგლისის ეკლესიას (1584. Qd—1604).

იფნი ნასყიდა წულუკიძის ნაქონი მამული იფნი ქეთია კობიაშვილმა მიჰყიდა ოთია შაბურიშვილს (1697. Sd—761).

იფნობი იფნობისა და ქარატაკის სამეკრეოს ფარდად უაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ვარძაგრისა და მუხრანის სამეკრეო ([XVII]. Sd—1936, 1922). — იფნობში ცხოვრობდა ჯუნაშვილი [XVII]. Sd—1936).

იქით-ოკამი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559).

იყალთო სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ სამკვიდროდ უბოძა მაყა მაყაშვილს მისი ბიძის გიეის წილი მამული მამრეხსა და იყალთოში (1589. Hd—1423). — ნ. ხახული (1594. ისტ. საბ., II, გვ. 58—60). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ მაყა მაყაშვილს იყალთოში უბოძა 2 კომლი ალექსისაშვილი მამულითურთ (1597. VIII. Ad—616). — ჯნის ერისთავთან მაყაშვილების დავა გადაწყვეტილ იქნა ამნაირად: ერისთვისათვის უნდა შეეფიცებინათ 4 შეგდებული იყალთოელი კაცი ([XVII]. Ad—612).

იწვა. აქ მცხოვრები 2 კომლი ჩანაძე მამუკი და ნინუი გიორგი [იმერთა] მეფემ უბოძა ხოხონა და ელიზბარ ჯაფარიძეებს (1629. Qd—7988).

კ

კაბერეთის მონასტერი (კაბერის მონასტერი) საბარათაშვილოში, სოლაღაშვილების სამკვიდრო სასაფლაო, როსტომ მეფემ უბოძა ელისბარ სოლაღაშვილს (1637. ქ.-სპ. საბ., № 60). — როსტომ მეფემ განუახლა ელისბარ სოლაღაშვილს მისი სამკვიდრო კაბერის მონასტრის წყალობა (1648. ქ.-სპ. საბ., № 48).

კაბერი საააკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საააკაძეს. გიორგი საააკაძის „გადავარდნის" შემდეგ იგი სახასო იყო (1652. Hd—13956).— აქ მცხოვრები მაზია ფეჯაძე და მისი მკედელი ძმა ქონებითურთ ერთწილად შეხვდნენ შოურავსა და ზურაბს ბერუკას ფარდად ([XVII]. Hd—11811). — აქ მდებარე ცაცუაშვილის მამულის ნახევარი ერგო მოურავსა და ზურას ([XVII]. Hd—12283).

კაველათი კაველათელმა პაპუნა შვანდირასშვილმა პირობა მისცა კათალიკოსს, რომ თუ მოხისიდან პაატა ჯ[ა]მასპაშვილი აიყრება, პაპუნა სანაცვლოს მიართმევს მას (1686. ისტ. საბ., IV, გვ. 64).

კავთის წმიდა გიორგის მონასტერი მოხსენებულია გერ[მანო]ზ და გიორგი ტოტებაშვილთათვის ბეგა სურამელის მიერ მიცემულ ვენახის ბოძების დაწერილში ([XIII]. Ad—8). — მოხსენებულია მიქელ სურამელის ცოლის ქაჭანას მიერ ქვათახევის მონასტრისათვის სოფელ ნოსტის გამოსაღებთაგან გათავისუფლების დაწერილში ([XIII]. Ad—9). — კავთის წმიდა გიორგი მოხსენებულია გულიტას მიერ დავით მოსეშვილისათვის მიცემულ ჭიწის ნასყიდობის წიგნში (1621. Qd—8515-1). მოხსენებულია დედანაშვილთა მიერ მოსესშვილებისათვის მიცემულ ნაფუზრის ნასყიდობის წიგნში (1669. Qd—8515-2).

კავთისკევი (კავთისხევი) კავთისკეველი იყო ი[მ]ნაძე (1331. Qd—1481). — ქალაქი [თბილისი] თათრებს ეპყრათ, როცა კავთისკევი დაარბიეს (1452.XII.20. ისტ. საბ., II, გვ. 10). — კავთისკევში მდებარე იოანიაძისეული და ქადაგ დიმიტრისეული მამულები დავით კათალიკოსმა უბოძა მახარებელ მაღალაძეს (1470. Hd—1352). — გულშარა დედოფალმა კავთისხევის მოურავე იოანე საააკაძეს გაუცვალა ნოსტეში სასახლე მისი მიდამოთი მიწაზე. ([XV] საისტ. კრებ., IV, გვ. 69—70). — ალექსანდრე მეფემ დაუმტკიცა ჩხეთის ქადაგს მახარობელ მაღალაძეს ქადაგ იოანიასძეთა ნაქონი უმკვიდრო

მამული კავთისკევში (1501. Qd—6995). — მერაბ ციციშვილმა კავთისხევში დაასახლა ცხადიასშვილები და შესწირა ისინი ქვათახევის მონასტერს (1520. ისტ. სბ., II, გვ. 29—31). — ნ. მცხეთა (1524. ისტ. სბ., II, გვ. 32—33). — [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს კავთისხევში გოგელიშვილიშეული და ივანაძეული მამულებისა და მონასტრის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — ელისბარ სოლაღაშვილმა პაპუნა მაღალაძეს მიჰყიდა კავთისხევში გლეხი დემეტრე მამულითურთ (1565.IX.25. სოც. დოკ., I, № 7). ნ. სურამი (1568. ისტ. სბ., II, გვ. 46). — სიმონ მეფემ გაათავისუფლა კავთისხეველები გამოსაღებთაგან, გარდა კარზე სამსახურისა და სათათრო საურისა (1581.VIII.8. სოც. დოკ., I, № 11). — კავთისხევის მოურავი იხსენიება სიმონ მეფის მიერ დავით ბერაძისათვის მიცემულ სითარხნის წიგნში (1581. VIII.8. ჭ.-სპ. სბ., № 6). — კავთისხეველები იყვნენ ჯილავის მეთოფენი: დავით ბერაძე, ზურაბ იმნაძე და იოვანე მირიანისძე (1581.VIII.8. ჭ.-სპ. სბ., № 6).— სიმონ მეფემ უბრძანა კავთისა და ერთაწმიდის კევის ტარუღებს თავისი წყალობის „გათავება" (1588. Hd—14444). — ბაგრატ მეფემ გაათავისუფლა კავთისხეველი იმნაძეები გადასახადებისაგან, გარდა სათათრო საურისა (1618. IV.4. სოც. დოკ. 1, № 20). — არდაშელის შვილმა კავთისხევამდის გამოაყოლა მსახურნი ქაიხოსროს (1620.IV.15. Hd—6259). — სიმონ მეფემ კავთისხეველ მზარეულს ნასყიდა შეშაბერიძეს უბოძა ფოციაური დიასახლისის ნაოხარი შამული კავთისხევში (1630. Hd—1986). — აქაურმა იმედა იმ[ნ]აძემ სთხოვა როსტომ მეფეს თავისი სამკვიდრო პეტრაული მიწა, რომელიც მეფემ მას დაუმტკიცა (1633. Qd—1481). — როსტომ მეფემ უბოძა შირვანის ბეგლარბეგს ფარუხანს სახასო სოფელი ხანდაკი, რომელიც მდებარეობდა კავთისხევის ბოლოს (1635.XII.2. Ad—624). — როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს კავთისხეველი საყაძისეული სამკვიდრო გლეხები, რომლებიც გიორგი საყაძის „გადავარდნის" შემდეგ სახასო გახდნენ (1652. Hd—13956). — კავთისხეველ მამასახლისის შვილი იყო პატა (1654. Sd—29). — შანავაზმა დაუმტკიცა სოლაღაშვილებს მათი ნასყიდი 2 საკომლო კავთისხევში (1671. Sd—32). — აქ მცხოვრებ შეშაბერიძეებს გიორგი მეფემ განუახლა სითარხნის წიგნი (1679. Hd—1968). — აქაური იმნაძეები გაათარხნა ელენე დედოფალმა (1690. Hd—2212). — აქაური სახასო გლეხები ხატუაშვილი და გედაშვილი გიორგი მეფემ უბოძა არჩილბატონიშვილს ნიკოლოზ მაღალაძეს (1694.II.10. Qd—8923).— მისი ნაწილი იყო თელათუბანი, სადაც ცხოვრობდნენ ჯავახი მექანარიშვილი და დათუნასშვილები, იქვე იყო ღვარის ხოდაბუნიც (1695. სოც. დოკ., I, № 132). — თარხანი იყო, გამოსაღები არ ემართა ([XVII]. Sd—1985).—კავთისხევს ეწერა 2 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

კაზრეთი პაპუნა თავის შვილ ასლანთან ერთად კაზრეთის ბაღში იყო, სადაც დაიბარა რევაზა, რომელსაც დაავალა ყაფლანის ციხეში შეპარვა ციხისთავის მოსაკლავად (1664.III. Hd—10346). — პაპუნამ კაზრეთის ბოლოს ბაღში უბრძანა გულიტა რამაზაშვილს დახმარებოდა მის კაცებს: რევაზას, ბაზიერ ამირა ზორიაშვილსა და რევაზას ძმისწულ გიორგის (1664. Hd—1786).

კაისრის საბატონო აქედან ამირჯანა ივანგულაშვილმა ჩამოიტანა ხატები და მიაბარა ისინი დომენტი პატრიარქს (1664.XII.3. Ad—621).

კაიშლაღი ნ. ყაიშლაღი (1610. IX. 24. Hd—2283).

კაკაბეთი ერეკლე ბატონიშვილმა უბოძა ლევან ავალიშვილს კაკაბეთი დემურჩასალის საბალახესთან ერთად (1631.VIII.18. Hd—14525). — კახეთის ბატონმა და ყარაბაღის ბეგლარბეგმა აბაზყულიხანმა უბოძა თუშთა მოურავს მამუკა ჩოლოყაშვილს, სახლთ-უხუცეს დურმიშხანსა და მათ შვილებს კაკაბეთი ისე, როგორც გორჯასპირა და დათუნა ერისთავისშვილს ჰქონდა (1693. VII.5. Qd—6719). — ნიკოლოზ ამბა-ალაერდელმა ჩოლოყაშვილმა კაკაბელებსა და შიბლიანელებს შორის სამამულო დავა გაარიგა შემდეგნაირად: იორზე ყოჯას პირდაპირ ჭალა შიბლიანელებს დარჩა საწისქვილედ, დანარჩენი ნაწილი ჭალისა კაკაბელებს ერგო. ამის ქვემოთ ზარგრისობას პატარა თუთა იდგა — ერთი საზღვარი ის იყო; ამის პირდაპირ დიდი გორა იყო—მეორე საზღვარი ეს არის; იმის სწორა შავი ტყე არის — ერთი საზღვარი ის იყო. იმას იქით ტყე და მთა საერთო უნდა ყოფილიყო. ყანდაურიანი წყლითურთ კაკაბელთ დარჩათ. თუ შიბლიანელნი საძოვარ ბალახს არ დაუშლიდნენ კაკაბელთ, მაშინ ესენიც არ დაუშერდნენ მათ წყალს (1700.XI.15. Ad—574, სოც. დოკ., I, № 525). — კაკაბეთის მოურავი იყო ბეჭან ბაინდურაშვილი; კაკაბეთში ცხოვრობდა შერმაზან ბეჭანისშვილი (1700.XI. სოც. დოკ., I, № 525).

კაკელთა თეიმურაზ [კახთა] მეფემ შესწირა ალავერდის წმიდა გიორგის ეკლესიას კაკელთაში მცხოვრები ყმები (1612.V.10. საისტ. მოამ., I. 1925, გვ. 146—153).

კალაური (კალაურნი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883).—ნ. ეჯინი (1455.X.8. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 40—43). — გიორგი მეფემ განუახლა იასათ ვაჩნაძეს კალაურნის წყალობა (1455.X.8. Hd—7588). — კალაურელებმა დავით კათალიკოსს მისცეს გიორგისშვილებთან უდაობის პირობის წიგნი ([XV]. Ad—626). — თეიმურაზ მეფემ უბოძა ზაქარია დვალსა და მის ძმებს სალდასტანისეული მამული კალაურში (1628. Hd—1952). — რამაზ ვაჩნაძემ მიჰყიდა ოხიაყორჩ როსებს სამკვიდრო გემიაური მამული ერთი საკომლო კალაურში (1673. Ad—1254).

[კალკუეთი] პაპუნა [ციციშვილს] ედიშერთან გაყრისას ერგო კალკუელი საგინა საგინასშვილი მამულითურთ ([VII]. Hd—1636).

კალობანი (კალოუბანი) ნ. მცხეთა (1560. ისტ. საბ., II. გვ. 45). — ქალაქის (თბილისის) კალოუბანში მოსახლის, ჟამისაგან ამოწყვეტილი გიორგი მეჯურჯულს უმკვიდრო სახლ-კარი იოვანე კათალიკოსმა უბოძა რევაზ სახლთ-უხუცესს ([XVII]. Qd —1326).

კამკამას წყარო იორამ და ონოფრე სა[ა]კაძეებმა გაჰყიდეს დეკანოზს მიწა კამკამას წყაროსთან ([XVII]. Sd—378).

კამულეთი აქ მცხოვრები გურმიხილი კუბეცია და თილითელი ელიჯარ

ჩანგელაა ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს (1628. Sd—2904).

კაჟის სამანი გიორგი [იმერთა] მეფემ შესწირა კაცხის მაცხოვრის მონასტერს სოფელი ვაშვეი, რომლის საზღვარი რგანის სოფლისკენ იყო კაჟის სამანი (1615. ქუთ. მუზ., № 125).

კარალეთი ნ. კუედურეთი (1467. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 30—31). — სოფელი, გელიაშვილებს აქ ჰქონდათ 2 დღის ნასყიდი ვენახი (1651. Hd—9669). — კარალეთი სამოხელეოდ ჰქონდა მიცემული ციცი ფანასკერტელ-ციციშვილის აზნაურს აზორ უზნაძეს. ბატონსა და ყმას შორის უთანხმოების ჩამოვარდნის შემდეგ მეფემ კარალეთი ორივეს გამოართვა. ბოლოს ციციშვილი და უზნაძე შერიგდნენ და ციცი დაჰპირდა აზორს კარალეთის ხელახლა სამოხელეოდ მიცემას, თუ არა და, მის სამაგიეროდ სხვა რამეს ([XVII]. Hd—1789).

კარასპუორი ნასოფლარი სომხითში, შანავაზმა უბოძა იგი დონდარაჯუბაშვილს (1661.XII.18. ქ.-სპ. საბ., № 126).

კარახი ნაისძისგან ნასყიდი მიწა, აქ ვენახი და საწისქვილე (წყალი) ბეგა სურამელმა სამკვიდროდ და სამამულოდ უბოძა ტოტიბას და მის შვილებს იმ პირობით, თუ უკანასკნელნი მას 15 კოკა ტკბილსა და ხილის ნახევარს გამოუღებდნენ [XIII]. Ad—8).

კარბი სოფელი, სალარე მიხას ძემ ანდერძად დაუტოვა იგი წითლოსან ქვენიფნეველ-ლარგველისშვილს (1348. Hd—3493). — თაყა ზედგინიძე ცოლს გაშორდა და სხვა ქალი შეირთო. ამის გამო მან, კანონის თანახმად, სვეტიცხოველს გადაუხადა 2 კარბელი გლეხი (1433. ისტ. საბ., II, გვ. 4).— აქ მდებარე თამაზის კერძი მამული როსტომ მეფემ უბოძა გივი ზედგინიძეს. (1646. Hd—2133).

კარბისი თეიმურაზ მეფე დაჰპირდა იოთამ ამილახორს იმას, რასაც კარბისის სანაცვლოდ იშოვნიდა ([1625—32]. Hd—9429).

[კარგალეთი] კარგლეთელი ბერი დემეტრეშვილი მოწმე იყო ზურაბ-ბერუკაშვილის მიერ ავთანდილ მეჯინიბეთ-უხუცესისათვის მიცემული მიწის-ნასყიდობის წიგნისა (1698. Hd—2598).

კარდანეხი ნ. ვეჯინი (1455.X.8. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 40—43). სოფელი ვეჯინთან, გიორგი მეფემ განუახლა ისათ ვაჩნასძეს კარდანეხის წყალობა (1455.X.8. Hd—7588). — გიორგი მეფემ როშაქ ჩოლაყაშვილს საყმოდ უბოძა კარდანეხი და აფხაზის მამული ([XVII]. Hd—2286).

კარდანუცი ნ. ვეჯინი (1455.X.8. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 40—43).

კარობანი ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო კარობანში თოთასშვილისა და თამაზა ზურაბასშვილის მამულები ([XVII]. Hd—1636).

კარხანი სოფელი, მისი შეწირულება ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — აქ მოსახლე გლეხები: ღუნიასშვილნი, სოლომონასშვილნი და მიხითარასშვილნი მამულებითურთ მამისამ დაუტოვა თაეის ძმისწულ ზაქარიას (1477. Hd—1354). — [სიმონ] მეფემ სვეტიცხოველს განუახლა სოფელ კარსანის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — ერთო-

გით კარსელნი მოწმენი იყვნენ გაგულას მიერ ქიტა ივინასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1661.XI.15. Ad—1809). — ბერუკა ქარტიძემ შეჰყიდა არდაშელ დეკანოზიშვილს კარსანში ბურძგიაშვილების კერძი მამული და ეფრემას მამულის ნახევარი (1686. Ad—1764). — ნაზარალიხანმა უბოძა სახლთ-უხუცეს რევაზ მაღალაძეს კარსანში მცხოვრები მაჭარაძე მისი მამულითურთ (1692. III. 11 Qd—1344).—კარსანს ეწერა 14 საზავო მოლაშქრე „გაცემული და გაუცემელი" ([XVII]. Ad—1631).

კასპი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — კასპთან მდებარე აშურიანის შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე მეფემ უბოძა იგი ეზოს ჩუხჩარეხსა და გორის პოურავს აეთანდილ ზევდგინიძეს, მოლარეთ-უხუცეს თაყა ზევდგინიძესა და ზევდგინ ზევდგინიძეს (1429. Hd—11634). — თაყა ამილახორმა შესწირა სამთავისის ეკლესიას 2 ვენახი კასპში (1513. Ad—12-ა). — [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს მისი შეწირულებისა და სითარხნის წიგნი (1559. საისტ. კრებ. III, გვ. 118—121). — შიო-მღვიმის მონასტრის დეკანოზს ნასყიდაშვილს მისცეს ზარად კასპში გუგულაური, ბედიანური ვენახი, ფურნაგის 2 ვენახი — ანტონაური (1655. სოც. დოკ., I, № 58).

კაფა აფხაზთა კათალიკოსის სამწყსო იყო ლიხსა და კაფას შუა, რუხეთის საზღვარსა და ჯანეთს შუა ([1510—48]. Ad—2218).

კაციები აქაური შულბაძენი და ზაქარაძენი შეწირული იყვნენ მთის წმიდა გიორგის ეკლესიისადმი, ბაგრატ მეფემ განაახლა მათი შეწირულება (1491. VIII.20. Sd—2898).

კაცხი (მაცხოვრის მონასტერი) მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ბაგრატ [იმერთა] მეფის ნებართვით, აბულახსარ ამირეჯიბისშვილმა აღადგინა კაცხის საყდარი. სადაც წინამძღვრად დააყენა მელქისედეკ მაჭავარიანი, შესწირა მას მამულები და გლეხები, რომელთაც დაუწესა გამოსაღებნი ნატურით: მოდებაძეები, კუპატაძე, საკურწელი ბრეგუაძეები. აგრეთვე: სოფელი რგანი ხრეითისაკენ კაჟის სამანსა და რკინის ჯვრამდი, ნასოფლარი ვაჭევი აეაზნის იქით თელაწმინდიდან ღვითორისაკენ; „სხუა სრულიად მისითა ტყითა და ველითა ნავარძეთისაკენ კლდეს ზედათ; შაშვის წყაროს აქეთ ურბევისა" და მათ მცხოვრებლებს შეაწერა გამოსაღებნი ნატურით ([1515—35]. საისტ. კრებ.. III. გვ. 42—48). — გიორგი [იმერთა] მეფემ შესწირა მას სოფელი ვაჭევი (საზღვრებით: რგანისაკენ კაჟის სამანი და თელაწმინდამდე. აქეთ ღვითორისაკენ წიფელას ჯვარამდე), სადაც თავისი სახასო სოფელ ხრეითიდან გადმოასახლა 4 კომლი ცერცვაძე (1615. საისტ. კრებ. III, გვ. 48—50). — ელისაბედმა შესწირა მას ტაბატაძეები, გიორგი [იმერთა] მეფემ — რკვიაში მცხოვრები 1 კომლი მუმლაძეები ([1604—1620]. საისტ. კრებ., III, გვ. 50). — კაცხის მონასტრის წინამძღვარს ევდემოზ წერეთელს და პატა აბაშიძეს გიორგი [იმერთა] მეფემ უბოძა ნავარძეთში მამუკა ამამუკელის კერძი გლეხი და პარტახტები (1627. Qd—8965).— გულბუდახ ჩხეტიძის ქალმა და მისმა შვილმა პაატა აბაშიძემ კაცხის ეკლესიას

შესწირეს, ხახუტასა და გუდია-ყოფილის გაიანეს საალაპედ, გლეხები: თავაسაში ხუცესი კოჩაძე და ქაქაბაძე, ქუთათისში ერთი ვაჭარი ალხაზიშვილი, ჭალატყეს ურია იოსებაი, რკვიას 2 კომლი კაცი — ხუცესი კოხოძე და ბეჟუა მუმლაძე — და დაწერეს მათ გამოსაღები ნატურით ([1610—30]. საისტ. კრებ. III, გვ. 51—52). კ ა ც ხ ე ლ ი ზაქუტაძე მამულითურთ უბოძა მეფემ უედანათ წერეთელს (1678. Hd—14781). — პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას ბაგრატ მეფის ნაწყალობევი სამაჟავარიანო სძახლე საზანოში საზღვრებით: „ალავიძეს გარდმოღმა დათეის ბოლო ბარდნალიანათ... ტყლაპი რუსა ბუჯის შესაყარს აქეთ კლდის წყარომდის ნახევარი ტყე და მინდორი, სანადირო და საყანე...; ამას გარდა 4 გლეხი: ნებიერიძეები, გოდაშვილი, შერგილაშვილი და დაბეგრა ისინი მონასტრისათვის ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57). — ყოსია და თაყა ჯაფარიძეებმა კაცხის ეკლესიას პირობა მისცეს, რომ კაჟის სამანსა და რკინის ჯვრის იქით რგანისკენ მიწა-წყალზე მას აღარ შეეცილებიან ([1680—96]. საისტ. კრებ., III. გვ. 61). — მალაქიონ აფხაზთა კათალიკოსმა, ბაგრატ მეფის თანხმობით, საზღვრები დაუწესა გელათის საეპისკოპოსოს: რიონსა და ქუთათისის ზეკით, ყვირილას გამოღმა კაც(ხ)ის ზღვარამდე, ბრეითს აქეთ რაქის მთამდე, ოკრიბა, ქუთათისის ქალაქი — გაღმა და გამოღმა ([XVII]. Sd—2895).

კ ა ნ ჭ არ ე თ ი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთის სვეტიცხოველს კანჭარეთში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვრები იყო ძმარაშვილის სახლთან მდებარე ღელე და იორს გაღმა რაჟიანთ ეკლესიის ქვემო ადგილი (1579. Sd—464). კ ა ნ ჭ ა რ ე ლ ი ეპისკოპოსი იყო ეგნატი ([XVII]. Ad—1892).

კ ა ბა ეს სოფელი თეიმურაზ მეფემ უბოძა იოთამ ამილახორს ([1625—32]. Hd—9429).

კახეთა აქ დედაბრიანთაგან იყიდა გიორგი ჭარმაულმა საეწახე მიწა (1531. Sd – 733).

კ ა ხ ე თ ი ალექსანდრე [კახთა] მეფემ შეწირა სვეტიცხოველს კახეთში ეჟინის პირთა სოფელი, საპანკისო სახასო ახალშენი და თორღიანი (1479.I.24. Ad—1838). — ალექსანდრე მეფემ მისცა ბასილ კათალიკოსს კახეთში მოსახლე საკათალიკოსო ყმებზე სარდლის უფლება (1562. Hd—1721). — კახეთის მეფემ იესემ უბოძა სიაუშ საკაძეს „საბარეშემე გლეხები" (1580. Hd 14441). — კათალიკოსის მეზვრენი გიორგა და ხუცია აღაიანელები კახეთში წავიდნენ. გიორგა აღაიანელს ცოლ-შვილი დაატყვევეს. გიორგამ კათალიკოსს თავისი ცოლ-შვილის დახსნა სთხოვა. მაგრამ კათალიკოსმა ვერ დაიხსნა. შემდეგ გიორგამ ვალი აიღო და გამოიხსნა ცოლ-შვილი. ვალის გადახდისათვის გიორგა შერმაზან სუმბულიძის მიწაზე დაესახლა და მისი ყმა გახდა. ამის სანაცვლოდ შერმაზანისაგან მან მიიღო 60 კოდი პური, მოსამკალი ფეტვი და მოსაკრეფი ვენახი. რითაც გიორგამ ვალი გადაიხადა (1630.XII.25. სოც. დოკ., I. № 28). შაჰ-აბაზმა მოაოხრა ქართლი და კახეთი (1631. ისტ. საბ., IV, გვ. 18—19). — როსტომ მეფემ ზაქარია მაყაშვილს განუახლა ლუარსაბის ნაქონი მამულის წყალობა გ ა მ ო ღ მ ა კ ა ხ ე თ შ ი (1637. Hd—14481).— შაჰ-აბაზი რომ კახეთს შეესია, თეიმურაზ [კახთა] მეფე ლიხთ-ქმერეთს გადაიხ-

ვეწვა, სადაც 26 წელი დაყო (1639. აქტები. I გვ. 17). — კახეთში მდებარე პატა ზალისშვილის კერძი მამული თეიმურაზ მეფემ შანშეს უბოძა ([1606—48]. Hd—13308). — იგივე მეფე შეპპირდა ოთია ამილახორს, რომ მის ძმ-ს ახდუყაფარის კახეთში მდებარე მამულს, მაღრანს გარდა, მას დაანებებს ([1606—1648]. Hd—2128). — მარიამი იყო ქართ-კახეთის დედოფალი (1649. VI.15. ისტ. საბ., IV, გვ. 29—30). — ქართლისა და კახეთის მეფემ როსტომმა გაათარხნა ბერუკა ჯაბჯური (1651. Hd—14661-ბ). — ქართლ-კახეთის მეფემ როსტომმა მამული უბოძა დავითის ქვრივს (1653. Qd—1653). — როსტომ მეფე იხსენიება ქართლისა და კახეთის ორისავე ტახტის მპყრობელ-მჭონებელად (1656.XII.15. ქ.-სპ. საბ., № 114). — ქრისტეფორე კათალიკოსი როსტომ მეფეს მოელაპარაკა კახეთში სეეტიცხოველისათვის საბალახოს შეწირულების განაბლებაზე (1656. Ad—1737). — ზალ [არაგვის] ერისთავმა ბოდბის მონასტერს შესწირა დვალაშვილები, რომლებიც გაათავისუფლა კახეთის მეფეთა სამსახურიდან (1657.V.6. ისტ. საბ., IV, გვ. 35). — კახეთში ცხოვრობდნენ სეეტიცხოველის ყმები (1660.V.1. Sd—2913). — ნ. გორი (1662.V.24. აქტები, I, გვ. 20). — შაჰნაზარმა (არჩილმა) ყაენისაგან რომ კახეთის მეფობა მიიღო, წმიდა გიორგის ეკლესია გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თეიმურაზ და როსტომ მეფეების დროს (1664. აქტები, I, გვ. 21). — გიორგი თუმანიშვილის ყმა პაატა რაზმაძე მივიდა კახეთში (1664. სოც. დოკ., I, № 516). — კახეთში ყოფნისას შანავაზ თუშეთიდან თავს დაესხა კახთ ბატონისშვილი, შანავაზმა გაიმარჯვა (1664. Hd——14538). — შაბადინი კახეთისა იყო (1670.IV.15. ისტ. საბ., IV, გვ. 47—49). — შანაზარი (არჩილი) კახეთის ბატონი იყო ([1670 წლის ახლოს]. Hd—7592). — დომენტი კათალიკოსმა პაპუნა მაღალაძეს დაუმტკიცა სამცხეთოს სახლთ-უხუცობა ქართლიდან კახეთამდე (1672.V.1. Ad—1689). — მოხსენებულია კახეთის მდივანი (1673. Qd—9037-ჲგ). — შანავაზი იყო ქართლისა და კახეთის მპყრობელ-მჭონებელი (1677. Ad—1357).—მოხსენებულია კახეთის მდივანი ზურაბი (1678.X.10. Qd—9037-ლბ).—ალექსანდრე [იმერთა] მეფის ცოლი ნესტან-დარეჯანი იყო კ ა ხ თ ა მეფის ასული ([1660—67]. Ad—598-ა).—კახეთში უმეფობის დროს ქაიხოსრო რუსის-შვილ-პაატისშვილმა მიითვისა სეეტიცხოველის მამულები შილდასა და ვეძისხევში ([1676—96]. Ad—786-ბ. 823). — ქართლის მეფე გიორგი კახეთის თავადებს წყალობას დაპპირდა კახეთის დაკავების შემთხვევაში ([1676—88]. Hd—2159). — ნიჩბისიდან აყრილი ფარსადან ციციშვილის გლეხი ხურო ზალა ზალაშვილი დასახლდა კახეთში, ბებურ ვაჩნაძის მამულში (1690.I.22. Hd—2753). — იოანე დიასამიძე იყო ქართლ-კახეთის კათალიკოსი (1690. Ad—349). — კახეთი მოხსენებულია გიეი ამილახორისადმი გიორგი მეფის წყალობის წიგნში (1692.IX.10. Hd—2134).—აბაზყულიხანი იყო კახეთის ბატონი და ყარაბაღის ბეგლარბეგი (1693.VII.5. Qd- 6719). — ნ. ყარანეი (1693. Sd—15). — კახეთის დასაპყრად გადმოსული ქართლელები ნინოწმიდასთან დამარცხდნენ. კახეთის ხანმა აბაზყულიმ და შემდეგ ჰეფე ნაზარალიხანმა ზალ ენდრონიკაშვილს, მის ძმებსა და შვილებს, რომლებიც ამ ბრძოლაში სპარსელებს მიემხრნენ, უბოძეს ზალის ბიძაშვილების

ლუარსაბისა და ერასტის ყმა-მამული, ვინაიდან ლუარსაბი და ერასტი ქართლელების მხარეზე გამოვიდნენ (1694.VII.1. Hd—2632). — ახაზუულიხანმა კახეთში აჰყარა გიორგი ერისთავის ყმები, რომლებიც მათსავე ბატონს დაუბრუნა ([1688—94]. სოც. დოკ. I, № 521). — ქალბალიხანი იყო კახეთის აქიმი (1695. ქ.-სპ. საბ., № 157). — კახეთის აქიმმა ქალბალიხანმა იოვანე კათალიკოსს მისცა სვეტიცხოველისათვის მამულის შეწირულობის განახლების წიგნი (1696.III.24. Ad—1751). — ნ. ხისიყი (1696. აქტები, I, გვ. 25—26). — კახეთის ჰაქიმი იყო ქალბალიხანი (1698. ქ.-სპ. საბ., № 162). — რევაზ ზურაბიშვილს დავა ჰქონდა სულხან უაფლანისშვილთან კახეთში ქვალდამის თაობაზე. დავა ასე გაარიგეს: ნასახლარს რომ სერი გასდევდა, იგი მოდავეებს შუაზე უნდა გაეყოთ; სერის გაყოლებით წყლის პირამდე და სახნავამდე სულხანს დარჩა, ხოლო სერს გაღმა წყლის პირიდან მოკიდებული სახნავიოურთ რევაზს ერგო (1700.VI.2. Hd—4164-დ). — ნაზარალიხანმა ამილბარ მაღალაძეს უბოძა კახეთში სვეტიცხოველის მამულების (პირიქით და პირაქეთ საგარეჯო, ჯიმითი, ახალშენი, ვეძისხევი, ერწო, ბიწ[ედ]ი, საგურამო) სახლთ-უხუცესობა და ჯანიშინობა შემდეგი წესით: პური, საბალახე, ჯერუმი და რუზე ბრინჯი თვითონ უნდა აეღო, სათაო ყველაფერზე აეღო და თავისი ხელით სვეტიცხოველისა და კათალიკოსისათვის მიერთმია (1700.VI.29. Qd—1348). — ბახუტა ჯაყ[ა]რაშვილმა უბოძა კახეთს წასული ლაზარას სასახლე ადგილი წოდორელ იასე ხუცესს ([XVII]. Hd—14987). — კახეთი მოხსენებულია ხარჯის წიგნში ([XVII]. Ad—100). — კახეთში ძამულაშვილი გარდაიცვალა, მისი ერთი უღელი ხარი და 80 კოდი პური რევაზმა აიღო ([XVII]. Sd—939). — იმერეთიდან კახთა მეფე, იმერთა მეფე და ლიპარტიანი მცხეთაში ჩამოვიდნენ ([XVII]. Qd—826).

კახი ნ. აზიკუნი (1523. Ad—1299-ა).

კახის-უბანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული კახის-უბანი (1579. Sd—464).

კეთილდაბა მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

კელური სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

კემური თეიმურაზ [კახთა] მეფემ დაუმტკიცა ყორჩიბაშ თამაზ ამატაიშვილს თვალასული მამული კემურში (1616. Hd—14679). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა აკურის მონასტერს ბარხუდანასეული მამული, ბაისხან და ზარდიაშვილი „კემურს ყარაიანში“ (1597. Ad—327).

კემურ-ყანდარი თეიმურაზ [კახთა] მეფემ უბოძა ენისელთ ნაცვალს ხოსროს კემურ-ყანდარის ნაცელობა (1662.IV.4. სოც. დოკ., I, № 515).

კემხელი აქაური გეგებერია ლევან დადიანმა შესწირა ხოფის მონასტერს ([1611—57]. Hd—1551).

კერჩხაული ლუარსაბ მეფემ შესწირა რუისის ტაძარს გოჩა თულიაშვილის კერძი მამული კერჩხაული და მებდური ([XVII]. Qd—345).

კეპა გიორგი მეფემ განუახლა ისათ ვაჩნასძეს კეპას წყალობა (1455.X.8. Hd—7588). — ნ. ვეჯინი (1455.X.8. საისტ. მოამ., II, გვ. 40—43).

კეხთა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე მეფემ შესწირა იგი სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1579. Sd—464).

კეხისჯვარი (კეხისჯვარი, კეხიჯვარი) ნ. კუედურეთი (1467. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 30—31). — კ ე ხ ი ჯ ვ ა რ შ ი ცხოვრობდა 2 კომლი მოსაურე. ყმა, 1 კომლი ყმა — ბერუა, ბიძინა აკითანდილაშვილს 2 კომლი ყმა ჰყოფდა ([1658—75]. Hd—14535-ბ). — აქ 5 კომლი სახასო ყმა ცხოვრობდა ([1658—75]. Hd—14534-ა). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო კ ე ხ ი ს ჯ ვ ა რ შ ი მცხოვრები ამირა პოღოზაშვილი მამულითურთ, პაპუნას კი— პოღოზა პოღოზასშვილი ([XVII]. Hd—1636).

კვანტალისი (კვანტალისი) ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ს ი წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

კვარხეთი (კვარხითი) სოფელი, მისი შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — კ ვ ა რ ხ ი თ ი შედიოდა სამთაველის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

კვაუთი აქ მცხოვრები პაქუელა ძიმისეიშვილი ცოლ-შვილითა და მამულითურთ გიორგი ლიპარტიანმა უბოძა გიორგი ფაღავას ([XVII]. ქუთ. მუზ., № 1178).

კველთა ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647).

კვერეთი სიმონ მეფემ უბოძა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ნახარი [მამული] სოფელ კვერეთში ([XVII]. Hd—8437).

კვერიეთი შედიოდა სამთაველის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

კვერნაძენი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი კვერნაძენი (1579. Sd—464).

კვერცხობი გიორგი მეფემ დაუმტკიცა ბეგთაბეგ შანშეან-მარტიროზიშვილს მისი მკვიდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი ნორაშენით, კლდის წყაროთი და კვერცხობითურთ (1685. Hd—8443). — ბეჟანს და ზალს წილად ხვდათ [მამული] კვერცხობში „ქვეით წულისაკენ" ([XVII]. Hd—13309).

კვესეთი აქ მოსახლე ვაზნაძე შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

კვირაცხოველი (კვირაცხოელი) სოფელ ნახიდურის ერთი საზღვარი (1654. Hd—4170). — ნადირა მირზაშვილმა მიჰყიდა ივანე სულხანაშვილს გოგია შოშიტაშვილისაგან ნასყიდი ერთი დღის მიწა წოდორეთში კ ვ ი რ ა ც ხ ო ე ლ თ ა ნ (1686. Hd—149).

კვირიკა საკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს.

გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ ეს სოფელი სახასო იყო (1652. Hd—13956).

კვირიკეთი ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — იგი წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

კვირისცხოველის სახატო მოხსენებულია თამაზ ტარშაიჭაშვილისათვის ზურაბ კვეზერელის მიერ მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (1696. Ad—981).

კიანეთი ჯალდამში ზვრის ნახევარი კიანეთის მხარეს და თეთრი საწნეხელი წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] ახალშინის მხარეს ზვრის ნახევრისა, შავის საწნეხლისა და ტაძრის ფარდად ([XVII]. Sd—1936).

კიკეთი აქაური მამასახლისი ინახა მოწმე იყო აღათანგ ხერხეულიძის მიერ ბერტა ქუბასშვილისათვის მიცემული მიწისა და საქონლის წყალობის წიგნისა (1622. Hd—2895). — სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა თავის დისწულს ზუარეშან ბატონიშვილს. ამ სოფელთან ავთანდილის სახლისკაცს ხელი არ უნდა ჰქონოდა (1641.II. ქ.-სპ. საბ., № 70).

კოკნათბერი ციხე, სააკაძისეულ სოფელ ღვედრეთთან ერთად, როსტომ მეფემ იგი უბოძა იორამ სააკაძეს. გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ ეს ციხე სახასო იყო (1652. Hd—13956).

კილბრი (კირბლი) ნ. სობური (1540. ისტ. საბ., II, გვ. 37—40). — მამისა ამილახორისშვილმა ჩვენტიცხოველს შესწირა კირბლიდან სახასო ხოდაბუნი მონასტრის ბოდაბუნიანა „შარას ქუეშეთ დაღმა სობურს რუმდი ქუეშოთ სობურს სამზღურამდი" ([1656—59]. ისტ. საბ., II, გვ. 43).

კილმატი [სოფელი] და ციხე, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება მცხეთას (1579. Sd—464).

კილოვლის საყდარი პაპუნა ბარათაშვილმა მიჰყიდა მერაბ ყორღანაშვილს ნასოფლარი ზემო შავნი კილოვლის საყდრითურთ (1661.III.15. Hd—1375).

კიმოთისმანი შედიოდა დაუთ-ხანის საბატონოში, აქ ჰქონდა საკმარი სადგერის წმიდა გიორგის ეკლესიას ([1564—79]. Sd—479).

კიოტი როსტომ მეფემ უბოძა ზაქარია ამბრისშვილს მისი სამკვიდრო მარული კიოტში (1650. Sd—531).

კიპრუშე სოფელი, რომელიც როსტომ მეფემ უბოძა სამკვიდროდ ყაფლან ბარათაშვილს (1652.I.3. ქ.-სპ. საბ., № 100). — კიპრუშის, ერგუნთალისა და ზემო საფიქლის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა აღუმბრუ, სუგეჩანი და ბურჯანს შესაყარი ([XVII]. Sd—1936, 1922).

კირაკოზას სოფელი ავთანდილ ქამარბეგისშვილმა მიჰყიდა გივი თუმანიშვილს შამირზას ნასოფლარი საზღვრებით: ერთი კირაკოზას სოფლამდე, მეორე გვერდი — ლურჯანქის საზღვრამდე, მესამე გვერდი — ჩიტალის საზღვრამდე, მეოთხე გვერდი — ბერდიკის საზღვრამდე (1697.XI. 11 Hd—403).

კირკიტა (კირკტა) შიუკა მოლოდინშვილმა და მისმა შვილებმა მიჰყიდეს თავიანთი წილი ნიგოზი კირკიტაში მღვდელ საბა დაკარგულისშვილს და

მის ძმებს (1630.V. Hd—6243). — კირკტაბ ეწერა 3 სახასო მოლაშქრე (XVII]. Ad—1631).

კისისხევი თეიმურაზ [კახთა] მეფემ შესწირა ალავერდის წმიდა გიორგის ეკლესიას კისისხევში მცხოვრები ყმები: ქათინა, ხოროზან, ირემა და სხვ. (1612.V.10. საისტ. მოამ., I, 1925, გვ. 146—153). — მარიამ დედოფალმა ტფილისის სიონს განუახლა აქ მდებარე ესიაური საკომლოსა და ხოშიაური მამულის ღევან მეფისეული შეწირულობა (1649.VI.15. ისტ. საბ.. IV, გვ. 29—30).— მარიამ დედოფალმა უბოძა ავალ ავალიშვილს კისისხევში დათუნა ვარდიშვილი, ძაგანაშვილი, ირემა კურდღელაშვილი, პაპია თათრიშვილი, რევაზ სახლთ-უხუცესის ნაყოლი 2 კომლი—დათუა და გიორგი მამულებითურთ და რევაზის ბეითალმანი მამული (1653.XII.8. Hd—14500). — კისისხეველნი ედავებოდნენ ხოდაშნელებს მამულზე (1654. Hd—8389). — მარიამ დედოფალმა უბოძა ავალა ავალიშვილს კისისხევის მოურაობა (1655. Hd—14313).— ნაზარალიხანმა დაუმტკიცა (საგამგეოდ) რევაზ სახლთ-უხუცესს თიანეთი, ერწო, კისისხევი, ფადარი და ენგიანი ([1688—1703]. Hd—1253).

კლარჯეთი „კლარჯეთისა ტანუტერნი" მოხსენებულია ბაგრატ IV-ის სიგელში ([1027—1072]. Sd—1201). — დავით მეფეს თან ახლდა კლარჯეთს არვანბეგ საბაისძე ([1270—72 წლ. ახლოს]. საისტ მოამ., II, 1945, გვ. 5—6).

კლდეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—599, 604).

კლდეისა სოფელი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

კლდეისი ნაზარალიხანმა გაუთარხნა იასე შიოშბეგიშვილს კლდეისში მცხოვრები 6 კომლი კაცი: ივანე შიხაშვილი, ნასყიდა, თევდორა ღვინიაშვილი, სიყმია, როინა და ბერინაშვილი (1690.VIII.27. Qd—2150).

კლდის-უბანი ტფილისში, დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს სახლი კლდის-უბანში ციხისაკენ (1660.V.1. Sd—2913). — ქალაქში ციხესთან, კლდის-უბანში ბალაბულანთ საქოამ მიჰყიდა თავისი სახლ-კარი ქეფინაანთ არუთინას საზღვრებით: სადოანთ საპაკასა, გულმაჰმადასა და მანუჩარა თათრის სახლები (1697.VII.20. Hd—13022).

კლდის-წყარო როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს ალის-ხევობაში საყაძისეული სოფლები ნაბახტევი და კლდის-წყარო, რომლებიც გიორგი საყაძის „გადავარდნის" შემდეგ სახასო გამხდარიყვნენ (1652. Hd—13956).— ნ. კვერცხობი (1685. Hd—8443).

კლდის-წყარო პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის შონასტერს: „ტყლაპი რუსა ბუჯის შესაყარს აქეთ კლდის-წყარომდის ნახევარი ტყე და მინდორი" ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 55).

კლდუ აქ ცხოვრობდა იესეს 1 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა).

კლონა მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

[კლონეთი] თრიალეთში, იოვანე კათალიკოსმა დიასამიძემ მისცა კლო-

წ ე ლ თ [საეკლესიო] მოხელეთაგან ხელშეუვალობის წიგნი (1697.IV.23. Სოც. დოკ.. I. № 142).

კობალი რატი სურამელისაგან შემოწირული, გიორგი მეფემ განუახლა მისი შეწირულება შიო-მღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351).

კოდა მიქელამ მიჰყიდა მახარებელ სულხანშვილს თავისი სამკვიდრო 2 დღის მიწა ხრამის პირას კოდაზე (1646. Sd—37). — გოჩია მირზაშვილმა მიჰყიდა სულხანშვილებს „სამკვიდრო კოდაზედ 1 დღის მიწა, ძეძუს იქით" (1648. Sd—8). — სვიმონ და ბაბილა სულხანშვილებმა მიჰყიდეს ჯავახიშვილებს მიქელაშვილისეული 2 დღის მიწა ლისურში კოდაზე (1672.V.1. Hd—2629). — რევაზიშვილებმა მიჰყიდეს ქ[ა]ვთ[ა]რაძეებს კოდაში 3 დღის მიწა საზღვრებით: ქვევით—დათუნას მიწამდე, ზევით—ნასყიდაშვილის მიწამდე, სახუნაჭროდ—რევაზიშვილის მიწამდე (1698. Hd—6375).

კოდის-წყარო აქ მცხოვრები ნადირა ხუტუნაშვილი მოწმე იყო ბერის მიერ ლიპარიტიშვილებისათვის მიცემული ნაფურაძისა და სახლის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9993).

კოდუანი სოფელი, მისი შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).—[სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს კოდმანის შეწირულობა (1559.XII.1. Ad—1572).—იოვანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს, ელიოზისძეებს დავითს, როსებს, ქაიხოსროს და სხვებს მათი ბიძის ლაზარეს შვილის მამუკას უმკვიდროდ დარჩენილი მამული, რომელშიც შედიოდა სახნავი მიწები კოდმანიდან (1616. Qd—39). — ქრისტეფორე კათალიკოსმა კანდელაკ შიო ეგაძეს უბოძა მუქაფა ახვსებაძე მისი მამულებითურთ მცხეთას, კოდმანსა და მუხრანში (1623. Hd—9446). — მარკოზ გულჯვარაძეშვილმა თავის შვილს სააღაპედ მისცა ვენახი კოდმანში ([XVII]. Ad—1871). — კოდმანს ეწერა 17 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

კოდოათი კუმისის ბატონი დავით სოლაღაშვილი თურქისტანაშვილებს ეცილებოდა მუხათის მიწებზე კოდოათამდის (1656. I.3. Hd—14421).

კოვლაჭანი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებული ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

კოზრი ნასოფლარი, სიმონ მეფემ უბოძა იგი იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ([XVII]. Hd—8437).

კოთა აქ მდებარე 1 საგლეხო შედიოდა საღვინის მოლარე ქავთარასძისათვის ნაწყალობევ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695).

კოია ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd. -10375). — წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd. -10381).

კოკა ჩალათა ჟორჟოლაძემ თავის მწირველს მახარებელს მისცა ნატარაღვევი სასახლე, არსენაული საფლავი, შქერნლის ნახევარი, კოკაში საყანის ნახევარი, ველაში ერთი საყანე ვაჩიბერაძის საზღვრამდე და კოკის ჭალაში ლუკუფხნას ნახევარი და დაავალა ყოველ წლიურად ახალკვირას ერთი ცხვრით ღვთის გადახდა ([XV]. ქუთ. მუზ., № 655).

კოკის ჭალა ნ. კოკა.

კოლა სოფელი, მისი და მასში მყოფი ნათლისმცემლის საყდრის შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

კოლაგი გიორგი მეფემ განუახლა ისათ ეაჩნასძეს მისი წყალობა (1455.X.8. Hd—7588). — ნ. ეეჯინი (1455.X.8. საისტ. მოამ., II, გვ. 40—43ა).

კონდოლი გიორგი მეფემ უბოძა როშაქ ჩოლაყაშვილს გორჯასპი კახაბრიშვილის კერძი გლეხები და მამული კონდოლში (1688. Sd—2831).

კონეთი ეწერა 8 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

კოყორი გიორგი ბრწყინვალემ უბოძა თორელ ივანე ჯავახიშვილს მონასტერი ათენაგუენი კოყორის ძირს (1338. Hd—11628). — აქ ნიკოლოზ კათალიკოსმა დადგა კარის საყდარი და საზაფხულო სასახლე ააშენა (1691.VII.25. ისტ. საბ., გვ. 64. — ნაზარალიბანის აქ ყოფნის დროს ბეჟან ფალვანიშვილმა მოიპარა ჯარის ცხენ-იარაღი, აგრეთვე პაპუა ბებურიშვილის საფარეშო და სტუმარ-შინაურის იარაღი (1698. Hd—13836).

კორდი ყურის-უბნის ნაცვლად ნიკოლოზ კათალიკოსმა უბოძა ვახტანგ ბატონიშვილს კორდში ყველაფერი, რაც კი ეკლესიას ეკუთვნოდა (1574. III. Sd—2870). — სოფელი, დომენტი კათალიკოსმა გაუცვალა ვახტანგ ბატონიშვილს კორდი, ხაკვი და სათიზარი ყურის-უბანზე (1574.IV.30. Sd—2871).

კოროშეთის მთა მისი შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398. XII. Hd — 8712).

კორსალი შედიოდა სამთავნელის სამწყოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

კორტანი მირიან ჭარელის ძე ერისთავმა უბოძა გეთიშვილი მამულითურთ თავის აზნაურს გიორგი შერაზანიშვილს ([XV]. ქუთ. მუზ., № 1024).

კოტმანი ფავნელმა, მეფის ნებართვით, მიჰყიდა დაღუპულთა სულის დასაურვებლად და ტყვეების გამოსასყიდად შიო-მღვიმის მონასტრის მთავარ მემღვიმეს თევდორეს ([890—913]. Ad—1). — ნ. მზვარი-კოტმანი.

კოხარტული მამული კონსტანტინე მეფემ უბოძა ზაზა ფანასკერტელს და ძის შვილებს ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას კოხარტული და ვათაზური [მამულები] (1467. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 30—31).

კოხნარი ნასოფლარი, პაპუნა ბარათაშვილ-გოშტაშაბიშვილი მასზე ეცილებოდა თავის ბიძაშვილებს და შანავაზმა იგი უბოძა მასვე (1662.VI.27. Hd—2533).

კოხტა ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზისშვილები ერთმანეთს ედავებოდნენ ფაზაშვილების საკვამლოზე კოხტაში ([XVII]. Sd—577).

კრეფა სოფელი საბარათაშვილოში, როსტომ მეფემ უბოძა იგი იოთამ ბარათაშვილს (1643.III.12. ქ.-სპ. საბ., № 79). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — ერთი საზღვარი კათალიკოსის მიერ მანგლელ სერაპიონისთვის ნაბოძები მამულისა ([XVII]. Qd—1605). — კრეფაში ცხოვრობდა ამირა, მოფიცარი სამღერელთა და ნადარბაზევს შორის მიწაზე დავის გარიგების წიგნისა ([XVII]. Sd—477-ა).

კრკონი (მონასტერი) როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო

კრკონის მონასტერში დეკანოზი იოვანე გორგაძე და ზოსიმე გორგაძე სა-ეპისკოპოსო გარეშე. იოვანე კოზიაშვილი, იაგულა გაბრიელაშვილი, ესაიაშვილი, მიქელა შვიდობულისძე ნახევარი მამულით, გოშფარს ერგო ოქროპირ გორგაძე საეპისკოპოსო გარეშე, შიო კოშასძე, გიორგი სთუელაშვილი მისი ძმებითურთ. მანასე ჭუენა იყის მამულს გარდა, ავაგაროზა, ნადირა ჯანგასძე, ბუჩაშვილი, ბართლომაშვილები ნახევარი მამულითურთ ([XVII]. Qd—605).

კრკონი (სოფელი) აქედან იყო შიო მღვდელი (1609. Hd—1656). ავთანდილსა და ერასტის ერგოთ კრკონში ბერია ალექსაშვილი და გოდერძა, მათი ძმისწული ბერუკა ([VXII]. Qd—1038).

კრობა პაპუნა [ციცოშვილს] ედიშერთან გაყრისას კრობაში ერგო დომელა ლოლიასშვილი მამულითურთ ([XVII]. Hd—1636).

კრცხილავანა შედიოდა ქავთარასძისათვის ნაბოძებ მირიანიძისეულ მამულში ([XV]. Hd--14695).

კრცხილოანი (კრცხილავანი) ამირეჯიბმა რამინ გ[ა]ბელისძემ და მისმა ძმამ საყდრის ამილახორმა საჰამ შესწირეს სვეტიცხოველს კრცხილოანში მცხოვრები ლალაძე და ერგნეთში მცხოვრები ჯოხ[ა]ძე მათი მამულებითურთ (1451.III.8. ისტ. სან., II, გვ. 7) კ რ ც ხ ი ლ ე ვ ა ნ ე ლ ი ურია ესტატე მოწმე იყო გოგია თევდორესშვილის მიერ ბახუტა ჩივაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676. Hd—2396). — ნ. კრცხინვალი.

კრწანისი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნიკოლოზ და სხვა პალატისშვილებმა მიჰყიდეს გოგიტა და სხვა არდაშერასშვილებს კრწანისში ენანი გოსალასშვილის, გრიგოლაძა და ლიტრას ენახს შუა, გზის ქვევით (1477.VII.4. სოც. დოკ., I, № 4). — სოფელი საბარათიანოში, მისი ნაწილი „მთას აქეთ" — გამრეკელ ჯავახიშვილის კერძი ლუარსაბ მეფემ უბოძა გიორგი საკაძეს (1608. Hd—13052). —საბარათაშვილოში სამშვილდის კრწანისი როსტომ მეფემ უბოძა სამკვიდროდ შიოშ მოლარეთ-უხუცესს (1634.V.22. ქ.-სპ. საბ., № 49).—როსტომ მეფემ უბოძა შიოშ მაღალაძეს (1636. Qd—6997). — კრწანისის მამასახლისმა ბერინამ დავა გაარიგა შავერდა არდაშელაშვილისა მექვაბიშვილებსა და აღმურაშვილებთან (1638.III.20. სოც. დოკ., I. № 4). — საკაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს (გიორგი საკაძის „გადავარდნის" შემდეგ იგი სახასო გახდა) (1652. Hd—13956). — საბარათიანოში მდებარე სამშვილდე მისი კრწანისითურთ შანავაზმა უბოძა ელიზბარ ბოქაულთ-უხუცესს (1658. Hd — 5227). — სოფელი კრწანისი ადრე შეწირული იყო სვეტიცხოველისათვის. შემდეგ კი მეტეხთა ღვთისმშობლის ტაძრისადმი, ბოლოს როსტომ მეფემ იგი კვლავ სვეტიცხოველს შესწირა და გაათავისუფლა ბეგარისაგან, გარდა სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობისა. მისი მოურაობა მანკუ პაპუნა მაღალაძეს უბოძა (1658. Sd—2975), — ნაზარალიხანმა დაუმტკიცა სამკვიდროდ ავთანდილ ბარათაშვილს ძმებთან გაყრისას წილში ნარგები კრწანისი ჩალის ციხითურთ (1693.IX.6. ქ.—სპ. საბ., № 153). — კრწანისსა და ტაბახმელას შუა მდებარეობდა შინდისი (1695. ისტ. საბ., IV, გვ. 70—71). კრწანისს ეწერა 25 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

კუარბი მურვან ღარიბაისძემ შესწირა ვაჰანის მონასტერს თავის მიერ ნასყიდი სოფლის კუარბის მესამედი ([XIV]. Ad—933).

კუარხეთის ლაგმას ქევი ნ. ხობური (1540. ისტ. საბ., II, გვ. 37—40).

კუელენელნი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი კუელენელნი (1559.XII.1. Ad—1572).

კუელთა სოფელი, როსტომ მეფემ სამკვიდროდ უბოძა ჰასანბეგ ბარათაშვილს (1633. ქ.-სპ. საბ., № 39). — კათალიკოსმა უბოძა სერაპიონ მანგლელს გლეხები მთასა და ბარში: ვაკესა, ღორისთავესა, კუელთაში ([XVII]. Qd—1605).

კუერნაკი გივი ამილახორს, კათალიკოსსა და ელისბარ ქსნის ერისთავს დავა ჰქონდათ კუერნაკსა და სამლაშეში სახნავი მიწების გამო (1659. Hd—2113).

კუწრნაული ვენახი ფიაში, ნასყიდი [ჩაისარ] თმოგველის მიერ. ჩაისარის ასულმა გულშარმა სამნათეოდ შესწირა იგი ვანის მონასტერს ([XIV]. Ad—933).

კუწშლევი ნ. ლეჩხუმი ([1510—48]. Ad—2218).

კულბითი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს კულბითში ძველად შეწირული 3 საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი და ვირშა მიქლეტაური (1559.XII.1. Ad—1572). — ნ. მცხეთა (1560. ისტ. საბ., II, გვ. 45).

კულენანი (კულენანნი) ელისნელში, ალექსანდრე ([კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი კულენანი (1579. Sd—464).— ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფელ ჯიმითისა, რომლის საზღვარი იყო ჩუმლაყისაკენ კ უ ლ ე ნ ა ნ ნ ი (1579. Sd—464).

კუში ქაიხოსრომ და იასემ გივი მდიანს განუახლეს კუმის მოურაობა ([XVII]. Hd—11021).

კუმისი სრულიად კ უ მ ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ ბაბუჩას მიერ შიოშ სოლაღაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1619.V.21. Sd—735). — ბაგრატ მეფემ სამკვიდროდ დაუმტკიცა შიოშ სოლაღაშვილს მისი კერძი მამული კუმისში (1619.VIII.10. Sd—736). — სიმონ მეფემ სამკვიდროდ უბოძა შიოშ [სოლაღაშვილს] მისი განაყოფის ზურაბ [სოლაღაშვილის] ნაქონი მამული და გლეხები (1624.IX.15. Sd—739).—კუმისის მამასახლისი როსაბა მოწმე იყო ხუცას მიერ გურგენ ყორღანაშვილისათვის მიცემული ძმისწულის ნასყიდობის წიგნისა (1633.V.6. სოც. დოკ., I, № 29). — კუმისის ბატონი დავით სოლაღაშვილი, იორამი და „გამდლის საყმონი" მუხათის მიწებზე კოდოათამდე ეცილებოდნენ თურქისტანაშვილებს (1656.I.3. Hd—14421). — სოფელი, რომლის მეფემ უბოძა ელიზბარ და ზურაბ სოლაღაშვილებს (1657.V.13. Hd—1350-ა). — როსტომ მეფემ უბოძა მეღვინეთუხუცეს ბიძინა სოლაღაშვილს კუმისში ფირალა ასლანაშვილი, ასია შავერდაშვილი, ბერია სულხანაშვილი, პაპუა დარისპანაშვილი, ეგანა თათარაშვილი (1658.VIII.24. Hd—14668). — როსტომ მეფემ უბოძა ელიზბარ სოლაღაშვილს სოფელი კუმისი და იქ მცხოვრებნი იარალა გარსუაშვილი, მარქარა ბუდახაშვილი, გოგია ლობიერაშვილი, ეგანა ბერნუშაშვილი (1658.IX.1. Hd—1350-ბ). კუმელი იყო ფირალა ვერმიშაშვილი (1661.IV.16. Sd—751). — შანავაზმა სამკვიდროდ დაუმტკიცა კუმისი ზაალ, ქაიხოსრო და ელიზბარ სოლაღაშვილებს (წინათ იგი მათ განაყოფებსა და დანიელ წინამძღვარს ჰქონდათ (1671. Sd—32). — ფრი-

დონა ამირბოქაშვილი იყო კუმელი (1697.V.27. Sd—763). — ბეეოა დათოასშვილი კუმელი იყო [(XVII]. Sd—737).

კუმურდო კ უ მ უ რ დ ო ე ლ მ ა იოანე ლასურისძემ პირობის წიგნი მისცა დავით კათალიკოსს ([1453—59]. Hd—2089). — გერასიმე კ უ მ უ რ დ ო ე ლ მ ა მთავარეპისკოპოსმა პირობის წიგნი მისცა ევაგრე კათალიკოსს [1480—1503]. Hd—2130), — „ხატი კუმურდოისაჲ" მოხსენებულია როსტევან [რჩეულაძის] მიერ ვაჰანის მონასტრისადმი მიცემულ მამულის წყალობის წიგნში ([XV]. Ad—933). ზოსიმე კ უ მ უ რ დ ო ე ლ მ ა მთავარეპისკოპოსმა პირობის წიგნი მისცა ბასილ კათალიკოსს ([1516—35]. Hd—2083).

კუნელა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

კუნელანი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

კუნელეთი მურვან ღარიბაძისძემ შესწირა ვაჰანის მონასტერს თავის მიერ ნასყიდი სოფლის კუნელეთის მესამედი ([XIV]. Ad—933).

კუპრაული მამული ხოვლეში, ერგო როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაურისას ([XVII]. Qd—605).

კურიცხოველი „კურიცხოვლის ბოლო" იყო ერთ-ერთი საზღვარი იმ მიწებისა, რომლებიც თავმგურგალელებთან დავის გარიგების შედეგად ნახიდურელთ დარჩათ (1654, ისტ. საბ., IV, გვ. 35).

კურევი აქ მცხოვრებნი ჭალანგირაძეები 5 კომლი, 1 კომლი კაკაბაძე და ჭალანგირაძის 3 პარტახტი დაუბრუნა ბაგრატ [იმერთა] მეფემ გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას ([1510—48]. Sd—2897).

კუტალა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). მარკოზ კათალიკოსმა დაუმტკიცა მეჯინიბეთ-უხუცეს მამისა ბერინაშვილს, მისრი ედილაშვილს და მის შვილს ზაქარიას კუტალაში მცხოვრები აბანოშვილნი (1464.XII.13. ისტ. საბ., II, გვ. 14). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულობა სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

კუტაშაური მამული ქაიხოსრო ციციშვილმა უბოძა ლაზარე ზღუდ[ა]შვილს კუტაშაური მამული და გაათარხნა იგი (1671.III.10. Ad—1336).

კუხი თეიმურაზმა შესწირა ბიშვინტის ღვთისმშობელს ხონსა და კუხში 20 კომლი ([1510—48]. Ad—2218).

კჳცხოველი შედიოდა სამთავნელის სამწყოსში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ლ

ლაგამის-ხევი გივი ამილახორმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს 45 დღის მიწა თანთის წყაროს გზის ქვემოთ, ლაგამის-ხევს აქეთ (1656. Hd—2111).

ლაგერძის მიწა ფარსადანმა მიჰყიდა თავის ბიძაშვილს ზურაბს ზემრის ჩამონაჭერი ნასყიდი ლაგერძის მიწა საზღვრებით: დათუნას ნაქონ ვენახამდე, ფარსადანის ნასყიდ ჭაჭიაშვილის მიწამდე, ერთგულაშვილის მიწამდე და გოგიაშვილის სახლ-კარამდე (1700.VII.11. Sd—569).

ლაგოდეხი ალექსანდრე მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ლაგოდეხის შეწირულება (1579. Sd—464).

ლაკვი ღორიქედაშვილებმა მიჰყიდეს 3 დღის მიწა ლაკვის პირს ჯყაპიაშვილებს ([XVII]. Ad—1798).

ლამის-მიწა ტინისხიდელმა ბერიკა ოთელაშვილმა მიჰყიდა პაპუა გიორგისშვილს ლამის-მიწა საზენაქროდ ხიზნის მიწამდე (1697.III. Hd—5305).

ლამისყანა შედიოდა სომთავნელის სამწყოსში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ლამის-ხევი ეარაზა გერმანოზიშვილმა გაუყიდა („დახარჯა") ყორღანაშვილებს ყმები, ამის საზღაურად მათ მისცა მამუკაშვილის სასახლე, მარანი და 7 დღის მიწა, აქედან 2 დღის მიწა ლამის-ხევში მდებარეობდა ([1695—1703]. სოც. დოკ., I, № 136).

ლარგუსი (ლარგვისი, ლარგვი) შედიოდა სამთავნელის სამწყოსში, ჟამის წირვას 1 დიაკონს აკურთხებინებდა (1459. Ad—559, 604). — მონასტერი, საძვალედ აიშენეს შალვა ქვენიფნეველის წინაპრებმა. თვითონ შალვამ დაახატვინა წმინდა თევდორეს მთავარი ეკლესია, საკურთხევლის კართან ჯვარი აღმართა, გადააწერინა დავითნი და საწინასწარმეტყველო ერთ წიგნად, შეასწორა ვერცხლის თეფში და შესამოსელი, დაუკაზმა წიგნები; ააშენა და ხატებით შეამკო ნათლისმცემლის ეკლესია, შემოაალო ზღუდე, აუშენა ტრაპეზი, დახურა სიპით, დაასვენა სპილენძის ჯვარი და დადგა ბეღელი; ააშენა სოფლები: ახალ-უბანი მეჯუდის-ჭევს, ივრეთი (სადაც მურვან-ყურუს შემდეგ კაცი არ დასახლებულა), ჰერედაჲ ქსანზე ქურთაჲ და შესწირა მონასტერს; ააშენა და შესწირა შეუვალობის მინიჭებით 3 აგარაკი; მონასტრის წინამძღვრად დანიშნა გიორგი ჭურულისშვილი; გაუჩინა მონასტერს სისხლის სამართალი (1470. Qd—9020). ლარგველი იყო ბიძაშვილი დავით ქსნის ერისთვისა (1683.I.21. Hd—2342). — ლარგვის წინამძღვარმა ეევდემოზმა დასწერა მაწია მწერლიშვილის მიერ დავით ქსნის ერისთვისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნი (1690.V.10. Hd—2708).

ლარი-წითელა ნონია აღაპიშვილმა ცხოველ იმნაძეს მიჰყიდა თაისი ნასყიდი 1 დღის მიწა ბარდაული, ბუზაურის გვერდით. იმნაძემ ამ მიწის ნახევარში ფული გადაიხადა, მეორე ნახევარში მისცა მიწა ლარი-წითელა (1659. Qd—1446).

ლაშა ნ. ჟინოვანი (1298. Hd—1330).

ლაფაური მამული. კონსტანტინე მეფემ უბოძა ზაზა ფანასკერტელსა და მის შვილებს ლაფაური, ვირშელაური, მახარაული და ტეტაური მამულები (1467. ისტ. საბ., II, 1924, გვ. 30—31).

ლაშარის ჯვარი მღვდელმა გაბრიელ ასათაშვილმა, ეჯუგაშვილმა და საერთოდ მარიდელებმა პირობა დაუდეს ნიკოლოზ ალავერდელს, რომ აღარ დაუშვებდნენ „რჯულის გარდამავალ საქმეს", იქვე აღნიშნულია: «არც ლაშარის ჯვარის მარანში ვინმე ვაქადაგოთ"-ო ([XVII]. Ad—864).

ლევანის-ხევი გიორგი მეფემ უბოძა მამუკა უნაძეს ქრცხინვალის. ლევანის-ხევისა და აჩაბეთის მამასახლისობა (1695. Hd — 4352).

ლოზგოური ნ. ნასაკირალი (1570. Hd—2270).

ლეთეთი აქ ავთანდილს 1 კომლი ყმა ჰყავდა, სეხნიას — 2 ([1658—75]. Hd—14534-ბ). — ერთობით ლ ე თ ე თ ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ ერასტი ფი— ფიაშვილის მიერ ზაალ წინამძღვრიშვილისათვის მიცემული სასახლის ნასყი— დობის წიგნისა (1697.V.21. Sd—565). — ნაზარალიხანმა გაუთარხნა ზაალ ცი— ციშვილს ლეთეთში ესტატე დედაბრიშვილი, აგრეთვე ლევან ციციშვილს იქვე ბელეშვილი (1699. Ad—1222). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო ლეთეთში: პატა საზვიასშვილი, პაპუნა ნინიასშვილი, ფილიპიძეები; პა— პუნას ერგო: ბერიკა ბერუასშვილი, პაპუნა მემარნისშვილი ([XVII]. Hd—1636). — ლეთეთს ეწერა 2 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ლელი აქ ცხოვრობდა ზაქარია რაზმაძე, რომელიც როსტომ მეფემ უბოძა ქუაბულ მაჩაბელს (1644, ჭ.-სპ. საბ., № 83)

ლელოვანი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ლელუბანი სოფელი, აქ ცხოვრობდნენ ყმები: ლაზარე ხელოსანი, მეს— ტუმრე რამაზა, მამუკა მჭედლისშვილი, გოგია ქურციკასშვილი, ამირან გულისა— შვილი, ოტია პაპიასშვილი, ხოსიტა ყუშიტასშვილი ([VXII]. Hd—14912-ზ).

ლერწანი ელისნელში, ალექსანდრე [კახთა] მეფემ. დაუმტკიცა სვეტიცხო— ველს ძველად შეწირული ლერწანი (1579. Sd—464).

ლესარე აქ მცხოვრებნი ხჭაბაი სარია, სამინა და შიო ყვეპია ლევან დადი— ანმა თავისი მამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად შესწირა თაწმიდის ხა— რების ღვთისმშობელს (1642. Qd—6740).

ლეჩხუმი ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ლეჩხუმში ციხის მონასტერი საჩხეური, კუწშლევი, წუგნა 25 კომლი კაცითურთ ([1510—48]. Ad—2218).

ლეხავი ერთ-ერთი საზღვარი იყო პაპუნა ლალასშვილის მიერ ამირაღა— შვილებისათვის მისყიდული მიწისა (1671. Hd—5270).

ლეხიდარი ამასა და ჯვარდამწვარს შუა რაც სარჯულავი და სხვა გამოსა— ღები შემოდიოდა ორი წილი ცაგერისა იყო, მესამედი ხოსია ინასარიძისა. უკანასკნელმა თავისი წილი შესწირა ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიას (1658. Qd—9085-ზ).

ლიახვი (ლიეხუ) ნ. ჯიგრაშენი (1636. Qd—1988). — დომენტი კათალი— კოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს გორში ციხის ძირსა და ლიახვის პირთან ვარდან ფალავანდიშვილისაგან ნასყიდი სახასო ბაღი და ჭალა (1660.V.1. Sd—2913). — გიორგი თუმანიშვილმა რუ გამოიღო ლიახვიდან (1678.XII.18. Ad—1016). — „ლ ი ე ხ უ ს ზ ე დ ა თ ქ ა რ თ ლ ის“ სარდლობა როსტომ მეფემ უბოძა ბეჟან ამილახორს (1663.III.16. Hd—2126).

ლილო ამის გვერდით მდებარეობდა სოფელი ახალდაბა (1579. Sd—464).

ლიპანი ნ. აზიკური (1523. Ad—1299-ა). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad — 647). — კათალიკოსმა მისცა სერაპიონ მანგლელს გლეხები ლიპანში და სხვაგან ([XVII]. Qd—1605).

ლისი (ლისნი) გაყრისას გერმანოზსა და მის ძმებს [ბარათაშვილებს] ლისში ერგოთ აზნაურები: მირზაშვილი, ამიკიდაშვილი, ნავროზაშვილი, 2 ხუცესი

(1523. Ad—1299-ა). — სოფელი, სიმონ მეფემ განუახლა გიორგი სააკაძეს მისი წყალობა (1594. Hd—1810). — როსტომ მეფემ დაუმტკიცა ჰასანბეგ ბარათაშვილს მისი სამკვიდრო ქონება ლისში (1633. ქ.-სპ. საბ., № 39). — როსტომ მეფემ დაუმტკიცა სოფელი ლისი იარალ ყორღანაშვილს (1635.IX.10. ქ-სპ. საბ., № 53).—გიორგი და პაპუნა არდაზიანდისშვილები აიყარნენ სოფელ ლისიდან და ხიზნად მივიდნენ შავნაბში (1635.XI.14. ისტ. საბ., IV. გვ. 21—22). — აზარა იყო ლისელი (1641. Sd—496). — მოქალაქე ჭარიბამ მიჰყიდა პაპუნა სულხანაშვილს 2 დღის მიწა „ლისთ", წისქვილის შარის პირს (1654. Sd—29). — ბასილა სულხანაშვილმა მიჰყიდა ზურაბ თუმანიშვილს მამული ლისში; ამ ნასყიდობის მოწმენი იყვნენ ლისელნი (1673. Ad—2246). — ავთანდილ მეითრისშვილმა მიჰყიდა მეჯინიბეთ-უხუცეს ავთანდილ თარხნიშვილს ჭარინას ნაქონი ვენახი ლისში (1699.V.5. Qd—9037—რიზ).

ლისური კოდაზე ლისურში მიქელაშვილისეული 2 დღის მიწა სულხანაშვილებმა მიჰყიდეს ჯაჯახიშვილებს (1672.V.1. Hd—2629).

ლიყურეთი (ლიყარეთი) აქ 2 დღის მიწაზე დავა ჰქონდათ ყაფლან, პატა და პაპუნა ბარათაშვილებს ([1632—58]. Sd—794). — პაპუნა სააკაძეს ლიყურეთში უნდა დაეფიცა, რომ გოსტაშაბ ბარათაშვილს ზემო შავნის მესამედზე მეტი არ მიუყიდია მერაბ ყორღანაშვილისათვის (1661.III.15. Hd—1375). — ყაფლან და პაპუნა [ორბელიანებს] შორის დავა 2 დღის მიწაზე ლიყარეთში იქ გაგზავნილ კარისკაცს უნდა გადაეწყვიტა ([XVII]. Hd—14284).

ლიყოური ლიყოურელი საბა დეკანოზი მოწმე იყო მანუჩარ ვახუშტისშვილის მიერ ბატონ ზურაბისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690. Hd—4164-ა).

ლიხი ზემო ქვეყანაში, არჩილ [იმერთა] მეფემ უბოძა სამოურაოდ ქაიხოსრო წერეთელს (1691. Sd—515). — ალექსანდრე [იმერთა] მეფემ დაუმტკიცა მისი მოურაობა იმავე პირს ([1691 წლის ახლოს]. Hd—1827).

ლიხთ-ამერი (ლიხთ-ამერეთი) მოხსენებულია იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხაილის მიერ იოაკიმე ცაიშელ-ბედიელის აფხაზეთის კათალიკოსად კურთხევის წიგნში ([XV]. Sd—2920, 2890). — ლიხთ-ამერის მპყრობელად იხსენიება ეამეყ დადიანი ბიჭვინტისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში ([XVII]. Sd—2925).

ლიხთ-იმერეთი ფავნელი გადავიდა ლიხთ-იმერეთს და შეუუვალობა მოუპოვა კონსტანტინესა და დემეტრესაგან შიო-მღვიმისათვის მისყიდულ სოფლებს ([890—913]. Ad—1). იხსენიება დარბაზის ერისთვის მიცემულ საჩივრის წიგნში ([XIV]. Hd—1799). — ქართლ-კახეთში როცა ყაენი მოვიდა თეიმურაზ [კახთა] მეფე ვერ გაუმკლავდა მას და ლიხთ-იმერეთს გადავიდა (1633.V.30. Hd—9377; 1662. Qd—1787). — გიორგი მეფემ აღუთქვა ციციშვილებს: თუ დავიბრუნე ქართლი, მოგცემთ თქვენს მამულებს, თუ არა და ლიხთ-იმერეთში გარჩენთო ([1688—1703]. Hd—2275). — აქ გადავიდა გიორგი მეფე საქართველოდან (ქართლიდან) (1697. Sd—1170). — ლიხთ-იმერეთი იხსენიება დოკუმენტში ([XVII]. Sd—478).

ლიხთ-იმერი ნ. კახეთი (1639. აქტები, I, გვ. 17). — ლიხთ-იმერის მპყრო-

ბელად იბსენიება ვამეყ დადიანი ბიჭვინტისადმი მიცემულ შეწირულების წიგნ–
ში ([XVII]. Sd—2925).

ლიხი აქ მოსახლე 5 კომლი კაცის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მე-
ფემ სვეტიცხოველს (1398.XII.Hd—8712). — [აფხაზთა] კათალიკოსის სამწყო-
სო იყო ლიხსა და კაფას, რუსეთის საზღვარსა და ჭანეთს შუა ([1510—48]. Ad—2218).

ლიხის მთა ბუჯის-წყლის ზემოთ ხრეითის ჩათვლით ლიხის მთამდე ტერი-
ტორიის სარდლობა შანავაზმა უბოძა ზაალ წერეთელს ([1661]. Hd—9467).

ლოგობეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათ-
ვის გაშოსაღები (1459. Ad—559, 604).

ლოლოვანა ლოლოვნელი იყო მახარობელი ბატკოაშვილი, მოფიცა-
რი თბილელ საგინაშვილსა და მერაბ ყორღანაშვილს შორის ფიცხისზე დავის
გამო (1635. XI.14. ისტ. საბ., IV, გვ. 21—22).

ლომსაურიხ რუ ნ. გლდანი ([XVII]. Hd—14977).

ლორე სოფელი, ეკლესია-მამულითურთ შესწირა ალექსანდრე მეფემ სვე-
ტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ლუარსაბ და სიმონ მეფეებმა დონდა-
რა გესბიშვილის მამა-პაპანი ლორედან აჰყარეს და სომხითს გადაასახლეს
(1651. Hd—14673). — ლორეში შედიოდა აედარასა და ბარქდარას გამყოფი
საქარავნო შარის მარცხნივ მდებარე ადგილები; ლორეს ხანი და სულთანი იყო
ბოსჩალუა ისახან (1657. ქ-სპ. საბ., № 115). — შაჰნავაზის ბრძანებით,
თავად პაპუნაბეგს ლორეში ებოძა სოფელი ახპატი ეკლესიითურთ; ლორეს
მებატონეს ახპატზე ხელი არ მიუწვდებოდა (1691,VI.7. Hd—8763-2, 4159-2).—
ლორეს მეპატრონემ დაამოწმა, რომ ვარაპეტის სოფელი და ახპატის ბაღების
ნახევარი რევაზბეგს ეკუთვნის და არღუთაშვილებს მასზე ხელი არ აქვთო
(1693.X. Hd—4159-3). — ნ. სავანეთი ([XVII). Hd—14284).

ლორეთი სოფელი, შედიოდა საგერმანოზაშვილოში (1543.IV.20. Hd —
10375).

ლოქი ნასოფლარი, მოხსენებულია ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნე-
ბის ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931). — ლოქში იყო მიჩნაგი და შუნბუანი
[XVII]. Sd—1922).

ლუკუფნა ჩაღათა ყორყოლაძემ თავის მწირველს მახარობელს უბოძა სხვა
მამულებთან ერთად ლუკუფნას ნახევარი და დააკისრა ყოველწლიურად ახალ-
კვირაობით აღაპის გადაბდა ერთი ცხვრით ([XV]. ქუთ. მუზ., № 655).

ლულაური იყო ზეს მსახლობელი გლეხის წამალაშვილის მამული (1624.
Hd—14693).

ლული აქ მდივანბეგს 1 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534—ბ).

ლურჯვანქი ავთანდილ ქამარბეგისშვილმა მიჰყიდა: შამირზას ნასოფლარი
საზღვრებით: ერთი გვერდი — კირაკოზას სოფლამდე, მეორე — ლურჯვანქის
საზღვრამდე, მესამე — ჩიტალის საზღვრამდე, მეოთხე — ბერდიკის საზღვრამ–
დე (1697.XI.11. Hd—403).

ლურჯი საყდარი ეწერა 5 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ლურჯი ფლატო ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს
სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო ლურჯი ფლატო
(1579. Sd—464).

მაგრატლის მიწა მის თავში .იესაშვილებმა მიჰყიდეს დავითაშვილებს 1 დღის მიწა ([XVII]. Hd—9659).

მაზმითი მთა (რაზმითი?) მის იქით მდებარე საკაძისეული სოფელი ხანდისი როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს. გიორგი საკაძის „გადავარდნის" შემდეგ მთაც და სოფელიც სახასო იყო (1652. Hd—13956).

მაზიტას წყარო ჯავახიშვილებთან მიწაზე დავის გარიგების შედეგად მაზიტას ნაქონი წყაროს $^3/_4$ ნაწილი ოთია გოგიბედაშვილს ერგო, $^1/_4$ კი—მშვდლიშვილს (1695. Hd—6061).

მაზიტას ჭევი ამასა და სამების-ჭევს შუა მიწის ნახევარი ოთია გოგიბედაშვილს დარჩა ჯავახიშვილებთან დავის გარიგების შედეგად (1695. Hd—6061).—

მათაანი სოფელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა დოდოსრქის მონასტერს გარეჯაში ([XV]. Ad—2050). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა დოდორქის ღვთისმშობელს სოფლები ტაძრები, მათაანი და უჯარმა (1590. ისტ. საბ., II, გვ. 57).

მათხოჯი ნ. მანთხოჯი.

მაკადილი კოპაშვილებმა მიჰყიდეს ბატონ თაყას ახალბედას კერძი ყანა მაკადილში ([1615—19]. Qd—7013).

მალეთა საკონე გიორგი ჭარმაულმა იყიდა ქერობინ გეშაშვილისაგან (1531. Sd—733).

მალემწე მონასტერი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

მ[ა]ლიჯნის მიწა მოხსენებულია მიწის ნასყიდობის წიგნში (1690. Hd—18415).

მალციური მიწა ხანდაკში, 4 დღის მიწა მალციური ბაბუტა ჯავახიშვილმა უბოძა თავის ყმას ბერ დათვიასშვილს (1680. Hd—8485).

მამადის გორა იყო ერთი საზღვარი სამგორისა, რომელიც ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

მამათი ტატუაშვილებს აქ ქრისტეს საფლავის 3 ყმა ჰყავდათ ([XVII]. Hd—11275).

მამისდაბა სიმონ მეფემ დაუმტკიცა იოვანე სოლაღაშვილს მისი წილი მამული მამისდაბა ქალაქის პირსა და ვერის-ხევში ([1581]. III. 16. ქ.-სპ. საბ., № 4). — ნესტან-დარეჯან და თამარ დედოფლებმა უბოძეს ბეჟან სოლაღაშვილბებურიშვილს ზურაბ სოლაღაშვილის კერძი მამული „მამისდაბის გარდაისად" (1606.III. 24. Hd—2091).

მამიჯანაური მიწა ბახუტა უკანბერიძემ როინ ბუნიათიშვილს მიჰყიდა [მაწლეთს] ახალშნის ბოლო საზღვრებში: ქვევით—ფაფერაშვილის მიწა, საზეკაროდ—ტბელიაური, საქვენაკროდ—მამიჯანაური მიწა (1667. Hd—832).

მამრეხი (მამრეკი) ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა სამკვიდროდ მაყა მაყაშვილს მისი ბიძის წილი მამული მამრეხსა და იყალთოში (1589. Hd—1429).— თეიმურაზ [კახთა] მეფემ უბოძა სახლთ-უხუცეს იესე ჯორჯაძეს მამრეკი და გოდბარექი ([XVII]. Qd—1787).

მამხუტი სოფელი სომხითში, როსტომ მეფემ უბოძა შიოშ მალაძეს (1636. Qd—6997). — მუხრანის ბატონისა და გიორგი ბატონიშვილის სამკვიდრო სოფელი, ადრე როსტომ მეფემ მოლარეთ-უხუცეს შიოშ ხმალაძეს უბოძა, შემდეგ უკან გამოართვა ქალაქს მის მიერ აშენებულ სახახლესთან ერთად, და სამაგიეროდ მისცა იაგანაშვილები სამშვილდეში და ბადურაშვილები ქვემო ბოლნისში (1643. Hd—1601).

მანაკერტი აქ ცხოვრობდა ვახტანგასშვილი ([XVII]. Sd—1922).

მანანაური ჭაიხოსრო ჩხეიძემ მიპყიდა იოანე კათალიკოსს მიწა მანანაურის ბოლოს საზღვრებით: ზევით — იესე ხოჯაურის სამანი, ქვევით—პაპუნაშვილის სამანი, აქეთ წყალი, იქით ახალციხიდან მომავალი შარა (1700. Ad—1510).

მანგლისი (ღვთისმშობლის ეკლესია-მონასტერი). კათალიკოსმა მას დაუმტკიცა სოფლები: შოშილეთი, იფნარიანი, ახალშენი, ვარდისუბანი (1584. Qd—1604). — სიმონ მეფემ ბოგანო გლეხები უბოძა ათანასე მანგლელ მთავარეპისკოპოს ტატიშვილს (1618. Hd—14422). — თეიმურაზ მეფემ უბოძა მანგლელს სოფ. სურნისი (1630. Hd—2214). — თეიმურაზ მეფემ მანგლისის ეკლესიის ყმებს უბრძანა მანგლელისათვის სამსახური (1630.IX.9. სოც. დოკ., I, № 26). — მანგლისის ღვთისმშობელს წაღებული ჰქონდა როინ ჯავახიშვილის მამული. მეფემ მამული როინს დაუბრუნა. ამისათვის როინმა მანგლისის ეკლესიას გაუჩინა 40 კოკა ღვინო (1652.III. Hd—8584). — მანგლელი ჯავახიშვილი მოწმე იყო ჯანო ენდრონიკაშვილის ნასყიდობის წიგნისა (1673.IV.15. ისტ. საბ. IV, გვ. 51). — მანგლელმა მთავარეპისკოპოზმა დაწერა გიორგი მეფის წყალობის წიგნი (1676.X.18. Hd—1706). — გიორგი მეფემ მას შესწირა და გაათარხნა თაიისი მამის შანავაზის სამწირველოდ თრიალეთზე მდებარე სოფ. მეთრევანა (1678.XII.1. ისტ. საბ., IV, გვ. 54—63). — გაბრიელ მანგლელმა იყიდა ზურაბ შალიკაშვილისაგან ჰვიროსში მცხოვრები ნანეტაშვილი (1686. Hd—7229). — მანგლისის მონასტრისა და გაბრიელ მანგლელ ჯავახიშვილისა იყო სოფლები: მანგლისი, თრიალეთზე სოფ. მეთრევანა, და მამულები საჯავახიანოში. ნაზარალიხანმა გაათარხნა ეს ადგილები სამეფო ბეგარისაგან, გარდა სათთრო საურისა და ლაშქარ-ნადირობისა (1689. სოც. დოკ., I, № 117).—გაბრიელ მანგლელმა გაათარხნა გაბრიელ მოძღვარი და მისი შვილები (1692.VIII. 24. Ad—173). — ხვარაშან [დედოფალმა] ულუფა გაუჩინა მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიას: ყოველ წელიწადს შუა ბოლნისიდან 15 საპალნე ტკბილი საკულუხო კოკით და სანთელ-საკმევლის ფასად წინწყაროდან 500 შაური. ამისათვის ხვარაშანმა თავისთვის გაიჩინა ეკლესიაში ჟამის წირვა (1694. Ad—1506-ბ). — იოანე კათალიკოსმა მოარიგა სამწყსოზე დმანელისა და მანგლელის დავა: გაბრიელ მანგლელს სამწყსოდ მისცა ახალდაბა და მის ზემოთ ქციასა და ალგეთს შუა მანგლისის გარშემო ოძისი და კველთა (1699.V.26. Ad—647). — ნიკოლოზ მანგლელმა გოსტაშაბისშვილმა ზაზა სავინასშვილისაგან იყიდა მამუკასშვილები (1699. Hd—2250). — ათანასე მანგლელმა მიწა იყიდა გიორგი სამაღანაშვილისაგან ([XVII]. Hd—3240-ა). — გიორგი მეფემ შესწირა მანგლისს სოფ. მეთრევანა თრიალეთზე ([XVII]. Ad—261). — გიორგი მეფემ წყალობა უყო საამ ბოქაულთ-უხუცესს მასზე მანგლელის ნაამბობის მიხედვით ([XVII]. Ad—2241).—მანგლელი მთავარეპისკოპოსი იყო ევდემონ ქსნის ერის-

თვის ძე ([XVII]. Ad—261). — გიორგი მეფემ შესწირა მანგლისის ღვთისმშობელს სოფ. მეთრევანა ([XVII]. Ad—261. — სერაპიონ მანგლელს კათალიკოსმა მისცა გლეხები ვაკეში, ღორისთავში, ოძისსა და კუელთაში ([XVII]. Qd—1605). —ევდემოზ მანგლელ რატისშვილს ერთგულების წიგნი მისცეს არაგვის ერისთავმა იასონმა და მისმა ძმებმა ([XVII]. Hd—9346). — ნიკოლოზ მანგლელი მოხსენებულია ერასტი ორბელისშვილის წიგნში ([1697—1704]. Hd—13690).

მანგლისი (სოფელი) მ ა ნ გ ლ ი ს ე ლ ი პაატა კალაშვილი მოწმე იყო ზურაბ შალიკაშვილის ნასყიდობის წიგნისა (1686. Hd—7229). — ნაზარალიხანმა გაათარხნა სოფელი მანგლისი სამეფო ბეგარისაგან, გარდა სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობისა (1689. სოც. დოკ., I, № 117). — ნაზარალიხანმა გაათარხნა სოფელი მანგლისი, თრიალეთზე სოფელი მეთრევანა და საჯაველიანოში რაც შეწირული მამული იყო (1689. აქტები, I, გვ. 23—24). — ნიკოლოზ მანგლელმა მანგლისელებს ამოუკეთა სააღდგომო ცხვარი და დაუწესა პურის ჭამა გუთანზე მუშაობის დროს ([XVII]. Ad—219). — მანგლისელმა ხიზანმა ბესუა პაატაშვილმა პირობა მისცა ოთარ მდივნის შვილს ([XVII]. Hd—11026).

[მანგლის]-ქევი აქ მდებარე ბორცვის ჯვარი ბაგრატ IV-მ შიომღვიმის მონასტერს შესწირა (1058. Ad—14). — აქ მდებარე სოფელი ბორცუის ჯვარი ადრე შიო-მღვიმის მონასტერისა იყო, შემდეგ ლიპარიტებმა მიიტაცეს, ბოლოს დავით მეფემ შესწირა შიო-მღვიმეს და ეს შეწირულება განაახლა გიორგი მეფემ (1170. Hd—1351).

მანგლული მიწა ზაალ [ციციშვილის] ყმა ეცილებოდა ქაიხოსრო [ციციშვილის] ყმას მანგლულ მიწაზე (1679.VIII.5. Ad—1218).

მანდიკორი აქ მცხოვრებნი თითო კომლი გაბადაძე, კახიძე და ჩუჩხუნაძე ბაგრატ [იმერთა] მეფემ დაუბრუნა გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას, ([XVI] Sd—2897).

მანთხოჯი (მათხოჯი) მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს მანთხოჯის სასახლე და მონასტერი 40 კომლი კაცით და 1 აზნაურით რატიანით ([1512—32]. Ad—2218). — ნ. ნასაკირალი (1570. Hd—2270). — მათხოჯის დავთარში იხსენიება მეზობლე გლეხები მათხოჯში ([XVII]. სოც. დოკ., I, № 611).

მანკავერი აქ ცხოვრობდნენ ზაალ გურამისშვილის ყმები თანგულაშვილი, მიქელასშვილი, გედეონიშვილი, საბაშვილი ([VXII]. Hd—14912-ი),

მარაბდა ნასოფლარი, ქაცაბანდიანად შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — „ქაცაბანდიანად" მარაბდა წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — სამამულო დავის გარიგების შედეგად პაპუნასა და გუგუნა გერმანოზისშვილებს მარაბდაში ერგოთ ხოდაბუნის 2 ნაწილი, ხოლო ვარაზა გერმანოზიშვილმა მიიღო მესამე ნაწილი ხოდაბუნისა და ერთი საწისქვილე. დანარჩენი 2 საწისქვილე მარაბდაში პაპუას არგუნეს ([1692—1703]. Sd—577). — მარაბდაში მცხოვრები ბოგანო ბერია მისი მამულითურთ და ოღუზაშვილი 10 დღის მიწით ერგო ოთარ [ბარათაშვილს] სატარსოდ ([XVII]. Hd—11896). — დათუნამ და პატა [ბარათაშვილებმა] გაყიდეს მარაბდა 50 თუმნად ([XVII]. Hd—11820).

მარანა დავით ქსნის ერისთვის სოფელი. გიორგი თუმანიშვილმა რუ გაჰკიღო მარანას გვერდზე ლიახვისაკენ და სოფ. მარანა გაათარხნებინა ხელმწი-

ფეს. დავით ქსნის ერისთავმა ამ რუს გაუჩინა 3 მერუე მარანის დაღმა გარეჯუ-რის თავამდე (1678.XII.18. Ad—1016).—მარანა იხსენიება საბუთში ([XVII]. Sd—1974).

მარიამი (მარიამნი) ნასოფლარი თრიალეთზე. მისი სითარხნის წიგნი მისცა გიორგი მეფემ პაპუნა ბარათაშვილს (1693.IV.1. Hd — 8769). — სიმონ მეფემ უბოძა ბარათაშვილებს ნასოფლარი მარიამნი (1561. VII.7. Hd—8437).

მარიამ-ჯვარი ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს სამგო-რი, რომლის საზღვარი იყო მარიამ-ჯვარი (1579. Sd—464).

[მარილეთი] მარილელებმა ეჯუგაშვილმა, ასათაშვილმა და სხვებმა პირობა მისცეს ალავერდელს, რომ აღარ დაუშვებენ „რჯულის გარდამავალ საქმეს“ ([XVII]. Ad—864).

მარმარის ქარი აქ მცხოვრებნი ეგვიპტია და ჩხუნგურია მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტას ([1512—32]. Ad—2218).

მარმაროვა ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული მარმაროვა საზღვრებით: მოდამნახის ციხე, გოგასწყარო, დევთ-ნასახლარი, ომანის სასაკლაო, გომის-წყლისა და ჰერემის-ქვევის შესართავთან (1579. Sd—464).

მარმაროვანი იყო ერთი საზღვარი მამუჩი ჭაუჭავაძესა და წინა საგარეჯო-ელთა შორის სადაო მიწებისა (1654.I, 2. ისტ. საბ., IV, გვ. 34—35). — იგი იყო საზღვარი კათალიკოსის სახასო სოფლებისა: ბუშატისა და ვანთისა (1654. Hd—8389).

მარმაშენი ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფ. წყარო-მრა-ვალის შეწირულობა მარმაშენის თავს (1398.XII. Hd—8712).

მარტაცი ბერუაშვილებმა მიჰყიდეს მოურავის სახლთ-უხუცეს რევაზს 2 დღის მიწა მარტაცის ბოლოს (1692. Ad—1676).

მარტაცის-ქევი იოანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს ელიოზისძე-ებს დავითს, როსებს და სხვებს მათი ბიძაშვილის მამუკას უმკვიდრო მამული, რომელშიც შედიოდა მარტაცის-ქევი (1616. Qd—39).

მარტვილთ-მონასტერი იყო სამგორის ერთ-ერთი საზღვარი (1579. Sd—464).

მარტყოფი ნაზარალიხანმა უბოძა მარტყოფელ ლაზარე ქუმსია-შვილს ყარაის მეყორულობა (1676. Qd—7873). — ეშიკაღასბაშმა უბრძანა მარ-ტყოფის ნაცვალს ოსიკას, მარტყოფელ მოხელეებს და საერთოდ მარტყოფ-ლებს დამორჩილებოდნენ ხანის მიერ მოურავად დანიშნულ ზურაბ ყორჩიბაშს ([XVII]. Ad—1085).

მარცხეული აქ მცხოვრები გურმიხილი ესებია შესწირა ლევან დადიანმა ბიჭვინტის ღვთისმშობელს (1628. Sd—2904).

მასაუტა აქ მცხოვრებნი იბრალიძე და ვირსალაძეები ბაგრატ [იმერთა] მეფემ დაუბრუნა გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას და დაუწესა მათ გამოსა-ღები ([1510—1548]. Sd—2897).

მასრუტი როსტომ მეფემ უბოძა ბიძინა სოლაღაშვილს მასრუტი „ორსავ კევს შუა მისის ნასოფლარითა“ ზემო ბეგის ძირს გზის ჩათვლით (1654.VII.15. Sd—747).

მატანი ნ. ტურბაცური (1689.X. Hd—5814).

მაღლაკი სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას აზნაურ ნიკარაძისაგან ნასყიდი გლეხები, რომელთაგან 4 კომლი მაღლაკში სახლობდა (1545. Hd—11201). — გიორგი [იმერთა] მეფემ უბოძა დავით წულუკიძეს „სახასო სანადიროები და სასახუნდროები წყალტობოს გაღმა ბოლო მაღლაკის საზღვრამდის“ (1570. Hd—2270). — აქ ცხოვრობდნენ გლეხები ლუქსენიძე, მებურნიშვილი, უმახაშვილი, რომლებიც ესტატე ნიჯარაძემ მისცა ლაშხიშვილს ნასისხლად. ამ უკანასკნელისგან ისინი იყიდა ბაგრატ [იმერთა] მეფემ და შესწირა გელათის მონასტერს ([XVI]. Sd—2896). — მაღლაკის მოხელენი ჟორჟოლიანები მოწმენი იყვნენ სვიმონ კათალიკოს-ქუთათელის მიერ ივანჯანისშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წივნისა (1664. ქუთ. მუზ., № 1843). — სვიმონ კათალიკოს-ქუთათელმა ჩხეტიძემ დაიბნა ქაიხოსრო აბულაძისაგან მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი მახარებელ ივანჯანისშვილის ცოლი, ხოლო შემდეგ მთელი ოჯახი მახარებლისა მამულითურთ მამისთვალა ივანჯანისშვილს უბოძა (1664. ქუთ. მუზ., № 1843). მაღლაკში ივანჯანისშვილებისეული პარტახტი უბოძა სვიმონ კათალიკოს-ქუთათელმა ჩხეტიძემ მამისთვალა ივანჯანისშვილს (1673. ქუთ. მუზ., № 361).

მაღნარა მურვან ღარიბაძემ შესწირა ვაჭანის მონასტერს ტოლოშში, მაღნარას 1 ახალშენი ვენახი (1393. Ad—933).

მაღრანი თეიმურაზ მეფემ უბოძა გედაონისშვილებს მაღრანი, საყდრის ყმების გარდა (1626. Hd—14420). — ნ. კახეთი ([1606—48]. Hd—2128). — ერთობით მ ა ღ რ ა ნ ე ლ ე ბ მა პირობის წიგნი მისცეს ნიკოლოზ ალავერდელს „რჯულის გარდამავალი საქმის“ (მარხვის ჭამის, ქადაგობისა და მისთ.) დაგმობის შესახებ ([XVII]. Ad—849)

მაჩვთა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

მაჩქათელა ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს მაჩქათელას კონა მცხეთაში (1700.VI.29. Qd—1348).

მაჩხაური როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო ოძრხეში მაჩხაურის ნახევარი ([XVII]. Qd—605).

მაწევნური პაატა გერმანოზისშვილმა იყიდა თაყა ასანბეგისშვილისაგან 5 დღის ხოდაბუნი მაწევნურს ხევის პირში და 2 დღისა დამპალ წყაროში (1669.VI.20. Hd—1880).

მაწლეთი პაპუნა ფაფერაშვილმა მიჰყიდა როინ ბუნიათიშვილს ვე[ნა]ხი მაწლეთში საზღვრებით: მამუაშვილის ვენახი, ტებლიაშვილის ვენახი (1667. Hd—962). — მ ა წ ლ ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ ბახუტა უკანბერიძის ნასყიდობის წიგნისა (1667. Hd—832). — მაწლეთს უკან სახლობდნენ ხუტია ბერიძის ყმები ([1658—75]. Hd—14534-ბ). — ცუქითსა და მაწლეთში ციცი [ციციშვილს] 15 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ა).

მაწნეთი პაპუნა [ციციშვილს] ედიშერთან გაყრისას ერგო მაწნეთში სასონასშვილი და ჰეჰულასშვილი მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).

მაჭიხელი გოგიბასშვილებმა შესწირეს სვეტიცხოველს 30 კომლი მობეგრე გლეხი მაჭიხელში და გათარხნეს ისინი (1559. ისტ. საბ., II, გვ 44—45).

მაჭუტორი იყიდა გედეონ [ლორთქიფანიძემ] კაცია კუპაიძისგან და შესწირა გელათის ხახულის მონასტერს (1664. Sd--2916).

მახათა როსტომ მეფემ უბოძა ხოჯა ბეპბუთას ქალაქში ავლაბრისაკენ, მახათას ქვეშეთ მისსავე სასაფლაოსთან ადგილი. ხოჯა ბეპბუთამ მახათას ძირიდან წყალი გამოიყვანა (1654. ჭ.-სპ. საბ., № 106).

მახარაული მამული კოსტანტინე მეფემ უბოძა ზაზა ფანასკერტელს მახარაელი მამული (1467. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 30—31).

მახარაჯი სოფელი, ეჭირა ანახანუმს, რომლის სიკვდილის შემდეგ იგი უნდა გამხდარიყო ამილახერების სახასო (1692.III.15. Sd—2280).

მახისურის მიწა მაზე დაობდნენ შანშე ერისთავი და იოთამ ამილახორი. ამილახორს მიწის მფლობელობის შესახებ წიგნები აღმოაჩნდა და დავაც მის სასარგებლოდ დამთავრდა ([1634—42]. Hd—14669).

მახრაღაჯი ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება მეორე წაქცისისა მახრაღაჯითა და ხეკორძითურთ (1398.XII. Hd—8712). — ამილახორსა იყო, [სიმონ მეფემ] უბოძა [ქაიხოსრო ბარათაშვილს] (1630.I, 27. ჭ.-სპ. საბ., № 34).

მახურეთი შედიოდა სამთავნელის სამწყოსში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

მაჯანაანთ-უბანი როსტომ მეფემ უბოძა იორამ სააკაძეს გუდალეთს ზევით სააკაძისეული მაჯანაანთ-უბანი, რომელიც გ. სააკაძის „გადავარდნის" შემდეგ სახახოდ იყო გამხდარი (1652. Hd—13956).

მდევის-კარი სვიმონ გურიელმა შესწირა აჭის წმინდა გიორგის მონასტერს ადგილი ნაბადას დაღმა ნადირაულამდე და მდევის-კარის ამოღმა (1614.XI.3. საისტ. მოამ., I, 1925, გვ. 184—5).

მეთრევანა სოფელი თრიალეთზე, გიორგი მეფემ შესწირა მანგლისის ტაძარს თავისი მამის ვახტანგ მეფის სამწირველოდ და გაათარხნა სამეფო ბეგარისაგან (1678.XII.1. ისტ. საბ., IV, გვ. 54—63). — ნ. მანგლისი (1689. აქტები. 1. გვ. 23—24). — შედიოდა მანგლელის სამწყსოში. ნაზარალიხანმა გაათარხნა იგი სამეფო ბეგარისაგან. გარდა სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობისა (1689. სოც. დოკ., I, № 117). — ევდემონ მანგლელმა ეპისკოპოსმა სოფ. მეთრევანას შეაწერა მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიის სასარგებლოდ გამოსაღები ([XVII]. Ad—261).

მელაური მამული როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაურისას ერგო მელაური მამული ზაკვში ([XVII]. Qd—605).

მელე აქაური ტყაპუნაშვილი მოწმე იყო ივანასა და ამბრიას შორის დავის გარიგებისა (1661. Ad—1687). — აქ ცხოვრობდა 4 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — სოფელი, ნიკოლოზსა და ბექანს აქ ჰყავდათ 1 კომლი ყმა (1680. Qd—610). — ნ. ქუენადარი ([XVII]. Qd—605).

[მელესი] მ ე ლ ე ს ე ლ ე ნ ი მოწმენი იყვნენ აბულელერდისშვილის მიერ ჭყოპაიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1652. Ad—1799).

მელის ნასახლარი სიმონ ეტიფონეშვილმა მიჰყიდა პაპია ჭყოპაიშვილს 4 ღრის მიწა მელის ნასახლართან რკონში (1661. Ad—1644-ა).

მელის სოროები ბერუა მირიანაშვილმა მიჰყიდა პეტრეს პანიაური მელის სოროებთან, მუჩათიძეების მიწის გეერდით (1682. Hd—812).

მეორე წაჯვისი ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება მახრაღაჯითა და ხეკორძითურთ (1398.XII. Hd—8712).

მერე ძველი შუამთის საწინამძღვრო სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფეს შესწირა ალავერდს ძველ შუამთასთან საზიაროდ (1522. Hd—9494).

მერე სიმონ მეფემ უბოძა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს 1 კომლი სოფელ მერეში (1561.VII.7. Hd—8437).

მერია საყაძისეული სოფელი. გ. საყაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ სახასო გახდა და როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს (1652. Hd—13956).

მესხეთი სოფელი, აქედან ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის ჭ. გიორგის საყდარს 3 კომლი დანდურიძე და 1 პარტახტი (1545. Hd—11201).

მესხური მამული სიმონ მეფემ შესწირა იტრიის სიონს მარგულაშვილი მესხური მამულითურთ შინდარში (1584. Sd—2909).

მეტეხთა ღვთისმშობლის მონასტერი მისი დეკანოზი ესტატე მოწმე იყო მხითარას მიერ ნიკოლოზ თბილელ-ბარათაშვილისათვის მიცემული სიონის ღვთისმშობლის ტაძრის ყმად თავდაწერილობის წიგნისა (1619. ისტ. საბ.. IV. გვ. 11). — მისი დეკანოზი დემეტრე მოწმე და დამწერი იყო წეროველთა მიერ გაბრიელ გედეონიშვილისათვის მიცემული საიღაპო წიგნისა (1644. სოც. დოკ.. I, № 37). — ადრე შეწირული იყო სვეტიცხოვლისადმი, შემდეგ როსტომ მეფემ განაახლა ეს შეწირულება (1658. Sd—2975).

მეტეხი (მეტეხნი, სოფელი) მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII.Hd—8712). — ნ. ქართლი (1467. ისტ. საბ.. II. გვ. 19—20). — აქ მდებარე ვენახი უბოძა დავით კათალიკოსმა მახარებელ მაღალაძეს (1470. Hd—1352). — სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მ ე ტ ე ხ ნ ი ს შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — მეტეხში ცხოვრობდა გიორგი დემეტრაშვილი (1602. Hd—8266). — მ ე ტ ე ხ ე ლ მა დემეტრაშვილმა იყიდა 2 დღის მიწა საკვეთლისი ბეჟანისშვილისაგან (1649. Hd—9626). — მეტეხველი ლაზარე მჭედელი მოწმე იყო სულხანიშვილების მიერ ჯავახიშვილებისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1672.V.1. Hd—2629). — მეტეხელმა ძამანასშვილმა უკანჯალაში 1 დღის მიწა მიჰყიდა ახალქალაქელ ედილაშვილს (1690.IV.22. Ad—1605). — ნიკოლოზ კათალიკოსმა აქ ძველი საყდარი განაახლებინა, ხოლო მეტეხის თავს სოფელი სხერტა გააშენა (1691.VII.25. ისტ. საბ.. IV, გვ. 64). — მეტეხელმა აღნიაშვილმა მიჰყიდა სპანდიერ[ა]შვილს მიწა ჩოჩეთში (1693.XII.15. Ad—1852-ა). — მეტეხს ეწერა 40 სახასო მოლაშქრე, ეწერა აგრეთვე 10 სახასო მოლაშქრე „გაცემული" ([XVII]. Ad—1631).

მეტეხი ნ. ავლაბრის მონასტერი.

მეღვრეკისი ნიკოლოზ კათალიკოსმა ყურისუბნის ნაცვლად უბოძა ვახტანგ ბატონიშვილს მეღვრეკისში ვენახი, რომელიც ეკლესიას ეკუთვნოდა (1574.III. Sd—2870).

მეცხრაულას მიწა ნ. გძელას მიწა.

მეძღეთი, ნასოფლარი, დიდმა ბატონმა ლუარსაბმა შესწირა სვეტიცხოველს,

შემდეგ კი უბოძა სვეტიცხოვლის ყმას აზნაურ ზურაბ ელიოზისძეს. აბაშ ბარათაშვილი შეედავა ზურაბს ამ ნასოფლარზე, მაგრამ იგი ისევ ზურაბს დარჩა (1657. Qd—2153).

მეჯვრისხევი მეჯვრისხეველმა ჯანიასშვილმა ყმობის წიგნი მისცა ხოთარაანთ როსტომასშვილს ზურაბას (1695.III.სოც. დოკ., I, № 131).

მეჯუდის-ქევი ნ. ზერტები (1540. ისტ. საბ., II, გვ. 37—40).

მზანათი აქ მცხოვრები დათვიაი პაპაჭკორია ლევან დადიანმა ბიქვინტას შესწირა (1628. Sd—2904).

მზვარეთი ნასოფლარი, სიმონ მეფემ უბოძა ბარათაშვილებს ([XVII]. Hd—8437).

მზვარი-კოტმანი საყაძისეული სოფელი, გ. საყაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ სახასო გახდა და როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს (1652. Hd—13956). — ნ. კოტმანი.

მთავარანგელოზთა საყდარი შაშიანთ-თავს, ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1579. Sd—464). — მთავარანგელოზთ წინამძღვარი ანტონი მოწმე იყო მოსეს მიერ იოვანე კათალიკოსისათვის მიცემული პირობის წიგნისა (1613. ისტ. საბ., IV, გვ. 9).

მთავარანგელოზის ეკლესია მურვან-ყრუსაგან დანგრეული, მისი ნახევარი ბაკურაძისაგან იყიდა იოსებ ფანჩულიძემ ასაშენებლად, მეორე ნახევარი კი ბაგრატ [იმერთა] მეფემ უბოძა მასვე (1527.IV.27. Sd—2894).

მთაწმიდა სოფელი სამთავნელის სამწყსოში, მისი ბეგარა მღვდლებსა და მამასახლისებს უნდა მიერთმიათ სამთავნელისათვის (1459. Ad—559, 604).

მთაწმინდა (მთაწმიდა—მონასტერი) უდაბნო, ორ ხრამს შუა, ააშენეს დაეითმა და ნიკოლოზმა ნიკოლოზ კათალიკოსისა და იოანე ტფილელის ნებართვით და შესწირეს ბაღი (1542. Sd—526). — შესწირეს ბურდულაული მამული და დათუნა ოსაძე. სამაგიეროდ მთაწმიდის მამებმა ათასანემ და დაეითმა, კრებულთან ერთად გაუჩინეს შემწირველს აღაპი და ქამის წირვა (1678. V. 28. Hd—11067). — მთაწმინდის ხარების მონასტრის წინამძღვარი ნიკოლაოსი მისი მამულებითურთ ნაზარალიხანმა მიაბარა ალავერდელს ([VXII]. Ad—587).

მთის წმიდა გიორგის ეკლესია ბაგრატ [იმერთა] მეფემ განუახლა მამულია და გლეხების შეწირულება კაციეთას, წყონარს, ჭაშლათსა და სხვაგან (1491.VII.20. Sd—2898). — კოსტანტინე მეფემ ულაყი ამოუკვეთა და ყოველ გიორგობას თავისთვის აღაპი დაიწესა 2 ცხვრითა და პურ-ღვინით (1491.VIII.20. ქუთ. მუზ., № 608).

მთიულეთი ერთობით მთიულელებმა პირობა დადეს, რომ აღკვეთდნენ მარბევის ჭამას, ხოლო ცდუნების შემთხვევაში გაუმხელდნენ [ალავერდელს] ([XVII]. Ad—847).

მთხოთა (მთოხთა) შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავნისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

მილახი აქ გუარამათ მიწის ერთი ვენახი იყიდა ჩაისარ თმოგველის ასულმა გულშარმა და შესწირა ეანის ქვაბებს ([XIV]. Ad—933-9).

მილისი აქ სოფ. წითელი საყრდის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

მინათური ბერუკა თურქისტანიშვილმა ზურაბს აქ სასახლე დაუთმო (1665. Sd—634).

მინდაჭარი ნ. დიაკუნის ქვა.

მინდვრის უგუდეთი საკაძისეული სოფელი, გ. საკაძის „გადავარდნის" შემდეგ სახასო გახდა და როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს (1652. Hd—13956).

მირზაული მამული ზემო ნიქოზში, სააღაპედ შესწირეს [ნიქოზის] ეკლესიას (1573. სოც. დოკ., I, № 9).

მირტაცი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

მირჯანაული ბერუკა ჯანასშვილმა თავის მამიდასშვილს გაუცვალა ნაიონჯარ მიწაში ნაფუზარი მირჯანაულის ბოლოს საზღვრებით: ბერიულის გზა და ათრეული (1656. Hd—1585).

მისაქციელი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — როსტომ მეფემ ასაშენებლად გაუთარხნა ნაოხარი სოფელი მისაქციელი ვახტანგ ბატონიშვილს (1637. Qd—1490).

მისაქციელურნი სოფელი, [სიმონ] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1559.XII.1. Ad—1572).

მიქელაური მამული, საუფროსოდ ერგო გულბაათ ელიოზიძეს მისი ნახევარი, რომელიც შემდეგ დაუმტკიცა მას სიმონ მეფემ (1573. Sd—527). — სვენელმა იმარაშვილმა მიჰყიდა ქრისტესია ხუცესს მიქელაურის გვერდით თავისი სამკვიდრო 4 დღის მიწა სზღვრებში: მაზიტას მიწა, ბაბინას მიწა, ბესიაშვილის მიწა (1661. Qd—9037-ლთ).

მიშტარაშენი სოფელი, როსტომ მეფემ განუახლა მისი წყალობა დონდარა ეჯიბისშვილს (1651. ქ.-სპ. საბ., № 95).

მიჩნაგი ლოქში, გასაყოფი დარჩათ ყაფლან და ვახტანგ [ორბელიანებს]. ერთმანეთს შორის ([XVII]. Sd—1922, 1936).

მიწობი (მიწოფი) მიწობელი მოწმე იყო თაყა [ციციშვილისათვის] გამრეკელ [ჯავახიშვილის] მიერ გაწეული სამსახურისა ([1443—66]. Sd — 1242). — ნავნიოს და მისი განაყოფები: გიორგი და პაატა იყვნენ მიწობელნი (1579. Sd—464). — აქ დათუნა გედიაშვილს 5 კომლი ყმა ჰყავდა, ციცის — 17, მამუკას — 2 ([1658—75]. Hd—14534ა). — აქ ყაიხა 2 კომლი ყმა ჰყავდა, ყორჩიბაშსაც—2 ([1658—75]. Hd—14534-ბ). — ნ. გძელას მიწა (1683. Hd—821). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო მიწოფში: ზუბიტა ტურაშვილი მამულით, ჭანიშვილის მამული, შოშია ძამანასშვილი და ბერი გაბიოშვილი მამულებით; პაპუნას ერგო: შალუტა ვეფხაძე და დათუნა მექათაბიძე მამულებით. იოანე ვედრიაშვილი და ლალაშვილი მამულებით ([XVII]. Hd—1636).

მიწობლიძისეული მამული ლუარსაბ მეფემ უბოძა ჯერ მოურაჲს (ვ. საკაძეს), შემდეგ ზაალ აბაზაძეს (1613.VIII.25. Sd—524).

მიჯნაძორი ნ. ოპიზა.

მკათაური ნასასახლევი პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას საზაანოში სამაკავარიანო სასახლე, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო მკათაური ნასასახლევი საყდრიანად ([1684]. საისტ. კრებ., III. გვ. 52—57).

მოლამნახე ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20.. Hd—10375). — წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543.. Hd—10381).

მოლამნახის ციხე იყო ერთ-ერთი საზღვარი მარმაროესი (1579. Sd—464). — იყო საზღვარი მამური ჭავჭავაძისა და წინა საგარეჯოელთა შორის სადაო მიწებისა (1654. I.2. ისტ. საბ.,.IV, გვ. 34—35). — მდებარეობდა კათალიკოსის სახასო სოფლების — ბუშატისა და ვანთის საზღვარზე (1654. Hd—8389).

მოზუერაული მამული ჭორდში, ევდემონ კათალიკოსმა უბოძა დაეით გედაონიშვილს (1638. Hd—1710).

მოკლე მიწა აქ 3 დღის მიწა ჰქონდათ სოლთანაშვილებს (1651. Hd — 9669).

მოლავი აქ მდებარე მამულის წყალობა განუახლა სიმონ მეფემ იოანე ბარათაშვილს (1583.XI.30. Hd—14653; 1590. Hd—1590). — გიორგი მეფემ უბოძა პაპუნა გოსტაშაბიშვილს აქ მცხოვრები ყიფიანი, რომელიც ყმა იყო უშვილოდ გადასული დურმიშხან ფალავანხოსროსშვილისა (1688.V.4. Qd—2025).

მოლამურნი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფ. ოროტახი საზღვრით: „მოლამურთ ჩატანებასა მუხრაულთა პირპირ გოგიას-ხევამდე, უნაგირას ქვას ქვეით გარდაკეთილამდე“ (1579. Sd—464).

მონასტერი აქ სასაფლაო გაუთარხნა როსტომ მეფემ ელიზბარ სოლაღაშვილს (1651.VII.22. Sd—745). — სოფელი, შაპნავაზმა დაუმტკიცა სამკვიდროდ სოლაღაშვილებს (1671. Sd—32). — აქ მცხოვრები გიორგი ნიკოლოზისშვილი მოწმე და დამწერი იყო სუხია მუსლისშვილის მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683.XII. Hd—11048).

მორღანი შედიოდა სამთავნელის სამწყოსში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

მოუგონელი აქ მცხოვრები გლეხების შეწირულება გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351).

მოქვი მოქველი მოხსენებულია ალექსანდრე მეფის სასისხლო სიგლებში (1501.VI.7. Hd—10150; 1503.I.30. Qd—6936).

მოქიური სასახლე იყო ბაილეთში ([XVII). Ad—1913).

მოქრისი სიმონ მეფემ უბოძა მერაბ ყორღანაშვილს (1634. VI.27. ქ.-სპ. საბ., № 50). ნაობარი, ნასოფლარი, სახასო, როსტომ მეფემ დაუმტკიცა პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს. მოქრისი იყო ზემო შავნის საზღვარი (1635.IX. 10. ქ.-სპ. საბ., № 53). — ნ. შავნი (1635.XI.14. ისტ. საბ., IV, გვ. 21—22). — მას აშენებდა მერაბ ყორღანაშვილი. აქ დასახლდა ფირია (1654.III. 11. Sd—.748). — ნ. საარწივის კლდე (1661.III.15. Hd—1375).

მოღნისის წმინდა გიორგი მოხსენებულია ყორღანაანთ ქემაროზაშვილ

რამაზას ნასყიდობის წიგნში (1658. Qd—2024). — მისი ხუცესი იყო სეიმონი (1678. Qd—283).

მოცოქულთა ხაჟდარი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ აეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

მოხანი აქ იყო კალო, სადაც მისასვლელი გზა ჰქონდა გულშარა დედოფალს ([XV]. საისტ. კრებ., IV, გვ. 69—70).

მოხისი სოფელი დიდგორზე, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ლუარსაბ მეფემ სიტყვა მისცა ზედგინიძეებს, რომ თუ მოხისი იშოვა, მათ უბოძებს, თუ არა და თვითონ მოიპოვონ და ამაზე მათ აღარ შეედავება ([1534—58]. Hd—2120). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მოხისის შეწირულება და სითარხნე (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121). — სოფელი ზემო ქართლში, სიმონ მეფემ შესწირა სვეტიცხოველსა და ნიკოლოზ კათალიკოსს (1581.VIII.14. ჭ.-სპ. საბ., № 5). — დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს (1660.V.1. Sd — 2913). — ნ. კაველათი (1686. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — ნიკოლოზ კათალიკოსმა გააშენა სოფ. ახალშენი მოხისის თავს (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64).—მისი მოურაობა ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს (1700.VI.29. Qd—1348).— მოხისელებს: პაპუნა სადუნაშვილს, პახუმაშვილებს, მაგელიაშვილს, მჭედლიშვილს, ფარეშას და ბერს, მამაცას, მახფსიაშვილს, გემანაშვილს, ლუქუნიძეს, თათრიშვილს, პაპუჩაშვილს—ეწერათ სამსაპინძლო ([XVII]. Ad—1800). — მოხისს ეწერა 50 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

მრავალთა (მრავალმთა) უდაბნო გარეჯაში, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1479.I.23, Ad—6).—მ რ ა ვ ა ლ მ თ ი ს უდაბნოში მდებარეობდა იოანე წინამორბედის მონასტერი. მეფემ განუახლა ნინოწმინდის ეკლესიას დავით გარეჯაში 2 მონასტრის—გარეჯისა და მრავალმთის შეწირულება ([XVII]. Ad—131).

მსხულების წმინდა გიორგის ეკლესია მამულითა და გლეხებითურთ შესწირა ლევან დადიანმა ხოფის ტაძარს ([1611—57]. Hd—1551-ა).

მტკვარი (მტკუარი) მტკვარზე სოფ. ტოლოშის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — მტკვრის პირას ნავენახები იოვანე ბლიოზიშვილმა მიჰყიდა მღვიმის კანდელაკ დედაბრიშვილს (1541. Sd—134). — ლუარსაბ მეფემ განუახლა ძველი შეწირულება [ტფილისს] სიონის ეკლესიას მ ტ კ უ რ ი ს სანაპიროზე (1552. ისტ. საბ., II, გვ. 40—42). —ნ. ჯვარი (სოფელი) (1559. Hd—8729). — სიმონ მეფემ გ[ო]შფარ ჯავახიშვილი და ყარაიგით ლარასძე გაგზავნა შეკობრეთმძებნელებად „დიღომს ზედათ“ და „მტკუარ-გამოღმართ“ ვიდრე ხევამდე მცხოვრებლებისათვის (1590. Hd—1993).—იოანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს ელიოზისძეებს მათი ბიძის უმკვიდრო მამული, რომელშიც შედიოდა ახალქალაქური ოლე მტკვარამდე (1616. Qd—39). — ნ. ჯიგრაშენი (1636. Qd—1988). — როსტომ მეფემ უბოძა სეფი-ყული-ბეგს (ტფილისს), აბანოს უბანში ეენახი, რომლის საზღვრები იყო მტკვრის პირი და მტკვრის გზა (1648. Qd—9037-რა). — დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს მტკვარზე წყალთა შუა საწყ ლისპირო (1660.V.1. Sd—2913).—მ ტ კ უ ა რ ი იყო ერთი საზღვარი შაბადინისა

(1670.IV.15. ისტ. საბ., IV, გვ. 47—49). — არჩილ მეფემ შესწირა სვეტიცხოველს მტკვრის პირას შაბადინი, ენჩო და ენჩოს დაბლა მინდორი და „ქალა მტკურამდის“ (1670.VII.18. Ad—1837).

მუგუთა მუგუთელი იყო ბერიკა ([XVII]. Sd—1784).

მუნჯაური მამული როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო ხოვლეში მუნჯაური მამული ([XVII]. Qd—605).

მურდალა გაგულამ მიჰყიდა ქიტა ივანაშვილს დღენახევრის მიწა მურდალაში საზღვრებით: ბერინას მიწა, ს[ა]დიღმის შარა (1661.XI. Ad—1806).

მურვანს-წესაყარი წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] ერგენთალის, კიპრუჭისა და ზემო საფიქლის ფარდად ([XVII]. Sd—1922, 1936).

მუსეფრიანის ზვარი მართებდა 5 საპალნე კულუხი (1689. Sd—1932-ბ).— მართებდა 7 საპალნე [კულუხი] (1690. Sd—1932-გ). — იხსენიება გადასახადების ნუსხაში ([1691]. Sd—1932-დ).

მუსიყალა წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] დემურასოფლისა და ვართევანის ფარდად ([XVII]. Sd—1936, 1922).

მუტავისი სიმონ მეფემ განუახლა დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიას სოფელ მუტავისის შეწირულობა (1586.I.9. Ad—2233).

მუხთ-წყარო ბეჟუა ვეფხიაშვილმა იყიდა ზაქუტა ფილიპაშვილისაგან აქ მდებარე 3 დღის მიწა (1612. Hd—2377).

მუხიანი სოფელი, [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება და სითარხნე (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121).

მუხის მიწა ნასყიდა დოლმაზაშვილს თავის ბიძაშვილ ნაზარასთან გაყრისას ერგო 1 დღის მიწა მუხის მიწაში (1696.III.25. Ad—9350).

მუხნარა სამკვიდრო სოფელი ყაფლან [ორბელიშვილისა], რომელმაც იგი 3 კომლი გლეხითურთ ასაშენებლად უბოძა ალი-აღას (1653. Sd—746).

მუხნარი დემეტრე მეფის აშენებული, გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351).

მუხრანის ზვარი მართებდა 240 საპალნე ტკბილი და კულუხი, 20 საპალნე ტკბილი (1689. Sd—1932-ბ). — მართებდა 310 საპალნე და კულუხი 30 საპალნე (1690. Sd—1932-გ).

მუხრანი ბასილ კათალიკოსმა ღალა ამოუკვეთა თათარა თევდოსის ძეს მოხნულზე მუხრანში ([1516—35]. Hd—1332). — სიმონ მეფემ უბოძა თავის ძმას ვახტანგს მუხრანი (1595.IV.30. Sd—2871). — ქრისტეფორე კათალიკოსმა კანდელაკ შიო ეგაძეს უბოძა მუქაფა ახვსებაძე მამულითურთ მუხრანში: გალაენის კუთხის გაყოლებით ლაზარეშვილის ბაღამდე (1623, Hd—9446). — მუხრანის თასლიდარნი მოხსენებულნი არიან როსტომ მეფის სითარხნის წიგნში (1637. Qd—1490). — შედიოდა წილკნელის სამწყსოში. მის მღვდლებს ემართათ საკანონო ხარი 1 (1669.VIII.5. Ad—526). — მუხრანის ბატონის 2 კომლი ყმა მოხსენებულია ყმების ნუსხაში ([1658—75]. Hd—14534-ბ). — მუხრანის ღალის წიგნი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებული წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd — 1931). — ნიკოლოზ სუნიძემ მიჰყიდა მანუჩარ გაბაძეს მიწა მუხრანში ([XVII]. Hd—8794-ბ). — მუხრანისა და ვარძაგრის სამეჯ-

რეო წილად ხედა ყაფლან [ორბელიანს] იფნობისა და ქარატაკის სამეკრეოს ფარდად ([XVII]. Sd—1936, 1922).

მუტარი მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს სოფელი მუტარი აზნაურებითა და 30 კომლი კაცით ([1512—32]. Ad—2218).

მუფარაქი იყო ყორნავის საზღვარი (1699. ჯ. — სპ. საბ., № 165).

მუშაანთა თეიმურაზ [კახთა] მეფემ შესწირა ალავერდის ეკლესიას მუშაანთაში ყმები: თოლასშვილი, ყურმანასშვილი და სხვები (1612.V.10. საისტ. მოამ., I, 1925, გვ. 146—153).

მუშოანი თეიმურაზ [კახთა] მეფემ სიგლით დაუმტკიცა ყორჩიბაშ თამაზ ბმატაკიშვილს, ადრე ნაბოძებ სხვა მამულებთან ერთად, მარიამ ბატონიშვილისეული მამული მუშოანში (1616. Hd—14679).

მუხაელას მიწა პაპუნა საყაძემ მისცა პაპუნა თუხარელს დახარჯული ნიშნის სამაგიეროდ მუხათში 4 დღის მიწა ერდგულაური, ზევით მუხაელას მიწამდე (1661. Sd—50).

მუხათ-გვერდი (მუხად-გუერდი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა მასვე სოფ. მუხად-გუერდის შეწირულობა (1559. XII.1. Ad—1572). ეწერა 9 საბასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

მუხათი კუმისის ბატონი დავით სოლაღაშვილი ეცილებოდა თურქისტანაშვილებს მუხათის მიწებზე კოდოათამდე (1656.I.3. Hd—14421). — პაპუნა საყაძემ მისცა პაპუნა თუხარელს, დახარჯული ნიშნის სამაგიეროდ, 4 დღის მიწა მუხათში (1661. Sd—50). — აქ იესეს 1 კომლი ყმა ჰყავდა (1658—75). Hd—14534-ბ).

მუხანი სოფელი, ალექსანდრე მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — თურქისტანმა მიჰყიდა ხელშეუვალად თავის პატრონ იესეს მამული მუხანი ხევის პირისაკენ სოლაღაიანთა და ტაგნაგეთის საზღვრებამდე (1558. Sd—734). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელ მუხანის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — ეწერა 1 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

მუხრანის ზვარი მართებდა კულუხი ([1691]. Sd—1932-დ).

მუხრაულნი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფ. ორორტასი, რომელიც მუხრაულთა ახლოს მდებარეობდა (1579. Sd—464).

მუხურა გედეონ [ლორთქიფანიძემ] იყიდა მიწა, რომელიც მდებარეობდა არგვეთის ძველ ციხესთან და მუხურის დალმა (1664. Sd—2916).

მღდისი მისი მამასახლისი მოხსენებულია ნასყიდა შანშიაშვილის ნასყიდობის წიგნში (1687. Hd—6112).

მღვიმე მისი ყმები იყვნენ დედაბრიშვილები (1412. Sd—133). — მეფემ უბოძა გრიგოლ დედაბრიშვილს კანდელაკისეული მამული მღვიმეში (1541. Sd—134).

მღთების (ღთების) საყდარი ბებაშვილებმა, ჭუმხაშვილებმა და მიქელაშვილებმა პირობა მისცეს თავიანთ განაყოფებს, რომ აღარ შეედავებიან მათ

მღთების საყდარ-სასაფლაოზე (1685. Hd—11362). — ღ თ ე ბ ი ს დეკანოზი აბრამი დამწერი და მოწმე იყო ბერის მიერ ლიპარიტიშვილებისათვის მიცემული ნაფუძრისა და სახლის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9993).

მჩხიკვთა ზაზა სადგინაშვილმა მიჰყიდა ნიკოლოზ მანგლელს შიო მამუკაშვილი და მისი შვილი მამუკა მჩხიკვთაში (1699. Hd—2250).

მცორვეთი იესე ბარათაშვილმა შესწირა გუდარეხის ტაძარს სოფ. ვერხვნალი, გარდა მცორვეთისა და ღორისთავის სახნავ-სათესისა (1630,III.14. Hd—14667-ა). — აქ მცხოვრები ბელ[ა]შვილი მამულითურთ საუფროსოდ ერგო ოთარ [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—11895).

მცხეთა მოხსენებულია სერაპიონ მაწყვერელის მიერ თეოდორე კათალიკოსისათვის ერთგულების შესახებ მიცემულ პირობის წიგნში ([1425—35]. Ad—320). — თათრებმა შეიპყრეს ტფილისის ციხეში ბაგრატ მეფე და ანნა დედოფალი, დააქციეს საქართველოსა და დედაქალაქ მცხეთის ეკლესიები და ციხეები. მათ აღსადგენად ალექსანდრე მეფემ თავისი ბატონობის დასაწყისში. 1425 წელს მოსახლეობას შეაწერა მალის გადასახდი, რომელიც მანვე ამოკვეთა 1440 წელს (1440. Hd—1368). — ბაგრატ მეფემ განუახლა მ ც ხ ე თ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს, ელიოზისძეებს: შამოელს, ისხაკას, მოშიას, ყაზნიას, მამიას, [ი]ბრაიმს. შალომას, დავითს და მიხელას სასისხლო სიგელი და გაუჩინა სისხლის საფასურად 600 ათასი კირმანეული თეთრი (1457.IV.1. საისტ. მოამ., II, 1924, გვ. 17—19). — მცხეთიშვილები მოწმენი იყვნენ მარკოზ კათალიკოსის მიერ ბერინასშვილსა და ედილასშვილისათვის ყმა-მამულის მფლობელობაზე მიცემული დასტურის წიგნისა (1464.XII.13. ისტ. საბ., II, გვ. 14). — ნ. ქართლი (1467. ისტ. საბ., II, გვ. 19—20). — მცხეთაში მდებარე სენაკი, სახლი და ს ა მ ც ხ ე თ ი ს შ ვ ი ლ ო დავით კათალიკოსმა უბოძა მახარობელ მაღალაძეს (1470. Hd—1352). — აქ მდებარე სახლი და მამული მამისამ სამემკვიდრეოდ დაუტოვა თავის ძმისწულ ზაქარიას (1477. Hd—1354). — დედაქალაქი, მოხსენებულია გაბრიელ ამბა-ალაეერდელის პირობის წიგნში ([1466—79]. — Ad—125). — მცხეთის ქადაგმა მახარებელმა დაწერა გულშარ დედოფლისათვის ქვათახევის მონასტერში აღაპის გაჩენის წიგნი (1488. ისტ. საბ., II, გვ. 23).—მცხეთა მოხსენებულია ზევდგინიძის საჩიერის წიგნში ([XV]. Hd—14903). — აქ მდებარე ამბროსისძისეული მამული, ბერინაშვილს რომ ეკავა, კონსტანტინე მეფემ და შიო კათალიკოსმა უბოძეს იოვანე ჭარმაულს (1505. Hd—14681). — აქ ქადაგ ივანისძეთა ნაქონი უმკვიდრო მამული ალექსანდრე მეფემ დაუმტკიცა მცხეთის ქადაგს მახარობელ მაღალაძეს (1501. Qd—6995).— მოხსენებულია თაყა ამილახორის მიერ სამთავისის ეკლესიისათვის მიცემულ მამულის შეწირულების წიგნში (1513. Ad—12). — თეოდოსი კათალიკოსმა უბოძა ქადაგ რომანოზ მაღლისძეს მცხეთაში მშვილდიშვილისეული სახლ-კარი ბაღჩა-ბოსტანითურთ (1542. Hd—1353). — მ ც ხ ე თ ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ დომენტი კათალიკოსის მიერ დავით ტაერიშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1600. Qd—4). — იოანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს, ელიოზისძეებს დავითს, როსებს, ქაიხოსროს და სხვებს მათი ბიძის ლაზარეს შვილის მამუკას უმკვიდროდ დარჩენილი მამული (1616. Qd—39). — იოანე კათალიკოსმა უბოძა მათვე სასახლე მცხეთაში (1616. Sd—543). —

ქრისტეფორე კათალიკოსმა უბოძა კანდელაკ შიო ეგაძეს მუქაფა ახვსებაძის მა-
ზული მცხეთაში (1623. Hd—9446). — მცხეთელნი მოწმენი იყუნენ ევდემოზ
კათალიკოსის მიერ ხუცია მაღალაძისათვის მიცემული სოფლის წყალობის წიგ-
ნისა (1634. Ad—1700). — „სრულიად მცხეთელნი“ მოწმენი იყუნენ ევდემოზ
კათლიკოსის მიერ დავით გედაონიშვილ-ელიოზიძისათვის მიცემული მამუ-
ლის წყალობის წიგნისა (1638. Hd—1710). — ესინიე მოწმენი იყუნენ ნინო-
წმინდელთა და თვალელთა შორის სახოზბის ჭალის გამო დავის გარიგების წიგ-
ნისა (1651.V.29. ისტ. საბ., IV, გვ. 33—34). — სამცხეთო აზნაურისშვი-
ლები მოწმენი იყუნენ მამუჩი ჭავჭავაძესა და წინა საგარეჯოელთა შორის მი-
წებზე დავის გარიგებისა (1654.I.2. ისტ. საბ., IV, გვ. 34—35). — მცხეთელებმა
ფიცი დადეს ვაჩნაძესა, ჯანდიერიშვილსა, ჭავჭავაძესა და კათალიკოსს შორის
მამულზე დავის გარიგების გამო (1654. Hd—8389). — ერთობით მცხეთელნი
მოწმენი იყუნენ ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ ზაქარია ჭარმაულისათვის
მიცემული ყმა-მამულისა და საკელოს წყალობის წიგნისა (1657. Qd—31, 64).—
მცხეთელნი მოწმენი იყუნენ იესე გამცემრისშვილის მიერ დომენტი კათალიკო-
სისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1673.IV.20. ისტ. საბ., IV,
გვ. 51—52). — პატა თაზიშვილმა პირობა მისცა ზაზა სახლთ-უხუცესს „შეგდე-
ბული“ გლეხის დაფიცების შესახებ: თუ სამცხეთო 3 ივნისამდე მას არ და-
აფიცებდა, თაზიშვილები გამტყუნდებოდნენ (1673. Hd—5521). — მცხეთის
მგალობელი იყო ბერუკა (1678.VII.1. Sd—2295). — არჩილ [კახთა] მეფემ
ებრძანა კათალიკოსის ჯვარისმტვირთველს მოეყვანა მახსოვარი კაცი იმ მცხე-
თელთაგან, რომელთაც ფიცი მისცეს ჩერქეზელთა და გარეჯელთა დავის გამო
([1664—75]. Ad—102). — მარიამ დედოფალმა გათავისუფლა თბილელის ყმე-
ბი მცხეთის ბაკისაგან ([1634—80]. Sd—765). — მცხეთას შემოიხვეწნენ მო-
ნასულიძეები (1684.II.1. სოც. დოკ., I, № 105). — იოანე კათალიკოსმა უბოძა
მცხეთისშვილ დემეტრე აღსებაძეს ომფორის მოლარეობა და საციციანოს მა-
მამთავრობა (1689.I.26. Hd—4779). — მცხეთის გალავანს გარეთ ქვითკირის
სასახლე ააშენებინა ნიკოლოზ კათალიკოსმა, მანვე მცხეთის სამწყსოს „შემა-
ტა“ წაღული. უწლევი და ღოღეთი (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). —
მცხეთელნი მოწმენი იყუნენ იოანე კათალიკოსსა და გივი ამილახორს შორის
ზერტულისა და სობისის რუებზე დავის გარიგებისა (1692.V.23. Ad—1251). —
ერთობით მცხეთისშვილები მოწმეები იყუნენ ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ
პატა ჭარმაულისათვის მიცემული ეკლესიის წყალობის წიგნისა (1693. ისტ.
საბ., IV. გვ. 69). — მცხეთელნი მოწმენი იყუნენ იმავე პირის მიერ გიორგი გე-
დაკანისშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1694.X.5.
Hd—13999). — მცხეთის მემკვიდრე ყმა იყო ქობულაშვილი. მცხეთის კალა-
ტოზი იყო გიორგი (1696. სოც. დოკ., I, № 138). — ერთობით მცხეთელნი მოწ-
მენი იყუნენ ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისათვის მიცემული სა-
ღაპე წიგნისა (1696. სოც. დოკ., I, № 138). — ისინიე მოწმენი იყუნენ იოანე
კათალიკოსის მიერ ერთობით თრიალეთათვის მიცემული ხელშეუვალობის
წყალობის წიგნისა (1697.IV.23. სოც. დოკ., I, № 142). — მცხეთის კანდელაკ
გრიგოლ და მცხეთელნი მოწმენი იყუნენ ზაქარია ზუმბულაძის მიერ ქადაგ არ-
ქიმანდრიტ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის

წიგნისა (1697. Qd—7025). — მცხეთის დეკანოზი იყო ზაქარია (1697. ისტ-საბ., IV, გვ. 71—72). — იმერეთიდან მცხეთაში ჩამოვიდნენ კახთა მეფე, იმერთა მეფე და ლიპარტიანი. იმერთა და დადიანის ლაშქარი მცხეთიდან შემობრუნდა ([XVII]. Qd—826). — მცხეთის დეკანოზი იასე მოწმე იყო იოანე ზუნბულიძის მიერ შერმაზინ მაზევაძისათვის მიცემული მიწის წყალობის წიგნისა [XVII]. Hd—14897). — მცხეთელნი მოწმენი იყვნენ მარკოზ გულჯვარაშვილის მიერ თავის შვილ თამარისათვის მიცემული სააღაპე წიგნისა ([XVII]. Ad—1871).

მცხეთა (სვეტიცხოველი) ნიკოლოზ კათალიკოსმა ამოუგო სვეტიცხოველს მიტაცებული სიგლასანი ხუცები სოფელ ორომაშენიდან ([1241 წლ. ახლოს] საისტ. მოამ., II, 1945, გვ. 3—5). — ულუ-დავითმა უბოძა არვანბეგ საბაისძეს სვეტიცხოველის მამული შეუბანი, რომელიც ნიკოლოზ კათალიკოსმა კვლავ დაუბრუნდა სვეტიცხოველს ([1270—72 წლ. ახლოს]. საისტ. მოამ., II, 1945. გვ. 5—6). — იოანე კათალიკოსმა აქ აკურთხა ნიკოლოზ მაწყვერელი ([1346 წ. ახლოს] Ad—547). ალექსანდრე მეფემ განუახლა ძველი შეწირულებანი და კვლავ შესწირა სვეტიცხოველის საპატრიარქო საყდარს: თბილისის ეკლესია, სასახლე, ეკვარნი, მამულები, ქულბაქნი, ბაჟი, ავლაბრის მონასტერი, მეტეხი ავლაბრითა და ავლაბრის ჭალით, მტკვრის პირას სოფელი დაკონი, ახალუბანი, კრწანისი, სოფელი შინდისი, სოფ. წავკისი, მეორე წავკისი მახრაღაჯით, ხეკორძით, დიღომში სვეტიცხოველის კუთვნილი მამული, ლიხს 5 კომლი კაცი, სოფ. წინუბანი და სათოვლე მთა, სოფ. ქვაბნი, სოფ. უპიტი, სოფ. თელოვანი, სოფ. ძაღლაანი და ფაფანი, სოფ. ნაქულბაქევი, სოფ. მუხათ-გვერდი, სოფ. კარსანი, სოფ. ქართლი, მონასტერი არმაზი ციხით, სოფ. მარტაცი, სოფ. ციხე-დიდი, სოფ. ძეგვი, სოფ. სასხორი, წინარეხის მონასტერი საქადაგო-მამულით, სოფ. გუდალეთი, მონასტერი მალემწე, სოფ. ეზატი, სოფ. მოხისი დიდგორზე, სოფ. ნიში, სოფ. გომი, სოფ. ჩოჩეთი, სოფ. მეტეხი, 7 კომლი კაცი ჭვიროსში, სოფ. გრაკალი, ატენის ყველაფერი სვეტიცხოველისა: ეკლესია, ციხე, გლეხები, მამული და აგარაკნი, სოფ. ცოლოთი, 7 საკომლო ხევდურეთს, სოფ. სარკისი იმერხევს, სოფ. სანებელი სამწევრისს ზევით, ნუას სამხარაძენი, სოფ. ბარეთი თრიალეთს, ჭედის უბანი, მილისს სოფ. წითელი საყდარი, ზურის უბანი ახალშენი, ბეშქნაშენი, 20 კომლი კაცი და ეკლესია ზემო ანტრაპს, სოფ. მაჩვთა. უბანი, ახალქალაქი, ნადვალევი, ორომაშენი, ფარავანასტი თავი, ფარავანი, სოფ. ფოკა, სოფ. საბაწმიდა, კეთილდაბა, მარმაშენის თავს სოფ. წყარო-მრავალი და წინუბანი, სოფ. ფუძემარგი, სოფ. ველთა, სოფ. მთავარანგელოზისა ტაშირს, სოფ. ამუჯი ეკლესია-მამულით, სოფ. დისარღი, 10 კომლი სომეხი მამულით ახტალას, სოფ. ვარდისუბანი ახტალის-ხევზე ლორეს, სოფ. ყორანთა ორბეთის ძირს, წმინდა გიორგის მონასტერი სიონს გაღმა, სოფ. გოგია ზვარეთს, სოფ. ალასტანი, სოფ. ზემო გომი და გაღმა დიეში, სოფ. ბნელა, სოფ. ოკამი ახალქალაქის თავს, სოფ. ტოლოში მტკვარზე, მოციქულთა საყდარი თუხარს, სოფ. ქვაყრილი, სოფ. სხალთა, სოფ. გიორგიწმინდა, ზემო ჯინჭარი და ქვემო ჯინჭარი არტანში, კოროშეთის მთა და სოფ. ჯვარა, სოფ. ახალდაბა არტანუჯში, სოფ. დოლისყანა, სოფ. ნიგოზეთი, სოფ. სავანეთი, ტაოში სოფლები ხევა, ახალუბანი და აგარა, 40 კომლი კაცი არტაანს მამულით არტაანში, კოლაში სოფელი და საყდარი ნათ-

ლისმცემლისა, არტანუჯის ციხე, სოფ. ციხისძირის, ახალდაბა, ბოცოს ჯვარი და აგარა, არაგვის თავის ხევს სოფელი გერგეტი, წმინდა სამების მონასტერი და უდაბნო მისი ეკლესია-სოფლებითა, ციხე გერტაული არაგვზე. სოფ. ხანდაკი, 7 კომლი კაცი ქინოანს და 10 კომლი — ორხევს, სოფ. აში, სოფ. ბაგა, სოფ. ნავაზა, სოფ. მისაქციელი, სოფ. კუნელა, სოფ. ბელტის ციხე, სოფ. საფურცლე, სოფ. თევნა, სოფ. ციხე, ბდავი, სოფ. გრემისხევი, სოფ. ყურისუბანი, სოფ. გოგილანი. სოფ. ჩიქუნური, სოფ. მუხანი, სოფ. წყალმატროვანი, სოფ. გოროვანი, სოფ. წეროვანი, სოფ. საგუდე, სოფ. ახალციხე, სოფ. კოდმანი, უდაბნო, სარკინე. მღვიმე, ბოტკო, სოფ. ტურათა, სოფ. აგარა, სოფ. აღაიანი, სოფ. კვარბეთი, სოფ. კასპი, 12 საკომლო რუხის-ბევს, სოფ. კელური, 3 კომლი კაცი წოლდს, სოფ. ნიგოზა, სოფ. უფლისციხე მონასტერ-ციხითურთ, გორში სვეტიცხოველის მამულები და ვაჭრები, სოფ. ზერტი, სოფ. ქვეში, სოფ. ფლავი. სოფ. დინევი, სოფ. ჩხიკვეთი, სოფ. სათიხარი, 9 კომლი კაცი ვანათს, სოფ. ქვაბნი. სოფ. ქორდი და პატარა მღვრევისი, ერედს გილაძენი, ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი, ქრცხინვალს ურია ელიოზიძე მამულით, რუისს ულუმბა მრულაშვილი მამულით, გორის პირს სოფ. არაშენდა და 3 კომლი კაცი ახალდაბას. კაცხის მონასტერი, სოფ. საკვია ულუმბოს ძირს, კაპთან აშურიანი. სოფ. საკირე, არაგვს გაღმა მონასტერი ჯვარისა, სოფ. ფოსი, სოფ. ჯაკვი. სოფ. ავჭალა, სოფ. კუტალა, სოფ. ოროტა, იორზე მონასტერი სიონი და ქვაბნი. სოფ. კეხთა, სოფ. ფადაშენი, სოფ. ყანიბი მამულ-საზღვრითურთ, ბერთუბანი. გიორგიწმიდა, პატარძეულნი, სოფ. ახალშენი, სოფ. ჯიმითი. სოფ. ნაპირი. სოფ. შანშიანი, სოფ. კალაური, სოფ. ვანთა, სოფ. აკურა, სოფ. ხოდაშენი. დოდოს რქის მონასტერი, საგარეჯონი, 8 კომლი კაცი შალვაურს, 5 კომლი—ფიჩხოანს. შილდის ვარცანის მონასტერი, სოფ. ვეძისხევი, სოფ. ფაშაანი, გავაზში სვეტიცხოველის მამული, ლაგოდეხი, 80 კომლი კაცი ღანუხს, 27 კომლი ბაზარს, ენისელში სოფ. ხეხი და ურია ვაჭრები, სოფ. კუნელანი და წინ-უბანი, სოფ. განლოტი. ერწოს სოფ. ჩეკური, სოფ. ნოდოურა, სოფ. ვერნაულა, სოფ. თვალეჯი. სოფ. გოროვანა, სოფ. ნოჯა, ნოჯიკეთი და პატლოანი, სოფ. წირკლი, 13 კომლი კაცი ძაგნაკორას, ანეშის მონასტერი, სოფ. ანეში, სოფ. ზემო ბიწმენი, სოფ. არჯაკლი. სოფ. ჭოპარტი, სოფ. ქვემო ბიწმენი, სოფ. იტისი. სოფ. აძვი. 4 კომლი კაცი საგურამოში, ერწოში ბოჭორმის ციხე და მონასტერი, წრობნში სვეტიცხოველის ყმამამულნი (1398.XII. Hd—8712). — მიქაელ ქართლის კათალიკოსმა მცხეთაში (სვეტიცხოველში) აკურთხა გერასიმე მაწყვერელი ([1414- -24]. Ad—522). — ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს საგარეჯო და მთის აქეთ და იქით სოფლები: ორკოშინი, ბერთუბანი, თვალნი, გიორგიწმინდა, ტაძრები, არივლი, ვერენა, კეხთა, თოლეჯი, ხუდაშენი, ვანთა, აკურა მისი უდაბნოთი, კალაური, ნაპირი, ჯიმითი, ხუდაშენი და ვეძისკევი (1428.I.21. Sd—2882. 2883). — მოლარეთ-უბუცესმა თაყა ზევდგინიძემ შესწირა სვეტიცხოველს და კათალიკოს თეოდორეს ქვეში მისი მამულებით თავისთვის აღაპის გასაჩენად (1433. ისტ. საბ., II, გვ. 4). — ამირეჯიბმა რამინ გლ[ბელისძემ და მისმა ძმამ საყდრის ამილახორმა საპამ შესწირეს „დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ[ი]ს ა კ ა თ ო ლ ი კ ე მ ც ხ ე თ ი ს ა ს ა ყ დ ა რ ს ა“ კრცხილოანში მცხოვრები ლალასძე და ერგნეთში მცხოვრები ჯოხ[ა]ძე მამულებით (1451.III.8. ისტ. საბ., II, გვ. 7). — ერის-

თავზა ვაშიყ და სარო შაბურისძეებმა, მათმა შვილებმა გიორგიმ, ომარმა, მიქამ, ვარამმა და ნუგზარმა სასჯულო და საკანონო სამების გამო შესწირეს „დედაქალ[ი]ა კათოლიკე მცხეთისა საყდარსა“ და მარკოზ კათალიკოსს თავიანთ სამკვიდრო მამული „ნოჯიკეთა ნოჯისთავი ეკლესია“ (1465.IV.23. ისტ. საბ., II, გვ. 17). „სუეტი ცხოველი, კუართი საუფლო დამირონი“ მოპაინებულია მარკოზ კათალიკოსის მიერ შეჯინიბეთუხუცეს მამისა ბერინაშვილისა და მისრი ედილაშვილისათვის მიცემულ ყმა-მამულის ფლობის დამტკიცების წიგნში (1464.XII.13. ისტ. საბ., II, გვ. 14). — გიორგი მეფემ გაათავისუფლა სვეტიცხოველი ულაყის, ხარ-ურმის, საპალნისა და ტიკის ბეგარისაგან ([1446—66]. აქტები, I. გვ. 7). — „სვეტი ღუთივ აღმართებული“ მოხსენებულია იქვე ([1446—1466]. აქტები, I, გვ. 7). — ბაგრატ მეფემ უბოძა თავის სააღაპედ დანიელ ელიოზისძეს სოფელი სასხორი: დანიელს ყოველ ნიკოლოზობას ჟამი უნდა ეწირვებინა მეფისთვის სვეტიცხოვლის ყველა მღედელ-დიაკვნებით (1467.I.21. Qd—27). — სვეტიცხოვლის სოფლების გლეხებს მალი ამოუკვეთა გიორგი მეფემ (1468.III.22. Hd—1370). — მცხეთაში აღმართულ სვეტიცხოველს ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა „ვეჟინის პირთა საპანკისო სახასო ახალშენი“ და თორღიანი (1479.I.24. Ad — 1838). — „დედაქალაქისა მცხეთისა საყდარი“ მოხსენებულია დორეთოს კათალიკოსისათვის მიცემულ სააღაპე მამულის შეწირულების წიგნში (1504. ისტ. საბ., II, გვ. 25). — სვეტიცხოველი მოხსენებულია თაყა ამილახორის მიერ სამთავისისათვის მიცემულ მამულის შეწირულების წიგნში (1513. Ad—12-ა). — მცხეთის საყდრის [სვეტიცხოველის] ქადაგმა მარკოზმა დაწერა [ბარათაშვილების] გაყრის წიგნი (1523. Ad—1299-ა). დაეით მეფემ ბერად შედგომის დროს შესწირა სვეტიცხოველს და ბასილ კათალიკოსს თავის სააღაპედ მოხისი. იქაური გლეხები და გორელი ჯამბეგაშვილი და ვეფხუაშვილი: ამათ უნდა მიეტანათ გამოსაღები და ემუშავნათ სვეტიცხოველისათვის (1524. ისტ. საბ., II, გვ. 32—33).—ლეონ [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს ხანდაკში მცხოვრები მღვდელი ლონგინოზ კირაული და მისი ძმა ნიკოლოზ მათი მამულებით. გაყოლებში მცხოვრები 20 კომლი ყიზილაანი, ჩხუპიანი, პაულაანი, შურიანი და დააკისრა მათ მარტო სათათრო და საურის გამოსაღები, აგრეთვე შესწირა ვეძისხევი და ფაშაანი სვეტიცხოველის ქადაგს გედეონ მაღალაძეს, რომელსაც ამის გამო გიორგი მეფის საფლავისათვის უნდა ემსახურა, აღაპი გადაეხადა (1537. ისტ. საბ., II, გვ. 35). — გიორგი ბაგრატიონმა შესწირა მცხეთაში მეორე იერუსალიმს ნასოფლარი სათიბი და სოფელი ზერტები საზღვრებით: აღმოსაელეთით სობურის სამანი, ჩრდილოეთით კილბრის საზღვარი, დააელეთით მეჯუდის-ხევი, სამხრეთით კუარხეთის ლაგმას-ხევი (1540. ისტ. საბ., II. გვ. 37—40). — ლუარსაბ მეფისა და [გერმანე] კათალიკოსის ბრძანებით აიწერა და სვეტიცხოველის საყდარში ფიქსირებულ იქნა ნივთები. განძი და წიგნები: ვერცხლით მოჭედილი და თვალითა და მარგალიტით შემკული სალოცავი და ყელსაკიდი ხატები. სამღვდელმოძღვრო ყელსაკიდი. ბაღონი. ენქერი. სტიხარი. ოქროს ღილები, ონფორები, ქუდები, სამკლავენი. გინგილა. კონდაკი საჭირავები. ოქროსა და ვერცხლის ბარძიმები, ოქროს თეფშები. ვერცხლის კამარა. კოზები. საცეცხლურები, გარდამოხსნა, ტრა-

პეზზე გადასახურავი. ბატის გადასახურაეი, სერახგი, ოთხთაენი, დავითხი, სამოციქულონი, მარხეანი, ზადიენი, სვინაქსრები, ტიბიკონი, ჩუკულის კანონი, კიბეწიგნი, მეტაფრასი, ქართლის ცხოვრება, კურთხევანი, კონდაკი, სადღესასწაულო წიგნი, ვერცხლის სასანთლეები, სურები, ნალბაქები, თასები, ოქროს კანდელები, ვერცხლის ბეჭედი, ეელოგიის ჯაჭვი, რკინის ფანრები, წიგნის საკითხაეი რკინის სკამები, ტაბტზე საფენი ხალიჩები და სხვა (1546.II.4. Hd—501). — მამისა ამილახორისშვილმა სვეტიცხოველს შესწირა სახასო ხოდაბუნი კირბლში საზღვრებით: შარას ქვეშეთ, დაღმა სობურს რუმდი, ქვემოთ სობურს საზღვრამდი" ([1556—59]. ისტ. საბ., II, გვ. 43). [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ნასოფლარები: [ძ]აღლის—ქევი, შუა გომნი, სათადგმენი; სოფლები: ქუაბანი, უპიტი, თელოვანი, კარანი, ნაქულბაქევი, მუხად-გუერდი, არმაზის ციხე მონასტრით და ბაღით, ციხე-დიდი, ძეგუი, ხასხორი; კავთისხევში გოგელიშვილისეული მამული; ნიაბი, გომნი. მეტეხნი, ჩოჩეთი; ატენში წინუბნელნი, გორელნი, თბილელაშვილნი; გოგნაურში ზვარი, ჭუედურეთში გლეხნი და მამულნი, ტანძიელნი; იმერკევში მაჭანისძე, ქორაზნაში ვენახი; სოფ. სარკე. დიდგორს სოფ. მობისი, დიღომში ვენახი, თრიალეთში სოფ. ეძანი, უკანა ბეშქენაშენი, ახოტი ნასოფლარებით, ცეცხლაძეები მამულებით. გორში ვაჭრები და გლეხები სახლ-კარ-ქულბაქით და მამულებით, გორის პირას ზემო ახალდაბა, ფალავანდიშვილისაგან შემოწირული 18 მთელი მამული; ტირძნისში გელდიაშვილი, გუდაძე, უტიძე, ფილიპაშვილნი; ზემო მეღურეკისს 1 მთელი საგლეხო მამული, ცოტა მეღურეკისის ნასოფლარი, ერეთს 2 კომლი; სოფლები: ქორდი, ზაკუი, სათიკარი. დისევი მონასტრით; ფლავში მრუელიშვილი, ჭინქველაძე, ჭარბელიძე, ცალყუერიძე მამულებით; კულბითს 3 საგლეხო; ვირშა; წიასწყალს ერისთვისაგან შემოწირული არჩაძეები მამულებით; რუისში მროველაშვილი; ქუეში, ზერტი, ბერშოეთში შეწირული საგლეხონი, რეკის-კევში 3 საგლეხო, ნიგოზანი; ქარციძენი და ტაირიშვილნი მამულებით; აღაიანი, აგარაკი, ტურათა, ჭსნის კონი წყლის პირით, ჩიქუნური, მუხიანი. ველური; ნასოფლარნი წყალშატროანა, წეროვანი, გოროვანი; მაკუჭაძენი; ნასოფლარი შარაფხანა, თეკენა, კასპი, ციხე ბლავი; სოფ. კუელენელნი. მისაქციელურნი, ნავაზა, აშს ოდიშელისძენი, ფონთხელა, კოპინასშვილი, ქინძარა, ულუმბა, საგუდე, კოდმანი; ნასოფლარი საუანეთი, შუა მუხვნარი (1559.XII.1. Ad—1572. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121). — გოგიბასშვილებმა შესწირეს სვეტიცხოველს 2 ოქროს კანდელი და სათარხნოდ 30 კომლი მობეგრე გლეხი მაჯიხელში (1559. ისტ. საბ., II, გვ. 44—45). — კოსტანტინე და მისმა ძმებმა შესწირეს სვეტიცხოველს ტფილისის ქალაქში 1 სასახლე კალობანს, წინ შარამდე და მიწა კულბითს (1560. ისტ. საბ., II, გვ. 45). — საბა მტბევარმა ერთგულების ფიცი მისცა დომენტი კათალიკოსს და თავისი სიმართლის დასტურად სვეტიცხოველი მოიყვანა ([1556]. Ad—720). კოზმან კირუალისძემ შესწირა სვეტიცხოველს ჭინეანისპირული მამულები და მამულები ხანდაყში (1566—Hd—2579). ლეონ [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს, ჩამორთმეული სოფლის ჯიმითის სანაცვლოდ, 16 კომლი კაცი მათი საბატონო და ამოხეულეო გამოსაღებითურთ (1569. სოც. დოკ., I. № 8). — ნიკოლოზ კათალიკოსმა, სიმონ მეფის ნებართვით, ვახტანგ ბატონიშვილს გამოართვა ყურისუბანი და მის

სანაცვლოდ მისცა სვეტიცხოვლის მამულები: სოფ. ვირშა მონასტრით, წიას-წყალს არჩუაძეები, ერეთს გილაშვილი, სოფლები ზაკვი, ქორდი, ტრინისი, ცოტა მეღვრეკისი და სათიკარი, მეღვრეკისში ვენახი და ახალდაბაში ვარდან ფალავანდიშვილის მიერ შემოწირული საგლეხოები (1574.III.14. Ad—1654). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა „სუეტსა ღუთივ აღმართებულსა და კუართსა საუფლოსა და მირონსა“ 40 კომლი ქაცი ბეგარითურთ (1575. ისტ. საბ., II, გვ. 49). — იმავე მეფემ მასვე შესწირა მონასტერი ხატის-კარი 42 კაცით, კიდევ 17 კომლი, საწისქვილე, საკონე და საფიცხულე ალაზანზე, ისე რომ ბუეთანს ზემოთ და ინაბოტის-წყალს ქვემოთ სვეტიცხოველს ვერავინ შესცილებოდა; შეწირულნი გაათრახნა გამოსაღებიდან, გარდა სათათრო საურისა (1579. სოც. დოკ., I, № 10). — ნიკოლოზ კათალიკოსმა სთხოვა და ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველის საპატრიარქო საყდარს ყმა-მამულთა შეწირულებანი: ხორაუბში საწინამძღვრო მონასტერი ყუავის-თავისი კილმატი, ასკილოვანი, კილმატის ციხე, ვერენას ციხე და აქედან ადგილი საფისტეს ციხემდე, ფადლაშენი, ტაზრები, კეხთა, საბა-წმიდა, მიწა კაწარეთში საზღვრებით: ძმარაშვილის სახლთან მდებარე ღელე და იორს გაღმა რაჟიანთ-ეკლესიის ქვემო ადგილი; მიწა სამგორი საზღვრებით: თამარ მეფის რუ, ბოსტან-ქალაქი, საჯერნეს ტბა, გრძელი ტბა, ამართული ქვა, შურთბაანთ კლდე, ლურჯი ფლატო, მამადის გორა, საქალაქო შარა, დამპალის კერძო იორთაკენ, მარტვილთ-მონასტერი, იორის პირს სამნი გორანი, იორს გამოღმა დედოფლის წისქვილნი, მცხეთის გორაკი თარაქთ ბოლოს, ბრმა წყარო. შავქეთთ-ღელე, დავალთისას იქით ღელე მარიამ-ჯვარად წოდებული, სტაფის თავს ველი ეკლესია, ველტყიანი, შავწყაროს ღელე, ოლე ხოდაშენსა და წინანდლის შუა, ბაღთკარნი, ვანთა მონასტერი; ბუშატი მონასტრით, მთავარანგელოზის საყდარი შაშიანთ-თავს, მარმაროვა საზღვრებით: მოდამნახის ციხე, გოგას წყარო, დევთ-ნასახლარი, ომანის სასაკლაო, გომი-წყალი გომი-წყლისა და ჭერმის-ქვეის შესართავთან: წმიდა გიორგის საყდარი რაჭახში, ვარცა, დუმას-უბანი, შენოანთ-უბანი, სოფ. ახალშენი, თოღიანი, კაბის-უბანი, შალვაშვილები მამულით, ჯვარნასოფლარი, აბშანში 5 კომლი გლეხი და 1 ზვარი, ალაზანს გაღმა ფიჩხოვანში 12 საგლეხო მამული, 2 კომლი გლეხი, 12 კომლი ვაჭარი სომეხი და ურია პანკისში, 2 გლეხი გრემში, გველრდის ძირს ვეძისქვეში ვარცანის მონასტერი და სოფ. ვეძისქვეი, გიორგი-წმიდა, გოგანი, ღელისუბანი, ქორეთი, სეფორიის-ღელე და ბიწკინტელის-ღელე, ჩელტი გრემის გამოღმა თეთრ კლდემდე, სოფ. ფაშაანი, 7 საკვამლო და 1 ზვარი გავაში, სამცხეთო მამულები ლაგოდეხში, ღანუკში, ვარდიანში, ჭარანში; ელისნელში ლერწანი და სოფ. კულენანი, ბაზარში სასახლე, საყდარი და 18 კომლი ურია და სომეხი; ერწოში ბოკორმის წმიდა გიორგისა და წმიდა არჩილის მონასტრები, სოფ. კეერნაძენი, სოფ. ნოდკოტრასა და ასადურნი, სოფ. ჩეკურნნი საზღვრებით: აღმოსავლეთით ნეფის წყარო, ზემოთ გოგის ფლატე, დასავლეთით ძლევის ჯვარს აქეთ დაშპალი წყალი; 12 მთელი მამული ძაგნაკორნაში უღელტეხილთა გორასთან; სოფ. ანუში და ანუშის ყოველად წმიდის მონასტერი ოდიშელისძენი; სოფ. წირდალი, ხატის-წობენა, ნოჯა, ნოჯიკეთი, პიტლოანი, ევკეტი, აბანო, გორანა, თორჯნი, სოფ. ილი ხარჭაშნს, თიანეთის თავს სოფ. ჯიჯეთი, სვეტიცხოველის

ეკლესია და გლეხნი ბამანძურიძენი; ხანდაკს კირაულნი; სოფ. ბაგა, ცოცხაძის მაშული და სოფ. ჭოპორტი, სოფ. ბიწმენი, 2 სახლი გიჯიურელნი, 5 მთელი საგლეხო მამული ახატანს, მეორე ბიწმენი, სოფ. ბოკოწინი, სოფ. არჯაკალი, მიწობელნი; სოფლები იატისი, ზაქარიანი და აზვი; ზედაძნელაშვილები საგურამოში, გორის-უბანს წყალსთველასშვილი, ჯვარის მონასტერი; სოფ. ფოსვი, სოფ. ჯაკვი, ნასოფლარი ავჯალა; სოფ. ოროტა საზღვრებით: მოლამური, გოგიას-ქევი, უნაგირას ქვას ქვევით გარდაკვეთილამდე; გლდაწში ღაჭიაძეები, ნასოფლარი კუტალა, ლილოს გვერდის სოფელი ახალდაბა; სოფ. ჯიმითი საზღვრებით: დასავლეთით საყარაულოს კოშკისაკენ თუთუბოს ღელე. ნასოფლარი ნაკუერცხალა, ღრმა ღელე, საგუელე ქვა, გაღმით დავით აღმაშენებლის აშენებული ჰიაბერთ ეკლესია, ფხოელთაკენ ლაკუთა პირს ჩაელით წვრილი ღელე, დიდი გორა, კულენანნი ჩუმლაყისაკენ, ძამაურა, წვრილი ხევი, გაწყუეტილა წნორის მიდგამდი, რაჯაკი, მისი მიდგმა და მისი ნასოფლარი; გაღმა შავწყლის პირს სოფელი წითელანი (1579. Sd—464). — სიმონ მეფემ გაათარხნა სვეტიცხოვლის [ტფილისელი] მოქალაქენი და გორელი ყმები, რომელთაც მარტო საური დაუტოვა (1583.XII.7. აქტები, I, გვ. 9, Hd—1374). — ნიკოლოზ კათალიკოსის ძმებმა ბარათაშვილებმა სვეტიცხოვლის თეთრი და საქონელი დახარჯეს. ამის ასანაზღაურებლად მათ სვეტიცხოველს შესწირეს ნასოფლარი ეელკეთილი საზღვრებით: ყორანთა სამშვილდისა და სატრედოს საზღვრები (1587. ისტ. საბ., II, გვ. 55—57). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა ყარა-აბალას სვეტიცხოვლის მამულები: სოფ. ვეძისხევი და ფაშაანი, ხევთუბანი და გიორგანი, ორივე ხევი მაღლა მთიდან დაბლა თეთრაკლდემდე რაც საველე არის. ხევს გაშოლმა გრემის მხარეზე. შემდეგ ნიკოლოზ კათალიკოსის თხოვნით, მეფემ უკან დაუბრუნა ეს მამული სვეტიცხოველს. რომელსაც შეეძლო მასში თავისი მოურავისა და ქადაგის დაყენება, საბალახოს, აბრეშუმისა და დიდი სათთორო საურავის აღება. მეფემ კი თავისთვის დაიტოვა ლაშქარ-ნადირობა და ვარცანის მონასტერი, სასახლე და ციხე, რომელიც სვეტიცხოვლის ყმებს უნდა დაემუშავებინათ ([1574—1595]). Ad—786, 614). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ შეუწირა სვეტიცხოველს სოფლები ჯიმითი და ლანუბი ყმებითურთ (1601. სოც. დოკ., I, № 13). — იოანე კათალიკოსმა უბოძა რევაზ სახლთ-უხუცეს ამოვარდნილი გიორგი მეჭურჭლის სასახლე და ჭურა იმ პირობით, რომ ნაბოძებ ადგილზე დასახლებული პირი სვეტიცხოველს სანთელს გადაუხდიდა ყოველ წელიწადს (1612. Ad—1708). — სვეტიცხოვლის სახლთ-უხუცესი იოანე მოწმე იყო მოსეს მიერ იოანე კათალიკოსისათვის მიცემული პირობის წიგნისა (1613. ისტ. საბ., IV, გვ. 9). — სვეტიცხოველს მამული და 9 კომლი ყმა, ჰყავდა ჭიკანში გავაზის თავს, ლევან [კახთა] მეფის შეწირული. ყმები ლევან მეფის მოაღაპენი იყვნენ (1613. ისტ. საბ., IV, გვ. 9). — ლევან [კახთა] მეფეს აღაპა უბძიდნენ სვეტიცხოველში (1613.ისტ. საბ., IV, გვ. 9.) — თეიმურაზ [კახთა] მეფის ნებართვით, დავით ალმატალის შვილი ეყმო სვეტიცხოველს (1615. Ad—1609). — ბაგრატ მეფემ შესწირა მას სოფელი ახალციხე დეკანოზის მიერ იქ დასახლებული კაცების გარდა (1618. I. ისტ. საბ., IV, გვ. 10). — ბაგრატ მეფემ უბრძანა ტფილისის მელიქსა და მამასახლისს, რომ ქალაქში მცხოვრებ სვეტიცხოველს ყმებს ბაშმალს ნუ მოსთხოვდნენ ([1616—19]. სოც. დოკ., I, № 19). — თეიმუ-

რაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონებმა სვეტიცხოველს სოფელი საფურცლე წა-ართვეს. შემდეგ ზურაბ [არაგვის] ერისთავმა ეს სოფელი „ხმლით იშოვა" და კვლავ სვეტიცხოველს შესწირა (1628.I.1. ისტ. საბ., IV, გვ. 12). — ხორე-შან დედოფალმა შესწირა სვეტიცხოველს ლუარსაბ მეფისა და თამარ დედოფ-ლის სააღაპედ ზემო ქართლში სოფ. ოსიაური, გარდა იტრიის ეკლესიის მამუ-ლისა (1629.X.13. ისტ. საბ., IV, გვ. 12—15), — სვეტიცხოველის კანდელაკი მოწ-მე იყო გიორგა და ხუცია აღაიანელების მიერ სუმბულიძეებისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნისა (1630.XII.25. სოც. დოკ., I, № 28). — თეიმურაზ მე-ფემ სვეტიცხოველს ამოუკვეთა საური და მალი (1630. Sd—2908).—თეიმუ-რაზ მეფემ მას შესწირა გორელი სომეხი თავის და ხვარაშან დედოფლის სა-აღაპედ (1631. ისტ. საბ., IV, გვ. 15—17), — სვეტიცხოველი მოხსენებულია ევ-დემოზ კათალიკოსის მიერ ხუცია მაღალაძისათვის მიცემულ სოფლის წყალო-ბის წიგნში (1634. Ad — 1700). — სვეტიცხოველი მოხსენებულია თეიმურაზ ბერბეულიძის პირობის წიგნში ([1634—43]. სოც. დოკ., I, № 32). — სვეტი-ცხოველი მოხსენებულია დოკუმენტში (1645. აქტები, I, გვ. 18). — როსტომ მეფემ შესწირა სვეტიცხოველს სამცხის აწყურიდან ღოღეთს გადმოსახლებუ-ლი რუსიშვილი (1645. სოც. დოკ., I, № 38). — სვეტიცხოველის კანდელაკი მოწ-მე იყო ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ რამზია რატიძისათვის მიცემული მა-ჭუღლის წყალობის წიგნისა (1648. Ad—352). — ამილახორის სადროშოში შე-დიოდა უველაფერი, რაც „გორს ზედათ ან სადედოფლო" იყო, „ან სუეტის ცხოველისა და იელუსარემისა" ([1606—48]. Hd—2124). — ნინოწმინდელთა და თვალელთა შორის დავის გარიგების შედეგად სახოხბის ჭალა სვეტიცხოველს დარჩა. სვეტიცხოველის კანდელაკი შიო მოწმე იყო ამ გარიგებისა (1651.V.29. ისტ. საბ., IV, გვ. 33—34). — სვეტიცხოველი მოხსენებულია როსტომ მეფის მიერ დავითის ქვრივისათვის მიცემულს წყალობის წიგნში (1653. Qd—1653).— ბარათაშვილებმა შესწირეს სვეტიცხოველს ყმა ფუტრეველი გოგოჯანაშვილი (1654. Ad—1874). — მისი ყმები იყვნენ თავმგურგალელნი გედაონიშვილები და მაღალაშვილები (1654. ისტ. საბ., IV, გვ. 35). — ქრისტეფორე კათალიკოსმა უბოძა სვეტიცხოველს ყმას ზაქარია ჭარმაულს სვეტიცხოველის ყმა-მამული ბროწლეთში (1655. Qd—31, 64). — როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა განუახლეს სვეტიცხოველს საბალახოს შეწირულობა (1656. Ad—1737). — დიდმა ბატონმა ლუარსაბმა სვეტიცხოველს შესწირა ახოტი და ნასოფლარები: დალანი, მეძლეთი, გოგასგველრდი, სახუევანი, შეხუეტილა და ღანიბანი. შემდეგ ეს ადგილები ლუარსაბმა უბოძა სვეტიცხოველის აზნაურს ზურაბ ელიოზის-შვილს (1657. Qd—2153). — საპატრიარქო ეკლესია, მას ჟამთა ვი-თარებისაგან მოეშალა მეტეხთა ღვთისმშობლის ხაყდრისა და სოფ. კრწანი-სის შეწირულება, რომელიც ქრისტეფორე კათალიკოსის თხოვნით, როსტომ მეფემ განუახლა და გაუთარხნა, გარდა სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირო-ბისა (1658. Sd—2975). — ხუდადა ხოჯაშვილის ნათესავმა სვეტიცხოველს შესწირა 9 კომლი კაცი: 5 ქალაქს და 4 გორში. დომენტი კათალიკოსმა ხუდადა ხოჯაშვილს უბოძა სვეტიცხოველის ყმა-ვაჭრების მოურაობა. ვაჭრებისაგან მიღებული გამოსაღები 10 წილად იყოფოდა: 4 წილი სვეტიცხოველს ენახებო-და, 4 წილს კათალიკოსი ხარჯავდა, 1 წილით სვეტიცხოველისათვის სანთელს

ყიდულობდნენ და 1 წილი დეკანოზისათვის იხარჯებოდა (1660.V.1. Sd—2913). — სვეტიცხოველისა იყო არაშენდა, რომელიც, დომენტი კათალიკოსის თხოვნით, შანავაზმა გაათარხნა (1660. Hd—2627). — ქრისტეფორე კათალიკოსმა მიაბარა ელისე თბილელს საწალკელოში შემავალი ზედა თრიალეთის სოფლები, რომელთა შემოსავლის ნახევარი თბილელისა იყო და ნახევარი სვეტიცხოვლისა ([1638—60]. Ad—47). — ნ. გორი (1662.V.24. აქტები, I, გვ. 20). — დომენტი კათალიკოსმა ჯვარი დასწერა ქაიხოსრო ციციშვილსა და ელისაბარ დავითისშვილის ქალს, რის სანაცვლოდაც ციციშვილებმა თავიანთი აზნაური მკვიდრი ყმები—ხატია თათანაშვილი, სუხიტა მაზიტასშვილი შესწირეს სვეტიცხოველს (1664. ისტ. საბ., IV, გვ. 41—42). — მარიამ დედოფალმა შესწირა მას ქრცხინვალელი სახასო ყმები ყეზერაშვილები და გაათარხნა (1664. ისტ. საბ., IV, გვ. 38—41). — რუსი რუსიშვილმა შესწირა მას გეკაშვილის მამული ვეძისკევში (1664. Ad—1738). — დომენტი კათალიკოსმა კრულობის წიგნი დადო სვეტიცხოველისათვის ძეგვისა და ციხედიდის წაურთმევლობის შესახებ (1670.IV.15. ისტ. საბ., IV, გვ. 47—49). — არჩილ მეფემ შესწირა მას მტკვრის პირას შაბადინი, ენჩო და ენჩოს დაბლა მინდორი, ჭალა, სანაო მტკვარზე და რუს გამოსაღები სათავე, აგრეთვე შაბადინის საბელმწიფო გადასახადი (1670. VII.18. Ad —1837). — პაპუა მაღალაძე იყო სვეტიცხოველისა და სამცხეთის სახლთ-უხუცესი ქართლიდან კახეთამდე (1672.V.1. Ad—1689). — სვეტიცხოველის კანდელაკი იყო დავით (1673.IV.15. ისტ. საბ., IV, გვ. 51). — მისი ქადაგი და სახლთ-უხუცესი იყო პაპუა მაღალაშვილი (1673.XII.10. Ad—1667). — გიორგი და ლევან ბატონიშვილებმა ამოუგეს მას სოფ. წავკისის შეწირულება (1677.V.7. ისტ. საბ., IV, გვ. 53—54). პეტრე იყო მისი კანდელაკის შვილი (1678.XII.5. Hd—14194). — რევაზ მაღალაძის პაპას როსტომ მეფის დროა დაუკარგავს სვეტიცხოველის ბეჭედი (1687. Ad—1646). — იოანე კათალიკოსმა უბოძა სვეტიცხოვლის მკვიდრს დემეტრე აღვსებაძეს ომფორის მოლარეობა და საციციანოს მამამთავრობა (1689.I. 26. Hd—4779). — იგი იხსენიება ბოკოწინელთა პირობის წიგნში (1689. Ad—1612). — მისმა სახლთ-უხუცესმა რევაზ მაღალაძემ იყიდა ბატატი მაღალაშვილისაგან ბაგა ნაგოსკეზე (1690. Qd—1342). — ნიკოლოზ კათალიკოსმა სვეტიცხოველის ტაძარს ხელახლა აუშენა სამხრეთის კედელი, გამოუცვალა 5 სამხრო, სვეტზე გაკეთა სადაფჭარის ჩარდახი, მოაბატონა ჩრდილოეთის კედელი, შესწირა ვენახი რუისში და 1 კომლი კაცი აშენდას თავის სააღაპედ (1691.VII.25. ისტ. საბ. IV, გვ. 64). — პატა ჭარმეული იყო მისი ყმა (1693. ისტ. საბ. IV, გვ. 69). — აზნაური ბეჟან სეიმონელი იყო სვეტიცხოველის ყმა, რომელსაც ეუმო ნოსტელი დათუნაშვილი (1695.VI. Hd—13684). — ერეკლე მეფემ შესწირა მას შინდისი კრწანისსა და ტაბახმელას შუა და განუახლა თეიმურაზ მეფის შეწირულებანი (1695. ისტ. საბ., IV, გვ. 70—71).—ქალბალიხანმა განუახლა სვეტიცხოველს შაბადინის შეწირულება, შესწირა აგრეთვე აზამბურის რუ და კახეთის მამულები (1696. III. 24. Ad—1751). — სვეტიცხოველი მოხსენებულია იოანე კათალიკოსის წყალობის წიგნში (1696.VIII.20. Ad—1878). — მისი ქადაგ-არქიმანდრიტი იყო ნიკოლოზ მაღალაძე, ხოლო დეკანოზი—ზაქარია (1696. სოც. დოკ.. I. № 138).— იგი მოხსენიებულია იოანე კათალიკოსის წყალობის წიგნში (1697.IV,23. სოც.

დოკ.. I. № 142),—მისი ყმები იყვნენ დარბაისელაშვილები (1698. Sd—407).— იგი მოხსენიებულია იოანე კათალიკოსის მიერ გაბრიელ მანგლელისათვის მიცემულ სამწყსოს გამოყოფის წიგნში (1699.V.26. Ad—647). — იოანე კათალიკოსმა დიასამიძემ უბოძა სვეტიცხოვლის დეკანოზს ფოცხვერას სომხითში ყორანთას ქვევით მდებარე ველკეთილის მეღალეობა ([XVII]. Qd—9087). — ნაზარალიბანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს კახეთში სვეტიცხოვლის მამულთა სახლთუხუცესობა და ჯანიშინობა: „რაც სვეტიცხოველის მამულები არის... სთველს თქვენ აიღებდეთ, პურს, საბალახეს ჯურუმს და რუზედ — ბრინჯსა, სათოოს... ყოველ ოფერისაგან აიღებდე და თქვენის ხელით კათალიკოზს და სვეტიცხოველს მოართმევდე“ (1700.VI.29. Qd—1348). — ნიკოლოზ კათალიკოსმა შესწირა მას სხვადასხვა ნივთები ([XVII]. Ad—97). — იგი მოხსენებულია გაბრიელ და ნიკოლოზ ამბა-ალავერდელების პირობისა და ფიცის წიგნებში ([XVII]. Ad—1717, 74). — მეფემ თავის სააღაპედ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება ჯვარის, მეტეხის, ქადაგის, სარკისა და ვირშის მონასტრებისა, ისევე როგორც სოფელ ახალშენისა ([XVII]. Ad—712). — უმეფობის დროს ქაიხოსრო რუსისშვილმა მიითვისა შილდასა და ვეძისხევში სვეტიცხოვლის მამულები ([XVII]. Ad—823, 786-ბ). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო ყინცვისში სვეტიცხოველის მეოთხედი [მამული] ([XVII]. Hd—1636). — კათალიკოსმა მიაბარა შაშე ერისთავს სვეტიცხოველის განძი ([XVII]. Ad—49). — დიდი მოურავის შვილისშვილმა ავთანდილ სააკაძემ ერთგულების წიგნი მისცა სვეტიცხოვლის სახლთ-უხუცეს რევაზ მაღალაძეს ([XVII ს-ის II ნახ.]. Hd—1934). — გივი ამილახორმა და დემეტრე ყორჩიბაშმა სვეტიცხოველსა და სელმწიფეს დაუდევს ტყვის გაუყიდველობის ფიცი ([XVII]. Hd—2150). — ყაენმა აუკრძალა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურებს ხელის შეხება სვეტიცხოველის ყმა-მამულებისათვის ([XVII]. Ad—1759). — რევაზ მაღალაძემ, სვეტიცხოველის სახლთ-უხუცესმა ფიცის წიგნი მისცა ავთანდილ სააკაძეს ([XVII ს-ის II ნახ.]. Hd—9389). — დომენტი კათალიკოსმა საწირავი გაუჩინა სვეტიცხოველში გრიგოლ მთავარეპისკოპოსს ([XVII]. Ad—67). — ომანმა მას შესწირა მამული და აღაპი გაიჩინა ([XVII]. Ad—77). —

მცხეთის გორაკი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს სამგორი, რომლის საზღვარი იყო მცხეთის გორაკი (1579. Sd—464).

მძარეთი სოფელი არგვეთში. აქ მცხოვრები ვარდოსანიძე შესწირა ალექსანდრე [იმერთა] მეფემ გელათს და დაუწესა გადასახდელად სანთელ-საკმეველი ([XVII]. Sd—2900).

მძოვრეთი აქ მდებარე 1 საკომლო შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — აქედან 1 საკომლო წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — აქ ციცი [ციციშვილს] ჰყავდა 25 ვაჭარი და 12 ურია ([1658—75]. Hd—14534-ა). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო მძოვრეთში: წისქვილი და დავითასშვილი (საუმცროსოდ), ყანდურალასშვილები, ლუსოასშვილი, იჩქითიძე, მექვაბისშვილი, თემურასშვილები, გოზალასშვილი, ძამოასშვილები, ფარუხასშვილები, შაქარასშვილები, ვაძია ჯავახიშვილი მამულებითურთ და სხვები; ურიები: ყობიაშვილი, მათვალასშვილი, თათრისშვილი, შიმშონაშვილი მამულებითურთ და სხვები;

პაპუნას ერგო: წამალასშვილი, პაპასშვილი, ზუბასშვილი, საქინასშვილი, ზეიხ-ლისშვილი, ლუსიაშვილი, საფარასშვილი, მეკურტნისშვილი, ჭაროასშვილი, ელოაშვილი, გზირისშვილები, ზაქარასშვილი მამულებითურთ და სხვები: ავ-რეთვე ურიები და სომეხი კიკოაშვილი მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).— მ ძ ო ვ რ ე ლ ი იყო ოთია ინანაშვილი ([XVII]. Sd—1783). — მძოვრელები იყვნენ: გიუასშვილები და ინანასშვილები ([XVII]. Sd—1784).

მჭედლის უბანი ღარიბაძს ძის რძლებმა შესწირეს ვანის ქვაბებს ერთი ყანა მჭედლის უბანში ([XIV]. Ad—933).

მჭედლიური მამული როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო მჭედლიური მამულის ნახევარი ხანდაკში [XVII]. Qd—605).

მჭედლური ტყემლის მიწა ქუბა გიუაშვილმა მიჰყიდა თავის ბიძაშვილს შიოს მჭედლიური ტყემლის მიწა (1699.VIII. Hd—7257).

მხალითი მ ხ ა ლ ი თ ე ლ ე ბ მ ა მიჰყიდეს შერაზადიშვილებს ყანა ზედა ვაკეში ([XVII]. ქუთ. მუზ., № 648).

ნ

ნაბადა სვიმონ გურიელმა შესწირა აჭის წმინდა გიორგის მონასტერს ად-გილი ნაბადას დაღმა ნადირაულამდე (1614.XI.3. საისტ. მოამბ., I, 1925. გვ. 184—185).

ნაბადაის სერი სვიმონ გურიელმა შესწირა აჭის წმინდა გიორგის მონას-ტერს წითლობი ნაცხავატევსა და ნაბადაის სერს შორის (1614.XI.3. საისტ. მოამბე. I, 1925. გვ. 184—185).

ნაბამბრის მიწა ზაზუტა კოპინაშვილმა მიჰყიდა ბერინა ზარიძეს. საზღვ-რები: „აქათ ჭეჟამდის, იქით წვერამდის, ზეით კაკაშვილისა და ქვეითაც კაკაშ-ვილის მიწამდის“ (1680. Hd—6108).

ნაბახტევი სოფელი, ფლობდა ვახტანგ ბატონიშვილი. ლუარსაბ მეფემ უბოძა გიორგი საკაძეს (1609. Hd—13179). — ნაბახტევის მამასახლისის შვი-ლი არის მოწმე გიორგი დავითისშვილის მიერ ავთანდილ მარტიროზასშვილის-თვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1629.III. Hd—6356). — მდე-ბარეობდა ალის ხეობაში. გიორგი საკაძის საქართველოდან „გადაყარდნის“ შემდეგ სახასო იყო. ახლა როსტომ მეფემ იორამ საკაძეს უბოძა (1652. Hd—13956). — ნ ა ბ ა ხ ტ ე ე ვ ე ლ ნ ი მოწმენი არიან თარხან მოურავიშვილის მიერ მდივან შანშეან-მარტიროზასშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნი-სა (1676. Hd—2380). — სოფელი, გიორგი მეფემ ორგულობაში შესმენილ მდივან ბეგთაბეგ შანშეან-მარტიროზიშვილს წაართვა. როცა ეს უკანასკნელი გამართლდა, მეფემ კელავ დაუბრუნა ნაბახტევი ნორაშნით, კვერცხობით და კლდის-წყაროთი (1685. Hd—8443). — სოფელი, შედიოდა ქვათახევის საწი-ნამძღროში, მოხსენებულია გიორგი მოურავიშვილის მიერ ბეგთაბეგ მარტი-როზაშვილისათვის მიცემულ პირობის წიგნში (1686. Hd—2418). — მოურავსა და ზურაბს წილად ხვდათ აქ მცხოვრები: შერმაზანა სირუაშვილი გიგუაშვილის ფარდად ([XVII]. Hd—13310). დათუნა მკერვალიშვილი ბერუაშვილის ფარდად ([XVII]. Hd—9349), ჭეჭელა იარალას ფარდად ([XVII]. Hd—9348). მახარა კა-ცის ფარდად ([XVII]. Hd—9347). — ნაბახტ[ევს] მცხოვრები გურიული გიორ-

გილა ხვდა ზალს თელიასშვილის ფარდად ([XVII]. Hd—14978). — მოხსენებულია ზალის წილის ბარათში ([XVII]. Hd—14978). — ზაზა [თარხნიშვილს] წილად ერგო აქ მოსახლე ილურიშვილი მამულით და სამი დღის მიწა ბეითალმალიდან ([XVII ს. ბოლო]. Hd—10178). — მოხსენებულია წილის ბარათში ([XVII]. Hd—12359).

ნაბოსლევი სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ შეაწირა გელათის წმინდა გიორგის საყდარს აქ მოსახლე ორი კომლი კოზოლაძე (1545. Hd—11201). — აქ მცხოვრები ჯონია მემნაძე და მახარა კოზლაძე ბაგრატ [იმერთა] მეფემ გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას დაუბრუნა ([1510—1548]. Sd—2897).

ნაგარევის მიწა წილად ხვდათ ბეჟანს და ზალს ([XVII]. Hd—13304).

ნაგოს-ქევი სვეტიცხოვლის საბლთ-უხუცესმა რევაზ მაღალაძემ ბატატი მახარაშვილისაგან იყიდა ნაგოს-ქევზე ბაგა. საზღვრები: „დაბლა ნაგოს-ქევიდამ რომ შარა აუვლის იქამდი, იქით კოზუას კალოს პირამდი, ზეით ნონიას მიწის საზღვრამდე, მთისაკენ გელხაურის მიწამდი“ (1690. Qd—1342).

ნადაბური თეიმურაზ [კახთა] მეფემ ბატონ ლევანს და მის სიძეს ამილღამბარს უბოძა აქ მოსახლე მგელაშვილების წყალობის განახლების წიგნი (1628. X. 30. Hd—14680).

ნადარბაზევი ალექსანდრე მეფემ უბოძა ეზოს ჩუხჩარეხსა და გორის მოურავს ავთანდილ ზევდგინიძეს, მოლარეთ-უხუცეს თაყა ზევდგინიძეს და ზევდგინ ზევდგინიძეს (1429. Hd—11634). — სოფელი, თაყა ამილახორმა შესწირა სამთავისს თავის ძმების შიაოშისა და ზევდგინის მოსახსენებლად (1513. Ad—12-ა). — ნასოფლარი, მოხსენებულია გორჯასპითვის მიბარებული სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931). — სამღერლებს დაჟა ჰქონდათ ნადარბაზევთან მიწაზე ([XVII]. Sd—477-ა).

ნადვალევი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — კათალიკოსმა გამოსაღებელი დაუწესა (1546. Ad—623).

ნადვალეთები — ნასოფლარი სომხითში, შაჰნავაზმა დონდარა ეჯუბაშვილს უბოძა (1661. XII. 18. ქ.-სპ. საბ., № 126).

ნადიგორი მოხსენებულია ალექსანდრე [იმერთა] მეფის მიერ ფონჯავიძისათვის მიცემულ წყალობის წიგნში (1497. საისტ. მოამბ., 1924, II, გვ. 66—67).

ნადირაული ნ. ნაბადა (1614.XI.3. საისტ. მოამბ., I, 1925, გვ. 184—185).

ნადირთ-ველი მიწა მისი ნახევარი მიჰყიდა ზაქუტამ შოშია გოგიჩასშვილს (1681.III.15. Hd—2532).

ნავაზა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სოფელი, [სიმონ] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1559.XII.1. Ad—1572).

ნავარძეთი აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას [ადგილი] ნავარძეთისაკენ „კლდეს ზედათ“ ([1515—1535]. საისტ. კრებ., III, გვ. 42—44). — სოფელი, აქ ხოხუა მაშავარიანისეული ყმა-მამული უბოძა გიორგი [იმერთა] მეფემ ეპისკოპოსსა და მის ძმას ზაქარიას ([1615—1619]. Hd—2483). — ნავარძეთში მამუკა ამაშუკელის კერძი გლეხი და პარტახტები გიორგი [იმერთა] მეფემ პატა აბაშიძეს უბოძა (1627. Qd—8965). — ავთანდილ

ამაშუკელმა მიჰყიდა ევდემონ წერეთელს ნავარძეთში მამული, სასახლე და ოთანე ყიფშიძე ([1627]. საისტ. კრებ., III, გვ. 61).

ნავენახევის სასახლე ბაგრატ [იმერთა] მეფემ ბიქვინტის ღვთისმშობელს შესწირა ([1510—1548]. Ad—2218).

ნავთლუხი აელაბრის მეღალემ მეითრისშვილის ყმებს ქერი გამოართვა ([XVII]. Hd— 14966).

ნავროზაული მამული სუფრაჯმა [ქაიხო]სრო ბარათას[შვილმა] უბოძა აფთანდილ, ოთარ და შალვა [რევისშვილებს] (1678. Hd—2006).

ნათლისმცემელი სოფელი და საყდარი კოლაში. მათი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნ. ღორ[ის]თავი (1653.VI.10. Hd—14671). — დავით ერისთავმა უბოძა ფარსადან ზედგინიძის შვილს ნაფუძარი ნათლისმცემელში (1695.II.4. Hd—1314). — ნათლისმცემლის ეკლესიის დეკანოზი ივანე მოწმეა ბერის მიერ ლიპარიტიშვილებისათვის მიცემული ნაფუძრისა და სახლის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9993).

ნათლისმცემლის მონასტერი არჩილ მეფემ აღადგინა და გააერთიანა დავით გარეჯისა და ნათლისმცემლის მოწაფილი მონასტრები, დაუყენა ერთი წინამძღვარი და მიაბარა მას უჯარმასა და ხაშმში მცხოვრები ნათლისმცემლის ყმები (1672. Ad—2060).

ნაიონჯარი როსტომ მეფემ გამოართვა სულხან ფარჩუზათაშვილს ქალაქს სახლები და ადგილები, რომელთა სამაგიეროდ უბოძა აბანოებს იქით სახასო ნაიონჯარი. საზღვრები: ძველი გალავანი, შარა, მეითარ მანუჩარისა და ბეჰბუდას ვენახები. აწმელა ბუზანაურიშვილისა და მირიმანანთ ვენახები (1645.VI.20. ქ.-სპ. საბ., № 85).

ნაკუერცხალა ნასოფლარი, ერთი საზღვარი ალექსანდრე [კახთა] მეფის მიერ სვეტიცხოველისთვის შეწირული სოფლის ჯიმითისა (1579. Sd—464).

ნამარნი ტყლაპში „მეგრელისშვილის გამოღმა, ნამარნსა და ნასაკირეულ დაღმა წყალამდე" მდებარეობდა პატა აბაშიძის საყანე ([1684]. საისტ. კრებ., III. გვ. 52—57).

ნამაშევი სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ შეისყიდა აქ მცხოვრები ნიჟარაძისეული გლეხი მამუა ჭოლაძე და გელათის წმიდა გიორგის საყდარს შესწირა (1545. Hd—11201).

ნამგალა მიწა პაპუა ტერტერასშვილმა მიჰყიდა ფარემუზ ჯაჯახიშვილს (1695. Hd—6442).

ნაოხარი აქ მდებარე ორი დღის მიწა მიჰყიდა როსტომ საღირიძემ პერა ენუქაშვილს ([XVII]. Qd—9159).

ნაპარტალხი ბაშს მცხოვრები გეგია სოგიჯუმა ლევან დადიანმა ნაპარტალხში გაჯუასეულს დააყენა და გამოსაღებელი დააკისრა (1642. Qd—6740).

ნაპირი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სოფელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883).

ნაჟანეო მამია დადიანმა შესწირა ბიქვინტის ღვთისმშობელს ე[ნ]გურის პირას მდებარე ნაჟანეო სამოცი კომლი კაცით ([1582—1590]. Ad—2218).

ნაჟნაური ყუაპუ და ქერექიმ შარავიძეებმა პირობა დაუდეს აფხაზეთის კათალიკოსს, აღარ გაყიდონ ნ ა ჟ ნ ა უ რ ე ლ ნ ი და ფიორული კაცები და კათალიკოსის სარგო-სამსახური არ დაუშალონ ([1661—1680]. Hd—11206).

ნარაყალა გორელებმა ნოდარ ციცისშვილის შვილებისაგან მიიღეს ტყის სარგებლობის უფლება ნარაყალას გარდა ზედაველის მთაში, სანიაფორსა და ურიულში (1699.II.24. Hd—1351).

ნარეკვა ერთი საზღვარი ბარამ ფარეშიშვილის მიერ დათუნა ხიზანიშვილისთვის მისყიდული თაბორიძისეული ნასისხლი ბურწყაული მიწისა ([XVII]. Ad—2243-ა).

ნარიკახული მიწა დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა უბოძა დაღელ დონდარა მამადლაშვილს (1556. Sd—138).

ნარჩევი ნარჩევზე მდებარე სამდღენახევრის მიწა მიჰყიდა ჯაჯანა შიხაიდარისშვილმა პაპუა [მაღალაძეს] (1672.III. Ad—1276).

ნასაკირალი „სახასო სანადიროები და სასახენდროები წყალტობოს გაღმა ბოლო მაღლაკის საზღვრამდის თავი ნ ა ს ა კ ი რ ა ლ ი, ბოლოს განი განსწორებითი ჩიჩას ფონიკუხამდის და თავი სამზღვარი ლოზგორუა, რომელსაც სერი დაიტანს მათხოჯის სამზღვრამდის“ გიორგი მეფემ დავით წულუკიძეს უწყალობა.

ნასაკირეუ ნ. ნამარნი ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57).

ნასარკევი ნ. პანიაური (1666. Qd—6893).

ნასოვი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

ნასრაული მამული ერგო გოშფარ [ჯავახიშვილს] ([XVII]. Qd—605).

ნასტავისი ნ. სხალტბა (1580. ისტ. საბ., II, გვ. 54—55).

ნასხასშვილისეული პარტახტი ზაალ წერეთელმა მისცა ლაზარე მაჭარაშვილს ([XVII]. Sd—1171).

ნატარავლევი სასახლე ჩაღათა ეორეოლაძემ მისცა თავის მწირველ მახარებელს ([XV]. ქუთ. მუზ., № 665).

ნატბევი აქ მდებარე სამი დღის ხოდაბუნი შესწირა სვიმონ მეფემ ნიტრიის სიონს (1584. Sd—2909).

ნატეხარა სუმბატ თავყელიშვილმა გაუცვალა პაპუნა და სხვა სოლუღაშვილებს დუბეზე (1659. Hd—1588).

ნაფარეხევი მიწა ნ. რუსხმულა (1689. Qd—1345).

ნაფიჩხაუ-საფიჩხაო აქ მოსახლე ყმები შესწირა ლევან დადიანმა თაწმიდის ხარების ღვთისმშობელს თავისი მამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად (1642. Qd—6740).

ნაჭალაჭევი ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — ნასოფლარი, წილად ხვდათ ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

ნაჭალაჭ-ეკლესია (წითელი ეკლესია?) მისი მოურაობა უბოძა გიორგი ბატონიშვილმა ჭაიხოსრო რატიშვილს (1665.IX.22. Hd—2433).

ნაჭორდევი მისი მოსაზღვრე თეთრობით ბარათამ თევდორე და ნავროზ ბუეღულაშვილებს უბოძა (1461.I. 17. Hd—14858).

ნაჭულბაქევი (ნაჭულბაქევნი) სოფელი, ძისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელ ნაჭულბაქევნის შეწირულება (1559. XII.1. Ad—1572).

ნაყუფუნოე სასახლე ლევან დადიანმა თავისი მამის მანუჩარის სულის ჰოსახსენებლად შესწირა თაწმიდის ხარებია ღვთისმშობელს (1642. Qd—6740).

ნაცარგორა ნაცარგორის ხოდაბუნი წყალმდე ალიბეგისშვილისა იყო, ხოლო ნაწილი — სამონას ერგო ([1688—1703]. Hd—837).

ნაციხვარა ერთი გლეხით, ეკლესიითა და საყანურით შედიოდა ქავთარაძისათვის ნაბოძებ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695).

ნაცხავატევი გიორგი გურიელმა შესწირა [იერუსალიმის] ჯვრის მონასტერს ნაცხავატეგში ერთი მოსახლე ([XVII ს. II ნახ]. Hd—10275).

ნაცხავატევის სერი ნ. წითლობი (1614, საისტ. მოამბ., I, 1925, გვ. 184—185).

ნაძვა აქ მოსახლე გოჩია ჩირაძე დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა თავისი მეუღლის ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად შესწირა გელათს ([1660—1681]. Ad—598-ა). — აქ მცხოვრებ ხახუტა ჩირაძეს მართებდა გელათისა ერთი ცხვარი ([1682.—1695]. Ad—598-გ).

ნაწალკოტევი ყანა სოფელ მირაშხანში ([XIV]. Ad—933).

ნაჯიდური (ნახიდური) — მისი მოურაობა უბოძა როსტომ მეფემ ბეჟან ყარჩიღასაშვილს (1646. Hd—14604). — აქ მდებარე ამოვარდნილ ჩახრიძესეული მამული ყმებიანად როსტომ მეფემ უბოძა ყარჩიღასშვილებს (1653. Sd—2). ნაჯიდურელთა და თავმგურგალელთა შორის დავის გარიგების წიგნით ნახიდურელთ დარჩათ: „თავი — კვირაცხოველის ბოლოს რომ აბაშისშვილის ნაზვრევი არის, იმის ბოლოს რასაც ქვაყრილი გაიტანს, ქვემო — ჭალაჭის შარა რომ გაივლის იქამდე, იმის იქით ღოლოვნის სამღვრამდი, იმის იქით კვირაცხოველისკენ“ (1654. Hd—4170). — [როსტომ] მეფემ შესწირა სოფელი ნახიდური ეჩმიაწინს (1657.I.15. მატენად., ფ. 252, № 4). — როსტომ მეფემ ნახიდურს მდებარე მიწების მეოთხედი ხოსია ნარიმანისშვილს უბოძა, ხოლო სახასო გლეხები და მამული ეჩმიაწინს შესწირა (1658. მატენად., ფ. 252 № 3-ვ). — ნაჯიდურს და ნაჯიდურის ზვარს მართებდა გამოსაღებელი (1689. Sd—1932-ბ. 1690. Sd—1932-გ. 1691. Sd—1932-დ) — მდებარეობდა „სამეფო სახასოს გამოღმა“. ნაზარალიხანმა პაპუა ორბელიშვილს უბოძა ნახიდურის და ქოლაგირის მოურაობა. პაპუამ ხარჯი გაიღო ნაჯიდურის რუზე (1696.X.14. Sd—628).

ნახშირგორი საკაძისეული სოფელი გიორგი საკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო იყო. როსტომ მეფემ კვლავ უბოძა იორამ საკაძეს (1652. Hd—13956).

ნახშირის-გორი სოფელი ვერის-ქვეშე, როსტომ მეფემ ქაიხოსრო ბარათაშვილს უბოძა (1633.XII.25. ჭ.-სპ. საბ., № 44).

ნახშირის-ღელე ალექსანდრე მეფემ უბოძა იოანე ომადმანიძეს მიწა ნახშირის-ღელესა და ჰიშურას შუა ([1637—1660)]. Sd—1789).

ნებიერთ-უბანი თეიმურაზ მეფემ უბოძა ბატონ ლევანს და მის სიძეს ამილამბარს აქ მოსახლე ნებიერიძეები (1628.X.30. Hd—14680).

ნედლთი შაფათა ტირიასშვილმა მიჰყიდა [ლუარსაბ] ფალავანდისშვილს ნედლთში დავითთასეული მიწა ([XVII]. Sd—817).

ნეკრესი ნ ე კ რ ე ს ე ლ თ საცილობლად ხელი არ მიუწვდებოდათ სვეტიცხოველის სამკვიდრო სოფლებზე — ვეძისხევსა და ფაშაანზე ([1584—1591]. Ad—614, 786-ა). — ნეკრესელი ეპისკოპოსი რომანოზ იყო მოწმე მოსეს მიერ იოვანე კათალიკოსისთვის მიცემული ნაწყალობევი ყმის სამაგიეროდ ღვინის გადახდაზე პირობის წიგნისა (1613. ისტ. საბ., IV, გვ.9). — ნეკრესელი ეპისკოპოსი იყო იოვანე ([XVII]. Ad—1892).

ნეფის-წყარო ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ჩეკურნი, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი იყო ნეფის-წყარო (1579. Sd—464).

ნიაბი აქ მდებარე ქადაგ დიმიტრისეული მამული გლეხებით დავით კათალიკოსმა მახარებელ მაღალასძეს უბოძა (1470. Hd—1352). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ნიაბის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).— ეწერა 26 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ნიგოზა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ნიგოზანი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

ნიგოზეთი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).—აქ მყოფი მერაბ სააკაძის სიძე აიყარა და ცხირეთში გადავიდა ([XVII]. Qd—826).

ნიგხი ეწერა 10 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ნიკოლოზაური მამული ბარათაშვილების გაყრის წიგნით წილად ხვდა გერმანოზსა და მის ძმებს (1523. Ad—1299-ა).

ნიკოლწმიდა ნიკოლწმიდის საყდარს შეფარებული გიორგი კახაბერიძე დაიჭირა ერისთავმა მირიან ჯარელისძემ ([XVI—XVII]. ქუთ. მუზ., № 1024).

ნინოწმინდა (ნინოწმიდა) დავით მეფემ შესწირა გლეხები: გოგია და დავით თათეიწასშვილები და მათი სახლეულნი, სუხია გოგიტაშვილი, სინჯია და ავგაროზა დოგაშვილები და მათი სახლეულნი, სულა და ზურაბა მამასაშვილები და მათი სახლეულნი, გიორგი და მისი სახლეულნი (1602. ისტ. საბ., IV, გვ. 3.)— ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ ნ ი თვალელებთან საბოხბის-ჭალაზე ცილობდნენ. ქრისტეფორე კათალიკოსმა და ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ მ ა ზაქარია მაყაშვილმა შეკრიბეს მცხეთისშვილნი და წ მ ი ნ დ ა-ნ ი ნ ო ს ყმანი. ფიცის შედეგად სახოხბის ჭალა თვალელთ დარჩათ (1651.V.29. ისტ. საბ., IV, გვ. 33—34). — ნ ი ნ ო წ მ ი დ ი ს დეკანოზი ზაქარია მოწმეა რამაზ ფარღუზათაშვილის მიერ მამისიმედ ენაგელაშვილისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656. Qd—16). — კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ ნიკოლოზ ამბა-ალავერდელთან და არსენ ნ ი ნ ო წ მ ი დ ე ლ თ ა ნ ერთად დავით-გარეჯის წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძე დაადგინა (1690.III. 12, Ad—349).—კახეთის დასაშვრად გადმოსული ქართლელები ნ ი ნ ო წ მ ი დ ა ს თ ა ნ დამარცხდნენ (1694.VII.1. Hd—2632).—

ბ. დავით-გარეჯა ([XVII]. Ad—131). — ნინოწმიდელი იყო მალაქი ([XVII]. Ad—1892).

[ნი]ონჯიევი პატასა და როჭიკს დავა ჰქონდათ [ნიონჯიევზე ([1632—1658]. Sd—795).

ნიორაული მამული მდებარეობდა ოძისში. გაინაწილეს როინ და გიმფარ ჯავახიშვილებმა ([XVII]. Qd—605).

ნიტრია (სოფელი და სიონი) ქართლის კათალიკოსის დოროთეოზის თხოვნით სვიმონ მეფემ ნიტრიის სიონს სახასო მამულებიდან შესწირა: შინდარში — მარგულაშვილი მესხური მამულით. იმონა სვიმონიშვილი ბუღლიაურის მამულით; გვერდის-უბანში — იოვანე გუერებაშვილი მამულით; ქავთარა შიშნაშვილი შვილებით და მამულით; ზესურამში — როსტევანა ჩიტუკიძე შვილებით და მამულით; ოსიაურში — შოშია ძალიძე შვილით და მამულით, ჩაისარა ჩუმათელიძე ძმით და მამულით და ვენახი; ნატბევში—სამი დღის ხოდაბუნი; ცედანში — კორაპაძეები და დავით ხვრელაშვილი; წიფაში — ქენაძეები, ყამერა ჟამრაშვილი შვილებით, ქურდაძენი და სხვ. სვიმონ მეფემ ნიტრიის სიონს დაუმტკიცა თავისი ბიძის გიორგი მეფისგან ნასყიდი მამულები: სოფელ ნიტრიაში — მარგველაშვილები: ზამთარეთში — ინური და ძაბილური მამული, ქონთირული პარტახტი; სოფელი ზინდისში—ჟამისაძეები და იჩქითიძეები მამულით, ისპანა ჩინჩალაძე შვილებით და მამულით; ფრონეს გაღმა-გამოღმა — პაპიური პარტახტი; ზინდისი; სურამში — ჯინგარაძე და მახარაძე მამულით, ჯინჭორაულს, დაწურიაშვილის ნაქონი ალაგი (1588. Sd—2909).

ნიქოზი (სოფელი და საყდარი). რობამ ფავნელისშვილმა შესწირა ნიქოზის საყდარს სოფელი ზემო-ნიქოზი (1565.Ad—1504-ა).—ნიქოზის საყდარს შესწირეს ზემო-ნიქოზში მდებარე მირზაული მამული სააღაპედ (1573. სოც. დოკ.. I. № 9). — ნიქოზელი ეპისკოპოსი ინანა მინდოდაშვილი არის მოწმე დავით ფავნელიშვილის მიერ გაბრიელ გილაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1642. Hd—5940).—გიორგი მეფემ შესწირა ოთხი კომლი გლეხი ნიქოზის საყდარს (1688.IX.1. Ad—1504-ს),—აქ მცხოვრები ბერუაშვილების წყალობა განუახლეს ელენე დედოფალმა და ნაზარალიხანმა ზაალ აბაზაძეს (1693.VII. Hd—1676).

ნიში სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ნიჩბისი აქ მცხოვრები გლეხების შეწირულება განუახლა გიორგი მეფემ შიომღვიმეს (1170. Hd—1351). — ლუარსაბ მეფემ ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს უბოძა (1615. Ad—1410). — აქ სახლობდნენ: თანდილა ვი...შვილი ([1632—1658]. Sd—876). შალვა კვერცხირიძე ([1632—1658]. Sd—874). გუგუნა თაღულაშვილი ([1632—1658]. Sd—875). ფეტვიანიშვილი ([1632—1658]. Sd—877] იხსენიება წილის ბარათში ([1632—1658]. Sd—962).—აქ და ოკერაში სახლთ-უხუცესს 12 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — ნიჩბელი იყო თევდორე მირიანაშვილი (1670. XI.28. Ad—1209). — ზაზა და ზაალ ციციშვილები აშენებდნენ ეკლესიას ნიჩბისს მდებარე თავიანთი სასახლის სიახლოვეს (1671. Ad—1337). — ქაიხოსრო ციციშვილი უჩიოდა ზაალ ციციშვილს ნიჩბისში დაქცეულ მარანზე

(1679.VIII.5. Ad—1218). — აქ მცხოვრები ფარსადან ციციშვილის გლეხი ხუ-
რო ზალა ზალაშვილი აიყარა და კახეთს ბებურ ვაჩნაძის მამულში დასახლდა
(1690.I.22. Hd — 2753). — მერაბ ციციშვილმა მიჰყიდა აშილღამბარ
ციციშვილს დადიანის ნავენახობი ნიჩბისში (1693. V.17. Ad —
1159). — აქ მოსახლე თანდილა ვე...შვილი წილად ხვდა ყორჩიბაშ ბადურს
([XVII]. Sd—876). — ედიშერ [ციციშვილს] ნიჩბისში ერგო: პაპია ანდრიაშვი-
ლი და ბერუკა სოლუაშვილი მამულებით, გოგიჩაური მამული, შიო შიოშაშვი-
ლი, გოგიას მამული და სულხანი მამულით, აქვე პაპუნა [ციციშვილს] ერგო:
დათუნა ხიმშიაშვილი მამულით, ჭიტია რიგრიაშვილი, მახარა ხიმშიაშვილი და
თინას მამული ([XVII]. Hd—1636).

ნოდკოტრა სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხო-
ველს (1579. Sd—464).

ნოდოყრა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ
მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ნოზაური ვენახი, მისი წყალობა განუახლეს ელენე დედოფალმა და ნაზა-
რალიხანმა ზაალ აბაზაძეს (1693.VII. Hd—1676).

ნორაშენი ნ. ნაბახტევი (1685. Hd—8443).

ნოსტე (ნოსტევი) ნ. ქვათახევი ([XIII ს. ბოლო]. Ad—9). — ნ. ბერიას კა-
ლო (1482. საისტ. კრ., IV, გვ. 69—70). — ნოსტეს გარსპისა და რობამის კუთ-
ვნილი ორი კომლი და საკომლო სიმონ მეფემ სიაუშ საყაძეს უბოძა (1588.
Hd—14444). — მოურავი უაენისგან თავის მამულში — ნოსტეში — დაბრუნდა
(1620.IV.15. Hd—6259). — საყაძისეული სოფელი, გიორგი საყაძის საქართ-
ველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო გახდა. როსტომ მეფემ კვლავ იორამ
საყაძეს უბოძა (1652. Hd—13956). ნოსტეში ბახუტა ფაველენიშვილ-შალვაშვი-
ლის ნაქონები გლეხები, ზვარი და საზნაურიშვილო უბოძა მეფემ თარხან იო-
რამ საყაძე-მოურავიშვილს (1654. Hd—14415). — აქ ცხოვრობდა 13 კომლი
ყმა ([1658—1675]. Hd—14534). — ნოსტელნი არიან მოწმენი ზაქუტა-
ფილიპაშვილის მიერ შათირასთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა
(1666. Hd—5191). — ნოსტელნი არიან მოწმენი ზაქუტას, დათუნას და
პაპიას მიერ გიორგისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1666.
Hd— 5191). — ნოსტელნი მოწმენი არიან ბერიკა კვიწინაძის მიერ ბერუა
ბარამიძისთვის მიცემული სასახლის ალაგის ნასყიდობის წიგნისა (1672. Hd—
1565). — ნოსტელი მახარა დათუნაშვილი ეყმო სვეტიცხოვლის ყმას აზ-
ნაურს ბეჟან სვიმონელს (1695.VI. Hd—13684). — ნოსტეს მცხოვრებმა ზაზა
ვეფხიასშვილმა მიჰყიდა ხანდაკში მოსახლე თამაზ დათვიასშვილს მიწა საზღვ-
რებით: „საქვენაკროდ მამუკასშვილის სამძღვარამდი, საზენაკროთ შარამდი.
ქვეით ყ(ა)რ(ა)ღ(ა)ჯულის რუმდი“ (1697.VI.15. Hd—8577). — აქ მდებარე
სახახლე ხვდა ბერს წილად ([XVII]. Hd—11725). — აქ მცხოვრები ბეჟიტასშვი-
ლი და ივანასშვილი ერგო ზალს შიო სამნოაშვილისა და გოსტიბელ ბერელას-
შვილის ფარდად ([XVII]. Hd—11767).

ნოსტის ოძისი როსტომ მეფემ უბოძა ხოსია ბარათაშვილს და მის შვი-
ლებს ნოსტის ოძისი, რომელიც ხოსიას სანახშირედ ჰქონდა დადებული ჯავა-
ხიშვილისგან (1642. Ad—1138). — საყაძისეული სოფელი, გიორგი საყაძის სა-

ქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო იყო. როსტომ მეფემ კვლავ იორამ საყაძეს უბოძა (1652. Hd—13956).

ნოტრე შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

ნოღა აქ მდებარე სასახლე, შპშიტა და ხუცია ქელბაქიანებისეული ყმამამული შესწირა ნესტან-დარეჯან დედოფალმა ალექსანდრე [იმერთა] მეფის სულის მოსახსენებლად ([1660—1681]. Ad—598-ა).

ნოხუდენი აქ მოსახლე ოთხი კომლი კაცი შესწირა ლევან დადიანმა ხოფის ტაძარს ([1611—1657]. Hd—1551-ა).

ნოჯა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ნოჯიკეთი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა (1579. Sd—464).

ნოჯიკეთია ნოჯის-თავი ეკლესია ვამიყ და სარო შაბურისძეებმა სვეტიცხოველსა და მარკოზ კათალიკოსს შესწირეს (1464.XII.13. ისტ. საბ., II, გვ. 17).

ნოჯის-კევი ხიმშიანთ და კათალიკოსის ყმებს შორის დავის გარიგების წიგნით ნოჯის-კევი ხიმშიანთ დარჩათ, ხოლო ხევს გაღმა ყალანდარაშვილის მამული სუიმერნელს უყიდია და სადამდისაც დაიფიცებდა, იქამდე დაანებებდნენ ([XVI-XVII]. Hd—1791).

ნუა აქ მოსახლე სამხარაძეთა შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ნული დავით დავითიშვილის სამკვიდრო, ეცილებოდა ჯერკაულიძე. სიმონ მეფემ დავითიშვილს უბოძა (1596.III.1. Sd—597). — სიმონ მეფეს ადრე შიოშ ხერხეულიძისთვის ჰქონდა ნაწყალობევი. ახლა დავით დავითიშვილს უბოძა (1596.III.12. Sd—598). — სოფელი, დავით დავითიშვილსა და მის ძმისწულ რამაზს შორის დავის გარიგების წიგნით ბვდა დავითს ([1632—1658]. Qd—8237). —ელისბარ და კოსტანტილე დავითიშვილებმა ნულის სასახლე და მისი მიმდებარე მამული შუაზე გაიყვეს, ხოლო აქვე მდებარე კოშკი და საყდარი საძმოდ დაიტოვეს. კოსტანტილეს ერგო ნულის ზვარიც ([1658—1676]. Hd—2289). — გიორგი მეფემ გაარჩია დავით დავითიშვილსა და სებნია სამაღანაშვილს შორის ნულის შესახებ დავა (1680. Sd—756). — ედიშერმა უბრძანა მებალახეთ და მეკოდისპურეთ, რომ სოფელ ნულს არ მოსთხოვონ არც საბალახე, არც კოდისპური და არც ბზე, რადგანაც იგი „სასახლო“ იყო ([XVII]. Hd—4489).

ო

ობოლაურის სასაფლაო მამულების გაცელის დროს დომენტი ბუნიათიშვილმა ზალ წინამძღ[ვრ]ისშვილისაგან მიიღო ობოლაურის სასაფლაო (1698. Hd—1754).

ობუჯი აქ მცხოვრები ისლამუ ზენაია გიორგი ლიპარტიანმა მანუჩარ დადიანის მოსახსენებლად შესწირა თაწმიდის ხარების ღვთისმშობელს (1642. Qd—6740).

ობჩა (ოფჩა) აქ მოსახლე რვა კომლი ბურჯანაძე შესწირა ბაგრატ მეფემ ბიქვინტის ღვთისმშობლის ეკლესიას ([1510—1548]. Ad—2218). —ო ფ ჩ ე ლ ე ბ ს მართებდათ გამოსაღები ([XVI]. Sd—2896).

ოდიში ოდიშის „ჯუოინდელი" მოხსენებულია ალექსანდრე მეფის მიერ ვახტანგ და დავით ბაქრაძეებისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1501.VI.7. Hd—10150). — ოდიშის ბედიელი, მოქველი და ცაიშელი მოხსენებული არიან ალექსანდრე მეფის ავთანდილ ხელხელიძე სარმანიშვილისათვის მიცემული სასისხლო სიგელის განაბლების კრულობით ნაწილში (1503.I.30. Qd—6935). — მოხსენებულია ზებედეს მიერ ბიქვინტისა და ხოფის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის მიცემულ ყმა-მამულის შეწირულების წიგნში (1682. Hd—1551-ვ). — ოყურეშის სასახლე ოდიშელ ქვარიანისეული იყო (1656. Qd—9085-ვ). — იერუსალიმის გოლგოთის მონასტრის მონაზონი მართა წერილით სთხოვდა [გრიგოლ] კათალიკოსს, რათა მას დაეყოლებინა ქართლის, იმერეთის, ოდიშისა და გურიის მეფე-მთავრები ქართველთა წმინდა ადგილების დაცვისათვის ხელის გამოსაღებად ([1650—1658]. Hd—11207). — დიდი ოდიშის მპყრობელად იხსენიება ვამეყ დადიანი მის მიერ ბიქვინტისათვის მიცემულ შეწირულების წიგნში ([1657—1660]. Sd—2925). — ოდიშისა და აფხაზეთის მპყრობელი იყო ლევან დადიანი (1675. Qd—9136). — მთავარეპისკოპოსი სვიმონ საყვარელიძე და მისი ძმისწული პატა ოდიშს გადაიხვეწნენ (1679. ქუთ. მუზ., № 1395).—ოდიშის ქვეყანა იხსენიება ლეონ დადიანის მიერ დავით ნევსაძისათვის მიცემულ კათალიკოსად დამტკიცების წიგნში ([1667—1676]. Sd—2926).

ოვეთი ბატონიშვილს აქ თერმეტი კომლი ყმა ჰყავდა, სეხნია ფრანგიშვილს და გოდერძს — ორი კომლი ([1658—1675]. Hd—14534).

ოვსეთი იხსენიება იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხაილის მიერ ცაიშელ-ბედიელ იოაკიმეს კათალიკოზად კურთხევისა და საქართველოს ეკლესიისათვის წესების დადგენის წიგნში ([XV]. Sd—2920, 2890). — მოხსენებულია გიორგი მეფის მიერ ზედგინისძისათვის ნასისხლად მიცემულ მღვიმის, სასაფლაოს და ყმების წყალობის წიგნში ([XV]. Hd—1798).—ნ. ოსეთი.

ოკალიკე აქ მცხოვრები ჯოხვაჯი სეირა გიორგი ლიპარტიანმა შესწირა თაწმიდის ხარების ღვთისმშობელს (1642. Qd—6740).

ოკამი ახალქალაქის თავს მდებარე სოფელ ოკამის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — ნ. აქეთ-ოკამი, იქით-ოკამი.

ოკრიბა ოკრიბასა და ვაკეში მდებარე ომადმანიძისეული მამული უბოძა ალექსანდრე [იმერთა] მეფემ იოვანე ომადმანიძეს ([1639—1660]. Sd—1789).— აქ მცხოვრები მამუკა გაბადაძე დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა შესწირა გელათის ეკლესიას ალექსანდრე [იმერთა] მეფის სულის მოსახსენებლად ([1660—1681]. Ad—598). — „ხრეითის აქეთ, რაჭის მთამდე ოკრიბა" იყო აფხაზეთის კათალიკოს მალაქიონის მიერ გელათის საეპისკოპოსოსათვის დაწესებული ერთი საზღვარი ([XVII]. Sd—2895).

ოლთისი თრიალეთში მდებარე ოლთისის მოურაობა უბოძა როსტომ მეფემ პაატა ჯავახიშვილს (1654. Hd—14662).

ოლოზი საყდრითა და ეკვსი გლეხით შედიოდა ქავთარასძისთვის ნაწყალობევ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული რვა კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).— ოლოზს მცხოვრები იმედა ფაგურიძე მამულით და დემეტრეს მამული ნაზარალიბანმა უბოძა გიორგი ალექსიშვილს (1700. Qd—814).

ოლოზღუარები ნ. წედისი (1631. Hd—2122).

ომანაშვილის სახაკლაო ერთი საზღვარი კათალიკოსის სახასო სოფლების ბუშატისა და ვანთის (1654. Hd—8389).

ომანის სასაკლაო ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული მარმაროვა, რომლის საზღვარი იყო ომანის სასაკლაო (1579. Sd—464).

ონეშევი (ონჭევი) ციცი ჭარულიძის სოფელი. დაარბიეს კოტრიკაძეებმა (1432. Sd—2886). — ერისთავმა მირიან ჭარელისძემ ონჭევს მცხოვრები გლეხები მამულით უბოძა თავის აზნაურ გიორგი შერაზანაშვილს (ქუთ. მუზ., № 1024).

ონჭონა აქ მდებარე გამეზარდასი და ფადლაძისეული მამული მელქ[ისედეკ] ეპისკოპოსმა ოქროპირის მამას უბოძა ([XVI]. Hd—1573).

ოპიზა „მამანი ოპიზარნი“ და მიჯნაძორელნი დაობდნენ საზღვრების გამო. ბაგრატ მეფისა და დარბაზის გადაწყვეტილებით დადგინდა საზღვარი: „სამხრით სამწურისა წყალი, ვითა შავშეთის წყალსა ჩაერთვის და ტიხარის კლდე და ქედქედი ვითა წავალს, დასავლით ეცუანთა ქედი და ჩრდილოით დიდუბისა ხერთვისი და საქათმის კარი, ვითა ქედქედი წავალს, დიდი ქედი ერთკარი“ ([1027—1072]. Sd—1201).

ორბეთი ორბეთის ძირს სოფელ ყორანთას შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ორდაჭლისი აქ მდებარე ორი დღის მიწა მიჰყიდა ზაქუა ზაქუმიშვილმა შანშიაშვილებს. საზღვრები: ერთი გვერდი ყუზანაშვილის მიწამდე, მეორე — საკუბასშვილის მიწამდე, ბოლო — შარამდე, თავი—ასლამაზაშვილის მიწამდე ([1615—1693]. Hd—3054). —

ორთაშუა გარისელი პატუნ სარქისაშვილი ედავებოდა მიწებს ამ სოფელში მამუკა ბლორძელს და მის ძმებს. დავის გარიგების წიგნით მიწები ბლორძელებს მიეკუთვნა (1656.VI.28. Hd—14657).

ორთაშუის გზა გიორგი მაზიტაშვილმა მიჰყიდა ოთია ინანასშვილს ტყე ორთაშუის გზამდე ([XVII]. Sd—1784).

ორთლუ სოფელი ყაიყულის (ნ.) ზემოთ (1692.XI.13. Hd—6042).

ორი ვერხვეული საყაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს. გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სოფელი სახასო გახდა (1652. Hd—13956).

ორკოშინი სოფელი. ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883).

ორმანეული სოფელი, ერგო დავით დავითისშვილს ([1632—1658]. Qd—8237).

ორმოთი ზურაბს აქ ხუთი კომლი ყმა ჰყავდა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ოროზმანი ოროზმანს, დმანისის ხევის თავში, ნაოხარ ადგილზე თამარმა სათავისოდ დაასახლა თავისი ძმის ნაყმევი, „ჯავახი-მესხი კაცები“. როსტომ მეფემ ეს გლეხები გაათარხნა (1656. Hd—14432).

ორომაშენი მიქაელ კათალიკოსმა უბოძა მსახურთ-უხუცეს ვაჩე გურამისძეს დმანისის პირს სოფელი ორომაშენი, იქ მცხოვრებ სიგლოსან ხუცებს გარდა ([1241 წ. ახლოს]. საისტ. მოამბ., II, გვ. 3—5). — მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ოროტა სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — მარკოზ ქართლის კათალიკოსმა დაუმტკიცა მეჯინიბეთ-უხუცეს მამისა ბერინასშვილს, მისრი ედილასშვილს და მის შვილს ზაქარიას ოროტას მფლობელობა (1646.XI.13. ისტ. საბ., II, გვ. 14). — სოფელი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1579. Sd—464).

ორხევი აქ მოსახლე ათი კომლი კაცის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ორხოფია მურვან ლარიბაძის ძემ შესწირა ვაჰანის მონასტერს ნასყიდი მამული სოფ. ორხოფიაში როტაშაული (1393. Ad—933).

ოსეთი ოსეთის მპყრობელად იხსენიება ვამეყ დადიანი მის მიერ ბიჭვინტა-სათვის მიცემულ შეწირულების წიგნში ([1657—1601]. Sd—2925).—ნ. ოვსეთი.

ოსთ-უბანი აქ მოსახლე თამაზა და გიორგი მოსაშვილები მამულით ერგო ედიშერს, ხოლო დათუნა მოსეშვილი მამულით—პაპუნას ([XVII]. Hd—1636).

ოსიაური ოსიაურს ვენახი, შოშია ძალიძე მამულით და ჩაისაბა ჩუმათელიძე მამულით სიმონ მეფემ ნიტრიის სიონს შესწირა (1584. Sd—2909). — სოფელი ზემო ქართლში, ხორაშან დედოფალმა სვეტიცხოველს შესწირა (1629.X.13. ისტ. საბ., IV, გვ. 12—15).

ოულე აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული ერთი კომლი, რევაზიშვილის — ოთხი კომლი, და ბადურის ერთი კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ოქიტა ოქიტას მამასახლისი არის მოწმე ნიკოლოზ სუნიძის მიერ მანუჩარ-გაბადიძისათვის მიცემული წყლის და მიწის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—8794).

ოქონა სოფელი ოქონა და მონასტერი ამირან გაბელიძემ სიაოშ ფალავანდიშვილს და მის ძმებს მისცა ნასისხლად (1488.VII.1. Hd—8731). — როსტომ მეფემ უბოძა ურბნელ ზაქარია ბარათაშვილს ოქონის ღვთისმშობლის საწინამძღვრო (1655. VIII.7. Ad—602). — გორისა და ოქონის ხატის დეკანოზის მარკოზის შვილებს დავით დეკანოზს, გარსევანს და თამაზს ატენელმა აფკარასშვილმა მიჰყიდა ორი დღის მიწა გუფთაში (1681.VI დამდეგი. Sd—546). — ოქონელნი მოწმენი არიან გიორგი სამაღალაშვილის მიერ მანგლელ ათანასესთვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—3240-ა).

ოუურეშის სასახლე ქვარიანისეული იყო (1656. Qd—90853).

ოჩლიური (ოჩლეური) აქ მცხოვრები ივანიასძისეული ორი კომლი სვანიანები მამულით დავით კათალიკოსმა მახარებელ მაღალასძეს უბოძა (1470. Hd—1352). — ბოქაულთ-უხუცესის გარიგებით ო ჩ ლ ე უ რ ი რევაზ სახლთ-უხუცესს და მის ძმებს დარჩათ ([XVII]. Ad—1787).

ოცხანა როსტომ გურიელმა შესწირა ბიქვინტის ღვთისმშობელს ოცხანაში მცხოვრები თემიროზა სალუქვაძე ([1510—1548]. Ad—2218).

ოძისი სოფელი, გიორგი მეფემ უბოძა გამრეკელ ჯავახიშვილს (1454. Qd—9221). — ეკუთვნოდა შალვა ჯავახიშვილს და მის ძმებს. სიმონ მეფემ სიაუშ სააკაძეს უბოძა (1588. Hd—14416. — თამარ [დედოფალმა] უბოძა მოურავ პაპუნას (1600.V.9. Hd—1839. Ad—1138). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული შვიდი კომლი ყმა. აგრეთვე ხოსია [ბარათაშვილის] რვა კომლი ყმა აზნაური ადოლაშვილის გამოკლებით და ულუმბეხაშვილი ([1638—1675]. Hd—14534-ბ). — დამოყვრების შემდეგ ქაიხოსრო ჯავახიშვილმა მოურავიშვილებს მათი სამკვიდრო ოძისის ნახევარი დაუბრუნა (1663. Hd—14435). — სოფელი, ნიკოლოზსა და ბეჟანს ჰყავდათ აქ ბუთი კომლი ყმა ([XVII]. Qd—610). — აქ მცხოვრები ოთარ ურუმბუხაშვილი და პაპნია სოლიკისაშვილი მოწმენი არიან გიორგი ოთიაპაშვილის მიერ ტაბიკაანთ მანველისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1691.VI.12. Hd—5993). — ერეკლე მეფემ თავისი ორგული ჯავახიშვილების ყმები ოძისში ურუმბეხაშვილითურთ უბოძა გიორგი თარხან მოურავიშვილს (1692.IX.27. Hd—2166). — აქ მოსახლე ჯღენტისა და ლიპარიტაშვილის წყალობა განუახლეს ელენე დედოფალმა და ნაზარალიხანმა ზაალ აბაზაძეს (1693.VII. Hd—1676). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს როინს ერგო: ოძისში მცხოვრები კბილაშვილი, ღორიჭედაშვილი, კაჭაშვილი და სხვ., აქვე მდებარე ხიშრაული მამული, მაჩხაურის ნახევარი და ნიორაული მამულის მეოთხედი; გოშფარს ერგო: აქვე — ბაღანაშვილი, დავითულიანი, გრიგორაშვილი და სხვ., ნახევარი ნიორაული და მაჩხაურის ნახევარი ([XVII]. Qd—605). — ნიკოლოზ ჯავახიშვილმა პირობა მისცა მოურავ ავთანდილს, რომ მისცემდა ოძისს ერთ საკომლოს ([XVII]. Hd—9341). — ოძისს მდებარე ღამბარაშვილისეული ვენახი გაუცვალა ვირშელი სამადანისშვილმა გიორგი ტაირიშვილის ჭარჩუხს მდებარე ნარიმანიძის მამულზე ([XVII]. Hd—4490).

ოძისი მაწია მწერლიშვილმა დავით ქსნის ერისთავს მიჰყიდა ოძისს მდებარე, ძველად ერისთავების მიერვე ნაბოძები ვენახი (1690.V.10. Hd—2708).

ოხომირა სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ გელათის წმინდა გიორკის საყდარს შესწირა ოხომირაში მოსახლე ოთხი გლეხი ვირსალაძე (1545. Hd—11201). — აქ მოსახლე ოთხი გლეხი ვირსალაძე, ოთხი კომლი იბრალიძენი და იბრალიძის ორი პარტახტი დაუბრუნა ბაგრატ [იმერთა] მეფემ გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას ([XVII]. Sd—2897).

ოქერა ლუარსაბ მეფემ ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს უბოძა (1615. Ad—1410). — აქ და ნიჩბისში, სახლთ-უხუცესს 12 კომლი ყმა ჰყავდა. აქვე

Ъახლობდა ყმები, ნუსხაში მოხსენებული 6 კომლი ყმა [1658—1675]. Hd—14534-ბ).

ოჯოლე სოფელი, აქ მოსახლე მახარა ბოგვერიძე და ხუცესი ალექსანდრე [იმერთა] მეფემ გაბრიელ ცაგერელს უბოძა (1656. Qd—90853).

პ

პანიაური დავითმა, პეტრემ და ზაქარიამ შოშიტა სალარიშვილისგან იყიდეს ნასოფლარში „შოლოზანიძის მიწის გვერძე ნასარკევს იქით პანიაურის ზომა ორის დღის მიწა“ (1666. Qd—6893).—ნ. ვენახისთავი (1681.VI.20. Hd—834).— გაყიდა ბერუა მირიანაშვილმა (1682. Hd—812).

პანკისი ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს შესწირა (1479.I.24. Ad—1838). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მცხეთას აქ მოსახლე 2 კომლი გლეხი და 12 კომლი ვაჭრის შეწირულობა (1579. Sd—464). — პ ა ნ კ ი ს ე ლ იოაკიმესეული ერთი კომლი კაცი ალექსანდრე [კახთა] მეფემ გურანდუხს უბოძა (1597. Ad—327). — ალაზნის გამოღმა პ ა ნ კ ე ლ თ პირობა დაუდეს ამბალავერდელ ნიკოლოზ ენდრონიკაშვილს, არ დაუშვან „რჯულის გარდამავალი“ შეცოდებები ([XVII ს. II ნახ.]. Ad—824).

პაპის-გორი აქ მდებარე ხუთი დღის მიწა და ენაგეთს მცხოვრები სამი კომლი ჰანიკაშვილები გაუცვალა პაპუნა გოსტაშაბისშვილმა თაყა და ასლამაზ ას[ა]ნბეგიშვილებს (1671.II.12. Hd—2236, 6777). — პაპუნა ბარათაშვილმა გაუცვალა აქ მდებარე ათი დღის მიწა და სხვა მამულები თავის განაყოფ თაყა და ასლამაზ ასანბეგიშვილებს ტბისში ყმა-მამულზე (1671. Hd—4151). — რამაზა ყორღანაშვილმა მიჰყიდა თავის განაყოფ როსტომას აქ მდებარე ოთხი დღის მიწა (1679. Qd—2022). — ვარაზა გერმანოზიშვილმა გაუყიდა ყორღანაშვილებს ყმები, საზღაურად მისცა მამუკაშვილის სასახლე, მარანი და 7 დღის მიწა. რომლიდანაც ორი დღის მიწა პაპის-გორში მდებარეობდა ([1695—1703]. სოც. დოკ., I. № 136).

პაპიური პარტახტი მდებარეობდა ფრონეს გაღმა-გამოღმა. ნიტრიის ეკლესიამ იყიდა გიორგი მეფისაგან, სვიმონ მეფემ დაუმტკიცა ნასყიდობა (1584. Sd—2909).

პარკაული მამული მისი წყალობა განუახლა ნაზარალიხანმა ზაალ აბაზაძეს (1693.VII. Hd—1676).

პატარა ბრეთი ეწერა 2 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

პატარა კონეთი ეწერა 3 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

პატარა მარიამნი ნასოფლარი, წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

პატარა მეღვრეკისი მისი შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

პატარა-ტამალია ნ. ვანქი (1676.X.18. Hd—1706).

პატარძეულნი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

პატატუნაური მამული მისი ნახევარი წილად ხედა გულბაათ ელიოზისძეს. (1573. Sd—527).

პატრიქეთი აქ მდებარე სასახლე და გლეხნი მამულებით შესწირა ალექსანდრე [იმერთა] მეფემ გელათს ([XVI]. Sd—2900).

პერტრაული მიწა როსტომ მეფემ უბოძა იმედა ინაძესა და მის ძმებს (1633 .Qd—1481).

პეტრიაული მიწა როსტომ მეფემ უბოძა იმედასა და მის ძმებს .(1331. Qd-—1481).

პირაქეთ საგარეჯო ნ. საგარეჯო (1637. Hd—14481).

პირაქეთ საგარეჯონი ნ. საგარეჯონი.

პირიქით საგარეჯო ნ. საგარეჯო (1700.VI.29. Qd—1348).

პიპილეთი ნ. შორაპანი (1298. Hd—1331). ერისთავმა მირიან ჭარელისძემ უბოძა აქ მოსახლე გოგატაშვილი გიორგი შერაზანაშვილს ([XVI—XVII). ქუთ. მუზ., № 1024).

პიტლოვანი (პიტლოვანი) მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს პიტლოვანის შეწირულება (1579. Sd—464). — პ ი ტ ლ ო ვ ა ნ ი ს გარშემო ცილობდნენ რამაზ და რევაზ ხიმშიანები კათალიკოსის ყმა სუიმერნელთან. დავის გარიგების წიგნით იგი ხიმშიანებს დარჩებოდათ, თუ დაიფიცებდნენ ([XVI—XVII]. Ad—1791).

პიჭვინტვა ნ. ბიჭვინტა.

პილევი აქ მოსახლე ქათამაძე, ოკრებლიძე, ინანა ჭალანგირაძე, გიორგი კოკელაძე, მიქელა ჭალანგირაძე, ნაცვალი მაბრიკიშვილი, გრიგოლა მაბრიკიშვილი და ტატუა დაუბრუნა ბაგრატ [იმერთა] მეფემ გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას ([XVI]. Sd—2897).

ჟ

ჟამური შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებები (1459. Ad—559, 604).

ჟატი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა გარეჯის უდაბნოს სოფელ ჟატის შეწირულება (1590. ისტ. საბ., II, გვ. 57).

ჟაშჭუი ნ. შორაპანი (1298. Hd—1331).

ჟვანეთი აქ მოსახლე ოტია ჯანელიძე და მისი შვილები ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა გაბრიელ ცაგერელს, ხოლო ცაგერელმა კი ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა (1656. Qd—9085-ვ).

ჟინოვნი (ჟინოვანი, ჟინოანი, ჟილვანი) მანდატურთ-უხუცესმა და ამირსპასალარმა ჭიაბერმა შესწირა შიომღვიმის მონასტერს მიხითარის ძენი დავითის შვილნი ([1191 წ. ახლოს]. Ad—-2). — დავით მეფემ უბოძა გრიგოლ ჯარმაულ ჯაკანაისშვილს შუანის ხევს ჟ ი ნ ო ვ ა ნ ი ს შესავალი ლაშა (1298. Hd—1330). ჟ ი ნ ო ა ნ ს მოსახლე შვიდი კომლი კაცის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ერისთავთ-ერის-

თავმა ვამიყ შაბურისძემ გაათავისუფლა ხანდაკელები ქ ი ლ ვ ა ნ ი ს გამოსაღებთაგან (1494.VI.24. Ad—873).

ქინვანისპირული მამული ეკავათ გიორგი მეფის მეაღაპეებს კირაულისძეებსა და წილკნელის სახლეულთ (1566. Hd—2579).

ქირიული მამული ამ მამულის ნახევარი წილად ხვდა გულბაათ ელიოზისძეს (1573. Sd—527).

რ

რაბიცია აფხაზეთში ბიქვინტის გარშემო მდებარე სოფლები აითარნე, არუხა და რაბიცია შესწირა მამია დადიანმა ბიქვინტის ღვთისმშობელს ([1510—1548]. Ad—2218).

რადგმილი მოხსენებულია წილის ბარათში ([VXII—XVIII]. Hd—12283).

რავარახმელა მის გაღმა-გამოღმა მცხოვრები მარგველასშვილები შესწირა ალექსანდრე [იმერთა] მეფემ გელათს (1509. Sd—2893).

რამაზიანი კაბეთის ბატონმა და ყარაბაღის ბეგლარბეგმა აბაზეული-ხანმა უბოძა თუშთ მოურავს მამუკა ჩოლაყაშვილს (1693.VII.5. Qd—6719).

რაფიანთ ეკლესია მდებარეობს იორს გაღმა. მის ქვემოთ მდებარე ადგილი იყო საზღვარი ალექსანდრე [კახთა] მეფის მიერ მცხეთისთვის კაწარეთში შეწირული მიწისა (1579. Sd—464).

რასტაბზარი (რასტაბაზარი) როსტომ მეფემ უბოძა ბატ[ა]ძეს ადგილი რასტაბზარში ჩარსუსთან ქალაქის მამასახლისის გიორგის დუქნების წინ. შემდეგ გაირკვა, რომ ნაბოძები ადგილი გიორგი მამასახლისის სამკვიდრო იყო და ბატ[ა]ძემ მას დაუთმო (1690.VI.8. Hd—13135). — სარჭისა ხითარიშვილის ოთხი დუქანი რ ა ს ტ ა ბ ა ზ ა რ შ ი გირაოდ ჰქონდათ მოქალაქეებს: გარსუას, ყაბაზ არაქელას, ბეჟუას ყუზანაშვილს, ზარაბ ბერინაშვილს და თათოზას (1696. VI.28. Sd—482).

რაჭა აქ მდებარეობდა ეკლესია პიპილეთი (ნ) (1298. Hd—1331). — რაჭის ერისთავი ივანე ჩხეტიძე იყო მოწმე ალექსანდრე [იმერთა] მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისთვის მიცემული სასისხლო სიგლისა (1488.VII.1. საისტ. მოამბ., 1924, II, გვ. 23—25). — რაჭის ერისთავი კაბაბერ მოწმე იყო ალექსანდრე [იმერთა] მეფის მიერ ადამ ფონჯავიძისთვის მიცემული სასისხლო სიგლისა (1497. საისტ. მოამბ., 1924, II, გვ. 66—67). — ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა ბიქვინტის ღვთისმშობელს აქ მდებარე სოფელი ბარი, სასახლე, მონასტერი და აზნაური ჩიკუტიძე ([1510—1548]. Ad—2218). — იმერეთს ლაშქრობისას მანგლელის ძმისწულებმა ოთარ, ბეჟან, ელიზბარ და პაპუნამ ტყვედ ჩაიგდეს ორი ძმა რაჭველი („მრაჭველი") არეშიძე (1645. Hd—14443).

რაჭის მთა მალაქიონ აფხაზთა კათალიკოსმა ბაგრატ [იმერთა] მეფის თანხმობით გელათის საეპისკოპოსოს ერთ საზღვრად „ხრეითს აქეთ რაჭის მთამდე ოკრიბა" დაუწესა ([1616—1639]. Sd—2895).

რაჯაკი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელ ჯიმითის შეწირულება. საზღვრები: რაჯაკი, მისი მიდგმა და ნასოფლარი (1579. Sd—464).

რაჯახი ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა მცხეთას აქ მდებარე წმიდა გიორგის საყდარი (1579. Sd—464).

რგანი სოფელი, აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას. საზღვარი: „იქით ხრეითისკენ კაჟის სამანს ყირინის ჯუართამდინ“ ([1515—1535]. საისტ. კრებ., III, გვ. 42—44). — გიორგი [იმერთა] მეფემ შესწირა კაცხის ეკლესიას სოფელი ვაჭევი, რომლის საზღვარი „რგანის სოფლისაკენ კაჟის სამანი და თელაწმინდა“ იყო (1615. ქუთ. მუზ., № 125).—ხოსია და თაყა ჯაფარძეებმა მისცეს პირობის წიგნი კაცხის მაცხოვრის ეკლესიას კაჟის სამანსა და რკინის ჯვრის იქით რგანისკენ საცილობელის მიწის კაცხის სასარგებლოდ დარჩენის შესახებ ([1680—1696]. საისტ. კრებ., III, გვ. 61).

რევაშენი სოფელი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — ზაქარია აბაშაშვილისგან ნასყიდი. წილის გარეშე ხვედათ ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზიშვილებს დავა ჰქონდათ აქ მდებარე ზაქარულ მამულზე ([1692—1703]. Sd—577).

რენე თექთუმან თექთუმანიძემ მიჰყიდა ზაალ ქარუმიძეს (1699. Hd—1553).

რეხა (რეკა) რეკას მდებარე ვენახი გარეუანული თაყა ამილახორმა სამთაეისს შესწირა (1513. Ad—12-ა). მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ერგოთ აქ მოსახლე ანდრია, ებია და გიორგი წყალობასშვილი მამულებით ([1632—1658]. Hd—14665). — პაპუნა ხუდადისშვილმა იყიდა ხოსინა წერეთელასშვილისგან სვენეთსა და რეხას შუა მდებარე მიწა (1654. Hd—6858). — აქ მოსახლე მამულაშვილი მამულით ერგოთ შიოშისშვილებს და მანუჩარს (1656. Hd—11027). — აბდულმა ჯიმშიტას ვალში მისცა: რეკას მდებარე მამულას ნაქონი ვენახი „მის ბოლოიანად“, მისივე სახლი კალოიანად, გოჩიას ვენახს უკან ნავენახევი საწნახლიანად, ზემო საყდართან პატარა ნაფუძარი (1664. VI.12. Hd—11032). —.სოფელი, მანუჩარ თუმანიშვილმა იყიდა აქ მდებარე სახი დღის მიწა, ნასყიდი რ ე ხ ე ლ ჰახრაკასგან. საზღვრები: რუს ქვემოთ — სვენელ ბაბანასეულ მიწამდე, ხელთუბნისკენ — მამუკას ნასყიდ მიწამდე, ბოლო — იმარაშვილის მიწამდე, თავი რუმდის (1670.III.15. Qd—9037). — რ ე ხ ე ლ ე ბ ი მოწმეები არიან რეხელ პაპია ჰახრაკის მიწის ნასყიდობის წიგნისა (1670. Sd—35). — აქაური მამასახლისი ნინია იყო მოწმე პაპუა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678. Hd—10203). — ნ. ქვემორება (1678. Sd—47). — აქ ცხოვრობდა ნინია კოზიაშვილი (1678. Sd—179). — რ ე ხ ე ლ ნი მოწმენი არიან ბეჟან თუმანიშვილის მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697. Sd—396). — აქ მცხოვრები პაბულაშვილი მისი მამულით წილად ხვდა ბეჟანს ([XVII]. Hd—13446). — აქ ჰოსახლე ილური და როსტომა ძმისწულით. ოქრუას ობლები ებიაშვილის მესამედი მამულით ხვდათ შიოშისშვილებს და მანუჩარს ([XVII]. Sd—905). — აქ მცხოვრები ნასყიდა ფიფინაშვილი ერგოთ მანუჩარ და შიოშის შვილს ([XVII]. Sd — 3651). — აქ მცხოვრები მამულაშვილები წილად ხვდა კვე[ი] [თუმანიშ-

ულს]. ხოლო ზურაბ და ბეკლენ პაპასშვილები მოხსენებულნი არიან [თუმანიშვილების] წილის ნუსხაში ([XVII]. Hd — 3698). — აქ მოსახლე ბაბულაშვილი წილად ხვდა ბეჟან [თუმანიშვილს] ([XVII]. Hd—13446).—ეწერა 7 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631). — ბეჟან [თუმანიშვილს] ერგო „რებს ჯალეწყალგაღმა" ([XVII]. Sd—4949). — რეკაში ედიშერ [ციციშვილს] ერგო მედია უზანასეული ნასახლარით და მამულით, ხოლო პაპუნა [ციციშვილს] — თამაზ ბარჩაკოზაშვილი მამულით ([XVII] Hd—1636). —ნ. ზემო რეხა.

რეხარი აქ მოსახლე ტატია ხახუჩასშვილი მამულით ერგო ედიშერ [ციციშვილს] ([XVII]. Hd—1636).

რეხის-ხევი (რეკის-ქევი) აქ მოსახლე 12 საკომლოს შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს რეკის-ქევში სამი საგლეხოს შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

რველი ნ. ვახანის ციხე-ქვაბი ([1639—1660]. Sd—1789).

რიეთი აქ ცხოვრობდა ქავთარაძე ([1658—1675] Hd—14534-ბ).

რიონი სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის წმიდა გიორგის საყდარს აქ მოსახლე ციხისთავ ღოღობერიძისეული ნაცვალი მამრიკასშვილი და მისი განაყოფი 3 კომლი გლეხი (1545. Hd—11201, Sd—2896). — ნესტან-დარეჯან დედოფალმა ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენებლად გელათს შესწირა აქ მოსახლე ნასყიდა გოლათაძე, გოჩიტა მჭედლიძე, მახარობელი კაბაძე, ნასყიდა მაჩალაძე, გიორგი ტურაბელიძე და სხვა ([1660—1681]. Ad—598-ა). — გიორგი ლიპარტიანმა უბოძა რიონში დედისაძისეული ყმა-მამული ბაჯა იაშვილს და მის ძმას ცაგერელს ([XVII]. ქუთ. მუზ., № 1610).

რიონი (მდინარე) — რიონზე მდებარეობდა ჭალა-დიდი ([1611—1657]. Hd—1551-ა). — გელათის საეპისკოპოსოს ერთი საზღვარი, დაწესებული აფხაზეთის კათალიკოსის მალაქიონის მიერ ([1616—1639]. Sd—2895).

რკვია გულბუდახ ჩხეტიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას აქ მოსახლე ბეჟუა მუმლაძე და სხვაც ორი კომლი გლეხი ([1610—1630]. საისტ. კრებ., III, გვ. 51—52).

რკინის-ჯუარი (რკინის ჯვარი) აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას სოფელი რგანი „იქით ბრეითისკენ კაჟის სამანს რკინის ჯუართამდინ" და ნასოფლარი ვაჩევი „აქეთ კაჟის სამანს რკინის ჯუართამდინ" ([1515—1535]. საისტ. კრებ., III. გვ. 42—44). — ხოსია და თაყა ჯაფარიძეებმა მისცეს კაცხის მაცხოვარს პირობის წიგნი კაჟის სამანსა და რ კ ი ნ ი ს-ჯ ვ ა რ ს იქით რგანისაკენ საცილობელი მიწის კაცხის საპარგებლოდ დარჩენის შესახებ ([1680—1696]. საისტ. კრებ., III, გვ. 61).

რკონი აქ მოსახლე დუღასძეები, სთველიაშვილები და ერდგულა მამულებით ეკუთვნოდა ზაქარია ჯავახიშვილს (1624. Hd—14693). — სიმონ ეტიფონეშვილმა პაპია ჭყოპიაშვილს მიჰყიდა 4 დღის მიწა რკონში, მელის ნასაბლართან — „შინდათან" (1661. Ad—1644-ა).

რომნაზაული ზვარი როსტომ მეფის დროს რევაზ მაღალაძის ჯამამ სვეტიცხოველის ბეჭედი დაჰკარგა და დიღეამს მდებარე რომნაზაული ზვარი გაუიდა. ვენახი კათალიკოსმა დაიხსნა და რევაზ მაღალაძეს უბოძა (1687. Ad—1646).

როტაშაული მამული მურვან ღარიბაძის ძემ ვაჰანის მონასტერს შესწირა ორხოფიას მდებარე ნასყიდი მამული როტაშაული (1393. Ad—933).

რუეთი მისი შეწირულება განუახლა გიორგი მეფემ შიომღვიმის მონასტერს. რ უ ე თ ი ე ბ ს ორი დღე საბნავში უნდა ემუშავათ და ორი — სამკალში (1170. Hd—1351). — რუეთი და აქ მცხოვრები კვირიკე ტოხაძისე კვირიკე კახთა მეფემ თავისი სულის სამწირველოდ შიომღვიმეს შესწირა ([1190—1207]. Ad—3).

რუისი (რუვისი) აქ მოსახლე მრულაშვილის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). —ბაგრატ მეფემ ზაქარია, ციცი და თაყა ფანასკერტელებს უბოძა რ უ ვ ი ს ს მოსახლე თვალიაშვილი და გივიაშვილები მამულებით (1511. Hd—2118). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს თავბერიძის ნაცვლად მროველაშვილის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — ლუარსაბ მეფემ შესწირა რუისის ტაძარს გოჩა თვლიაშვილის კერძი მამული კერჩხაული და მებედური ([1606—1615]. Qd—345). — რუისის ღვთაების საყდარს მანუჩარ ათაბაგმა შესწირა თავისი დედის სიმონ მეფის ასულის ელენეს სააღაპედ ბებნისს მოსახლე სურანელნი (1609. ისტ. საბ., IV, გვ. 5). — მარიამ დედოფალმა უბოძა ზემბოად ლარაძეს რუისს მოსახლე ალიყულიბეგის ნაკონი ოთხი კომლი კაცი (1634. სოც. დოკ., I, № 31). — აქ იყო ანა-ხანუმის საფლავი (1656. Sd—605). — აქ მოსახლე ძმები გიორგი და ღვინია მიჰყიდა ანჩაფ ტუღურუნაშვილმა დომენტი კათალიკოსს (1662. ისტ. საბ., IV, გვ. 37). — შაჰნავაზმა გაარიგა დავა მიწის თაობაზე ურბნელთა და რ უ ი ს ე ლ თ შორის (1666. Ad—1503$_{22}$).—ურბნელსა და რუისელთ შორის დავა შაჰნავაზ მეფემ ასე გადაწყვიტა: წმინდარსიმა და წმინდა-სტეფანეს მიწა რ უ ი ს ე ლ ე ბ მ ა უნდა მოხნან ურბნელის ნებართვით, მხოლოდ ამ უკანასკნელს ღალა უნდა გადაუხადონ (1666. ისტ. საბ., IV, გვ. 44). — რუისელი იყო ღვინია (1687. Ad—1825). — აქ ნასყიდი ვენახი ნიკოლოზ კათალიკოსმა სააღაპედ სვეტიცხოველს შესწირა (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — ესტატე ბუხუნასშვილმა მიჰყიდა ბეჟუა ყანდინაშვილს რუისს რიჭიკაშვილის მიწის თავში მდებარე 6 დღის მიწა (1692.V.1. Hd—6115). — მ რ ო ე ლ ი მონაწილეობდა თუმანიშვილებსა და შერმაზან ჯავახიშვილს შორის დავის გარიგებაში (1699. Hd—9343). — ეწერა 3 სახასო მოლაშქრე [XVII]. Ad—1631). — ედიშერ [ციციშვილს] ერგო რუისს მოსახლე: დათუნა მირიანაშვილი, შარა პატასშვილი, გაბრიელ გაბრიელისშვილი და კაკეუონა მჩიხაიკვაკა მამულებით. აქვე პაპუნა [ციციშვილს] ერგო დოლენჯისშვილი ([XVII]. Hd—1636).

რუსეთი კათალიკოსის სამწყსო იყო ლიხსა და კაფას შუა, რუსეთის საზღვარსა და ჭანეთს შუა ([1510—1548]. Ad—2218). — ლევან ავალიშვილი ორჯერ ჩავიდა რუსეთს ერეკლე ბატონიშვილთან და ემსახურა (1631.VIII.18. Hd—14525). — ერეკლე მეფე უკვე ჩამოსულია რუსეთიდან (1676. Qd—7873).

რუსთავი რ უ ს თ ვ ე ლ ი იყო ზაქარია (1651. Ad—597). — ნიკოლოზ რუსთველმა დაამტკიცა გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძის დადგენის წიგნი (1690.III.12. Ad—349). — იოსებ რუსთველმა ამბა ალაევრდელთან ერთად პირობის წიგნი მისცა დომენტი კათალიკოსს ([XVI] ს. II ნახ.]. Ad—1892). — რუსთველი არქიეპისკოპოსი იყო მათეოზ ([XVII]. Ad—39).

რუსთავითი ბაღი შედიოდა იმ ყმა-მამულში, რომელიც პაპუნა გასტაშაბისშვილმა დურმიშხან ფალავან-ხოსროშვილს გაუცვალა ტბისში მდებარე მამულზე ([XVII ს. II ნახ.]. Hd—2017).

რუსის-გზა მანუჩარს წილად ხვდა რუსის მთაზე, რუსის გზისკენ მდებარე ბოდაბუნის ნახევარი ([XVII]. Sd—961).

რუსის მთა ნ. რუსის-გზა.

რუს-პირი ივანე სხირტლაძემ მიჰყიდა როსტია საგინაშვილს მიწა რუს-პირში. საზღვრები: ...ქვეით შარამდი, ზეით ჩიკვაიძის მიდგმამდი ([XVII]. Hd—9719).

რუსხმულა (რუსხმული) ნ. სუელნეთი (1662. Sd—16). — ნ. სველნეთი (1675. Sd—6). ერთი საზღვარი სახლთ-უხუცეს რევაზ მაღალაძის მიერ შოშია ბერიაძისგან ნასყიდი შავ-წყალას გაღმა მდებარე ნაფარეხევი მიწისა (1689. Qd—1345). — მახარა ვარსიმაშვილმა მიჰყიდა რევაზ სახლთ-უხუცესს 3 დღის მიწა, რომლის ერთი საზღვარი იყო რ უ ხ მ უ ლ ი (1692. Qd—1346).

რუწა დაით ჩალაბაშვილმა მიჰყიდა უმეკა ბახჩიაშვილს რუწას მდებარე მიწები: ერთი დღის მიწა რუსპირას და ნახევარი დღის მიწა ძულიას ბაგის ბოლოს (1632.IX.8. Ad—1568).

რხვითი აქ მდებარე მარტუილოზასშვილის მამული შესწირეს [ნიქოზის] ეკლესიას (1573. სოც. დოკ., № 9).

ს

საათაბაგო ალექსანდრე მეფემ დაამტკიცა ბასილ კათალიკოსი აქ მოსახლე საკათალიკოსო ყმების სარდლად ([1562]. Hd—1721).

საამილახრო მოხსენებულია ნაზარალიხანის მიერ იოთამ ამილახვრისათვის მიცემულ წყალობის წიგნში (1692.XII. ქ. — სპ. საბ., № 150).

საამირეჯიბო მდებარეობდა საზანოში საქადაგიძოს გვერდით სამაკავარიანოს საზღვარზე ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57).

საარწივის კლდე პაპუნა ბარათაშვილმა მიჰყიდა მერაბ ყორღანაშვილს ნაოფლარი ზემო შავნი, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო საარწივის კლდე (1661.III.15. Hd—13755).

საბათ-გორი ღვთისავარამ მისცა ვარდია დოლიძეს მიწა, რომელიც მდებარეობდა საბათ-გორის ქვემოთ შარამდე ([XVII]. Hd—1579).

საბარავი ჩაისარ თმოგველის ასულმა გულშარმა იყიდა აქ ვენახი და შესწირა ვახანის ქვაბებს ([XIV]. Ad—933-ე).

საბარათიანო (საბარათაშვილო) ალექსანდრე მეფემ მისცა ბასილ კათალიკოსს საბარათიანოში საკათალიკოსო ყმებზე სარდლის უფლების დამტკიცების წიგნი (1562. Hd—1721). — სიმონ მეფემ უბრძანა საბარათიანოს ტარუღებსა

და მელიქებს დმანისის ეკლესიისათვის მიცემული შეწირულებისა და სითარხნის წიგნის დამტკიცება (1586.I.9. Ad—2233). — ლუარსაბ მეფემ უბრძანა სომხითისა და საბარათაშვილოს მებალახეებს, რომ დაანებონ ტფილისის სიონის ეკლესიას შეწირული საბალახე (1607.VIII.20. ისტ. საბ., IV, გვ. 4). — ლუარსაბ მეფემ დაუმტკიცა იესე ჯავახიშვილს მისი სამკვიდრო მამული წოდორეთს, რომელიც მდებარეობდა საბარათიანოში (1608.IX.7. Hd—14700). — აქ მდებარე ნასოფლარი ყიშლაღი ლუარსაბ მეფემ უბოძა გიორგი საყაძეს (1608. Hd—1942).—აქ მდებარე სოფ. კრწანისი „მთას აქეთ“, გამრეკელ ჯავახიშვილის კერძი, ლუარსაბ მეფემ უბოძა გიორგი საყაძეს (1608. Hd—13052). — საბარათიანოში მდებარეობდა სოფ. აგუდანეთი (1624.V.16. Hd—3056). საბარათაშვილოში მდებარეობდა ამოვარდნილი ელამადათის სამკვიდრო სოფელი ბოცოს ჯუარი (1626. XII.15. ქ.-სპ. საბ., № 23).—აქ მდებარეობდა ნასოფლარი დიდი ურცევანი (1627. ქ.-სპ. საბ., № 30). — აქ მდებარეობდა სამშვილდის კრწანისი (1634.V.22 ქ.-სპ. საბ., № 49). საბარათიანოს სარდალი იყო ბაგრატ (1635.XI.14. ისტ. საბ., IV, გვ. 21—22).— საბარათაშვილოში შედიოდა კაბერეთის მონასტერი (1637. ქ.-სპ. საბ., № 60).— აქ მდებარეობდა სოფ. კრეფა (1643.III.12. ქ.-სპ. საბ., № 79). — საბარათაშვილო-საბარათიანოში შედიოდა ადგილები. რომლებიც მდებარეობდა ავდარასა და ყაწლუჯას გზით ზევით (1657. ქ.-სპ. საბ., № 115). — აქ მდებარე სამშვილდე მისი კრწანისითურთ ვახტანგ V უბოძა ელიზბარ ბოქაულთ-უხუცესს (1658. Hd—5227). — როსტომ მეფემ განუახლა ყაფლან ბარათაშვილს ტაშირში, საბარათაშვილო სოფლები (1658. ქ.-სპ. საბ., № 119). — შანავაზმა უბოძა ვახტანგ ბარათაშვილს მდივანბეგობა (1676. Sd—536). — საბარათაშვილოსა და სომხითის სარდარი იყო თამაზ ორბელიანი (1677. Ad—1357). — მისი მებალახობა უბოძა გიორგი მეფემ ვახტანგ ორბელიშვილს ([1676—88]. Sd—550). — მისი საბალახოს მკრეფლობა უბოძა ლევან ბატონიშვილმა პაპუა ორბელიშვილს (1689.1.26.Sd—626).

საბარკლეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა სამთაეისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

საბარიაული მიწა იესე კლიმიაშვილმა მიჰყიდა მამაცაშვილებს საბარიაული მიწა რუს ზევით და ქვევით, რაც კი ბარიასშვილს ჰქონდა (1680.XI.1. მატენად:. ფნ. 252, № 5).

საბაყოს წყარო გიორგი თათარაშვილმა მიჰყიდა პაატა მაღალაშვილს მიწა საბაყოს წყაროსთან (1502. Ad—1653).

საბაწმიდა სოფელი ტაშირში, ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1398.XII. Hd—8712).

საბაწმიდა ალექსანდრე [ჯახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

საბედინო ბექუა მეუნარგისშვილმა მიჰყიდა როსტომ ფალავანდიშვილს სასაბლე საბედინოს მიდგმამდე ([XVII]. Sd—819).

საბერეთი როსტომ მეფემ სამკვიდროდ დაუმტკიცა ყარჩიღას და მის შვილება საბერეთის ნახევარი (1653. Sd—2).

საბრონწლე თრიალეთში, კათალიკოსმა იოანე დიასამიძემ (საეკლესიო) მოხელეთაგან ხელშეუვალობის წიგნი მისცა ბრონწლელებს (1697.VI.23 სოც. დოკ., I, № 142). — ეწერა 6 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

საბუე (საბუვე) თეიმურაზ [კახთა] მეფემ დაუმტკიცა ყორჩიბაშ თამაზ ამაღლაკაშვილს ახლამაზისეული მამული საბუეში (1616. Hd—14679). — თეიმურაზ ბატონიშვილმა უბოძა მაქსიმე ბოდბელს საბუეს მცხოვრებნი ყმები (1568. სოც. დოკ., I, № 503).

საბუზარა აქაური ნასრადალაშვილი მამულითურთ წილად ხვდა ფარსმატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

საბურაული ლევან [იმერთა] მეფემ უბოძა თავის ყმებს ღაღანიძეებს საბურაული 2 პარტაბტი (1583. Ad—1334-ა).

საბურთალო ხაზიამ და მისმა შვილებმა მიჰყიდეს ჭყოპიაშვილებს 2 დღის მიწა საბურთალოზე საზღვრებით: შარიმადინის მიწის ქვევით ბასილაშვილის მიწამდე ([XVII]. Ad—1644-დ).

სამაგულიო აქ მცხოვრები ჯინჯუა კაკაშია შესწირა ლევან დადიანმა ბიჭვინტას (1628. Sd—2904).

საგარეჯონი პირაქეთ საგარეჯონის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

საგარეჯო ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883). — ლეონ [კახთა] მეფემ თავისი ქალი „უბვედროდ" მიათხოვა ბაგრატის შვილს ერეკლეს. სვიმონ კათალიკოსმა რჯულის წესით დაშალა ქორწინება. ამის გამო ლეონ მეფემ სვეტიცხოველს შესწირა მთას აქეთ საგარეჯო და გაათარხნა სამეფო გამოსაღებთაგან, გარდა საყაენო საურავისა და ლაშქარნადირობისა (1548. Ad—1585). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ პირობა მისცა ნიკოლოზ კათალიკოსს საგარეჯოს მამულების გაუცემლობის შესახებ (1579. Ad—1604). — ლეონ [კახთა] მეფემ დაადგინა, რომ წინა და უკანა საგარეჯოს გამოსაღები შუაზე გაყოფილიყო და ნახევარ-ნახევარი კათალიკოსსა და დავით გარეჯას მისცემოდა. ეს დადგენილება დაამტკიცა ალექსანდრე [კახთა] მეფემ (1597. Hd—1377). — როსტომ მეფემ უბოძა ზაქარია მაყაშვილს ლუარსაბის ნაქონი მამული პირაქეთ საგარეჯოში (1637. Hd—14481). — საგარეჯო მოხსენებულია როსტომ მეფის სითარხნის წიგნში (1643. Hd—14477). — საგარეჯოელნი მოწმენი იყვნენ ქრისტეფორე კათალიკოსის წყალობის წიგნისა (1648. Ad—352). — წინა საგარეჯოელებს მიწებზე ედავებოდა მამუჩი ჰავჰავაძე (1654.I.2. ისტ. საბ., IV, გვ. 34—35). — არჩილ [კახთა] მეფემ გაათავისუფლა დავით-გარეჯისა და ნათლისმცემლის მონასტერთა ყმები საგარეჯოში (1672. Ad—2060). — აბაზყულიხანმა გაათარხნა დავით-გარეჯის მონასტრის ყმები საგარეჯოში (1693. IX.29. ქ.-სპ. საბ., № 154). — ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს სახლთ-უხუცესობა და ჯანიშინობა სვეტიცხოველის მამულებისა, რომლებშიც შედიოდა პირიქით და პირაქეთ საგარეჯო (1700.VI.29. Qd—1348; 1700,VII.19. Ad—1590). — საგარეჯოში მდებარეობდა ნინოწმინდის ეკლესია ([XVII]. Ad—131). საგარეჯოს ნაცვალმა გაარიგა რუსიშვილების სამამულო დავა კათალიკოსთან ([XVII]. Ad—1891).

საგარეჯოს მთა კისისხეველთა და ხოდაშნელთა სამამულო დავის გარიგების შედეგად დარჩა საგარეჯოს (1654. Hd—8389).

საგოგატიშვილო მამული სოფ. თიღვაში დათუნა [წერეთლის?] საკუთრება (1648.II.10. Sd—1138).

საგოდოგნო შარა ამასა და სასვიმონეთო შარას „აქეთ" მიწები ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის მონასტერს ([XVII]. Sd—2896).

საგუდე სოფელი. ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა მასვე მისი შეწირულობა (1559. XII.1. Ad—1572).

საგუდეს მიწა გიორგი ჯარმაულმა იყიდა ქერობინ გეშაშვილისაგან (1531. Sd—733).

საგუელე ქვა ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფ. ჯიმითისა, რომლის ერთი საზღვარი იყო საგუელე ქვა (1579. Sd—464).

საგურამო აქ 4 კომლი მეღალის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მასვე საგურამოში მცხოვრები ზედაძნელაშვილების შეწირულება (1579. Sd—464). — თეიმურაზ მეფემ გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან აქ მცხოვრები ჯამბაკურები (1631.II.21. Hd—14661-ა). — ერთობით საგურამოელნი მოწმენი იყვნენ ზაალ გურამისშვილის მიერ მამისიმედ გოგოჯანაშვილისათვის მიცემული კულუხისა და სამოკელეოს ამოკვეთის წიგნისა (1678.XII.5. Hd—14194). — საგურამო მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებული სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931). — ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს სახლთ-უხუცესობა და ჯანიშინობა სვეტიცხოველის მამულებისა. რომლებშიც საგურამოს მამულებიც შედიოდა (1700.VI.29. Qd—1348; 1700. VII.19. Ad—1990).

სადავითიშვილო ხოსია და პაპუა ტატიშვილების სასისხლო დავის გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ ციცი [ციციშვილის] აზნაურები და „სრული სადავითიშვილო" (1672. Hd—3235).

სადგერი (წმინდა გიორგის ეკლესია) მისი დეკანოზი იყო გიორგი ([1564—79]. Sd—479). — მას როსტომ მეფემ შესწირა ტინისჯიდში მოსახლე მამაჯანაშვილები მათი მამულებითურთ (1644. Qd—2880).

სადგერი (სოფელი) ამოვარდნილი პაატა გოგიბაშვილის ნაჭონი, ნაზარალიხანმა უბოძა ფირან ჩოლაყაშვილს (1689. Hd—9690).

„სადგომის ალაგი" დარჩა ხოდაშნელებს კისისხეველებთან დავის გარიგების შედეგად (1654. Hd—8389).

სადიღმო შარა იყო საზღვარი ზემო შავნისა (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53; 1661. III.15. Hd—1375). — გაგულამ მიჰყიდა ქიტა ივინაშვილს მურდალაში დღენახევრის მიწა, რომლის საზღვარი იყო სადიღმო შარა (1661.XI. Ad—1806).

სავანეთი სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).—[სიმონ] მეფემ განუახლა ნასოფლარ სავანეთია შეწირულება სვეტიცხოველს (1559.XII.1. Ad—1572).—პატასა და ყაფ-

ლან [ორბელიანებს] შორის დავის გარიგებისას გადაწყდა: ს ა ვ ა ნ ე ლ ი გლეხი, აყრილი და ლორეს მისული ყაფლანისა იყო იმ შემთხვევაში, თუ მისი აყრა პატას მიერ სავანეთის შოვნის შემდეგ მომხდარა ([XVII]. Hd—14284).

საზანო აქ იყო სამაკავარიანო სასახლე, რომელიც პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57).

საზარო აქ ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთის კედლის ძირთან 4 ტანის სასაფლაო ადგილი ამოწუვეტილი ივანწკეპლიძისა იყო და ბაგრატ [იმერთა] მეფემ უბოძა საყდრისშვილს ივანე ცირღილაძეს (1545.VII.19. ქუთ. მუზ., № 745).

სათალგმენი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ნასოფლარ სათალგმენის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

სათიბი გიორგი ბაგრატიონმა შესწირა თარხნად სვეტიცხოველს ნასოფლარი სათიბი (1540. ისტ. საბ., II, გვ. 37—40).

სათიზარი ყურისუბნის ნაცელად უბოძა იგი ვახტანგ ბატონიშვილს ნიკოლოზ კათალიკოსმა (1574.III. Sd—2870). სოფელი. დომენტი კათალიკოსმა გაუცვალა იგი ვახტანგ ბატონიშვილს ყურისუბანზე (1595.IV.30. Sd—2871).

სათილანი თეიმურაზ [ქახთა] მეფემ უბოძა ყორჩიბაშ. თამაზ ამატაკისშვილის ალამაზისული მამული სათილანში (1616. Hd—14679).

სათიხარი (სათიჯარი) სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ სვეტიცხოველს განუახლა სოფელ ს ა თ ი ჯ ა რ ი ს შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — ნიკოლოზ კათალიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს მიხცა ყურისუბნის სანაცვლოდ სვეტიცხოველის მამულები. რომლებშიც შედიოდა სათიჯარიც (1574.III.14. Ad—1654). — ეწერა მას 7 საბასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

საკანი ალექსანდრე [ქახთა] მეფემ უბოძა არსლან ჯანდიერიშვილს საკანში დანიელაშვილი და 3 კომლი კაცი (1584.VII.7. სოც. დოკ., I, № 506).

საკვეთლი გიორგი საბარაშვილმა მიჰყიდა გიორგი-ბერიძეს დღენახევრის მიწა საკვეთლში (1690. Hd—1747).

საკეცე აქ ნასყიდა საგინაშვილი მამულითურთ ერგო ქაიხოსროსა და ზურაბს ([XVII]. Sd—1965).

საკვეთლისი 2 დღის მიწა. იყიდა მეტეხელმა გიორგი დემეტრაშვილმა ბეჟიტა ბეჟანისშვილისაგან (1602. Hd—8266; 1659. Hd—9626).

საკვია სოფელი ულუმბოს ძირას. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

საკირე სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

საკირის მიწა წოდორეთში მდებარე ერთი დღის საკირის მიწა სულხანაშვილებმა მიჰყიდეს ჯავახიშვილებს (1672.V.1. Hd—2629).

საკოჰავი შედიოდა დაუდ-ხანის საბრძანებელში და აქ საკმარი ჰქონდა სადგრის წმიდა გიორგის ეკლესიას ([1564—79]. Sd—479).

საკუნდარა აქედან უმები უბოძა შანავაზმა დონდარას სოფელ ეერხუნელას სანაცვლოდ (1662. Sd—621).

საკურწე აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას საკურ-

წეში ბრეგუაძეები გამოსაღებთა დაწესებით ([1515—35]. საისტ. კრებ.. III, გვ. 44-—48). — აქ მცხოვრები გოგსაძეები ბაგრატ [იმერთა] მეფემ უბოძა ყუდანათ წერეთელს (1678. Hd—14781).

სალუქური მიწა ნიკოზელიძის მიწის ბოლოს ერგო ბეჟანს (1535. Sd-- 4949).

სალხინო აქ ნიკოლოზ კათალიკოსმა ააშენა საყდარი. სასახლე. მარანი. ბაღი და 2 კომლი კაცი მებაღედ დასვა (1691. VII.25. ისტ. საბ., IV. გვ. 64).

სალხინოს მიწა გიორგი საყაყემ მიჰყიდა პაპუნა თუხარელს ნასყიდა ბაღ-ლიშვილის ნაქონი მიწა, საზღვრებით: პაპუნას სასახლის ზევით, საზვნაქროდ რუმდე, სალხინოს მიწამდე (1678. Sd—63).

სამადაანთ-კარაჭა სოფელი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd — 10375).

სამადლო სოფელი, ამის. ბოლოს, ორ ხევს შუა იოსებ ბეგაშვილმა მიჰყიდა ქუბაშვილებს თავისი ნასყიდი მიწა ([XVII]. Hd—9549).

სამ[ან]გლელო მეფემ უბოძა როინ ჯავახიშვილს მისი სამკვიდრო სამ[ან]გლელო მამული (1630.Qd—1045). — როინ ჯავახიშვილს უბოძეს მთელი სამ[ან]გლელო მამული საჯავახიშვილოში (1690. Qd—1011).

სამალრანი თეიმურაზ [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მამულები ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილს სამალრანში (1616. Hd—14679).

სამარჩეთი აქ ცხოვრობდნენ ეგრისელაშვილი და ბესიაშვილი (1661. IV.16. Sd—751).—სამარჩელნი მიწებს შეეცილნენ ასურელებს (1665. Sd—753).

სამაჭავარიანო სასახლე საზანოში. პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას ([1684]. საისტ. კრებ., III. გვ. 52—57).

სამგორი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სამგორისა საზღვრებით: თამარ მეფის რუ. ბოსტან-ქალაქი, საჯერნეს ტბა, გრძელი ტბა, ამართული ქვა. შურთხაანთ-კლდე. ლურჯი ფლატო. მამადის გორა, საქალაქო შარა, დამპალის კერძი იორისკენ, მარტვილთ-მონასტერი. სამნი გორანი იორის პირას, დედოფლის წისქვილნი იორს გამოღმა, მცხეთის გორაკი თარაქთ-ბოლოს, ბრმა წყარო. შავქეთთ-ღელე, დავალთისას იქით ღელე. მარიამ-ჯვარად წოდებული, სტაფის თავს ძველი ეკლესია, ველტყიანი, შაფწყაროს ღელე, ოლე ხოდაშენსა და წინანდლის შუა. ბაღთკარნი, ვანთა მონასტერი (1579. Sd—464).

სამება (მონასტერი) მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). სამებელი იყო ნიკოლოზი (1690. Ad—349). — ლუარსამ სამებელი მაყაშვილი ედავებოდა ქსნის ერისთავს, დავა გაარიგეს აშოთან მუხრან-ბატონმა და გიორგი მდივანმა ([XVII]. Ad— 612).

სამება (სოფელი) აქ მდებარე თავისი კერძი მამული გამრეკელ ჯავახიშვილმა მზითვად გაატანა შამანდუხს (1597. Hd -14425). — აქ მდებარე ვეზიას კერძი მამული ნესტან-დარეჯან დედოფალმა უბოძა ზურაბ საბლთ-უბუცესს (1607. Hd- 8273). გიორგი მეფემ უბოძა იგი აეთანდილ მოურავისშვილს (1693. Hd—1966, 1924). ეწერა მას 3 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad 1631).

სამების-კევი ქვიროსში, ოთია გოგიბედაშვილი ზურაბ და შერმაზან ჯავახიშვილებს შეედავა მიწაზე მაზიტას-კევსა და სამების-კევს შუა (1695. Hd -6061).

სამეკრეო (სამეხრ[ე]ო) ნ. არწევანი (1457 ისტ. საბ., II, გე. 11). — ა ა მ ე ხ რ [ე] ო ს მამასახლისს იორდანეს გიორგი მეფემ უბოძა ცხვრის საბალახის ათარხნის წიგნი (1687.XI.2. Hd—6204).

სამზირდის წვერი ერთ-ერთი საზღვარი იყო კაკაბელთა და შიბლიანელთა აადაეო მიწისა (1700.XI. სოც. დოკ., I. № 525).

სამთავისი შანავაზმა დაამტკიცა 1673 წელს ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ი ს სოფლების ეპოპაკებთა და ჯარიმების 1459 წლის წიგნი, რომლის მიხედვითაც გამოსაღებნი მართებდათ ნატურით შემდეგ ადგილებს: ყანჩეთს, საძეგურს, ცხავ-ტბ. ლარგუს, დგიმს, ლოგობეთს, შველიეთს, დადანეთს, ზოდეხს, მთოხთას, მახურეთს, დაბაკნეთს, სოსმალეს, სოსხეტოს, დასწყაროს, კლდეთს, ბელელეთს, წინუბანს, ყველდაბას, ჯარბალს, ჭორჭოხს, ახალდაბას, არნაწმიდულს, ქარჩუხს, ეამურს, კვერიეთს, ძაბლეთს, ხოზოთს, გოგოეთს, გავაზს, ყობელეთს, შთონოეთს, ჰურთას, ჰურთის-ჯვეს, საღორეთს, წითროლეთს, საბარკლეთს, კვცხოველს, დვალეთს, არდის, წალდევს, ისროლს, ჯავახთას, ბოსელთას, ღუდს, თრუსოს. ქოლოთს. ვანს, ქვითკირთას, წოლდს, დელოვანს, არმაზს, წინზახორს, უკანწირს, წირს, ქვემო წირს, ქარტის, კორსალს, ტბეთს, ციხისძირს, ქადაგანს, აღაიანს, კვარხითს, ჩანგილარს, ბეგთათავს, ექის, აქეთ ოკამს, იქით ოკამს, თეზს, გარეუანთ-უბანს. ლამისყანას, ხვთასდა ნოტრეს, ბენის, იგოეთს, ფუნგის, გეორეთ. ჯეკიკურს. აქვე მოდის სისხლის სამართალი სამთავნელის სამწყოსზე სხვადასხვა დანაშაულისათვის (1459. Ad—559, 604). — სამთავისი მოხსენებულია სამართლის წიგნში ([XV]. Hd—15045). — თაყა ამილახორმა თავისი ძმების, შიოშისა და ზევდგინის სულისათვის, სამთავისს შესწირა: სოფელი ნადარბაზევი. 2 ვენახი კაბ3ში და მწირველად და მეეკუდრედ დაადგინა მოძღვარი მარკოზ ბეშქენასძე და მისი შვილი დანიელ, რომელთაც დააკისრა აღაპების გადახდა შიოსა და ზევდგინისათვის (1513. Ad—12-ა). — სამთავისიდან სამთავნელს უნდა მიეღო პური, ზეთი, თევზი, სანთელი, საკმელი და პატრუქი (1655. სოც. დოკ., I. № 58). — სამთავნელი ესწრებოდა ავთანდილ ამილახორისა და მისი ბიძაშვილების საბლისკაცობის რიგის დადგენას ([1676-96]. Ad—2071). — გიორგი მეფემ სამთავისის ეკლესიას შესწირა დიმიტრი ბაგრატიონის ნაჭონი სოფელი ზოსიმე სამთავნელის დროს, ალექსანდრე მეფემ ჯვარი გახადა სამთავისის დროშად. შესწირა მას იოელ კანდელაკი და თავისი საბასო სოფ. დიდი ნადარბაზევი ([1676—96]. Ad—565). — კვიპრიანე ყანჩელი და იოსებ სამთავნელი მოწმენი იყვნენ თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699. Hd—1553).

სამინაური აქ მდებარე მიწა ნაზარ მღებარმა მიჰყიდა მარიამს (1678, Hd—9639).

სამლაშე სახნავი მიწა, ამასა და კუერნაკზე დაეა ჰქონდათ გივი ამილახორს, კათალიკოსსა და ელიბარ ქსნის ერისთავს (1659. Hd—2113).

სამნი გორანი ივრის პირას, იყო საზღვარი სამგორისა (1579. Sd—464).

სამოქალაქო აქ სახლობდნენ აზნაურების ნიკარაძისა და მხეიძის გლეხები, რომლებიც ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის წმინდა გიორგის საყდარა (1545. Hd···11201).

სამხარი აქ ცხოვრობდნენ შაყულაშვილი, ჩაიკაშვილი, ხახულაშვილი (169:. Hd—813).

სამხონაური მამული ზაქარია ჯავახიშვილის სკრაში მოსახლე გლეხების პაპუნასი და მაზიტას მამული (1624. Hd—14693).

სამტრედო საკაძისეული სოფელი, გ. საკაძის „გადავარდნის" შემდეგ სასასო გახდა და როსტომ მეფემ უბოძა იორამ საკაძეს (1652. Hd—13956).

სამღერეთი სოფელი, სიმონ მეფემ უბოძა ფრიდონ საკაძის შვილებს და ძმას იოვანეს (1580.IV.30. ჭ.-სპ. საბ., № 1).—როსტომ მეფემ უბოძა გოდერძი და შერმაზინ საკაძის შვილებს აქ მამულები (1643. Sd—1941).—იოვანე საკაძის განაყოფის მამული, თეიმურაზ მეფემ უბოძა იოვანე საკაძეს ([1634—48]. Hd—5296). — ს ა მ ღ ე რ ე ლ ე ბ ს დავა ჰქონდათ მიწაზე ნადარბაზეველებთან ([XVII]. Sd—477-ა).

სამშვილდე ნ. მცხეთა (სვეტიცხოველი — 1587. ისტ. საბ., გვ. 55—57). — აბბარათაშვილოში მდებარე სამშვილდის კრწანისი უბოძა როსტომ მეფემ შიოშ მოლარეთ-უხუცესს (1634.V.22. ჭ.-სპ. საბ., № 49). — აქ ცხოვრობდნენ იაგანაშვილები (1643. Hd—1601). — იგი კრწანისითურთ უბოძა ვახტანგ მეფემ ელიზბარ ბოქაულთ-უხუცესს (1658. Hd—5227). — ნაზარალიხანმა უბოძა სამკვიდროდ აეთანდილ ბარათაშვილს (1693.IX.6. ჭ.-სპ. საბ., № 153).

სამცვივარაიანი იყო საზღვარი სამაჯვარიანო სასახლისა. ([1684]. საისტ. კრებ.. III, გვ. 52—57).

სამცხე მისი საპასალარი იყო სარგის ([XIII]. Hd—11625). — იოანე კუმურდოელმა პირობა მისცა დავით კათალიკოსს, რომ სამცხის ეპისკოპოსსა და მაწყვერელს არ აკურთხებს და არ შეინდობს ([1453—9]. Hd—2082).—მისი ათაბაგი მოხსენებულია ალექსანდრე მეფის მიერ ბაქრაძეებისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1501.VI.7. Hd—10150). — მისი ეპისკოპოსი მოხსენებულია ალექსანდრე მეფის სასისხლო სიგელში (1503.I.30. Qd—6935). — სამცხის ეპისკოპოსთაგანმა ზოსიმე კუმურდოელმა სამსახურის პირობა მისცა ბასილ კათალიკოსს ([1516—35]. Hd—2083). — მაწყვერელი, როგორც სამცხის მღვდელთმთავართა წარმომადგენელი. მოხსენებულია ბაგრატ მეფის მიერ ჯაკა შერგილაძისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1554. Qd—1317). — როსტომ მეფემ პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილის მამა სამცხეს გაგზავნა, სადაც მან. სხვა კაცებთან ერთად, ყარამაჰმადაშვილიც დაიჭირა (1634.VIII.25. Hd—14601). — ნ. ღოღეთი (1645. სოც. დოკ., I. № 38). — ნ. გორი (1662.V.24. აქტები. I, გვ. 20). — ბერუა ტერტერაშვილი სამცხიდან გადმოვიდა ქართლს და უმად თავი მიჰყიდა ტერ-ზაქარაშვილებს (1668.IV.5. Hd—2578). — გიორგი მეფე სამცხეს მივიდა იმერეთიდან (1692. Sd—559).

სამძივის-ქედი მასზე მესხებს შეებნენ ზაზა [ციცაშვილი] და ზაქარია [ჯავახიშვილი] ([1443—66]. Sd—1212).

სამწე აქ 12 გლეხი უბოძა თამარ მეფემ იაკობს (1433. Sd—723).

სამწევრისი (სამწერისი) მის ზეკით მდებარე სოფელ სანებელის შეწირულება კანუაბლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). დაარბია ჩიქავასძემ ([1443—66]. Sd—1242).—სოფელი, აქ ცხოვრობდნენ მამაგულაშვილი და უპეფთაშვილი (1670.VIII.2. Hd —5242, 10249). — სახლთ-უხუ-

ცეს აქ 12 კომლი ყმა ჰყავდა. ბადურას და ყაიას—41 და კიდევ 1 კომლი ზღუდეშვილი ([1658—75]. Hd—14534-ბ).—აქ ცხოვრობდა 1 კომლი ყმა მაზმნიშვილი ([1658—75]. Hd—14534-ა). — **სამწევრელი** მამასახლისის შვილი იყო გიგოლა (1681.V. Hd—1781). — მისი მესთველეობა უბოძა ლევან ბატონიშვილმა ოთარ მაჭუტაძეს (1683. Ad—381). — სამწევრისი მოხსენებულია სახუთში ([XVII]. Ad—1277).

სამწერისი ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო სამწერისში თამაზ ღვთისიაანშვილი მამულითურთ ([XVII]. Hd—1636).

სამწვირისი სოფელი სომხითში, შანავაზმა უბოძა ეინალბეგ მირიმანაშვილს (1666.III.3. Ad—1973).

სამწყრის-წყალი იყო სამხრეთი საზღვარი ოპიზართა და მიჯნაძორელთა შორის სადაო მიწისა ([1027—72]. Sd—1201).

სანავალოდე საზღვარი იყო ჩრდილოეთით სოფელ ჩორდისა (1494. Sd—3035).

სანებელი სოფელი სამწევრისა ზევით, ალექსანდრე მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — აქ ცხოვრობდა მოსაურე 6 კომლი ყმა, აგრეთვე რუსებისა და პატას 4 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა). — ედიშერ [ციციშვილს] პაატასთან გაყრისას ერგო სანებელში ელიკაშვილები და ნახევარი ზვარი; პაპუნას ერგო გოგიტაშვილები და ნახევარი ზვარი ([XVII]. Hd—1636).

სანიაოს ქედი გურნაში, უბოძა ალექსანდრე მეფემ იოვანე ომადმანიძეს ([XVII]. Sd—1789).

სანიაურორი ნ. ნარაყალა (1699.II.24. Hd—1351).

სანისლოს ჭვა ამასა და უნაგირას შორის მდებარეობდა ტყე და წყალი, რომელიც სვიმონ გურიელმა შესწირა აჩის წმიდა გიორგის მონასტერს (1614. XI.3. საისტ. მოამ., I, 1925, გვ. 184—5).

საპონაური პაპუნა [ციციშვილს] ედიშერთან გაყრისას ერგო საპონაურში ნაბარაშვილი მამულითურთ ([XVII]. Hd—1636).

ხარალის-წყალი ნ. ფაშაანი ([XVII]. Ad—1881).

ხარბილი მიწა ნ. თხოთის აგარა ([1258 წლ. ახლოს]. Ad—5).

ხარეკი აქ ცხოვრობდნენ აბრამიშვილები, ლაბაძე, გოქხაძე, ზაბახიძეები, ჯანაშვილი ([1680 წლ. ახლოს]. Hd—2527).

ხართუმალი ნ. ვენახისთავი (1681.VI.20. Hd—834).

ხართუმელი აქ მარინდამ და სვევბმა მიჰყიდეს პაპია ჭყოპიაშვილს მიწა საზღვრებით: ტყემალი და ბეგი ([XVII]. Ad—1644-ბ).

ხარკე [სიმონ] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1559. XII.1. Ad 1572).

ხარკინე უდაბნო, მისი შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს ალექსანდრე მეფემ (1398.XII. Hd—8712).

ხარკინეთი ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543. IV.20. Hd—10375). წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). მასზე ერთმანეთს ედავებოდნენ ყაფლან, პატა და პაპუნა ბარათაშვილები ([1632—58]. Sd—794). — პაპუნა ორბელისძე ყაფლანიშვილმა

დმანისის ღვთისმშობელს შესწირა სარკინეთში 1 კომლი პაატაშვილი (1689. IV.11. Ad—1291). — დავის დროს ნასოფლარი სარკინეთი შუაზე გაიყვეს ყაფლანმა და პაატამ ([XVII]. Hd—14284).

სარკისი სოფელი იმერხევში, ამისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

სარკის მონასტერი მეფემ განუახლა იგი სვეტიცხოველს და მიაბარა იგი განსაგებელად მალაქია ქართლის მთავარეპისკოპოსს ([XVII]. Ad—712).

სარწივის-ხევი საზღვარი იყო ზემო შავნისა (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53).

სასალტიის მიწა ალგეთის პირზე, ხეკორძის ბოლოს, მასზე ჰქონებ თბილელი ედავებოდა ზალა შანთიძეს (1682.VIII.24. ისტ. საბ., IV, გვ. 64).

სასვიმონეთო შარა საზღვარი იყო ნავენახევისა, რომელიც წინათ საყდრისა იყო, შემდეგ ღოღობერიძემ მიიტაცა, ბოლოს მხეიძემ დაიჭირა და ახლა ბაგრატ [იმერთა] მეფემ კვლავ გელათის წმ. გიორგის ტაძარს შესწირა (1545. Hd—11201). — ამასა და საგოდოგნოს შარას „აქეთ“ მიწები იმავე მეფემ შესწირა გელათის მონასტერს ([XVI]. Sd—2896).

სასირეთი აქაური გლუსა მოწმე იყო ვინმე ძამანასშვილის მიერ ყანდინა ედილსაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690.IV.22 Ad — 1605). — აქაური იყო ინდო ცოცხალასშვილი (1609. Hd—1656). — სასირეთი იყო შაევრდა კახპატაშვილი (1669. Sd—40). — აქ ცხოვრობდა 9 კომლი ყმა, ამას გარდა 1 კომლი ყმა ზალისა იყო ([1658—75].Hd—14534-ბ).

სასხორი (სასცხორი) აქ მცხოვრები გლებები გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351). — სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ბაკრატ მეფემ უბოძა სააღაპედ ჯვარის მტვირთველს დანიელ ელიოზიშვილს (1467.I.21. Qd—27). [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ს[ა] სცხორის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).—აქ მდებარე ვენახი საყდარს დაუდო ბადურ ციციშვილმა, რომელსაც ამის გამო ზაჭარია კათალიკოსმა სისხლი შეუჯდო ([1623—30]. Sd—800).—ეწერა 12 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

სატიო სოფელი. თავის ძმისწულ რამაზთან დავის გარიგებისას ერკო დავით დავითისშვილს ([1632—58]. Qd—8237).

სატრედეთ-მიწა ვენახი, იყიდეს სჳმონის ძმებმა გოჯი[ა]ს-შვილიაკან (1489.III. 29. Sd—463).

სატრედო ნ. მცხეთა (სვეტიცხოველი 1587. ისტ. საბ., II, გვ. 55—57)

საფალავანდიშუილო (საფალავანდიშვილო) ნესტან-დარეჯან [იმერთა] დედოფალმა უბოძა აქ ყმა-მამული ქაიხოსრო და პაატა წერეთლებს (1660. Hd—9466). საფალავანდიშვილოში სახლობდნენ ბასილიძეები (1680. Sd—509).

საფარა მონასტერი, თურქებმა მოაოხრეს, მისი წინამძღვარი არსენ ავალიშვილი და მონასტრის ყმები ქართლში გადმოსახლდნენ (1630.IX.9. Hd—14678).

საფეჩეთი აქ 1 საკომლო მამული უბოძა დავით ქსნის ერისთავმა სვიმონ ყურელს (1689.II.25. Hd—7227).

საფისტეს ციხე მდებარეობდა ვერენას ციხის „გადაღმა" (1579. Sd—464).

საფურცლე სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — მუხრან-ბატონებმა წაართვეს სვეტიცხოველს, რომელსაც კვლავ შესწირა იგი ზურაბ [არაგვის] ერისთავმა (1628. I. 1. ისტ. საბ., IV, გვ. 12).

საფურცლულის რუ საზღვარი იყო მღვდელ შიო ეგაძისადმი ზაქარია კათალიკოსისაგან ნაბოძები მიწისა (1629. Hd—2391).

საფქვილაური აქ სახლობდა 2 კომლი კარაჭაშვილი და სალუყაზანასშვილი, რომლებიც გივი ზედგინიძემ უბოძა თავის ყმას ქავთარ ეგაძეს (1647. Ad—1102).

საქადაგიძო საზღვარი იყო სამაქავარიანო სასახლისა საზანოში ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57).

საქათმის კარი საზღვარი იყო ჩრდილოეთით ოპიზართა და მიჯნაძორელთა შორის სადავო მიწისა ([1027—1072]. Sd—1201).

საქალაქო შარა საზღვარი იყო სამგორისა (1579. Sd—464).

საქართველო (სრულიად საქართველო) თათრებმა დააქციეს საქართველოს ეკლესიები და ციხეები (1440. Hd—1368). — მოხსენებულია ევდემოზ კათალიკოსის მიერ ხუცია მაღალაძისათვის მიცემულ წყალობის წიგნში (1634. Ad—1700). — სრულიად საქართველოს მპყრობელად იხსენიება ვამეყ დადიანი ([XVII]. Sd—2925).

საქართველო (ქართლი, ქართლ-კახეთი) ამის გარეთ ყოფნის შემთხვევაში გიორგი [იმერთა] მეფემ დახმარება აღუთქვა გ. საყაძეს ([1626—27]. Hd — 14632). — იხსენიება დოკუმენტში (1546.II.4. Ad—501). — მისი „დიდი მამათმთავარი" იყო ქართლის კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (1618. Ad—352). — მისი პატრიარქი იყო დომენტი ბატონიშვილი (1664.XII.3. Ad—621). — გიორგი მეფე საქართველოდან გადავიდა ლიხთ-იმერეთში (1697. Sd—1170). — მოხსენებულია მამია გურიელის ჩეხედენასადმი მიცემულ შეწირულების წიგნში ([XVII]. Ad—1913). — იხსენიება „საქართველოს" ეპისკოპოსები, გლეხები და თავადები კახეთის თავადებსა, გლეხებსა და ეპისკოპოსებთან ერთად ([XVII]. Ad—100). — ფარსადან ციციშვილმა გ. საყაძეს მოყვრობის პირობა მისცა როგორც საქართველოში, ისევე „თათარშიგაცა" ([XVII]. Hd—14442).

საქაშნელი საქაშნელი შიო პაატასშვილი მოწმე იყო არუთინა ჩაფარაშვილისაგან პაპუნასათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9696).

საქორეთი საქორელი იხსენიება სამთავნელის დავთარში (1459. Ad—599. 604).

საქორია ივანაშვილებმა აქ 2 დღის საბოსტნე მიწა მიჰყიდეს სულხანაშვილებს (1646. Sd—13). — წოდორეთში მდებარე მგელისეული 2 დღის მიწა საქორია მიჰყიდეს სულხანაშვილებმა ჯავახიშვილებს (1672.V.1. Hd—2629),

1672.V.9. Ad—967). — მახარა ღორიჭედასშვილმა და გიორგი აბულვარდისაშვილმა მიჰყიდეს აქ 2 დღის მიწა მახარა ჯუკაიაშვილს (1672. Ad—1771).

საქუდა აქ ბაბუჩამ 7 დღის მიწა მიჰყიდა შიოშ სოლოღაშვილს (1619.V.21. Sd—735).

საქურჭლორიო აქ მცხოვრებნი გუმიხილაი კვირკვაია და გაბუნია შესწორა ლევან დადიანმა ბიქვინტის ეკლესიას (1628. Sd—2904).

საღაპო ადგილი, მასზე დავა ჰქონდათ ერთმანეთს შორის პაატასა და ჩოპიკს ([1632—58]. Sd—795).

საღირაშენი ნაზარალიხანმა დაუმტკიცა სამკვიდროდ ავთანდილ ბარათაშვილს (1693. IX.6. ჭ.-სპ. საბ., № 153).—მანვე უბოძა ზაალ ბარათაშვილს საღირაშენში ავთანდილ სუფრაჯის კერძი მამული (1694. IX.20. Ad—1371).

საღმთო ტყე მასთან მდებარე სახატო მიწა პიპიაშვილმა მიჰყიდა ამირბეგაშვილს (1657. Hd—6428).

საღორეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

საღორისი საღორე ლნი იყვნენ ბალიაშვილები (1655. Sd—750).—საღორელი იყო ორბელა (1657. Hd—1562).—აქ ცხოვრობდნენ ორბელაშვილები, ჯაღუაშვილები, ბალიაშვილები და სეხნიაშვილები. აქ ასლამაზ სოლაღაშვილის კერძი მამული ნაზარალიხანმა უბოძა მის განაყოფს ერეკლეს (1697. Sd—762).

საღორული აღათაგ ხერხეულიძემ აქ 4 დღის მიწა უბოძა ბერუა ქუბასშვილს (1622. Hd—2895).

საყავრე აქ მოსახლე გლეხები: ძაგანაშვილი, ვარდანაშვილი და გულიაური ეკუთვნოდნენ ზაქარია ჯავახიშვილს (1624. Hd—14693). — აქ ცხოვრობდა 5 კომლი ყმა, ბერუას 2 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — სოფელი, აქ 2 კომლი ყმა ჰყავდა ბეჟანს (1680. Qd—610). — როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო აქ მცხოვრები ყმები, მათ შორის ჯულიაშვილი; გოშფარს ერგო ესმინაშვილი, მაგანაგშვილი, გულიაშვილი და სხვ. ([XVII]. Qd—605).

საყარაულოს კოშკი მდებარეობდა სოფელ ჯიმითის სიახლოვეს (1579. Sd—464).

საყდარი შედიოდა საღვინის მოლარე ქაჯთარისძისათვის ნაბოძებ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695).

საყდარი მასთან მდებარე აკოფაშვილის ნაქონი მიწა ბეჟან [თუმანიშვილმა] საუპატიოდ დაუდგა მდივან ზურაბ და სხვა [თუმანიშვილებს] ([XVII. Qd—9037-ე).

საყინულე ბურჯი როსტომ მეფემ დაუბრუნა გრიგოლა ჭრაკაველაშვილს (1657. ჭ.-სპ. საბ., № 116).

საჩხერე ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა ბეჟან წერეთელს აქ მდებარე სახასო ხოდაბუნის ნახევარი (1639. Hd—14666).—ნესტან-დარეჯან [იმერთა] დედოფალმა დაუმტკიცა იგივე წყალობა ქაიხოსრო და ბეჟან წერეთლებს (1660. Hd—9466).

საჩხეური წუგნა ნ. ლეჩხუმი ([1510—48]. Ad—2218).

საციციანო რევაზამ ქართლელი კაცები აქ გაგზავნა (1664.III. Hd — 10346). გიორგი მეფემ უბოძა მეჯინიბეთ-უხუცეს ავთანდილ საყაძეს საციციანოს ყაბალახის ნახევარი (1688.VII.8. Hd—2156). — იოანე კათალიკოსმა უბოძა დემეტრე აღსებაძეს საციციანოს მამამთავრობა (1689.I.26. Hd—4779). გიორგი მეფე დაპირდა ქაიხოსრო წერეთელს ნახევარ საციციანოს მეყბალახეობას, თუ იგი ქართლს სამეფოდ დაიბრუნებდა (1697. Sd—1170).

საცხენისი იკითხება დოკუმენტის ფრაგმენტში ([XVII]. Hd—15062).

საძეგური შედიოდა სამთავნელის სამწყოსში. მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

საწნახლის მიწა ნასყიდა დოლმაზაშვილს აქ ერგო 1 დღის მიწა (1696. III.25. Hd—9350).

საწურბლე აქ 3 დღის მიწა მიჰყიდა ბეჟანიშვილმა ინანაშვილს ([XVII]. Sd—1783).

საჭიმკე საზღვარი იყო სამაჭავარიანო სასახლისა საზანოში ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57).

სახადი „სახადს აგარა" შეწირული იყო მთის წმიდა გიორგისადმი, შემდეგ მისი შეწირულება განაახლა ბაგრატ მეფემ (1491.VIII.20. Sd—2898).

სახარბედო აქ მცხოვრებ საეკლესიო გლეხებს: ეჯიბიას, ხარბედიას, შუღლაძეს ეკისრათ 5—5 ლოღარიკი სანთელი ([XVII]. Hd—11221).

სახვაში აქ პაპუნა ფალავანდიშვილისეული ყმა-მამული გასცა გიორგი მეფემ ([XVII]. Sd—1139).

სახლობარი აქ იმყოფებოდა ნიკოლოზ კათალიკოსის ტანუტერი ([1270—1272]. საისტ. მოამ., II, 1945, გვ. 5—6).

სახოხბის (საკოკბის) ჭალა ნ. ნინოწმინდა (1651.V. 29, ისტ. საბ., IV, გვ. 33—34).

სახუევანი ნასოფლარი, დიდმა ბატონმა ლუარსაბმა შესწირა ჯერ სვეტიცხოველს. შემდეგ მის აზნაურს ზურაბ ელიოზისშვილს (1657. Qd—2153).

სახუნდარი (საკუნდარი, სახუნდარა) სომხითში, სამკვიდრო სოფელი გიორგი შანშიაშვილისა. ეს უკანასკნელი მისი წყალობის განაბლებას დაეჯაჭა როსტომ მეფეს (1641.IV.17. ჭ.-სპ. საბ., №., 72). — აქ ცხოვრობდნენ მარტიროზაშვილები. ბაინდურაშვილი (1667. Hd—9292, 10254). — აქ ცხოვრობდნენ ვეღაშვილები. თუშმალიშვილები, არღუთაშვილები, ქანანაშვილი (1682. Hd—1823). — სახუნდარაში ვენახი მიჰყიდა გასპარა დარისპანაშვილმა დოლმაზას. აქ ცხოვრობდნენ ფირამზასშვილები (1690.VI. Hd—10262; 1692.VI. Hd—1780). - საკუნდარი ეკუთვნოდა რატიშვილებსა და ბაინდურა შანშიაშვილს, ნაზარალიხანმა უბოძა იგი მუსტაფ ბაღირ-ბეგს (1693.VI.21. ჭ.-სპ. საბ., № 151).

საკავახიანო (საკავახიშვილო) საკავახიანოს მოხელეები მოხსენებულია [სიმონ მეფის] ბრძანების წიგნში (1586.XI.30. Qd—8624). — აქ მდებარეობდა სოფ. ხანდაკი, გამრეკელ კავახიშვილის კერძი მამული (1608. Hd—13052). — აქ მამულები ჰქონდა მანგლისის ეკლესიას (1689. სოც. დოკ., I, № 117). — საკავახიშვილოში მამული ჰქონდა როინ [კავახიშვილს] (1690. Qd—1011). — მისი მსახურ-აზნაურიშვილნი მოწმენი იყვნენ ფარეშუზის მიერ მანგ-

ღელისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1694.VIII.3. Hd—14083).— ნაზარალიხანმა გაუთარხნა გაბრიელ მანგლელ ჯავახიშვილს მამულები საჯავახიოში ([XVII]. Ad—1506). — საჯავახიანო მოხსენებულია დოკუმენტში ([XVII]. Hd—7585).

საჯავრის ხოდაბუნი ერგოთ გარსევან და ზურაბ მამაცაშვილებს ([XVII]. Qd— 338).

საკანგის-ღელე საზღვარი იყო ალექსანდრე [იმერთა] მეფის მიერ იოვანე ონიმდანიძისადმი ნაბოძები ადგილისა ([XVII]. Sd—1789).

საკერნეს ტბა საზღვარი იყო სამგორისა (1579. Qd—464).

საკვარე აქ ზაალ საყაყემ თავის განაყოფ ზურაბ საყაყეს მიჰყიდა მიწა საზღვრებში: შარა, არჩვაძის რუ, შალიკურის მიწა, რომანიშვილის საზღვარი და გლურჯიძის ნაყიდი მიწა (1688.VII.20. Sd—548).

სენაკი აქ მოსახლე საეკლესიო გლეხს გიორგი გურულს დაკისრებული ჰქონდა ლოღარიკი სანთელი ([XVII]. Hd—11221).

სენები სოფელი. აქ მოსახლე გოშპარაშვილი ეკუთვნოდა პაპუნა ვირშელიშვილს (1670. Sd—534).

სეურის-წყალი ნ. ჩორდი (1492. Sd—3035).

სეფორის-ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

სეფულას მიდორი ნ. ჯოღარ-დუნია ([XVII]. Sd—1789).

სვანეთი სვანეთის მპყრობელად იხსენიებს თავს ვამეყ დადიანი ბიჭვინტიათვის მიცემულ შეწირულების წიგნში ([XVII]. Sd—2925).

სველნეთი (სვენეთი) პაპინა ხუდადისშვილმა იყიდა ბოსინა წერეთელაშვილისგან ავენეთსა და რებას შუა მდებარე მიწა (1654. Hd—6858).—სვენელშვილ იმპარაშვილმა მიჰყიდა ხუცეს ქრისტესიას თავიანი სამკვიდრო 4 დღის მიწა (1661.Qd—9037-ლთ). — მანუჩარ თუმანიშვილმა იყიდა ჯახრაკასგან მისი მკვიდრი სამი დღის მიწა „რუს ქვემოთ სვენელ ბაბანასეულ მიწამდე" (1670. VIII.15. Qd 9037-ნდ). ნ. სუელეთი. აქ ცხოვრობდნენ გიორგი და ფოცხვერაშოშიაშვილები. იორდანე ბახჩიაშვილი. დათუნა წილაური (1665. Sd—54). — სველნელები არიან იმრაშვილები (1675. Sd—55).—სველნელი იყო გოგია ნარიბეგაშვილი (1678. Sd—47). — სველნელი იყო გიორგი შოშიაშვილი (1678. Sd—179).

სვეტიცხოველი ნ. მცხეთა (სვეტიცხოველი).

სვეტიცხოველის ეკლესია მდებარეობდა თიანეთის თავს. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე [კახთა] მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

სვიმანეთი (სვიმონეთი) რუსუდან დედოფალმა უბოძა კლდიაშვილთა-შალიკაშვილს სვიმანეთის საყდრის დეკანოზობა, საპაფლაო და თემის უფროსობა ([1563—1564]. Hd—8727). — სვიმონ მეფემ უბოძა იესე კლდიაშვილს სვიმონეთს მოსახლე გლეხები: ებია ამყოლაძე, მახუტა ძაღლპირი, დათუა დოღნაძე და იახუტა დოღნაძე მამულებით ([1699—1701]. Sd— 631). აქ მოსახლე იოვანე კლდიაშვილს მამა გარდაეცვალა და გენათელმა მისგან საძმოდ ჯორი და ულაყი აიღო. სვიმანეთელებს საძმოლარ ეკისრებოდათ. ამიტომ მეფის

ბრძანებით გენათელმა უკან დაუბრუნა ჯორი და ულაყი იოვანეს ([XVII — XVIII]. Hd—11422).

სიონეთი სიონელი იოვანე გოგნელაშვილი იყო მოფიცარი თბილელ საგინაშვილისა და მერაბ ყორღანიშვილს შორის ფიცხისზე დავის გარიგებისა (1635.XI.14. ისტ. საბ., IV, გვ. 21—22). — აქ ცხოვრობდა ფირია (1654.II.11. Sd—748).

სიონთა ფარსადან და შერმაზან ჯავახიშვილებმა მიჰყიდეს გიორგი საყაძეს „სიონთ ვენახი" (1607 ან 1615. Hd—14690). — სიონთ თედიამ პატია პაოპიაშვილს მიჰყიდა სამი დღის მიწა: ქვემოთ — ყარაღაჯულ რუმდე, ზემოთ — დაურს რუმდე, თავი — ვარსიაშვილის მიწამდე, ბოლო—ბეგამდე (1633. Ad—1802). — როინ [ჯავახიშვილს] გაყრისას ერგო სიონთას მოსახლე მირიჯანაშვილები, გოშფარ [ჯავახიშვილს] აქვე მცხოვრები აბრამაშვილები და ხუვახური მამული ([XVII]. Qd—605).

სიონი სიონს გაღმა მდებარე წმინდა გიორგის მონასტრის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).—ღუარსაბ მეფემ დაუმტკიცა იესე ჯავახიშვილს აქ მდებარე მისი სამკვიდრო მამულობა და უბოძა მისი განაყოფის გამრეკელის მამული (1608.IX.7. Hd—14700). — აქედან იყო ამისარქის ლიპუასაშვილი (1609. Hd—1656). — აქ ცხოვრობდა მოსაურე ყმა ლიპუაშვილი, ხოლო სეხნიას ჰყავდა 2 ქორწილი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — აქ მცხოვრები ტატია ლიპუასაშვილი იყო მოწმე ზაზა ვეფხიასშვილის მიერ თამაზა დავითასშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697.VI.15. Hd—8577). — აქ მოსახლე გოგია ლიპუაშვილი მამულით ერგო რევაზსა და ფარემუზს ([XVII]. Qd—1044).

სიონი ვარაზა გერმანოზიშვილმა ყორღანაშვილებს ყმები გაუყიდა და მის სანაცვლოდ მისცა 7 დღის მიწა, რომლიდანაც ერთი დღისა მდებარეობდა სიონში ([1695—1703]. სოც. დოკ., I, № 136).

სიონი მონასტერი, მდებარეობდა იორზე. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სოფელი], აქ მდებარე მამულის მფლობელობა დაუმტკიცა რევაზ ჩოლოყაშვილმა მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს (1690. Hd—10921).

სიონი (სიონის ღვთისმშობელი, სიონის მღთისმშობელი) [ბოლნისის] ღუარსაბ მეფემ უბრძანა სომხითისა და საბარათაშვილოს მებალახეებს დაანებონ სიონის ღვთისმშობელს შეწირული საბალახე (1607.VIII.20. ისტ. საბ., IV, გვ. 4).— ბოლნისის სიონის მღთისმშობლის დეკანოზი იყო ოქროპირი (1620. V.10. Sd—620). — სიონის ღვთისმშობლის დეკანოზი ოქროპირი არის მოწმე და დამწერი ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისთვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1699. IX.27. Hd—10257). — სიონის მოაღაპენი მითარა, ზუბია და მირაქა არიან მოწმენი ხუგაზა ადიბეგასშვილის მიერ ბოლნელისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9275). — ნ. ბოლნისი.

სიონი (სიონის ღვთისმშობელი) [თბილისისა], ნ. ქალაქი (1553. გუჯრები, გვ. 1—2). — სიონის ღვთისმშობლის ყმად თავდაწერილობის წიგნი მისცა მუშელმა სომეხმა მხითარამ და მისმა შვილმა ოვანეზამ თბილელ მთავარეპისკოპოს

ნიკოლოზ ბარათაშვილს (1619. ისტ. სან., IV, გვ. 11).—სიმონ მეფემ ელისეს უბოძა თბილელობა და განუახლა სიონის საყდარს რაც ვაჭარი ან ქულბაქნი ჰქონდა შეწირული საბარათაშვილოში ან ქართლში (1628.III.15. აქტები, I, გვ. 16). — სიონის ღვთისმშობლის ქალაქს მოსახლე უმებს მისცა მარიამ დედოფალმა სითარხნის წიგნი (1634. Ad—595).—როსტომ მეფემ თბილისის სიონის ღვთისმშობლის მამულში დაასახლა ჰამზაბეგი და განუახლა ძველად შეწირული ჰამულის მფლობელობა (1658.IV.1. Ad—551). — ერეკლე მეფემ განუახლა ყმების შეწირულება (1688. ისტ. სან., IV, გვ. 67).

სიონის ღვთისმშობელი (სიონთა ღვთისმშობელი) კონსტანტინე მეფემ შესწირა სანთელ-საკმეველი თავისი მამის ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენებლად (1553. Ad—13). — ჯვარის მამამ [მელენტიოსმა] თავისი სახლ-კარი მიაბარა სიონთა ღვთისმშობელს (1666.V.1. Ad—650). ჯვარის მამამ მელეტიოზმა სიონის ღვთისმშობელს შესწირა გაყიდულ სასახლესა და ალაგშიაღებული ჭონების ნახევარი (1666 წ. ახლოს. Ad—586). — სიონთა ღვთისმშობლის დეკანოზი იყო იესე (1696.VI.28. Sd—482).

სიონის ღმთისმშობელი ატენს მდებარე მირზას ნაქონი მამული ძველთაგან შეწირული იყო სიონის ღმთისმშობლისათვის. ეს მამული როსტომ მეფემ სამკვიდროდ უბოძა გიორგი საყაძეს (1635. Ad—1010).

სიჭალეთი საყაძისეული სოფელი, გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო გახდა. როსტომ მეფემ კვლავ იორამ საყაძეს უბოძა (1652. Hd—13956). — აქ და ბობნავში პაპუნას სამი კომლი ყმა ჰყაედა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

სკანდა ნ. გოგი (1452. Sd—521). — ნ. გელათი (ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი) (1664. Sd—2916).

სკიპის ღელე ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა იოვანე ომადმანიძეს ადგილი „სეფულას მიდორს აქეთ სკიპის ღელესა და გორმახვილის შუა ჯოღლარ დუნიანა“ ([1637—1660]. Sd—1789).

სკრა აქ მდებარე თეთრაული ვენახი შედიოდა ქავთარასძისთვის ნაწყალობებ მირიანისძისეულ მამულში ([XV]. Hd—14695). — აქ მოსახლე პაატა ბესაღაშვილი შაწუ ჯავახიშვილმა მიჰყიდა გიორგი ცალქალამანიძეს ([1609 წ. ახლოს] Hd—7567).—აქ მოსახლე ორი კომლი საზუტა და პაპუნა სამსონაურისა და თიბელაურის მამულებით ეკუთვნოდა ზაქარია ჯავახიშვილს (1624. Hd—14693). — სკრელი კაცი მოფიცარი იყო პაატასა და როჭიკს შორის იტყუილაშვილის სასახლისთვის დავაზე ([1632—1659]. Sd—795). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 14 კომლი ყმა. ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — სკრელები იყვნენ ბადურაშვილი გიორგი და მისი ძმა ინაურია (1690.IV.6. Sd—552). — ვახუშტი როჭიაშვილმა მიჰყიდა დავით ჭადაგიშვილს სკრას მოსახლე მშვიდობაძე მამულით (1698.V. სოც. დოკ., I, № 145). — აქ მოსახლე გლეხი ზაქარია შოგიაშვილი მამულით იყიდა გიორგი ცალქალამანიძემ შაწუ ჯავახიშვილისაგან ([XVII]. Hd—8506. 11574). — გოშფარ [ჯავახიშვილს] ერკო სკრას მოსახლე გლეხები: ნიორაძე, შალვა და დავითა მშვიდობასძეები მამულით, სულა მახატელაშვილი ნახევარი მამულით, ოქროპირ თიბელაშვილი, კვირიკა პეტრიაშვილი, ომედა სამსონაშვილი — მათი მამულით, ფუტურაულ-

მამული. ილარაშვილები, მახარაშვილი, ზაქიტა ოსიაშვილი, მამუჩა, იმარინიდო, ჯანია, ლიპარიტა ბაციაშვილი, გულია დოღასძე, ცხადია — მამულებით, მარკოზას ნაოხარი, გიორგი კაკაშვილი-ბეშქენას მამულზე. ნარიმანა მამისაშვილი თეკლასძის მამულით და გიორგი — ყაზანურ მამულზე. როინ [ჯავახიშვილს] აქვე ერგო: იტყუილაშვილი მამულით, ოქრუა გორგომიშისძე ნახევარი მამულით. დავითაშვილი მამულით, გიორგი სპანდიერაშვილი თავისი და კარავაპეტას მამულით, შოშია მინდაშვილი, შოშია პეტრიაშვილი, გაბრიელა თიბელაშვილი, მახარა სამსონაშვილი — მამულებით, მახატელაშვილის ნახევარი მამული, არაზი სტეფანაშვილი, საზეველი, ივანე და გოგიჩა ოსიყმასაშვილები მამულებით ([XVII]. Qd—605). — შანშე ჯავახიშვილმა მიჰყიდა გიორგი ცალქალამნიძეს აქ მოსახლე გლები ზაქარია შოგიაშვილი მამულით, კოშკი სასახლითა და ოთხი დღის მიწით. აგრეთვე თიბელაური ვენახი და სამსონაური საბოგანო სახლ-კარი [XVII]. Hd—8506).

სკრის მთა გიორგი მეფემ უბოძა გორელებს (1683. Ad—1970).

სკუვრის ჭალა მეფის სახასო იყო. როსტომ მეფემ უბოძა ფაფილა გოგრიშვილს (1642.II.15. Sd—557).

სობისი ნ. ზერტი (1692.V.23. Ad—1251).

სობური სამანი ნ. ზერტები (1540. ისტ. საბ., II. გვ. 37—40).

სოინარი ციცის აქ 1 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—1675]. Hd—14534-ა).

სოლნეთი მილიტოლმასშვილებმა ანდრონიქისშვილებს მიჰყიდეს აქ მდებარე ნაყიდი სახნავი მიწა საზღვრებით: თავი—მიქაულის მიწამდე, ბოლო — შოშიაშვილის მიწამდე, გვერდები—ხიზანა შოშიასშვილის მიწამდე და რუსხმულამდე (1662. Sd—16).

სომანეთი ნ. აბისი (1633.30.V. Hd—9377). — როსტომ მეფემ ზაქარია ავალიშვილს უბოძა (1637. Hd—14483).

სომხითი (სომხეთი) ლუარსაბ მეფემ უბრძანა სომხითისა და საბარათაშვილოს მებალახეებს დაანებონ სიონის ღვთისმშობლისთვის შეწირული საბალახე (1607. VIII.20. ისტ. საბ., IV. გვ. 4). — ლუარსაბ მეფემ უბოძა აქ მდებარე სოფელი დიდი-მახრაღაჯი ბარძი ამილახორს (1608. Hd—2135-ა). — აქ მდებარე ნასოფლარი ხნძორისი უბოძა ბაგრატ მეფემ ნარი თუმანიშვილს (1618. Ad—973). — ნ. ახალშენი (1620.IV.15. Hd—6259). — ნ. ჰაცუტი (1623.III.15. Sd—588. Hd—10293). — სომხითის ტარუღი და მელიქი იხსენიება სვიმონ მეფის მიერ მახარებელ კოტრაშვილისთვის მიცემულ სოფლის წყალობის წიგნში (1626.VI.15. ჭ.-სპ. საბ., № 20). — ნ. ბერდიკი (1630.VIII.2. ჭ.-სპ. საბ. №36). — ნ. ხანძორიქი (1632.V.30. Ad—9037—რლდ). — ნ. ხანძორკუეტი (1633.IV.15, ჭ.-სპ. საბ., № 40).—ნ. ჯილიზა (1635.VI.14. Hd—14676, Ad—972).—ნ. ყუზანა (1636. ჭ.-სპ., საბ.. №57).—აქ მდებარეობდა სოფლები სახუნდარი და ბორი (1641.IV.17. ჭ.-სპ. საბ., № 72).—სომხითის ტარუღნი იხსენიებიან როსტომ მეფის მიერ ხოსრო ნარიმანიშვილისთვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში (1642. ჭ.-სპ. საბ., № 75). — აქ მდებარე სოფელი უბოძა როსტომ მეფემ ელიზბარ დავითი[შვილს] (1645. Sd—604). — სომხითის მელიქი ყორხმაზი მოწმეა შანაზარ მურაჩაშვილის მიერ ქალაქის მოურავ მანუჩარისთვის მიცემული ბატონ-ყმობის წიგნისა (1646.VI.10. სოც. დოკ., I, № 40). —

სომხითის მელიქი ყორანა და სომხითის აზნაურიშვილი პაპია არიან მოწმენი ბეჟან და ზაქუმ ზაქუმისშვილების მიერ შაჰნაზარა მურაჩასშვილისთვის მიცემული აზატობის წიგნისა (1646. Hd—1961). — თეიმურაზ მეფე შეჰპირდა ოთია ამილახორს „ქართველთაგან" დატყვეებული მისი ძმის ანდუყაფარის მამული სომხითსა და ქართლში. ზერტს გარდა, მას დაანებოს ([1606—1648]. Hd—2128). — ნ. ყუდრე (1651. Hd—14673). — აქ მდებარე სოფელი ყიშლაღი როსტომ მეფემ უბოძა იორამ სააკაძეს (1652. Hd—13956).—ნ. ვანქი (1653. Hd—14664).—ნ. ირისკოპოზი (1661.VIII.11. ქ.-სპ. საბ., № 125).—აქ მდებარეობდა ნასოფლარები კარასპუორი და ნადვალეთები (1661.XII.18. ქ.-სპ. საბ., № 126).—ნ. სამწვირისი (1666.VIII.3. Ad—1973).—მახარა ღორიჭედასშვილმა მახარა და სხვა ჰყვაპიაშვილებს მიჰყიდა საქორიაში ორი დღის მიწა და მისცა საორბოცედ ნახევარი დღის მიწა და ტყე სომხითის გზაზე (1672. Ad—1771). — შაჰნავაზმა ვახტანგ ბარათაშვილს უბოძა სომხითის მდივანბეგობა (1676. Sd—536). — თამაზ ორბელიშვილი იყო სომხითისა და საბარათაშვილოს სარდარი (1677. Ad—1357). — ზევდგინიძეებს ლუარსაბ მეფის დროს ქართლში, სომხითში და „ქალაქის პირას" მამულები ჰქონდათ. დაუთ-ხანმა ამ მამულების „დაუმცრომლობის" პირობა მისცა ([1569—1578]. Hd—2116).—ნ. ზემო დიდი სახუნდარი (1688.XII.6. Hd—10147).—ნაზარალიხანმა გასცა სომხითით მეღვინეობის წყალობის წიგნი ([168]9. Ad—2076). — ნ. ზემო წერაქვი ([1688—1691]. Hd—2397). — ნ. ჯიმშური (1695.I.21. ქ.-სპ. საბ., № 156).

სომხით-საბარათაშვილო (სომხით-საბარათიანო) იხსენიება როსტომ მეფის მიერ ბეჟან საგინაშვილისთვის მიცემულ სითარხნის წიგნში (1638.VIII. 27. ქ.-სპ. საბ. № 65). — ნ. გორი (1662.V.24. აქტები I, გვ. 20).

სორი ჭარულიძემ კრტრიძე სორს წაიყვანა (1432. Sd—2886).

სორმონი როსტომ მეფემ უბოძა გენათელ სუმიონს აქ მოსახლე გლეხები გოგალო გოლათაძე და ქელბაქიანი (1603. VIII. Sd—2905). აქ მოსახლე მამუკა ჩიბურდაძე, ნასყიდა და ივანა გოლათაძეები. დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა შესწირა გელათს ([1660—1681]. Ad—598-ა). — აქ მცხოვრები სიხარულა გოლათაძე შესწირეს გელათს ([1682—1695]. Ad—598-გ). — აქ მცხოვრები გოჩია დემეტრაძე, შოშია ქალაბაძე და გოჩია ფურცხვიანიძე დაუბრუნა ბაგრატ მეფემ გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას და დაუწესა გამოსაღებები ([XVI]. Sd—2897).

სორღითი ციცი ჭარულიძის სოფელი დაარბიეს კოტრიძეებმა (1432. Sd—2886).

სოსმალე შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—599, 604).

ხოსნი ნასოფლარი, მოხსენებულია ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

ხოსხეტო შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

ხპარსეთი აქ გადახვეწილია ზოგი დიდებული და აზნაური დემნას შეთქმულების დამარცხების შემდეგ (1178. Ad—15).

ხტამბოლი ნ. გილანი (აქტები, I, გვ. 26—27).

სტაფი ნ. სამგორი (1579. Sd—464).

სტეფანწმინდა აქ მოსახლე ზიკიშვილი ბაინდურ ერისთავმა შამახა თეგთურმანიძეს უბოძა (1695. Qd—1670).

სტკოცა გიორგი [იმერთა] მეფემ დაუმტკიცა ბოქაულთ-უხუცეს დავით დავითიშვილს მისი სამკვიდრო მამულის სტკოცს მფლობელობა ([1615—1619]. Hd—14633). — როსტომ მეფემ უბოძა კოსტანტილე დავითისშვილს აქ მდებარე მამული. ერთ ხანს ეს მამული გიორგი ამირეჯიბის ხელში იყო (1642. Sd—603). — სოფელი. გიორგი ამირეჯიბსა და დავით სამართლიანად უნდა გაეყოთ ([1632—1642]. Qd—8237).

სუბეიში აქ მოსახლე ერთი კომლი კაცი იშოვნა შემწირველმა ქორისაგან ([XVII]. Hd—11205).

სუგეჩანი ნ. აღუმბრუ ([XVII]. Sd—1922, 1936).

სუელეთი (სუელნეთი) სოფელი, გიორგი მეფემ ქართლის ერისთავს რატი სურამელს გამოართვა და ქვათახევის მონასტერს შესწირა ([1213—1222]. Ad—18). ენდრონიკაძეთ მირიანმა ჯიმშიტა თუმნისშვილს მიჰყიდა მიწა სუელნეთში საზღვრებით: თავი—ხახანას მიწამდე, ბოლო — შოშიას მიწამდე, ერთი გვერდი შოშიაშვილის მიწამდე და მეორე გვერდი რუსხმულამდე (1662. Sd—6). — პაპუა შატბერაშვილმა სუელნეთს ნასყიდი მიწა მიჰყიდა ასტურასშვილებს (1668. Sd—5). — სუელნეთს მდებარე ნასყიდი მიწა მიჰყიდა ენდრონიკაძეთ მირიანმა თუმანისშვილ-ჯიმშიტასშვილებს (1675. Sd—6).— სუელნეთის თავში ხახანასეული მიწა თავის საწისქვილოთი მიჰყიდა მამუკა ამირაღასშვილმა თუმანიშვილ-ჯიმშიტაშვილებს (1678. Sd—10), ნ. სველნეთი.

ხუივარას კოშკი შედიოდა ქავთარაძისთვის ნაწყალობევ მირიანისძეულ მამულში ([XV]. Hd—14695).

ხულიაური ვენაკი მამისამ თავის ძმისწულს ზაქარიას დაუტოვა (1477. Hd—1354).

ხურამი იხსენიება ბაგრატ მეფის მიერ მთის მთავარმოწამის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის მიცემულ ყმა-მამულის შეწირულების განახლების წიგნში (1491.VIII.20. Sd—2898). — მამისა ღაღანისძემ მეგრელებისგან დახსნილი პაატი შვილებითა და რძლით სურამის მაგიერ კაეთისხევეს დაასახლა და ქვათახევის მონასტერს საღაპედ შესწირა (1568. ისტ. საბ., II, გვ. 46). — მოურავის შურისძიების შიშით ქაიხოსრო აიყარა და სურამს წავიდა. მოურავმა მას ბიძინა დაადევნა და უკან დააბრუნა. ქართლში ჩამოსული თეიმურაზ მეფე სურამში იყო გაჩერებული (1620.IV.15. Hd—6259). — სურამის ციხე იხსენიება როსტომ მეფის მინაწერში (1633. Sd—2909). — როსტომ მეფემ უბრძანა სურამის ციხისთავსა და მოურავს მისი ბრძანების შესრულება (1633. Hd—14450). — როსტომ მეფემ უბრძანა სურამის ციხისთავს, რათა სცნოს მის მიერ ნასყიდა არუწაშვილისთვის მიცემული ვენახის წყალობის წიგნი (1635. Qd —2500). — როსტომ მეფემ უბოძა გიორგი შამბულიძეს აქ მოსახლე ტორაძე ეედრიასეული მამული სამკვიდროდ (1644. ჭ.-სპ. საბ., № 84).— სურამელი გლეხები ხეჩატურა და მასურასშვილები უბოძა გიორგი ბატონიშვილმა მანუჩარ თუმანიშვილს (1666.III.22 Ad—965) — სურამის ნაცვალ-

და სურამელნი არიან მოწმენი დავის გარიგების წიგნისა (1688. Sd—18). — სურამის ციხეში მდგარ თათრებს ქაიხოსრო და თეიმურაზ ჩხეიძეებმა თავისი ყმის შვილი მისცეს (1692.V. Hd—3199). — სურამს მცხოვრები მსახური გლეხები — ურიები და ქრისტიანები — მოწმენი არიან ქაიხოსრო ჩხეიძის მიერ კათალიკოს იოვანე დიასამიძისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700. Ad—1610). — სურამის მსახურნი არიან მოწმენი გიორგი ტოგუნიძის მიერ მურუანიშვილებისთვის მიცემული შვილების ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—14158). — ეწერა 4 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

სურნისი სოფელი, თეიმურაზ [კახთა] მეფემ უბოძა მანგლელს (1630. Hd—2214). — აქ მდებარე სამ ამირეჯიბის ნაქონი მამული როსტომ მეფემ უბოძა მანგლელის ძმისწულებს (1645. Hd—14443). — ნაზარალიხანმა ხელახლა უბოძა თამაზ ტატიშვილს ადრე ნაჯილდოები სოფელი სურნისი (1695. Hd—14656).

ხუქანთა-უბანი აქ ცხოვრობდნენ მახარასშვილები და ლოლომიტაშვილები. რომლებიც ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] ყმები იყუნენ ([XVII]. Hd—1636).

სუხნანი თეიმურაზ მეფემ განუახლა ენისელთ ნაცვალა ხოსროს აქ მდებარე ნასახლარის წყალობა (1662.IV.4. სოც. დოკ., I, 515).

სუალტუთანი სოფელი, შაჰნავაზმა სამკვიდროდ დაუმტკიცა ზაალ, ქაიხოსრო და ელიზბარ სოლოღაშვილებს (1671. Sd—32).

სხალ-დიდი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა სიმონ მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121).

სხალთა სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

სხალნარი სოფელი, შედიოდა საგერშანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).—ნ. ზემო შავნი (1635.XI.10. ჭ.-სპ. საბ., № 53).—პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზიშვილებს ჰქონდათ დავა სხალნარში გოგიტაშვილის საკვამლოზე ([1692—1703]. Sd—577). — აქ მოსახლე დარბაისელი ერგო ოთარ [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—11892). — აქ მცხოვრები აღმელაშვილი მამულით საუფროსოდ ერგო ოთარს ([XVII]. Hd—11893).

სხალტბა სოფელი, გიორგი მეფემ მისი შეწირულება განუახლა შიომღვიმეს და გაათავისუფლა საბანჯრე გამოსაღებისგან. ოთხ სხალტბელ ჯურის მრეცხელს გიორგი მეფის მარანში სამი კეირის განმავლობაში უნდა ემუშავა, ხოლო წყალშატრაოში ბაზიართათვის სხალტბელებს პატივი უნდა ეცათ. მუხრანის შენების დროს დემეტრე მეფემ ერთი დღე ამუშავა სხალტბელნი (1170. Hd— 1351). — გიორგისა და იაბერს ანტონ ჯყონდიდელმა თანასწორად მისცა სხალტბას მდებარე მონასტრის მიწები ([1202]. Ad—81). — შიომღვიმის ღაერის კრებულმა იკისრა საჭიროების შემთხვევაში „სხალტბურითა და სხუაგნურითა ძალითა" შეესრულებინა წყაროს საკაზმაი ([XIII ს. I ნახ.]. Ad—81). — აქ მდებარე კანდელაკისეული მამული მისცა ბატონმა გრიგოლ ღედაბრიშვილს (1541. Sd—134). — სოფელი, სიმონ მეფემ განუახლა შიო-

მღვიმის მონასტერს სხალტბისა და ნასტაგისის შეწირულება (1580. ისტ-საბ., II, გვ. 54—55).

სხალტბისი სხალტბისიდან წყალი მიიყვანეს შიომღვიმის მონასტერში. თამარ მეფემ მწიგნობართ-უხუცეს ანტონ ჭყონდიდლის თხოვნით შიომღვიმის მონასტერს შესწირა ამ წყლის სათავეში მოსახლე მიწად ერთი და კვამლად ორი სასეფო გლეხი სჯმონ, გიორგი და იაბერ ქოსოსძენი და შეუვალ ჰყო (1202. Ad—81).

სხერტა ნ. მეტეხი (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64).

სხმარტალის ნათლისმცემელი მოხსენებულია ჩაღათა ყორყოლაძის მიერ მახარებლისთვის მიცემულ მამულის წყალობის დაწერილში [XV]. ქუთ. მუზ., № 655).

სხოვლასი სხოვლასელნი მოხსენებულნი არიან გიორგი მეფის მიერ ზედგენისძისთვის ნასისხლად მიცემულ მღვიმის, სასაფლაოს და ყმების წყალობის წიგნში ([XV]. Hd—1798).

სხტე ივანა ნიკოლაძე და როსტევანა ბარდაველიძემ მიჰყიდეს იოვანე კლდიაშვილს აქ მდებარე ნაფაცხევი ([XV]. Hd—14981).

ტ

ტაბარვანაული მამული როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ახალშენსა და ცხირეთში სხვა ყმა-მამულებთან ერთად, ერგო ტაბარვანაული მამული ([XVII]. Qd—605).

ტაბახმელა (ტაბაქმელა) აქ ცხოვრობდნენ მამია და ეჯუბა, სუხია ბრუმაშვილი, გვიაშვილები, თუხტუა და ათუზა, არაქელა, ტრუმას გერი წატურა — უველა თითო კომლი (1646. Sd—744). — სიმონ მეფემ დაუმტკიცა ყაფარ სოლაღაშვილის შვილებს იოვანეს, მერაბს და დავითს მათი წილი მამული ქალაქის პირში და ვერის-ხევში, ტაბახმელას 3 კომლი და 3 ოხერი ([1581].III. 16. — ჭ.-სპ. საბ., № 4). — აქ მდებარე ჯანბეგას სასახლე ადგილი უბოძა ბეჟან სოლაღაშვილმა გოგია ნაღდიაშვილს (1681. Hd—2927). — კრწანისსა და ტაბახმელას შუა მდებარეობდა შინდისი (1695. ისტ. საბ.,.IV, გვ. 70—71).— ტაბახმელას ასლამაზ სოლაღაშვილის კერძი მამული ნაზარალიხანმა დროებით მის განაყოფს ერეკლეს უბოძა. ტაბახმელაში ცხოვრობდნენ ეჯუბაშვილები, მამიაშვილები, აკოფაშვილები, ხუციშვილი (1697. Sd—762). — ტ ა ბ ა კ მ ე ლ ე ლ ი იყო [სათილ]მიშა დოლმაზაშვილი (1698. Sd—764).

ტაბიკურა ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო ტაბიკურაში შემდეგი ყმა-მამული: პატა, ერისთავთან მდგარი 2 ურიის სახლ-კარი, სულიერი მოძღვარი, კაკა ფიჩხაძე, დავით ცეცვიასშვილი, იოსებ წიწუასშვილი, პატარა კირვალი მამულებითურთ; პაპუნას ერგო: მოშა ცეცელასშვილი, მოძღვარი ისხატი, აბრამა ცერცვიასშვილი, აბრამ კეკნაშვილი, ბათია წიწოასშვილი, ბერი მემხრიასშვილი. მიწა საზღვრებში: ქვევით კახისშვილის მიდგმამდე, პირდაპირ ძამამდე — ნახევარი ერგო ედიშერს და მეორე ნახევარი პაპუნას ([XVII]. Hd—1636).

ტაგნაგეთი თურჩისტანმა მიჰყიდა პატრონ იესეს თავისი მკვიდრი მამული მუხანი, რომელიც ვრცელდებოდა ტაგნაგეთის საზღვრამდე (1558. Sd—734). — სიმონ მეფემ დაუმტკიცა იოვანე, მერაბ და დავით ყაფარისძეთა სოლაღაშვილებს მათი წილი მამული ქალაქის პირსა და ვერისხევში. ტაგნაგეთში 1 კვამლი და 1 ოხერი ([1581].III.16. ჭ.-სპ. საბ., № 4). — აქ ცხოვრობდნენ ბეჟიტა ვარსიმაშვილი, პაატა მიქელაშვილი, ვართანა ზურაბაშვილი (1661.IV.16. Sd—751). — სოფელი, შანავაზმა დაუმტკიცა იგი სამკვიდროდ. სხვა სოფლებთან: სყალტუთანსა, ღვეუბანსა, მონასტერსა, ასურეთსა და ჭაპალასთან ერთად, ზაალ, ქაიხოსრო და ელიზბარ სოლაღაშვილებს (1671. Sd—32).

ტალავერი სოფელი სომხითში, როსტომ მეფემ განუახლა წყალობა დონდარა ეჯიბასშვილს აქ მცხოვრები ხოჯა ამირა, ამირზა შაკერდაშვილებისა და ტალავერისა და დარბაზის საზღვრებზე მდებარე სავენახე მიწისა (1651. ჭ.-სპ. საბ., № 95). — ტალავერი სამკვიდროდ უბოძა თეიმურაზ მეფემ შიოშ სოლაღაშვილს (1630.IX.10. Sd—741).

ტამალია (1676.X.18. Hd—1706). — ღევან ბატონიშვილმა უბოძა იესე გერმანოზიშვილს თრიალეთის, ახალქალაქის, ტამალიისა და ყოშაკემრის მოურაობა (1688.III.12. Hd—14306). — ნაზარალიხანმა განუახლა იასე გერმანოზიშვილს თრიალეთის, ახალქალაქისა და ტამალიის მოურაობა (1689. Sd—549).

ტანძია სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ტანძიელნი მათი მამულებითურთ (1559.XII. 1. Ad—1572). — ტანძიის ზვარს მართებდა კულუხი 15 საპალნე (1689. Sd—1938-ბ). — იმავე ზვარს მართებდა კულუხი 16 საპალნე (1690. Sd—1932-გ). — მასვე მართებდა კულუხი ([1691]. Sd—1932-დ). — ტანძიაში ცხოვრობდა ბერუა ტულუზაშვილი ([XVII]. Sd—1922). — ტანძიაში სასახლე ჰქონდა [ორბელიან.] ([XVII] Sd—1989).

ტაო „ტანუტერნი ტაოსი", დასახელებულია ბაგრატ მეფის სიგელში ([1027—1072]. Sd—1201). — ტაოში სოფელ ხევას შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ტარძანი ყურისუბნის ნაცვლად ნიკოლოზ კათალიკოსმა უბოძა ეახტანგ ბატონიშვილს ტარძანში ეკლესიის საკუთრება (1574.III. Sd—2870).

ტაშირი აქ სოფელ საბაწმიდის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ტაშირში ბარათაშვილების სამკვიდრო ადგილები: შირიშპატი, წითელეკლესია. დელუყულიჯანის სოფელი, აკოფას სოფელი, ჭკუის სოფელი. ყოშა-ქილისა. შიშტაფა, დიაკუნის ქვა (სომხურად რომ მინდაქარი ეწოდებოდა). ჯილღი და ჯილღის-წყალი როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათშვილს (1657. ჭ.-სპ. საბ., № 115, 119). — ტაშირის ყიზილზიარათის მამასახლისი იყო ევანეზა (1684.IV.1. სოც. დოკ., I, № 106). — ეახტანგ [ბატონიშვილისაგან] ტაშირის საქმეებზე მოწერილი წიგნი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ ასლანის [ძმისწულის] წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931). — ტაშირზე ყოშა-ქილისა. შიშტაფა, ყამიში, ხანზა და საფიელა

წილად ხედა უაფლან [ორბელიანს] აკოფას სოფლის, ელისბარის სოფლის, ხუ-
ცის სოფლისა და თასილბითმაზის ფარდად ([XVII]. Sd-—1922, 1936).

ტაჩხურას-ღელე ალექსანდრე მეფემ უბოძა იოვანე ომადმადიძეს ადგილ-
საჯანგის-ღელეს აქეთ, ჯავშიან და გვიმბრალის ბოლოზე, ტაჩხურას-ღელეს
ჩეით, ნახშირის-ღელესა და ჭიშურას შუა, ჭიშურას ჩასართავამდე ([XVII].
Sd· 1789).

ტაძრები (ტაზრები) სოფელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა იგი სვეტი-
ცხოველს (1428.I.21. Sd—2882, 2883). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ შეს-
წირა ტ ა ზ რ ე ბ ი გარესჯის დიდორქის მონასტერს ([XV]. Ad—2050). —
ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ტაზრების შეწირულო-
ბა (1579. Sd—464).

ტბეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთაეისისათვის
ეამოსაღები (1459. Ad—559, 604). — საბა მ ტ ბ ე ვ არ მ ა მორჩილება-ერთ-
გულების წიგნი მისცა დომენტი კათალიკოსს. რომელმაც იგი აკურთხა
([1556]. Ad—720).

ტბისი ვერშანოზსა და მის ძმებს: თაყა, გოსტასაბ და ფალავან-ხოსრო
[ბარათაშვილებს] გაყრისას ერგოთ ტბისში მცხოვრები აზნაურები ერთწილად
აბრამაშვილი, ბეგიაშვილი, ბედიანაშვილი, მამისთუალაშვილი, მირიჯანა, რე-
ვანდა დილენჯაშვილი მამულითურთ, ივანაარი [მამული], ვაშაყმაშვილი და
ზურაბა; ხოლო ტბისში სასახლე ერგო გუგუნასა და ქუმსი [ბარათაშვილებს].
ამასთანავე: თუ ტბისში გერმანოზი და მისი ძმები დასახლდებოდნენ, ამაზე
მათ გუგუნა და ქუმსი არ უნდა გამოდავებოდნენ (1523. Ad—1299-ა). აქ მდე-
ბარე 4 საკომლო მამული და ზვარი შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.
IV.20. Hd—10375). — ავთანდილ უსუბეგიშვილმა მიჰყიდა წინამძღვარ დო-
მენტი გერმანოზისშვილს ტბისში ერთი ვენახი. ნასყიდობის მოწმენი იყვნენ
ტ ბ ე ლ ნ ი: ჯოესშვილი, მეძმასშვილი, მღთისისშვილი და ხუცისშვილი
(1620. Hd—1707-ა). — სიმონ მეფემ უბოძა დედოფლის სახლთ-უხუცეს ქაი-
ხოსროს უაფარბეგის ნაქონი მამული ტბისში (1627.V.23. Hd—10234). — ჯან-
ბანუმ დედოფალმა სახლთუხუცეს ქაიხოსროს ტბისში უბოძა მისი ბიძაშვილის
გიორგის მამული (1628.II.21. Hd—10233). — როსტომ მეფემ დაუმტკიცა ჯა-
ნბეგ ბარათაშვილს მისი სამკვიდრო ჭონება ტბისში (1633. ჭ.-სპ. საბ.,
№ 39). — ოთარ, პაატა და ვარაზ ბარათაშვილებმა მიჰყიდეს პაპუნა და გოს-
ტაშაბ ბარათაშვილებს „გამანაურის მამულის ურწყავი" ტბისში (1659.
Hd—6285). — თაყა ბარათაშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბისშვილს მირ-
ზაშვილის ნაქონი ვენახი ტბისში (1665.XI. Hd—6248). — ტბისში მცხოვრები
ჯოისშვილი იყო სამკვიდრო ყმა გიორგი თურაზასშვილისა, რომელმაც მიჰყი-
და იგი პაპუნა გოსტაშაბისშვილს (1670.II.15. Hd—10025). — თაყა ასანბეგი-
შვილმა გაუცვალა პაპუნა გოსტაშაბისშვილის ენაგეთში მცხოვრებ 3 კომლ
ჯანიკაშვილებსა. 13 თუმან თეთრსა და პაპისგორში 5 დღის მიწაზე ტბისში თა-
ვისი კერძო სასახლე, გარდა თახვინთავისა. ჯოეშვილები მამულითურთ, მირ-
ზიაშვილის საკომლო მისი სასახლითა და მიწა-წყლით და ახალშენი „შენითა
და უშენით" (1671.II.12. Hd—6777). პაპუნა ბარათაშვილმა გაუცვალა

თავის განაყოფის ასანბეგის შვილებს, თაყასა და ასლამაზს ენაგეთში ხიზუა ჯანიკასშვილი, ბერუა ალაევრდასშვილი და პაპისგორში 10 დღის მიწა ტბისში სასახლესა, ჯოეშვილებსა და სხვა მამულებზე (1671. Hd—4151). — შიოშ ბარათაშვილმა და მისმა ძმებმა გაუცვალეს პაპუნა გოსტაშაბიშვილს ტბისში ვენახი ენაგეთში მდებარე ვენახზე (1673. Hd—6020). — ქაიხოსრო ბარათაშვილმა პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილთან დააგირავა თავისი ხოდაბუნი და ტბისში მცხოვრები დოლენჯასშვილები (1679. Hd—4156).—ზაალ ბარათაშვილმა მიჰყიდა პატა ბარათაშვილს ვენახი ტბისში (1679. Sd—469). — ქაიხოსრო ბარათაშვილმა მიჰყიდა პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილს ტბისში მოსახლე ქიტია და ბერუკა დოლენჯასშვილები მათი მამულებითურთ (1680. Hd—4152). — ტბელი მღებარი მურთაბნა მოწმე იყო გუგუნა ქავთარისშვილის მიერ იესესათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1685. Hd—2770).— ტბისში ცხოვრობდა პაპუნა ტუხიშვილი (1688. Sd—547). — გიორგი მეფემ ტბისში უბოძა იესე გერმანოზიშვილს აბულფათიშვილის ვენახი საზღვრებით: თავში — შარამდე, ბოლოში — გზამდე, ერთი მხრივ — გამანაურამდე, მეორე მხრივ — უსუფას საზღვრამდე ([1676—88]. Hd—8810). — ტბისში უსუფაშვილს ვენახი ეჭირა, რომელიც ადრე როსტომს ეკუთვნოდა. შემდეგ ნაზარალიხანმა იგი ისევ როსტომს უბოძა ([1688—1703]. Hd—7287). — პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზისშვილები ერთმანეთს ედავებოდნენ მანგლელის ზვარზე ტბისში ([1695—1703]. Sd—577). — ნაზარალიხანმა უბოძა იორამ ბარათაშვილს ტბისში მცხოვრები პაპუნა ტუხაშვილი მამულითურთ (1698. XII.5. ჭ.-სპ. საბ., № 163). — აქ მცხოვრები ბერუკა ჯოეშვილი ერგო ქაიხოსრო [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—13615). — აქ მცხოვრები ბერუა ქერიეშვილი მამულითურთ საუარესოდ ერგო ამილღამბარ [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—13617). — ტბისში მცხოვრებნი ივანა ბედიაშვილი მამულითურთ ერგო ქაიხოსროს ([XVII]. Hd—13628). — აქ მცხოვრები გიორგი ხელფეხიშვილი მამულითურთ ერგო ბეჟან [ბარათაშვილს] ([XVII]. Hd—13624). — ტბელი აბრამიშვილი იყო საამ ბოქაულთ-უხუცესის ყმა ([XVII]. Ad—1188). — ქაიხოსშვილებმა მიჰყიდეს პაპუნა გოსტაშაბიშვილს თავიანთი ნასყიდი ვენახი ტბისში ([XVII]. Hd—10157-ბ). — დათუნამ და პატამ გაყიდეს 1 საკომლო ტბისში 3 თუმნად ([XVII]. Hd—11820). — მამაგულა მამაგულასშვილმა მიჰყიდა პაპუნა [ბარათაშვილს] და მის შვილებს თავისი ვენახი ამირასშვილის ვენახთან ტბისში ([XVII]. Hd—10120). — ტბელმა იაგულაშვილმა გიორგის მიჰყიდა ვენახი საზღვრებით: თავი — ახსიაშვილის საზღვრამდე, ბოლო — კიორგისავე საზღვრამდე, იქით გვერდი ხევი ([XVII]. Hd—8776-ბ). — ტბელნი მოწმენი იყვნენ ლომიტა გერგიძის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—1580). — პაპუნა გოსტაშაბიშვილმა გაუცვალა დურმიშხან ფალავან-ხოსროსშვილს მოძღვრისშვილის წისქვილთან თავისი ნასყიდი ბაღი, წისქვილი ზემო ნასაკირალამდე. მამუკა მეწისქვილე ცოლ-შვილითურთ ტბისში პაპუნა და სიყმია ტუხიაშვილებზე მათი მამულითურთ, ამას გარდა გრძელში გერგაძის ხოდაბუნზე და ანდრიას საფიჩხულეზე ([XVII]. Hd—2017).

ტინისხიდი (ტინისჯიდი, ტინიქიდი) ბაგრატ მეფემ ზაქარია, ციცი და თაყა ციციშვილებს უბოძა თავაქალაშვილისეული მამული ტინისხიდში (1511. iX.15. Hd—2118). — ტინისხიდის მამასახლისი აზარბეგა მოწმე იყო დავით ჩალაბაშვილის მიერ უმეკა ბახჩიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1632.IX.8. Ad—1568). — ამირაღა მესახასტურაშვილმა გოგიჩაიშვილისა, იმედაიშვილისა, პატაშვილისა და ბიბიტაშვილისაგან იყიდა ტინისხიდში მიწა საზღვრებით: თავისავე მიწის გვერდით, „თავი—ოთეღრაშვილის მიწადი. ბოლოსა—ბასატამაშვილის მიდგმადი". ნასყიდობის მოწმე იყო ტინიხიდელი მამასახლისი ამისთა (1649.VII.25. Hd—5306). — როსტომ მეფემ უბოძა მანუჩარ თუმანიშვილს სოფელი ტინიჯიდი (1657. Qd—8966). — ტინისხიდში მცხოვრები მამუკა თავაქალაშვილის ობლები მათი. მამულითურთ უბოძა შანავაზმა მანუჩარ თუმანიშვილს (1664. Hd—14538). — ტინისხიდელი ოთეღა მოწმე იყო სამნია გოგიბასშვილ-სიმენდასშვილის მიერ ზალინა მეფისასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1671.I.11. IId—9436). — მანუჩარ თუმანიშვილის სიკვდილის შემდეგ [შანავაზმა] ზურაბს ტინისხიდი წაართვა ([1664—75]. Hd—11016). — ტინისხიდელმა მამასახლისმა გემანამ მიჰყიდა სიმონგულა მამუკასშვილს სახნავი მიწა (1677. Hd—5303).— ტინისხიდელმა შავერდასშვილმა მიჰყიდა გოგიჩასშვილებს ხატის მიწა საზღვრებით: „თავს—თავაქალას მიწის მიჯნამდი. ერთი გვერდი — შარამდის" (1681.III.1. Hd—2513). — ტინისხიდელი იყო ბეჟან საყაძის ყმა ამირსეთა (1681.VI.17. სოც. დოკ., I. № 97). — ტინისხიდელმა თამაზმა მიჰყიდა ვანაღელ თევდორე ადუასშვილს მიწა ტინისხიდის ნატყევიდან გემანის მიწის მიდგმამდე (1688.III.5. გუჯრ., გვ. 171—2). — ტინისხიდელმა ალაშვილმა გორელ ჰუკასშვილს მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მიწა (1688.XII.1. Hd—6107). — ტინისხიდელმა ოთეღაშვილმა მიჰყიდა პაპუა გიორგისშვილს ლამის მიწა — საზენაკროდ ხიზნის მიწამდე (1697.III. Hd—5305). — პატა შდივანბეგმა უბრძანა ფარსადანს „ტინისკიდრის საქმის" გარიგება ([XVII]. Qd—268).

ტინისკიდის ჰალა სიმონ მეფემ შესწირა გორისჯვრის წმიდა გიორგის ეკლესიას თავაქალაშვილებისა და გორის ციხის თავის დემეტრეს კერძი მამული— ტინისხიდის ჰალა (1590. Qd—430).

ტირიფის მიწა ქიმელმა ალექსა ზაქუაშვილმა ალექ მღვდელს ტერ-გრიგოლ სახვაშვილს მიჰყიდა თავისი მამა-პაპეული ტირიფის მიწა — 2 დღისა საზღვრებით: ზევით — ვაკეაშვილის მიწამდე. ქვევით — შახპარუნაშვილის მიწამდე (1653. Hd—2105).

ტირძნისი (ტრძნისი) [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ტირძნისში ძველად შეწირული გელდიაშვილი, გუდაძე, უტიძე, ფილიპაშვილნი მათი მამულებითურთ (1559.XII.1. Ad—1572). — ნიკოლოზ კათალიკოსმა და მცხეთისშვილებმა, სიმონ მეფის ნებართვით, ვახტანგ ბატონიშვილს მისცეს უერისუბნის სანაცვლოდ სოფ. ვირშა მონასტრით და შესავლით, წიასწყალს ერისთვის შეწირული არჩუაძეები, ერეთს გილაშვილი მამულითურთ, ზაკვი, ქორდი, ტ რ ძ ნ ი ს ი, ცოტა მეღვრეკისი და სათიკარი — რაც სვეტიცხოველი-

სა იყო, იმ საზღვრებით: მეღვრეკისში ვენახი და ახალდაბას ვარდან ფალავან-დიშვილის შემოწირული საგლეხოები (1574.III.14. Ad—1654). — ქრისტეფორე კათალიკოსმა, როსტომ მეფის ნებართვით, დავით გედევანიშვილს უბოძა ძეგვში ქარციძის 4 კომლიდან 2 კომლი ბადრიაშვილი მამულითურთ. ამის სანაცვლოდ, ქარციძეს მიეცა გედევანიშვილის 4 კომლი ტრძნისში (1640. Hd—14682). — ტირძნისის მოურავს ნინია ბანცურს 30 ენკენისთვის სააღაპედ უნდა გადაეხადა გიორგი არაგვის ერისთვისათვის 1 ცხვარი, პური და ღვინო, 5 ჩარექი სანთელი, ჩარექ-ნახევარი საკმელი, ჩარექი ბამბის ნართი და ჭამი ეწირვინებია (1647.I.28. Ad—20-ა). — 2 ტრძნელი კაცი ქურდობისათვის იყო ჩამოსული რევაზასთან, რომელმაც ისინი ვენახში დამალა (1664.III. Hd—10346). — გიორგი ერისთავმა და მისმა მეუღლემ ელენე ბატონიშვილმა თავიანთ მეაღაპედ დანიშნეს ტირძნისის მოურავი ნინია ბანცური [XVII]. Ad—629). — ტირძნისს ეწერა 4 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ტიხარის კლდე ბაგრატ IV-მ გადასწყვიტა სარჩელი ოპიზართა და მიჯნაძოროელთა შორის „ტყესა და ზღვარზე" და დაუმტკიცა სამხრეთ საზღვრად „სამწყრის-წყალი ვითა შავშეთის-წყალსა ჩაერთვის და ტიხარის კლდე და ქედ-ქედი ვითა წაავალს"; დასავლეთით ეყუანთა ქედი, ჩრდილოეთით დიდუბისა ხერთვისი და საქათმის კარი ([1027—1072]. Sd—1201).

ტოლოში (ტულოში) ნ. ვანის ქუაბნი. — მტკვარზე სოფელ ტოლოშის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1393.XII. Hd—8712).

ტოცურუ აქ მცხოვრებნი მეთევზე და „მენავტე" შამიგია. ჰუჰურია და დაეითა შესწირა მამია დადიანმა ბიქვინტის ღვთისმშობლის ეკლესიას ([1512—32]. Ad—2218).

ტოხაურ[ი] მიწა იყიდა შიო საბანაძემ ზაზა მაჩაბლისაგან (1612. Hd———9440).

ტურათა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა მასვე მისი შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

ტურბაცური გიორგი გზამრუდისშვილმა ყანჩიელმა სახლთ-უხუცესის შვილს მიჰყიდა ტურბაცურის ნაზერევში მიწა საზღვრებით: ბოლოში—მატ[ა]ნისაკენ თბრილამდე, თავში—ფილიპეს ძიერ ბაბურიშვილისგან ნასყიდ მიწამდე და ქერდისკენ კვლავ ფილიპეს ნასყიდ მიწამდე (1689.X.18. Hd—5814).

ტურიაული ვენახი მიჰყიდა შანშე ჯავახისშვილმა გიორგი საყაჯაძეს (1609. Hd—1656).

ტურის-უბანი სიმონ მეფემ უბოძა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ერთი საგლეხო ტურის-უბანში ([1558—1600]. Hd—8437).

ტუტანი ლომიტა კახისშვილმა მიჰყიდა ქიტია ქუბაშვილს ნაფუძარი ტუტათ ბოლოს (1691.I.12. Sd—627).

ტფილისი (ქალაქი) [გიორგი] მეფემ უბოძა თორელ იოანე ჯავახიშვილს კოერის ძირს ათენაგუენის მონასტერი და უბრძანა კოერის მოურაესა და

ტფილისის ამირთ-ამირას არ შეშალონ ეს ბრძანება (1338. Hd—11628). — F მცხეთა (1560. ისტ. საბ., II, გვ. 45). — ქალაქი ტფილისი მოხსენებულია როსტომ მეფის მიერ ტფილისის სიონთა ღვთისმშობლისათვის მიცემულ თეთრის შენირულების წიგნში (1650.IV.15. ქ.-სპ. საბ., № 94). — მოხსენებულია სამეუფეო ქალაქად (1673. Ad—2246). — ნ. ქალაქი.

ტფილისი (სიონთა ღვთისმშობლის ეკლესია) დავით მეფემ შესწირა ტფილისის სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიას სახასო აბანო ციხის გაღმა, ხევის პირს მისი წყლითა და საზღვრით და დაუწესა აღაპი (1459.III.1. Hd—14592).— ტფილისის სიონის საყდრის შვილებს განუახლა ლუარსაბ მეფემ სითარხნის სიგელი (1540. Hd—1373). — ლუარსაბ მეფემ განუახლა ტფილისის სიონს ადრე მეფეთაგან შეწირული: 1 კომლი ამბროსიშვილი, 2 კომლი ქიქნაშვილი, 3 კომლი ტოტუაშვილი, 3 კომლი ბეგლიკაშვილი, 1 კომლი მგელაშვილი; [ადგილი] წყაროს-თავს შარა რომ გამოიტანს მტკვრამდე, ერთი გვერდი ზემო ქვითკირამდის ამირაღას სახლის პირდაპირ, შანშუას ბაღჩის გვერდით მტკვრამდის: აქ იყო ჭულბაქი, სასახლე და გალავანი სიონის ეკლესიისა; ერთი ჭულბაქი წყაროს-თავს, ერთი გვერდი აღაჯანა მირიმანაშვილის ჭულბაქისა, მესაკლავიშვილის ჭულბაქის გვერდი მამასახლისის ჭულბაქის პირდაპირ, ერთი სასახლე და 4 ჭულბაქი სიონის ღვთისმშობლისა; ერთი გვერდი მთავარეპისკოპოსი სასახლისა და ერთი გვერდი ამბარდარი მირიმანას სახლისა, რასაც შარა ჩაიტანს საყდრის გალავნის კარამდის; სიონის ღვთისმშობლის სასახლე, შანშუას სახლის გვერდი, გულიფაშაშვილის სახლის გვერდი. ქვეითა შარის დაღმა ტერ-არაქელას ჭულბაქის შარამდის. ამასთანავე, ლუარსაბ მეფემ გაათარხნა ისინი ყოველგვარი გადასახადებისაგან (1552. ისტ. საბ., II, გვ. 40—42).—ტფილელი იყო იოსებ საყაძე (1673. Ad—2246).—იოსებ ტფილელი იყო მოწვე ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680. Hd—4152). — ტფილელი მთავარეპისკოპოსი იყო დომენტი (1690. Ad—349). — ნ. ქალაქი.

ტფილისის ციხე თათრებმა გაიყვანეს ტფილისის ციხიდან ბაგრატ მეფე და ანნა დედოფალი (1440. Hd—1368). — ტფილისის ციხის დეკანოზი იყო გრიგოლ (1609. Hd—1656). — მისი დეკანოზი მოხსენებულია ჯავახიშვილების მიერ გიორგი საყაძისათვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (1515. Hd—14690). — ნ. ქალაქის ციხე.

ტუემავარის ჯვარი სვიმონ გურიელმა შესწირა აქის წმიდა გიორგის მონასტერს ადგილი ტუემავარის ჯვარში წითლობამდე (1614.XI.3. საისტ. მოამ., 1, 1925, გვ. 184—5).

ტუემლარერი გუდარეხელნი და ღორისთაველნი ბედენის საზღვარზე ერთმანეთს შეეცილნენ. მათი დავა სოღბათ იასაულმა ასე გაარიგა: ქვემოთ— ბედენის დიდი შარა. მის ქვემოთ ტუემლარერი და გორას სათიბი ცოლველთ ჯარჩა (1653.VI.10. Hd—14671).

ტუემლოანა საყაძისეული სოფელი, როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს. გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ იგი სახასო იყო (1652. Hd—13956).

ტყვიავი დავით ერისთავმა უბოძა ფარსადან ზედგინიძის შვილს ბასილა-შვილის მამული ტყვიავში (1695.II.4. Hd—1314). — მარიამ ბატონიშვილმა განუახლა ფარსადან ზედგინიძეს გიორგი მეფისა და მისი ძის ბაგრატის მიერ მიცემული ბასილაშვილის მამულისა და ტყვიავის მოურაობის წყალობა (1700. Hd—1697-ა).

ტყის-უბნდეთი საყაძისეული სოფელი, სანადირო ტყესთან ერთად როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს. გიორგი საყაძის „გადავარდნის" შემდეგ იგი სახასო იყო (1652. Hd—13956).

ტყლაპი პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას საზანოში სამაშავარიანო სასახლო, რომლის ერთი საზღვარი იყო „ტყლაპი რუსა ბუჯის შესაყარს აქეთ კლდის წყარომდის ნახევარი ტყე და მინდორი, სანადირო და საყანე სამაშავარიანო არის და ხატისთჳს შეგვიწირავს". ნახევარი საამირეჯიბო არის. „ამ ტყლაპშიდ არის კიდევ ჩვენი საკუთარი ერთი საყანე მეგრელიშვილის გამოღმა, ნამარნსა და ნასაკირეუს დაღმა წყლამდის" ([1684]. საისტ. კრებ., III, გვ. 52—57).

უ

უბისა აქ ცხოვრობენ თევდორე, ნასყიდა კაპანაძე, ზაქუტა მაქაძე ([1658—1676]. Sd—535).

უგუდეთი ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — ვაკე, ღორისთავსა და ცოვრეთთან ერთად იყო საზღვარი კათალიკოსის მიერ მანგლელ ეპისკოპოს სერაპიონისათვის ნაბოძები მამულისა ([XVII]. Qd—1605).

უდაბნოჲ დიდისა მღუიმისანი ნ. შიო-მღვიმე.

უზუქანთი (უზუნქანთი) თეიმურაზ [კახთა] მეფემ ლუარსაბ მეჯინიბეთ-უხუცესს უწყალობა უზუქანთის მოურაობა ([1606—1648]. Ad—513). — სახლთ-უხუცესმა რევაზ ჩოლოყაშვილმა მთაველეპისკოპოს ქრისტეფორეს და მის ძმებს უბოძა უ ზ უ ნ ქ [ა] ნ თ ი ს და აღოზნის მოურაობა (1690. Hd—10921).

უკანა ბეშკენაშენი (უკანა ბეშქენაშენი) სოფელი თრიალეთში. [სიმონ] მეფემ განუახლა მცხეთის ეკლესიას მისი შეწირულებისა და სითარხნის წიგნი ([1559.] საისტ. კრებ. III, გვ. 118—121). — ნ. თრიალეთი (1559.XII.1. Ad—1572).

უკანა შავნი ნასოფლარი, სიმონ მეფემ უწყალობა იოანე და ამილღამბარ-ბარათაშვილებს (1591. Hd—8437).

უკან-გორი დმანისის ხეობაშია, როსტომ მეფემ უბოძა სამკვიდროდ ჰასან-ბეგ ბარათაშვილს „უკანგორს რისაც მჭონებელი ყოფილიყო" (1633. ჭ.-სპ. საბ., № 39).

უკან-საგარეჯო ნ. საგარეჯო (1597. Hd—1377). — უკან-საგარეჯოელებმა ფიცი დადეს ვაჩნაძის, ჯანდიერიშვილის, ჭავჭავაძის და კათალიკოსის სამაშულო დავის გარიგების გამო (1654. Hd—8389).

უკან-ჭალა აქ მდებარე ერთი დღის მიწა მიჰყიდა ივანე ძამანსაშვილმა ახალქალაქელ ყანდინა ედილსშვილს (1690.IV.22. Ad—1605).

უკან-წირი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

უკეში ივანე სხირტლაძემ სოფ. უკეში ბერი მეზრიშვილისაგან იყიდა ზვიდი მბარი მიწა ([XVII]. Hd—9716).

ულუმბა მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს. სოფელი საკვია მდებარეობდა ულუმბას ძირს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველი ულუმბას შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — უ ლ უ მ ბ ე ლ ი ბერი მოწმეა ზალ წერეთელს ზედ ჭაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა ([1683]. Hd—6172). — პაპუნა წერეთელი და დავით ამირეჯიბი ერთმანეთს ედავებოდნენ მთას. წერეთელი ამბობდა: „ჯვარს აქეთ“ ჩემიაო. ამირეჯიბი კი—„ძირულას იქეთ“ უ ლ უ მ ბ ი ს ღვთისმშობლისაო. დავის გადაწყვეტილებით „ჯვარს აქეთ“ ძირულამდე მოკრებილი ღალის ნახევარი ულუმბის ღვთისმშობელს მიეკუთვნა ([1664—1697]. Hd—2489).

უნაგირას ქვა (უნაგერას ქვა) ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელ ოროტას შეწირულება: საზღვრებით: „მოლამურთ თავს როშ ჯვარი ასვენია, იქით მოლამურთ ჩატანებასა მუხრაულთა პირპირ გოგიას კევამდი. უნაგირას ქვას ქუეით გარდაკუეთილამდი“ და სხვ. (1579.Sd—464).— ივანშო გურიელმა შესწირა აპის წმ. გიორგის მონასტერს ტყე და წყალი უნაგირას და სანისლოს ქვას შორის (1614.XI.3. საისტ. მოამბ., I, 1925, გვ. 184—185).

უპიტი სოფელი, მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელ უ პ ი ტ ი ს შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

ურბევისა აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას შამვის წყაროს აქეთ ურბევისა და მის მცხოვრებლებს დაუწესა გამოსაღები ([1515—1535]. საისტ. კრებ., III, გვ. 43).

ურბნისი შაჰნავაზმა გაარიგა დავა მიწის თაობაზე უ რ ბ ნ ე ლ თ ა და რუისელთ შორის (1666. Ad—1503—22). ნ. რუისი (1666. ისტ. საბ. გვ. 44).— უ რ ბ ნ ე ლ ი ეკვდემოზ არის მოწმე დურმიშხან ბარათაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის ყმების ნასყიდობის წიგნისა (1669.IV.1. ისტ. საბ., 4. გვ. 47). — ურბნელი ეპისკოპოსი ეკვდემონ იყო მოწმე დურმიშხან ბარათაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისთვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1671. ისტ. საბ., 4, გვ. 50—51).

ურიული გიორგი მეფემ გორელებს უბოძა ზედაველის მთა „აგარის მიდგამადი და ურიულამდი“ (1683. Qd—1970). — ნ. ნარაყალა (1699.II.24. Hd—1351).

ურიცხი აქ მდებარე ამიშაშვილის მამული მარის ჯავახისშვილმა მიჰყიდა გორელ მანდატურთ-უხუცეს თაყა ანდრონიკაშვილს (1634. Hd—7608,).

დიდი ურცევანი ნასოფლარი საბარათაშვილოში, ჯაჰან-ბაზუმ უბოძა სამკვიდროდ ავთანდილ ბარათაშვილს (1627. ქ.-სპ. საბ., № 30).

ურნაშენი აქ მდებარე ნახევარი დღის „ზურაბაულის მიწა“ მიჰყიდა გასაპარა დარისპანასშვილმა დოლმაზას (1690.VI. Hd—1780).

უსახელო „უსახელოს ზაგალეთში“ მოსახლე ბეჟუა მუსელიანი ცაგერის ჩაძრისათვის იყო შეწირული ([1605—1639]. Qd—9085ვ). — გიორგი მეფემ ცაგერის ეკლესიას შესწირა უსახელოში მოსახლე ყმები (1656. Qd—9085-ვ).

უსური ზაქარია ჯავახისშვილმა თავისი წილი უსური შეყრილობის წიგნით შეუერთა მოურავის მამულებს (1624. Hd—14693).

უტნი თეიმურაზ [კახთა] მეფემ ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილს ადრე ნაწყალობევ სხვა მამულებთან ერთად დაუმტკიცა სამაღრაწში უტნი და ჯანანი (1616. Hd—14679).

უფლისციხე სოფელი, აქ მდებარე მონასტრისა და ციხის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნ. ხვედრეთი (1467. საისტ. მოამბ., II, 1924, გვ. 30—31).— მეფემ მისცა საჯილდაოდ ხუდადა ხოჯაშვილს (1660.V.1. Sd—2913). — აწერია 20 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

უღელტეხილთა გორა: უღელტეხილთა გორასთან მდებარეობდა ძაგნაკორნა (1579. Sd—464).

უწლევი ნიკოლოზ კათალიკოსმა მცხეთის სამწყსოს „შემატა“ (1691. VII.25. ისტ. საბ., IV. გვ. 64).

უჯარმა ალექსანდრე მეფემ შესწირა გარესჯის დოდოს-რქის მონასტერს უჯარმას მოსახლე 4 კომლი კაცი ([1412—1443]. Ad—2050). — ნ. მათაანი (1590. ისტ. საბ., II, გვ. 57). — თეიმურაზ [კახთა] მეფემ ყორჩიბაში თამაზ ამატაკიშვილს დაუმტკიცა ადრე ნაწყალობევი ასლამაზისეული მამული უჯარმაში (1616. Hd—14679). — არჩილ მეფემ მიაბარა დავით გარესჯისა და ნათლისმცემლის გაერთიანებული მონასტრების წინამძღვარს უჯარმასა და ხაშმში მცხოვრები ნათლისმცემლის ყმები (1672. Ad—2060). — სახლთუხუცესმა რევაზ ჩოლოყაშვილმა დაუმტკიცა მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს და მის ძმებს უჯარმის მოურაობა და აქვე ყმა-მამულის მფლობელობა (1690. Hd—10921). — აქ მოსახლე გუგუნაური მამულით რევაზ სახლთუხუცესმა შავერდა ნაცვლიშვილს უბოძა ([XVII ს. II ნახ.]. Hd—15052).

ფ

ფადარი ერეკლე მეფემ დაუმტკიცა სახლთ-უხუცეს რევაზს თიანეთი, ერწო, კისის-ხევი, ფადარი და ენგიანი ([1688—1703]. Hd—1253).

ფადლაშენი ალექსანდრე მეფემ განუახლა მისი შეწირულება მცხეთას (1579. Sd—464).

ფავნისი საყაძისეული სოფელი, რომელიც გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასოდ დადებული ყოფილა, როსტომ მეფემ იორამ საყაძეს დაუბრუნა (1652. Hd—13956). — ფ ა ე ნ შ ი ბახუტა ფავნელიშვილ-შალვაშვილის ნაქონები გლეხები, ზვარი და სააზნაურიშვილო როსტომ მეფემ თარხან იორამ საყაძე-მოურავიშვილს უბოძა (1654. Hd—14415).—

აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული ხუთი კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ფაზაანთ კარაჭა სოფელი. შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

ფაფურა გოგიამა და სხვა ზანდარაშვილებმა მიჰყიდეს დემეტრე პაპაშვილს და მის შვილებს ორი დღის მიწა საზღვრებით: კოლოტაურის ვენახამდე, ფათურამდე და ორღობემდე (1678. Hd—1547).

ფალები ნ. თავეთი ([1658—75]. Hd—14534).

ფალი ალექსანდრე მეფემ განუახლა გარეჯის უდაბნოს დოდორქაღვთისმშობლის მონასტერს ფალზე ზვარი და მისი მეზვრის შეწირულება (1590. ისტ. საბ., გვ. 57).

ფანქველური მიწა ხოსიტა მღაწაშვილმა მიჰყიდა თავისი წილი ფანქველური მიწა და ტყე ფეშანგ ფალავანდისშვილის ბრძანებით სამხარაძე ქავთარას ([XVII]. Sd—818).

ფარვანა მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398. Hd—8712).

ფარის-ჯვარი ნ. ჯიგრაშენი (1636. Qd—1988).

ფარსმანაყანევი (ფარცხანაყანევი) სოფელი, ბაგრატ მეფემ გელათის წმ. გიორგის საყდარს შესწირა ფარსმანაყანევში მოსახლე მის მიერ ნასყიდი ფუძედ ერთი და კომლად რვა მარდალაშვილები და სამი პარტახტი (1545. Hd—11201). — ფარცხანაყანევში ცხოვრობდა ოთხი კომლი კუჭუხიძენი, რომელნიც ესტატე ნიჟარაძემ ნასისხლად მისცა ლაშხიშვილს. ლაშხიშვილისაგან ისინი იყიდა ბაგრატ მეფემ და [გელათს] შესწირა, აქვე ცხოვრობდნენ ერთი ფუძე და რვა კომლი მარადაშვილები, რომლებიც ბაგრატ მეფემ მჭეციძისგან იყიდა და [გელათს] შესწირა ([XVI].Sd—2896).

ფასაური მამული გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს გოშფარს ერგო ფასაური მამული ([XVII]. Qd—605).

ფაფანი ფაფანის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ფაქუთია აქ მცხოვრები გლეხი თაქვაძე თავის მამულით ივანე შერაზადაშვილის მკვლელმა მელექერ ჩიკვილაძემ სისხლის ფასად მისცა შალვა შერაზადაშვილს ([XVI—XVII]. ქუთ. მუზ., № 647).

ფაშაანი (ფაშანი) სოფელი, მისი შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნ. ვეძისხევი (1537. ისტ. საბ., II, გვ. 35). ალექსანდრე მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ფაშანი (1579. Sd—464). — მცხეთის სამკვიდრო სოფელი, ალექსანდრე მეფემ „ორიოდე წლით ხიზნობის კვალად“ ყარა-ასლანს მისცა. ნიკოლოზ კათალიკოსის ჩარევით ალექსანდრე მეფემ ფაშაანი სვეტიცხოველს დაუბრუნა (1574—1595). Ad—786-ა, 614). — ფაშაანის მამულებზე რუსიშვილებს ცილობა ჰქონდათ კათალიკოსთან. დავის გარიგებით რუსიშვილებს ერგოთ ფაშაანის თავს ბოგანო ფარუხაშვილის ნასახლარის გარემო ხუთი დღის მიწა საზღვრებით: „ქვემოთ ვერხვთან რომ ნაშარავები გაივ-

ღის, აქედან რომ პირაღმა გზა შეიღლის ზემოთ წარაფამდე, იმის სოსწორ სარალის წყლამდე". (XVII]. Ad—1891). დოშენტი კათალიკოსმა უბრძანა დავით გიჯიყრელს, რათა იქაური მუშები ერთი კვირის ნუგზლით გაეიდნენ ფ ა შ ა ნ შ ი და ეზოები შემოავლონ ([XVII]. Ad—151).

ფაშნი ერთი საზღვარი იყო გიორგი ხოსრუაშვილის მიერ ბერაძე ნასყიდასთვის მისყიდული მიწისა (16ᲔᲔ[6].I.10. Ad—971).

ფელი მოურავმა ბრალად დასდო ჭაიხოსროს ის, რომ მან ფ ე ლ ი ს ციხე-სიმაგრე დაურბია. ფ ე ლ ე ბ ს ბერეკას ყმის გორგაძის ცხენი ემართათ (1620.IV.15. Hd—6259). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული სამი კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534ბ). — ფ ე ლ ე ლ ესტატესა და რომანოზის ფარდად მოურავსა და ზურაბს წილად ხვდათ ერთაწმინდას ბასილ გედევანიშვილი მამულით ([XVII]. Hd—12239). — ფ ე ლ ს მცხოვრები ბერი დემეტრასშვილი თავისი ქონებით ერგო ერთ წილად ზალს ([XVII]. Hd—10164).

ფია მურვან ღარიბაგსძემ შესწირა ვაჰანის მონასტერს ორი ნასყიდი ყანა ფ ი უ რ ი (1393. Ad—933). — [ჩაისარ] თმოგველის ასულმა გულიშარ თავის ეკვდერს ვანის მონასტერში სამნათეოდ შესწირა თავის მშობლების მიერ ფიაში ბალახაშვილებისაგან ნასყიდი კვერნაული ვენახი ([XIV]. Ad—933).

ფითე შედის სამთავნელის სამწყსოში, მართებს სამთავისისათვის გამოსაღებები (1459. Ad—559, 604).

ფილიმანაური სავენაკე შანშე ჯავახიშვილმა ძებან მამუკას უბოძა „ზეს სავენაკე ფილიმანაური" ([XVII]. Hd—1583).

ფიროლაურის ზვარი ხოვლეს მდებარე ფიროლაურის ზვარი ეკუთვნოდა ზაქარია ჯავახიშვილს (1624. Hd—14693).

ფისისანი ბაგრატ მეფემ არჯევან ავშანდაძეს უწყალობა სატყისმცველოდ ადგილი სკანდასა და გოგს დაღმა, იქ, სადაც ძევრეის წყალი ერთვის ყვირილას, ფ ი ს ი ს ა ნ ს და ჩხარას (1452. Sd—521).

ფიტარეთი (ღვთისმშობლის მონასტერი) აქ ჰქონდათ ბარათაშვილებს სასაფლაო, რომელზეც ცილობდნენ ყაფლან, პატა და პაპუნა ([1632—1658]. Sd—794). — ორბელისშვილების სამკვიდრო სასაფლაო, გიორგი ბატონიშვილმა დაუმტკიცა პაპუნაბეგ ორბელისშვილს ფიტარეთის ღვთისმშობლისათვის შესაწირავად ანჯიყაფაშვილები, რომლებიც ჯერ კიდევ გიორგის მამას შეუწირავს და მას შემდეგ დროებით წართმეოდა (1677. Ad—1357). — ფიტარეთის სიგელი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931). — ფიტარეთის ღვთისმშობლის წინამძღვარი იობი დამწერი და მოწმეა ზურაბ ყარჩიხაშვილის მიერ დმანელ ეპისკოპოს ელისესთვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1698.XII.26. Ad—1075). — ფიტარეთს თაეი შეაფარა გლინიას გოგომ ([1692—2703]. Sd—577).

ფიფანეთი: ლეონ [კახთა] მეფემ ამოუკეეთა ბეგარა იოთამ გურამისშვილის ფიფანეთს მცხოვრებ ყმებს (1573. სოც. დოკ.,I, გვ. 504).

ფიჩხის ჭალაჭი აქ მდებარე „ტოხაურ მიწა“ იყიდა შიო საბანაძემ ზაზა ბაჩაბლისაგან (1612. Hd—9440).

ფიჩხოანი (ფიჩხოვანი) აქ მოსახლე ხუთი კომლი კაცის შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — მდებარეობს ალაზნის გაღმა, აქ მდებარე ძველად შეწირული თორმეტი საგლეხო მამული დაუმტკიცა ალექსანდრე მეფემ მცხეთას (1579. Sd—464).

ფიცეხი აქ მოსახლე გლეხების შეწირულება განუახლა გიორგი მეფემ შიომღვიმის მონასტერს (1170. Hd—1351). — აქ ცხოვრობდნენ ყმების ნუსხაში მოხსენებული მოლაშქრით საურის გამომღები ყმები ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — სოფელი, ნიკოლოზსა და ბეჟანს ჰყავდათ აქ სამი კომლი ყმა (1680. Qd—610). — გოშფარ და როინ [ჯავახიშვილებმა] გაიყვეს აქ მოსახლე ყმები ([XVII]. Qd—605).

ფიცხისი როსტომ მეფემ მერაბ ყორღანაშვილს უბოძა შაანი, ფიცხისი და მოქრისი (როგორც არდაზიანდის ჰქონდა) (1634,VI.27. სოც. დოკ., I, № 30, ქ.-სპ. საბ., № 50).—ნაოხარი, როსტომ მეფემ დაუმტკიცა პატა დორღანაშვილ იარალისშვილს (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53).—ფიცხისის თაობაზე დაობდნენ თბილელი საგინაშვილი და მერაბ ყორღანაშვილი. დამატებით ხ. შავნი (1635. 14.XI. ისტ. საბ., 4, გვ. 21—22).

ფლავი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ფლაში მცხოვრები მრუვლისშვილი მონასტრითა და მამულით (1559.XII.1. Ad—1572). — ფლავს მდებარე პატა მრუვლიშვილის ნაქონი სასახლე, ზვარი, სასაფლაო და გლეხი გოშფარაშვილი მამულით შესწირეს იკორთის მთავარანგელოზის ეკლესიას იესე და ზალ ერისთაველებმა (1675. Hd—6774). — დავით ერისთავმა ფარსადან ზედგინიძეს შვილს უბოძა ფლავს ცერაძის მამულზე მოსახლე ყმები (1695.II.4. Ad—1314).

ფლავისმანი ფლავისმანელნი მოწმე არიან გიორგი სოსანაშვილის მიერ გიორგი ეცადაშვილისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—1578-ა). — ფლავისმანელნი მოწმე არიან ბეჟიტა ფინდიშვილის მიერ გიორგი ეცადაშვილისთვის მიცემული წისქვილის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—1578-ბ).

ფოთი აქ მცხოვრები ძალიმაფუ თორდია და სურთამა გვიჩია შესწირა ლეჟან დადიანმა ბიჭვინტას (1628. Sd—2904).

ფოკა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ფოლადაური ზაქუმ ალიყულისშვილმა მიჰყიდა ვახტანგ [ორბელიშვილს] ზემო ბოლნური მკვიდრი ზვარი ფოლადაურისკენ რჩეულასშვილის ვენახამდე (1677. Sd—537).

ფოლორცი[1] იოანე ბეჟუაშვილმა გელია ბერიაშვილს მიჰყიდა წედისს ვენახი საზღვრებით: „თავს—ფოლორც[ა]მდი, ბოლოს—ვეშაპაძის მიდგმამდი და საქვენაქროდ — დათუნას მიდგმამდი" ([XVII—XVIII]. Qd—746).

ფონთხელა გიორგი ჭარმაულმა ქერობინ გეშაშვილისგან ფონთხელაზე ჰყიდა იყიდა (1531. Sd—733). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ფონთხელას შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

ფოსი (ფოსუი, ფოსვი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ქართლის კათალიკოსმა მარკოზ დაუმტკიცა მეჯინიბეთ-უხუცეს მამისა ბერინასშვილს და მისრი ედილასშვილს [მისრის] სიმამრ მახარებლის მიერ დატოვებული ფოსუის მფლობელობა (1464.XII.13. ისტ. საბ., II, გვ. 14). — სოფელი, ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1579. Sd—464).

ფოცხვერიანი ბარათას ნაქონი სოფელი, სვიმონ მეფემ უაფლანბეგ ბარათაშვილს უბოძა (1627.II.4. ქ.-სპ. საბ., № 25). — როსტომ მეფის მიერ გაცემული ფოცხვერიანის წყალობის წიგნი მოხსენებულია გორჯასპისთვის მიბარებულ ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

ფრონე ფრონეს გაღმა-გამოღმა იყო პაპიური პარტახტი (1584. Sd—2909). — ერთი საზღვარი შაჰნავაზის მიერ პეტრესთვის დამტკიცებული ნასყიდი ნაზვრევისა (1673. Hd—831). — ხოსიტა მღანაშვილმა მიჰყიდა ქავთარა სამხარაძეს თავისი წილი ტყე: „ქვეით—ფრონის პირამდი საფანქველურო, იქით — მესხის მიწამდი". ([XVII]. Sd—818).

ფრცა აქ მდებარე მათიაური მამული უბოძეს შოშიტა რიკაძეს ([XVII]. Hd—8050).

ფუნგი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში (1459. Ad—559, 604).

ფურნაგიხი შიო-მღვიმის მონასტრის დეკანოზს ნასყიდაშვილს მისცეს ფურნაგისს ორი ვენახი ანტონაური (1655. სოც. დოკ.,I, № 58).

ფუტრევი ზაალ ბარათაშვილმა თავისი ყმა ფუტრეველი გულისსადებ გოგიჯანაშვილი შესწირა სვეტიცხოველს (1654. Ad—1874). — სოფელი, სიმონ მეფემ უბოძა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ფუტრევში მოსახლე სამი კომლი ყმა (1691. Hd—8437). — აქ მდებარე ინდუაშვილის მამული ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13618).

ფუტურაული მამული გოშფარ [ჯავახიშვილს] წილში ერგო სკრაში მდებარე ფუტურაული მამული ([XVII]. Qd—605).

ფუშფენი ფუშფენელი ლითვალიბეგ მოხსენებულია მეჯლისის ღროს ბატონის ახლოს მდგომთა ნუსხაში ([XVII]. Ad—620).

ფუძე-მარგი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

---

[1] ფოლოც (ფოლორც — შდრ. ეეცხლი — ვერცხლი) — ჭუჩა, შუკა, ჩიხი (ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი). ჩვენ მოვნუ შევიტანეთ, იქნებ აქ უკვე საკუთარ სახელად იყოს ქცეული.

ფშანი პეჟანს ერგო: „ფშანს გაღმა მიწა ჰალისკენ საზენაჭროთ ნახევარი“, „ფშანთა შუა მიწა საზენაჭროთ ნახევარი“, „ფშანის პირს რომ მიწა არის, საზენაჭროთ ნახევარი“ (1535. Sd—4949). — ანტონ ვეციკაშვილმა ქოქოლას მიჰყიდა ნასყიდი „მიწა დამპალათ თავი გოზალბეგათ მიწის ბოლოს შარამდინ და ბოლოს ფშნის გასავლამდინ და იქით გუერდი ფშნის პირამდინ“ (1623. Sd—39). — ერანა გოგინაშვილმა ზურაბ თუმანიშვილს მიჰყიდა „ვეციკაშვილისეული მიწა დამპალათ“, რომლის ქვეითი გვერდი ფშნამდე აღწევს (1675. Sd—33). — იყო ერთი საზღვარი ახალდაბელ გიორგი ხოსრუაშვილის მიერ გორელ ნასყიდა ბერაძისთვის მისყიდული მიწისა (1691.I.10. Qd—9037-ოგ). — იყო ერთი საზღვარი იმ მიწისა, რომელიც დედაშვილობის წიგნით მისცა პაპანა დუთუსშვილის ცოლყოფილმა გორელმა ლალინამ ფეშანგ თაყინაშვილს (1699.VII. Hd—13152).

ფხვენისი სოფელი, თეიმურაზ მეფემ უბოძა იოთამ ამილახორს ([1625—1632]. Hd—9429). — გივი ზედგინიძემ ქავთარ ეგაძეს უბოძა ფხვენისის მოურაობა (1647. Ad—1102). — სოფელი, აქ მოსახლე გლეხებს და საგლეხო ადგილებს, როგორც თამაზ ზედგინიძისეულ ყმა-მამულს, ამილახორი ედავებოდა გიორგი იალღუზიშვილს და მის ძმისწულებს. შაჰნავაზმა სადავო ყმა-მამული იალღუზიშვილებს მიაკუთვნა (1659.VI.1. Hd—1533). — ოთია კუპატაძეს ევალებოდა მკა და ბარვა ფხვენისს (1689.VII.18., სოც. დოკ., I, 116). — ნაზარალიხანმა უბოძა იოთამ ამილახვარს ფხვენისის მცხოვრები იალღუზისშვილები და ბედიანასშვილები (1692.XII. ჭ.-სპ. საბ., № 50).

ქ

ქადაგანი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ქადაგანიში ეწერა 9 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ქადაგის მონასტერი ლუარსაბ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ქადაგის მონასტერი და მიაბარა იგი განსაგებლად მალაქია ქართლის მთავარეპისკოპოსს ([XVI]. Ad—712).

ქადაგურის მიწა ამ მიწის ნაკერი — 2 დღის მიწა იყიდეს ჩივაძეებმა ჯანაშვილებისაგან (1686. Hd—4467).

ქალაქი (ტფილისი) გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს „ქალაქს ქულბაგნი“ (1170. Hd—1351). — აქ დიმიტრი მეფისაგან იყიდეს ზაქარია და დავით დარიბეგაშვილებმა მეფის ზერის თავს მდებარე სავენახე მიწა (1445.VIII.6. Hd—10402). — როდესაც ქალაქი თათრებს ეპყრათ, კათოლიკევი წარტყვენილ იქნა (1452.XII.20. ისტ. საბ., II, გვ. 10). — ვამიყ ერისთავთ-ერისთავმა გაათავისუფლა ხანდაკელები ქალაქის გამოსაღებთაგან (1494. VI.24. Ad—873). კოსტანტინე ბაგრატიონმა [ტფილისის სიონის ტაძარს] გაუჩინა 2 ლიტრა სანთლისა და 1 ლიტრა საკმევლის შეწირულება ქალაქური ლიტრით (1553. გუჯრები, გვ. 1—2). — სვეტიცხოველს ტფილისში ჰყავდა ყმები, რომელთა გამოსაღებთაგან გათავისუფლება სიმონ მეფემ დაავალა ქალაქის ტარუღებს, მელიქებს, მამასახლისებს და სხვა მოსაკმეებს (1583.

Hd—1374). — ქალაქის ამირთ-ამირა იყო გიორგი სააკაძე (1608, 1609, 1610. IX.24. Hd—13052, 13179, 2283). — ბაგრატ მეფემ უბოძა თავის რძალს ანას და ბატონ თინათინს ქალაქში შერგილაშვილები მამულითურთ, გაათარხნა ისინი გადასახადებისაგან, გარდა „ლაშქარ-ნადირობისა და ხელმწიფის საურისა“ (1618.IX.11. Hd—11497). — ქალაქში იყო ანდუყაფარ ამილახორის საცილობელი მამული (1619. Hd—2115). — ქალაქის სიონის ღვთისმშობლის ყმები მარიამ დედოფალმა გაათარხნა (1634. Ad—595). — ქალაქში მოსახლე დეკანოზი ბასილ ტოტოაშვილი მოფიცარი იყო მერაბ ყორღანაშვილსა და ტფილელ საგინაშვილს შორის ფიცხისის შესახებ დავის თაობაზე (1635.XI.14. ისტ. საბ., IV, გვ. 21—22). — ქალაქში ცხოვრობდნენ ვართანაშვილები, მიხუაშვილები, ასატურა დეფუაშვილი (1637.I.4. Sd—743). — ზურაბ ბარათაშვილმა შესწირა ტფილისის სიონს ქალაქში ჭულბაჟი მირიმანას ჭულბაჟის პირდაპირ (1637. ისტ. საბ., IV, გვ. 23). — მოლარეთ-უხუცესმა შიოშ ხმალაძემ ქალაქში გააშენა სასახლე, რომელიც მას როსტომ მეფემ გამოართვა და ლუარსაბ ბატონიშვილს უბოძა (1643. Hd—1601). — როსტომ მეფემ გამოართვა სულხან ფარაუზათაშვილს ქალაქში სასახლის ასაშენებლად ადგილები და სახლები და სამაგიეროდ უბოძა სახასო ნაიონჯარი აბანოებს იქით (1645.VI.20. ჭ.-სპ. საბ., № 85). — ქალაქის მოურავი იყო მანუჩარ (1646.VI.10. Hd—13005). — მისი მელიქი იყო ენალა (1646. Hd—14911). — ქალაქის მოურავი მოხსენებულია ჯაბადარბაშ სეფი-ყული-ბეგისადმი როსტომ მეფის მიერ მიცემულ წყალობის წიგნში (1648. Qd—9037). — როსტომ მეფემ გაათარხნა ხუდადა აშანმაშანაშვილი სავაჭრო ბაჟისგან ქალაქსა და გორში (1649. III.21. Hd—13143). — როსტომ მეფემ უბოძა მამასახლისის შვილს ასლამაზს ქალაქის მამასახლისობა სამკვიდროდ (1651. Qd—6914). — როსტომ მეფემ უბოძა ხოჯა ბეჰბუთას მიწა მის სამკვიდრო სასაფლაოსთან ქალაქში, ავლაბრისკენ, მახათას ქვეშ (1654. ჭ.-სპ. საბ., № 106). — ქალაქის მელიქი ენალა მოწმე იყო რამაზ ფირღუზათაშვილის მიერ მამისიმედ ენაგელაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656. Qd—16). — ქალაქის მოურავი, მელიქი და მამასახლისი მოხსენებულია როსტომ მეფის მიერ სუფრაჩ ჰამზაბეგისადმი მიცემულს წყალობის წიგნში (1658.IV.1. Ad—551). — ქალაქში ცხოვრობდნენ სვეტიცხოვლის ყმები; ხუდადა ხოჯაშვილის ნათესავმა სვეტიცხოველს მიართვა 5 ჯომლი ქაცი ქალაქში; დომენტი ქათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილის სახლი ქალაქში, ციხისკენ კლდის უბანში (1660.V.1. Sd—2913).— ქალაქის მოურავი მანუჩარ მონაწილეობდა როინ მდივანბეგისა და პატა ფარეშთ-უხუცესის მამულის გაყოფაში ([1632—58]. Hd—14691). — გაყრის შედეგად მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ერგოთ ქალაქში მხითარა მანანაშვილი მამულითურთ ([1632—1658]. Hd—14665). — ქალაქის მელიქი იყო ეინალ მირიმანაშვილი (1661.XII.27. ჭ.-სპ. საბ., № 127). — ნ. გორი (1662.V.24. აქტები, I, გვ. 20). ქალაქის მოურავი იყო მანუჩარ (1664.XII.3. Ad—621). მისი მელიქი იყო ეინალბეგ მირიმანაშვილი (1666.3. Ad—1973). — გარსევან იორდანაშვილმა თავისი ყმა არაქელა მიჰყიდა მეითარს ქალაქში (1670.V.1. Hd—9701). — მისი მელიქი იყო ენალა (1672.VI.

Sd—754). — მისი მამასახლისი იყო გიორგი (1673. Ad—2246). — აქ მეფეს 43 კომლი სახასო ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — შანავაზმა უბოძა ვახტანგ ბარათაშვილს ქალაქის მდივანბეგობა (1676. Sd—536). — მისი მამასახლისის შვილი იყო ბეჟან (1678.VII.1. Sd—2295). — გიორგი მეფემ უბოძა ვახტანგ ორბელიშვილს შაფურას ნაქონი სასახლე ქალაქში (1679.IV.29. Sd—539).—მისი მოურავი იყო მანუჩარის შვილი პაატაბეგ და მელიქი—ავთანდილ (1679.X.27. სოც. დოკ., I. № 90).—აქ ცხოვრობდა თბილელია ყმა შერმაზან (1680. VI.22. Ad—948).—მარიამ დედოფალმა გაათავისუფლა თბილელის ყმები ბაჟისაგან ქალაქსა, მცხეთასა, გორსა, კრცხინვალსა და ალში ([1634—80]. Sd—765). — მისი მელიქი ავთანდილ მოწმე იყო ხანგანოსათ აფრიამას მიერ ქაიხოსრო ბარათა[შვილ]ისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1683.XII. Qd—8563). — ტოტოანთ ბაინდურასშვილმა ბეროამ მიჰყიდა ქალაქის მოურავს სახლ-კარი ავლაბარში (1683.XII. Hd—13696). — გიორგი ბეფემ უბოძა გორელებს ულაყის სითარხნე და ზედაველის მთა. ვერისხევი, სკრის მთა და ბურეთი: ქალაქსა და გორს არასდროს არ დასჭერია მთაო (1683. Qd—1970). — ზაალ ციციშვილმა მიჰყიდა ორბელ, სულხან და სხვ. ორბელიშვილებს საბაზიერო ქალაქში (1684.XI.1. Sd—541). — ჯაჰანბანუმ დედოფალმა უბოძა ფალავანხოსროს ქალაქში ასატურასშვილები ნასრინა და ანტონა (1688. მატენად. ფნ., 2, № 146). — როსტომ მეფემ უბოძა ბატაძეს, ქალაქის მოურავის მანუჩარის შვილს ადგილი გიორგი მამასახლისის დუქნების წინ. ბატაძემ ეს ნაბოძები „ტახტებად" აიშენა, შემდეგ იგი გიორგი მამასახლისს დაუთმო, ხოლო რაც მის ზევით იყო — მიჰყიდა (1690. Hd—13135). — ნიკოლოზ კათალიკოსმა 1 კომლი კაცი ჩივიანაშვილისაგან იყიდა ქალაქში (1691.VII.25. ისტ. საბ., IV. გვ. 64). — ნოსტელი მახარა ბერაძე-დათუნაშვილი ეყმო სვეტიცხოვლის ყმას, აზნაურ ბეჟან სვიმონელს, რომელსაც მოახლე მოჰპარა და ქალაქს გაუყიდა (1695. VI. Hd—13684).—ქალაქში ბაირამა სარაჯი მოწმე იყო პაპუა ტერტერასშვილის მიერ ფარემუზ ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695. Hd—6442). — ქალაქის მოურავი იყო ფირან (1696.VI.28. Sd—482). — მისი მელიქი ავთანდილა მოწმე იყო ბალაბულანთ საქოას მიერ ქეფინანთ არუთინასთვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1697.VII.20. Hd—13022). — იოანე კათალიკოსმა უბოძა ქალაქის მელიქს გიორგის და მის ძმას ბეჟანს ერთი ოთახის ადგილი [ქალაქში] (1700.VI.26. Hd—13131). — ამოწყვეტილ გიორგი მეჯურჭლის უმკვიდრო სახლ-კარი კალო[უ]ბანში იოანე კათალიკოსმა უბოძა რევაზ სახლთ-უხუცესს მას შემდეგ, რაც „ქალაქში ჟამი იყო" ([1688—1703]. Qd—1326). — ქალაქში მცხოვრები აფრამა მჭედელი ერგო ქაიხოსროს ([XVII]. Hd—12282). — ქიშვარ და დემეტრე ლიპარტ[ი]შვილებს სარგებლით ღაუბრუნეს მათ მიერ გასესხებული 14 მარჩილი და დაჰპირდნენ თამასუქს: ქალაქს რომ არის, დავიბრუნებთო ([XVII]. Hd—14963). — ნ. ტფილისი.

ჭალაჭის პირი სიმონ მეფემ დაუმტკიცა ყაფარ სოლაღაშვილის შვილებს მათი წილი მამული ქალაქის პირში და ვერის-ხევში: ტაბახმელას 3 კომლი და 3 ოხერი; გუდელისს 2 კომლი და 2 ოხერი; ტაგნაგეთს 1 კომლი და 1 ოხერი; სოფლები დრე, შავნი და მამისდაბა. დოკუმენტში მოხსენებულია აგრეთვე ქალაქის პირის ტარუღა ([1581].III.16. ქ.-სპ. საბ., № 4). — ლუარსაბ მეფის დროს ზევდგინიძეებს მამულები ჰქონდათ ქართლში, სომხითში. აგრეთვე ქალაქის პირს. დაუთ-ხანმა პირობა მისცა მათ ამ მამულების შენარჩუნებისა ([1569—78]. Hd—2116). — როსტომ მეფემ უბოძა იორამ საყაძეს ქალაქის პირში საყაძისეული სოფელი ლისი, რომელიც დიდი მოურავის „გადავარდნის“ შემდეგ სახასო იყო (1652. Hd—13956).

ჭალაჭის ციხე მისი დეკანოზი იყო გრიგოლ (1609. Hd—1636). — „ტფილისის ჭალაჭის ციხის“ დეკანოზი მოხსენებულია ფარსადან და შერმაზან ჯავახიშვილების მიერ გიორგი საყაძისათვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (1615. Hd—14690). — ნაზარალიხანს რომ ქართველები გადაუდგნენ, იგი, იოანე კათალიკოს-დიასამიძესთან ერთად, ქალაქის ციხეში ჩაკეტა (1692.III.11. Qd—1344). — აქ ნაზარალიხანს თან ახლდა კიდევ სახლთუხუცესი რევაზ მაღალაძე (1692. Qd—1344). ავთანდილ ამილახორი იბრძოდა ჭალაჭის ციხის დასაცავად ნაზარალიხანის მხარეზე გიორგი მეფის წინააღმდეგ ([1695]. ქ.-სპ. საბ., № 156). — ნაზარალიხანი რომ „ყაენის ციხეში“ შევიდა ქალაქს, მაშინ თან ახლდა გიჭოა ახალქალაქელი მისი ძმებით. ამ სამსახურისათვის ნაზარალიხანმა შემდეგ ისინი გაათავისუფლა (1696.III.16. Hd—14263). — ნ. ტფილისის ციხე.

ჭალაჭური შარა ჯიგრაშენის ერთი საზღვარი იყო „ქალაჭური შარა რომ ღოლოვნის თაეს გამოიარს“ (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53).

ჭამარბაღი იყო ორბელიანისა ([XVII]. Sd—1989). — იალღუზსა და ქედის ეკლესიასთან ერთად იგი წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] შინდლარის ფარად ([XVII]. Sd—1922, 1936).

ჭანდა მის ნაცვლად გიორგი მეფე შიო-მღვიმის მონასტერს სხვა ადგილს შეჰპირდა, ჭანდა კი მონადირეთა სადგომად გახადა (1170. Hd—1351).

ჭანძარათა [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ჭანძარათაში სამცხეთო მამულის შეწირულება-სითარხნის წიგნი (1559, საისტ. კრებ., III. გვ. 118—121).

ჭარატაკი ჭარატაკისა და იფნობის სამეკრეოს ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ვარძაგრისა და მუხრანის სამეკრეო ([XVII]. Sd—1922, 1936).

ჭარელი მგელიტა ქ ა რ უ ლ ი მოწმე და შუა კაცი იყო ხოსიტას მიერ თამაზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691.VI. Hd—5266). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო ჭარელში: ნასყიდა გონგლიასშვილი, თამაზ და ბერა ბიძინასშვილები მამულებითურთ; პაპუნას ერგო: იორდანე და ბერი ლალომასშვილები, ამირა და პარუნა პაპანასშვილები მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).

ქართლი სოფელი. ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შენირულება (1398.XII. Hd—8712).

ქართლი ლაშა-გიორგიმ ქართლის ერისთავს სულა სურამელს მისივე თხოვნით გამოართვა სოფელი სველეთი და ქვათახევის მონასტერს შესწირა ([1213—1222]. Ad—18). — ქართლის კათალიკოსის არსენის ხელრთვა აქვს არაენ ჰყონდიდლის მიერ მგელა აბულბოტისძისათვის მიცემულ მამულის შენირულების წიგნს ([1240 წლ. ახლოს]. საისტ. მოამ., II, 1925, გვ. 131—133). — ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსმა დაუბრუნა სვეტიცხოველს მისი კუთვნილი შეუბანი ([1270—72 წლ. ახლოს]. საისტ. მოამბ., II, 1945, გვ. 5—6). — ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსის ხელრთვა აქვს დავით მიქაბაძისათვის გიორგი მეფის მიერ მიცემულ სასისხლო სიგელს (1325. საისტ. მოამ., II, 1924. გვ. 6 8). ქართლის კათალიკოსი მოხსენებულია ანდრონიკე მეფის მიერ ქვენიფნეველ ლარგველისაშვილ-წითლოსანისათვის მიცემულს სოფლების წყალობის წიგნში; ქვენიფნეველ ლარგველისაშვილ-წითლოსანს სოფლები ჰქონდა ქართლში (1348. Hd—3493). „ქართლის ერისთავნი" მოხსენებული არიან ცირილაძეებისათვის კოსტანტინე მეფის მიერ მიცემულს სასისხლო სიგელში (1408.VII.4. საქ. სიძვ., III, № 461). — გერასიმე მაწყვერელმა მორჩილების წიგნი მისცა მიქაელ ქართლის კათალიკოსს ([1412—24]. Ad—522).— ქართლის ერისთავმა გაარჩია, მეფე ვახტანგ გორგასალის ბრძანებით, ციცი ჭარულიძისა და ბაქარ კოტრიძის სასისხლო დავა (1432. Sd—2886). — სერაპიონ მაწყვერელმა ერთგულების წიგნი მისცა ქართლის კათალიკოს თევდორეს ([1425—35]. Ad—320). — ქართლის კათალიკოსი დავით მოხსენებულია სვეტიცხოველისათვის რამინ გ[ა]ბელიძის მიერ მიცემულ შეწირულების წიგნში (1451.III.8. ისტ. საბ., II, გვ. 7). — მარკოზ ქართლის კათალიკოსმა მეჯინიბეთ-უბუცეს მამისა ბერინასშვილსა და მისრი ედილასშვილს დაუმტკიცა ყმა-მამულების მფლობელობა (1464.XII.13. ისტ. საბ., II. გვ. 14). — ბაგრატ [იმერთა] მეფე ჩამოვიდა ქართლში და შეება ციცისშვილს ([1443 66]. Sd—1242). — ქართლის კათალიკოსმა აბრამ აბალაყმა თამარ [მეფის] დროინდელი საწისქვილო „მოიძია" და რუ გამოიყვანა, ააშენა 2 წისქვილი, რომლებიც შესწირა მეტეხისა და მცხეთის ღვთისმშობელს (1467. ისტ. საბ., II, გვ. 19—20). გაბრიელ ამბა-ალავერდელმა ერთგულების წიგნი მისცა დავით ქართლის კათალიკოსს ([1466—79]. Ad—125). — ქართლის კათალიკოსი მოხსენებულია სიაოშ ფალავანდიშვილისათვის ალექსანდრე მეფის მიერ მიცემულ სოფ. ოქონისა და ოქონის მონასტრის წყალობის წიგნში (1488.VII.1. Hd- 8731).—ქართლში მცხოვრები ამირეჯიბი მოწმე იყო დავით მეფის მიერ ივანე მაღნარაძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა ([1486—88]. საისტ. მოამ., II. 1924. გვ. 20—21). — დავით ქართლის კათალიკოსს იოანე კუმურდოელმა ლასურისძემ პირობის წიგნი მისცა ([1453 —59]. Hd— 2082). — ქართლის კათალიკოსი მოხსენებულია ალექსანდრე მეფის მიერ ვახტანგ და დავით ბაქრაძეებისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1501.VI.7. Hd—10150). ქართლის კათალიკოსი მოხსენებულია აჯთანდილ ხელხელიძე-სარმანიშვილისათვის ალექსანდრე მეფის მიერ მიცე-

ბეულ სასისხლო სიგელში (1503.I.30. Qd—6935). — დორეთეოს ქართლის კათალიკოსს განეახლა სააღაპე მამულის შეწირულება (1504, ისტ. საბ., II, გვ. 24). — ქართლის კათალიკოსი იყო ბასილ ([1516—35]. საისტ. კრებ., I, გვ. 113; 1531. Sd—733). — მალაქია ქართლის კათალიკოსმა დაამტკიცა ლეონ [კახთა] მეფის მიერ სვეტიცხოველისათვის მიცემული ყმა-მამულების შეწირულების წიგნი (1537. ისტ. საბ., II, გვ. 36). — გიორგი ბაგრატიონმა შესწირა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო საყდარს და მელქისედეკ ქართლის კათალიკოსს ნასოფლარი სათიბი და სოფელი ზერტები (1540. ისტ. საბ., II, გვ. 37—40). ლეონ [კახთა] მეფემ თავისი ქალი ელენე „უხუცესროდ" მიათხოვა ბაგრატ [მუხრან-ბატონის] შვილს ერეკლეს. ამას სუიმონ ქართლის კათალიკოსი რჯულის წესით გამოედავა. თავისი დანაშაულის გასაბათილებლად ლეონ მეფემ კათალიკოსს საგარეჯო შესწირა და გაათავისუფლა იგი სამეფო გადასაღებისაგან (1548. Ad—1585). — ქართლის კათალიკოსი მოხსენებულია ჯაკვა შერგილაძისათვის ბაგრატ მეფის მიერ მიცემულ სასიხლო სიგელში (1554. Qd—1317). — დომენტი ქართლის კათალიკოსი იხსენიება სვეტიცხოველისათვის სიმონ მეფის მიერ მიცემულ შეწირულების წიგნში (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121). — ალექსანდრე მეფემ მისცა ბასილ კათალიკოსს ქართლში მოსახლე სკათალიკოსო ყმებზე სარდლის უფლების დამტკიცების წიგნი (1562. Hd—1721). — ლეონ [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს 16 კომლი კაცი, რომელთაც საბატონო და სამოხელეო გამოსაღები უნდა მიერთმიათ ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსისათვის (1569. სოც. დოკ., I, № 8). — ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს მისცა ყურისუბნის ნაცვლად სოფ. ვირშა მონასტრითურთ ისე, როგორც ის სვეტიცხოველს ჰქონდა შეწირული (1574.III.14. Hd—1654). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ საგარეჯოს მამულების გაუცემლობის შესახებ პირობის წიგნი მისცა ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსს (1579. Ad—1604). — ქართლის კათალიკოს-პატრიარქი იყო ნიკოლოზ (1581.VII.14. ჭ.-სპ. საბ., № 5). — ქართლის კათალიკოსი მოხსენებულია ასათიანებისათვის მეფე გორგასალისა და თამარ დედოფლისაგან მიცემულ სასისხლო სიგელში (1606. Hd—10149-ა). — იოანე ქართლის კათალიკოსმა მცხეთაში აკურთხა ნიკოლოზ მაწყვერელი. რომელმაც ერთგულების წიგნი მისცა მას ([1610—13]. Ad—547). — გიორგი [იმერთა] მეფე დაჰპირდა დავით [დაითიშვილსა] და მის შვილებს, რომ თუ ქართლი „ღმერთმან ხელად შემოგვიგდოს". თქვენსავე მშობელ, ციხესა და აზნაურებს დაგიბრუნებთო. ბოლო თუ ქართლს ვერ დაიკავებ, თქვენ ჩემთან პატივით შეგინახავთო (1614. Hd—14631). — ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა უბოძა იესე გაბრიელიას შვილს სამოურაოდ ზერტი (1618.IX. Ad—1630). — მანვე გიორგი ბოწობლიძეს უბოძა გომნი სამოურაოდ და 1 კომლი კაცი (1619.V.4. სოც. დოკ., I. № 21). — ერთაწმინდიდან ნახირის წამოსხმას ქაიხოსრო აბრალებდა პერუკას, ვინაიდან ეს ბერუკას ქართლში ყოფნის დროს მოხდა: როცა თეიმურაზ [მეფე] ქართლში ჩამოვიდა. ბერუკა სურამს იდგაო (1620.IV.15. Hd—6259). ქართლის კათალიკოსი იყო ზაქარია (1623. Hd—9446). ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა უბოძა მაღალაძეებს სამოურაოდ გომნი

(1624.VII.17. Ad—1756).—ზაქარია ქართლის კათალიკოსმა გამოსაღები დაუწესა სვეტიცხოვლის ყმას დავით ალმატალისშვილს (1627. Ad—1609). — ნ. სიონი (1628.III.15. აქტები, I, გვ. 16). — თურქთა მ:ერ საფარის მოოხრების შემდეგ საფარის მონასტრის ყმები და არსენ ავალიშვილი ქართლში გადმოიხვეწნენ (1630.IX.9. Hd—14678). — შაჰ აბაზმა მოაოხრა ქართლი და კახეთი (1631. ისტ. საბ., IV, გვ. 18—19). — იოთამ ამილახორმა სამსახური გაუწია თეიმურაზ [კახთა] მეფეს „ქართლის დაპირვაში“ ([1625—32]. Hd—9429).—როსტომ მეფემ უბოძა ბეჟან ამილახორს „ლიახუს ზედათ ქართლის“ სარდლობა (1633.III.16. Hd—2126). — როცა ქართლში ყაენი მოვიდა, თეიმურაზ [კახთა] მეფე ვერ გაუმკლავდა მას და ლიხთ-იმერეთში გადავიდა (1633.V.33. Hd—9377). — ევდემონ ქართლის კათალიკოსმა დაუმტკიცა ამირან ამბროსაშვილს როსტიაშვილებისაგან ნასყიდი სავენახე მიწა (1634. ისტ. საბ., IV, გვ. 20—21). — იმავე კათალიკოსმა უბოძა ხუცია მაღალაძეს სოფელი არმაზი (1634. Ad—1700). — ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა უბოძა გედევანიშვილებს ყმა-მამული (1640. Hd—14682). — თაწმიდის ხარების ღვთისმშობლისათვის ლევან დადიანის მიერ მიცემული შეწირულების წიგნი დასწერა გიორგი ზვიადმა, რომელიც ქართლის კათალიკოსის ევდემონ [დიასამიძის] გაზრდილი იყო (1642. Qd—6740). — ქართლის კათალიკოსი იყო ევდემოზ ([1630—37]. Qd—8237). — ყაენმა უბოძა როსტომ მეფეს მისი სამკვიდრო ქართლი (1645.VI.20; ქ.-სპ. საბ., № 85). — ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა მამულის წყალობის წიგნი მისცა რამზია რატიძეს (1648. Ad—352). — ნ. სომხითი ([1606—48]. Hd—2128). — ქართლ-კახეთის დედოფალი იყო მარიამ (1649.VI.15. ისტ. საბ., IV, გვ. 29—30). — ქართლ-კახეთის მეფე როსტომმა გაათარხნა ბერუკა ჯაბჯაური (1651. Hd—14661-გ). — ქართლის განმანათლებელი ნინო მოხსენებულია დავითის ქვრივისათვის როსტომ მეფის მიერ მიცემულ მამულის წყალობის წიგნში (1653. Qd—1653). ქართლის კათალიკოსი იყო ქრისტეფორე (1654. Ad—1874). — როსტომ მეფე იყო ქართლისა და კახეთის მპყრობელი (1656. XII.15. ქ.-სპ. საბ., № 114). — ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა უბოძა თავის ნამსახურ ყმას ზაქარია ჭარმაულს ყმა-მამულები ბროწლეთში (1657. Qd—31, 64). — როსტომ მეფის ძმამ ყაფლან ბარათაშვილს წერილით შეუთვალა, რომ თუ ურუმებმა არდაჰპინიდან ქართლისკენ წამოსელა დააპირონ, ისე შეხვდი, როგორც ჩვენს პატრონ-ყმობას შეეფერებოდესო ([1632—58]. Hd—14654). — ქართლში ცხოვრობდნენ სვეტიცხოვლის ყმები (1660.V 1. Sd—2913). — ალექსანდრე მეფემ უბოძა იოვანე ომადმადიძეს მამამისის ამაბეგის ნაქონი ვახანის ციხე-ქვაბი. ბაში-მოლიანი ქართლის საზღვარს აქეთ, რეელს აქეთ და აწყვერის საზღვარს აქეთ ([1639—60]. Sd—1789). — ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა ელისე თბილელს მისცა სოფლების მიბარების წიგნი ([1643—60]. Ad—47). — რევაზასთან საციციანოდან ქართლელები ჭურდობისათვის მოვიდნენ. რევაზამ ისინი ყაფლანის ციხის ასაღებად წაიყვანა, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. მასპინძელმა ისინი დაასაჩუქრა და უკან გაისტუმრა საციციანოში. გზაში ქართლელები დაიჭირეს და მათი საიდუმლოება გამეღავნდა (1664.III. Hd—10346).—

ბეროა ტერტერაშვილი გადმოვიდა სამცხიდან და ეყმო ტერ-ზაქარაშვილ მა-
მიჯანას ქართლში (1668.IV.5. Hd—2578). — როცა „ქართველი ბატონი"
[შანავაზი] იმერეთს იყო ჩასული, მან ლევან აბაშიძის კუთვნილი ყმა-მამული
გორისასა და არგვეთში ფეშანგი ფალავანდიშვილს უბოძა; ხოლო როცა იგი
ქართლში დაბრუნდა, [სახლთ-უხუცესმა] სეხნია ჩხეიძემ ეს ყმა-მამული ქაი-
ხოსრო და პაატა წერეთლებს დაუთმო ([1660-იანი წლები]. Hd—2179). —
დომენტი ქართლის კათალიკოსმა დაუმტკიცა პაპუა მაღალაძეს სამცხეთოს
სახლთ-უხუცესობა ქართლიდან კახეთამდე (1672.V.1. Ad—1689). — შანავაზ-
მა უბოძა ვახტანგ ბარათაშვილს ქართლის მდივანბეგობა, რომელიც წინათ მის
მამას ჰქონდა (1676. Sd—536). — [შანავაზი] იყო ქართლისა და კახეთის
მპყრობელი (1677. Ad—1357). — დაუთ-ხანმა პირობა მისცა ზევდგინიძეებს,
რომ შეუნარჩუნებდა მათ მამულებს ქართლში და სხვაგან ([1569—78].
Hd—2116). — ქართლის მდივანმა სულხანმა, კახეთის მდივან ზურაბთან ერ-
თად, იყიდა ბახუტა შატბერაშვილისაგან მამული შოშიაშვილისა და იმარაშვი-
ლის მიწამდე (1678.X.10. Qd—9037-ლბ). — გიორგი ქართლის მეფე წყალო-
ბას დაჰპირდა კახელ თავადებს კახეთის „დაჭერის" შემთხვევაში ([1676—88].
Hd—2159). — იოანე ქართლის კათალიკოსმა დიასამიძემ სვეტიცხოვლის
მკვიდრს დემეტრე აღუსებაძეს უბოძა ომფორის მოლარეობა და საციციანოს
ბამამთავრობა (1689.I.26. Hd—4779). — ქართლში მეფედ დაჭდა ნაზარალი-
ხან (1690.I.22. Hd—2753). — ქართლისა და კახეთის კათალიკოსმა იოანე დია-
სამიძემ, კახეთის მიტროპოლიტ-ეპისკოპოსებთან ერთად. გარეჯის წინამძღვ-
რად დაადგინა და მისცა წინამძღვრის საქმის გარიგების წიგნი ონოფრე მაჭუ-
ტაძეს (1690.III.12. Ad—349). — ნადირა მეტრეველის ბიძამ ალხაზ მაჩაბ-
ლის მსახური ღონა მოკლა, გაიქცა და რაჭის ერისთავს შეეკედლა. მაგრამ
ქართლში სიარული არ შეუწუყეტია, ამიტომ იგი ალხაზ მაჩაბელმა შეიპყრო
და ციხეში დააბა (1691. Hd—11573). — ალექსანდრე [იმერთა] მეფე მტრებმა
ქართლში გადმოაგდეს ერეკლე მეფესთან ([1690—91]. Hd—15034). — ქართ-
ლი მოხსენებულია გიორგი მეფის მიერ გიეი ამილახორისათვის მიცემულ ზე-
მო ქართლის სარდლობისა და გორის მოურაობის წყალობის წიგნში (1692.
IX.10. Hd—2134). — იოანე ქართლის კათალიკოსმა სვეტიცხოველის დეკა-
ნოზს ფოცხვერას უბოძა კრწანული [მამული] და სომხითში ველკეთილის მე-
ღალეობა ამასალად (1692.IX. Qd—9087). — ქართლის საბატონოს მჭონებე-
ლი იყო ნაზარალიხან (1692. ჭ.-სპ. საბ., № 150). — ყაენმა რომ ნაზარალიხანს
ქართლი უბოძა და ციხეში დადგა, მას იქ სამსახურად ეახლა მთავარეპისკოპო-
სი (1693.IV.3. Hd—2593). — ქართლის კათალიკოსი იყო ნიკოლოზ ამილა-
ხორის ძე (1693. ისტ. საბ., IV, გვ. 69). — გიორგი მეფე ვადმოიყვანეს
ქართლში საბატონოდ ([1695]. ჭ.-სპ. საბ., № 156). — ნაზარალიხანი იყო
ქართლისა და თუშეთის მპყრობელი (1695. Hd—13167). — ნიკოლოზ ქარ-
ლის კათალიკოსმა ამილახორმა მოსახსენებელი გაუჩინა გიორგისა და ალექ-
სანდრეს, რომელთაც სამთავისის ეკლესიას მამულები შესწირეს ([1676—96].
Ad—565). — გიორგი მეფე დაჰპირდა ქაიხოსრო წერეთელს იმ გლეხების
წყალობას, რომელნიც „ახლა აგუროდეს და საქართველოს ჩუენს საბატონო-

ში მიჰყოლიყოს... და რაც ამას უკან როდესმე აგეყაროთ და ქართლს გარდმოვიდეს--ო (1697. Sd—1170). — სულეიმან ყაენმა ერეკლე მეფეს ქართლი უბოძა (1700.V.20. Ad—2220). — გიორგი მეფე დაჰპირდა ციციშვილებს მათი მამულების ბოძებას ქართლის დაბრუნების შემთხვევაში ([1688—1709]. Hd- -2275). — ყანდურელმა პირობა მისცა მოურავისშვილებს, რომ ახალქალაქიდან ქართლს გადმოვა საცხოვრებლად და ცოლ-შვილიანად მათ ეყმობა ([XVII]. Hd—2589). — ბოკოწინელებმა პირობა მისცეს ქართლის კათალიკოს დომენტის, რომ ყოველ წელს კომლზე 5—5 ჩაფი ტკბილს მისცემენ, მოუხნავენ 3 დღის ყანას და გადაუხდიან 2—2 დღის ფეტვსა და ქერს გუთნის თავზე ([1660—76]. Ad—1612). ქართლი მოხსენებულია რევაზისშვილების პირობის წიგნში ([XVII]. Ad—1469). — ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსმა ყოველწლიური აღაპი გაუჩინა ომანს, რომელმაც მამული შესწირა სვეტიცხოველს ([XVII]. Ad—77). — მართა მონაზონმა წერილით სთხოვა [გრიგოლ] კათალიკოსს, რომ დაეყოლიებინა ქართლის, იმერეთის, ოდიშისა და გურიის მეფე-მთავრები ქართველთა წმიდა ადგილების დასაცავად ([XVII]. Hd—11207). — ანტონ ჰერემელმა ეპისკოპოსმა პირობის წიგნი მისცა ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსს ([XVII]. Ad—1632). — ეგნატე ჰერემელმა ეპისკოპოსმა პირობის წიგნი მისცა იმავე კათალიკოსს [XVII]. Ad—1626).

ქარიატა ლევან დადიანმა შესწირა ხოფის ტაძარს ქარიატაში და კემხელში მესამედი ნავი და ბაჟი ([1611—57]. Hd—1551).

ქარტი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—449, 604).

ქარჩუხი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604). — აქ ნარიმანიძის მამული. გიორგი ტაირიშვილმა გაუცვალა ვირშელ რამადანისშვილს გრემისხეველ გოგია ვარამაშვილისეულ მამულში ([XVII]. Hd—4490).

ქაჩალაური ოთარ სახლთ-უხუცის შვილმა პირობა მისცა აქ დამსახლებლებს, რომ გაათარხნებდა მათ 5 წლით; ქაჩალაურის მოურაობა მისცა ოთარმა იქაურ ასათაშვილებს (1696. Hd—1856).

ქაცაბანდი (ქაცაბანი) ნ. მარაბდა (1543.IV.20. Hd—10375, Hd—10381).— ქაცაბანი ნაწილი იყო მარაბდისა ([1692—1703]. Sd—577).

ქებათ-კარი შაშე ჯავახიშვილმა მიჰყიდა მამისიმედ გოგიჩასშვილს 2 დღის მიწა-გოჩიას ველი ქებათ-კარში (1608. Hd—1576).

ქედა ბაკურაშვილებმა მიჰყიდეს ნარიმანაშვილებს მიწა რკოს გასწვრივ ქედაში (1697. Hd—10897).

ქედის მიწა ელისბარ საზუასშვილმა მიჰყიდა ივანე ბერინასშვილს ქედის მიწა და ორმოციანი ჰური (1681.XII.15. Hd—6789).

ქედის ეკლესია იალღუზთან და ქამარ-ბაღთან ერთად წილად ხვედა ყაფლან [ორბელიანს] შინდლარის ფარდად ([XVII]. Sd—1922. 1936).

ქედისოფელი ეწერა 4 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ქედის უბანი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ქერდი ნ. ტურბაცური (1689.X.18. Hd—5814).

ქვაბევანი სიმონ მეფის წყალობის წიგნი ქვაბევანის შესახებ მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

ქვაბნი (ქვაბი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ქ ვ ა ბ ს ე წ ე რ ა 8 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ქვათახევი (ქვათაკევი, ქვეთახევი, ქუათაკევი— ღვთისმშობლის ეკლესია-მონასტერი) გიორგი მეფემ ქართლის ერისთავს სულა სურამელს გამოართვა სოფელი სველეთი და ქვათახევის მონასტერს შესწირა ([1213—1222]. Ad—18). — მოწოწლიძეებმა შესწირეს ქ ვ ა თ ა კ ე ვ ი ს ღვთისმშობლის მონასტერს სოფელი ნოსტე, რომელსაც სურამელებმა დაადეს გამოსაღები. მიქელ სურამელის ცოლმა ქაქანამ გაათავისუფლა ნოსტე ამ გამოსაღებთაგან. რისთვისაც გაიჩინა მონასტერში აღაპი ([XIII საუკ. ბოლოს]. Ad—9).—ნანიტა ყიფიანმა და მისმა შვილებმა შესწირეს ქ უ ა თ ა კ ე ვ ი ს მონასტერს ტუარ[ა]ს-შვილებისაგან ნაყიდი ვენახი და გაიჩინეს მონასტერში აღაპი (1452.XII.20. ისტ. საბ., II, გვ. 10). — აქ მდებარე სასაფლაო ბოსტან-წალკოტ-სენაკითურთ დავით კათალიკოსმა უბოძა დიმიტრი ქადაგს (1470. Hd—1352). — ჭაჩიბაძეთა სახლში დაბერებულმა ნინომ შესწირა საღაპედ ქვათახევის მონასტერს მცირე ვენახი, რომელიც იყიდა ღვთისავარ ჭურციკაულისაგან (1477. ისტ. საბ., II, გვ. 20—21). — გულშარ დედოფალმა მისცა 14 ათასი თეთრი გრიგოლ ავგაროზისძეს, რომელმაც გაუჩინა მას აღაპი ქვათახევის და ვლაქერნის ღვთისმშობლის მონასტერში (1488. ისტ. საბ., II, გვ. 23). —. მათე და ბადრი ქულეივისძეებს ჯურუმი უნდა გადაეხადათ კოსტანტინე მეფისათვის. ჯურუმი გადაიხადა შაჰყუბათმა, რომელსაც ამისთვის აღაპი გაუჩინეს ქვათახევის მონასტერში ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის წინაშე ყოველი წლის 30 ნოემბერს (1492. ისტ. საბ., II, გვ. 24). — მერაბ ციციშვილმა შესწირა ქვათახევის მონასტერს 1 კომლი გლეხი გიორგა და იონა ცხადიასშვილები და გაიჩინა აღაპი: ყოველი წლის 17 ნოემბერს, წმ. გრიგოლის დღესასწაულზე ცხადიასშვილს უნდა მიეტანა მონასტერში საღაპედ 400 პური, ისე რომ თვითეული პური თითო გორული ჩარექი ყოფილიყო, 12 კოკა ღვინო 20-ლიტრიანი კოკით, 2 ზურგიელი, 1 ლიტრა ცვილი, ნახევარი ჩარექი საკმელი, 2 ლიტრა ზეთი (1520. ისტ. საბ., II, გვ. 29—31). — ქვათახევის მონასტრის წინამძღვარმა ფილიპე ბარათაშვილმა დაწერა სვეტიცხოველისათვის სიმონ მეფის მიერ მიცემული შეწირულების წიგნი (1559.XII.1. Ad—1572). — მამისა ღაღანისძემ და მისმა შვილებმა დაიხსნეს მეგრელებისგან დატყვევებული პაატი შვილებითა და რძლებით, დაასახლეს კაეთისხევში და შესწირეს ქვათახევის მონასტერს, რომელშიც გაიჩინეს აღაპი: ყოველი წლის 24 დეკემბერს შეწირულთ უნდა მიეტანათ მონასტერში 5 კოკა ღვინო 20-ლიტრიანი კოკით, 2 კოდი გამომცხვარი პური, 2 თევზი და სხვა სამარხო (1568. ისტ. საბ., II, გვ. 46). — ქვათახევის მონასტრის წინამძღვარმა ფილიპემ დაწერა სვეტიცხოველისათვის სიმონ მეფის მიერ მიცემული შეწირულების წიგნი (1570. Hd—1557). — ქვათახევის

ღვთისმშობლის ეკლესიას განონამ შესწირა ფოცხვიაშვილისაგან ნასყიდი ვეხაკი, 2 დღის მიწა და საწისქვილო თავისი შვილის სააღაპედ ([XVI]. Qd—8514). — ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი ზაქარია ბუედ იყო გიორგი სააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის დავის გარიგებაში (1620.VII.15. Hd—14424). — ქვათახევის ღვთისმშობელი მოხსენებულია დედანაშვილთა ნასყიდობის წიგნში (1669. Qd—8515). — ქვათახევის მონასტრის წინამძღვარს ქრისტეფორეს შეეცილნენ სასაფლაოსა, სენაკსა და ბაღ-ბოსტანზე მაღალაძეები. იოსებ თბილელმა დავა ასე გადასწყვიტა: სასაფლაო პალატის კუთხიდან სენაკის კუთხემდე, პალატის გვერდი ბოლომდე ხევის პირის ჩატანებით, ნასახლარები, საბოსტნე და საბახჩე დარჩა მაღალაძეებს (1683. Qd—8939).— მისი საწინამძღვრო გიორგი მეფემ უბოძა მოურავიშვილ-სააკაძის სახლის წევრს ბერს (1686. Hd—1969). — ქვათახევის საწინამძღვრო მოხსენებულია მოურავიშვილთა მიერ ბეგთაბეგ მარტიროზაშვილისათვის მიცემულს პირობის წიგნში (1686. Hd—2418). — ქ უ ა თ ა ქ ე ვ ი ს წინამძღვარი იყო ეფთვიმე (1700.V.20. Ad—2220). ქ ვ ე თ ა ხ ე ვ ი ს ღვთისმშობლის წინამძღვარმა ექვთიმემ დაუმტკიცა თუმანიშვილებს მდივნებს ოთარს, გივის, შიოშს და სხვებს ძველად ნასყიდი სველნური მამულები. სამაგიეროდ მათ ყოველ წელიწადს ქ ვ ე თ ა ხ ე ვ ი ს ღვთისმშობლისათვის 4 ლიტრა სანთელი უნდა მიერთმიათ (1700. Ad—1008). — გრიგოლმა პირობა მისცა ჯვარის მტვირთველს, რომ ქრისტეფორე საგინაშვილის სიკვდილის შემდეგ ქვათახევის მონასტრის წინამძღვრობას შენ მოგცემო ([XVII]. Hd—14937).

ქვათახევი (ქუათახევი, ქოთახევი — ხოფელი) ლუარსაბ მეფემ მისცა ქ ვ ა თ ა ხ ე ვ ე ლ ე ბ ს სითარხნის განახლების წიგნი (1530. Hd—1372). — ლუარსაბ მეფემ ქ უ ა თ ა ხ ე ვ ე ლ ე ბ ს მოსთხოვა საკარავეს გადახდა, მაგრამ მათ უჩვენეს თავიანთი სითარხნის სიგელები, რაც ლუარსაბმაც იცნო (1550. XII.11. აქტები, I, გვ. 9). — ელისბარ სოლაღაშვილმა მიჰყიდა პაპუნა მაღალაძეს კავთისხევში გლეხი დემეტრე მამულითურთ; ერთი საკომლო ვენახი, ზვარი და 2 ხოდაბუნი, ერთი დამპალაში, მეორე თვალათუბნის ბოლოს — ორივე 30 დღისა, ამასთანავე სასახლით, ჭურ-მარნით და ყველაფრით, რაც კი მისი წილი იყო ქ ო თ ა ხ ე ვ ს (1565.IX.25. სოც. დოკ., I, № 7).

ქვალდამა რევაზ ზურაბიშვილსა და სულხან ყაფლანისშვილს დავა ჰქონდათ კახეთში ქვალდამაზე. ასე გარიგდნენ: ნასახლართან სერი შუაზე უნდა გაეყოთ; წყალგაღმა სერის გაყოლებით წყლის პირამდე და სახნავამდე სულხანს დარჩა, აქედან მოყოლებული სახნავის ჩათვლით — რევაზს (1700.VI.2. IId—4164-დ).

ქვაყრილი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ქვაციხე ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა თუდარჩისა და მის შვილებს ქვაციხეში მცხოვრები სეხნია ცხოვრებაძე და მისი ძმა პაპუნა მამულებითურთ (1646. Qd—8932).

ქვაჩურელი (ქუაჭურელი, ქვახრელი) ნ. კუედურეთი (1467. საისტ. მოამ., II, 1924,გვ. 30—31). — 20 კომლი ყმა ქ უ ა ჭ უ რ ე ლ ნ ი მოხსენებულია

ჯნების ნუსხაში [1658—75]. Hd—14534-ბ). — ქვახრელში მცხოვრები გიორგი ზურაბაშვილი მოწმე იყო გიორგი ოთიისშვილის მიერ ცაჭიკაანთ შანველისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1691.VI.12. Hd—5993).

ქვედი მირიან ჭარელისძე ერისთავმა ერთგულებისათვის უბოძა თავის აზნაურს გიორგი შერაზანიშვილს არაბიძე მამულითურთ ქვედში ([XV]. ქუთ. მუზ., № 1024).

ქვემო ბეგი ერთ-ერთი საზღვარი იყო პაპინა ხუდადისშვილის მიერ ხოსრინა წერეთელასშვილისაგან ნასყიდი მიწისა (1654. Hd—6858).

ქვემო ბიწმენი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ქვემო ბოლნისი მისი მამასახლისი იყო პაპუა (1620.V.10. Sd—620). — აქაური ჯ[ა]ნადირა ჯანადირისშვილი და ფირუმა მღებარი მოწმენი იყვნენ ღუშია ოზბეგისშვილის მიერ ე[ა]ხალისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1622. IV. Hd—6782). — აქ ცხოვრობდა ყმა სუხუასშვილი, რომლის სანაცვლოდ თეიმურაზმა უბოძა ასლამაზსა და პაპუნას ალიხანა აღეკში (1631. Ad—682). — როსტომ მეფემ უბოძა მდივანბეგ ყაფლან ბარათაშვილს ბარათას ნაქონი ზვარი ქვემო ბოლნისში (1636. Hd—14476). — სოფელი, რომლის მეფემ განუახლა ყაფარას აქ მცხოვრები ველია სურათაშვილის წყალობა (1641. ჭ.-სპ. საბ., № 71). — იმავე მეფემ უბოძა ხოსრო ნარიმანიშვილს მარანშას ნაქონი მამული ქვემო ბოლნისში (1642. ჭ.-სპ. საბ., № 75). — როსტომ მეფემ გამოართვა მოლარეთ-უხუცეს შიოშ ხმალაძეს წინად ნაბოძები სოფელი მამიუტი და მის მიერ ქალაქს აშენებული სასახლე და სამაგიეროდ მისცა ქვემო ბოლნისში ყუზანა და ამირან ბადურაშვილები სახლითურთ. სამშვილდეს — ამშა და თევდორე იაგანაშვილები (1643. Hd—1601). — როსტომ მეფემ უბოძა ყარჩიღაშვილებს ნაკიდურის მოურაობა და ქვემო ბოლნისში კეპუაშვილის ნაქონი ვენახი (1646. Hd—14604). — მისი მამასახლისი იყო სალმახანა, ბიძაშვილი ყაფლანა ყაზარაშვილისა (1669.V. Hd—9285). — აქ მდებარე რუ იყო ერთი საზღვარი იოსებ ბოლნელის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის გაცვლილი სავენახე მიწისა (1670.VIII.2. Hd—10249). — ამისი მამასახლისი სალმახანა მოწმე იყო ხუგაზა ადიბეგასშვილის მიერ ბოლნელისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([1669—78]. Hd—9275). — აქ ცხოვრობდნენ შაჰყულა. ბერუა და ამისი შვილი ჯანბა (1683.I.5. სოც. დოკ., I, № 103). — ქვემო ბოლნისის ზვარს მართებდა 40 საპალნე (1689. Sd—1932-ბ). — მასვე მართებდა 43 საპალნე (1690. Sd—1932-გ). — ქვემო ბოლნისის ზვრის წიგნი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931). — მისი ზვარი იხსენიება გადასახადების ნუსხაში ([1691]. Sd—1932-დ). — მისი მამასახლისი პაპუა მოწმე იყო ვენახის გაცვლის წიგნისა (1699.IX.27. Hd—10257). — ზაქუმბეგ ალიყულიშვილმა მიჰყიდა ავთანდილ დიასამიძეს ქვემო ბოლნისში მცხოვრები გლეხები: დოლათაშვილი, თურვანდაშვილი, ამირაიზაშვილი, წატურა და ზაზაშვილი ([1690—1716]. სოც. დოკ., I № 124).

ქვემო გაჟლოტი ლეონ [კახთა]მეფემ შესწირა სვეტიცხოველს ქვემო გაჟლოტს მცხოვრები 20 კომლი ყიზილაანი, ჩხუპიანი, პაელაანი და შურიანი (1537. ისტ. საბ., II, გვ. 35).

ქვემო გუელდესი აქ მოსახლე 2 გლეხი შულლიასძე და ტარიკასძე ფავნელმა მიჰყიდა შიო-მღვიმის მონასტრის მთავარ. მემღვიმეს, თევდორეს ([890—913]. Ad—1).

ქვემო ნიქოზი ელიზბარ [დავითიშვილმა] იყიდა ქვემო ნიქოზს ვეშაპისძისავან სასახლის ალაგი, ყამაზაშვილისაგან ვენახი და უბოძა იგი სამკვიდროდ პაპუნა მახვილაძეს (1656. Sd—605).

ქვემო მძვიმლეთი (ქვემო ძვიმლეთი) პაპუა ტატიშვილს გაყრის შედეგად ერგო ქვემო მძვიმეთში გოგილა დულარიძე, გოგილა პაპუნასშვილი, გარაყანა მამულითურთ და ქიტეტაშვილი (1674. Sd—607). — სეხნია ტატიშვილმა უბოძა შოშიტა მიქელაშვილს სახასო მიწა ქ ვ ე მ ო ძ ვ ი მ ლ ე თ ს კაციას ბაგის თავიდან ინდუაშვილის ბაგამდე (1692.XI.10. Sd—560).

ქვემო რეხა ნინია იყო ქ ვ ე მ ო რ ე ხ ე ლ ი (1678. Sd—47).

ქვემო საბუზარა აქ მოსახლე ნახრალასშვილი მამულითურთ შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

ქვემო წირი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ქვემო ჭინჭარი არტანში ზემო ჭინჭარისა და ქვემო ჭინჭარის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ქვემო ჭიონი ხითარაშვილების გაყრის შედეგად ქვემო ჭიონის ქულბაჭი ერგო გასპარ ხითარასშვილს (1699.III.1. Ad—954).

ქვემოთი უბანი როსტომ მეფემ დაუმტკიცა ქაიხოსრო ბარათაშვილს მისი სამკვიდრო მამული ვერის-ქვეშე სოფელი ნახშირის გორი, ქვემოთი უბანი და ზემოთი უბანი (1633.XII.25. ქ.-სპ. საბ., № 47).

ქვენადრის ციხე ეს და ნახევარი ჭალა წილად ხვდა ზურაბსა და შერმაზანს ([XVII]. Qd—1037).

ქვენატკოცა როსტომ მეფემ უბოძა ხითარაშვილებს ქ ვ ე ნ ა ტ კ ო ც ე ლ ი ოვათელა და მისი ძმები (1649. სოც. დოკ., I, № 44).

ქვენაფლავი ლუარსაბ მეფემ უბოძა ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს (1615. Ad—1410). — ნაზარალიხანმა აქ ყმები იმამაშვილები გაუთარხნა ზალ ციციშვილს (1699. Ad—1222).

ქვენაფლაზი აქ ცხოვრობდნენ წმიდა ნიკოლოზის ყმები: წილკნელაშვილი, იოანესშვილი, ტატა ოქრიაშვილი, არხოშაშვილი, ჰურმანიძე, პაპინა ფეიქრისშვილი, აბულა და რევაზა ბოლოკიაშვილები (1659.V.18. Ad—790).—აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 6 კომლი ყმა, ყაიას აქ 2 კომლი ყმა ჰყავდა. აქ ცხოვრობდნენ აგრეთვე იმამაშვილი და მაზია ([1658—75]. Hd—14534-ბ). — ქვენაფლაზელნი მოწმენი იყვნენ ბერიკა ხუდადაშვილის ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1692. Hd—9372). ზაზა [ციციშვილმა] უსამართლოდ დაიჭირა მამულები ხევდურეთის, ქვენაფლაზისა და დღარულის ბოლოს [XVII]. Ad—1347).

ქვენაფლისი შედიოდა მირიანისძისეულ მამულში, რომელიც ქავთარასძეს უბოძეს ([XVI]. Hd—14695).

ქვეში (ქუეში) სოფელი, ქვეშელ ლიპარიტს ხელი აქვს ჩართული XIII საუკ. დაწერილზე ([XIII]. Hd—14793-ბ). — მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — აბულახტარისძეთა ყოფილი მამული, უსჯულოთაგან „განრყუნილი და ოკერქმნილი", მეფემ უბოძა თაყა ზევდგინიძეს, რომელმაც შემდეგ შესწირა ნასოფლარი ქვეში თავისი მამულითურთ სვეტიცხოველს (1433. ისტ. საბ., II, გვ. 4). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ქუეშის შეწირულება (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 119).

ქვეშის-ხევი (ქვეშის-ქევი, ქუეშის-ხევი) აქ მდებარე ნასოფლარი ყაშლაღი ლუარსაბ მეფემ უბოძა გიორგი საყაძეს (1609. Hd—13991; 1610. IX.24. Hd—2283). — ქუეშის-ხევზე ჯალდამსა და ღორისთავში თავისი კერძი მამული შიომ ბარათაშვილმა ვალში მიჰყიდა მდივანბეგ ვახტანგ [ორბელისშვილს] (1678.VII.1. Hd—13105, Sd—2295).

ქვითკირითი სოფელი სამთავნელის სამწყსოში, მისი ბეგარა მღვდლებსა და მამასახლისებს უნდა მიერთმიათ სამთავნელისათვის (1459. Ad—559, 604).

ქვითკირთა შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ქვიტკირის ხიდი ნ. გარდიგარდმო.

ქიზიყი ნ. ხიზიყი.

ქიმი ქიმელმა ალექსი ზაქუაშვილმა აღელ მღვდელს ტერ-გრიგოლ სახვაშვილს მიჰყიდა მისი მამა-პაპეული „ტირიფის მიწა" 2 დღისა. საზღვრები იყო: ზევით ვაკეაშვილის მიწამდე, ქვევით შახპარუნაშვილის მიწამდე (1653. Hd—6105).

ქინძათი სამკვიდრო მამული იყო დავითისშვილებისა, რომელთაც მასზე შეეცილნენ მარტიროზაშვილები, როსტომ მეფემ იგი უბოძა ელიზბარ დავითისშვილს (1637. Ad—1084).—ნ. ქინძთი.

ქინძარა სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ქინძარაში მამულის შეწირულობა (1559.XII.1. Ad—1572).

ქინძთი ქინძთის ზვარი შეხვდა ელისბარ დავითისშვილს ძმასთან, კოსტანტილესთან გაყრისას ([1658—1675]. Hd—2289). — აქ მცხოვრებნი: ბადუა ღუდრელაშვილი, შერმაზანა ქოჩორაძე, ბერუკა დათვიაშვილი მოწშენი იყვნენ მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690. Hd—14815). — ნ. ქინძათი.

ქინძური გზა მოხსენებულია მიწის ნასყიდობის წიგნში (1690. Hd—14815).

ქისიყისეული მამული დავით მეფემ უბოძა ეზოს ჩუქჩარეხ პაპიას ქისიყისეული მამული გორში (1365. Hd—2199).

ქიტაანთ-დმანისი გიგუნას წილის გარდა, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

[ქიტები] თრიალეთში, ივანე დიასამიძემ მისცა ქიტებელთ მოხელეებისაგან ხელშეუვალობის წიგნი (1697.IV.23. სოც. დოკ., I, № 142).

ჭიტიაურის მამული ბერდიკს ჭიტიაურის მამული წილად ხვდა შოშიას შვილებს და მანუჩარს ([XVII]. Sd—1739).

ჭიძათი ქ ი ძ ა თ ე ლ ი იყო ზურაბა არაქელასშვილი და მისი შვილი პაატა (1682. Sd—568).

ჭიწნისი დავით ქსნის ერისთავმა მისცა გიორგი თუმანიშვილს ჭიწნუ[ა] ციწები რუს გასატარებლად (1678.XII.18. Ad—1016).

ჭოდელაანი თეიმურაზ [ქახთა] მეფემ უბოძა ხოსროს სასაფლაო ჭოდელაანში (1645.VIII.4. სოც. დოკ., I, № 512).

ჭოთისი აქ მცხოვრები ბერუა გოგაშვილი ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13648).

ჭოთიში პაპუნა გოსტაშაბისშვილმა მისცა თავის შვილიშვილ თინათინს ღვალოვნისა და ჭოთიშის მოურაობა (1700. Hd—7255). — სიმონ მეფემ უბოძა იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს ნასოფლარი ჭოთიში ([XVII]. Hd—8437). — აქ მცხოვრები ამირა უმამულოდ ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13629).

ჭოლაგირი ნაზარალიხანმა სამკვიდროდ უბოძა პაპუა ორბელისშვილს ნაბიდურის და ჭოლაგირის თაბუნის მოურაობა (1696.X.14. Sd—628).

ჭოლოთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559; 604).

ჭონთირული პარტახტი სიმონ მეფემ დაუმტკიცა ნიტრიის სიონს, რომელსაც იგი ადრე გიორგი მეფისაგან ეყიდა (1584. Sd—2909).

ჭორაზნა სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ვენახები ჭორაზნაში (1559.XII.1. Ad—1572). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუჩასთან გაყრისას ერგო ჭორაზნაში მცხოვრები: ივანე მანველისშვილი და მუხურელისშვილი მამულებითურთ; პაპუნას კი ერგო: პაპუნა ახუბაძე, გიორგი ახალკაცი მამულებითურთ ([XVII]. Hd—1636).

ჭორდი (ჭორდა) სოფელი, მისი შეწირულება ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სიმონ მეფემ განუახლა მისი შეწირულება იმავე ეკლესიას (1559. საისტ. კრებ. III, გვ. 118—121). — ნიკოლოზ კათალიკოსმა მისცა ვახტანგ ბატონიშვილს, ყურისუბნის სანაცვლოდ, სოფელი ვირშა მონასტრითურთ. ზაკვი, ჭორდი, ტრძნისი და სხვა ადგილები (1574.III.14. Hd—1654). — ჭორდში აფხაზაშვილის ნაჭონი მოზუერაული მამული და ბექნიაშვილის ნაჭონი ვენახი ევდემოზ კათალიკოსმა უბოძა დავით გედაონიშვილ-ელიოზიძეს (1638. Hd—1710). — როსტომ მეფემ უბოძა შაშე [ჩოლაყაშვილს] პაპუას ნაჭონი მამული ჭორდში: მახური და ჩურული ნემსაშვილები და პაპუნა და სოზიკა ქოილაშვილები (1656. Sd—2841). ჭორდას მდებარე ბახუტა ბადასშვილის მამული ნიკოლოზ კათალიკოსმა უბოძა გიორგი გედევანისშვილს (1694.X.5. Hd—13999). — ჭორდელმა ჩოლაყაანთ ყმებმა პირობა დასდეს, რომ არ დაუშვებენ თავიანთ შორის „რჯულის გარდამაუალ საქმეს“: მარხვის ჭამას, ქადაგობას და მისთანას ([XVII]. Ad—863). — ჭორდს ეწერა 17 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ქორეთი ალექსანდრე მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ქორეთი (1579. Sd—464).

ქოროღლი სახასო იყო ([XVII]. Hd—14990).

ქოსახპირი აქ 14 დღის მიწა, აგრეთვე ბაღი, წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] ([XVII]. Sd—1936).

ქოღო ნ. გენაგა.

ქოჩაური მამული გოშფარ [ჯავახიშვილს] როინთან გაყრისას ერგო ქოჩაური მამული ([XVII]. Qd—605).

ქრწნა აქ ბატონიშვილს 12 კომლი ყმა ჰყავდა, ბუღუტაურს — 2, მანუნიძეს — 2 ([1658—75]. Hd—14534-ა).

ქრცხინვალი (ქრცხილვანი) აქ მოსახლე ელიოზიძის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ქ რ ც ხ ი ლ ვ ა ნ ი იყო დედოფლის სახასო. აქ მოსახლე ვამაყაშვილისეული გლეხი ივანე ხმელაშვილი მარიამ დედოფალმა უბოძა თამაზა მაჩაბელს (1657. Qd—8711).— ამისი მამასახლისი მოვალა მოწმე იყო დათუნა შალულაშვილის ნასყიდობაზე დავის გარიგების წიგნისა ([1632—58]. Hd—2295). — აქ მოსახლე სახასო ყმები: ურია დანიელა ყეზერაშვილი, მისი ძმა მათვალა და შვილები ბერუკა, ელიგული და ლაზარა მარიამ დედოფალმა შესწირა სვეტიცხოველს და გაათარხნა (1664. ისტ. საბ., IV, გვ. 38—41). — მარიამ დედოფალმა გაათავისუფლა თბილელის ყმები: ტატუნაშვილები, ამირანიშვილები, ბეგლიკაშვილები და სარუხანა ნოდარაშვილი ქრცხილვანში ბაჟისაგან ([1634—80]. Sd—765). — ნაზარალიხანმა უბოძა პაპუნა ფანველიშვილს ქრცხილვანში ნონია მეტრეველი და გიორგი მეტრეველის შვილები მამულითურთ (1689.XI.16. ქ.-სპ. საბ., № 144). — გიორგი მეფემ უბოძა მამუკა უნაძეს ქრცხინვალის, ლევანის-ხევისა და აჩაბეთის მამასახლისობა (1695. Hd—4352). — გორისა და ქრცხილვანის მოურავი იყო ზემო ქართლის სარდალი იოთამ ამილახორი (1698.II.18. Ad—1059). — ქრცხილვანს ეწერა 8 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631). ნ. კრცხილოანი.

ქრცხილვანის-ჯეობა „სრულ ქრცხილვანის-ჯეობა" მოწმე იყო ბადურ მაჩაბლის მიერ [დომენტი] კათალიკოსისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1667.IX.20. ისტ. საბ., IV, გვ. 45).

ქსანი ქსანს ზევით მდებარე სოფლებში კაცის მოკვლისათვის მესამედი სისხლი სამთავისის ეკლესიას უნდა მირთმეოდა მიცვალებულის მოსახსენებლად (1459. Ad—559. 604). — ქსანზე მდებარე სოფელი ჰერედაჲ ააშენა შალვა ქვენიფნეველმა ერისთავმა და შესწირა ლარგვისის მონასტერს (1470. Qd— 9020). — ქსნის ერისთვის სახლის ძემ ევდემოზ მანგლელმა მთავარეპისკოპოსმა დაწერა გიორგი მეფის წყალობის წიგნი (1676.X.18. Hd—1706).— მაწია მწერლიშვილმა მიჰყიდა დავით ქსნის ერისთავს ვენახი (1690.V.10. Hd—2708). — დავით ქსნის ერისთავმა და მისმა ძმებმა უბოძეს სიმონ ჟურულს და მის ძმებს ერთი საკომლო მამული საფეჩეთში (1689.II.25. Hd—7227). — ქსანზე დავით ჟურულთან ინახებოდა 1655 წლის ფიცის წიგნი საცარგორის ხოდაბუნზე დავის შესახებ ([1688—1703]. Hd—837). — აშოთან

[მუხრანბატონისშვილმა] გაარიგა ქსნის ერისთავთან სამებელ მაყაშვილისა დ: ლუარსაბ [მაყაშვილის] დავა ([XVII]. Ad—612). — იასონ არაგვის ერისთავმა. თავის ძმასა და ძმისწულებთან ერთად, ერთგულების წიგნი მისცა ქსნის ერისთვის „სახლის ძეს“ ევდემოზ მანგლელ რატისშვილს ([XVII]. Hd—9346).

ქსნილისი საყაძისეული მთა, როსტომ მეფემ უბოძა გიორგი საყაძეს. რომლის საჭართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ იგი სახასო გახდა (1652. Hd—13956).

ქსნის კონი სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121).

ქუაბანი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121).

ქუაბევანი სოფელი, ბარათას ნაქონი, სიმონ მეფემ უბოძა სამკვიდროდ უაფლანბეგ ბარათაშვილს (1627.II.4, ქ.-სპ., საბ., № 25).

ქუ[ა]თერა (ქვათერა) ნასყიდა ხოსრუაშვილმა მიჰყიდა მანგლელ ტატიშვილს ქუ[ა]თერაში მიწა „ფალავანდიშვილის საზღურამდე და დირბულიმიწების პირში“ (1639. Hd—6170). — ქ ვ ა თ ე რ ა შ ი მცხოვრები დურმიშხან ფალავანხოსროშვილის ყმანი მამუკა და საადება გოგიაშვილი დურმიშხანის უშვილოდ გადასვლის შემდეგ გიორგი მეფემ უბოძა პაპუნა გოსტაშაბიშვილს (1688.V.4. Qd—2025).

ქუბიაური მამული გოშფარ [ჯავახიშვილს] როინთან გაყრისას ერგო ახალშენსა და ცხირეთში, გლეხებთან ერთად, ქუბიაური მამული ([XVII]. Qd—605).

ქუენადარი (ქვენადარი) ქუენადარის სახასო ციხე ეკუთვნოდა ზაქარია ჯავახიშვილს (1624. Hd—14693). — მახვილაძეებმა 2 დღის მიწა აჩუქეს ჰუაპიაშვილებს ქ ე ე ნ ა დ რ უ ლ ს მიწებში (1641. Ad—1770). — ქ ვ ე ნ ა დ რ ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ ლომიტა ღორიჭედაშვილის მიერ პაპია ჭყოპიაშვილისათვის მიცემული ჯალის ნასყიდობის წიგნისა (1645. Ad—1675-ა). — აქ ცხოვრობდა მოლაშქრით მოსაურე 4 კომლი ყმა, პატას 1 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო ქუენადრის და მელეს მცხოვრები ივანა ნანიტაშვილი, მამისბედა ვარამიშვილი მამულითურთ, ოსია გახაბაზდაშვილი. ნადირა ჭუპაპიაშვილი, მახარა; გოშფარს ერგო მზთისია ღორიჭედაშვილი, მისი განაყოფი მამისა, ესმინდაური მამული, ნარიმანა ნიკოლოზაშვილი მამულითურთ, დარისპანა ნანიტაშვილი. რამულითურთ ([XVII]. Qd—605).

ქუენა იკი (ქვენა იკვი?) ნ. კრკონი (მონასტერი).

ქუეშელის ციხე გოშფარ [ჯავახიშვილს] როინთან გაყრისას ერგო საუფროსოდ ქუეშელის ციხე ([XVII]. Qd—605).

ქუთათისი (ჭუთათისი, ჭუთათი) სამკვიდრებელი მეფეთა, აქ ბაგრატ IV-სთან ძოვიდნენ ძიჯრაძოელნი და ოპიზარნი სარჩელის გადასაწყვეტად ([1027—1072]. Sd—1201). — ქუთათისს მოვიდნენ მეფე ვახტანგ გორგასლის წინაშე ციცი ჭარულისძე და ბაქარ კოტრიძე სასისხლო დავის გასარჩევად

(1432. Sd -2886). — ქ უ თ ა ი ს ი მოხსენებულია გიორგი მეფის მიერ იოვანე ორალელის ძე კეიტასშვილისათვის მიცემულ სისხლის განახლების წიგნში (1461. Qd—9021). — ქ უ თ ა თ ე ლ ი . მთავარეპისკოპოსი იყო ბართლომე (1488.VII.1. Hd—8731). — ქუთათელი მოხსენებულია ალექსანდრე მეფის მიერ ვახტანგ და დავით ბაქრაძეებისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1501.VI.7. Hd—10150). — ქუთათელი მოხსენებულია ალექსანდრე მეფის მიერ ავთანდილ ხერხეულიძე-სარმანიშვილისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1503.I.30. Qd—6935). — ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს წ მ ი ნ დ ა ს ო ფ ი ო ს ტ ა ძ ა რ ი 6 კომლი კაცითურთ ქუთაისში ([1510—48]. Ad—2218). — ვასილიოს ქუთათელი მოწმე იყო გიორგი [იმერთა] მეფის მიერ წმიდა გოლგოთასათვის მიცემული გლეხების შეწირულობის წიგნისა (1619. Hd—11273). — გულბუდახ ჩხეტიძის ქალმა შესწირა კაცხის ეკლესიას 1 ვაჭარი ქუთათისს ალხაზისშვილი ზურაბაი ხახუტასა და გუდია-ყოფილს, გაიანეს საალაპედ ([1610—30], საისტ. კრებ., III, გვ. 51 — 52). — ქუთაისის [ეკლესიის] კანდელაკი სეხნია მოწმე იყო აფხაზთა კათალიკოსისა და სვიმონ ქუთათელის მიერ მამისთვალა ივანჯანისშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1664. ქუთ. მუზ., № 1843). — ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა თავის დიდებულს ქუთაისის მამასახლისობა ([1690—91]. Hd—15034). — ქალაქი, მალაქიონ აფხაზთა კათალიკოსმა დაუწესა გელათის საეპისკოპოსოს საზღვრები: რიონსა და ქ უ თ ა ი ს ქ ა ლ ა ქ ს ზეით ყვირილას გამოღმა კაც[ხ]ის საზღვრამდე, ხრეითს აქეთ მთამდე ოკრიბა. სრულიად ქუთათის ქალაქსა შიგან-გაღმა და გამოღმა ([XVII]. Sd—2895).

ქუთათის ციხე ყვარყვარესაგან თავდაღწეულმა კოსტანტინე მეფემ თავი ქუთათის ციხეს შეაფარა, სადაც ჯავახიშვილები შეჰყენენ და გაამაგრეს ([XV]. Hd—2007).

ქურთა ნადირა მეტრელმა მისცა აქ ალხაზ მაჩაბელს საწისქვილე (1691. Hd—11573).

ქურთაძ ააშენა შალვა ქვენიფნეველმა და შესწირა ლარგვისის მონასტერს (1470. Qd—9020).

ქუტირი (ქვიტირი) სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის წმიდა გიორგის საყდარს მის მიერ ნაყიდი ნიჟარაძისეული გლეხები ქუტირს (1545. Hd—11201). — ოტია ჩხეიძემ შესწირა გელათის კანდელაკს გიორგის ჯვარისადმი შეწირული ჯაფარიძენი ქ ვ ი ტ ი რ შ ი (1682. Sd—2931). — ალექსანდრე [იმერთა] მეფემ შესწირა გელათს თევდორაძეები ქუტირს ([XVII]. Sd—2900).

ქუჩა-მონასტერი ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543. IV.20. Hd—10375).

ქუჯეთი ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

ქცია მის გაღმა მდებარეობდა სოფელი ახლდია (1584. Qd—1604). — ქციის გაღმა მდებარეობდა სოფელი შოშილეთი (1635.IX.10. ჭ.-სპ. საბ., № 53). — სოფელი, ბარათაშვილების სამკვიდრო, დროებით წართმეული, შანავაზმა უბოძა ავთანდილ ბარათაშვილს (1664.VI.7. ჭ-სპ. საბ., № 129). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — კათალიკოსმა ეპისკოპოს სერაპიონ მანგლელს მისცა მთასა და ბარში გლეხები, განსაზღვრა ასე: ვაკე, ღორისთავი... ახალდაბა და მისი ზემო მხარე ქციასა და ალგეთს შუა ([XVII]. Qd—1605).

ღ

ღვლიძგა (ღალიძგა) ლევან დადიანმა შესწირა „ღავლიძგან ძუელი სასახლე" ბიქვინტის ღვთისმშობლის ეკლესიას (1628. Sd—2904). — „ბატონისაგან ღალიძგა სასახლე და ზემო რიონის პირი წყალიძგა პიქვინტისა ღვთისმშობლის საკათალიკოზოდ" იყო შეწირული ([XVII]. Hd—11226).

ღანიბანი ნასოფლარი, სხვა ნასოფლარებთან ერთად „დიდმა ბატონმა" ლუარსაბმა შესწირა სვეტიცხოველს. შემდეგ ეს მამულები ლუარსაბმა უბოძა სვეტიცხოვლის აზნაურს ზურაბ ელიოზისშვილს. აბაშ ბარათაშვილი შეედავა ზურაბს ნასოფლარების გამო. გამრიგეთა გადაწყვეტილებით, ღანიბანი, სხვა ნასოფლარებთან ერთად, დარჩა ზურაბს (1657. Qd—2153).

ღანუჯი (ღანუხი) ღ ა ნ უ ხ ს მოსახლე ოთხმოცი კომლი კაცის შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ლეონ [კახთა] მეფემ ანდერძან, რომაჭ, გოშფარ. ჯიმშერ ჩოლაყაშვილებს უბოძა ღანუჯს მოსახლე გლეხები (1568. Hd—14430). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ღანუჯის შეწირულება (1579. Sd—464). — სოფელი, წინათ ეკუთვნოდა გარსევან ანდრონიკესშვილ ბეჟანისშვილს. შემდეგ კი იგი ალექსანდრე [კახთა] მეფემ ყმებითურთ შესწირა სვეტიცხოველს (1601. ძველ. დოკ., I, № 13). — თეიმურაზ [კახთა] მეფემ ყორჩიბაშ თამაზ ამატაკისშვილს ადრე ნაწყალობევ სხვა მამულებთან ერთად დაუმტკიცა ღანუჯს მდებარე ასაფასეული სასახლე (1616. Hd—14679). — ღანუჯს[1] მდებარე საყანჩილეის მამული უბოძა ალექსანდრე [კახთა] მეფემ ნოდარ ჯორჯაძეს (1662. Qd—1787).

ღართა აქ ცხოვრობდა სახლთ-უბუცესის ერთი კომლი ყმა, დავით საყვარელიძისა — 3 კომლი ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — ნ. გძელა (1683. Hd—821).

ღარი პაპუნა [რაჭის] ერისთავმა უბოძა ხოსინას ღარში ნახევარი სასახლე და ორდინაძეები ([XVII]. Qd—7989).

ღედარეთი ღ ე დ ა რ ე ლ ი არის მოწმე შალვა საკაძის მიერ მოშიაშვილის შვილებისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Ad—1580).

ღელის-უბანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ღელის-უბანი (1579. Sd—464).

---

[1] ამავე დოკუმენტში სხვა ადგილზე წერია „ღ ა ნ უ ჯ ი".

ღვალოვნა (ღოლოვნა) სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს უბოძა ნასოფლარი ღვალოვნა (1561.VIII.7. Hd—8437). — ჯიგრაშენის ერთი საზღვარია „ქალაქური შარა რომ ღ ო ლ ო ვ ნ ი ს თავს გამოიარს" (1635.IX.10 ქ.-სპ. საბ., № 53).—ღოლოვნა იყო ერთი საზღვარი იმ მიწებისა, რომლებიც თავმგურგალელებთან დავის გარიგების წიგნით ნახიდურელთ დარჩათ (1654. ისტ. საბ., III, გვ. 35). — ნ. ნაკიდური (1654. Hd—4170). — ბარათაშვილების სამკვიდრო სოფელი ალგეთზე. შაჰნავაზმა ყლიჯყორჩ პაპუნა ბარათაშვილს უბოძა. ღოლოვნის ნაწილი ერთ ხანს გურგენ ყორხმაზაშვილს სჭერია. შაჰნავაზი დარწმუნდა რა ყორხმაზაშვილის ორგულობაში, ჩამოართვა მას ღოლოვნის ნაწილი გლეხებით და ისიც პაპუნა ბარათაშვილს უბოძა (1659 IV.28). შემდეგში შაჰნავაზმა, ამავე დოკუმენტზე მინაწერით, ღოლოვნის ს ა ხ ა ს ო რუ, წისქვილი და სხვა მიწებიც პაპუნა ბარათაშვილს უბოძა (1662.VI.12. Hd—4168). ღვალოვნისა და ქოთიშის მოურაობა მისცა პაპუნა გოსტაშაბიშვილმა თავის შვილიშვილ თინათიას და მის შვილებს (1700. Hd—7255). — ღოლოვნას მცხოვრები ხუცია და აბრამა ხარაზიშვილები მამულითურთ ერგო საუფროსოდ ამილღამბარს ([XVII]. Hd—13645. — მანგლისელმა ხიზანმა პაატასშვილმა ღოლოვნელ ბესუა შიოშვილთან ერთად პირობის წიგნი მისცა მდივან ოთარის შვილს ([XVII]. Hd—11026). —. ღოლოვნას მოსახლე კაცია სარქისაშვილი მამულით ხვდა ბეჟანს ([XVII]. Hd—13606). — ღოლოვნას მცხოვრები იესე ძაბილაშვილი მამულით ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13636).

ღვარები აქ მოსახლე ნინია დოქიძე ნაზარალიხანმა უბოძა გიორგი ალექსიშვილს (1700. Qd—814).

ღვარის ხიდაბუნი მდებარეობდა კავთისხევში — თელათუბანში. ჯერ [შაჰნავაზმა] და მერე გიორგი მეფემ ბეჟან ჩიჯავაძეს უბოძეს (1695. ს ო ც. დ ო ჯ.. I. № 132).

ღვედრეთი (ღუედრეთი) როსტომ მეფემ უბოძა იორამ მოურავიშვილს ღვედრეთს მცხოვრები მღთიბია უხმარაძე (1643. Hd—14478). ს ო ფ ე ლ. გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ ღვედრეთი ხახაბო იყო. შემდეგ როსტომ მეფემ თარხან იორამ მოურავისშვილ სააკაძეს უბოძა (1652. Hd—13956). ღ უ ე დ რ ე თ ს ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული ოთხი კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ღვევი სოფელი, სვიმონ მეფემ დოლენჯი თულაშვილს უბოძა (1570.VII.2. Qd—1673). — სოფელი, მოხსენებულია სვიმონ მეფის მიერ გიორგი თულაშვილისთვის მიცემულ წყალობის წიგნში (1581. Qd—1674). — აქ მდებარე ამოვარდნილ დოლენჯა თულაშვილისეული მამული უბოძა როსტომ მეფემ თოთარ თულაშვილს (1655. Qd—1678). — ნაზარალიხანმა უბოძა მანუჩარისეული ღვევს მოსახლე გლეხები მანუჩარის შვილიშვილებს: ასლანს, აეთანდილს და ქაიხოსროს. მანამდე, ცოტა ხანს, ღვევი თულაშვილების ხელში ყოფილა (1696. Sd—564).

ღვერეთი სოფელი, დავით დავითიშვილსა და მის ძმისწულ რამაზას შორის დავის გარიგების წიგნით ღვერეთი ხვდა დავით დავითიშვილს ([1632-1658]. Qd—8237).

ღვერთეთი აქ მოსახლე ჭიქინაძე ერგოთ ხოსია და თამაზა ტატიშვილებს ([1674][1]. Sd –607). — ღვერთეთს მოსახლე ქიტესა, იოვანე, გოდერძი და სრიკაძე შეტანილნი იყვნენ მოლაშქრეთა ნუსხაში ([XVII]. Hd—15044).

ღვერთული ზვარი ელისბარ და კოსტანტილე დავითისშვილებმა ღვერთული ზვარი შუაზე გაიყვეს ([1658—1675]. Hd—2289).

ღვეუბანი ნ. ღუეუბანი.

ღვივის ჯვარი ლუარსაბ მეფემ ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს უბოძა (1615. Ad—1410).

ღვითორი (ღუითორი) აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას ნასოფლარი ვაჭევი ავაზნის იქით, თელაწმინდიდგან ღვითორისაკენ ([1515—1535], საისტ. კრ., III, გე. 42—43).—გიორგი [იმერთა] მეფემ კაცხის მაცხოვრის მონასტერს შესწირა სოფელი ვაჭევი, რომლის საზღვარი ღ უ ი თ ო რ ი ს ა კ ე ნ იყო წიფელას ჯვარი (1615. ქუთ. მუზ., № 125).

ღვინჯრობი ჯიგრაშენის საზღვარი: „ღვინჯრობიდან შარა რომ შემოიელის ბრინჯის ხეს ზედა“ (1635.IX.10. ჭ.-სპ. საბ., № 53).

ღვწე ნ. ღუწე.

ღთების საყდარი ნ. მღთების საყდარი.

ღოდორა მდებარეობდა ზემო ქვეყანაში. არჩილ მეფემ სამოურაოდ ქაიხოსრო წერეთელს უბოძა (1691. Sd—515).

ღომარეთი „უშვილოდ გარდასულ“ მირიანისძის მამული ღომარეთში კოსტანტინე ბეფემ უბოძა ახალციხელ საღვინის მოლარეს ქავთარისძეს ([1479—1505]. Hd—1349). — საყდარი და ნასოფლარი, შედიოდა საღვინის მოლარის ქავთარასძისთვის ნაბოძებ მამულში ([XVI]. Hd—14695).

ღორიეთი დავით აბაშაშვილისაგან „მოსყიდული“. წილის გარეშე მიეცათ ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

ღორის-თავი იესე ბარათაშვილმა გუდარეხის მონასტერს შესწირა სოფელი ვერხვნალი მთელი თავისი საზღვრებით, გარდა მცორვეთისა და ღორის-თავის საბნავ-სათესისა (1630.III.4. Hd—14667-ა). — ჯალდამი „ძველთაგან“ ღორის-თავად იყო წოდებული. აქ მდებარე მამული შიოშ თამაზისშვილმა მიჰყიდა ვახტანგ ორბელიშვილს (1636.IX.26. Sd—2298). — როსტომ მეფემ ეზოძა თამაზ ბარათაშვილს ღორის-თავს მდებარე ბეჟან საყაძის „კერძი მამული, გოდერძისა და შერმაზანის მამის კერძს გარეთ“ (1643,III.12. Hd—14445). — როსტომ მეფემ უბოძა გოდერძი და შერმაზან საყაძის შვილებს მამულები სამღერეთს, ახალშენს და ღორისთავს. ეს მამულები ძალით ჰქონდა მითვისებული ბეჟან [საყაძეს] (1643. Sd—1941). — გუდარეხელნი და ღ ო რ ი ს თ ა ვ ე ლ ნ ი „ბედენზედ სამძღვარს“ ეცილებოდნენ ერთმანეთს. დავის გარიგების წიგნით ღორისთაველთ დარჩათ „რაც წყალი ნათლის მცემლის ქვეშეთ წირამთისკენ-დ[ა]იქცევს“ (1653.VI.10. Hd—14671). გუდარეხის მონასტერი ედავებოდა ღორისთაველებს მიწებზე. სამ ღორისთაველს: ზურაბა ფანიაშვილს, გოგია ხუცისშვილს და ჯიმშერა მექვაბიშვილს ხატზე უნდა დაე-

[1] დოკუმენტში მოცემულ თარიღს (1614 წ.) ეასწორებთ ე. თაყაიშვილის მიხედვით სძე., II, გე. 241. სქოლიო).

ცათ, რომ გუდარეხის ღვთისმშობელსა და გუდარეხელებს ამ ადგილებზე ელი არა ჰქონდათ (1660.V.13. Hd—830). — ღორის-თავი და ჯალდამი სამ წილად გაიყვეს საჰაკაძეებმა. აქედან, ამოვარდნილ გოდერძის კერძი ვახტანგ მდივანბეგმა იყიდა, დანარჩენი ორი წილი — შიოშ, იასე და დათუნა ბარათაშვილებმა. ამ უკანასკნელებმა ესეც სამად გაიყვეს და შიოშმა თავისი წილი ჯალში ვახტანგ მდივანბეგს მიჰყიდა (1678.VII.1. Hd—13106). — აქ მცხოვრები ხეჩიკა მამულით, მურადას საკმლო, გულაიზას მიწა, დავითას მამული, წატურა არაქელაშვილი, დავითა ხეჩიკაშვილი მამულით და კაკოზა ბაადურაშვილი მამულით გუგუნა ბარათაშვილმა ვახტანგ მდივანბეგს მიჰყიდა (1681. Hd—9674). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — ღორის-თავი მკვიდრი მამული იყო ამოწყვეტილი საყაძისა. როსტომ მეფემ ბარათაშვილ თამაზაშვილებს უბოძა, რომელთაგან ვახტანგ მდივანბეგის ცოლუოფილმა ერისთავის ასულმა თამარმა იყიდა. ამისი შვილები გიორგი მეფეს მიემხრნენ, რისთვისაც ნაზარალიხანმა მამულები ჩამოართვა. როცა ნაზარალიხანმა თამარის შვილები შემოირიგა და საბუთები გასინჯა, ნახა რომ მამულები არ წაირთმეოდა და კვლავ უბოძა (1700. Sd—2300, 2306). — ქვეხოჯსა და მორევს ზევით მიწა, რომლის საზღვარი იყო ღორისთავი წილად ხვდა ვახტანგ [ორბელიანს] ([XVII]. Sd—1936). ღორის-თავს ჩიკარიძის სახლისა, ვენახისა, ბაღისა და ღორის-თავის ჭალის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ყაფლანის სახლი, ბაღი, ვენახი, მარელის ბაღი და ჭალა, მდივანბეგის ნასადგომარი ჭალა ([XVII]. Sd—1936). — ერთი საზღვარი კათალიკოსის მიერ მანგლელ ეპისკოპოს სერაპიონისათვის ნაბოძები მამულისა ([XVII]. Qd—1605).

ღორისთული სამძღვარი რევაზ ზურაბიშვილსა და სულხან ყაფლანიშვილს შორის დავის გარიგებისას მხედველობაში იქნა მიღებული „ღორისთული და ვანური სამძღვრები“ (1700.VI.2. Hd—4164-დ).

ღორ-მაკე სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ღორჩი გიორგი [იმერთა] მეფემ სერაპიონ ცაგერელს უბოძა აქ მდებარე არჩუაძისეული მამული და აქვე მოსახლე ტატუა გიორგობიანი მამულით (1610. Qd—9085-ბ).

ღოღეთი როსტომ მეფემ სვეტიცხოველს შესწირა სამცხის აწყურიდან ღოღეთს გადმოსახლებული რუსი რუსიშვილი, სხვა აზნაურები და გლეხები (1645. სოც. დოკ.. I. № 38). — ნიკოლოზ კათალიკოსმა მცხეთის სამწყსოს შემატა (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — ერთი საზღვარი იყო გიორგი სამაღანაშვილის მიერ მანგლელ ათანასესთვის მისყიდული მიწისა ([XVII]. Hd—3240-ა).

ღრე ღ რ ე უ ლ ი კაცია არის მოწმე ზურაბ ყარჩიხაშვილის მიერ დმანელ ელისესთვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1698.XII.26. Ad—1075).

ღრმა-ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფელ ჯიმითისა, რომლის ერთი საზღვარი იყო ღრმა-ღელე (1579. Sd—464).

ღუარები აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 3 კომლი ყმა, პაპუნასა და პატას აქვე 2 კომლი ყმა ჰყავდათ ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ღუაროს ზვარი როსტომ მეფემ უწილოდ უბოძა გივი გურამიშვილს (1655. Hd—14859).

ღუბნი აღთაგ ხერხეულიძეს ღუბნიდან იმერლები გაუპარნენ (1622. Hd—2895).

ღუდა ნ. გძელა (1683. Hd—821).

ღუდი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, ემართა გამოსაღები (1459. Ad—559).

ღუერკი სოფელი, არსენ ჯყონდიდელ მწიგნობართ-უხუცესმა უბოძა შეუვალად მგელა აბულხოტრისძეს (1222—1245). საისტ. კრ., II, გვ. 74—78). — დავით მეფემ უწყალობა ზარდახნის-უხუცეს ვახტანგ თულაისძეს მისგანვე ბოძებული ღუერკის სანაცვლოდ იორი (1298. Hd—1331). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა მღვდელ ადამ ფონჯავიძეს ღუერკში ორი პარტახტი (1497. საისტ. მოამბ., II, გვ. 66—67).

ღუეუბანი (ღვეუბანი) სოფელი, როსტომ მეფემ ელიზბარ სოლაღაშვილს უბოძა (1657.V.13. Hd—1350-ა). — სოფელი, შაქნავაზმა ღ ვ ე უ ბ ა ნ ი სხვა სოფლებთან ერთად სამკვიდროდ დაუმტკიცა ზაალ, ქაიხოსრო და ელიზბარ სოლოღაშვილებს (1671. Sd—32).

ღუივის-ხევი აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 7 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ა).

ღუიმის მონასტერი ლუარსაბ მეფემ უბოძა ღუიმის მონასტრის წინამძღვრობა ფარემუზს (1612.X.20. Hd—5297).

ღუნდა აქ მდებარე ეკლესია სისხლის ფასად მისცა მეფე ვახტანგ გორგასალმა ბაქარ კოტრიძეს (1432. Sd—2886).

ღურო აქ ლევანს და გიორგის ჰყავდათ ყმები: ნადირა ჯიპაშვილი, ხაბაზი ოქროპირ ივანასშვილი, გოგინა სულიაჯანაშვილი, გიორგი თანდულასშვილი და სხვ. ([XVII]. Hd—14912-ი). — აქ ცხოვრობდნენ ყმები: გიორგი ფაცინაშვილი, თამაზა ვარდანასშვილი, ბერი სურმელაშვილი და სხვ. ([XVII]. Hd—14912-ა).

ღუწე (ღვწე) როსტომ მეფემ უბოძა იორამ მოურავიშვილს ღუწეს იორამის მამულში მოსახლე გოგია (1643. Hd—14478). — როსტომ მეფემ სოფელი ღ ვ წ ე თარხან მოურავისშვილ სააკაძეს უბოძა. გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ იგი სახასო იყო. (1652. Hd—13956).— ღუწეში ზურაბს და ბეჟანს ორი კომლი ყმა ჰყავდათ ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ღღაში აქ მოსახლე ერთი კაცი და ხახუტაი ჭითარქია ლევან დადიანმა „თაწმიდის ხარების ღვთისშობელს" შესწირა (1642. Qd—6740).

ყ

ყაბან-ბულახი ყორნავის საზღვარი იყო (1699. ქ.-სპ. საბ., № 165).

ყაბარდო ყაბარდოს მპყრობელად იხსენიება ვამეყ დადიანი მისსავე ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნში ([XVII]. Sd—2925).

ყაბლა [ბარათაშვილების] გაყრისას თურჩისტანიშვილი დაობდა ჯოშვილზე: იგი ჩემი მამა-პაპეული ყმა იყო და გიორგი მეფის დროს ყაბლაში ყოფნისას მამაჩემს ახლდაო (1523. Ad—1299-ა).

ყაზანური მამული გოშფარ [ჯავახიშვილს] როინთან გაყრისას ერგო სკრაში ყაზანურ მამულზე მცხოვრები გიორგი ([XVII]. Qd—605).

ყაიყული გიორგი მეფემ უბოძა ზაალ დოლენჯიშვილს ყაიყულის მებაღეობა (1686. Hd—1988). — ნაზარალიხანმა ყაიყულში სოფ. ბეთლემი [სამოურაოდ] უბოძა ნასრიაშვილებს, შემდეგ რაღაც დანაშაულისათვის მათ ჩამოართვა იგი და ცოტა ხნით ახმადა მამად-ოღლის მისცა; ბოლოს ბეთლემის მოურაობა იასე დოლენჯიშვილს უწყალობა, ხოლო ახმადას სამაგიეროდ უბოძა ორთოლე ყაიყულის ზემოთ (1692.XI.13. Hd—6042).

ყაიშლაღი (ყაიშლაღი, ყიშლაღი) ნასოფლარი ქვეშის-ხევში, ლუარსაბ მეფემ უბოძა იგი გიორგი საყაძეს (1609. Hd—13991). ლუარსაბ მეფემ უბოძა ქალაქის ამირთ-ამირას გიორგი [საყაძეს] ქვეშის-ხევს მდებარე ნასოფლარი ყ ა ი შ ლ ა ღ ი (1610.IX.24. Hd—2283). — როსტომ მეფემ უბოძა სომხითს მდებარე სოფ. ყიშლაღი იორამ საყაძეს (გ. საყაძის „გადავარდნის" შემდეგ ეს სოფელი სახასო გახდა) (1652. Hd—13956).

ყალანდური მიწა რამაზა ყორღანიანთ ქემაროზაშვილმა მიჰყიდა თავისი განაყოფის დავითის შვილს ზალს და მის ძეს როსტომს მათი მიწის გვერდით მდებარე ყალანდური მიწა — 4 დღისა (1658. Qd—2024).

ყამიში ტაშირზე ყოშა-ქილისა, შიშტეფა, ყამიში, ხანზა და საფიელა წილად ნვდა ყაფლან [ორბელიანს] აკოფას სოფლის, ელისბარის სოფლის, ხუტის სოფლისა და თასილბითმაზის ფარდად ([XVII]. Sd—1922. 1936).

ყანდაურიანი ლეკების წინააღმდეგ ომში გაწეული სამსახურისათვის თეიმურაზ მეფემ უბოძა იესე ჯორჯაძეს ალმატლისშვილის ნაოხარი მამული და ბაგრატისშვილის ქონება ყანდაურიანში (1662. Qd—1787).

ყანლუჯას გზა „ყანლუჯას გზა რომ შეიარს, იმას ზედან... საბარათაშვილო არის" (1657. ქ.-სპ. საბ., № 115).

ყანობი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ყანჩეთი შედიოდა სამთაველის სამწყსოში. მართებდა სამთაისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ყარაბაღი (ყარაბახი) როსტომ მეფის ძმამ შემოუთვალა ყაფლან ბარათაშვილს, დასაზამთრებლად ყარაბაღს ჩამოვალო ([1632—58]. Hd—14654). — ყარაბაღის ბეგლარბეგი იყო ქალბალიხან (1696.III.24. Ad—1751). — ყარაბაღის ბეგლარბეგი მონაწილეობდა არღუთაშვილსა და რევაზბეგს შორის მამულზე დავის გარიგებაში (1693.X. Hd—4159-ვ). — ყ ა რ ა ბ ა ხ ი ს ბეგლარბეგმა აბაზყულიხანმა [სამოურაოდ] უბოძა თუშთ მოურავი მამუკა ჩოლაყაშვილსა და დურმიშხან სახლთ-უხუცესს სოფლები: კაკაბეთი, რამზიანი, ალვანი და არხი გაღმა-გამოღმა საზღვრებით (1693.VII.5. Qd—6719). — მისი ბეგლარბეგი იყო აბაზყულიხან (1693. ქ.-სპ. საბ., № 152. 154). მისი ბეგლარბეგი იყო ქალბალიხან (1698. ქ.-სპ. საბ., № 162, 1699. იქვე. № 165).

უარაი როსტომ მეფე უარაიში ნადირობისას დაშავდა (1642. Hd--14663).— ერეკლე მეფემ უბოძა ლაზარე ქუმსიაშვილს უარაის მეყორულობა (1676. Qd—7873).

უარაიანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა აკურის მონასტერს ბარხუდანასეული მამული „კემურს უარაიანში" (1597. Ad—327).

უარნავი ნაზარალიხანი დაპპირდა ნოდარ ჯორჯაძეს უარნავის საყმოს, თუ უაენი მას კახეთს უბოძებდა (1693. Sd—15). — ნ. ყორნავი.

უარაღაჩი აქ მცხოვრები ჯვარისაშვილი მამულითურთ და ფარეში ზურაბი ერგნენ ავთანდილსა და ერასტის ([XVII]. Qd—1046).

უარაღაჯი ლუარსაბ მეფემ დაუმტკიცა იესე ჯავახიშვილს უარაღაჯში მისი სამკვიდრო მამულის ფლობა და უბოძა იქვე მისივე განაყოფის, გამრეკელის მამული (1608.IX.7. Hd—14700). — უარაღაჯელი იყო ნიკოლოზ კვირიკასშვილი (1609. Hd—1656). — ფარეშთ-უხუცესი პატა [ჯავახიშვილი] უ ა რ ა ღ ა ჯ ე ლ ე ბ ს მამულს ედავებოდა. თუ როინ მდივანბეგის აზნაურშვილი და 2 უარაღაჯელი თავკაცი დაიფიცებდა, რომ სადაო მამული უარაღაჯისაა, პატას აღარ უნდა ედავა, თუ არა და იგი შუაზე უნდა გაეყოთ ([1632—58]. Hd--11570). — აქ ცხოვრობდა 17 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ). — სოფელი, აქ ნიკოლოზსა და ბეჟანს ჰყავდათ 11 კომლი ყმა (1680. Qd—610). — ხანდაკსა და უარაღაჯს შუა მდებარე ბეჟიტას[შვილის] ერთი დღის მიწა ესტატე გულუასშვილმა ვალში მასცა ედილასშვილებს (1693.XII. Hd—10917). — აქაური დათუნა ასლანაშვილი მამულითურთ საუფროსოდ აიღო როინ [ჯავახიშვილმა] ([XVII]. Hd—14979).

უარაღაჯული რუ ქაიხოსრო ჯავახიშვილის ყმამ სიონელმა თედიამ, თავისი ბატონის თანხმობით, მიჰყიდა პაპია ჭყოპი[ა]შვილს 3 დღის მიწა საზღვრებით: ქვემოთ -- უარ[ა]ღაჯულ რუმდე, ზემოთ—დაურს რუმდე, თავი—ვარსიაშვილის მიწამდე, ბოლო — ბეგამდე (1633. Ad—1802). — ლიპუაშვილებმა მიჰყიდეს ჭყოპიაშვილებს 2 დღის მიწა უარაღაჯულ რუზე საზღვრებით: ქვევით — შარამდე, ზევით — რუმდე ([XVII]. Ad—1644-ვ). -- ნ. ნოსტე (1697.VI.15. Hd—8577).

უარი გრიგოლმა უბრძანა უარის მეყორულებს გაბაშვილებს: მეითრის ჯოგი სადაც დგას, იქვე დატოვეთ, ხოლო თუ სხვისი ერიოს, იმას ნუ დააყენებთო ([XVII]. Hd — 14956).

ურის-ხევი ნ. გრძელას მიწა (1683. Hd—821).

უარციხი ნ. გძელას მიწა (1683. Hd—821).

უელეთი აქ ციცის 2 სახასო ყმა ჰყავდა, ალიბეგისშვილს — 3 კომლი ([1658--75]. Hd—14534). — ედიშერ [ციციშვილს] პაპუნასთან გაყრისას ერგო სუცესი ღომიტაშვილი მამულითურთ უელეთში ([XVII]. Hd—1636).

უელქცეული ნიკოლოზ კათალიკოსმა უბოძა ვახტანგ ბატონიშვილს ეკლესიის ქონება უელქცეულში (1574.III. Sd—2870).

უენის-წყალი ალექსანდრე [იმერთა] მეფემ უბოძა ძირმკვიდრ აზნაურს ეზია იოსელიანს სოფელ გუშტიბის მიწა-წყალი გუბის-წყლის გამოღმა, გუბის ფონს ზევით. უენის-წყლის შესართავამდის ჩუნეშის სასაზღვროს დაბლა (1647.XII. 6. Hd—10147).

ყვავილი ყ ვ ა ვ ი ლ ე ლ ე ბ ს უნდა დაემუშავებინათ ჯაბანაშვილის ვენახის ერთი კვალი და აქედან 6 კოკა ღვინო ჩაესხათ გიორგი არაგვის ერისთვის მიერ ანანურის საყდარში ჩადგმულ ქოცობებში; ყვავილში აკრეფილი 4 კოდი პური ანანურის დეკანოზისათვის უნდა მიერთმია მოხელეს (1647.I.28. Ad—20-ა). — ყვავილელებს: სარემაულს, ინავარაშვილის სახლს, ბიზანას სახლს, მისი განაყოფის ბერას სახლს, როსება კაკაბაშვილის სახლს, მისი განაყოფის სახლს, ბიჭიკა რაიძულის სახლს, მეზურის სახლს, სურმამაშვილს, ყავილაძეს. კაიმიშვილს — საწელიწდისთაო პურისა და ღვინის ნაცვლად ანანურის დეკანოზისათვის უნდა მიერთმიათ გამოსაღები ([XVII]. Ad—20-ბ).

ყველდაბა შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთაესისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ყვირილა ბაგრატ მეფემ უბოძა არჯევან ავშანდაძეს სატყისმცველოდ ადგილი სკანდასა და გოგს დაღმა — იქ, სადაც ძევრის-წყალი შეერთვოდა ყვირილას (1452. Sd—521). — მალაქიონ აფხაზთა კათალიკოსმა გელათის საეპისკოპოსოს დაუწესა სამწყსოდ: რიონსა და ჭუთაისის ჭალაჭს „ზეით", ყვირილას „გამოღმა" კაც[ხ]ის ზღვრამდე, ხრეითს „აქეთ" რაჭის მთამდე ([XVII]. Sd—2895).

ყიზილ-ზიარათი ტაშირზე, ყიზილ-ზიარათის მამასახლისი იყო ევანეზ (1684.IV.1. სოც. დოკ., I, № 106).

ყინცუისი (ყინცვისი) აქ ცხოვრობდნენ წმიდა ნიკოლოზის ყმები: კაკაშვილი, უთნიაშვილი, სულეიმანასშვილი, საბელაშვილი, ზურაბასშვილი, ნასყიდასშვილი, მწვარაშვილი (1659.V.18. Ad—790). — **ყ ი ნ ც ვ ი ს ი** იხსენიება დომენტი კათალიკოსის მიერ ზაზა და ზაალ ციციშვილებისათვის მიცემულ დავის გადაწყვეტილების წიგნში (1671. Ad—1337). — ყინცვისში პატას 1 კომლი ყმა ჰყავდა, ბერუას — 2; აქ ცხოვრობდა 2 კომლი სახასო ყმა ბანკანაშვილი და ზაქარია, აგრეთვე კოდის პურის თარხანი ბერუა და 5 კომლი საყდრის ყმა ([1658—75]. Hd—14534-ა). — აქ სახლთ-უხუცესს 1 კომლი ყმა ჰყავდა, ყაიაბეგს —2, ბადურს — 1· [1658—75]. Hd—14534-ბ). — ნაზარალიხანმა გაუთარხნა ლევან ციციშვილს გუბიშვილი, მერაბ ციციშვილს — ხუროშვილი ყინცვისში (1699. Ad—1222). — ედიშერ და პაპუნა [ციციშვილებმა] გაყრისას ერთმანეთს შორის გაიყვეს ყინცვისში მცხოვრებელი ყმები: ხუცისშვილი, ვარსიმაშვილი, უთნიაშვილი, წვარასშვილი, კაკაშვილი, ზურაბაშვილი — მათი მამულებითურთ, აგრეთვე ყინცვისში მდებარე „წმინდის ნიკოლოზის მარანი, ნამარნალი ჭუევრებით ორისა მარნისა", მთავარეპისკოპოსის ნაყიდი ზვარი, სეეტიცხოვლის მეოთხედი [მამული]. ([XVII]. Hd—1636).

ყოშლაღი ნ. ყაიშლაღი.

ყ[ა]ნდახი ნ. ხახული (1594. ისტ. საბ., II, გვ. 59).

ყობელეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთაესისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ყოთურ-ბულახი იყო ყორნაეის საზღვარი (1699. ჭ.-სპ. საბ., № 165).

ყორანთა სოფელი ორბეთის ძირას, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სეეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).—ნ. მცხეთა (სეეტიცხოველი) (1587. ისტ. საბ., II, გვ. 55—57). — ნიკოლოზ კათალიკოსმა სოფელი გააშენა ყორანთის თავს. ხოლო ყორანთაში მარანი დადგა (1691.VII.25. ისტ.

საბ., IV, გვ. 64). — იოანე კათალიკოსმა დიასამიძემ სვეტიცხოველის დეკანოზს ფოცხვარას ამასალად უბოძა მეღალობა ველკეთილისა სომხითში ყორანთას ქვეით (1692.IX. Qd—9087). — ყორანთას ეწერა 15 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad. -1631).

ყორე ქეთია კობიაშვილმა მიჰყიდა ოთია შაბურიშვილს ნასყიდა წულუკიძის ნაქონი მამული იფნი და „ყორეს აქათ“ (1697. Sd—761).

ყორნავი ქალბალიხანმა დაუმტკიცა ენისლის მოურავს მერაბს მისი სამკვიდრო მამული ყორნავის სახნავი საზღვრებით: შირაქი, ყოთურბულახი, მუფარაქი. ზილიჩა. აბარა. ბაბარი. ჩაი-ბულახი, ყაბან-ბულახი (1699. ქ.-სპ. საბ., № 165). — ნ. ყარნავი.

ყორღანა ციხე. ნაზარალიხანმა უბოძა ვახტანგ ბარათაშვილს ყორღანას ციხის გლეხები ბაინდურას შვილები მამულებითურთ (1693.X.25. სოც. დოკ., I, № 129).

ყოშა-გემრი ლევან ბატონიშვილმა უბოძა იესე გერმანოზიშვილს თრიალეთის ახალქალაქისა. ტამალისა და ყოშა-გემრის მოურაობა (1688.III.12. Hd— 14306).

ყოშა-ქილისა ბარათაშვილების სამკვიდრო ტაშირში, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს (1657. ქ.-სპ. საბ., № 115). — ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა ტაშირზე ყოშა-ქილისა, შიშტეფა, ყამიში, ხანზა და საფიელა ფარდად აკოფას სოფლის. ელისბარის სოფლის, ბუცის სოფლისა და თასილბითმაზისა ([XVII]. Sd—1922, 1936).

ყოჩის მიწა ზემო ბოლნელმა არაზა სტეფანაშვილმა მიჰყიდა დოლმაზა შანშაშვილს 4 დღის ყოჩის მიწა საზღვრებში: ზემო მხარეს — გალუაშვილის მიწა, ქვემოთ — შენაზარას მიწა (1681.V. Hd—1781). — ყოჩის მიწა ძველიდან ბოლნისის სიონისა იყო. შემდეგ, ნიკოლოზ ბოლნელის დროს სამეფო გახდა, ბოლოს კი დოლმაზა შანშაშვილმა იყიდა იგი ტერტერაშვილისაგან (1685. Hd—14178).

ყრიხი როინისაშვილს აქ 4 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd—14534).

ყრისის-ხევი ფალებსა, თაგოეთსა და ყრისის-ხევში ომანას 5 კომლი ყმა ჰყავდა, ყრისის-ხევს ონენა ქურდეევანიძეს — 2 კომლი, იქვე ოთარა თუთუშიძეს და აფრასიობს თვითეულს — ამდენივე კომლი ყმა. ყრისის-ხევსა და სხვა სოფლებში მაჭუკას 5 კომლი ყმა ჰყავდა. აქ ცხოვრობდა დავით საყვარელიძის 2 კომლი ყმა. როინისაშვილისა 2 კომლი ([1658—75]. Hd—14534).

ყრცისი აქ ამოანს 5 კომლი ყმა ჰყავდა, ჩაკას — 3 კომლი, ფარემუზს — 4 კომლი. ოთანა უზნაძეს — 1 ([1658—75]. Hd—14534).

ყუავის-თავი საწინამძღვრო მონასტერი ხორაუგში, ალექსანდრე [კახთა] ჰეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ყუდრო თეიმურაზ [კახთა] მეფემ ლეკების წინააღმდეგ ომში გაწეული სამსახურისათვის იესე ჯორჯაძეს უბოძა ალმატლისშვილის ნაოხარი მამული ყუდრო (1662. Qd—1787).

ყუდრუ როსტომ მეფემ თავის მესტუმრეს დონდარა გესბისშვილს უბოძა მის მამა-პაპათათვის ლუარსაბ და სვიმონ მეფეთაგან ნაწყალობევი სომხითის ნასოფლარები ყუდრუ და შიხჩობანი, აგრეთვე შულავერში ნასყიდი ერთი ვენახი (1651. Hd—14673).

უუზანა ნასოფლარი სომხითში, სიმონ მეფემ მისი წყალობა განუახლა ზურაბ ყაფარაშვილს (1636. ქ.-სპ. საბ., № 57). -- როსტომ მეფემ განუახლა მისი წყალობა ყაფარას (1641. ქ.-სპ. საბ.. № 71).

უუინჩილის-ჯევი ნ. ბედენი (1652. Sd—20).

უურისავალი შედიოდა დაუთ-ხანის საბრძანებელში. აქ პქონდა საჯმარი სადგერის წმინდა გიორგის ეკლესიას ([1569—78]. Sd—479).

უურისუბანი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII.Hd—8712). ნიკოლოზ კათოლიკოსმა და მცხეთის-შვილებმა ვახტანგ ბატონიშვილს, სიმონ მეფისა და ნესტან-დარეჯან დედოფლის ნებართვით, მისცეს უურისუბნის სანაცვლოდ სოფელი ვირშა მონასტრით და შესავლით ისე, როგორც იგი სვეტიცხოველს შესწირვია: წიას-წყალს — ერისთვის შეწირული არჩუაძეები, ერეთს — გილაშვილი მამულით, ზაკეი, ქორდი, ტრძნისი, ცოტა მეღვრეკისი და სათიკარი, მეღვრეკისში ვენახი და ახალდაბას ვარდან ფალავანდიშვილის შემოწირული საგლეხოები (1574.III.14. Ad—1654. Sd- -2870). -- [დოროთეოს] კათალიკოსმა გაუცვალა ვახტანგ ბატონიშვილს სოფლები ქორდი, ზაკეი და სათიხარი უურისუბანზე, რომელიც ადრე სვეტიცხოველს ეკუთვნოდა (1595.IV.30. Sd—2871).

უურის-ხევი ნასოფლარი, შედიოდა საგურმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

უუფნიასეული ბაში ლევან დადიანმა იგი მამამისის მანუჩარის სულის მოსახსენებლად შესწირა თაწმიდის ხარების ღვთისმშობელს (1642. Qd—6740).

შ

შაბადინი „შაბადინი, ჭალა და მინდორი ენჩოს დაბლა. რაც თავით ბოლომდისინ შაბადინის სამძღვარი გაიტანდეს, გამოღმა მტკუარი და სანაო და ზემოთ რუის გამოსაღები სათავე" -- არჩილ მეფემ შესწირა სვეტიცხოველს, ისე რომ შაბადინი „საკახეთო" იყო და კახეთისა დარჩა, ბოლო სამეფო გამოსაღებისგან განთავისუფლებულ იქნა (1670.IV.15. ისტ. საბ., IV. გვ. 49). — ჭალა-ბალიხანში განუახლა სვეტიცხოველს შაბადინის [მამული] ჭალა-მინდორ-ფაგაბაშით, თუთუნ-ჯაგით, ნავის ბაჟით (1696.III.24. Ad—1751).

შაბადინის რუ როსტომ მეფემ უბოძა ალი-აღას (1653.XII.6. ქ.-სპ. საბ., № 103).

შადიკა სოფელი, აქ ცხოვრობდნენ მიტიჩაშვილები, ამირაშვილები, უჯანაშვილები. რომელთა წყალობაც როსტომ მეფემ თამაზ წოვანშაშვილს განუახლა (1658. ქ.-სპ. საბ.. № 120).

შავარდნის კლდე გორგაძეებმა და რთველიაშვილებმა გიორგის და მის ძმებს მიჰყიდეს ჰავჰავისში შავარდნის კლდის თავს დუბე-ვრცლა ([XVII]. Hd.- 1446).

შავები თევდორე მღვდელმა საგინასა და მღთისასაგან იყიდა მიწა საზღვრებით: შავებიდან ზემო გზა რომ გამოდის, თევდორეს მიწის საზღვრიდან პირამდა რომ გზა გადის პატარა ღელემდე ([XVII]. Hd—1639-ე). — ნ. წვერწვერა ([XVII]. Hd—1639-გ).

შავი ტყე კაკაბელები და შიქლიანელები მიწა-წყალზე დაობდნენ. მათი დავა გაარიგა ნიკოლოზ ამბა-ალავერდელმა ჩოლაყაშვილმა. სადაო ადგილის ერთ-ერთ საზღვრად დაიდო „შავის-ტყის მაღალი წვერი“, რომლის იქით ტყე საერთო დარჩა (1700.XI. სოც. დოკ., I, № 525).

შავნი სიმონ მეფემ მერაბ ყორღანაშვილს უბოძა შავნი, ფიცხისი, მოქრისი ისე, როგორც არდაზიანდს ჰქონდა. შემდეგ როსტომ მეფემაც დაუმტკიცა მას ეს წყალობა (1634.VI.27. სოც. დოკ., I, № 30). — გიორგი და პაპუნა არდაზიანდისშვილები ლისიდან აიყარნენ და ხიზნად მივიდნენ შავნში და შავნი. მოქრისი და ფიცხისი სიმონ მეფისგან იშოვნეს. შავნზე შემდეგ მათ შეეცილნენ იოვანე და ამილღამბარ გოშტაშაბიშვილები, რომელთაგან ხელახლა იყიდეს იგი. ამ არდაზიანდისშვილების შვილი შიოშ ლუარსაბ მეფეს გაჰყვა და მისი მამული ობერი დარჩა, რომელიც ბოლოს [სიმონ] მეფემ მერაბ ყორღანაშვილს უბოძა (1635. XI.14. ისტ. საბ., IV, გვ. 21—22). — სიმონ მეფემ დაუმტკიცა იოვანე სოლაღაშვილს მისი წილი მამული ქალაქის პირში და ვერის-ხევში სოფელი შავნი (1581.III.16. ქ.-სპ. საბ., № 4).

შავქეთ-ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო შავქეთ-ღელე (1579. Sd—464).

შავშეთი ზაზა ფანასკერტელმა და მისმა შვილებმა: ქაიხოსრომ, სიაოშმა, მერაბმა და ზაქარიამ დათმეს თავიანთი მკვიდრი მამული შავშეთში და სამსახურად მოვიდნენ კოსტანტინე მეფესთან (1467. საისტ. მოამ., II, 1924. გვ. 30—31).

შავშეთის-წყალი ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა სარჩელი ოპიზართა და მიჯნა-ძროელთა შორის „ტყესა და ზღვარზე დგისა და დაამტკიცა საცილობელი ადგილის სამხრეთის საზღვრად სამწყრის-წყალი შავშეთის-წყლის შესართავამდე, ტიხარის კლდე და ქედ-ქედი ([1027—1072]. Sd—1201).

შავწყალი თეიმურაზ მეფემ დაუმტკიცა ბაქარ ბაქრაძეს სოფელი ჩორდი. რომლის სამხრეთი საზღვარი იყო შავწყლისა და თეთრი წყლის შესართავი (1492. Sd—3035). — შავწყლის პირას მდებარეობდა სოფელი წითელანი (1579. Sd—464). — მდინარე, შოშია ბერაძემ მიჰყიდა სახლთუხუცეს რევაზ (მაღალაძეს) „შავწყალს გაღმა ნაფარეხავი ციციშვილის შავწყალ-ხევამდე, იქით რუსხმულამდე“ (1689. Qd—1345).

შავწყალ-ხევი ნ. შავწყალი (1689. Qd—1345).

შავწყაროს-ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს სამგორში მიწა, რომლის საზღვარი იყო შავწყაროს-ღელე (1579. Sd—464).

შალვაური აქ მოსახლე 8 კომლი კაცის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

შალიკურის მიწა ზაალ სააკაძემ მიჰყიდა ზურაბ სააკაძეს საჯვარეს წინა ვენახი შალიკურის მიწამდე (1688.VII.20. Sd—548).

შანშიანი სოფელი, მისი შეწირულება გახუაბლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

შაორი მარიამობის დღეს შაორზე ყოფნისას გიორგი კახაბერიძემ, ნასყიდა წულუკიძემ და ივანე თულიშვილმა უღალატეს მირიან ჭარელის ძე ერისთავს. რომელსაც კახაბერიძემ 2 ისარი ესროლა, მაგრამ ააცილა. ერისთავს მისი აზნაურები გიორგი და ახსართან შერაზანიშვილები წამოეშველნენ და იქვე მოკლეს ივანე თულიშვილი და ნასყიდა წულუკიძე, ხოლო გიორგი კახაბერიძე. [ნიკორწმიდის] საყდარს შეფარებული, დაიჭირეს ([XV]. ქუთ. მუზ., № 1024).

შარაფხანა ნასოფლარი, [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1559. Ad—1572).

შაშვის წყარო აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას „შაშვის წყაროს აქეთ ურბევისა" და მის მცხოვრებლებს დაუწესა გამოსაღები ([1515—35]. საისტ. კრებ., III, გვ. 43).

შაშიანთ-თავი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული მთავარ-ანგელოზთა საყდარი შაშიანთ-თავში (1579. Sd—464). — შაშიანთ-თავი იყო მამუჩი ჭავჭავაძისა და წინა საგარეჯოელთა შორის სადაო მიწების ერთი საზღვარი (1654.I-2. ისტ. საბ., IV, გვ. 34—35).— შაშიანთ-თავში ფიცი დადეს მოფიცრებმა ეაჩნაძესა, ჭავჭავაძესა, ჯანდიერიშვილსა და კათალიკოსს შორის სამამულო დავის გარიგების გამო; იგი იყო ერთ-ერთი საზღვარი კათალიკოსის სახასო სოფლების ბუშატისა და ვანთისა (1654. Hd—8389).

შემოქმედი იაკობ შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი იყო მოწმე ქაიხოსრო გურიელის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული ბაილეთისა და ჩაიხედენას შეწირულობის განახლების წიგნისა ([1647—58]. Hd—10274-ა).

შენბუანი გასაყოფი დარჩა ყაფლან და ვახტანგ [ორბელიანებს] შორის ([XVII]. Sd—1936).—ნ. შუნბუანი.

შენოანთ-უბანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული შენოანთ-უბანი (1579. Sd—464).

შერთული ბეჟან ფალვენიშვილის მამული, რომელიც ქურდობისათვის ნაზარალიხანმა საუპატიოდ ჩამოართვა მის მეპატრონეს 4 კომლ ყმასთან ერთად და სახლთ-უხუცეს პაპუა ბებურიშვილს უბოძა. ამ უკანასკნელმა კი, იოანე კათალიკოსის შუამდგომლობით, შერთული პაატა ფალვენიშვილს უბოძა (1698. Hd—13836).

შეუბანი ნ. მცხეთა ([1270—72]. საისტ. მოამ., II, 1945, გვ. 5—6).

შეხუეტილა ნასოფლარი, „დიდმა ბატონმა" ლუარსაბმა შესწირა სვეტიცხოველს, სხვა ნასოფლარებთან ერთად, შემდეგ ეს ნასოფლარები მან უბოძა სვეტიცხოველის აზნაურს ზურაბ ელიოზიშვილს, რომელსაც აბაშ ბარათაშვილი შეედავა მათზე. გარიგების შედეგად, შეხუეტილა და სხვა ნასოფლარები ზურაბს დარჩა (1657. Qd—2153).

შველიეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. დგიმსა, ლოგობეთსა და მორღანთან ერთად მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

შთონეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის ჯამოსაღები (1459. Ad—559, 604).

შიბლიანი აბაზყულიხანმა უბოძა [ენისელთ] მოურავს აბელ [ენდრონიკაშვილს] მისი განაყოფის ლუარსაბის კერძი მამული — ნახევარი შიბლიანი (1693, ქ.-სპ. საბ., № 152). — სოფელი, მისი წყალობა აბელ ენდრონიკაშვილისადმი დამტკიცა ქალბალიხანმა (1695. ქ.-სპ. საბ., № 157). — კაკაბელნი და შ ი ბ ლ ი ა ნ ე ლ ნ ი მიწა-წყალზე დაობდნენ. გარიგების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება: „იორზედ სახლთ-ხუცის ობა რომ არის. ყოჯას პირდაპირ გზა რომ გამოვა, ის ჭალა შიბლიანელთ საწისქვილოთ" ერგოთ, ხოლო „წისქვილებს ქარდა ჭალა სამუშოთ კაკაბელთ" დარჩათ. „იმას ქვემოთ ზარგრის ობას პირდაპირ პატარა თუთა არის — ერთი სამძღვარი ის არის. იმის სწორათ პირდაპირ დიდი გორა არის, იმაში ერთი პატარა თუთა არის — ერთი სამძღვარი ის არის. იმის სწორათ სამზირლის წვერის სწორათ რომ შავის-ტყის მაღალი წვერი რომ წამოადგება — ერთი სამძღვარი ის არის. იმას იქით ტყე სწორათ ჭამონ, საერთოდ იყოს". ამას გარდა, თუ შიბლიანელები არ დაუშლიან კაკაბელებს საძოვარ ბალახს, მაშინ არც კაკაბელები დაუშერენ მათ წყალს. შიბლიანელი იყო თამაზა ქემხიშვილი (1700.XI. სოც. დოკ., I, № 525).

შიდარი იქ მცხოვრებმა ანდრია ავგაროზისძემ აღაპი გაუჩინა გულშარ დედოფალს ქვათახევის ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიაში (1488. ისტ. საბ., II, გვ. 23).

შილდა აქ მდებარე ვარცანის მონასტრის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — სვეტიცხოველის სამკვიდრო მამულები, სოფლები ვეძისხევი და ფაშაანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ, ბიზნობის კვალად ორიოდე წლით მისცა ყარა-ასლანს. ნიკოლოზ კათალიკოსის ჩარევის შემდეგ მეფემ სვეტიცხოველს დაუბრუნა მისი სამკვიდრო მამულები. მას შეეძლო თავისი მოურავი და ქადაგი დაეყენებინა ვეძისხევსა და ფაშაანში, აეღო საბალახო, აბრეშუში და დიდი სათათრო საურავი. მეფემ კი თავისთვის დაიტოვა ლაშქარ-ნადირობის ბეგარა და „მონასტერი ვარცანისა, სასახლე და ცხე უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშავობდენ". ამასთანავე, რაც ვეძისხევსა და ფაშაანიდან დავით-გარეჯას ერგებოდა, არ უნდა დაკლებოდა, შ ი ლ დ ე ლ თ, ნეკრესელთ და გრემელთ კი მათზე საცილობლად ხელი არ მიუწვდებოდათ ([1574—1605]. Ad—614, 786). — შილდელები ცეცხლასშვილი, ტურიკასშვილი და გოგიასშვილი შანაზარმა (არჩილმა) რომაქ ჩოლაყაშვილს უბოძა (1665. Hd—2244). — კახეთში უმეფობის დროს ქაიხოსრო რუსისშვილ-პაატისშვილმა მიითვისა შილდაში მდებარე სვეტიცხოველის მამულები ([XVII]. Ad—823, 786-ბ).

შინდა სიმონ ეტიფონეშვილმა მიჰყიდა პაპია ჭყოპიაშვილს 4 დღის მიწა რკონში, მელი ნასახლართან, შინდასთან (1661. Ad—1644-ა).

შინდარა აქ მცხოვრებ ადაბეგიშვილის წყალობა განუახლა ნაზარალიბანმა ზაალ აბაზაძეს (1693.VII. Hd—1676).

შინდარი აქ მცხოვრები მარგულაშვილი მესხური მამულით და სვიმონისშვილი ბუღლიაური მამულით სიმონ მეფემ შესწირა იტრიის სიონს (1584.

Sd—2909). — თუ ჯაბი და შინდარი ზურაბის დროს ზურაბს ეკუთვნოდა, მაშინ პაპუნას უნდა დარჩეს, თუ არა და ყაფლანს მიეცესო ([XVII]. Hd—14284).

შინდლარი ამის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა იალღუზი, ქედის ეკლესია და ქამარ-ბაღი ([XVII]. Sd—1922, 1936).

შინდნარი ამაზე დავა ჰქონდათ ერთმანეთთან ყაფლან, პაატა და პაპუნა ბარათაშვილებს; იგი მათი ერთობის დროს შეწირული ყოფილა ფიტარეთის მონასტრისათვის ([1632—58]. Sd—794).

შინდისი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII.Hd—8712).—სიმონ მეფემ იგი უბოძა სამკვიდროდ შიო სოლაღაშვილს (1626.XII.16. Sd—739). — როსტომ მეფემ უბოძა საბლ-უხუცეს პაპუა მაღალაძეს ჯანყელაშვილი მამულითურთ შინდისში (1658. Sd—2975). — შ ი ნ დ ი ს ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ ერთი გარიგების წიგნისა (1688. Sd—18). — შინდისის მოურავი იყო სიდამონ (1692. Sd—53). — ერთობით შ ი ნ დ ე ლ ნ ი მოწმენი იყვნენ ფიფინაშვილის ნასყიდობის წიგნისა (1692. Sd—53). — ერეკლე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს შინდისი, რომელიც მდებარეობდა კრწანისსა. და ტაბაბმელას შუა (1695. ისტ. საბ., IV, გვ. 70—71). — ამირჯანაშვილის სახლების სამუქფოდ ბაინდურაშვილს შინდისს მიწაში ნაღობი ჰქონდა, რომელიც ნაზარას ერგო თავის ბიძაშვილ ნასყიდა დოლმაზაშვილთან გაყრის შედეგად (1696.III. 25. Hd—9350). — შინდელი იყო გიორგი დავითისშვილი ([XVII]. Sd—775).

შიოს-უბანი სოფელი, მონაზონთაგან ნაყიდი, გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს, რომლისთვისაც შ ი ო ს-უ ბ ნ ე ლ ე ბ ს სახნავ-სამკალში უნდა ემუშავათ ორ-ორი დღით (1170. Hd—1351).

შიო-მღვიმე (მონასტერი) შიო-მღვიმის მთავარმა მემღვიმემ თევდორემ ფავნელისგან იყიდა ოთხი სოფელი: ცხეევრი, გუელდესი, გავაზელნი და კოტმი. აგრეთვე ქვემო გუელდესს 2 გლეხი, შუღლიასძე და ტარიკასძე. და გადაუხადა 30 ლიტრა ოქრო, 30 ლიტრა ვერცხლი წშიდა შიოს კუბოს შემონაყარი, ათი ათასი პელპელი, ათი ათასი სტავრა. მიქაელ მემღვიმემ ააშენა კოშკი და სახაზინო ცხეევრში ([890—913]. Ad—1). — ბაგრატ IV-მ შესწირა შიო-მღვიმეს ბორცვის-ჯვარი (1058. Ad—14). — გიორგი მეფემ, იოანე წინამძღვრის თხოვნით, შიო-მღვიმის მონასტერს განუახლა მფლობელობა და შეუვალობა შემდეგ მამულ სოფლებზე: ევაგრესაგან ნასყიდ სხალტბასა და გოროვანზე; მთავარ ჯოჯიკის მიერ ნასყიდ აგარაზე; მეუდაბნოე მონაზონთაგან ნასყიდ შიოს-უბანზე; რუსის მიერ ნასყიდ, აშენებულ და შეწირულ ჩიქუნურნზე; დემეტრე მეფის სამღვიმოდ ნაბოძებ გოგრაჭისგან შეწირულ ხორვაიზე; გოდერძის მიერ შეწირულ ივან-წმიდაზე; კვირიკე კახთა მეფის მიერ შეწირულ დაოთზე; სახვლაგისაგან შეწირულ ალაჯინზე; ადარნესესგან ნასყიდ და შეწირულ ბჭითზე თრიალეთში; [ბალვაშთაგან] ძველად შიო-მღვიმიდან წაღებულ და დაეით [ალმაშენებლის] მიერ დაბრუნებულ ბორცვის-ჯვარზე; ფავნელთა და ტბელთაგან შიო-მღვიმის ოქრო-ვერცხლით ნასყიდ ცხირეთზე, ცხეევრზე, და გავაზელნზე; რატი სურამელისგან შემოწირულ კობალზე; ნასყიდ და შემოწირულ გლეხებზე ნიჩბისსა და სასხორში; ძველადვე ციხედიდს ნასყიდ გლეხებზე; ქალაქში (ტფილისში) ქულბაქებზე, რომელთაგან ხუთი „სპარსობითგანვე"

ჰქონდა შიო-მღვიმეს და ოთხი შემდგომ იყიდა თუ შეწირულობით ძიძღო. (1170. Hd—1351). — ანტონ ჭყონდიდელმა შიო-მღვიმის მონასტრისათვის სხალტბიდან წყარო გამოაყვანინა, მისი თხოვნით, თამარ მეფემ შიო-მღვიმეს უბოძა წყაროს სათავეში მოსახლე „ფუძედ ერთი“ და „კუამლი ორი სასეფოჲ, სახელით აფხაზთანი“ სვიმონ, გიორგი და იაბერ ქოსაძს ძენი წყაროს მკაზმავებად, გაუჩინა მათ: თითო შვილი ორივე სახლიდან „ქუქანკად გაისწავლებოდეს“ და ჰკაზმავდეს წყაროს. თუ რამე დიდი სამუშაო გამოჩნდებოდა, თვით მონასტრის მემღვიმე და კრებული უნდა მისულიყვნენ საკაზმავად. ანტონ ჭყონდიდელმა ორივე გლეხს თანასწორად უბოძა მონასტრის მიწებიდან სხალტბაში, კერძოდ ბოტკოს და დიდვალს მდებარე 10 დღის მიწა, წყაროს-თავს 2 დღისა და სხალტბას მდებარე საკრებულო ვენახი; ამას გარდა, ისინი გაათავისუფლა ყოველგვარი მუშაობა-გამოსაღებისაგან, გარდა წყაროს კაზმვისა; საჭიროების შემთხვევაში მალს მემღვიმე გადაიხდიდა ეკლესიის ძალითა და საფასურით. ბოლოს შიო-მღვიმის ლავრის კრებულმა სხალტბიდან გამოყვანილ წყაროს მკაზმავად ქოსაძს ძეებს დაუმატა „მეორშაფათე“ გლეხი პატარ და „გარეთმოსული“ ჭაჩაბურაძს ძე ([1202]. Ad—81). — კვირიკე კახთა მეფემ შესწირა შიო-მღვიმეს თავისი სულის სამწირველოდ 2 ფუძე: დაოთს ვაჭშამაძსძე და რუეთს უშიშარაძსძე. შემდეგ კი შიო-მღვიმის მონასტრის კრებულმა წირვის გადახდა ნიანია, ნიკოლოზ და იოანე ტოხაძსძეებს დააკისრა ([1190—1207]. Ad—3). — ლაშა-გიორგიმ მისცა შიო-მღვიმეს აგარელთათვის „ზროხის შებმისაგან“ განთავისუფლების წიგნი (1222. Ad—477). — შიო-მღვიმის ლავრამ მისცა ბასილ ალავერდელ მთავარეპისკოპოსს სამწირველოს გაჩენის დაწერილი ([XIII]. Hd—1586). — შიო-მღვიმის კრებულმა მისცა სუნიულას საალაპე წიგნი (1376. Sd—3020). — ქუშნიფნეველმა ერისთავმა შიო-მღვიმის უდაბნოს დაუწესა 2 ალაპი მოძღვრისა და დედაბრისათვის და დააყენა ზედამდგომელად სამადინისძე (1498. Ad—10). — დავით მეფემ მისცა შიო-მღვიმის მონასტერს შეწირულების წიგნი ([1505—25]. Hd—1574). — სიმონ მეფემ, წინამძღვარ შილას თხოვნით, შიო-მღვიმის მონასტერს გაუთარხნა სოფლები სხალტბა და ნასტაგისი. რომელთაც ქრისტეს შობასა და შიოობაზე ალაპი ემართათ (1580. ისტ. საბ., II, გვ. 54—5).

შიოს უდაბნო შიო-მღვიმის მონასტერი, „მანდატურთ-უხუცესმა და ამირსპასალარმა ჭიაბერმა, თამარ მეფის ნებართვით, შესწირა შიოს უდაბნოს ქინვანში მის „ქონებაში“ მხითარაის-ძენი დავითის შვილნი: უქროი, მახარაი, ბრაჭი და იოანე ([1191 წლ. ახლოს]. Ad—2).

შიორი მამული როინ [ჯავახიშვილს] გოშფართან გაყრისას ერგო შიორი მამული საყავრეში ([XVII]. Qd—605).

შირაქი როსტომ მეფემ „სანადიროთ“ შირაქში გაილაშქრა (1651.V.29. ისტ. საბ., IV. გვ. 33—4). — შირაქი იყო ყორნაევის საზღვარი (1699. ქ.-სპ. საბ., № 165).

შირვანი როსტომ მეფემ უბოძა სამკვიდროდ შირვანის ბეგლარბეგს ფარუხანს სახასო სოფელი ხანდაკი (1635.XII.2. Ad—624).

შირჩაპატი ტაშირზე, ბარათაშვილების სამკვიდრო, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს (1657. ქ.-სპ. საბ., № 115).

შიშთაფა ტაშირზე, ბარათაშვილების სამკვიდრო, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს (1657. ქ.-სპ. საბ., № 115).

შიშტეფა ტაშირზე, ყოშაქილის შიშტეფა, ყამიში, ხანზა და საფიელა წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] აკოფას სოფლის, ელისბარის სოფლის, ხუცის სოფლისა და თასილბითმაზის ფარდად ([XVII]. Sd—1922, 1936).

შიხჩობანი ლუარსაბ და სიმონ მეფეებმა როსტომ მეფის მესტუმრის დონდარა გესბისშვილის მამა-პაპანი ლორიდან აყარეს და სომხითს ჩაასახლეს, სადაც უბოძეს ნასოფლარები ყუდრუ, შიხჩობანი და ერთი ვენახი შულავერში (1651. Hd—14673).

შლაპიშვილისეული მიწა ზაქარე ფიფინაშვილმა მიჰყიდა არდაშელ ბერძნიშვილს შლაპიშვილისეული მიწა დედოფლის რუზე კახიშვილის მიწამდე (1692. Sd—53).

შობტროვანი სოფელი სამთავნელის სამწყსოში, მისი ბეგარა მღვდლებსა და მამასახლისებს [უნდა მიერთმიათ] სამთავნელისათვის (1459. Ad—559, 604).

შორაპანი დავით მეფემ ზარდახნის-უხუცეს ვახტანგ თულაისძეს გამოართვა შორაპანი და უბოძა პიპილეთის ეკლესია შესავალ ჟაშკუითურთ რაჭაში (1298. Hd—1331).

შოშილეთი სოფელი ქციის გალმა, შედიოდა დავითისა და აბაშის კერძ მაჰულში, რომელიც კათალიკოსმა დაუმტკიცა მანგლისის ეკლესიას (1584. Qd—1604). — აქ 2 საკომლო იყო ამოვარდნილი იოპა ბარათაშვილის კერძი (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53). — შოშილეთისა და ახალშინის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა გოგარჩლუ ([XVII]. Sd—1922, 1936).

შუა ბოლნისი (შუა ბოლნისი) შუა ბოლნისის მცხოვრებლები მოწმენი იყვნენ სეხნია შემახასშვილის მიერ პაპუა ყაფლანიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1620.V.10. Sd—620).—შუა ბოლნისის მამასახლისი იყო ბერუა (1623.III.15. Sd—588).—მის მამასახლის ბერუას სიმონ მეფემ უბოძა ნასოფლარი ჰაცუტი (1623. Hd—10293).—სოფელი, როსტომ მეფემ განუახლა ყაფარას აქ მცხოვრებ დურიას წყალობა (1641. ქ.-სპ. საბ., № 71).—აქ ვენახი ჰქონდათ შერმაზან და ბადურა ძეგლასშვილებს და სამი კვალი ვენახი დავით ნავროზაშვილს (1665. Sd—622). — მისი მამასახლისი ფინეზა მოწმე იყო თაბაზ ბარათაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1670. Hd—2296). — შუა ბოლნისში ვენახი ჰქონდა ბოლნელს; მისი მამასახლისი იყო ფინეზა და ნაცვალი — დათუნა; ფინეზა მამასახლისმა მიჰყიდა გიორგი ყაფლანიშვილს ვენახი შუა ბოლნისში (1674. Sd—623). — შუა ბოლნისიდან იყვნენ პაპუა ყამაზასშვილი და გიგოლა ფირიკელაშვილი, რომელთაც ვენახი მიჰყიდეს გიორგი ყაფლანისშვილს (1676. Hd—6038). — შუა ბოლნისელმა ბინდურა ყუგახასშვილმა თავისი ვენახის ჩამონაჭერი მიჰყიდა გიორგი ყაფლანისშვილს (1677.V.12. Sd—623-ა). — შუა ბოლნისში მიჰყიდა პაპუნა შემხასშვილმა თავისი წილი ვენახი გიორგი ყაფლანისშვილს (1677.X.15. Sd—625). — ზაქუმ ალიყულისშვილმა მიჰყიდა ვახტანგ [ორბელიშვილს] ზემო ბოლნური მკვიდრი ზვარი ჰეჯუბაშვილის მიწებამდე შუა ბოლნისისაკენ (1677. Sd—537). — შუა ბოლნისის ზვარს მართებდა ახი საპალნე (1689. Sd —

1932-ბ). — გიორგი მეფემ უბოძა ფეშანგი ფინეზასშვილს მისი განაყოფის ამოვარდნილი ადიბეგაშვილის მამული და გლეხი შ ვ ა ბ ო ლ ნ ი ს ი, ბაიდრის-უბანს (1690. სოც. დოკ., I, № 123). — შუა ბოლნისის ზვარს მართებდა სორჩოცი საპალნე (1690. Sd—1932-გ). — შუა ბოლნისი მოხსენებულია გორგასპისათვის მიბარებულ ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931). — შუა ბოლნისის ზვარი მოხსენებულია გადასახადის ნუსხაში ([1691]. Sd—1932-დ). — დავით ურდუბეგაშვილმა და მისმა ძმებმა მიჰყიდეს კახ დათუნას და მის ძმებს შუა ბოლნისში ვენახი საზღვრებით: „იქით დივანბეგის ზვრამდე, აქათ შარმაზაშვილის ვენაკამდე, ქვეით ორღობემდი, ზემო[თ] ნაპირამდე" (1692.III.3. Hd—1749). — ხვარაშან დედოფალმა განუახლა მანგლისის ღვთისმშობლის ტაძარს შუა ბოლნისიდან 15 საპალნე ტკბილისა და წინწყაროდან ბუთასი შაურის შეწირულება (1694. აქტები, I, გვ. 24). — შუა ბოლნელები მოწმენი იყვნენ ადიბეგაშვილის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9275). — ხეჩუამ მიჰყიდა ბატონ შიოშს მკვიდრი ვენახი შუა ბოლნისსა და ზემო ბოლნისს შუა ([XVII]. Sd—820). — შუა ბოლნისის ზვარი გასაყოფი დარჩა ყაფლან და ვახტანგ [ორბელიანებს] შორის ([XVII]. Sd—1936). — შუა ბოლნისის ზვარი შუაზე გაიყვეს ყაფლან და ვახტანგ [ორბელიანებმა] ([XVII]. Sd—1922).

შუა ბოლნისის რუ იოსებ ბოლნელმა ეპისკოპოსმა რევიშვილმა გაუცვალა დოლმაზა შანშიაშვილს ზემო ბოლნისში სავენახე მიწა სხვა მიწაზე, რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო შუა ბოლნისის რუ (1670.VIII.2. Hd—5242).

შუა გომნი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ნასოფლარ შუა გომნის, აგრეთვე სოფელ გომნის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

შუა-ველი ბერიკა ტურიაშვილმა მიჰყიდა ზურაბა იმნაძეს მიწა შუა-ველში (1689. Qd—1480).

შუამთა ნ. ძველი შუამთა — თეკლა მონაზონმა, ლეონ [კახთა] მეფის ასულმა შესწირა მას გრემში მოსახლე ნადირა სახლითა და მამულითურთ (1603. ისტ. საბ., IV, გვ. 3—4). — შუამთაში მოსახლე ვაჭრების ბაჟი თეიმურაზ მეფემ შეუწირა ხახულის ღვთისმშობლის მონასტერს (1637.VI.9. ისტ. საბ., IV, გვ. 23—25).

შუა მუხნარი [სიმონ] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1559.XII.1. Ad—1572).

შუანის-ქევი ნ. ყინოვანი (1298. Hd—1330).

შუა-სოფელი ეწერა მას 4 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

შულავერი ლუარსაბ და სიმონ მეფეებმა როსტომ მეფის მესტუმრის დონდარა გესბისშვილის მამა-პაპანი ლორიდან აყარეს და სომხითს ჩაასახლეს, სადაც უბოძეს ნასოფლარები ყუდრუ და შიხჩობანი, აგრეთვე ერთი ვენახი შულავერში (1651. Hd—14673). — შ უ ლ ა ვ რ ე ლ ი იყო მირანშა (1657.I.15. მატენად. ფნ., 252, № 4). — შულავერში მოსახლე ტერუნაშვილი, აიგუნაშვილები, ბაღდადაშვილები, უჰანაშვილი, მურადაშვილი, ჰაცოუხაშვილები, აფრიამაშვილები, კაკოზაშვილები უბოძა როსტომ მეფემ თამაზ წოვანაშვილს (1658. ჭ.-სპ. საბ., № 120). — ბირთველ თუმანიშვილმა გააჩიგა დაცა შულავრისა და თეთრი სოფლის მამულის თაობაზე. ამ გარიგების მიხედვით, შულავრელი ა-

სხვა თემის კაცისაგან მოხნულიდან ღალა მელიქ ყარახმაზს უნდა მისცემოდა ([1632—58]. Sd—484). — გიორგი ბატონიშვილმა უბოძა ქაიხოსრო რატიშვილს შულავრის მოურაობა (1665.IX.22. Hd—2433). — შულავერში მოსახლე მირაქაშვილები და ახჯანაზაშვილები ბაგრატ და ლევან ბატონიშვილებმა უბოძეს ქაიხოსრო რატიშვილს (1689.X.17. Hd—8415). — დურმიშხან ალიხანაშვილმა იყიდა შულავრელი ბოშაშვილის ვენახი თეთრ სოფელში ([1695—1703]. სოც. დოკ., I, № 133).

შუნბუანი მდებარეობდა ლოქში, იგი გასაყოფი დარჩათ ყაფლან და ვახტანგ [ორბელიანებს] ერთმანეთს შორის ([XVII]. Sd—1922).—ნ. შენბუანი.

შურთხაანთ-კლდე ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს სამგორში ძველად შეწირული მიწა, რომლის საზღვარი იყო შურთხაანთ-კლდე (1579. Sd—464).

შქერნალი ჩალათა ჟორჟოლაძემ თავის მწირველს მახარობელს მისცა ნატარავლევი სასახლე, არსენაული საფლავი, შქერნალის ნახევარი, კოკას საყანის ნახევარი, ველას ერთი საყანე ვაჩიბერაძის საზღვრამდის და კოსის ჭალაში ლუკუფხნას ნახევარი—და დაავალა თავისთვის ყოველწლიურად ახალკვირას ერთი ცხვრით აღაპის გადახდა ([XV]. ქუთ. მუზ., № 655). — ალექსანდრე მეფემ უბოძა იოვანე ომადმადიძეს გურანში გოჩა ყიფიანი 45 მოსახლით, მამულებით, სანიაოს ქედით და შქერნალითურთ ([XVII]. Sd—1789).

შქმერი დაუმტკიცა თეიმურაზ მეფემ ბაქარ ბაქრაძეს (1494. Sd—3035).

ჩ

ჩაბინნი ამბა-ალავერდელმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა თავისი „სახასო ნაკარი ჩაბინნი“ უბოძა სახლთ-უხუცეს სულხანს (1636.I.29. Qd—28).

ჩაი-ბულახი ერთი საზღვარი იყო ქ[ა]ლბალიხანის მიერ ენისელთ მოურაე მერაბისთვის ნაბოძები ყორნავისა (1699. ჭ.-სპ. საბ., № 65).

ჩაისი ნ. ცაიში ([1580—90]. საისტ. კრებ., III, გვ. 48).

ჩალამოტი გიორგი მეფემ განუახლა ისათ ვაჩაძეს ჩალამოტის წყალობის წიგნი (1455.X.8. Hd—7588).

ჩალი პატა შატბერაშვილმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს თამთის წყაროს სამკვიდრო მიწები, „იქით ჩალისაკენ რომე სამანი ზის“ იქამდე (1665. Sd—54). — გიორგი შოშიაშვილმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს თავისი სამკვიდრო მიწა გრძელაურს, რომლის „გვერდი ჩალისაკენ ბაბინას მიწამდი“ აღწევდა (1671. Sd—59).

ჩალის მიწა „გარეჯვარს ჩ[ა]ლის მიწა საზენაქროთ მეოთხედი მამუკას მიწისაკენ“ ერგო მანუჩარს და შიოშვილს ([XVII]. Sd—913).

ჩალის ციხე ნაზარალიხანმა უბოძა ავთანდილ ბარათაშვილს სამკვიდროდ ძმათაგან წილში გამოყოლილი კრწანისი ჩალის ციხით (1693.IX.6. ჭ.-სპ. საბ., № 153).

ჩამძრალი ეწერა თერთმეტი სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad —1631).

ჩანგილარი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა სამთავისისათვის ეკომსალები (1459. Ad—559, 604). — სოფელი, თაყა აძილახორის სადაო მამული ერთი საზღვარი ([XVII]. Hd—13750).

ჩარსუ ნ. რასტაბზარი (1690.VI.8. Hd—13135).

ჩარსუბაზარსი ხოჯა ასლან ბეკბუდასშვილმა შესწირა ჩარსუბაზარსში მდებარე კულბაქი ეჩმიაწინს (1664.III.18. მატენად., ფონდი 252, № 6).

ჩაფაური ვენახი გიორგი ჩიქუანმა მიჰყიდა ბეჟიტა ნებიერიძეს ([XVII]. Qd —725-ა). — ტეტია ჩიქუანმა ბეჟიტა ნებიერიძეს მიჰყიდა ([XVII]. Qd 725-ბ).

ჩაქვის-თავი გიორგი გურიელმა ჩაქვის-თავში ორი მოსახლე შესწირა ჯვრის მონასტერს ([XVII]. Hd—10275).

ჩახევევი ნ. წინწყარო (1671.IX. Hd—8809).

ჩეკური (ჩეკურნნი) ერწოს მდებარე სოფელ ჩეკურის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ჩ ე კ უ რ ნ ი საზღვრებით: „აღმოსავლეთით ნეფისწყარომდე და ზემოთ გოგის ფლატემდე, დასავლით ძლევის-ჯვარს აქეთ გასწურივე დამპალი წყალი, მიდგმით გრძელი ღელე" (1579. Sd—464). — აქ მდებარე სახლთ-უხუცეს რევაზის მამული როსტომ მეფემ უბოძა მის განაყოფ შანშე ჩოლოყაშვილს (1647. Hd—14428).

ჩელტი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ადგილი „ჩელტს გამოღმა, გრემისა კერძოდ თეთრ კლდემდი" (1579. Sd—464).

ჩერნალი აქ მოსახლე მამიაშვილი ძმებით შესწირა თამარ დიასამიძეს გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას (1584. Sd—2903).

ჩერგეზი „ჩერგეზიდამ მოწოდებულსა ერთგულს ბაქარ ბაქრაძეს" თეიმურაზ [კახთა] მეფემ უბოძა სოფელი ჯვარის-უბანი (1492. Sd—3035).

ჩერქეზაული მამული შიოშ ფალავანდისშვილმა თავის ყმას გიორგი გულიკაშვილს და მის შვილებს უბოძა ჩერქეზაული მამული (1518. სოც. ფონ., I. № 5).

ჩექილიანი აქ მდებარე მამული — ნახევარი სულმამა დათუნაშვილისეული და ნახევარი თავისი კერძი — მიჰყიდა გიორგი ტოხვაძემ ივანე ცირღილაძეს (1565. Hd—1566).

ჩეხედენა (ჩეიხედენა, ჩაიხედენა, ჩაიხედნა, ჩიხედნა) მამია გურიელის შვილის მანუჩარის და მეუღლის თინათინის საფლავები ჩეხედენაში აკურთხა თეოფანე პატრიარქმა და იერუსალიმის მეტოქის საყდარი აუშენებინა. მამია გურიელმა ჩ ე ი ხ ე დ ე ნ ა ს საყდარს ამავე სოფელს მდებარე სასახლე ათი კომლი კაცით და ბაილეთს მოქიური სასახლე ოცი კომლი კაცით შესწირა. შეწირულ ყმებს ბეჭარა დააკისრა ([1601—1627]. Ad—1913). — [იერუსალიმის] ჯვრის [მონასტრის] მამას ნიკიფორეს ქაიხოსრო გურიელმა განუახლა ჩ ა ი ხ ე დ ე ნ ა ს და ბაილეთის შეწირულების წიგნი ([1647—1658]. Hd—10274-ა). — გიორგი გურიელმა შეწირა [იერუსალიმის] ჯვრის მონასტერს ჩ ა ი ხ ე დ ნ ა შ ი რაც ადრე ყოფილა შეწირული ([XVII ს. 60—70 წწ]. Hd—10275). ბეჟან და გიორგი

ტატუაშვილებს ჩიხედნაში შეიდი გლეხი ჰყავდათ ([XVII—XVIII]. Hd—11275).

ჩინჩახორი სიმონ მეფემ განუახლა დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიას ძველად შეწირული სოფელი ჩინჩახორი (1586.I.9. Ad—2233).

ჩიქუნურნი (ჩიქუნური) რუსის მიერ ნასყიდი, აშენებული და შიო-მღვიმისთვის შეწირული. მისი შეწირულება განაახლა გიორგი მეფემ (1170. Hd—1351). — ალექსანდრე მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს ჩიქუნურის შეწირულება (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ჩიქუნურის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

ჩიჩას ფონიკუხი ნ. ნასაკირალი (1570. Hd—2270).

ჩორდი სოფელი, თეიმურაზ მეფემ ციხითურთ დაუმტკიცა ბაქარ ბაქრაძეს. საზღვრები: აღმოსავლეთით თედელეთამდე, დასავლეთით სეურის-წყლამდე. სამხრეთით შავ-წყლისა და თეთრ-წყლის შესართავამდე და ჩრდილოეთით ხანეალოვდემდე (1492. Sd—3035).

ჩოჩეთი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — აქ მდებარე ივანიასძისა და ქადაგ დიმიტრისეული მამული დავით კათალიკოსმა მახარებელ მაღალასძეს უბოძა (1470. Hd—1352). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ჩოჩეთის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — სიმონ მეფემ სამოურაოდ უბოძა პაპუნა მაღალაძეს „გომნი და თრიალეთის სოფელი ეძანი და ჩოჩეთი“ (1561.IX.10. Qd—6994). — მეტეხელმა პაპუნა აღნიასშვილმა მიჰყიდა ახალქალაქელ ნარიბეგ სპანდიერ[ა]სშვილს და მის შვილებს მამისთვალასშვილისგან ნასყიდი მიწა ჩოჩეთში (1693.XII.15. Ad—1852-ა). — ეწერა ცამეტი სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631). — ჰოხსენებულია მაღალაანთ მირის გარიგების წიგნში გამოსაღებთა ნუსხით ([XVII]. Ad—1804).

ჩოჩიასეული მიწა გაგულამ მიჰყიდა ქიტა ივანასშვილს ჩოჩიასეული მიწა (1661.XI. Ad—1809).

ჩოჩხათი გიორგი გურიელმა შესწირა ჯვრის მონასტერს ჩოჩხათს მოსახლე ორი კომლი გლეხი ბლაგიძე და სარიშვილი ([XVII]. Hd—10275).

ჩრდილათთა შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559).

ჩუმლაყი სოფელი, კულენანნი ჩუმლაყისაკენ მდებარეობდა (1579. Sd—464).

ჩუნეში (ჩუენეში) გიორგი [იმერთა] მეფემ მისცა გიორგი ლაღიძეს ჩუნეშში მოსახლე ათი კომლი კაცი ([1510—1548]. Ad—2218). — ჩუნეშს მცხოვრები ყმები შესწირა გიორგი [იმერთა] მეფემ გელათს (1568.VIII.30. Sd—2901). — გიორგი [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას ჩუენეშის თავს. ღელეს გაღმა მდებარე ხოშტიბელის სასახლე და ქვე მოსახლე გლეხები (1569.II.4. Sd—2902). — ჩუნეში იყო ერთი საზღვარი ალექსანდრე [იმერთა] მეფის მიერ აზნაურ ეზია იოსელიანისთვის ნაბოძები სოფელ გოშტიბის მიწა-წყლისა (1647.XII.6. Hd—10147).

ჩხარა ბაგრატ მეფემ უბოძა არჯევან აეშანდაძეს სატყისმცველოდ ადგილი

სკანდასა და გოგს დაღმა, იქ სადაც ძევრის-წყალი ერთვის ყვირილას, ფისისანს და ჩხარას (1452. Sd—521).

ჩხარი აქ მოსახლე გლეხები შესწირა თამარ დიასამიძემ გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას (1584. Sd—2903).

ჩხერეს-უბანი ალექსანდრე მეფემ უბოძა მღვდელ ადამ ფონჯავიძეს ჩხერეს-უბანს მოსახლე სამი გლეხი ფიწალაძე (1497. საისტ. მოამბ., II, 1924, გვ. 66—67).

ჩხერის-ციხე ნასისხლად მიართვა გიორგი აბაშიძემ პაატა აბაშიძეს ([1658——1676]. Sd—535).

ჩხიკვეთი (ჩხიკვთა, ჩხიკვათი, ჩხიქთა) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ნახევარი ჩხეკვ[თ]ა შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd — 10375). — აფხაზის ივანეს შვილის შანშეს შინაყმები ჩხიკვათელი ესტატე და ივანე შიოშაშვილები აიყარნენ და ყმად ორბელისძეთ მიუვიდნენ (1696. V.26. Sd—562). — ჩხიქთის მამასახლისი შიოშ მოწმეა გოსტაშაბ ბარათაშვილსა და ოსიყმა ბუჟღულაშვილს შორის საზღვარზე დავის გარიგების წიგნისა ([XVII]. Hd—1568).

ც

ცაგერი ცაგერელი მოხსენებულია ალექსანდრე [იმერთა] მეფის მიერ ვახტანგ და დავით ბაქრაძეებისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1501.VI.7. Hd—10150). — გაბრიელ ცაგერელმა ალექსანდრე [იმერთა] მეფის დაბმარებით ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიას დაკარგული ყმა-მამული დაუბრუნა (1656. Qd—9085-ვ). — ვამეყ დადიანმა ცაგერის ღვთისმშობლისა და ხვამლის წმ. გიორგის ეკლესიებს შესწირა ჯონეთს მოსახლე ქაიხოსრო ქელბაქიანისეული სასახლე მისი სახასო მამულით, ორი კომლი გლეხი ჯანგავაძე თავისი ცოლშვილით და სახლის ძმით ([1657—1661]. Qd—9085-ია). — ლეხიდარსა და ჯვარდამწვარს შუა რაც „სარჯულავი" და „მოსაკრეფლობა" გამოდიოდა ორი წილი ცაგერელისა იყო და მესამედიც ხოსია ინასარიძემ ცაგერის ეკლესიას შესწირა (1658. Qd—9085-ზ).

ცაიში (ჩაიში) ცაიშელი მოხსენებულია ალექსანდრე [იმერთა] მეფის მიერ ავთანდილ ხელხელიძე სარმანიშვილისთვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1503.I.30. Qd—6935). — ცაიშელი მოხსენებულია ბაგრატ [იმერთა] მეფის მიერ ჯაკვა შერგილაძისთვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1554. Qd—1317).— დავით ჩაისელმა განუახლა კაცხის მაცხოვრის ეკლესიას მახარებელ კუპატაძის შვილიშვილისა და ზერის შეწირულება ([1580—1590]. საისტ. კრებ., III. გვ. 48). — საცაიშლო მამულზე დაობდნენ ქაიხოსრო შანგულია და ზარიამ ჯოღარია ([1611—1657]. Hd—11204).

ცედანი აქ მდებარე მიწა შესწირა სვიმონ მეფემ ნიტრიის სიონს (1584. Sd—2909). — ნაზარალიხანმა განუახლა ზაალ აბაზაძეს ცედანის წყალობა (1693.VII. Hd—1676).

ციას წუალი ნიკოლოზ კათალიკოსმა მისცა ვახტანგ ბატონიშვილს ციას წუალს მოსახლე არჩუაძეები ყურის-უბნის ნაცვლად (1574.III. Sd—2870).

ციცქიური თეიმურაზ [კახთა] მეფემ ბატონ ლევანს და მის სიძეს ამილღამბარს ციცქიურს მოსახლე დევაძე უბოძა (1628.X.30. Hd—14680).

ციხე სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ციხედავი შედიოდა წილკნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღები (1669. VIII.5. Ad—526).

ციხე-დიდი გიორგი მეფემ შიო-მღვიმის მონასტერს ციხე-დიდში ყმამამულის შეწირულება განუახლა და საბანაკრე გამოსაღებისგან გაუთავისუფლა (1170. Hd—1351). — [სიმონ] მეფემ მისი შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს (1559.XII.1. Ad—1572). — დომენტი კათალიკოსმა დასდო კრულობის წიგნი მცხეთის სვეტიცხოველისათვის ძეგვისა და ციხე-დიდის წაურომევლობის შესახებ (1670.IV.15. ისტ. საბ., IV, გვ. 47—49). — დომენტი ქართლის კათალიკოსმა პაპუა მაღალაძეს უბოძა ციხე-დიდის მოურაობა (1672.V.1. Ad—1689).— ციხე-დიდს ნასყიდი ვენახი ნიკოლოზ კათალიკოსმა რევაზ მაღალაძეს დაუბრუნა (1686. Hd—7221). — ნიკოლოზ კათალიკოსმა აქ ზვარი გააკეთა (1691.VII. 25. ისტ. საბ., 4, გვ. 64). — კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ სახლთ-უხუცეს რევაზ მაღალაძეს ციხე-დიდში სამი კომლი კაცი — ზაალ და დათუნა გოჩიაშვილები, პეტრია პეტრიაშვილი და დათუნა კბილაშვილი მათი მამულებით — უბოძა (1692.III. 11. Qd—1344). — იოვანე კათალიკოსთან ერთად ნაზარალიხანმა ამილღამბარ მაღალაშვილს განუახლა ციხე-დიდში ზვრის, მარნის, ხოდაბუნის, ბეთუაშვილისა და გელიხაურების წუალობის წიგნი (1700.VII.19. Ad—1590, Qd—1348). — ეწერა 22 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ციხეკნელი მურვან ღარიბას ძემ შესწირა ვაჰანის მონასტერს მისგან ნასყიდი სოფლის ციხესკნელის მესამედი ([XIV]. Ad—933).

ციხისი როსტომ მეფემ დაუმტკიცა ყორღანაშვილ იარალისშვილ პაატას ციხისს სახასო და ნასყიდი გლეხები (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53). — ნაზარალიხანმა უბოძა ვახტანგ ბარათაშვილს ციხისს მცხოვრები გლეხები: აყოფა ბარიაშვილი, მახია შავდავითაშვილი და ბაინდურასშვილები მამულებით (1693. X.25. სოც. დოკ., I, № 129);

ციხის-კარი ციხის მინბაშის შაჰმირის დროს „ციხის კარის“ ბაჟის საქმე მოუწესრიგებელი იყო, რის გამოც როსტომ მეფემ გამოსცა ბაჟის გარიგების წიგნი (1639. Hd—1559).

ციხის-ძირი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.X. Hd—8712). — შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღები (1459. Ad—559, 604). — ერთი საზღვარი პაპინა დუთუსშვილის ნაცოლარის ლალინას მიერ ფეშანგი თაყინასშვილისთვის მიცემული მიწისა (1699.VII. Hd—13152).

ციხიჯვარი შედიოდა დავით ხანის საბრძანებელში. სადგერის წმინდა გიორგის ეკლესიას „საკმარი“ აქ ჰქონდა ([1564—1579]. Sd—479).

ცოვრეთი (ცორვეთი) სოფელი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543. IV.20. Hd—10375). — ც ო რ ვ ე თ ი წილად ხვდათ ფარიშატსა და გიორგი ბა-

რათაშვილებს (1543. Hd—10381). — აქ მდებარე „ბარათიათაგან“ ნასყიდი სავენახე მიწებიდან თავისი წილი — „მყუირალაურის ვენახისაკენ და ძველის საწნახლისაკენ“—და ვანქს თავისი და შაჰყულას კერძი მიწა ალიხან არეშიშვილმა გაუცვალა გერმანოზ ბარათაშვილს ვანქს მდებარე ფალავანხოსროს კერძ, ქელიჩაშვილისგან ნასყიდ ოთხი დღის მიწაზე (1638.IV.4. Hd—6261). — გუდარეხელებსა და ღორისთაველთ შორის, დაეის გარიგების წიგნით, ბედენის დიდი შარა, მის ქვემოთ ტყემლარერი და გორას სათიბი ც ო რ ე ე ლ თ დარჩათ (1653.VI.10. Hd—1471). — ნ. ალგეთი (1699.V.26. Ad—647). — ერთი საზღვარი კათალიკოსის მიერ მანგლელ ეპისკოპოს სერაპიონისთვის მიცემული მიწებისა ([XVII]. Qd—1605).

ცოვრეთის ხევი (ცორვეთის ხევი) ლუარსაბ მეფემ გუდარეხის მონასტერს შესწირა ალგეთის პირას მოსახლე 3 კომლი გლეხი მათი მამულებით: საზღვრები: „წყარო რომ დის, რასაც ის წყარო ჯოიტანს ხევამდისინ, რასაც ხევი ჩაიტანს ალგეთამდისინ ც ო რ ე ე თ ი ს ხ ე ვ ა მ დ ი ს ი ნ, მას გარდას წყარწყაროს რომ გარდიტანს მანამდისინ“ ([1506—11]. Hd—1554-ბ). თეიმურაზ მეფემ გუდარეხის მონასტერს შესწირა „აბელის სოფლის მონაჭარი ბოლო“, რომლის ერთი საზღვარი იყო ცოვრეთის ხევი ([1606—48]. Hd—1554-ა, 1564, 10301).

ცოლოთი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ცომათ-უბანი აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული ოთხი კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ცოტა-ბარეთი თრიალეთს მდებარე ცოტა-ბარეთის შეწირულება განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს ალექსანდრე მეფემ (1398.XII. Hd—8712).

ცოტა მეღვრეკისი ნასოფლარი, [სიმონ] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1559. საისტ. კრებ., III, გვ. 118—121). — ნიკოლოზ კათალიკოსმა მისცა ვახტანგ ბატონიშვილს ყურისუბნის სანაცელოდ, სხვა სოფლებთან ერთად, ცოტა მეღვრეკისი (1574.III.14. Ad—1654).

ცუ ლევან დადიანმა ხოფის ტაძარს შესწირა ცუს და ჭვირიას გამოღმა მთელი ნანადირევი ([1611—1657]. Hd—1551).

ცურონი აქ მოსახლე ჭაღალაშვილს, სვანიძეს, ბითაძეს, მარჯანიძეს, თამაზ ბერიშვილს და სხვ. შეწერილი ჰქონდათ სამასპინძლო ([XVII]. Ad—1800).

ცუჭელაურის მიწა ნ. ვენახის-თავი (1681.VI.20. Hd—834).

ცუქითი ცუქითსა და მაწლეთში ციცის 15 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—1675]. Hd—14534-ა).

ცუცუბანი როსტომ მეფემ უბოძა ამოან თუხარელს ცხირეთში ცუცუბანი და აქ მოსახლე მახარა მალაციძე მისი მამულით, იორდანა მეფარიშვილი, შიუკა მამისაშვილი და საჩინოს სახლი და მამული (1632. Hd—14436). — გიორგი მეფემ უბოძა მეჯინიბეთ-უხუცეს ავთანდილ მოურავიშვილს პაპუნა თუხარელი ნასყიდი მამულით: ცხავერი. სამება და ცუცუბანი (1693. Hd—1924).

ცუცხვათი ბაგრატ [იმერთა] მეფემ უბოძა ვახტანგ ციბისთეისშვილს ციხისთავობა, ცუცხვათის ციხე და რაც ალექსანდრე [იმერთა] მეფის დროს მამულები ჰქონდა ვახტანგის ბიძას თეიმურაზს (1673. ქუთ. მუზ., № 973).—გარდაცვ-

ლილი ქაიხოსრო [აგიაშვილის] ყმები გიორგი [იმერთა] მეფემ ქაიხოსროს ბიძას ვახტანგ აგიაშვილს უბოძა (1697. ქუთ. მუზ., № 977).

ცხავატი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. შეწერილი ჰქონდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

ცხავერი ნ. ცუცუბანი (1693. Hd—1924).

ცხავრისი აქედან ორი საკომლო წილად ხვდათ ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381).

ცხევერეთ[ი] ფავნელმა დაღუპულთა სულის დასაურვებლად და ტყეების გამოსასყიდად მეფის ნებართვით შიო-მღვიმის მთავარ მემღვიმეს თევდორეს მიჰყიდა ([890—913]. Ad—1).

ცხევერი მიქაელ მემღვიმემ ააშენა აქ კოშკი და სახიზნო, გაუჩინა ცხენ-ვერელთ ციხისა და მონასტრის ბეგარა და გამოსაღებელი ([X]. Ad—1)[1] — გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს ცხირეთში ცხევერი. შანვე ცხენვერელნი გაათავისუფლა საბანჯრესაგან (1170. Hd—1351).

ცხენისწყალი მდინარე, ალექსანდრე [იმერთა] მეფეს ერთი ზანდუკი ოქროვერცხლი მოსტაცა ([XVI]. ქუთ. მუზ., № 1608).

ცხერე ცხერელია გიორგი ტბელიაშვილი ([XVII]. Sd—1997).

ცხვარეთი გაბრიელ ცაგერელმა ალექსანდრე [იმერთა] მეფის დახმარებით ცხვარეთიდან აყრილი სამი გლეხი დაიბრუნა (1656. Qd—9085-ვ).

ცხვრისი ნ. ცხურისი.

ცხირეთი ცხევერელებს, მიქაელ მემღვიმეს მიერ დაკისრებული ციხისა და მონასტრის ბეგარა-გამოსაღებელით, ცხირელი „ხელოსანი“ უნდა დაეპურებინათ, მაგრამ ღმე არ გაეთევებინებინათ ([X]. Ad—1). — გიორგი მეფემ შიო-მღვიმის მონასტერს განუახლა ცხირეთში ფავნელთა და ტბელთაგან ნასყიდი ცხევერის მჭონებლობა (1170. Hd—1351). — სოფელი, გიორგი მეფემ უბოძა გამრეკელ ჯავახიშვილს (1454. Qd—9221). — აქ მდებარე თავისი კერძი მამული გაატანა მზითვად შამანდუხს გამრეკელ ჯავახიშვილმა (1597. Hd—14425).— აქ მდებარე ფეზიას კერძი მამული უბოძა ნესტან-დარეჯანმა ზურაბ სახლთუხუცესს (1607. Hd—14417, 8273). — აქ მოსახლე ურუმბეხაშვილი ლუარსაბ მეფემ გიორგი საყაძეს უბოძა (1608. Hd—13052). — ნ. ცუცუბანი (1632. Hd—14436). — სოფელი, გიორგი საყაძის საჭართველოდან „გადავარდნის“ დროიდან სახასო იყო. როსტომ მეფემ კელავ დაუბრუნა იორამ საყაძეს (1652. Hd—13956). — აქ ცხოერობდა 9 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534).— ცხირეთში ცხოვრობდა მამისაშვილი (1661. Sd—49). — პაპუნა წავიდა მეფესთან ცხირეთში, სადაც მისი ძმა ქაიხოსრო იყო (1664.III. Hd—10346). — აქ მოსახლე დათუნა სალუკანაშვილთან ხიზნად იყო იმერელი შიო კელესარიძე თავისი ცოლ-შვილით (1690.III.15. Hd—14788). — ცხირელი იყო დათუა სალხინოსშვილი (1696.I.29. Sd—497). — ნ. ნიგოზეთი ([XVII]. Qd—826).—აქ მოსახლე ესაია მასურაშვილი წილად ხვდათ მოურავსა და ზურაბს ([XVII]. Hd—11716, 11793). ნ. ახალშენი ([XVII]. Qd—605).

---

[1] Ad—1 ერთიანი შედგენილობის არ ჩანს. ამიტომ მის შემადგენელ ნაწილებს ცალ-ცალკე ვათარიღებთ.

ცხირეთის გუერდი გაბაშვილთა მკვიდრი მამული. ̲ კონსტანტინე მეფემ უბოძა ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს (1466. Hd—2007, Qd—1010).

ცხმორი თეიმურაზ მეფემ დაუმტკიცა ბაქარ ბაქრაძეს ბაუხევსა და ცხმორს სახასო „კაცები" (1492. Sd—3035).

ცხნარი ნ. აზიკუნი (1523. Ad—1299-ა). — აქ მოსახლე დურმიშხან ფალავანხოსროშვილის ყმები თამაზა ჯაბუაშვილი და ადუა შავერდიშვილი დურმიშხანის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ გიორგი მეფემ პაპუნა გოსტაშაბიშვილს უბოძა (1688.V.4. Qd—2025). — აქ მოსახლე კაკონა, ლომკაცა და ლომშერა ბედიაშვილები მამულებით გიორგი მეფემ მოლარეთ-უხუცეს გიორგი მიქელაძეს უბოძა (1688. Sd—547). — ნაზარალიხანმა ცხნარს მოსახლე ლომკაცა, ლომშერა და კაკონა ბედიაშვილები მამულით უბოძა იორამ ბარათაშვილ ზაალიშვილს ([1698]. ქ.-სპ. საბ., № 163). — აქ მოსახლე შაქარა ინანაშვილი მამულით და კახიშვილის საკომლოთი საუფროსოდ მიიღეს იორამიშვილებმა ([XVII]. Sd — 1964). — აქ მდებარე ლომშერას საკომლო ერგო როსებიშვილს ([XVII]. Sd—2004). — ცხნარს მოსახლე პაპუა ონიაშვილი მამულით წილად ხვდა ელიზბარ როსებაშვილს ([XVII]. Sd—1976). — ცხნარს ნასყიდა მაზმანი მამულით და ორი დღის მესაცრის მიწა წილად ხვდათ იორამიშვილებს ([XVII]. Sd—1975). — ცხნარს ესტატე ბელიაშვილი მამულით, აბრამას მამული და საბას „ნაბართა" (sic) ერგო როსებს ([XVII]. Sd—1973). — აქ მოსახლე თევდორა ხიზანაშვილი მამულით ერგოთ იორამიშვილებს ([XVII]. Sd—2005). — აქ მოსახლე მძულია ხიზანაშვილი ერგოთ იორამიშვილებს ([XVII]. Sd—1995). — აქ მოსახლე ბერია ბედიაშვილი მამულით წილად ხვდათ ქაიხოსროსა და ზურაბს ([XVII]. Sd—1995). — აქ მოსახლე დათუა მაზმანი მამულით ერგო ბადურს ([XVII]. Sd—1997).

ცხომი ცხომის მთავარანგელოზის ეკლესია მოხსენებულია მიქელა და ახალბედა კოპაშვილების მიერ თაყა, გულბად, ზალდასტან, ფარშევან და ქაიხოსროსთვის მიცემულ ყანის ნასყიდობის წიგნში ([1615—1619]. Qd—7013).

ცხრაზმა მოხსენებულია გიორგი მეფის მიერ გიორგი ჟურულისთვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1482. Qd—7118).

ცხრაზმის-ჭევი ცხრაზმის-ჭევის მამასახლისებისა და კრებულის გადაწყვეტილებით სამთავნელს შეეძლო დანაშაულის შემთხვევაში სურვილისამებრ დაეურვებინა (1459. Ad—559, 604).

ცხუკური ცხუკურს თორმანეული სასახლე და გლეხები გიორგი [იმერთა] მეფემ გელათს შესწირა (1568.VIII.30. Sd—2901).

ცხურისი (ცხვრისი) ნ. აზიკუნი (1523. Ad—1299-ა) .— ცხვრისს მდებარე ორი საკომლო შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375). — ცხვრისში ცხოვრობდნენ თეუდორა და ოსიყმა ტბელიშვილები და დათუნა ხიზანაშვილი (1688. Sd—547). — ნაზარალიხანმა იორამ ბარათაშვილ ზაალისშვილს უბოძა ცხვრისში მოსახლე ოსიყმა და თევდორე ტბელიშვილები და დათუნა ხიზანაშვილი მამულებით ([1698]. ქ.-სპ. საბ., № 163).

ძაბილური მამული იყიდა ნიტრიის სიონმა გიორგი მეფისაგან, ხოლო სვიმონ მეფემ დაუმტკიცა (1584. Sd—2909).

ძაბლეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებები (1459. Ad—559, 604).

ძაბოეთი ელიზბარ და შალვა ერისთავებმა მიიღეს და მის ძმას პაპუნას უბოძეს ძაბოეთს მდებარე აზანა წიპტაურისეული მამული (1661. Qd—66).

ძაგნაკორნა (ძაგანაკორნა) აქ მოსახლე 13 კომლი ყმის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — „ძაგნაკორნათა" ღაფირასძეული მამული უბოძა ალექსანდრე მეფემ ნუშრიბ სუმბატ ურდოელასშვილს (1417.IX.29. Ad—1601). — აქ მოსახლე შალვაშვილი და ხუტლიასშვილი მამისამ თავის ძმისწულ ზაქარიას დაუტოვა (1477. Hd—1354). — მდებარეობდა უღელტეხილთა გორასთან. ალექსანდრე [ჯახთა] მეფემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა აქ მდებარე „თორმეტი მთელი მამული" (1579. Sd—464).

ძალისი „ძალისს ზედგინიძეების სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს, ან უფროსის კაცის ცოლი, კაცზე მთელი შეკაზმული ცხენი, გარდასახურავი ერთი თავისი. ერთი წილკნელის, სუფრის იარაღი თავისის თასით წილკნელს მიართონ" (1669.VIII.5. Ad—526).

ძამაურა სოფელ ჯიმითის ერთი საზღვარი (1579. Sd—464).

ძარი აქ მდებარე ამოწყვეტილ მაჩაბლის კერძი მამული როსტომ მეფემ სებნია მაჩაბლის შვილებს — თამაზს, ლომკაცს და ბადურს — უბოძა (1656. VIII.1. Qd—8967). — აქ მოსახლე ტრამაევიძე და მისი ძმები მამულით მისცა ჯაზარალიბანმა ბიძინასა და დუშიას [ამილღამბა]რის და დავითის მიერ მოკლული ნათესავის სისხლის ფასად ([1688—1703]. Hd—2004).

ძარწემი აქ მდებარე ამოწყვეტილ მაჩაბლის კერძი მამული როსტომ მეფემ სებნია მაჩაბლის შვილებს უბოძა (1656.VIII.1. Qd—8967).

ძაღლაანი სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ძაღ[ლისი] შედიოდა ქავთარასძისთვის ნაბოძებ მირიანისძისეულ მამულში ([XIV- -XV]. Hd—14695).

ძაღლის-ქევი ნასოფლარი, [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

ძაძი-მონახტერი ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ედიშერს ერგო ძაძი-მონასტერში მოსახლე ზუბერტა ხუციშვილი, გოგია თანდილასშვილი და ოსიყმა ხუციშვილი მათი მამულებით. პაპუნას ხვდა აქვე მოსახლე სახეიტა ნასყიდასშვილი, დარჩია სოსებაშვილი და სებნია ნასყიდაშვილი მათი მამულებით ([XVII]. Hd—1636).

ძახორი აქ მცხოვრები ბატატი ძამაშვილი, ელიკა გოგიტიშვილი, ივანე ნადირაშვილი და ციხელა თ[ა]ვხელაძე მოწშეები არიან ბერის მიერ ლიპარიტიშვილებისთვის მიცემული ნაფუძრისა და სახლის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—9993).

ძეგვი (ძეგუ, ძეგური) [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფელი ძ ე გ უ ი ს შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა დავით გედევანიშვილს უბოძა ძ ე გ უ ს მოურაობა და აქვე მოსახლე ქარციძის 4 კომლი უშიდან 2 კომლი. ქარციძის დანარჩენი უმები სახასოდ „დაიდვა" (1640. Hd—14682). — დომენტი კათალიკოსმა დადო კრულობის წიგნი მცხეთის სვეტიცხოველისათვის ძეგვისა და ციხე-დიდის წაურთმეველობის შესახებ (1670.IV.15. ისტ. საბ., IV, გვ. 47—49). — კათალიკოსმა ნიკოლოზ ამილახორიშვილმა შეუცვალა ძ ე გ ვ ე ლ ებ ს დიდი კოკით დაწესებული კულტი თორმეტლიტრიანით; აგრეთვე უბოძა ძეგვის თავს ნასასახლარი ადგილი (1678. IV.12. Hd—2918). — ძ ე გ ვ ე ლ ი მერაბა ფეროზაშვილი არის მოწმე იასე მრელისშვილის მიერ რევაზ მაღალაძისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1689.XII.12. Qd—1349). — ნიკოლოზ კათალიკოსმა ძეგვის ზვრის თავს თლილი ქვის საყდარი ააშენა (1691.VII.25. ისტ. საბ., IV., გვ. 64). — აქ ქარვასლა განაახლა ნიკოლოზ კათალიკოსმა (1691.VII.25. ისტ. საბ., გვ. 64). — ძეგველი დემეტრე ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს (1700.VI.29. Qd—1348). — ნაზარალიხანმა, იოვანე კათალიკოსთან ერთად, განუახლა ამილბარ მაღალაშვილს ძეგვში მცხოვრები დემეტრეს ყმობა (1700.VII.19. Ad—1590). — ეწერა 15 სახასო მოლაშქრე „გაცემული" და 56 სახასო მოლაშქრე ([XVII] Ad—1631).

ძევერა (ძევერი) სოფელი, თეიმურაზ მეფემ იოთამ ამილახორს უბოძა ([1625—1632]. Hd—9429). — აქ მოსახლე ასადურა მამულით, ბერუა თავისი და ბიძამისის მამულით, „მიქელის კერძი" მამულით, ქრისტესია მამულით. „ახალშენი ბასგა" ორი ხოდაბუნით, იმერლის მამული და საბარამიშვილოში მისი კერძი სახნავი, ზურაბ ზედგინიძემ გივი ამილახორს მიჰყიდა (1759. Hd—2119). — გივი ზედგინიძემ თავის ყმას ქავთარ ეგაძეს უბოძა ძევერის მოურაობა (1647. Ad—1102).

ძევრეის-წყალი ბაგრატ მეფემ არჯევან ავშანდაძეს უბოძა სატყისმცველოდ ადგილი სკანდასა და გოგს დაღმა, სადაც ძევრეის-წყალი ერთვის ყვირილას. ფისისანს და ჩხარას (1452. Sd—521).

ძველ-აბანო მის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა თილქიაშვილის სამოსახლო ([XVII]. Sd—1936, 1922).

ძველ-დმანისი ბარათას ნაქონი სოფელი, სიმონ მეფემ ყაფლანბეგ ბარათაშვილს უბოძა სამკვიდროდ (1627.II.4. ქ.-სპ. საბ., № 25). — მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებული სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

ძველი შუამთა მისი საწინამძღვრო სოფელი მერე შუამთასთან საზიაროდ შესწირა ალექსანდრე [ჯახთა] მეფემ ალავერდს (1522. Hd—9494).

ძიმითი გურიაში, აქ მდებარე წმინდა კვირიკეს საყდარი შესწირა ვამეყ დადიანმა ბიჭვინტის ღვთისშობლის ეკლესიას ([XVII]. Sd—2925).

ძირულა პაპუნა წერეთელსა და დავით ამირეჯიბს შორის დავის გარიგებით ჯვარს აქეთ ძირულამდე მოკრეფილი ღალის ნახევარი ულუმბის ღვთისშობლის ეკლესიას მიეკუთვნა ([1664—1697]. Hd—2489).

ძლევის ჯვარი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული სოფელი ჩეკურნნი, რომლის დასავლეთის საზღვარი იყო ძლევის ჯვარი (1579. Sd—464).

წ

წაბლუანა (წაბლოვანი, წაბლოანი) გიორგი [იმერთა]მეფემ დაუმტკიცა ბოქაულთ-უხუცეს დავით დავითიშვილს წაბლუანას მფლობელობა ([1615—1619]. Hd—14633). — წ ა ბ ლ ო ვ ა ნ ს მდებარე თავისი კერძი მამული ორი კომლი კაცით მიჰყიდა გიორგი დავითისშვილმა ავთანდილ მარტიროზასშვილს და მის ძმებს (1629.III. Hd—6356). — სოფელი წ ა ბ ლ ო ვ ა ნ ი გიორგი ამირეჯიბს და დავითს უნდა გაეყოთ ([1632—1642]. Qd—8237). — როსტომ მეფემ უბოძა კოსტანტილე დავითის შვილს წ ა ბ ლ ო ა ნ ს მდებარე მამული. ადრე ეს მამული ამირეჯიბის იყო (1642. Sd—603). — წ ა ბ ლ ო ა ნ ე ლ ნ ი მოწმენი არიან როსტომ საღრიძის მიერ ბერი ენუქაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Qd—8159).

წავკისი ნ. მეორე წავკისი (1398.XII. Hd—8712). — სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — წ ა ვ კ ე ლ ე ბ ი იყვნენ ბერინ და ბაინდურ ავაქაშვილები (1661. IV.16. Sd—751). — სოფელი, ძველად სვეტიცხოველისთვის იყო შეწირული. დროთა განმავლობაში სვეტიცხოველმა იგი დაკარგა. ლევან და გიორგი ბატონიშვილებმა ხელახლა შეწირეს (1677.V.7. ისტ. საბ., IV, გვ. 53—54).

წალდევი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

წალკა ქრისტეფორე ქართლის კათალიკოსმა თბილელ ელისეს ჩააბარა ს ა წ ა ლ კ ე ლ ო შ ი შემავალი ზედა თრიალეთის სოფლები, რომელთა შემოსავალი ნახევარი თბილელისა უნდა ყოფილიყო, ნახევარი — სვეტიცხოველისა ([1638—1660]. Ad—47). — წ ა ლ კ ე ლ ი ქრისტეფორე არის მოწმე და დამწერი გიორგი საკაძე მოურავიშვილის მიერ პაპუნა თუხარელისთვის მიცემული სასახლე მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678. Sd—63).

წამხარი მამია დადიანმა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა სასახლე წამხარში ([1510—1548]. Ad—2218).

წარუთი პაპუნაბეგ ბარათაშვილ ყაფლანისშვილმა იოსებ თბილელს დაუბრუნა (1671. Ad—85).

წარქვალი ბაგრატ მეფემ ყუდანათ წერეთელს უბოძა აქ მოსახლე იორდანე, გიორგი და გოჩოლა ჭიტაძეები მათი მამულით და გოჩა და შოშიტა მახათაძეები მათი მამულით (1678. Hd—14781).

წასადეგი პაპუნა ბალნაშვილმა მიჰყიდა პაპუნა დედაბრიშვილს „ზეითი და ქვეითი ნაფუძარი წასადეგზე“ (1684. Hd—6775).

წაქვ (წაქვა) ბაგრატ მეფემ განუახლა წ ა ქ უ ე ლ ე ბ ს გამოსაღებთა ამოქვეითის წიგნი (1392. Hd—7346-ა). — თეიმურაზ მეფემ უბოძა ბატონ ლევანს და მის სიძეს ამილღამბარს წ ა ქ ვ ა ს ხაჩიძეები, გოგოლაძე, მგელაშვილი და გრიგალაშვილი (1628.X.30. Hd—14680).

წალმა-ბაზარი ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბრძანა გრემისა და წალმა-ბაზრის მოურავს, არ გამოართვას ერთი საპალნე აბრეშუმი ნინოწმინდის ეკპარს ნიშანას (1591. ქ.-სპ.. საბ. № 17).

წალული ნიკოლოზ კათალიკოსმა მცხეთის სამწყსოს შემატა (1691.VII.25. ისტ. საბ., IV. გვ. 64).

წედისი წედისს, ატენს, ოლოზღუარებს, ჯოხისს და ბნავისს მდებარე სურსან თურმანიძის მამული თეიმურაზ მეფემ იოთამ ამილახორს უბოძა. ეს მამული იოთამს სურსან თურმანიძის ცოლის ქეთაონის გარდაცვალების შემდეგ უნდა დაეკავებინა (1631. Hd—2122). — ატენელი ზაქარია ამბრისშვილი შეევედა წედელებს საზღვარზე (1650. Sd—531). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული ოცი კომლი ყმა. აქვე ორი კომლი ყმა ჰყავდა ქაიხოსროს ([1658—1675]. Hd—14534-ბ). ნაზარალიხანმა უბოძა მდივან გივი თუმანიშვილზუბიაშვილს წედისის მოურაობა (1688.XII.27. Hd—1999). — აქ მდებარე ვენახი მიჰყიდა ივანე ბერუაშვილმა გელია ბერინაშვილს ([XVII]. Qd—746).

წევა როსტევან რჩეულასძემ შესწირა ვანის ქვაბებს „წევის ბოლო" ([XV]. Ad— 933-$_{10}$). — სოფელი, მისი წყალობა განუახლა გიორგი მეფემ გოგია და გოგნია მაჭავარიან-სიქდურიშვილებს (1452.VI.12. Ad—1564).

წერაქვი ნ. ზემო წერაქვი (1696.IV.13. Hd—6357). — აქ მცხოვრები ევანეზა მირუაშვილი მამულით წილად ხვდათ ამილღამბარსა და გოსტაშაბს ([XVII]. Hd—13611). — აქ მოსახლე ევანეზა სებუაშვილი ერგო ამილღამბარს ([XVII]. Hd—13622). — აქ მოსახლე აზატა ფირუაშვილი მამულით წილად ხვდა ბეჟანს ([XVII]. Hd—13622). — აქ მცხოვრები თამაზა შიხუაშვილი მამულით ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13625). — აქ მცხოვრები მიტიჩა და აქვე მდებარე ხეჩუა ჯავახიშვილის მამული ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13630). აქ მცხოვრები კირაკოზა შავერდაშვილი ძმებითა და მამულით ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13634). — აქ მდებარე შათირაშვილის მამული ერგო ამილღამბარს „აყრილების საუარესოდ" ([XVII]. Hd—13639). — აქ მცხოვრები ჯანუა ერგო ამილღამბარს ([XVII]. Hd—13640). — აქ მდებარე ბოლოზას მამული ხოდაბუნზე მდებარე მიწითურთ ერგო ბეჟანს ([XVII]. Hd—13642). — აქ მოსახლე არუთინა მარჭოსაშვილი და ვანუა აბდულაშვილი მამულებით წილად ხვდა ბეჟანს ([XVII]. Hd—13609).—აქ მცხოვრები ერაპეტა სადალაშვილი ხვდა ამილღამბარს ([XVII]. Hd—13603).

წერო აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული ორი კომლი მოსაურე ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

წეროვანი (წეროიანი) სოფელი. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს წეროვანის და გოროვანის შეწირულება (1559.X.II.1. Ad—1572). ელიოზის-ძე გედევანისშვილები ვენახის გაშენებაში დაეხმარნენ წ ე რ ო ვ ნ ე ლ ე ბ ს, რის სანაცვლოდაც დავით გედევანისშვილის სულის მოსახსენებლად აღაპი დაწესეს (1644.VII.25. სოც. დოკ., I, № 37). — ნიკოლოზ კათალიკოსმა წ ე რ ო ი ა ნ შ ი მარანი ააშენა (1691.VII.25. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — აქ მდებარე კარის ეკლესია ნიკოლოზ კათალიკოსმა პატა ჭარმეულს

სასაფლაოდ უბოძა (1693. ისტ. საბ., გვ. 69). — ეწერა 29 საბასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

წვერი წ ვ ე რ ე ლ ი მაზია სადე[ბა]სშვილი მოწმეა თამაზა მგელიტასშვილის მიერ მამულა და გულია ვარამისშვილებისთვის მიცემული ნაენახების ნასყიდობის წიგნისა (1696. Ad—981).

წვერ-წვერა (წვერ-წვერი) თევდორე მღვდელს გაგულამ, მახარამ და გოგლამ მამის საორმოცედ მისცეს მიწა მთაზე. საზღვრები: „წვერ-წვერის მიწის ბოლოს შავებიდან რომ გზა ამოდის ბადრიაშვილის მიწის საზღვრამდე და იმას ჩქით შავების წვერ-წვერამდე, სადაც გუთანი მიუდგება, თავისი ტყითა და სამატით, ქვეყით დამპალ წყლამდე“ ([XVII]. Hd—1639-გ). — თევდორე მღვდელს საფარმა მეუღლის საორმოცედ მისცა ერთი დღის მიწა მთაზე. საზღვრები: „ჭიაჭიპას წყლიდან იმისი ხევი რომ შეიტანს, აქეთ პირალმა მღვდლის წვერ-წვერის მიწამდე“ ([XVII]. Hd—1639-ა). — წვერ-წვერის მიწა იყო ერთი საზღვარი თევდორე მღვდლის მიერ საგინასა და მღთისასგან ნასყიდი მიწისა ([XVII]. Hd—1639-ე), ნ. ჭიაჭიპას ხევი ([XVII].Hd—1639-ბ, Hd—1639-ვ).— „ერთი იქით ნაპირს წ ვ ე რ-წ ვ ე რ ი რომ ჩაიღის, წილად ერგო ბეჟანს“ ([XVII]. Hd—13613).

წვინარეხი „დევაური არის წვინარეხისა“ ([XVI—XVII]. Hd—14658).

წვრილი ღელე ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სოფელ ჯიმითის შეწირულება სვეტიცხოველს. საზღვარი „ფხოელთაკენ, ლაკუათ პირს ჩავლით“ იყო წვრილი ღელე (1579. Sd—464).

წიას-წყალი [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ერისთავისგან შეწირული წიას-წყალი (1559.XII.1. Ad—1572). — აქ მოსახლე არჩევძეები ნიკოლოზ კათალიკოსმა სხვა გლეხებთან და მამულებთან ერთად მისცა ხურისუბნის სანაცვლოდ ეახტანგ ბატონიშვილს (1574.III.14. Ad—1654).

წითელანი სოფელი შავწყლის პირზე, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

წითელ-ეკლესია (წითელი ეკლესია) ტაშირში მდებარე წითელ-ეკლესია როსტომ მეფემ ყაფლან ბარათაშვილს უბოძა (1657. ქ.-სპ. საბ., № 115). — ნ. ნაქალაქ-ეკლესია (1665.IX.22. Hd—2433).

წითელი კლდე ნ. ჯიგრაშენი (1636. Qd—1988).

წითელი საყდარი ნ. მილისი.

წითელი ღელე ნ. ჯიგრაშენი (1636. Qd—1988).

წითლობი სვიმონ გურიელმა შესწირა აჭის წმინდა გიორგის მონასტერს წითლობი ნაცხავატევისა და ნაბადაის სერს შორის და ადგილი ტყემავარის ჯვარს წითლობამდე (1614.XI.3. საისტ. მოამბ., I, 1925, გვ. 184—185).

წითროლეთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

წილკანი იოანე წ ი ლ კ ნ ე ლ ი ხელს ურთავს ალექსანდრე მეფის მიერ მალის ამოკვეთის წიგნს (1440. Hd—1368). — წ ი ლ კ ნ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ობ ე ლ ს ზურაბ ერისთავმა შესწირა ბოდორნა და კოჟლაძე (1629.IX.12. Sd—2907). საბუთში დადგენილია წ ი ლ კ ნ ე ლ ი ს პატივი მუხრანბატონის კარზე, აგრეთვე წ ი ლ კ ნ ე ლ ი ს სამწყსოს გამოსაღებები და ჯარიმა. წ ი ლ კ ნ ე-

ლია რომანოზ, ხოლო საბუთი დაწერილია წილკნელი დეკანოზის მიერ (1669.VIII.5. Ad—526).

წიმოეთი (წიოშეთი) დათუნა გედიაშვილს აქ ორი კომლი ყმა ჰყავდა, ციცის — ოთხი მოსაურე ყმა, ხოლო მაზიტას — ოთხი კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

წინა-განი თეიმურაზ მეფემ უბოძა ბატონ ლევანს და მის სიძეს ამილღამბარს წინა-განს მცხოვრები რიკაძეები (1628.X.30 Hd—14680).

წინანდალი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა მცხეთას ძველად შეწირული მიწა სამგორში, რომლის საზღვარი იყო წინანდალსა და ხოდაშენს შუა ოლე (1579. Sd—464). — კისისხველთა და ხოდაშენელთა მამულის გამო დავის გარიგების წიგნით წინანდლის ბოლო დარჩათ ხოდაშენელებს (1654. Hd—8389).

წინარეხი მონასტერი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

წინარეხი (წინარეკი) სოფელი, როსტომ მეფემ დაუმტკიცა პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს წინარეხის ბოლოს მოურავ საყაძის ნაქონი სასახლე და ზვარი (1635.IX.10. ჯ.-სპ. საბ., № 53). — წინარეკს მოსახლე თევდორე უკუწირიძე იყო მოფიცარი მერაბ ყორღანაშვილსა და თბილელ საგინაშვილს შორის ფიცხისზე დავის თაობაზე (1635.XI.14. ისტ. საბ., გვ. 21—22). — საყაძისეული სოფელი, გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის“ დროიდან სახასო გახდა, ხოლო როსტომ მეფემ იორამ საყაძეს უბოძა (1652. Hd—13956). — აქ და კაეთისხევში ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 10 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — აქ მოსახლე ბერძენა და გოგია ფერისაძეები კახიშვილის ფარდად ერგო ზალს ([XVII]. Hd—10163). ეწერა 5 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

წინაუბანი შაჰნავაზმა უბოძა როშან ჩოლაყაშვილს აქ მოსახლე თუში მახო და სუტა ბალთურები (1665. Hd—2244).

წინვენახი (წინვენაკი) სოფელი, სიმონ მეფემ იოანე და ამილღამბარ ბარათაშვილებს უბოძა აქ მოსახლე 3 კომლი ყმა (1591. Hd—8437). — წინვენაკში ცხოვრობდა ბერიკა ქუდრეგანაშვილი (1688. Sd—547). — ნაზარალიხანმა იორამ ბარათაშვილ-ზაალისშვილს უბოძა აქ მცხოვრები ბერიკა ქუდრეძვენაშვილი მამულით ([1698]. ჯ.-სპ. საბ., № 163).

წინზახორი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

წინსაგარეჯო ნ. საგარეჯო (1597. Hd—1377). წინსაგარეჯოელებმა ფიცი დადეს ვაჩნაძის, ჯანდიერიშვილის, ჭავჭავაძის და კათალიკოსის მამულზე დავის გარიგების გამო (1654. Hd—8389).

წინუბანი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

წინუბანი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

წინუბანი ბაგრატ მეფემ ზაქარიას, ციცის და თაყა ფანასკერტელებს უბოძა გივიაშვილების 95 დღის მიწა წინუბანში (1511. Hd—2118). — [სიმონ] მე-

ყემ განუახლა სვეტიცხოველს ატენში წინუბნის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572).

წინუბანი ეწერა 9 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

წინწყაროო ვარაზა მეჯინიბეთ-უხუცესისა და ოთარ ბარათაშვილის შიოშთან ეა სამ ფარეშთ-უხუცესთან ჩახევის გაყოფის შემდეგ, ჩახევის ზედა ნაწილი წინწყაროს საზღვრამდის ერგოთ ვარაზასა და ოთარს (1671.IX. Hd—8809).— ქაური მამასახლისი ამრუა არის მოწმე გიორგი მიქალაძის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისთვის მიცემული დავის გარიგების წიგნისა (1688.VI.11. Hd—2055). — ხვარაშანისგან დაწესებული ულუფით მანგლისის ღვთისმშობელს ყოველ წელიწადს წინწყაროდან ხუთასი შაური უნდა მიეღო (1694. Ad—1506-ბ).

წირა-მთა გუდარეხელების და ღორისთაველთა ბედენის მთის საზღვარზე დავის გარიგებით „რასაც ჰიქვავის წყალი ნათლისმცემლის ქვე წირა-მთისკენ დაიქცევს, ის ღორისთაველთ დარჩათ (1653.VI.10. Hd—14671).

წირდალი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — აქ მცხოვრები ორი კომლი გლეხი შიოშა ზარიძის შვილები და მათი განაყოფი გულბათა ძმებით ალექსანდრე [კახთა] მეფემ შესწირა მცხეთის სვეტიცხოველს (1570. Hd—1557). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული წირდალი (1579. Sd—464). მოხსენებულია საჩივრის წიგნში ([XVII]. Hd—3683).

წირი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

წირქვალი წ ი რ ქ ვ ა ლ ე ლ ი რატი გლონისთავაძე არის დამწერი გიორგი მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის სოფლის გლეხებისთვის მიცემული სათათრო მალის ამოკვეთის წიგნისა (1468.III.22. Hd—1370).

წიფა აქ ცხოვრობდნენ ქენაძეები, ჟამერა ჟამრაშვილი შვილებით, ელიაზარაი, ინდუა, სვიმონა, ბეჟანა, ბერა შვილებით (1584. Sd—2909).

წიფელას ჯვარი გიორგი [იმერთა] მეფემ კაცხის მონასტერს შესწირა სოფელი ეკევეი, რომლის საზღვარი ღუითორისკენ წიფელას ჯვარი იყო (1615. ქუთ. მუზ., № 125).

წიწამური თაყა ქარუმიძე იყო წიწამურის მოურავი ([XIII—XIV]. Sd—140). — ნ. ჯვარი (სოფელი) (1559. Hd—8729). — საგურამოს წიწამური მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

წმიდა არჩილის მონასტერი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ერწოში მდებარე ძველად შეწირული წმიდა არჩილის მონასტერი — სამარხო (1579. Sd—464).

წმიდა გიორგის მონასტერი (კლესია) სიონს გალმა მდებარე წმიდა გიორგის მონასტრის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — ასლან ყარაშვილი შეეცილა ქადაგ გედეონ მაღალაძეს წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს მფლობელობას (1537. ისტ. საბ., 11, გვ. 36). — ერწოში მდებარე წმიდა გიორგის მონასტრის შეწირულება დაუმტკიცა ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს (1579. Sd—464). —

ნ. კახეთი (1664. აქტები, I, გვ. 21).—წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს დეკა-ნოზია ათანელ (1674.15.XII. Ad—1613). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს რაჭაბს მდებარე წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ს ა ყ დ რ ი ს შეწირულება (1579. Sd—464).

წმიდა დავითის ეკლესია ქართლის კათალიკოსმა ქრისტეფორემ წმიდა დავითის მამული უბოძა რამზო რატიაძეს. ამის სანაცვლოდ წმიდა დავითმა კვირიკასშვილის მამული მიიღო (1648. Ad—358). — კახეთის ეპისკოპოსების, ნიკოლოზ ამბა-ალავერდელის, დურმიშხან სახლთუხუცესის და რევაზ ქიზიყის მოურავის გადაწყვეტილებით წმიდა დავითის ეკლესიის ყმები გადასახადისგან იქნენ გათავისუფლებულნი (1696. აქტები, I, გვ. 25—26). — არაგვის ერისთავის შეუღლემ თამარ ციციშვილმა წმიდა დავითს წლიური ულუფა გაუჩინა ([XVII]. Ad—350). — ნ. დავით გარეჯის მონასტერი.

წმიდა დედაქალაქი ნ. იერუსალიმი ([1650—58]. Hd—11207).

წმიდა ევსტათის ეკლესია (წმიდა ესტატე) მარეხმა შესწირა მამული ერთაწმინდაში (1624. სოც. დოკ., I, № 23). — მაჰნავაზმა გაათავისუფლა წმიდა ევსტათის ტაძარი სათათრო საურის გარდა ყველა გადასაბადისაგან (1666. აქტები, I, გვ. 22—23). — ფარსადან ფანასკერტელ-ციციშვილმა მეუღლის დარეჯან ბატონიშვილის გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებით წმიდა ევსტატეს შესწირა უმამულოდ საბია სასნანაშვილი შვილებითა და ძმისწულით და წელიწადში 3 ლიტრა ზეთი ან მისი საფასური (1684.III. Hd—1739).

წმიდა თევდორეს ტაძარი ერისთავთ-ერისთავმა ქვენიფნეველმა შესწირა ზატიკნი (1607. Ad—2181).

წმინდა იაკობის მონასტერი ნ. იერუსალიმი ([1650—1658]. Hd—11207).

წმიდა კვირიკეს საყდარი მდებარეობდა გურიაში, ძიმითს. ვამეყ დადიანმა დეკანოზით ბიქვინტის ღვთისმშობელს შესწირა ([XII]. Sd—2925).

წმიდა ნიკოლოზი ციციშვილების სამარხი იყო (1659.V.18. Ad—790). ზაზა [ციციშვილმა] მისი მამული უსამართლოდ დაიჭირა, რის გამოც გამოედავა პაპუნა ციციშვილი ([XVII]. Ad—1347).

წმიდა სამების საყდარი შედიოდა რუსთველის საეპისკოპოსოში. მისი ყმები როსტომ მეფემ სამეფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა (1651. Ad--597).

წმიდა სოფიოს ტაძარი ნ. ქუთათისი ([1510—48]. Ad—2218).

წნისი თამარმა იერემია მაწყვერელს შესწირა აქ მოსახლე შოთაშვილები მამულით და თევდორას ნაჭონი სახლ-კარი (1575. ისტ. საბ., II., გვ. 47).

წნორი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება სოფ. ჯიმითისა, რომლის ერთი საზღვარი იყო „გაწყუეტილა წნორის მიდგმამდე" (1579. Sd--464).

წოდორეთი საბარათიანოში, ლუარსაბ მეფემ უბოძა იესე ჯავახიშვილს აქ მდებარე ფეზიასეული მამული (1608.IX.7. Hd—14700). — აქ მოსახლე გლეხები — სვიმონა, გულია და ხიმშია — მამულებით ეკუთვნოდნენ ზაქარია ჯავახიშვილს (1624. Hd—14693). — ბახუტა უსუნბეგიშვილმა წ ო დ ო რ ე ლ ქრისტესია სვიმონაშვილს მიჰყიდა აქ მდებარე ნავენახობი და ნაფუზარი (1632. Sd—28). — სოფელი, მოურავმა საკაძემ იყიდა ჯავახიანთაგან, როსტომ მეფეს

დაუმტკიცა პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს (1635.IX.10. ქ.-სპ. საბ., № 53). — წ ო დ ო რ ე ლ ი იყო მახარებელი სულხანაშვილი (1641. Sd—496).— პაატა ყორღანაშვილი შეეცილა მახარებელ სულხანაშვილს წოდორეთს მდებარე სულაურის ნაქონ ორი დღის მიწას, რომელიც მახარებელს ნასყიდი ჰქონდა სულიასგან (1642.II.12. Sd—1014). — წ ო დ ო რ ე ლ ნ ი არიან მოწვენი საბოსტნე მიწის ნასყიდობისა (1646. Sd—13). — აქ მდებარე ბუმაზაშვილის ნაქონი ნახევარი დღის ნავენახობი და ორი დღის ნაფუზარი მიჰყიდა ბახუტა უსურბეგიშვილმა პაპუნა სულხანაშვილს. ყორღანაშვილებმა ეს მიწები სულხანაშვილს ძალით წაართვეს. ამ საბუთით როსტომ მეფემ წოდორეთის მამულის მფლობელობა კვლავ აღუდგინა სულხანაშვილს (1648. Sd—31). — როსტომ მეფემ განუახლა ფარეშთ-უხუცეს პაატა ჯავახიშვილს წოდორეთს მდებარე მისი სამკვიდრო მამულისა და არდაზიანდიშვილისგან მოსყიდული მამულის მფლობელობა (1651. Hd—14426). — როსტომ მეფემ როინ ჯავახიშვილს უბოძა წოდორეთში პატას წილის გარდა ჯავახიშვილების მამული და მარკოზ ხუცესი ძმებით. ეს მამული მანამდე, დროებით, გარსევან და ფრიდონ ყორღანაშვილების ხელში იყო (1653. Ad—951). — სოფელი, აქ მდებარე სასახლე და მამული, ხუდადური სავენახე, მგელიასეული ორი დღის მიწა — საქორია. საკირის მიწა — ერთი დღისა, ბერის ორი დღის მიწა, სოფლის თავს ერთი დღის ნაფუძარი, ზედა კრავას სამი დღის მიწა, საყდართან ორი დღის მიწა და სამი დღის ახო მიჰყიდეს სვიმონ და ბასილა სულხანაშვილებმა ჯავახიშვილებს (1672.V.1. Hd—2629). — ბასილა სულხანაშვილმა მიჰყიდა ზურაბ ჯავახისშვილს წოდორეთში სასახლე და ხუდადური სავენახე ნასყიდას და ჟამიერასშვილის საზღვრამდე (1672.V.9. Ad—967). — აქ მდებარე მკვიდრი და ნასყიდი მამული სულხანაშვილებმა ზურაბ თუმანიშვილს მიჰყიდეს (1673. Ad—2246). — სოფელი. ნიკოლოზს და ბეჟანს აქ ერთი კომლი ყმა ჰყავდათ (1680. Qd—610). — სვიმონ სულხანაშვილმა ზურაბ ჯავახიშვილს წილში ნარგები მამული მიჰყიდა (1680. VI.22. Ad—948). — ჯავახიშვილების ყმებმა სულხანაშვილებმა აქ მდებარე მამული თუმანიშვილებს მიჰყიდეს (1681.VII.20. Qd—9037-იგ). როსტომ მეფემ ჯავახისშვილის სიკვდილის შემდეგ სულხანიშვილები წოდორეთიდან აჰყარა და აღლაბარში დაასახლა. სულხანიშვილებმა წოდორეთში ნაქონი მამული თუმანიშვილებს მიჰყიდეს (1681.VII.20. Hd—6242, 2602). — წოდორეთში კვირაცხოველთან გოგია შოშიტაშვილისგან ნასყიდი ერთი დღის მიწა ნადირა მირზაშვილმა ივანე სულხანაშვილს მიჰყიდა (1686. Sd—149). — ზურაბ ჯავახიშვილმა ყალანდარ თუმანიშვილს პაპუნა მირიანასშვილის აქ მდებარე 15 დღის მიწა მიჰყიდა (1696.VII.3. Qd—9037-თ). — ნაზარალიხანმა სულხანიშვილების სამკვიდრო და ნასყიდი მამულები წოდორეთში თუმანიშვილს დაუმტკიცა. ამ მამულის მეზობელ წილს თუმანიშვილს ეცილებოდა შერმაზან ჯავახიშვილი (1699.VI.25. Ad—2246). — მდივნებმა ზურაბ და სულხან თუმანიშვილებმა სულხანიშვილებისგან იყიდეს მამული წოდორეთში (1699. Hd—9343). — აქაურ იასე ხუცესს ბახუტა ჯავახიშვილმა ღალა ამოუკვეთა და კახეთს წასული ლაზარას ნაქონი სასახლე უბოძა ([XVII]. Hd—14987).

წოლდი აქ მოსახლე სამი კომლი კაცის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

წროში სახლთ-უხუცესს აქ ორი კომლი ყმა ჰყავდა, ბასილს — 1 კომლი. აქვე ცხოვრობდა სარდლის ყმა ჭაჭნიძე ([1658—1675].Hd—14534-ბ). — ციცის აქ 9 კომლი სახასო ყმა ჰყავდა, ალექსის — 7 ([1658—1675]. Hd—14534-ა).

წუვერი წ უ ვ ე რ ე ლ ი ხატისა ახუსიაშვილი არის მოფიცარი თბილელ საკინაშვილსა და მერაბ ყორღანაშვილს შორის ფიცხისზე დავის თაობაზე (1635. XI.14. ისტ. საბ., IV, გვ. 21—22).

წუღრუღაშენი წუღრუღაშენის ზვარს მართებდა 45 საპალნე და ორმოცი საპალნე კულუხი (1689. Sd—1932-ბ).—წუღრუღაშენის ზვარს მართებდა 50 საპალნე და სოფელს 50 საპალნე კულუხი (1690. Sd—1932-გ).—წუღრუღაშენის ზვარს მართებდა კულუხი ([1691]. Sd—1932-დ).

წუწუნარი მამული, ლევან დადიანმა ხოფის ტაძარს შესწირა ([1616—1657], Hd—1551).

წუალაურთ-კარი შედიოდა წილკნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებელი (1669.VIII.5. Ad—526).

წუალიძგა (წუალიგზა) წუალიძგას სასახლე, მელია პიპილეი და დოქუდარ ჩიგორავა ლევან დადიანმა ბიჭვინტას შესწირა (1628. Sd—2904). — წ უ ა ლ ი ძ გ ზ ა ს მოსახლე საეკლესიო გლეხებს სანთელი ჰქონდათ დაკისრებული ([XVII]. Hd—11221). — რიონის პირზე, წუალიძგას მდებარე კათალიკოსის სასახლე შეწირული იყო ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი ([XVII]. Hd—11226).

წუალტუბო მის გაღმა მდებარე სასახუნდროები და სანადიროები გიორგი მეფემ დავით წულუკიძეს უბოძა (1570. Hd—2270).

წუალშატროანი (წუალშატროვანი, წუალშატროანა) დემეტრე მეფემ ჩამოართვა შიო-მღვიმის მონასტერს, ხოლო გიორგი მეფემ უკანვე დაუბრუნა (1170. Hd—1351). — სოფელ წ უ ა ლ შ ა ტ რ ო ვ ა ნ ი ს შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — [სიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ნასოფლარ წ უ ა ლ შ ა ტ რ ო ა ნ ა ს შეწირულება (1559. XII.1. Ad—1572).

წუარო-მრავალი სოფელი, მდებარეობდა მარმაშენის თავს. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

წუაროსთავი ანტონ ჭყონდიდელმა აქ მდებარე ორი დღის მიწა თანასწორად მისცა გიორგისა და იაბერს ([1202]. Ad—81).

წუარ-წუარო ნ. ცოვრეთის ხევი ([1606—1615]. Hd—1554-ბ).

წუისერი აქ ცხოვრობდა ფუცურაძე (1432. Sd—2886).

წულულეთი (წულურეთი) მის ფარდად ყაფლან [ორბელიანს] წილად ხვდა წუნეთა ([XVII]. Sd—1936, 1922).

წუნეთა ნ. წულულეთი ([XVII]. Sd—1936, 1922).

წუნეთი წ უ ნ ე თ ე ლ ი მახარა მუქაფაშვილი მოწმეა მახარე გამაზიდაშვილის მიერ ქალაქის მელიქ ენალასთვის მიცემული ყმობის წიგნისა (1665.IV. პრც. დოკ., I, 51. კვ. 38). --- ედიშერ [ციციშვილს] ერგო წუნეთში: ბეროა გუ-

ლიასშვილი მამულით, შემაზასშვილის მამული, ხოსიტა და მუქაფა ნადირასშვილები მამულით, მიქელა ოქიტასშვილი, კახისშვილის მამული, ქიტა ბერიკასშვილი, ბარათას მამული და რომანუზას მამული. პაპუნას ერგო: მიქელა ადოასშვილის მამული, თამაზა ასიტასშვილი და მისი ძმები მამულებით, მამუკასშვილი მამულით. თანდილა, შერმაზან და ნადირა თამარასშვილები მამულებით ([XVII]. Hd—1636).

წყონარი ბაგრატ მეფემ განუახლა მთის წმიდა გიორგის ეკლესიას აქ მოახლე მითათაშვილები და ჭლივაძენი (1491.VIII.20. Sd—2898).

ჰ

ჰავჰავისი საყაძისეული სოფელი, გიორგი საყაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ სახასო გახდა. შემდეგში როსტომ მეფემ კვლავ იორამ საყაძეს უბოძა (1652. Hd—13956). — როდესაც დიდი მოურავი საქართველოდან გადაიხვეწა, საყაძეების მკვიდრი მამული ჰავჰავისი გორგაძეებმა და რთველიაშვილებმა პაპუნა ჩივაძისგან იყიდეს. მას შემდეგ, რაც როსტომ მეფემ ჰავჰავისი კვლავ უბოძა საყაძეებს, თარხანმა იორამმა გორგაძეებსა და რთველიაშვილებს პაპუნა ჩივაძისთვის მიცემული ფასი უკან დაუბრუნა ([1677—1688]. Hd—1446).

ჰალადიდი აქ მოსახლე მახარობელი ლომაია ლევან დადიანმა ბიჭვინტას შესწირა (1628. Sd—2904). — ჰალადიდის ნახევარი ბაჟი შესწირა ლევან დადიანმა ხოფის ღვთისმშობელს ([1611—1657]. Hd—1551-ა).

ჰალა-ტყე აქ მოსახლე ურია იოსებაი შესწირა გულბუდახ ჩხეტიძემ კაცხის ეკლესიას ([1610—1630]. საისტ. კრებ., III, გვ. 51—52).

ჰალის ზვარი მართებდა 12 საპალნე (1689. Sd—1932-ბ). — მართებდა 13 საპალნე (1690. Sd—1932-გ). — იხსენიება გადასახადების ნუსხაში ([1691]. Sd—1932-დ).

ჰალის-თავი სოფელი ჭიშურას გამოღმა, ბაგრატ მეფემ ბიჭვინტის ღვთისმშობელს შესწირა ([1510—1548]. Ad—2218). — სოფელი, ბაგრატ მეფემ გასცა მისი შეწირულობის წიგნი ([XVI]. Sd—2896).

ჰალის-უბანი აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული სამი კომლი ყმა და მოაღაპე-მოსაურე ღომიტა ([1658—1675]. Hd—14534-ა). — დემეტრე რიზმანაშვილს აქ ორი კომლი ყმა ჰყავდა ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — ედიშერ და პაპუნა [ციციშვილებს] გაყრისას უნდა გაეყოთ ჰალას-უბანში — კაკონაია და გოგილას მამულის ნახევარი და გელტუჩას ნაქონი ხატის ნაზვრევი ნიგეზნარი, საბლ-კარი და ჰალა ([XVII]. Hd—1636).

ჰანაჰახი გულშარა დედოფალმა ნოსტეს გულია რომალისშვილისეული სასახლე ივანე საყაძეს გაუცვალა კავთისხევში ერთი დღის ბეცლელაურის მიწაზე (1482 (?). საისტ. კრებ., IV, გვ. 69—70).

ჰანდა-გორა ნასყიდა გოგშაძემ და დათუნა მეფარიძემ მიჰყიდეს ბერინას ზარიძეს გრძელას მიწა ჰანდა-გორამდე (1680. Ad—643-ა).—ნასყიდა შავერდა-

შვილმა მიჰყიდა ბერიხა ზარიძეს ნასყიდი მამული გრძელას მიწა ჰანდა-გორამდე (1680. Ad—643-ბ).

ჰანდარი (ჰაანდარი) გიორგი მეფემ გიორგი მიქელაძეს უბოძა ჰანდარში დურმიშხანისეული ნასოფლარისა და მიწის მესამედი (1688. Sd—547).—დურმიშხან ფალავანდისშვილის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ გიორგი მეფემ უბოძა პაპუნა გოშტაშაბიშვილს დურმიშხანის მამული ჰ ა ა ნ დ ა რ შ ი. მიქელაძისთვის ნაწყალობევის გარდა (1688.V.4. Qd—2025). — აქ მოსახლე ორი კომლი სუხიტაშვილები მიჰყიდა ქაიხოსრო ქაიხოსრო შვილმა პაპუნა გოსტაშაბიშვილს ([XVII საუკ. II ნახ.]. Hd—1751).

ჰანეთი კათალიკოსის „სამწესო“ იყო ლიბსა და კაფას შუა, რუსეთსა და ჰ ა ნ ე თ ს შუა ([1510—1548]. Ad—2218).

ჰაობი ნასოფლარი, წილად ხვდა ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

ჰაპალა შაჰნავაზმა უბოძა ელიზბარ სოლღაშვილს (1664.VII.25. Sd — 752). — სოფელი, შაჰნავაზმა დაუმტკიცა ზაალ, ქაიხოსრო და ელიზბარ სოლღაშვილებს (1671. Sd—32).

ჰარანი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ხუთი საკომლო ჰარანში (1579. Sd—464).

ჰართალი აქ მდებარე ნაობარი მამული ზაალ [ბარათაშვილის] სულის საალაპედ შესწირეს ([1574—1605]. Hd—13903).

ჰარტალი ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა გიორგი მამუკასშვილ აბაშიძეს მისი ბიძის ღაბუას წილი მამული ჰარტალი (1677. ქუთ. მუზ., № 455).

ჰატი სოფელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა დაეითგარეჯის მონასტერს ([XV]. Ad—2050).

ჰაშლათი აქ მოსახლე ჰუნჭულაძეებს და ქიმმეიძეთა შეწირულობა განუახლა ბაგრატ მეფემ მთის წმიდა გიორგის ეკლესიას (1491.VIII.20. Sd—2898).

ჰაჰისეული პარტაბტი მდებარეობდა ჩუნეშს. გიორგი [იმერთა] მეფემ გულათს შესწირა (1568.VIII.30. Sd—2901).

ჰაჰკარი ივანე ათაბაგ-ამირსპასალარმა შესწირა ვანის ქვაბებს საუფლო ჰაჰკრული სათათრო მალი საზეთედ ([XV]. Ad—933_{11}). — ყვარყვარე [ჯაყელმა] განუახლა [ვანის ქვაბებს] ჰაჰკრული მალის საზეთედ შეწირულება ([XV]. Ad—933_{12}). — ყვარყვარე ჯაყელმა შესწირა [ვანის ქვაბებს] ჰ ა ჰ კ უ რ ი ვენახი და მალი ([XV]. Ad—933_{13}). — ყვარყვარე [ჯაყელმა] შესწირა ვანის ქვაბებს ჰ ა ჰ კ რ უ ლ ი ვ[ენახის] სათავე და კალოს კაბიწი ([XV]. Ad—933_{14}). — ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილებმა შესწირეს ვანის ქვაბებს საზედაშედ ჰაჰკარს ბერაულის მესამედი მისი სახლით ([XV]. Ad—933_{15}).

ჰერეში ჰ ე რ ე მ ე ლ ი ეპიფანე არის მოწმე და დამწერი წინა-საგარეჯოელთა მიერ პავკავაძეებთან მიწებზე დავის გამო დადებული ფიცის წიგნისა (1654. I. 2. ისტ. საბ., გვ. 34—35). — ანტონ ჰ ე რ ე მ ე ლ მ ა პირობის წიგნი მისცა ქართლის კათალიკოს ნიკოლოზს. ([XVII ს. II ნახ.]. Ad—1632).—ეგნატე ჰ ე რ ე მ ე ლ მ ა პირობის წიგნი მისცა ქართლის კათალიკოს ნიკოლაოზს ([XVII ს. II ნახ.]. Ad—1626).

ჰერემის-წყალი გომთ-წყალის შესართავი ჰერემის-წყალთან იყო მამუჩი ჯავახაძისა და წინა-საგარეჯოელთა შორის სადაო მიწების ერთი საზღვარი (1654.I.2. ისტ. საბ., გვ. 34—35). — მისი შესართავი გომთ-წყალთან იყო კათალიკოსის სახასო სოფლების — ბუშატისა და ვანთის — ერთი საზღვარი (1654. Hd—8389).

ჰერემის-ჯევი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს შეწირულება მარმაროვასი, რომლის ერთი საზღვარი იყო გომის-წყლისა და ჰერემის-ჯევის შესართავი (1579. Sd—464).

ჰერეში მოხსენებულია გორჯასპისთვის მიბარებული მამულების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

ჰვაირი ჰ ვ ა ი რ ე ლ მ ა გიორგი საბარაშვილმა გიორგი ბერიძეს მიჰყიდა დღენახევრის მიწა (1690. Hd—1747).

ჰვარები გიორგი მეფემ გაუთარხნა ფარემუზ ჯავახიშვილს (1692.XI.5. Hd—2639). — ნაზარალიხანმა ფარემუზ ჯავახიშვილს გაუთარხნა (1697. Hd—2521).

ჰვირია ლევან დადიანმა ხოფის ტაძარს შესწირა ჰვირიას გამოღმა მთელი ნანადირევი ([1611—1657]. Hd—1551-ა).

ჰვიროხი აქ მოსახლე 7 კომლი კაცის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — პატა [ჯავახიშვილი] ყარაღაჯლებს ს ა ჰ ვ ი რ ო ს ო მამულებს ეცილებოდა ([1632—1658]. Hd—11570). — ჰ ვ ი რ ო ე ლ ნი არიან მოწმენი ბეჟიტა ბეჟანიშვილის მიერ მეტეხელ გიორგი დემეტრაშვილისთვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა(1649. Hd—9626). — აქ მცხოვრები ნანიტაშვილი და [ივანაშვილები] მიჰყიდა ზურაბ შალიკაშვილმა ზურაბ ჯავახიშვილს (1686. Hd—7229). — მჭედლიშვილმა მიჰყიდა ოთია გოგიბედაშვილს ჰვიროსში მდებარე თავისი მიწების 3/4 და სახლკარი. ნასყიდ მამულში, მაზიტას-ხევის პირას გოგიბედაშვილმა სახლის ალაგი გაჰრა. ამაზე ზურაბ და შერმაზან ჯავახიშვილები გამოედავნენ. დავის გარიგებით ჰვიროსში მიწები ასე განაწილდა: გოგიბედაშვილს დარჩა მაზიტას ნაქონი წყაროს 3/4, ხოლო 1/4 მჭედლიშვილს დაუბრუნდა. მაზიტას-ხევსა და სამების-ხევს შუა მიწის ნახევარი და სასაფლაოსა და ნაფუზრის ნახევარი გოგიბედაშვილს და მის ძმებს დარჩათ. მჭედლიშვილს თავისი გასყიდული სახლ-კარი კვლავ დაუბრუნდა (1695. Hd—6021). — აქ ცხოვრობდა გოგიაშვილი (1700. VII.11. Sd—569).

ჰიაბერთ ეკლესია აშენებულია დავით აღმაშენებლის მიერ. ერთი საზღვარი ალექსანდრე [კახთა] მეფის მიერ სვეტიცხოველისთვის შეწირული სოფელ ჯიმითისა (1579. Sd—464).

ჰიაური შანშე ჩოლაყაშვილი იყო ჰიაურთ მოურავი (1647. Hd—14428; 1656. Sd—2841). — სოფელი, მოურავმა გოშფარმა შეაწუხა ჰიაურელნი ძალმომრეობითა და უსამართლობით, რის გამოც ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაადგინა სამოურავო ულუფა ([1583 წ. ახლოს]. Hd—10192). ალექსანდრე მეფემ მრავალი სარჩელი მიიღო ჰიაურთ მოურავის გოშფარის შესახებ და გასცა ჰ ი ა უ რ ე ლ თ გამოსაღებების მოწესრიგების წიგნი (1583. Sd—2843).

ჰივჰავის წყალი დავის გარიგების წიგნით ჰივჰავის წყალი გუდარეხელების და ღორისთაველთა შორის სადავო ბედენის მთის ერთ საზღვრად დადგინდა (1653.VI. Hd—14671).

ჰივჰივი ნ. ბედენი (1652. Sd—20).

ჰიკანი გავაზის თავს, ჰიკანში მოსახლე 9 კომლი კაცი ლევან [კახთა] მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა (1613. ისტ. საბ., IV, გვ. 9-ბ).

ჰინჯარი ნ. ზემო ჰინჯარი და ქვემო ჰინჯარი (1398.XII. Hd—8712).

ჰიპჰიპა-ხევი ნ. წვერ-წვერა ([XVII]. Hd—1639-ა). — მანდიამ მისცა თეოდოსი მღვდელს მიწა ჰიპჰიპას ხევის ზევით, სადაც პივრისშვილის მიწა ემიჯნებოდა წვერ-წვერის მიწას ([XVII]. Hd—1639-ბ). — თევდორე მღვდელმა სუხიტასგან მიიღო მიწა საზღვრებით: „ჰიპჰიპას-ხევის ქვევით გამავალი გზის ქვევით რომ გზა გადის, სეხნიას მიწის საზღვრამდე, ზემოთ წვერ-წვერამდე“ ([XVII]. Hd—1639-ვ).

ჰიტები ეწერა 11 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ჰიშურა ნ. ჭალის-თავი ([1510—1548]. Ad—2218). — ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა [გელათს] ჰიშურას გაღმა სათევზე ([XVI]. Sd—2896). — სახასო ადგილი ნახშირის ღელეს და ჰიშურას შუა ალექსანდრე [იმერთა] მეფემ იოვანე ომადმანიძეს უბოძა ([1637—1660]. Sd—1789).

ჰოლევი სოფელი, ბაგრატ [იმერთა] მეფემ გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას შესწირა აქ მოსახლე უყურეშლიძე (1545. Hd—11201).

ჰომა ნ. გძელა (1683. Hd—821). — სულხან გოგოლაძემ მიჰყიდა არდაშელ ბუნიათიშვილს აქ მდებარე 27 დღის სამკალი მიწა (1689. Hd—811).

ჰოპარტი სოფელი, ალექსანდრე მეფემ განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1398.XII. Hd—8712). — სოფელი მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ჰორიზი იხსენიება იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხაილის მიერ ცაიშელ-ბედიელ იოაკიმეს კათალიკოსად კურთხევისა და საქართველოს ეკლესიისათვის წესების დადგენის წიგნში ([XV]. Sd—2920, 2890).

ჰორჰორი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

ჰოტორი ჰოტორთან ერთგული სამსახურის სამაგიეროდ ბეჟან და იესე აძილახვრისშვილებმა თავის ყმას შანშეს მამული უბოძეს (1621.VII.20. Ad—1067).

ჰრეში ყაფლან, პატა და პაპუნა ბარათაშვილებს დავა ჰქონდათ ჰრეშს მოსახლე გლეხებსა და აქვე მდებარე ხოდაბუნზე ([1632—1658]. Sd—794). — მანუჩარ იარალიშვილმა მიჰყიდა ვახტანგ [ორბელიშვილს] სავენახე ჰ რ ე შ უ ლ ვენახებში (1681.VI.27. Sd—542). — აქ მცხოვრები ზურაბა დონდარაშვილი მოწმეა მანუჩარ ვახუშტისშვილის მიერ ბატონ ზურაბისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690. Hd—4164-ა). — ჰ რ ე შ უ ლ ი მიწის ნასყიდობის წიგნი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებული სამამულო წიგნების ხუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

ჰრუში პატასთან სამამულო დავის გარიგებისას ყაფლან [ორბელიანს] ჰრუშს მცხოვრები ყაითმაზაშვილი არგუნეს ([XVII]. Hd—14284).

ჰუირო აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 2 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ).

ჰუე აქ ცხოვრობდა გოლაძე (1495. Sd—2892).

ჰუკის სოფელი მდებარეობდა ტაშირში, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს (1657. ქ.-სპ. საბ., № 115).

ჰურა აქ მდებარე ოთხდღენახევრის მიწა ლაშქარასი ზუბია და გოგიჭა აბატურაშვილებმა მანუჩარ თუმანიშვილს მიჰყიდეს (1668.VI.26. Qd—9037-კთ. Sd—14).

ჰურექი ბესიაშვილებმა თუმანიშვილებს მიჰყიდეს „ალალი სამკვიდრო მამული მიწა. კევის პირისაკე შატბერაშვილის მოსყიდულს მიწის ბოლოზე უძეს, ჰურექისაკე თავი ნასყიდის ბოლოზე უძეს, ვარდუანასაკენ ძუელითგან თქუენგან ნასყიდი რომ არის, გვერდი იმაზე უძეს, ბოლო იმრაშვილის მიქელაურზე უძეს, ბოლო ამირაღაშვილის ნასყიდზე უძეს, გვერდი რუზე უძეს, ჰურექისაკე და ვარდუანასაკე თავსაც სამანი უძეს და ბოლოსაც" (1669.Sd—11, Qd—9037-ლვ). — რეხელმა ნინიკა ყაიზიშვილმა მიჰყიდა მანუჩარს თუმანიშვილს მიწა, რომელსაც ბოლო „ჰურექიდმე წყალი გამოდის, იმს რუზედ უძეს ხელუბნისაკენ" (1670.II.20. Sd—48, Qd—9037-ნგ).

ჰურთა შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

ჰურთის-ჭევი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებელი (1459. Ad—559, 604).

ჰურის-თავი ციცი ჭარულიძის სოფელი, დაარბიეს კოტრიძეებმა (1432. Sd—2886).

ჰქოლიანი აქ მდებარე დადიენისშვილისეული მამულის ნახევარი და სულ-ბამასეული მამულის ნახევარი მიჰყიდა გიორგი ტოხვაძემ ივანე ცირღილაძეს (1565.IV.12. Hd—10140).

ხ

ხაკვი ნიკოლოზ კათალიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს ყურის-უბნის ნაცვლად უბოძა (1574.III. Sd—2870). — დომენტი კათალიკოსმა გაუცვალა ვახტანგ ბატონიშვილს ხაკვი, კორდი და საზითაო ყურის-უბანზე (1595.IV.30. Sd—2871).

ხანდაკი სოფელი, ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს მისი შეწირულება (1398.XII. Hd—8712). — სოფელი, გიორგი მეფემ უბოძა გამრეკელ ჯავახიშვილს (1454. Qd—9221). — გაბაშვილთა მკვიდრი მამული, კონსტანტინე მეფემ ჯავახიშვილებს უბოძა (1466. Qd—1010, Hd—2007). — ლუარსაბ მეფემ განუახლა იესე ჯავახიშვილს ხანდაკს მდებარე მამულების ფლობელობა (1608.IX.7. Hd—14700). — აქ მდებარე გამრეკელ ჯავახიშვილის კერძი მამული უბოძა ლუარსაბ მეფემ გიორგი სააკაძეს (1608. Hd—13052). — ხანდაკიდან იყვნენ დავით ტორდანაშვილი და ამისარქის ვარსიაშვილი (1609. Hd—1656). — ფარსადანმა ქაიხოსროს სამასი კაცი გაატანა მოურავის მოსაკ-

ლავად. მოურავი ერთგულმა კაცმა გაიფრთხილა და თავი ხანდაკს შეაფარა (1620.IV.15. Hd—6259). — ზაქუმმა უბოძა დონმაზას ბეშკენას „ხანდაკს ქვეშეთ თამალარა" (1630.III.25. Sd—740). გაულუა ხანდაკელი მოწმეა ქაიხოარო ჯავახიშვილის მიერ პაპია ჯყოპი[ა]შვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1633. Ad—1802). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 16 კომლი ყმა; აგრთვე მოლაშქრე გიორგისთან ერთად — 8 კომლი მოსაურე ყმა. ბატონიშვილს აქ ერთი კომლი ყმა ჰყავდა; თარხანსაც — ერთი ([1658 —1675]. Hd—14534-ბ). — სოფელი, ნიკოლოზსა და ბეჟანს აქ 7 კომლი ყმა ჰყავდათ (1680. Qd—610). — ბახუტა ჯავახისშვილმა უბოძა ბერი დათვიასშვილს ხანდაკში: ოთხი დღის მიწა მალციური, ზუბიტას ნაქონი მიწა რუს შუა, ნაზვრევი და მამაცაშვილის ნავენახობი, მამუკაშვილის დღენახევრის მიწა გაცვლილი ნადირა ლიპუაშვილის მიწაზე, მამუკასშვილის ნაქონი ნაფუძარი, ნადირა ლიპუაშვილის ნაქონი ორი დღის მიწა (1680. Hd—8485). — ნაზარალიხანმა უბოძა ფარემეზ ჯავახიშვილს თეძმის ხანდაკს მოსახლე გოგიბედაშვილები (1688.XI.15. Hd—14496).—აქ მოსახლე ესტატე მალციძე მოწმეა ივანე ძამანასშვილის მიერ ყანდინა ედილაშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1690.IV.22. Ad—1605). — ხანდაკსა და ყარაღაჯს შუა მდებარე ერთი დღის მიწა მისცა ვალში ესტატე გულუასშვილმა ყანდინა, [ბაინდ]ურა და ბეჟანა ედილაშვილებს (1693.XII. Hd—10917). — ნ. ნოსტე (1697.VI.15. Hd—8577).— [გიორგი არაგვის ერისთავის] ბრძანებით ბანცურს ექვსი კოკა ღვინო უნდა მიერთმია ანანურის დეკანოზისთვის თანდილა სულამაშვილის ხანდაკს ნაქონი ვენახიდან ([XVII ს. II ნახ]. Ad—20-ვ). — აქ მდებარე მაღალძისეული 3 დღის მიწა მიჰყიდა ფარემუზ ჯავახიშვილმა მანუჩარ გლურჯიძეს ([XVII]. Hd — 2247).—გოშფარ და როინ [ჯავახიშვილებმა] გაიყვეს ხანდაკში ყმა-მამული ([XVII]. Qd—605).

ხანდაკი სოფელი, ეთისთავმა ვამიყ შაბურის̌ძემ [ბოდორნის] ეკლესიას შესწირა (1494.VI.24. Qd—873, Sd—2891). — ლეონ [კახთა] მეფემ შესწირა სვეტიცხოველს ხანდაკს მოსახლე მღვდელი ლონგინოზ კირაული და მისი ძმა ნიკოლოზ მამულით (1537.ისტ. საბ., II, გვ. 35). — აქ მდებარე მამული შესწირეს კირაულისძეებმა სვეტიცხოველს (1566. Hd—2579). — აქ მოსახლე კირაულების შეწირულება განუახლა ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხველს (1579. Sd—464).

ხანდაკი სახასო სოფელი კაეთის-ხევის ბოლოს, როსტომ მეფემ შირვანის ბეგლარბეგ ფარუხანს უბოძა (1635.XII.2).

ხანდისი მაზმითის მთის მახლობლად მდებარე სოფელი. გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის" შემდეგ სახასო გახდა. ახლა როსტომ მეფემ იორამ სააკაძეს უბოძა (1652. Hd—13956). — ხანდისელი პატა ბადრიასშვილი მოწმე იყო პაპუნა აღნიასშვილის მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693.XII. 15. Ad—1852-ა). — ნ. კანდისი.

ხანდო 1535 წელს ხევსურებმა ხანდოში ოთხი ბიძა მოუკლეს ერისთავეთ-ერისთავ ქვენიფნეველს (1535. Ad—2181). — ხანდოელი ბერი მოწმეა პაპუნა კვეზერულის მიერ თინათინ უგანაძისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1690.I. Ad—1201). — ხანდველმა თამაზა დავითასშვილმა ნოს-

ტელ ზაზა მეფარასშვილისგან იყიდა მიწა მამუკასშვილის გვერდით (1697.VI.15. Hd- 11319).

ხანდოველი შიოშ ბოწიაშვილმა მიჰყიდა დათუნა ტარსაიჭაშვილს ბერშუეთს ნაზვრევი „ხანდოვლის მიდგმამდე" ([XVII]. Ad—1485).

ხანზა მდებარეობდა ტაშირზე. წილად ხვდა ყაფლან [ორბელიშვილს] ([XVII].Sd—1922. 1936).

ხანმურკეტი უზბაშ გიორგის ნაქონი სოფელი. უბოძა სვიმონ მეფემ მახარებელ კოტრაშვილს (1626.VI.15. ქ.-სპ. საბ., № 20).

ხანძორიჭი (ხანძორისი) ნასოფლარი სომხითში, ბაგრატ მეფემ ნასრ თუმანიშვილს უბოძა (1632.V.30. Qd—9037-რლდ). — ნ. ხნძორისი.

ხანძორკუეტი სოფელი სომხითში, სვიმონ მეფემ უბოძა ზურაბ ყაფარაშვილს (1633. IV. 15. ქ.-სპ. საბ., № 40).

ხარაკია მურვან დარიბაჯასძემ შესწირა ნასყიდი მამული ხარაკია ვაჰანის მონასტერს ([1390 წ. ახლოს]. Ad—933).

ხარატი თეიმურაზ მეფემ განუახლა ენისელთ ნაცვალს ხოსროს ხარატს მდებარე მის მიერვე აშენებული ყარაგოზას ნასახლები მამული (1622.IV.4. სიღ. დკ.. I, 515).

ხარჯაშნი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ხარჯაშნს, თიანეთის თავს მდებარე სოფელ ჯიჯეთის შეწირულება (1579. Sd—464).

ხატის-თელეთი სოფელი, გიორგი მეფემ უბოძა მეჯინიბეთ-უხუცეს ავთანდილ მოურავიშვილს (1693. Hd—1924, 1966).

ხატის-კარი ალექსანდრე კახთა მეფემ სვეტიცხოველს შესწირა „ბარაუნთათ მონასტერი ხატის-კარი" 42 კომლი კაცით (1579. სიც. დკ., I. № 10).

ხატის-მიწა ბეჟან ჯავახიშვილმა მიჰყიდა ქაიხოსროს თხლიური მიწა „ქვეშეთ თელათამდი და ზედათ ხატის-მიწამდი" (1606. Hd—9319). — ტინისხიდელმა ნასყიდა შავერდასშვილმა მიჰყიდა შოშია გოგიჩასშვილს ნახევარი ხატის-მიწა საზღვრებით: „თავს თავაქალას მიწის მიჯნამდი, ბოლო ამირანასშვილის მიწის მიჯნამდი, ერთი გვერდი შარამდი" (1681.III.1. Hd—2513). — ნასყიდა შავერდაშვილმა მიჰყიდა შოშია გოგიჩაშვილს ხატის მიწა (1681.V.27. Hd—9390).

ხატის-სოფელი აქ ცხოვრობდა ჯაფარიძე (1665.X. Hd—8794-ე).

ხატის-წობენი (ხატის-წობენა) სოფელი. მამისამ თავის ძმისწულ ზაქარიას დაუტოვა (1477. Hd—1354). — კონსტანტინე მეფემ და შიო ჯათალიკოსმა იოვანე ჭარმაულს უბოძეს (1505. Hd—14681). — სოფელი [ლეონ კახთა მეფემ] უბოძა გიორგი ჭარმაულს. რომელსაც იგი გარეყანისძემ წაართვა. ბასილი კათალიკოსმა კვლავ ჭარმაულს დაუმტკიცა (1531. Sd—733). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა (1579. Sd—464).

ხაშში აქ მოსახლე შაშიასშვილი, გოგია და ბერიკა ბედიანასშვილები და აქვე მდებარე სასახლე, კოშკი და ზვარი შაჰნავაზმა უბოძა როშაქ ჩოლაყაშვილს (1665. Hd—2244). — უჯარმაში და ხაშში მცხოვრები ნათლისმცემლის ყმები გოგია ხუცისშვილი, თამაზა ჯობიაშვილი, გოგია ბატიკერკაშვილი, დაითა ხატიაშვილი და მახარობელი პიაბრიშვილი არჩილ მეფემ დაეითგარეჯისა და ნათ-

ლისმცემლის გაერთიანებული მონასტრების წინამძღვარს მიაბარა (1672. Ad—2060).

ხაშური აქ მდებარე ჩაჩანიძისეული მამულის წყალობა განუახლა ნაზარალიხანმა ზაალ აბაზაძეს (1693.VII. Hd—1676).

ხახანასეული მიწა მამუკა ამირაღასშვილმა მიჰყიდა ზურაბ, სულხან და ყალანდარ თუმანიშვილებს სუელნეთის თავში ხახანასეული მიწა საზღვრებით: „თავი საწისკუილოს რომ გაიტანს დუბეს ქვემოთი, ელიზბარას მიწამდისინ; განი — რუდამე გზამდისინ“. (1678. Sd—10).

ხახულის ღვთისმშობლის ეკლესია ალექსანდრე [კახთა]მეფემ შესწირა იყალთოს, რუისპირს, არატაზუანსა, ბოტკოსა და ყ[ა]ნდაბში ყმა-მამული (1594. ისტ. საბ., II, გვ. 58—60). — თეიმურაზ მეფემ შესწირა შუამთას მოსახლე ვაჭრების ბაჟი (1637.VI.9. ისტ. საბ., IV, გვ. 23—25). — ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიის რუ გაფუჭდა და გულგულაში წყალი არ მიდიოდა. თეიმურაზ მეფე შეჰპირდა ეკლესიას რუს გაყვანას (1641. Ad—52).

ხევა სოფელი ტაოში. მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ხევთ-უბანი სოფელი, ვეძის-ხევი და ფაშაანი „სრულად მისის შენობით: ხევთ-უბანი და გიორგანი, ორივე ხევი მაღლა მთიდან დაბლა თეთრა-კლდემდე. რაც სავეძო არის, ხევს გამოღმა გრემის კერძად“ ალექსანდრე [კახთა] მეფემ ბიზნობის კვალად მისცა ყარა-ასლანს, ნიკოლოზ კათალიკოსის საქმეში ჩარევის შემდეგ სვეტიცხოველს უკანვე დაუბრუნა ([1574—1605]. Ad—6114, 786).

ხეკორძა (ხეკორწა) მეორე წავკისის, მახრაჯითა და ხეკორძით, — შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).— ალგეთის პირზე მდებარე ხეკორძის ბოლოს იყო სასალტიას მიწა (1682.VIII. 24. ისტ. საბ., IV, გვ. 64). — თამაზ ელიზბარაშვილი ხ ე კ ო რ ძ ე ლ ი იყო (1696. Sd—45). — ეწერა 12 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631).

ხეკორძულას წყალი ბაგრატ მეფემ სასხორისთვის იყიდა ხეკორძულასი და დარბაზანას წყალი (1467.I.21. Qd—27).

ხელთ-უბანი (ქელთ-უბანი) ბეჟანს ერგო „ხელთ-უბნის გზაზედ რომ მიწა არის ნახევარი საზენაქროთ“ და „ხელთუბნისკენ რომ მიწა არის საზენაქროთ ნახევარი“ (1535. Sd—4949). — გაყრის წიგნით მანუჩარსა და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ერგოთ ხელთუბანში ბერი და პაპუნა ფრუასშვილები, ჩოგურასშვილები, გოგლია გოგოლაური, ხუციასშვილი და მაქანდარა, ებია, ღალამასშვილები თორტიციასკენ დათუასთვის გამორთმეული მიწითურთ, ამირასშვილები, კაცია მისი გერებით, ბოგანო მგელია და ძაბელა, პატასშვილი ბაგითა და მიწის ბოლოთი ([1656]. Hd—14665, 1656.XII.10. Hd—11848, 12426, 11974, 11934, 11937, 11936, 11935, 11933, 11770).—ძველიდანვე თუმანიშვილებისა იყო. მანუჩარ თუმანიშვილმა ხელახლა იყიდა ამილახორისგან (1657. Ad—962).—აქ ცხოვრობდა ოვანა ტერმიკტიჩაშვილი (1661. Sd—1136). — აქ ცხოვრობდა ვართანა მერაბასშვილი (1662. Sd—66). — აქ ცხოვრობდნენ ალექსანა ნანუჩაშვილი, გოგია ფირუაშვილი, ბერია იაღიკაშვილი, ებია, ფიფინა, გოგლია გოგოლაური. ონანა ტერმაკელაშვილი და მანუჩარ [თუმანიშვილის] მსახური ბატკუა (1665. Sd—54). — ხელთ-უბნელი იყო გოგინა სტეფანაშვილი (1669. Sd—30). — აქ

ცხოერობდა ელიზბარ თუმანიშვილი (1668. Sd—24). — რეხელმა ნინიკა ყაიხა-შვილმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს სამკვიდრო მიწა ზემო-რეხასკენ, „ბოლო—ჰურეჭიდმე წყალი გამოდის იმ რუზედ უძეს ხელთ-უბნისაკენ“ (1670. Sd—48). — ახალგორელთა, ხელთუბნელთა და ახრისელთა ვალი ემართა პაპუნას (1670. Hd—2835). — მანუჩარ თუმანიშვილმა იყიდა ნინიკა ყიზიშვილისგან მისი სამკვიდრო მიწა ბეთლემის ქვასთან, რომლის ბოლო გრძელდებოდა ჰურეჭიდან გამომდინარე რუმდე ხელთ-უბნისაკენ (1670.II.20. Qd—9037-ნგ). — მანუჩარ თუმანიშვილმა იყიდა ჭახრაკასგან სამი დღის მიწა, რომლის ერთი საზღვარი ხელთ-უბნისაკენ იყო მამუკას ნასყიდი მიწა (1670.III.15. Qd—9037-ნდ). — რეხელმა პაპიამ მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს მიწა ხელთ-უბნისაკენ მამუკას ნასყიდ მიწამდე. ხ ე ლ თ-უ ბ ნ ე ლ ე ბ ი ამ ნასყიდობის წიგნის მოწმეები არიან (1670. Sd—35). — ელიზბარ ენდრონიკასშვილმა მიჰყიდა ზურაბ თუმანიშვილს რუსხმულზე მიწა ხელთუბნიდან მარცხენა მხარეს (1675. Sd—6). — „გორის გზისაკენ ხელთ-უბნით“ მდებარე მიწა მიჰყიდა ქრისტესიამ ზურაბ [თუმანიშვილს] (1675. Sd—55). — აქ მდებარე მიწა შესწირა ბეჟან თუმანიშვილმა ხელთ-უბნის მონასტერს (1677.XI.20. Hd—9652). — გოგინა სტეფანაშვილი იყო ხ ე ლ თ-უ ბ ნ ე ლ ი (1678. Sd—47). — აქ ცხოვრობდა პაპია ტერმაკოზაშვილი (1678. Sd—179). — აქ მცხოვრები სტეფანაშვილი არის მოწმე პაპუა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678. Hd—10203). — ხ ე ლ თ-უ ბ ნ ე ლ ე ბ ი იყვნენ ფარსია და პაპუა (1684. Sd—38). — ხ ე ლ თ-უ ბ ნ ე ლ ი მურადა მოწმეა გიორგი ხოსრუაშვილის მიერ ნასყიდა ბერაძისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (168[6].I.10. Ad—971). — ფარსეღ ეპისკოპოსმა გაუცვალა ოთარ თუმანიშვილს გორის ნაზვრევზე ხელთუბანში ხოსიტასეული მიწა (1686. მატენად., 252, № 9). — ხ ე ლ თ-უ ბ ნ ე ლ ნ ი მოწმეები არიან ბეჟან თუმანიშვილის მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697. Sd—396). — აქ მცხოვრები ჭიკარტა მამულით წილად ხვდათ მანუჩარსა და შიოშისშვილებს ([XVII]. Sd—937). — აქ ცხოვრობდნენ პაატა და ფირან მიქელაშვილები, კუდაშვილები და ტატია ([XVII]. Sd—880). — აქ მოსახლე გურამა მამულით ერგო მანუჩარსა და შიოშვილებს ([XVII]. Sd—3652).

ხერგე ნიკოლოზ ზანდუაშვილმა მიჰყიდა ზურაბ, ბაგრატ და თამაზ ბაგრატიშვილებს აქ მოსახლე ჩიტა როსაბაშვილი (1699.XII.20. Ad—1064).

ხერთვისი ნ. ოპიზა ([1027—1072]. Sd—1201).

ხერკის-ჭევი იოვანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს ელიოზისძეებს მათი ბიძის მამუკა ლაზარესშვილის უმკვიდროდ დარჩენილი მამული, სადაც შედიოდა „ხერკის-ჭევის სამამამთავრო“ (1616. Qd—39).

ხეფინის-ხევი ბაგრატ მეფემ განუახლა ხ ე ფ ი ნ ი ს-ხ ე ვ ე ლ ე ბ ს და წაჭველებს გამოსაღებთა ამოკვეთის წიგნი (1392. Hd—7346-ა). — ზემო ქვეყანაში არჩილ მეფემ უბოძა ქაიხოსრო წერეთელს სამოურაოდ (1691. Sd—515).— ნაზარალიხანმა ხეფინის-ხევის საქმის გარიგება წინათ ავთანდილს უბრძანა, ახლა კი იასე მურვანიშვილს დაავალა ([1688—1703]. Qd—3693).

ხეჩი[1] აქ მოსახლე ერთი კომლი კაცი თემიროზა სალუქვაძე როსტომ გურიელმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ([1510—1548]. Ad—2218).

ხვამლის წმიდა გიორგის ეკლესია ვამეყუ დადიანმ შესწირა ჯონეთს მოსახლე ჭაიხოსრო ქელბაქიანისეული სასახლე სახასო მამულით და ორი კომლი გლეხი ჯანგავაძე ([1657—1661]. Qd—9085-ია).

ხვედურეთი (ქუედურეთი, ქუედრეთი) „ხვედურეთს სოფელ ცოლოთის“ შეწირულების წიგნი განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398. XII. Hd—8712). — კონსტანტინე მეფემ უბოძა ზაზა ფანასკერტელს ქ ვ ე დ უ რ ე თ ს მდებარე ორბოძლისეული მამული (1467. საისტ. მოამბ., II, 1924, გვ. 30—31). — აქ მოსახლე ნადირა დვალიშვილი უბოძა ლუარსაბ მეფემ ზალ ხოსიაშვილს (1611. Sd—61). — [სვიმონ] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ქ ვ ე დ უ რ ე თ შ ი ყმა-მამულის შეწირულება (1559.XII.1. Ad—1572). — აქ ცხოვრობდა ლარაძის ორი კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ა). — აქ სამიშვილებს ერთი კომლი ყმა ჰყავდათ ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — ქვედურელნი არიან მოწმენი რიზმანაშვილების მიწის ნასყიდობისა (1693. Sd—17). — ნაზარალიხანმა გაუთარხნა ზალ ციციშვილს აქ მოსახლე ყმა გაგუნაშვილი (1699. Ad—1222). — ეწერა 6 სახასო მოლაშქრე ([XVII]. Ad—1631). — ხვედურეთის ბოლოს მდებარე მამული ზაზა [ციციშვილმა] ბაგრატის მბარდაკერით უსამართლოდ დაიკავა ([XVII]. Ad—1347). — ედიშერ ციციშვილს ხვედურეთში ერგო: ზუბიტა და ხოსიტა ჰოჰოსაშვილები, ნასყიდა აღნიაშვილი, ნადირა ძულიაშვილი, გიორგი ლაბარისშვილი დემეტრეს შვილებით, შოშია, ბაინდურა კოჟიასშვილი, გიორგი თოთასშვილი, ბასილ ბუზასშვილით. ბერიკა ლუკასშვილი თავიანთი მამულებით, ადუა და თამაზ ჭანგურიძეები ნაბეღავრი მამულით; პაპუნა [ციციშვილს] ერგო: გზირი თათიასშვილი, გაბრიელ გაბრიელისშვილი, ბერა ჯგირისშვილი და გაბრიელ ხუცესი მამულებით, აგრეთვე ივანას და მახარას მამული ([XVII]. Hd—1636).

ხვითი ბ ე ი თ ე ლ ი დათუნა ტ[ატი]შვილი არის მოწმე ლომგულას მიერ სეხნიასთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([XVII]. Hd—15078). — ნ. ხვთი.

ხვინთქმა დურმიშხან [ფალავანდისშვილს] ჰქონდა მიწა და ნასოფლარი ჭანდარსა და ხვინთქმაში. ამ მიწის მესამედი და ნასოფლარი გიორგი მეფემ გიორგი მიქელაძეს უბოძა (1688. Sd—547). — გიორგი მეფემ უბოძა პაპუნა გოსტაშაბიშვილს დურმიშხან ფალავანდისშვილს აქ მდებარე მამული მიქელაძისთვის ნაწყალობევის გარდა (1688.V.4. Qd—2025).

ხიბულა (მთაეარანგელოზის მონასტერი) როსტომ გურიელმა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა ([1510—1548]. Ad—2218).

ხიბულა აქ მოსახლე ხარაიძე შემწირველს „უშოვნია“ ამილახორისგან ([XVII]. Hd—11205).

ხიდისთავი დათუნა იყო ხიდისთავის მამასახლისი (1681.VI. Sd—546).

ხიმშიანთ ქეობა კათალიკოსის ყმებსა და ხიმშიანთ შორის დავის გარიგების

---

[1] სტრიქონის თაუზე შესწორებულია: ხევი.

წიგნით ეს კეობა სუიმერნელს და ღალაც მას უნდა აეღო ([XVI—XVII]. Ad—1791).

ხიზიყი (ხისიყი, ქისიყი, ქისიყი, ქიზიყი) — ერეკლე მეფემ განუახლა წმიდა ნინოსა და წმიდა გიორგის ეკლესიებს მის მამულებში მობალახე ცხვრის ფარებზე გადასახადის შეწირულება (1664.IX.4. აქტები, I, გვ. 22). — ქისიყის ნაცვლის შვილი შაერდი იყო მოწმე ესტატეს მიერ ფარსადანასთვის მიცემული ვენახის გაცვლილობის წიგნისა (1665. Qd—195). — ქ ი ს ი ყ ი მოხსენებულია ნაზარალიხანის მიერ გურგენა ნაცვლისშვილისთვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში ([1688—1703]. Qd—1655). — ქიზიყის მოურავი იყო აბელ ენდრონიკაშვილი (1695. ქ.-სპ. საბ., № 157). — ხ ი ს ი ყ ი ს მოურავი იყო რევაზ (1696. აქტები, I, გვ. 25—26). — ქ ი ს ი ყ ი ს მოურავმა რევაზმა მონაწილეობა მიიღო კაკაბელთა და შიბლიანელთა მიწაზე დავის გარიგებაში (1700. სოც. დოკ., I, № 525). — ნაზარალიხანმა განუახლა ქიზიყელ ალადაშვილებს აზატობის წიგნი ([XVII]. Qd—1950).

ხიშრაული მამული როინ [ჯავახიშვილს] ერგო ოძისს მდებარე ხიშრაული მამული ([XVII]. Qd—605).

ხნძორისი ნასოფლარი სომხითში, ბაგრატ მეფემ ნასრი თუმანიშვილს უბოძა (1618. Ad—973). — ნ. ხანძორისი.

ხობი აქ მოსახლე საეკლესიო გლეხებს ემართათ გამოსაღებელი ([XVII]. Hd—11221).

ხობის ღვთისმშობლის ეკლესია დავით აფხაზეთის კათალიკოსმა შესწირა ბიჭვინთა მირცხულავა ([1673—1696]. Hd—1551-ზ). — აფხაზეთის კათალიკოსმა დავითმა შესწირა ბაკუნა მარცხულა შვილით, ძმისწულით და მამულით ([1673—1696]. Hd—1551-დ).

ხოდაშენი (ხუდაშენი) სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712) სოფელი, ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს შესწირა (1428.I.21. Sd—2882, 2883). — ნ. წინანდალი (1579. Sd—464). — ხ ო დ ა შ ნ ე ლ ე ბ ი კისისხეველებთან დაობდნენ მამულის გამო (1654. Hd—8389). — აქ მდებარეობდა ბარათაშვილის ნაქონი მამული (1675. ისტ. საბ., გვ. 64). — აქ საწინამძღვრო მამული ჰქონდა მთაწმინდის ხარების მონასტრის მამას ნიკოლაოსს ([1688—1703]. Ad—587). იორამ სააკაძემ 1640 წელს გაყიდა ხოდაშნის „ნახევარი მიწა“ ([XVII]. Sd—378).

ხოვლე აქედან იყო დავით წერეთელასშვილი (1609. Hd—1656). — ქაიხოსრომ მოურავის ნახირი ხოვლეს მოასხა (1620.IV.15. Hd—6259). — აქ მოსახლე გლეხი კაკნიაშვილი იყო ზაქარია ჯავახიშვილის საკუთრება (1624. Hd—14693). — სოფელი, როსტომ მეფემ როინ ჯავახიშვილს უბოძა (1636. Hd—14652), — ჯავახიშვილების სამკვიდრო სოფელი, ნოდარ ციციშვილი აქ მოვიდა როსტომის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯავახიშვილების გადმოსაბირებლად (1641. Qd—2188). — აქ ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 13 კომლი ყმა ([1658—1675]. Hd—14534-ბ). — ნიკოლოზს და ბეჟანს აქ 21 კომლი ყმა ჰყავდათ (1680. Qd—610). — ხოვლეს მოურავი თამაზა არის მოწმე ბახუტა ჯავახისშვილის მიერ ბერი დათვისშვილისთვის მიცემული მიწის წყალობის წიგნისა (1680. Hd—8485). — აქ ქაიხოსროსგან მზითვად გამოტანებული კაკ-

ნიაშვილის მამული და მახარა ერგო ზურაბს ([XVII]. Qd—1039). — სოფელი, გაყრისას როინ [ჯავახიშვილს] აქ ერგო: ზაქიტა, ტარიკასძე, მახარა მშვილიშვილი. კუპრაული მამული, სურხანა ბეგიაშვილი, სურხანა კოკნიაშვილი, იოვანე იორდანაშვილი, აბრამა ჟამიერაშვილი, გაგულა, ხახულა, მუნჯაური მამული. ანანია. გაბრიელა ბაჯალაშვილის მამული. გოშფარ [ჯავახიშვილს] აქვე წილად ხვდა: მახარა ხარებასძე, ბასილაური მამული, წერეთელაშვილები, ბადრიას მამული, ღამბარა კაკნიაშვილი, ამილბარა მშვილიშვილი, მახარა ბაკურაშვილი, ამირა, ფოცხუერა, მამისა მეჩხისშვილი, ნარიმანას მამული დვალით, ქოჩიაური მამული, ლომის მამული, იმედა ცხადიაშვილი ([XVII]. Qd—605).

ხოვრეთი სოფელი, გიორგი მეფემ განუახლა გოგია და გოგნია მაჭავარიანსიქდურიშვილებს მისი წყალობის წიგნი (1452.VI.12. Ad—1564).

ხოზეთი ნ. თაკუი (1523. Ad—1299-ა).

ხოზენი უსუფბეგმა უბრძანა მუბაშირს, უკანვე დაუბრუნოს საამიშვილს მისი ყმებიდან ხალილას მიერ აღებული ღალა ([XVII]. Ad—1083).

ხოზოთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღებელი (1459.Ad—559, 604).

ხორის წმინდა გიორგის ეკლესია მამია დადიანმა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა ([1510—1548]. Ad—2218).

ხორი ნ. კორი (1661—1680]. Hd—11206).

ხონი თეიმურაზმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ხონსა და კუხში მოსახლე ოცი კომლი კაცი ([1510—1548]. Ad—-2218). — ხონს ეკისრებოდა ჯუმალის გამოსაღები ([XVII]. Hd—11223).

ხონის წმიდა გიორგის ეკლესია ალექსანდრე იმერთა მეფემ გაათავისუფლა მისი ყმები (ხუთი კომლი ჭავჭანიძეები) ხონთჩრის ბარაჯის გადასახადისაგან (1660. საეკლ. საბ., II, გვ. 172—173).

ხოჟორნა ხოჟორნელმა მურაჩაშვილებმა ქალაქის მოურავს მანუჩარს თექვსმეტი თუმანი გამოართვეს, ბატონისგან თავი დაიხსნეს და მანუჩარს მიებარნენ (1646.VI.10. სოც. დოკ., I, № 40).

ხოჟორნის-ხევი ბეჟან ზაქუმისშვილმა თავისი ყმები ხოჟორნელი შაჰნაზარა და დავით მამუჩისშვილები გააზატა და ხოჟორნის-ხევზე რაც მამულები ეკავათ, უბოძა (1646. Hd—1961).

ხორაუგი ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მცხეთას ხორაუგში საწინამძღვრო მონასტრის ყუავის-თავის შეწირულება (1579. Sd—464).

ხორგა აქ ჰქონდა დავით კათალიკოსს სასახლე. აქვე მოსახლე მის ყმებს ედოთ დადიანის, დედოფლის და ლიპარტიანის გადასახადი. ხორგაში მოსულ ნავს დავით კათალიკოსისთვის ბაჟი უნდა გადაეხადა ([1661—1680]. Hd—11208). — ისუე ლიფონავა ხორგაში ცხოვრობდა ([1673—1680]. Hd—1551).— აქ მოსახლე ყველა საეკლესიო გლეხი იყო მეხადილე ([XVII]. Hd—11221).

ხორვა გიორგი მეფემ განუახლა შიო-მღვიმის მონასტერს დემეტრე მეფის მიერ ნაბოძები გოგრაჭისგან შეწირული ხორვას შეწირულება (1170. Hd—1351).

ხორისი როსტომ მეფემ განუახლა ყაფარას ხორისში მისი მამულის წყალობა (1641. ქ.-სპ. საბ., № 71).

ხორისხები ნასოფლარი, წილად ხვდათ ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს (1543. Hd—10381). — ნასოფლარი, შედიოდა საგერმანოზიშვილოში (1543.IV.20. Hd—10375).

ხორუგი რევაზ სახლთ-უხუცესმა მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს დაუმტკიცა ყმა-მამული ხორუგში (1690. Hd—10921).

ხოსროსეული სასახლე გიორგი მეფემ დავით წულუკიძეს უბოძა სიონს მდებარე ხოსროსეული სასახლე (1570. Hd—2270).

ხოფის ღვთისმშობელი — ლევან დადიანმა შესწირა: მსხულების წმიდა გიორგის ეკლესია ყმა-მამულით, ბერი ზოსიმე, კემხელში — გეგებერია, ვაჭრის შვილები, ბაბადიში, დეის და მამაი მაშისძენი, მიქაილ და მამისთუალი ლადრიები, წუწუნარი მამული, მასხულია კუირია, თათარა წუწუნავა, ბერია. ქრისტეშია ბონია მამულებით, რიონზე — ჰალადიდის ნახევარი ბაჟი, ქარიატას და კემხელის მესამედი ნავი და ბაჟი, ნოხუდენში — ოთხი კომლი კაცი მამულებით, ცუს და ჰვირიას გამოღმა მთელი ნანადირევი ([1611—1657]. Hd—1551-ა). — დავით აფხაზეთის კათალიკოსმა შესწირა იუსუფ და იანვარა ლიფონავები ([1673—1680]. Hd—1551-ე). — ლევან დადიანმა ბიჭვინტის ღვთისმშობელს შესწირა (1675. Qd—9136).—ზებედემ ბიჭვინტისა და ხოფის ღვთისმშობელს შესწირა ბაძულეი და მომაძინი იასავები ცოლ-შვილითა და მამულით (1682. Hd—1551-ვ). — ხახუ ფაციას კაცი შემოაკვდა, რის გამოც კათალიკოსმა და ხოფელმა საკანონო დააკისრეს ([XVII]. Hd—1551-გ).

ხოფისი სოფელი ალგეთის პირას, აქ მოსახლე 3 კომლი უნდილაძისეული გლეხი მამულით, უნდილაძის ამოვარდნის შემდეგ ლუარსაბ მეფემ გუდარეხის მონასტერს შესწირა ([1606—1615]. Hd 1554-ბ).

ხოფის-წყარო ერთი საზღვარი თეიმურაზ მეფის მიერ გუდარეხის მონასტრისთვის შეწირული „აბელის მონაჭარი ბოლოსი" ([1606—1648]. Hd—1554).

ხოშაური მამული მისი შეწირულება განუახლა მარიამ დედოფალმა თბილისის სიონს (1649.VI.15. ისტ. საბ., გვ. 29—30).

ხოშტიბელის სასახლე გიორგი [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩუენეშის თავს, ღელეს გაღმა მდებარე ხოშტიბელის სასახლე ნემსაძისა და ქურდიანს შუა იოსელიანის საზღვრამდე (1569.II.4. Sd—2902).

ხრამი ბარათაშვილების ადგილ-სამყოფელი. ზეელი იოვანე და მისი ძმები მივიდნენ აქ მდებარე სოფელ ანდრიას და ბარათაშვილების ყმები გაბდნენ ([1675—1682]. სოც. დოკ., I, № 75). — მოხსენებულია ხრამელები (1684. X. Sd—540).

ხრამის-ხეობა აქ მდებარეობდა სოფელი ვარხვნა (1583.V.25. ჭ.-სპ. საბ., № 8).

ხრეითი აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა შესწირა კაცხის ეკლესიას სოფელი რგანი „იქით ხრეითისკენ კაჟის სამანს რკინის ჯუართამდინ" ([1515 — 1535]. საისტ. კრ., III, გვ. 42—44). — სახასო სოფელი, აქედან გიორგი [იმერთა] მეფემ 4 კომლი ცერცვაძეები ვაჭევს გადაასახლა და კაცხის მაცხოვარს შესწირა (1615. ქუთ. მუზ., № 125), — შაჰნავაზმა უბოძა ზაალ წერეთელს ხრეითის ჩათვლით, ბუჯიას-წყლის ზემოთ ლიხის მთამდე ტერიტორიის სარდლობა

([1658—1676]. Hd—9467). — აფხაზეთის კათალიკოსის მალაქიონის მიერ დაწესებული საზღვრების მიხედვით გელათის საეპისკოპოსო „ხრეითს აქეთ რაჭის მთამდე აღწევდა“ ([XVII]. Sd—2895).

ხჳთი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში. მართებდა გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ხუგაზაური მამული გოშფარ [ჯავახიშვილს] ერგო სიონთაში ხუგაზაური მამული ([XVII]. Qd—605).

ხუდადური სავენახე (ხუდადაური სავენახე) მდებარეობდა წოდორეთში. სვიმონ და ბასილა სულხანაშვილებმა მიჰყიდეს ჯავახიშვილებს (1672.V.1. Hd—2629). — ბასილა სულხანაშვილმა მიჰყიდა ზურაბ ჯავახისშვილს წოდორეთს მდებარე ხ უ დ ა დ ა უ რ ი ს ა ვ ე ნ ა ხ ე ნასყიდას და ჟამიერასშვილის საზღვრამდე (1672.V.9. Ad—967).

ხუდაშენი ნ. ხოდაშენი.

ხუთხაბი შედიოდა ქავთარასძისთვის ნაბოძებ მირიანისძისეულ მამულში ([XV—XVI]. Hd—14695).

ხუნბანი ხ უ ნ ბ ა ნ ე ლ ნ ი არიან მოწმენი დავით მურაჩაშვილის მიერ მგელუასთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1657. Ad—915).

ხუნგალი აქ მდებარე მიწა იყიდა გრიგოლ ჩხუტიაშვილმა და შემდეგ ბატონ ანას მიჰყიდა. საზღვრები: „ზევით—გზის ჩათვლით, ქვევით—ხეჩიკაშვილის მიდგმამდე“ (1666. Sd—533). — ზაზა ციციშვილი სახლთუხუცეს რევაზს ედავებოდა აქ მდებარე ვენახს ([1688—1703]. Hd—14940).

ხუტუნაური მამული მამუკა ონაშვილმა გიორგი წინამძღვრიშვილს მიჰყიდა (1689. Sd—551).

ხუცის-სოფელი ყაფლან [ორბელისშვილს] წილად ხვდა ტაშირზე ყორშაქილის შიშტეფა, ყამიში, ხანზა და საფიელა ხუცის-სოფლის, აკოფას-სოფლის, ელისბარის-სოფლის და თასილბითმაზის ფარდად ([XVII]. Sd—1936, 1922).

ჯ

ჯალები აქ ციცი [ციცი]შვილს 12 კომლი ყმა ჰყავდა, ომანს ჯალებსა, თაგოე[თ]სა და ყრისისხევში — 5 კომლი ([1658—75]. Hd—14534-ა).

ჯამლეთი აქ ხუტია ბერიძეს 3 კომლი ყმა ჰყავდა ([1658—75]. Hd — 14534-ბ).

ჯანდისი როსტომ მეფემ უბოძა იორამ მოურავიშვილს დემურჩა ყვაჲილაძე კანდისში (1643. Hd—14478). — ნ. ხანდისი.

ჯარბალი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ჯევის-ჯუარი თეიმურაზ მეფემ ბატონ ლევანსა და მის სიძეს ამილღამბარს უბოძა ტაბატაძეები ჯევის-ჯუარში (1628.X.30. Hd—14680).

ჯევკმელა ნ. ზესი (1607.XII.1. Hd—6598). — საზღვარი იყო იმ ვენახისა, რომელიც ფარემუზმა ხოლეში ზვარზე გაუცვალა მანგლელს (1694.VIII.3. Hd—14083).

ჯორი ყუაპუ და ქერექიმ შარვაშიძეებმა დავით [აფხაზთა] კათალიკოსს პირობა მისცეს, რომ ნაენაურელ და ჯ ო ი რ უ ლ კაცებს აღარ გ ა ჰ ყ ი დ ი ან ([1661—80]. Hd—11206).

ჯ

ჯაბა მასზე დავა ჰქონდათ ძმებს ყაფლან, პატა და პაპუნა ბარათაშვილებს, რომელთა ერთობის დროს იგი შეწირული ყოფილა ფიტარეთის მონასტრისათვის ([1632—58]. Sd—794).

ჯაბი ჯაბი და შინდარი „თუ ზურაბის დროს ზურაბსა ჰქონებოდეს, პაპუნას დარჩეს და თუ არა და სახლის-უხუცეს“ [ყაფლანს] მიეცესო ([XVII]. Hd—14284).

ჯავახეთი ტინისხიდელი ამირსეთა წავიდა ჯავახეთს (1681.VI.17. სოც. დოკ., I, № 97). — ივანა ქურდაძემ სურაპის ციხეში მყოფი თათრებიდან გამოქცეული ყმა ჯავახეთში გახიზნა (1692. V. Hd—3199).

ჯავახთა შედიოდა სამთავნელის სამწყსოში და მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1459. Ad—559, 604).

ჯაველური იასე საბასშვილმა მიჰყიდა თაეის ბიძაშვილს მიქელს ჯაველურის მიწა ტატუასშვილისეული მიწის მიდგმამდე (1700. Qd—6895).

ჯავშია ნ. გვიმბრალი ([XVII]. Sd—1789).

ჯავჯაური როსტომ მეფის მიერ გაცემული საგურამოს, წიწამურის, ჯავჯაურისა და ავჭალის წყალობის წიგნი მოხსენებულია გორჯასპისათვის მიბარებულ ასლანის [ძმისწულის] სამამულო წიგნების ნუსხაში (1691.I.2. Sd—1931).

ჯალდამი ნასოფლარი, როსტომ მეფემ უბოძა თამაზა ბარათაშვილს ღორისთავში ბეჟან საყაძის წილი მამული ჯალდამის ნასოფლარიანად (1643.III.12. Hd—14445). — ღორისთავი და ჯალდამი სამ ნაწილად გაიყვეს საჰაკაძეებმა. აქედან ამოვარდნილ გოდერძის კერძის ერთი ნაწილი ვახტანგ მდივანბეგმა იყიდა, დანარჩენი ორი ნაწილი — შიოშ, იასე და დათუნა ბარათაშვილებმა. ამათ ესეც სამად გაიყვეს და შირეშმა თავისი წილი ვალში ვახტანგ მდივანბეგს მიჰყიდა (1678.VII.1. Hd—13106, Sd—2295). — აქ მდებარე თავისი მკვიდრი მამული გუგუნა ბარათაშვილმა მიჰყიდა ვახტანგ მდივანბეგს (1681. Hd—9674).— ჯალდამი მკვიდრი მამული იყო საყაძეებისა, რომლებიც ამოწყდნენ. შემდეგ იგი როსტომ მეფემ უბოძა ბარათაშვილ-თამაზაშვილებს, რომელთაგანაც ჯალდამი თამარ ერისთვის ასულმა შეისყიდა თავისი ნამზითვი სამკაულით და ბოლოს ნაზარალიხანმა დაუმტკიცა ეს ნასყიდობა ერისთვის ასულს (1700, Sd—2300, 2306). — „ჯალდამს ზვრის ნაბეღვარი კიანეთის მჭარეს“ წილად ხედა ყაფლან [ორბელიანს] ([XVII]. Sd—1936). — ჯალდამის ზვარი შუაზე გაიყვეს ყაფლან და ვახტანგ [ორბელიანებმა] ([XVII]. Sd—1922). — ჯალდამიდან 20 დღის მიწა ქვაღოჯსა და მორევს ქვეით წილად ხედა ყაფლან [ორბელიანს] ([XVII]. Sd—1936). — ჯალდამისა და მამასახლისის საწყლისპიროები წილად ხედა ყაფლან [ორბელიანს] ზათაშვილის საწყლისპიროს ფარდად ([XVII]. Sd—1936).

ჯანაზიანი ჯანაზიანის ზვარი მოხსენებულია გადასახადების ნუსხაში ([1682]. Sd—1932-დ). — ჯანაზიანის ზვარს მართებდა კულუხი 12 საპალნე (1689. Sd—1932-ბ). — მასვე მართებდა კულუხი 30 საპალნე (1690. Sd—1932-გ). — ჯანაზიანს ცხოვრობდა ალიხანა ([XVII]. Sd—1922). — ჯანაზიანის ბაღი მებაღეობურთ წილად ხვდა ყაფლან [ორბელიანს] ხულუტის ჭალის ბაღის, დაღეთს მცხოვრები თათრიშვილის მამულის და „ჯანაზიანს ნასყიდი ვენახის და მიწის ფარდათ“ ([XVII]. Sd—1922, 1936).

ჯაფნიაური ზაზა აბაზაძემ იასე მურვანისშვილს მიჰყიდა 2 დღის მიწა ჯობიაური მისი გამტანი ტყითურთ ჯაფნიაურში საზღვრებით: ზემოთ — ჩიტირეკას მიწამდე, ქვემოთ — მერაბას მიწამდე, ბოლოს — ახალბედისშვილის მიწამდე (1691.I.2. Hd—14927).

ჯაჭვი, სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ჯეჯიკური ლუარსაბ მეფემ უბოძა ბარზია ამილახორს ჯეჯიკური (1609. III.10. Ad—1208). — იოთამ ამილახორმა უბოძა დავით და ზალ თევდორმანისძეებს მურაჩაშვილი „რაც ჯეჯიკურს გლეხების გარდაისად სახასოს მამულის ჭქონებელი ყოფილიყოს, ახალუერის გუერდზედ რომე ვენაკი არის და ნინიაშვილს რომ მიწა მიეცით — იმათ გარდაისად“ (1626.XII.2. Ad—1388). — შედიოდა სამთავნელის სამწყსოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები (1673. Ad—559, 604).

ჯვარა სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712).

ჯვარდამწვარი ლეხიდარსა და ჯვარდამწვარს შუა სარჯულავისა და მოსაკრეფი გამოსაღებიდან ორი წილი ცაგერელისა იყო, მესამედი — ხოსია ინასარიძისა, რომელმაც თავისი წილი შესწირა ცაგერის ეკლესიას (1658. Qd—9085-ზ).

ჯვარი (ჯუარი) მარკოზ კათალიკოსმა დაუმტკიცა მეჯინიბეთ-უხუცეს მამისა ბერინასშვილს ჯვარის ბოლოს მდებარე ვენახი (1464.XII.13. ისტ. საბ., II, გვ. 15). — აქ მოსახლე ესემბულასშვილი მამულითურთ მამისამ დაუტოვა თავის ძმისწულს ზაქარიას (1477. Hd—1354). ჯუარელთა გან იყიდა გიორგი ჭარმაულმა სახნავი მიწები (1531. Sd—733). — „მცხეთის პირდაპირ... სოფელი ჯვარი თავისის სამართლიანის მამულითა და სამძღურითა: ახალციხის ციხე რომ არის, იმის პირდაპირ რომ კევი არის, წიწამურულს ვენახებთან ჯვარულგორას უცაბიან ზედაძენი და გახვრეტილი კლდე, ბობოკვერელი ქვა-ჯვარა, უკან ჭანჭრობი, გამოღმა — ფოსვი და აკაკი, სადაც რომ დევის — [მუ]ხლის პირდაპირ ღრმა ღელე ჩავა მტკვარზედ — იქამდინ. ჯვარი ქართლის მეფის აშენებულია და სოფელი მალაქია კათალიკოზს აუშენებია. როგორც მცხეთა არის კათალიკოზისათვის, ისე ჯვარი კათალიკოზის ტახტია, მემკვიდრენი არიან“ (1559. Hd—8729). — იოვანე კათალიკოსმა უბოძა მცხეთისშვილებს, ელიოზისძეებს დავითს, როსებს და სხვებს მათი ბიძის ლაზარეს შვილის მამუკას უმკვიდრო მამული, რომელშიც შედიოდა „ჯვარს ორი საკომლო“ (1616. Qd—39).

ჯვარი პაპუნა წერეთელი და დავით ამირეჯიბი ერთმანეთს ედავებოდნენ ჭთაზე. წერეთელი ამბობდა, ჯვარს აქეთ ჩემიაო, ამირეჯიბი კი: ძირულას იქეთ ულუმბის ღვთისმშობლისაო. მოსამართლეებმა ასე გადაწყვიტეს: ჯვარს აქეთ (აღმოსავლეთით) ძირულამდე მოკრეფილი ღალის ნახევარი ულუმბის ღვთისმშობელს მიაკუთვნეს და ნახევარიც — წერეთელს ([XVII]. Hd—2489).

ჯვარი (მონასტერი) არაგვის გაღმა ჯვარის მონასტრის შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — მისი წინამძღვარი იყო ნიკოლოზ (1696. სოც. დოკ., № 138). — მონასტრის სახასო მამულები შედიოდა სვეტიცხოველის მამულში. ნაზარალიბნმა და იოვანე კათალიკოსმა განუახლეს ამილბარ მაღალაშვილს კახეთში სვეტიცხოველის მამულების სახლთ-უხუცესობა და ჯანიშინობა: მას ჯვრის სახასო მამულებიდან უნდა აეღო სთველი, საური, საბალახე, ჯურუმი და მიერთმია კათალიკოსისა და სვეტიცხოვლისათვის (1700.VII.19. Ad—1590). — მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ჯვარის მონასტერი და მისი მამულები, მიაბარა ისინი განსაგებლად მალაქია ქართლის მთავარეპისკოპოსს ([XVII]. Ad—712).

ჯვარი (ქართველთა მონასტერი იერუსალიმში) მისი მამა იყო მელენტიოზ (1666.V.14. Ad—650). — მას და მის მამას ქრისტეფორეს გიორგი „მეფეთ-მეფე — დადიან-გურიელმა“ შესწირა ყოველწლიურად 200 მარჩილი თეთრი თაეისთვის წირვის გასაჩენად (1683.VIII.18. Hd—10274-ბ). — ბეჟან და გიორგი ტატუაშვილებმა ჯვრის მამას ტიმოთეოსს ტყეს გაუყიდველობის პირობა მისცეს და მონასტერს შესწირეს აცანაში მცხოვრები მეგრელიშვილი, რომელსაც დაეკისრა წლიურად 3—3 რუბი და სამსახური ([XVII]. Hd—11275). — ნ. აგრეთვე იერუსალიმი.

ჯვარისა მონასტერი, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება მამულებითურთ სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ჯვარისა სოფელი, აქ მცხოვრები ებაურიძე, ცირღილაძე და სირბილაძე — თითო კომლი მამულებითურთ დარეჯან დედოფალმა შესწირა გელათს ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენებლად ([1660—67]. Ad—598-ა).

ჯვარისუბანი,სოფელი, ბაჯიხევისა და ცხმორის სახასო კაცებსა და სოფელ ჩორდთან ერთად დაუმტკიცა იგი თეიმურაზ მეფემ ბაქარ ბაქრაძეს (1492.IV.9. Sd—3035).

„ჯვარის ჭრისტე“ მისმა დეკანოზმა იოვანემ დასწერა იესე ჯავახიშვილის მიერ ელიასა და ენუქის შვილისათვის მიცემული სითარხნის განახლების წიგნი (1614.X.25. Hd—1561).

ჯვარ-ნასოფლარი ალექსანდრე [კახთა] მეფემ დაუმტკიცა იგი სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ჯვარული გორა ნ. ჯვარი, სოფელი (1559. Hd—8729).

ჯიგრაშენი „ნაოხარი ნასოფლარი“, მდებარეობდა „დურნუკის ბოლოს“. როსტომ მეფემ უბოძა იარალ ყორღანაშვილს (1635.IX.10. ჭ.-სპ. საბ., № 53).— დავით ზედგინიძემ მიჰყიდა კათოლიკე პაპა ხოჯასშვილს ჯიგრაშენი საზღვრებით: „საქვენაქროდ დერეფანა წითელი კლდის თავის შეტანებით ღელემდე, ფარის-ჯვრამდე, წითელი ღელის თავამდე; საზენაქროდ სერის ჩამოყოლებით გზაზე კლდემდე, დავითის მამის ათანასეს ქვაბამდე. მტკვრამდე. ლიახვს ქვეით

სანაოთი, გორის მხარეზე წყლის პირით“ (1636. Qd—1988). — ჯიგრაშენები მოწმენი იყვნენ დავით მურაჩაშვილის მიერ მგელუკასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1697. Ad—915). — დომენტი კათალიკოსმა უბოძა ხუდადა ხოჯაშვილს ჯიგრაშენი მისი ჭალითურთ (1660.V.1. Sd—2913).

ჯილიზა სოფელი სომხითში, აქ მამული ჰქონდათ რამაზასა და გოჩიას, მათი ამოვარდნის შემდეგ ეს მამული როსტომ მეფემ უბოძა თაყა, მდივან ბირთველ. მანუჩარ და დავით თუმანიშვილებს (1635.VI.14. Hd—14676, Ad—972). — ჯილიზაში მცხოვრები არაქელაშვილი პოღოსა მეღორისა წილად ხვდა ჯიმშიტა [თუმანიშვილს] ([XVII]. Hd—12811).

ჯილღი სოფელი ტაშირში, ბარათაშვილების სამკვიდრო, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს (1657. ჭ.-სპ. საბ., № 115).

ჯილღის-წყალი ტაშირში, როსტომ მეფემ უბოძა ყაფლან ბარათაშვილს. „ჯილღის-წყალი რომ ჩამოვარდება, იმის აქათი“ ადგილი (1657. ჭ.-სპ. საბ., № 115).

ჯიმასტარო (ჯიმაშთარო) ბაგრატ მეფემ შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ევდემონ კათალიკოსის ნასყიდი ჯიმასტაროს სასახლე 12 კომლი კაცითურთ ([XVI]. Ad—2218). — ჯიმაშთაროს მართებდა ღვინის, ღომისა და თეთრის ბეგარა ([XVII].Hd—11223).

ჯიმითი სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1398.XII. Hd—8712). — შესწირა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს (1428.I.21. Sd—2282, 2283). — ძველიდანვე ეკუთვნოდა სვეტიცხოველს, შემდეგ ლეონ [კახთა] მეფემ გამოართვა მას და სამაგიეროდ შესწირა 16 კომლი კაცი, რომელთაც გამოსაღები უნდა მიერთძით კათალიკოსისა და სვეტიცხოვლისათვის (1559. სოც. დოკ., I, № 8). — ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა სვეტიცხოველს სოფ. ჯიმითის შეწირულება საზღვრებით: დასავლეთით საყარაულოს კოშკისკენ თუთუბოს-ღელე, ნასოფლარი ნაკუერცხალა, ღრმაღელე, საგუელე ქვა, დავით აღმაშენებლის აშენებული ჭიაბერთ-ეკლესია; ფხოელთაკენ ლაკუათ პირს წვრილი ღელე, დიდი გორა; ჩუმლაყისაკენ კულენანნი, ძამაურა, წვრილი ხევი, გაწყვეტილა წნორის მიდგმამდე, რაჯაკი, მისი მიდგმა და ნასოფლარი (1579. Sd—464). — თავდაპირველად ჯიმითში ეკლესია იყო, შემდეგ იგი ერისკაცებმა მიიტაცეს, ბოლოს კი ალექსანდრე [კახთა] მეფემ ჩამოართვა იგი მათ და კვლავ სვეტიცხოველს შესწირა (1601. სოც. დოკ., I, № 13). — ჯიმითელებმა ფიცი დასდეს ვაჩნაძესა, ჯანდიერისშვილსა, ჭაქვავაძესა და კათალიკოსს შორის სამამულო დავის გამო (1654. Hd—8389). — სახლისკაცებთან გაყრისას ზაალ ჯანდიერისშვილმა ჯიმითის მოურაობა მიიტაცა, შემდეგ იმამყულიხანმა ჯიმითის მოურაობა ავთანდილ ჯანდიერისშვილს დაუბრუნა (1690.V.12. Hd—8737). — ნაზარალიხანმა უბოძა ამილბარ მაღალაძეს საბლთ-უხუცესობა და ჯანიშინობა სვეტიცხოვლის მამულებისა სოფელ ჯიმითში (1700.VI.29. Qd—1348, Ad—1590).

ჯიმშური როსტომ მეფემ განუახლა გოგიბაშვილებს ჯიმშურისა და ნასოფლარ ბაღდადის წყალობა (1635. Hd—14439).—ნაზარალიხანმა უბოძა მთავარ-

ეპისკოპოსს „ჯიმშური, პაპუასი და მისის განაყოფების კერძი" (1693.IV.3. Hd—2593).

ჯინჯიხარი თეიმურაზ [კახთა] მეფემ დაუმტკიცა ყორჩიბაშ თამაზ ამატაკიშვილს მამული ჯინჯიხარში (1616. Hd—14679).

ჯიქეთი ჯიქეთის მპყრობელად იხსენიება ვამეყ დადიანი მის მიერ ბიჭვინტისათვის მიცემულ შეწირულობის წიგნში ([XVII]. Sd—29).

ჯიქთუბანი (ჯიქთობანი) სოფელი, ერთ შეწირულების წიგნში მოხსენებულია ჯიქთუბნის სასახლე ([XVII]. Hd—11205). — ჯიქთობანს ედო ჯუმალის გამოსაღები: 80 ქოკა ღვინო, 8 ურემი ღომი, 12 საკლავი ([XVII]. Hd—11223).

ჯიქთუბნის მთავარანგელოზის მონასტერი მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს 12 კომლი კაცითურთ [(1512—32]. Ad—2218).

„ჯიღინა მიწა კოშაური" შანშე ჯავახიშვილმა უბოძა ძებან-მამუკას ([XVII]. Hd—1583).

ჯიჯეთი სოფელი, თიანეთის თავს, ალექსანდრე [კახთა] მეფემ განუახლა მისი შეწირულება სვეტიცხოველს (1579. Sd—464).

ჯობიაური მიწა ნ. ჯაფნიაური.

ჯოზი აქ ცხოვრობდა 14 კომლი ყმა ([1658—75]. Hd—14534-ბ).

ჯოთენურისეული ვენაკი ალექსანდრე [კახთა] მეფემ უბოძა ასლან ჯანდიერიშვილს სამკვიდროდ „ახმეტას ვენაკი ერთი ჯოთენურისეული" (1584.VII.7. სოც. დოკ., I, № 506).

ჯოლევი ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა [გელათს] ღოღობერიძის ნაყოლი უკრებლიძე ერთი კომლი ჯოლევში ([XVI]. Sd—2896).

ჯონეთი აქ მდებარე ქელბაქიანისეული სასახლე ყმა-მამულითურთ ვამეყ დადიანმა შესწირა ცაგერის ღვთისმშობელსა და ხვამლის წმიდა გიორგის ([1657—61]. Qd—9085-ია).

ჯონია ბაგრატ [იმერთა] მეფემ შესწირა გელათის წმ. გიორგის საყდარს 10 კომლი მემნაძე სოფელ ჯონიაში (1545. Hd—11201).

ჯოლარ-დუნია ალექსანდრე მეფემ უბოძა ციხისთავ იოვანე ომადმადიძეს ადგილი „სეფეულას მიდორს აქეთ, სკიპის-ღელესა და გორმახვილს შუა ჯოლარ-დუნიანათ" ([XVII]. Sd—1789).

[ჯოხი] ჯოხელმა გოგიბაშვილმა უმეკა ბახჩაშვილს მიჰყიდა დღენახევრის მიწა საზღვრებით: ქვემოთ — შარამდე, ზემოთ — ძულიას ვენახამდე, ერთ მხარეს— თავაქალაშვილის მიწამდე, საზუნაქროდ — აზარბეგას მიწამდე (1636. Hd—14888). — აქაურმა გოგიბასშვილ-სიმენდასშვილმა სამკვიდრო მამული მიჰყიდა ზალინა მეფისაშვილს (1671.I. 11. Hd—9436).

ჯოხისი ნ. წედისი (1631. Hd—2122).

ჰ

ჰერედაი სოფელი ქსანზე, ააშენა შალვა ქვენიფლეველმა და შესწირა ლარგვისის მონასტერს (1470. Qd—9020).

ჰერედვი ნ. გაღმა ჰერედვი.

ჰაცუტი ნასოფლარი სომხითში, სიმონ მეფემ უბოძა შუა ბოლნისის მამასახლის ბერუას (1623.III.15. Sd—588. Hd—10293).

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ი. აბულაძე

გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე

ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე

კორექტორი გ. ყაუელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. X. 64; ქაღალდის ზომა 70×108
ნაბეჭდი თაბახი 24. 66; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20,66

ფასი 1 მან. 84 კაპ.

უე 02813; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1285

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. Чавчавадзе, 1.